

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**

სტეფანი მეიერი

”ბინდის” საგა

დაბნელება

წიგნი მესამე

პროლოგი.

მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა.
შიშისგან გაყინული თვალს ვადევნებდი როგორ ემზადებოდა ის ჩემს დასაცავად.მისი დაძაბული ყურადღება იმას ნიშნავდა, რომ ბრძოლა იქნებოდა,იმის მიუხედავად რომ მტერი რიცხვობრივად ჩვენზე მეტი იყო.
მე ვიცოდი, რომ დახმარებას არ უნდა დავლოდებოდით.ეხლა მისი ოჯახი თავისი სიცოცხლეებისთვის იბრძოლებდა,ის კი ჩვენისთვის.
საინტერესოა,გავიგებ ,როგორ დამთ ავრდებაბრძოლა?გავიგებვინმოიგო,ანვინწააგო?კიდევცოტასთუვიცოცხლებ იმისთვის,რომრომგავიგოპასუხებიჩემსკითხვებზე?
ჩვენ პატარა შანსები გვქონდა.
შავი თვალები,რომლებიც იწვოდა ჩემი სიკვდილის სურვილით,ელოდებოდნენ თუ როდის გაეფანტებოდა ჩემს დამცველს ყურადღება და თუ ეს მოხდება მე იმ წამსვე მოვკვდები.
სადღაც,შორს, ცივ ტყეში მგლის ყმუილი ისმოდა.

თავი 1

ულტიმატუმი

”ბელა,არ ვიცი რატომ აიძულებ ჩარლის წერილების გადმოცემას,თითქოს მეორე კლასში ვიყოთ.შენთან ლაპარაკი რომ მინდოდეს გიპასუხებდი.შენ ხომ გააკეთე არჩევანი?შეუძლებელია მიიღო ყველაფერი ერთდროულად. მისმინე,ვიცი რომ იდიოტივით ვიქცევი,მაგრამ სხვა გზა არ არის,ჩვენ ვერ ვიმეგობრებთ სანამ შენ მთელ დროს იმათთან ატარებ.ყველაფერი ბევრად უარესად არის,როცა შენზე ვფიქრობ,ამიტომ აღარ მომწერო.მართალია მეც ძალიან მაკლიხარ,მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის.მაპატიე.... ჯეიკობი”

ხელში მეჭირა ფურცელი და ვგრძნობდი ნაკაწრებს იქ სადაც ის ძლიერად აწვებოდა კალამს.შემეძლო წარმომედგინა,როგორი სიბრაზით გამოყავდა ასოები თავისი უხეში ხელწერით.როგორ შლიდა აბზაცს აბზაცზე,როცა იმას არ წერდა რაც არ უნდოდა დაეწერა.შეიძლება მან კალამიც გატეხა თავისი დიდი ხელებით,ალბათ ამით აიხსნებოდა მელნის ლაქები წერილზე.შემეძლო წარმომედგინა მისი შეწუხებული სახე და ალბათ გამეცინებოდა იმ მომენტში მის გვერდით რომ ვყოფილიყავი.
”ჯეიკობ დაძაბულობისგან ტვინში სისხლი ჩაგექცევა,ვეტყოდი მე,თქვი რისი თქმა გინდა.”

მაგრამ, ამ წერილს კითხვისას არ მეცინებოდა,ის უკვე ზეპირად ვიცოდი.მისმა ასეთმა პასუხმა ჩემს მუდარით სავსე წერილზე არ გამაკვირვა,რომ გავხსენი უკვე ვიცოდი შიგნით რა ეწერებოდა.

გამიკვირდა თუ როგორ იმოქმედა ჩემზე მის მიერ გადახაზულმა თოთოეულმა წინადადებამ,თითქოს ამ ასოებს წვეტიანი ბოლოები ქონდა და მათ უკან იმალებოდა მთელი მისი ტკივილი,რომელსაც მე საკუთარზე ძლიერ განვიცდიდი.

სანამ მე ამაზე ვფიქრობდი სამზარეულოდან დამწვრის სუნი ამოვიდა,დაკუჭული წერილი ჯიბეში ჩავიდე და ქვევით ჩავირბინე.
—— რა გავაკეთე არასწორედ?- გაბრაზდა ჩარლი.
—— ჯერ თავსახური უნდა მოგეხსნა მამა,არ შეიძლება მეტალის შედგმა მიკროტალღოვან ღუმელში.

მე უცებ მოვხსენი თავი ქილას, ნახევარი სოუსი თეფშზე გადმოვასხი,ღუმელში შევდე და სტარტს მივაჭირე.მეორე ნახევარს თავზე დავაფარე და მაცივარში შევინახე.
ჩარლი უხმოდ მაკვირდებოდა.
—— ნუ..მაკარონი მაინც მოვხარშე სწორედ?
მე ქურაზე მდგარ ქვაბს შევხედე,სწორედ იქიდან ამოდიოდა ის სუნი, რომელმაც ასე შემაშინა.
—— კარგი იქნებოდა რომ მოგერია..რბილად ვუთხარი მე.
ჩარლიმ ამოიოხრა.
—— და რას ნიშნავს ეს ყველაფერი? - ვკითხე მე.
—— ვერ ვხვდები რაზე ამბობ, ჩაიბურტყუნა ჩარლიმ.
ჩარლიმ ჩამაფიქრა.ის ამზადებს?და რა სახე აქვს?ედვარდი ჯერ არ მოსულა და როგორც წესი ის მხოლოდ ჩემი ბოიფრენდის დანახვაზე იქცეოდა ესე,რომ ყველა სიტყვით და მოძრაობით ეგრძნობინებინა რომ მისი დანახვა არ უხარია.ყველა მისი მცდელობა ამაო იყო,იმიტომ რომ ედვარდმა მისი დახმარების გარეშეც იცოდა თუ რაზე ფიქრობს. სიტყვა" ბოიფრენდმა" მაიძულა ჩავფიქრებულიყავი,ეს სიტყვა აბსოლუტურად შეუფერებელი იყო,მე რამე უფრო გამომსახველი მინდოდა,რაღაც საუკუნო ერთგულების მსგავსი.....მაგრამ ისეთი სიტყვა როგორც "ბედი" ცოტა ყალბად ჟღერდა. ყველაზე მეტად სიტყვა "საცოლე" მაგიჟებდა,ამაზე ფიქრიც არ შემეძლო.
—— რამე გამომრჩა?როდიდან ამზადებ ვახშამს შენ თვითონ?უფროსწორედ ცდილობ რომ გაამზადო. - ვკითხე ჩარლის.
ჩარლიმ მხრები აიჩეჩა.
—— არ არსებობს კანონი რომელიც ჩემს საკუთარ სახლში მზადებას ამიკრძალავს.
—— შენ უფრო იცი.
—— ნამდვილად.
მან პოლიციელის ქურთუკი გაიხადა და საკიდზე დაკიდა.მისი იარაღი თავის ადგილზე იდო,რადგანაც უკვე რამოდენიმე კვირაა ჩარლი უიარაღოდ დადიოდა,არაფერი უცნაური აღარ ხდებოდა,ვერავინ ვეღარ ხედავდა დიდი ზომის მგლებს,ფორკსში სიმშვიდე იყო.
მე ჩუმად ვურევდი მაკარონს იმის იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს ჩარლი იტყოდა თუ რა აწუხებდა.მამაჩემი არ გამოიჩეოდა ბევრი ლაპარაკით,მაგრამ ამჯერად ეტყობოდა რომ ბევრი ჰქონდა

სათქმელი.მე საათს ვუყურებდი,ნახევარ საათზე ცოტა იყო დარჩა.სწორედ დღის მეორე ნახევარი იყო ჩემთვის ყველაზე მძიმე დრო,იმის მერე რაც ჩემმა ყოფილმა მეგობარმა ჯეიკობმა მამაჩემს უთხრა მოტოციკლეტების შესახებ,ჩარლის დასჯილი ვყავდი და ედვარდს ჩემი ნახვა მხოლოდ საღამოს 19დან 21.30მდე შეეძლო და მხოლოდ მისი თანდასწრებით.რა თქმა უნდა მე და ედვარდი ერთმანეთს სკოლაშიც ვხედავდით,აქ უკვე ჩარლი ვერაფერს გააწყობდა. ედვარდი თითქმის ყოველ ღამეს ჩემს ოთახში ატარებდა და რა თქმა უნდა ჩარლის არც ამაზე ჰქონდა წარმოდგენა.
იმის მიუხედავად რომ მე და ედვარდი ცალცალკე მხოლოდ სადილის შემდგომ დროს ვატარებდით ,ეს მაინც მაიძულებდა,რომ ადგილი ვერ მეპოვა ნერვიულობისგან.მაგრამ ვცდილობდი ჩემი სასჯელი ჩუმად ამეტანა,იმიტომ რომ მე ის დავიმსახურე და კიდევ იმიტო რომ არ შემეძლო ასე მოვქცეოდი ჩარლის ჩვენ ხომ ისედაც მოგვიწევს დაშორება,მან ეს არ იცის,მაგრამ ეს ალბათ მალე მოხდება.
მამა ბუზღუნით დაჯდა მაგიდასთან,ნამიანი გაზეთი გადაშალა და რანოდენიმეჯერ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი.
—— ვერ ვხვდები მამა,რატომ კითხულობ ახალ ამბებს თუ ამისგან მხოლოდ ღიზიანდები?
——აი რატომ უნდა ყველას პატარა ქალაქში ცხოვრება.
——რატომ,დიდ ქალაქებს რა სჭირს?
—— სიეტლი თითქმის პირველ ადგილზეა მკვლელობების რიცხვით.ხუთი გაუხსნელი მკვლელობა ბოლო ორ კვირაში ,ნეტავ როგორ ცხოვრობს იქ ხალხი?
—— მამა,ფენიქსში ბევრად უფრო ბევრი მკვლელობა ხდება,მე იქ ვცხოვრობდი,მაგრამ მხოლოდ აქ გადმოსვლის შემდეგ შემექმნა პრობლემები.
—— მაინც ვერ გადამარწმუნებ.
მე შევეცადე ვახშამი წესრიგში მომეყვანა და თეფშებზე გამენაწილებინა.რამოდენიმე ხნის განმავლობაში უხმოდ ვჭამდით,ჩარლი ისევ გაზეთს ათვალიერებდა მე კიდე ათასჯერ გადაკითხულ ”ჭექაქუხილის უღელტეხილს” იმის მოლოდინით,ბოლოს და ბოლოს როდის ამოიღებდა ის ხმას.დიდხანს ლოდინი არ დამჭირდა.
—— მართალი ხარ,-თქვა მან,ნამდვილად მქონდა იმის მიზეზი რომ ჩემით დამეწყო მზადება,შენთა ლაპარაკი მინდოდა.

—— შეგეძლო უბრალოდ გეკითხა.
მან თავი დამიქნია.
—— ხო, ამის მერე ესე მოვიქცევი, ვიფიქრე თუ ჩემით მოვიმზადებდი ვახშამს ამით მიგახვედრებდი რომ ლაპარაკი მინდა და ამან იმოქმედა.
- მითხარი რა გინდა მამა,-გამეცინა მე.
-ჯეიკობზე მინდა გელაპარაკო.
ამ სახელის გაგონებაზე დავიძაბე.
-და რა სჭირს ჯეიკობს? თავს ძალა დავატანე და ვიკითხე .
- დაწყნარდი ბელზ,ვიცი რომ აქამდე გაბრაზებული ხარ მასზე,იმის გამო რომ ჩაგიშვა,უბრალოდ პასუხისმგებლობა გამოავლინა.
- პასუხისმგებლობა?-გავიმეორე და თვალები შუბლზე ამივიდა,მოკლედ მითხარი რას სჭირს ჯეიკობს?
უცებ ჩარლი ანერვიულდა.
- არ გამიბრაზდე კარგი?ედვარდზეც მინდა გელაპარაკო.
-გაგიბრაზდე?
შევეცადე ნერვიულობა არ შემტყობოდა.
ჩარლის ხმა უფრო უხეში გახდა.
- მე ხომ ვაძლევ მას უფლებას ჩვენ სახლში მოვიდეს?
—— კი,დავეთანხმე მე,მაგრამ ცოტა ხნით.ზოგჯერ შეგიძლია სახლიდანაც გამიშვა ხოლმე,ვიხუმრე მე,ამ ბოლო დროს ხომ კარგად ვიქცევი?
—— ზუსტად ამაზე მინდოდა ლაპარაკი,თქვა მან და სახე გაეზადრა.
—— მამა,დამაბნიე,ბოლოს და ბოლოს რაზე ვლაპარაკობთ?ჯეიკობზე,ედვარდზე თუ ჩემს სასჯელზე?
—— ყველაფერზე ერთად.-თქვა მან და გაიღიმა.
—— და რა შუაშია ეს ყველაფერი ერთმანეთთან?
—— კარგი,ვფიქრობ შენ მართლა დაიმსახურე ამნისტია კარგი საქციელისთვის,არ წუწუნებ და არ ტირი,საკმაოდ გასაკვირია მოზარდისგან.
გაკვირვებისგან ენა ჩავყლაპე და წვრილი ხმით ვიკითხე.
—— სერიოზულად? თავისუფალი ვარ?.ნეტავ რამ იმოქმედა მის გადაწყვეტილებაზე ან რატომ ვერ დაინახა ეს ედვარდმა?
—— კი,ოღონდ ერთი პირობით.
—— ოჰ, გადასარევია..
—— ბელა ეს თხოვნა არ არის,ეს უფრო მოთხოვნაა,თავისუფალი ხარ და იმედია ამ თავისუფლებას სწორედ გამოიყენებ.
- ეს რას ნიშნავს?

- ბელა შენ მთელ დროს ედვარდთან და ელისთან ერთად ატარებ,მაგრამ ელისის გარდა ხომ გყავს სხვა მეგობრები?ბოლოს როდის ელაპარაკე ანჯელა ვებერს?
-პარასკევს,სადილის დროს.

ჯერ კიდევ იქამდე სანამ ედვარდი დაბრუნდებოდა ჩემი სკოლის მეგობრები ორად გაიყვნენ,მე მათ"კარგებს" და "ცუდებს" ვეძახდი.ანჯელამ,მისმა ბოიფრენდმა და მაიკმა ჩვეულებრივად მიმიღეს,იმის მიუხედავად რომ საკმაოდ უცნაურად ვიქცეოდი ედვარდის წასვლის მერე,ხოლო დანარჩენებმა,მათ შორის ჯესიკამაც ახალი პროგრამა - "ანტი-ბელა" შეიმუშავეს.ედვარდის დაბრუნების შემდეგ კი ეს გამყოფი ზოლი კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა.იმ ანტიპატიის მიუხედავად რომელსაც კალენები იწვევდნენ ადამიანებში ანჯელა მაინც ყოველდღე იჯდა ელისთან სადილის დროს და ბოლოს მაიკისგან განსხვავებით თავს კომფორტულადაც კი გრძნობდა,ძნელი იყო მათი გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყავი თუ ერთხელ მაინც იგრძნობდი მას.
- და სკოლის გარეთ?-გააგრძელა ჩარლიმ.
-სკოლის გარეთ არავინ მინახავს მამა,მე ხომ დასჯილი ვარ,ანჯელასაც ყავს ბოიფრენდი და ის სულ ბენთან არის და თუ მართლა აღარ ვარ დასჯილი,მაშინ შეგვიძლია წყვილებით შევხვდეთ ხოლმე.
-კარგი,მაგრამ ადრე.....-დაამატა მან ცოტათი დაეჭვებულმა,შენ და ჯეიკი სულ ერთად იყავით და ეხლა...
მე უხეშად შევაწყვეტინე.
-მამა გადადი მთავარზე!რა პირობით მანთავისუფლებ?
-ბელა არა მგონია რომ ედვარდის გამო ყველა მეგობარი უნდა დაივიწყო ,-თქვა მან მკაცრად,-ეს არ არის კარგი საქციელი და თუ შენ სხვა ადამიანებსაც შემოუშვებ შენს ცხოვრემაში იქნებ ამის მერე ის უფრო გაწონასწორებული გახდება.ის რაც წინა სექტემბერში მოხდა..... მე ერთიანად ავცახცახდი.
-კარგი,გააგრძელა მან უფრო შემრიგებლური ტონით,-მაშინ ედვარდის გარდა შენი ცხოვრებაც რომ გქონოდა ყველაფერი ისე ცუდათ აღარ იქნებოდა.
-ყველაფერი ისევ ესე იქნებოდა.
-შეიძლება კი და შეიზლება არა.ისარგებლე შენი თავისუფლებით ისე რომ სხვა მეგობრების ნახვაც შეძლო ხოლმე.

მე ნელა დაუქნიე თავი.ეს ზუსტად ის პრობლემა იყო რომლის გადაჭრასაც ვცდილობდი.ჩემი მეგობრები ის ადამიანები იყვნენ,რომელთა ნახვასაც მათივე კეთილდღეობისთვის სკოლის დამთავრების შემდეგ ვეღარ შევძლებდი.და როგორ უნდა მოვქცეულიყავი?ვყოფილიყავი მათთან, სანამ ჯერ კიდევ შემეძლო,თუ ნელ-ნელა ჩამოვშორებოდი მათ?მეორე ვარიანტი უფრო აზრიანი იყო.
-განსაკუთრებით ჯეიკობი,-დაამატა ჩარლიმ სანამ მე ვფიქრობდი.
-მამა ჯეიკობთან ყველაფერი უფრო რთულადაა..
-ბელა, ბლექების ოჯახი ძალიან ახლობელია ჩვენთვის,-დაამატა მან ისევ უხეშად,-და ჯეკობი ძალიან კარგი მეგობარი იყო შენთვის,ნუთუ საერთოდ არ გენატრება?
უცებ ვიგრძენი როგორ გამიშრა ყელი, ორჯერ დახველება მომიწია რომ შემძლებოდა ლაპარაკი.
-კი,ჯეიკობი ძალიან მაკლია,- ვთქვი მე ისე რომ თავიც არ ამიწევია.
-მაშინ რაშია პრობლემა?
არ შემეძლო ესე უბრალოდ მომეყოლა თუ რა ხდებოდა სინამდვილეში,ჩარლი ნორმალური ადამიანი იყო და ნორმალური ადამიანებისთვის ეს ყველაფერი ყველანაირ პრონციპებს ეწინაამღდეგებოდა.საკმარისი იყო, რომ მე ვიცოდი ამდენი იმ უცნაურ სამყაროზე,რომელიც სავსე იყო მითებით და ურჩხულებით,არ მინდოდა ამაში ჩარლიც ჩამეთრია.
-ჯეიკობმა და მე ვერ გაუგეთ ერთმანეთს,-ნელა ვთქვი მე,-მემგონი ჯეიკობს მხოლოდ მეგობრობა არ აკმაყოფილებს,-მხოლოდ ასე შევძელი თავის გამართლება,ვიცოდი რომ როცა იქნებოდა მე კალენების ოჯახის წევრი გავხდებოდი და ჩვენი მეგობრობა მაინც განწირული იყო.ამ პრობლემას წერილებით ვერ მოვაგვარებდი,ის ჩემს ზარებს არ პასუხობდა ხოლო მასთან პირისპირ შეხვედრის იდეა ვამპირებს არ მოსწონდათ.
-ნუთუ ედვარდი ცოტაოდენი კონკურენციის წინაამღდეგია?-სარკასტულად მკითხა ჩარლიმ.
-მამა,არავითარი კონკურენცია არ არსებობს,-ვთქვი მე თითქმის ყვირილით.
-ჯეიკობს ეწყინება რომ გაურბიხარ,მას ურჩევნია უბრალო მეგობარი იყოს ვიდრე საერთოდ არავინ.
-საიდან მოიტანე?,მემგონი ჯეიკობს საერთოდ არ უნდა რომ ვმეგობრობდეთ,-ბოლო სიტყვებმა შიგნიდან დამწვა.

ჩარლის გაუკვირდა.
-ნუ, ბილი ლაპარაკობდა დღეს ამ თემაზე...
-შენ და ბილი მოხუცი ქალებივით ჭორაობთ,-გავბრაზდი მე.
-ბილი ჯეიკობზე ნერვიულობს,მას ეხლა ძალიან უჭირს,მემგონი დეპრესია აქვს.
ამ სიტყვებზე გამაჟრჟოლა და ძლივს შევიკავე ცრემლები.
-და თან შენ ისეთი ბედნიერი იყავი იმ დროს როცა მას ხვდებოდი,-გააგრძელა ჩარლიმ.
-მე ეხლაც ბედნიერი ვარ,-ვთქვი მე კბილებს შორის,-კარგი, კარგი ვეცდები მამა,წონასწორობა ....
ამ სიტყვებმა განმუხტა სიტუაცია და ჩარლიც დამშვიდდა.
-ხო მართლა ბელა წერილი მოვიდა შენს სახელზე, სამზარეულოშია მაგიდაზე.
მე არც გავნძრეულვარ,ყველა ჩემი ფიქრი ეხლა ჯეიკობთან იყო.ისეთი საინტერესო არაფერი იქნებოდა,დედისგან წერილი გუშინ მივიღე და სხვას არც ველოდებოდი.ჩარლი მიხვდა რომ ადგომას არ ვაპირებდი და ამიტომ თვითონ მოიტანა სქელი კონვერტი და მაგიდაზე დააგდო.წერილი ალიასკის უნივერსიტედიდან იყო.
-ასე სწრაფად?,-მე კი ვიმედოვნებდი, რომ იქაც დავაგვიანე საბუთების გაგზავნა.
კონვერტი გავხსენი და გაბრაზებულმა გავხედე ჩარლის.
-მამა,ის გახსნილია!
-ძალიან მაინტერესებდა და რა ვქნა.
-შერიფო შოკში ვარ ეს ხომ ფედერალური დანაშაულია.
-ოჰ,უბრალოდ წაიკითხე!ხო მართლა გილოცავ!ეს შენი პირველი ჩარიცხვაა,-მითხრა მან მანამდე, სანამ მოვასწრებდი წაკითხვას.
-მადლობთ მამა.
-სწავლის გადასახადზე მინდა ვილაპარაკოთ.
-ეი,ეი! არ არსებობს, მე არ მივეკარები შენ ფულს!საკუთარი დანაზოგი მაქვს კოლეჯისთვის,უფროსწორედ რაც იქიდან დარჩა.
ჩარლი გაბრაზდა.
-ბევრი ამ სასწავლო დაწესებულებებიდან ძალიან ძვირია,არ უნდა წახვიდე ალიასკაში მარტო იმიტომ, რომ იქ იაფია.
ეს კოლეჯი სულაც არ იყო იაფფასიანი,უბრალოდ ის შორს იყო და საშუალოდ სამას ოცი დღე იქ წვიმები და მოღრუბლულობა იყო.პირველი მე მაწყობდა,მეორე კი ედვარდს.

-მამა რაღაცას მოვახერხებ,მათ სტუდენტების დახმარების ბევრნაირი პროგრამა აქვთ,-შევეცადე ჩემი ლაპარაკი დამაჯერებელი ყოფილიყო.
-ე.ი?-დაიწყო ჩარლიმ და გვერდზე გაიხედა.
-ე.ი რა?
-არაფერი,უბრალოდ მაინტერესებს ედვარდს რა გეგმები აქვს შემდეგი წლისთვის?
-ოო.....
  სამმა სწრაფმა კაკუნმა კარზე გადამარჩინა.ჩარლიმ თავი გაიქნია მე კი წამოვხტი ადგილიდან.სულელური მოუთმენელი სახით გავაღე კარი და დავინახე ის-ჩემი პირადი საოცრება.ამდენი დრო გავიდა და მაინც ვერ შევეჩვიე მისი სახის სრულყოფილებას და დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერც შევძლებდი.ჩემმა თვალებმა უცებ გაირბინა მის თეთრ ნაკვთებზე:მარმარილოსავით ნათელი შუბლი,სავსე ტუჩები,სწორი ცხვირი,წვიმისგან დასველებული ბრინჯაოს ფერი თმა.თვალები ბოლოსთვის დავიტოვე,ვიცოდი რომ როგორც კი მათში ჩავიხედებოდი ყველაფერი დამავიწყდებოდა.მის დიდ და თბილ თვალებში თითქოს ოქრო იყო დამდნარი.ყოველ ჯერზე მათში ჩახედვისას რაღაც წარმოუდგენელს ვგრძნობდი,ისეთი შეგრძნება მქონდა რომ მეც ვდნებოდი. კიდევ თავბრუსხვევას ვგრძნობდი,ეს ალბათ იმიტომ რომ სუნთქვა მავიწყდებოდა.ეს ის სახე იყო რომლისთვისაც ყველა მოდელი ბიჭი სულს გაყიდდა და სწორედ ეს იყო ამის ფასი-სული.როგორ მიხაროდა ზოგჯერ, რომ ედვარდს არ შეეძლო ჩემი აზრების წაკითხვა. მე ხელი გავუწოდე და ამოვისუნთქე როცა მისი ცივი ხელები ჩემსას შეეხო.
-სალამი!-გავუღიმე მე.
მან ხელი აწია და ლოყაზე დამადო.
-როგორ ჩაიარა დღემ?
-ნელა.
-ჩემთვისაც.
  ის ახლოს მოიწია და ვგრძნობდი როგორ ჩამოცურდა მისი ცხვირი ჩემს ლოყაზე,მან გაიღიმა ისე რომ თვალები არ გაუხელია.მე ვიცოდი რომ ჩემი სისხლის სუნი მისთვის ყველაზე ტკბილი იყო ქვეყანაზე და ვიცოდი რომ ეს სუნი ტკივილს აყენებდა,მაგრამ იმასაც ვგრძნობდი რომ ის ისე აღარ სტანჯავდა.მე სინდისი მქენჯნიდა, რომ ამდენის ატანა უხდებოდა ჩემს გამო,მაგრამ თავს ვიმშვიდებდი იმითი, რომ მალე ეს ყველაფერი დასრულდებოდა.

გავიგონე როგორ გვიახლოვდებოდა ჩარლი,ედვარდმა თვალები გაახილა, უკან წაიწია მაგრამ ხელი არ გამიშვა.
-საღამო მშვიდობისა ჩარლი,-ედვარდი ყოველთვის ზრდილობიანი იყო,თუმცა ჩარლი ამას არ იმსახურებდა.
ჩარლიმ რაღაცა ჩაიბურტყუნა მერე ჩვენს გვერდით დადგა და ხელები გულზე დაიწყო.მისი კონტროლი უკვე ყველანაირ ზღვარს ცილდებოდა.
-კიდევ მოვიტანე ბლანკები განცხადებებისთვის,-მითხრა ედვარდმა და ფურცლებით სავსე დიდი კონვერტი მანახა.
მე წუწუნი დავიწყე,ნუთუ კიდევ იყო დარჩენილი ისეთი კოლეჯები,სადაც მე ჯერ კიდევ არ მქონდა გაგზავნილილი საბუთები.მან გამიღიმა ისე თითქოს ხვდებოდა რაზეც ვფიქრობდი ალბათ ეს ძალიან კარგად მეწერა სახეზე.
-ზოგ კოლეჯში კიდევ შეუძლიათ ვადების გადატანა,რამოდენიმე გააკეთებს გამონაკლისს.
მე უკვე შემეძლო ამ გამონაკლისების მიზეზს მივმხვდარიყავი და ეს დოლარები იყო. ედვარდს გაეცინა ჩემს სახეზე.
-აბა დავიწყოთ?,-მკითხა მან და სამზარეულოს მაგიდისკენ წამიყვანა. ჩარლი დაღვრემილი მოგვყვებოდა უკან.მე უცებ ავალაგე მაგიდა და ედვარდმა საოცარი რაოდენობის ქაღალდების გაშლა დაიწყო მაგიდაზე.როცა ''ჭექაქუხილის უღელტეხილს'' მოვკიდე ხელი მან წარბი აწია,ვიცოდი რაზე ფიქრობდა,მაგრამ ჩარლიმ იქამდე შეაწყვეტინა სანამ რამეს მეტყოდა.
-მართლა რაც შეეხება კოლეჯებს ედვარდ,-თქვა ჩარლიმ მძიმე ტონით,ის სულ ცდილობდა მორიდებოდა ედვარდთან პირისპირ ლაპარაკს,-მე და ბელა ეხლ განვიხილავდით შემდეგი წლის გეგმებს,უკვე გადაწყვიტე სად ისწავლი?
ედვარდმა გაუღიმა და მეგობრულად უპასუხა.
-ჯერ არა,რამოდენიმე მიწვევა მივიღე და ჯერ კიდევ ვფიქრობ.
-და სად მიგიღეს?
-სირაკუზები,ჰარვარდი,დარმუთი და ეხლა ბოლოს ალიასკის უნივერსიტეტში მიმიღეს.ედვარდი ოდნავ შემობრუნდა და თვალი ჩამიკრა,ძლივს შევიკავი სიცილი.
-ჰარვარდი??,-ჩარლიმ ვერ დამალა აღფრთოვანება,-იმედია ალიასკაზე არ ფიქრობ,როცა შეგიძლია ესეთ კოლეჯებში ისწავლო.
-კარლაილი ნებისმიერ გადაწვეყილებაში დამიჭერს მხარს,-უბრალოდ უპასუხა ედვარდმა.

-გამოიცანი აქ რა არის?,-ვკითხე მე ბავშვური ტონით.
-რა ბელა?
-ზუსტად ეხლა მივიღე წერილი ალიასკიდან,-ვუთხარი და კონვერტზე მივანიშნე.
-გილოცავ!როგორი დამთხვევაა..
ჩარლის თვალები გაუფართოვდა და შეშინებული გვიყურებდა ხან ერთს ხან მეორეს.
-კარგი,-თქვა მან ერთი წუთის შემდეგ,-მე წავედი თამაშს უნდა ვუყურო,ბელა,ათის ნახევარი!!!
ეს იყო ხოლმე მისი ბოლო დასამშვიდობებელი სიტყვა.
-მამა,ჩვენი ბოლო საუბარი აღარ გახსოვს?მე ხომ თავისუფალი ვარ?
-კარგი,მაშინ თერთმეტის ნახევარი,შენ მაინც შეზღუდული ხარ სკოლის შემდეგ .
-ბელა აღარ არის დასჯილი?,-იკითხა ედვარდმა,მაგრამ მე ვიცოდი რომ ეს ამბავი არ იყო მისთვის ახალი,მაგრამ მაინც ვერ შევძელი მის ხმაში რაიმე სიყალბის დაჭერა.
-კი,ოღონდ ერთი პირობით,-შეასწორა ჩარლიმ,-და შენ რა?
მე განრისხებულმა გავხედე მამას.
-უბრალოდ გამიხარდა რომ გავიგე,ელისი წუწუნებს რომ ვერავისთან ერთად ვერ მიდის საყიდლებზე და მემგონი ბელასაც გაუხარდება ქალაქში გასვლა.
არა!!,-დაიღრიალა ჩარლიმ და მისი სახე იასამნიფერი გახდა.
-მამა,რაშია საქმე?
-არ მინდა რომ ეხლა სიეტლში იწოწიალო!
-რა?
-მე ხომ მოგიყევი ის ისტორია გაზეთიდან,სიეტლში მკვლელების ბანდაა და არ მინდა რომ შორს დაიჭირო ამ ქალაქისგან თავი.გასაგებია?
-მამა მე მეხი უფრო დამეცემა ,ვიდრე ერთ დღეში რამე მომივა სიეტლში.
-არა,ყველაფერი კარგადაა ჩარლი,-შემაწყვეტინა ედვარდმა,-სიეტლი არ მიგულისხმია,პორტლენდზე ვლაპარაკობდი,მეც არ მინდა რომ ბელა სიეტლში წავიდეს.
მე გაოგნებულმა შევხედე,მას ჩარლის გაზეთი ეკავა ხელში და პირველ გვერდს კითხულობდა.ალბათ ესე ჩარლის დამშვიდებას ცდილობდა და ამან გასჭრა, ერთი წუთის განმავლობაში ჩარლი ჩუმად უყურებდა მას.

-ძალიან კარგი,-თქვა მან და სწრაფად დატოვა სამზარეულო.
მე დაველოდე სანამ ტელევიზორი ჩაირთვებოდა,რომ მშვიდად შემძლებოდა ლაპარაკი.
-რა...?
-ერთი წუთი ბელა,-მითხრა ედვარდმა ისე რომ გაზეთიდან არ მოუწყვეტია თვალი.ბოლოს და ბოლოს მომაქცია ყურადღება და პირველი ბლანკი გამოაცურა ჩემსკენ.
-ეს ისევე შეავსე როგორ დანარჩენები,შეგიძლია ძველებიდან გადაწერო,იგივე კითხვებია.
რახან ჩარლი ჯერ კიდევ ესმოდა ჩვენი საუბარი მე დავიწყე შევსება.რამოდენიმე წუთის მერე ედვარდს შევხედე,მაგრამ ის ჩაფიქრებული იყურებოდა ფანჯრისკენ,მე ისევ ბლანკს დავხედე და პირველად დავინახე კოლეჯის სახელი.ბლანკი უხეშად გავწიე გვერდზე.
-ბელა?
-ედვარდ,კარგი რა დარმუთი?
მან ნაზად აიღო ბლანკი და ისევ წინ დამიდო.
-მემგონი იქ მოგწონება,ჩემთვის მოიძებნება საღამოს კურსები,თან იქ კარგი ტყეებია,-თქვა მან და გამიღიმა,რადგან იცოდა რომ ამის მერე ვერ შევეწინაამღდეგებოდი.
მე ამოვისუნთქე და დიდი სუნთქვა ავიღე ცხვირით.
-ბელა,თუ ამისგან უფრო ბედნიერი იქნები იმის უფლებას მოგცემ,რომ ფული დამიბრუნო,თუ გინდა პროცენტებსაც დაგირიცხავ.
-იქ ხომ შეუძლებელია მოხვედრა დიდი ქრთამის გარეშე...ფუ, ისევ ამაზე რატომ ვლაპარაკობთ?
-გთხოვ ბელა,არ შეგიძლია უბრალოდ შეავსო განცხადება?ამითი არაფერი ცუდი არ მოხდება.
მე ყბა ჩამომივარდა.
-იცი რა,არ ვაპირებ ამის შევსებას!
მე ფურცლების დაკუჭვა მინდოდა, რომ ისინი ადვილად ჩატეულიყო ნაგვის ურნაში მაგრამ როცა მაგიდაზე დავიხედე ის უკვე ცარიელი იყო.მერე ედვარდს შევხედე,ის თითქოს არ განძრეულა,მაგრამ განცხადება უკვე მის ჯიბეში იყო.
-რას აკეთებ?
-მე შენს სახელს იმაზე კარგად დავწერ ვიდრე შენ მოახერხებ ამას,დანარჩენი კი უკვე შევსებულია.

-ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს გადადის,სულაც არ მინდა რომ კიდევ სადღაც მიმიღონ,მე უკვე ჩავირიცხე ალიასკაში და შემიძლია თვითონ გადავიხადი სწავლის თანხა.არ არის საჭირო ამდენი ფულის გადაყრა,მნიშვნელობა არა აქვს ვისი იქნება ის.
ედვარდს სახე მოეღუშა.
-ბელა...
-არ დაიწყო!გეთანხმები, უნდა წავიდე სასწავლებლად ჩარლის გულისთვთვის,მაგრამ ორივემ ვიცით,რომ მომავალ შემოდგომაზე მე იმ მდგომარეობაში არ ვიქნები,რომ კოლეჯში ვიარო.საერთოდ ვერ შევძლებ ხალხის გვერდზე ყოფნას.
ჩემი ცოდნა ახალდაბადებულ ვამპირებზე მცირე იყო,ეს არ იყო ედვარდის საყვარელი თემა და ამაზე არ მელაპარაკებოდა,მაგრამ მე ვიცოდი რომ ეს საშინელება იყო და დიდხანს ვერ შევძლებდი საკუთარი თავის გაკონტროლებას.
-მე მეგონა დროის საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი,-რბილად შემახსენა ედვარდმა,-მშვენივრად შეგიძლია ისწავლო სემესტრი,ან თუნდაც ორი,ძალიან ბევრი ადამიანური მოვლენები არსებობს,რომელიც შენ ჯერ კიდევ არ გამოგიცდია.
-ამას მერეც მოვახერხებ.
-მერე ისინი აღარ იქნება ადამიანური.ადამიანად ყოფნის მეორე შანსი აღარ გექნება.
მე ამოვიოხრე.
-შენ თვითონ დაფიქრდი ედვარდ,ძალიან საშიშია გადადება.
-ჯერ არავითარი საშიშროება არ არის.
მე ისევ გაბრაზებულმა შევხედე,არავითარი საშიშროება?რა თქმა უნდა,არის მხოლოდ ერთი სადისტი ვამპირი რომელსაც შურისძიება უნდა თავისი პარტნიორის გამო და რომელსაც ჩემი მოკვლა ხანგრძლივი და მტანჯველი სიკვდილით უნდა.ვის ახსოვს ვიქტორია?ააჰ,და კიდევ ვოლტურები-სამეფო ვამპირთა ოჯახი,რომლებიც წამებს ითვლიან როდის დაამთავრდება ჩემი გულისცემა.ხო რა თქმა უნდა არავითარი მიზეზი პანიკისთვის.
იმის მიუხედავად რომ ელისი მათ სულ უთვალთვალებდა და ედვარდს მისი იმედი ჰქონდა,მაინც საშიში იყო გადადება.თანაც მე უკვე მოგებული მქონდა ეს კამათი და ჩემი გადაქცევის თარიღი სკოლისდამთავრების შემდეგ იყო დანიშნული.ამის გაფიქრებისას კუჭში დამიარა,ნუთუ ასე ცოტა დრო რჩებოდა,მხოლოდ რამოდენიმე კვირა.რა

თქმა უნდა ეს საჭირო იყო,ეს იყო იმის გასაღები რაც მე ყველაზე მეტად მინდოდა,მე უცებ დავფიქრდი ჩარლიზე,რომელიც გვერდზე ოთახში იჯდა ტელევიზორთან,რენეზე,მზიან ფლორიდაზე,ჯეიკობზე,რომელიც ჩემი მშობლებისგან განსხვავებით მიხვდება ჩემი გაუჩინარების მიზეზს და უცებ მასზე ფიქრმა სხვა ყველაფერი დაჩრდილა.
-ბელა,-ჩაიჩურჩულა ედვარდმა დამწუხრებულმა,თითქოს მიხვდა რაზეც ვფიქრობდი,-არ არსებობს მიზეზი სიჩქარისთვის,არავის არ მივცემ უფლებას ტკივილი მოგაყენოს,იმდენი დრო გექნება რამდენიც შენ გინდა.
-მე სწრაფად მინდა,-ვთქვი მე ჩურჩულით,ვეცადე რომ ხუმრობით მეთქვა,-მალე მინდა რომ ურჩხული გავხდე.
-არც კი იცი რაზე ლაპარაკობ.მან სწრაფად დამიგდო წინ გაზეთი სათაურით.”მკვლელობები გრძელდება,პოლიციას ეშინია ბანდის აქტიურობის”
-ეს რა შუაშია ჩვენთან?უი, ამას ვამპირი აკეთებს?
-გაგიკვირდება ბელა,მაგრამ სწორედ ვამპირები არიან ხოლმე ხშირად ასეთი მკვლელობების მიზეზი და ამ ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ ეს სწორედ ახალდაბადებული ვამპირია.ჩვენ დიდიხანია ვაკვირდებით სიტუაციას,მაგრამ ამას არც კი მივაქცევდით ყურადღებას ასე ახლოს რომ არ ხდებოდეს ჩვენგან.
მე ისევ გაზეთს დავხედე.შევეცადე ძალიან არ დავკვირვებოდი სახელებს,მაგრამ ისინი დიდი შრიფტით იყო გამოყოფილი,ხუთი ადამიანის სახელი,რომელთა სიცოცხლეც ერთ წამში დასრულდა:გარდინერი,კემპბელი,რაზი,ოკონელი,ელბრუკი,ადამიანები რომელთაც ყავდათ მშობლები,შვილები,შინაური ცხოველები, ჰქონდათ სამსახური, გეგმები,იმედები და მომავალი...
-მე ესე არ დამემართება,-ჩავიჩურჩულე ჩემთვის,-თქვენ არ მომცემთ ამის საშუალებას,ანტარქტიდაზე ვიცხოვრებთ!
-ხო პინგვინები,გადასარევია,-გაეცინა ედვარდს.
-მაშინ როგორც იგეგმებოდა ალიასკა,სადმე შორს,სადაც ბევრი დათვებია.
-უკვე უკეთესია,იქ თეთრი დათვებიც არიან,და კიდევ მგლებიც..
-მე პირი გავაღე და უხეშად ამოვისუნთქე.
-რა მოხდა?-იკითხა მან და უცებ გაქვავდა.-კარგი მგლები დაივიწყე თუ ამაზე ფიქრი არ გსიამოვნებს.

-ედვარდ ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო!-გული მეტკინა როცა ეს წარსულ დროში ვთქვი,-რათ ქმა უნდა ეს არ მსიამოვნებს.
-გთხოვ, მაპატიე,დაუფიქრებლად ვთქვი.
-არაუშავს.
ცოტახანს ორივე ჩუმად ვიყავით,შემდეგ მან თავისი ცივი თითით სახე ამაწევიდა და მე მას შევხედე.
-მაპატიე,მართლა.
-ვიცი,ვიცი,რომ ეს ერთი და იგივე არ არის,არ უნდა მქონოდა ესეთი რეაქცია,კარგი,უბრალოდ შენს მოსვლამდეც ვფიქრობდი მასზე-აქ გავჩერდი.მისი ოქროსფერი თვალები მუქდებოდა ყოველთვის როცა მე ჯეიკობის სახელს ვახსენები.-ჩარლიმ მითხრა,რომ მას ძალიან უჭირს,ის ცუდად არის და ეს ჩემი ბრალია.
-ბელა,შენ არაფერი ცუდი არ გაგიკეთებია.
-აუცილებლად უნდა გამოვასწორო ყველაფერი,უბრალოდ ვალდებული ვარ,თანაც ეს ჩარლის ერთ-ერთი პირობაა.
სანამ მე ვლაპარაკობდი მისი სახე ისევ შეიცვალა და ქანდაკებას დაემსგავსა.
-შენ იცი,რომ ეს შეუძლებელია,იცი,რომ დაუცველი იქნები მარტო ვაერვულფებს შორის და ჩვენ თუ გადავლახავთ ზღვარს ამით შეთანხმებას დავარღვევთ,გინდა რომ ომი დაიწყოს?
-რა თქმა უნდა არა!
-მაშინ ამაზე ლაპარაკის ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავ,მან ხელი ჩამოუშვა და გვერდზე დაიხედა,თითქოს ახალ თემას ეძებდა სალაპარაკოდ.მისი თვალები რაღაცაზე შეჩერდა ჩემს უკან და მან გაიღიმა.
-მიხარია,რომ ჩარლიმ გაგანთავისუფლა და აუცილებლად უნდა წავიდეთ წიგნის მაღაზიაში,არ მჯერა რომ კიდევ ''ჭექაქუხილის უღელტეხილს'' კითხულობ,ნუთუ ზეპირად არ ისწავლე?
-ყველას არა აქვს ფოტოგრაფიული მახსოვრობა.-მოკლედ ვუპასუხე მე.
-უბრალოდ ვერ ვხვდები ასე რატომ მოგწონს?ყველა პერსონაჯი საშინელია,ისინი ერთმანეთს უნგრევენ ცხოვრებას.ეს ხომ სიყვარული არ არის,ეს სიძულვილის ისტორიაა.
-შენ კლასიკა არ გიყვარს.
-ხო ალბათ იმიტომ რომ ძველი არაფერი არ მიყვარს,-მითხრა მან გახარებულმა,რახან მოახერხა ჩემი ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა,-და ისე სიმართლე მითხარი რატომ კითხულობ მას ისევ და ისევ?,-ის

მაგიდაზე დაიხარა და ჩემი სახე თავის ხელებში მოაქცია,-რა არის ამ წიგნში ასეთი?
-როგორ გითხრა,-რთული იყო ლაპარაკი როცა ის ესე მიყურებდა,-მე ვფიქრობ ეს რაღაც გარდაუვალისმსგავსია,ვერაფერმა ვერ დააშორა ისინი,ვერც ეგოიზმმა,ვერც ბოროტებამ და ვერც სიკვდილმა.
ის დიდხანს ფიქრობდა ჩემს ნათქვამზე და შემდეგ გაიღიმა.
-მე მაინც ვფიქრობ რომ ეს ისტორია უკეთესი იქნებოდა,რომელიმეს მაინც რომ ჰქონოდა ერთი დადებითი თვისება.
-მემგონი სწორედ ეს არის მანდ მთავარი,მათი სიყვარული ერთადერთი დადებითი თვისებაა.
-იმედი მაქვს,შენც არ შეგიყვარდება ვინმე ესეთი ბოროტი.
-მემგონი ჩემთვის უკვე გვიანია ამაზე ფიქრი და გაფრთხილების გარეშეც მემგონი ეს საკმაოდ კარგად მოვახერხე.
მას გაეცინა.
-მიხარია რომ ესე ფიქრობ.
მე მის ხელს ჩემი დავადე ზემოდან რომ ის ჩემს სახეზე გამეჩერებინა.-ჯეიკობი უნდა ვნახო!
მან თვალები დახუჭა.
-არა!
-ეს მართლა არ არის საშიში,მე ხომ მთელი დღეები ვიყავი ხოლმე ლაპუშზე და არაფერი საშინელი არ მომხდარა.-მაგრამ ხმაში უცებ შემეტყო სიყალბე როცა გამახსენდა რა მოხდა ბოლოს,როცა იქ ვიყავი.
ედვარდმა იგრძნო გული როგორ ამიჩქარდა და თავი დამიქნია.
-ვაერვულფებს უჭირთ ხალხის გვერდზე თავის შეკავება,ზოგჯერ მათ გვერდზე მყოფები საშინელ ტრავმებს იღებენ,მათ შეუძლიათ შემთხვევით მოკლან კიდეც.
მინდოდა წინაამღდეგობა გამეწია,მაგრამ უცებ დამიდგა თვალწინ ემილი იანგის ლამაზი სახე,რომელსაც ეხლა უკვე ამდენი ჭრილობა ფარავდა.ედვარდი ჩუმად მიცდიდა სანამ ლაპარაკს შევძლებდი.
-შენ მათ არ იცნობ,-ჩავიჩურჩულე მე.
-მე მათ შენზე კარგად ვიცნობ,მე აქ მანამდეც ვიყავი.
-მანამდე?
-პირველად ჩვენი და მგლების გზები სამოცდაათი წლის წინ გადაიკვეთა,ეს იქამდე იყო სანამ ელისი და ჯასპერი შემოგვიერთდებოდნენ,ჩვენ მეტნი ვიყავით,მაგრამ ამან ისინი არ გააჩერა,კარლაილი რომ არა....მან შეძლო ეფრაიმ ბლექის გადარწმუნება

და ჩვენ შეთანხმება დავდეთ,ჩვენ გვეგონა რომ მისი სიკვდილის შემდეგ ბლექების გვარი შეწყდა,მაგრამ..ისევ შენი ბედის ამბავია,როგორ ახერხებ იმას რომ შენს გარშემო ამდენი რაღაც ხდება?
-მე არაფერ შუაშია ვარ,არ იცი, მგლები იმიტომ ჩნდებიან,რომ ვამპირები არსებობენ.
ედვარდი დამაშტერდა და მისი სხეული ერთიანად გაშეშდა.
-ეს თეორია დააინტერესებს კარლაილს.
-თეორია,-გამეცინა მე.
-საინტერესოა,მაგრამ გაუგებარი და ამით არაფერი იცვლება. ყველაფერი გასაგები იყო,ეს ნიშნავდა ''არავითარი მეგობარი მგლები''.მე ვიცოდი რომ მომთმენი უნდა ვყოფილიყავი ედვარდთან,მან უბრალოდ არ იცოდა როგორი ვალდებული ვიყავი მე ჯეიკობის,რომელმაც ბევრჯერ გადაარჩინა ჩემი სიცოცხლეც და ფსიქიკაც.არ მიყვარდა იმ ცარიელ დროზე ლაპარაკი,როცა მარტო ვიყავი,ედვარდის გარეშე,ის გაემგზავრა რომ ჩემი სიცოცხლე შეენარჩუნებინა და მე მას არ ვთვლიდი დამნაშავედ იმაში რაც მე დამემართა,ის თვითონ თვლიდა თავს დამნაშავედ.ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მომეძებნა გასამართლებელი მიზეზები.
მე ავდექი და მაგიდას მოვუარე,მან ხელები გაშალა და კალთაში ჩავუჯექი,მის ცივ ხელებში მოვეწყვე და ძირს ვიყურებოდი სანამ ვლაპარაკობდი.
-გთხოვ,უბრალოდ ერთი წუთი მომისმინე,ეს იმაზე მნიშვნელოვანია ვიდრე უბრალოდ ძველი მეგობრის მონახულება,ჯეიკობი ეხლა ცუდად არის, მე არ შემიძლია,რომ მას არ დავეხმარო,უნდა ვცადო მაინც,ვერ მივატოვებ იმის გამო,რომ ის უკვე ადამიანი აღარ არის,გამიგე,ის ხომ ჩემს გვერდით იყო მაშინ როცა მე მართლა არ ვგავდი ადამიანს,ხომ იცი როგორ იყო...-აქ გავჩუმდი,ედვარდის ხელები გაქვავდა ჩემს გარშემო ისე რომ ყველა ძარღვი დაეტყო.-ჯეიკობი რომ არ დამხმარებოდა არვიცი როგორი დაგხვდებოდი,რომ დანრუნდებოდი.მე ბევრით ვარ მისგან დავალებული.
მე ფრთილად შევხედე მას,თვალები დახუჭული ქონდა.
-მე არასდროს ვაპატიებ ჩემს თავს,რომ დაგტოვე,არასდროს,სულ რომ მილიონი წელი კიდევ ვიცოცხლო.
მე ხელი დავადე სახეზე და ველოდებოდი სანამ თვალები გაახილა.

-შენ უბრალოდ ცდილობდი სწორედ მოქცეულიყავი და დარწმუნებული ვარ ვინმე სხვასთან ნორმალურთან ეს გაამართლებდა, თანაც ეხლა შენ აქ ხარ და ეს არის მთავარი.
-მაშინ რომ არ წავსულიყავი ეხლა მგლის ბედზე არ ინერვიულებდი,მე ერთხელ კინაღამ დაგგკარგე და ძალიან კარგად ვიცი ეს რა გრძნობაა და მეორედ ასეთ შეცდომას აღარ დავუშვებ,აღარ მოგცემ უფლებას თავი საფრთხეში ჩაიგდო.
-ედვარდ,უნდა მენდო,ყველაფერი კარგად იქნება.

მის სახეზე ისევ ტკივილი აისახა.
-კარგი რა ბელა,გთხოვ, ჩემი გულისთვის,მე ყველანაირად ვცდილობ საფრთხეს აგარიდო და შენც უნდა მომეხმარო.
-ვეცდები..
-წარმოდგენა მაინც თუ გაქვს რამდენად ძვირფასი ხარ ჩემთვის?ცოტათი მაინც თუ ხვდები როგორ მიყვარხარ?,-მან უფრო ძლიერ ჩამიხუტა და ჩემი თავი თავისი ნიკაპის ქვეშ დამალა.
მე ტუჩებით მივეკარი მის თოვლივით ცივ კისერს.
-მე ის ვიცი,რომ მე მიყვარხარ.
-შენ ერთ პატარა ხეს მთელს ტყეს ადარებ,-მან შუბლზე მაკოცა და ამოისუნთქა.
-არავითარი ვაერვულფები.
-არ ვაპირებ ამასთან შეგუებას,ჯეიკი უნდა ვნახო!
-მაშინ შენი გაჩერება მომიწევს.
და მე ვიცოდი რომ ეს არ გაუჭირდებოდა.
-კარგი,კარგი,ვნახოთ,ისე ის ჯერ კიდევ ჩემი მეგობარია.
უცებ ვიგრძენი როგორ დამძიმდა ჯეიკობის წერილი ჩემს ჯიბეში,თითქოს ხუთ კილოს იწონის.

თავი 2

საბაბი

საოცარი სიხარული ვიგრძენი როცა ესპანურის გაკვეთილიდან სასადილოში მივდიოდი და მარტო იმიტომ არა,რომ ხელი მსოფლიოში ყველაზე კარგ ბიჭზე მქონდა ჩაჭიდებული.შეიძლება იმის გამო,რომ ჩემი სასჯელი გაუქმდა,სკოლაშიც კი თავისუფლების სუნი ტრიალებდა,სასწავლო წელი მთავრდებოდა და ყველა აჟიტირებული იყო.თავისუფლება ისე ახლოს იყო,რომ შეგეძლო მას ხელითაც შეხებოდი.მისი ნიშნები ყველგან იყო.სასადილოს კედლევი სავსე იყო ფერადი პლაკატებით,სარეკლამო ფლაერებით,მათ შორის გამოსასვლელი მეჯლისისაც,რომელიც მომდევნო დასვენების დღეებზე იგეგმებოდა,მაგრამ მე პირობა ჩამოვართვი ედვარდს,რომ იქ წასვლას აღარ მაიძულებდა.
სხვა მოსწავლეებისგან განსხვავებით სკოლის დამთავრებამ სიხარული არ მომიტანა,როგორც კი ამაზე ვიწყებდი ფიქრს ცუდად ვხდებოდი.მაგრამ ამ თემაზე ლაპარაკს მაინც ვერ ავცდებოდი,ის იყო ეხლა ყველაზე აქტუალური.
-უკვე გაგზავნე მოსაწვევები?,-მკითხა ანჯელამ როცა მე და ედვარდი ჩვენს მაგიდასთან დავჯექით.
ელისი და ბენი უკვე მის გვერდთ მაგიდაზე ისხდნენ.ბენი კომიქსების კითხვით იყო გატაცებული,ელისი კი გულდასმით აკვირდებოდა ჩემს ჩაცმულობას,უბრალო ჯინსები და მაისური,ის ისე მიყურებდა რომთავი უხერხულად ვიგრძენი.ჩემი გულგრილი დამოკიდებულება ტანსაცმელთან მიმართებაში მისი ყველაზე დიდი პრობლემა იყო.უფლება რომ მიმეცა ალბათ ყოველდღე თვითონ ჩამაცმევდა.
-არა,-ვიპასუხე მე ანჯელას,-აზრს ვერ ვხედავ,რენემ იცის როდის ვამთავრებ სკოლას და კიდევ ვინ უნდა დავპატიჟო?
-და შენ ელის?
ელისს გაეღიმა.
-ყველაფერი გაკეთებულია.
-გაგიმართლა,-ამოიოხრა ანჯელამ,-დედაჩემს ათასი ნათესავი ყავს და ის ელოდება რომ მე ჩემი ხელით დავწერ ყველასთვის მოსაწვევს.ბოლოს ალბათ ხელის გარეშე დავრჩები.
-მოგეხმარები!,-ვიაქტიურე მე,-თუ რა თქმა უნდა ჩემი საშინელი ხელწერის წინაამღდეგი არ ხარ.
ჩარლის ეს მოეწონება.თვალის კუთხიდან შევამჩნიე ედვარდმა როგორ გაიღიმა,ანუ მასაც მოსწონს,ე.ი მე პირობას ვასრულებ და თან არავითარი ვაერვულფები.

-აუ,ძალიან დიდი მადლობა ბელა,მითხარი როდის მოვიდე შენთან?
-მემგონი ჯობია,რომ მე მოვიდე,თუ შეიძლება,სახლზე უკვე გული მერევა,ჩარლიმ მხოლოდ გუშინ საღამოს გამანთავისუფლა.
-მართლა?-მკითხა ანჯელამ და მისი ჩვეულებრივ მშვიდი თვალები განათდა გაკვირვებისგან,-შენ კი ამბობდი რომ სამუდამოდ ხარ დასჯილი.
-მე შენზე მეტად ვარ გაკვირვებული.
-ეს ხომ ძალიან მაგარია ბელა,უნდა ავღნიშნოთ!
-ვერც კი წარმოიდგენ ეს რა კარგად ჟღერს.
-და რას გავაკეთებთ,-ჩაილაპარაკა აღფრთოვანებულმა ელისსმა და მისი სახე ერთიანად განათდა.
ჩვეულებრივ მისი იდეები ძალიან გრანდიოზული იყო ჩემთვის და ეხლაც მისი გამომეტყველებით მივხვდი რომ რაღაც ესეთს გეგმავდა.
-ელისს,ეხლა რაზეც არ უნდა ფიქრობდე გეტყვი რომ არ მგონია ამ დონეზე თავისუფალი ვიყო.
-თავისუფლება თავისუფლებაა.
-გარწმუნებ,რომ ჩემს თავისუფლებას ისეთივე ფარგლები აქვს როგორც აშშ-ს კონტინენტალურ ნაწილს.
ანჯელას და ბენს გაეცინათ,ელისსმა კი საოცარი სახე მიიღო.
-ხო და რას ვაკეთებთ საღამოს?
-არაფერს ელის,მოდით ჯერ რამოდენიმე დღე მოვიცადოთ და დავრწმუნდეთ რომ ჩარლი არ ხუმრობს.თან მალე გამოსაშვებია.
-მაშინ მოდი დასვენების დღეებში ავღნიშნოთ!,-ელისის ენთუზიაზმის ჩახშობა რთული იყო.
-რა თქმა უნდა,-ვუთხარი მე რომ დამეწყნარებინა.
ანჯელა და ელისი ვარიანტების განხილვას შეუდგნენ,ბენმა კომიქსები გვერდზე გადადო და ისიც მათ შუერთდა.ჩემი აზრები შორს იყო აქედან,გამიკვირდა როცა ვიგრძენი რომ ჩემი თავისუფლება ისე აღარ მახარებდა.სანამ ისინი იმაზე ლაპარაკობდნენ თუ როგორ გაერთობოდნენ პორტანჯელესში მე გაღიზიანება ვიგძენი.სულ ცოტა ხანში მივხვდი რაც მაწუხედა.
ზუსტად იმ დროიდან როცა მე ტყეში დავემშვიდობე ჯეიკობს,თან მდევდა უსიამოვნო მოგონება,ნათელი სურათი რომელიც სულ თვალწინ მედგა,ის ტივტივდებოდა ჩემს ფიქრებში ისე თითქოს წამზომზე იყო დაყენებული და იქ ჯეიკობს სიმწრისგან სახე ჰქონდა შეცვლილი. ზუსტად მაშინ მივხვდი რატომ ვერ ვგრძნობდი

სიხარულს,ჩემი თავისუფლება არ იყო სავსე.რა თქმა უნდა შემეძლო სადაც მინდოდა იქ წავსულიყავი,ლაპუშის გარდა,ყველაფერი შემეძლო გამეკეთებინა მისი ნახვის გარდა,გავბრაზდი,უნდა იყოს ისეთი ვარიანტი,რომელიც ყველასთვის კარგი იქნება.
-ელის,ელის!
ანჯელას ხმამ ფიქრებს მომწყვიტა.ის ხელს იქნევდა ელისის სახის წინ,მე ვიცოდი ეს რასაც ნიშნავდა და მთელს სხეულზე თითქოს დენმა დამიარა.მისი ცარიელი მზერა მეუბნეოდა, რომ ის რაღაცას ხედავდა ამ სასადილოს იქით,რაღაც რეალურს და ეს მალე მოხდებოდა.ვიგრძენი როგორ დამეჭიმა ყველა კუნთი.
ედვარდმა უბრალოდ და თავისუფლად გაიცინა და ყველამ მას შეხედა.მე ელისს ვერ ვწყვიტავდი თვალს,უცებ ის ისე წამოხტა თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრა.
-ძილის დროა ელის?,-გაეხუმრა ედვარდი.
ელისი გონზე მოვიდა.
-მაპატიეთ,მემგონი ოცნებამ გამიტაცა.
-სკოლაში კიდევ ორი საათი ყურყუტს ოცნება ჯობია,-თქვა ბენმა.
ელისი კიდევ უფრო მეტი ენერგიით დაუბრუნდა საუბარს.რაღაც პატარა მომენტში შევნიშნე,რომ მან ედვარდს შეხედა,სულ რაღაც ერთი წამით და მერე ისევ ანჯელას დაუბრუნდა.ედვარდი ჩუმად იყო და ჩემს თმას ათამაშებდა.
დაძაბული ველოდებოდი ედვარდთან დალაპარაკების საშუალებას იმაზე თუ რა დაინახა მისმა დამ,მაგრამ სადილის მერე ერთი წუთითაც არ დავრჩენილვართ მარტო.
ვგრძნობდი,რომ რაღაცას მიმალავდა,ის ბენს ელაპარაკებოდა ჯერ საშინაო დავალებაზე,რომელიც ისედაც კარგად იცოდა და შემდეგ მაიკს,რომელსაც როგორც აღმოჩნდა მანქანა ჰქონდა გაფუჭებული.
-იქნებ გაყვანილობის ბრალია?
-შეიძლება,მართალი გითხრა დიდად ვერ ვერკვევი მანქანებში,-აღიარა მაიკმა,-მინდა რომ ვინმეს ვანახო.
-ამაში რაღაცა მესმის შემიძლია ვნახო თუ გინდა?,-შესთავაზა ედვარდმა,-უბრალოდ ჯერ ელისს და ბელას მივიყვან სახლში.
მე და მაიკმა პირდაღებულებმა შევხედეთ ედვარდს.
-ეე,მადლობა,მაგრამ სამსახურში უნდა წავიდე,იქნებ სხვა დროს.
-კარგი.

ედვარდის ვოლვო ორი მანქანის მოშოტებით იდგა და ელისი უკვე იჯდა შიგნით.
-ეს რა იყო?,-ვკითხე მე მას როცა მანქანის კარებს მიღებდა.
-უბრალოდ დახმარება შევთავაზე.
უცებ ელისი ჩაირთო.
-სხვათაშორის არც ისეთი კარგი მექანიკოსი ხარ,აჯობებს როზალი გაიყოლო,რომ არ შერცხვე,თუ რა თქმა უნდა მაიკი მოგცემს უფლებას მიეხმარო,ძალიან სახალისო იქნება მისი სახის დანახვა როუზს რომ დაინახავს,მაგრამ ეს შეუძლებელია,იმიტომ რომ ის ეხლა ქვეყნის მეორე ბოლოშია,კოლეჯში.რა იცი იქნებ მოახერხო მარტომაც,შენ ხომ მარტო იტალიურ მანქაბეთან გიჭირს ურთიერთობა.ხო მართლა რაც შეეხება იტალიას და იტალიურ მანქანებს,რომლებიც მე იქ მოვიპარე,შენ ჯერ კიდევ საყიდელი გაქ ჩემთვის ყვითელი პორშე და მემგონი შობამდე ვეღარ მოვიცდი.
ერთი წუთის შემდეგ აღარ უსმენდი მას,ეს უბრალო ხმაური იყო უკანა სავარძელზე.მეჩვენებოდა,რომ ედვარდი გაურბოდა ჩემს შეკითხვებზე პასუხის გაცემას,მაგრამ ეს არაფერი,სულ მალე ჩვენ მაინც დავჩებოდით მარტონი,ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო.ედვარდმა იგრძნო ეს,მან ელისი გზაზე ჩამოსვა,თუმცა სხვა დროს კარამდე აცილებდა ხოლმე.
-შეხვედრამდე,-უთხრა მან მას და ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი.
ელისი შეტრიალდა და წამში გაუჩინარდა ხეებს შორის.ედვარდმა ჩუმად მოატრიალა მანქანა და ისევ ფორქსისაკენ დაიძრა.მე ველოდებოდი როდის დაიწყებდა ლაპარაკს,მაგრამ ის ჩუმად იყო და ეს საშინლად მძაბავდა.ნეტავ რა ნახა დღეს ელისმა?რაღაც ისეთი რასაც ედვარდი ვერ მიყვებოდა,იქნებ კარგად უნდა მოვემზადო სანამ რამეს ვკითხავ.ასე რომ ესე ჩუმად მივუახლოვდით ჩარლის სახლს.
-დღეს საკმაოდ ადვილი საშინაო დავალებები გვაქ,-აღნიშნა მან.
-აჰა.
-როგორ ფიქრობ,ისევ მაქვს შემოსვლის უფლება?
-ჩარლი სულაც არ გაბრაზებულა,როცა დილით მომაკითხე ე.ი კი.
დარწმუნებული ვიყავი,რომ ჩარლი გაცოფდებოდა როცა სამსახურიდან მოსულს ედვარდი დახვდებოდა სახლში და ამიტომ ვახშმად რამე გემრიელი უნდა მომემზადებინა.
სახლში შევედი და ჩემს ოთახში ავედი,ედვარდი უკან მომყვებოდა,ის ჩემს საწოლზე გაიშალა და ფანჯარას მიაშტერდა.მე კომპიუტერი ჩავრთე,სადაც დედაჩემის წერილი დამხვდა,ის უკვე ნერვიულობდა

იმაზე,რომ ამდენი ხანი არ ვწერდი. მე მოუთმენლად ვაბაკუნებდი თითებს მაგიდაზე სანამ ჩემი კომპიუტერი წერილს გახსნიდა.შემდეგ ედვარდმა თავისი ხელები დამადო და ჩემს ხელებს დააწვა რომ დავეწყნარებინე.
-დღეს ცოტა მოუთმენლები ვართ?,-მკითხა მან ჩუმად.
მე თავი ავწიე,რომ რამე სარკასტული პასუხი გამეცა, მაგრამ მისი სახე ძალიან ახლოს აღმოჩნდა,მისი ოქროსფერი თვალები სულ რამოდენიმე სანტიმეტრში იყო ჩემგან,ტუჩებზე ვგრძნობდი მის ცივ სუნთქვას.სულ დამავიწყდა რაზე ვფიქრობდი,ისიც კი აღარ მახსოვდა რა მქვია.მან არ მომცა აზრზე მოსვლის საშუალება.
ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული უმეტეს დროს ედვარდის კოცნაში გავატარებდი,ჩემს ცხოვრებაში არ არსებობდა ისეთი შეგრძნებები რომლებიც მისი ცივი ტუჩების შეხებას შეედრებოდა,მარმარილოსავით მაგარი და ამავდროულად ასეთი ნაზი.მაგრამ ხშირად ისე არ ხდებოდა როგორც მე მინდოდა.ამიტომ ცოტა გამიკვირდა როცა მან ხელები შეაცურა ჩემს თმებში,მე ძლიერად შემოვავლე ხელები კისერზე და იმ მომენტში ვოცნებობდი მასზე ძლიერი ვყოფილიყავი,რომ მისი დაკავება შემძლებოდა.მისი ხელი ქვევით ჩამოცურდა ჩემს ზურგზე და მიმაკრო უფრო ძლიერად მის მკერდთან,სვიტრის შიგნითაც კი ვგძნობდი მის ცივ სხეულს და კანკალი დავიწყე,ეს ბედნიერების კანკალი იყო,მაგრამ როგორც კი ეს იგრძნო მან ხელები გაანთავისუფლა.ვიცოდი რომ სამიოდე წამი მქონდა იქამდე სანამ ამოისუნთქებდა და მეტყოდა,რომ ჩვენ ერთი დღისთვის ძალიან დიდ რისკზე მივდიოდით. მე შევეცადე ცოტათი კიდევ დამეკავებინა,ახლოს მივიწიე და მთელი სხეულით მივეკარი,მან საკმაოდ ადვილად გამწია გვერდზე.ედვარდს ჩაეცინა,მისი თვალები ანათებდა ემოციებისგან,მაგრამ ამის დამალვა საკმაოდ კარგად შეეძლო.
-აჰ,ბელა..
-მოგიბოდიშებდი,მაგრამ ამას არ ვიზავ!
-აჯობებს საწოლზე ჩამოვჯდე.
მე ამოვისუნთქე და ვიგძენი რომ თავბრუ მეხვეოდა.
-თუ თვლი რომ ესეა საჭირო.
მე სამჯერ გავიქნიე თავი,რომ აზრზე მოვსულიყავი და კომპიუტერისკენ შევტრიალდი.
-რენე მოიკითხე ჩემგან.
-რა თქმა უნდა.

მე რენეს წერილი გადავიკითხე და უბრალოდ შემაშინა მისმა სულელურმა ქმედებებმა,მიუხედავად იმისა რომ სიმაღლის ეშინოდა პარაშუტიდან გადმომხტარა.მე ცოტა არ იყოს გავბრზდი ფილზე,ის უკვე ორი წელია მისი ქმარია და როგორ მისცა ამის უფლება,მე მას ნამდვილად უკეთ მოუვლიდი,იმიტომ რომ უკეთესად ვიცნობ.
”შენ უნდა მისცე მათ საშუალება თვითონ აირჩიონ თავიანთი გზა,-შევახსენე მე ჩემს თავს,-უნდა მისცე უფლება ისე იცხოვრონ როგორც უნდათ”
ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი მე დედაზე ზრუნვაში გავატარე,ყოველთვის ვახერხებდი მის გადარწმუნებას,როცა რაიმე სულელურს ჩაიფიქრებდა,ყოველთვის მომთმენი ვიყავი, და მისგან განსხვავებით დაფიქრებული და ფრთხილი.
იმის მიუხედავად რომ ედვარდის კოცნისგან კიდევ გაბრუებული ვიყავი,მაინც რენეს შეცდომებზე ვფიქრობდი. რომანტიკოსი რენე სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდა,თამ იმ ადამიანზე რომელსაც კარგად არც კი იცნობდა,ერთ წელიწადში გავჩნდი მე,ის სულ მარწმუნებდა რომ ამას არ ნანობდა და რომ მე ყველაზე დიდი საჩუქარი ვაყავი მისთვის.ეხლა კიდევ იმაზე ლაპარაკით მბურღავდა,რომ ჭკვიანი ადამიანები სერიოზულად უყურებენ ქორწინებას,რომ ისინი ჯერ სწავლობენ,კარიერას იკეთებენ და მან მშვენივრად იცოდა რომ მე არასდროს მოვიქცეოდი
მასავით სულელურად.
ყველანაირად ვეცადე აზრები მომეკრიბა რომ წერილი დამეწერა.შემდეგ ერთ წინადადებას მივაქციე ყურადღება და გამახსენდა რატომ არ ვპასუხობდი ამდენ ხანს.
”დიდიხანია არაფერი მოგიწერია ჯეიკზე,როგორ არის?”
თავი ხელში ავიყვანე და ავკრიფე მხოლოდ ორი უგრძნობი წინადადება.
”ვფიქრობ რომ ჯეიკი კარგად არის.ხშირად ვერ ვხედავ,ის უმეტეს დროს თავის კომპანიასთან ერთად ატარებს.”
ჩემს თავზე გამეცინა.ბოლოს ედვარდისგან მოკითხვა დავწერე და გაგზავნას მივაჭირე.
ვერც კი შევამჩნიე,რომ ედვარდი ჩემს უკან იდგა,სანამ კომპიუტერი არ გამოვრთე და არ ავდექი.უკვე ვაპირებდი ჩხუბი დამეწყო მასთან,იმის გამო რომ ჩუმად კითხულობდა ჩემს წერილს,მაგრამ მივხვდი რომ ის

სულ არ მაქცევდა ყურადღებას,ის პატარა შავ ყუთს
უყურებდა,საიდანაც სადენები იყო ამოშვერილი.წუთის მერე ვიცანი
სტერეო სისტემა,რომელიც წინა დაბადების დღეზე ემეთმა,როზალიმ და
ჯასპერმა მაჩუქეს.მე სულ გადამავიწყდა ეს საჩუქრები.
-რა უქენი,აწამე?,-მკითხა ედვარდმა.
-ხო იცი როგორ ვხმარობ ხელსაწყოებს,დამიჯერე ტკივილი არ
უგრძვნია.
მან თავი გაიქნია.
-შენ ის მოკალი.
მე მხრები ავიჩეჩე.
-გული ეტკინებათ რომ ნახონ,მომიწევს ახლის ყიდვა სანამ შეამჩნევენ.
-მადლობთ,მაგრამ სულაც არ მჭირდება მოდური სტერეო.
-მე ამას შენს გამო არ ვცვლი,როგორც ჩანს არ გაგხარებია საჩუქრები,-
მკითხა მან და თეთრი ფურცელი დამანახე.
მე ვერ ვუპასუხე,შემეშინდა რომ ხმა ამიკანკალდებოდა.სულ არ
მინდოდა იმ დაბადების დღის გახსენება.
-იცი რომ უკვე ვადა გასდის?
ეს ფურცელი ავიაბილითების ვაუჩერი იყო,რომელიც ესმემ და
კარლაილმა მაჩუქეს,რომ რენესთან შემძლებოდა ჩასვლა ფლორიდაში.
მე ღრმად ჩავისუნთქე და გულგრილად ვუპასუხე.
-არა.უბრალოდ დამავიწყდა.
-არაუშავს,კიდევ გვაქ ცოტა დრო,შენ გაგანთავისუფლეს და თან
დასვენების დღეებში არაფერი გვაქ დაგეგმილი,იმიტომ რომ
მეჯლისზე წასვლაზე უარი მითხარი.ბოლო სიტყვებზე ჩაეცინა.-რატომაც
არა?
-ფლორიდაში წავიდეთ?
-მივდივართ რენეს სანახავად თუ არა?
-ჩარლი არასდროს არ გაგვიშვებს.
-ჩარლის არა აქვს უფლება წასვლა აგიკრძალოს,რენე ისევ შენი მთავარი
მეურვეა.
-არავინ არ არის ჩემი მეურვე,მე უკვე სრულწლოვანი ვარ.
-რა თქმა უნდა.,-მას ისევ გაეცინა.
ერთი წუთით მართლა ვიფიქრე,მაგრამ ბოლოს მივხვდი რომ აზრი არ
ექნებოდა,ჩარლი გაცოფდებოდა,იმის გამო არა რომ დედის სანახავად
მივდიოდი,არამედ იმიტომ რომ ედვარდთან ერთად ვაპირებდი
წასვლას.ის თვეობით არ დამელაპარაკებოდა და ალბათ კიდევ

გამომკეტავდა სახლში.მაგრამ მეორეს მხრივ ძალიან მინდოდა რენეს ნახვა,ბოლოს როცა ის ვნახე,მე იმდენად ცუდად ვიყავი,რომ მასთან ლაპარაკიც ვერ მოვხერხე.იქნებ რომ ენახა როგორი ბედნიერი ვარ ედვარდთან ჩარლიც დაეწყნარებინა.
ედვარდი ყურადღებით სწავლობდა ჩემს სახეს სანამ ვფიქრობდი.
მე ამოვისუნთქე.
-ამ არდადეგებზე არა.
-და რატომ არა?
-არ მინდა ჩარლისთან ჩხუბი,მან ხომ სულ ეხლახანს მაპატია.
ედვარდი გაბრაზდა.
-მე ვფიქრობ ეს შაბათ-კვირა იდეალური იქნება.
-სხვა დროს.
-იცი,მარტო შენ არ იყავი ამ ოთახში გამოკეტილი,როგორც გალიაში,-შენიშნა მან.
ეჭვები ისევ დამიბრუნდა,ეს არ ჰგავდა მის საქციელს.
-სადაც გინდა იქ შეგიძლია წასვლა.
-გარე სამყარო არ წარმოადგენს ჩემთვის ინტერერესს შენს გარეშე.
-მოდი გარე სამყარო ნელ-ნელა ავითვისოთ,მაგალითად შეგვიძლია კინოში წავიდეთ პორტანჯელესში.
ედვარდმა წუწუნი დაიწყო.
-კარგი,ამაზე მერე ვილაპარაკოთ.
-სხვა არაფერია სალაპარაკო?
მან მხრები აიჩეჩა.
-კარგი,მაშინ შევცვალოთ თემა,რა დაინახა დღეს ელისმა?
თვალს არ ვაშორებდი რომ მისი რეაქცია დამენახა მაგრამ მისი სახე უცვლელი დარჩა,მხოლოდ თვალები გაუმუქდა ცოტათი.
-მან ჯასპერი დაინახა,სადღაც შორს,თავის ძველ ოჯახთან და ის ჯერ არ აპირებს ჩამოსვლას,ამან აანერვიულა.
ეს ახლოსაც არ იყო იმასთან რაზეც მე ვფიქრობდი.რა თქმა უნდა ეს ლოგიკურია ელის განიცდის ჯასპერის მომავალს,ის მისი მეორე ნახევარი იყო,თუმცა მათი ურთიერთობა არ იყო ისეთი ვნებიანი,როგორც როზალის და ემეთის.
-რატომ ადრე არ მითხარი?
-არ ვიცოდი თუ გაინტერესებდა,თანაც არაფერი სერიოზული არ მომხდარა.

ჩვენ ქვევით ჩავედით,რომ საშინაო დავალება გაგვეკეთებინა.ედვარდმა ხუთ წუთში დაამთავრა,მე კიდევ ნელა და მტანჯველად ვაკეთებდი მათემატიკას,სანამ არ მივხვდი,რომ ვახშმის გამზადების დრო იყო.ედვარდი ყოველთვის მეხმარებოდა,მაგრამ სულ ცხვირს იბზუებდა,როცა უმ პროდიქტებს ხედავდა.ადამიანის საკვები მისთვის გულის ამრევი იყო.მე ყველაფერი ბებიას რეცეპტის მისედვით გავაკეთე.
ჩარლი კარგ ხასიათზე დაბრუნდა,არც ედვარდთან არ იქცეოდა უხეშად.ედვარდმა როგორც ყოველთვის მოგვიბოდიშა,რომ ჩვენთან ერთად არ ჭამდა და ოთახში გავიდა ახალი ამბების საყურებლად,მაგრამ ეჭვი მეპარებოდა,რომ მართლა აინტერესებდა ეს.
ჩარლი სამ ულუფას მოერია.
-ძალიან გემრიელი იყო ბელზ.
-მიხარია,რომ მოგეწონა.სამშახურში რა ხდება?
-ისეთი არაფერი,მართალი რომ გითხრა არც არაფერი არ ხდება,მთელი დღე უსაქმოდ ვიჯექი.ხოწამოსვლის წინ ბილის ველაპარაკე ტელეფონით.
შევეცადე სახის გამომეტყველება შემეცვალა.
-როგორ არის?
-კარგად,უბრალოდ სახსრები აწუხებს ცოტათი.
-უი,ცუდია.
-ხო,მან თავისთან დაგვპატიჯა დასვენების დღეებში,იქ კლირვოტერები და ულეებიც იქნებიან,რაღაც წვეულების მსგავსია.
-ჰმ,-ეს ერთადერთია რისი თქმაც შევძელი,ან რა უნდა მეთქვა,ვიცოდი რომ მგლების შეკრებაზე მშობელთან ერთადაც კი არ გამიშვებდნენ.
მე ავდექი და თეფშები ავალაგე,ისე რომ არც შემიხედია ჩარლისთვის,ედვარდი უკვე ჩემს გვერდით იდგა ტილოთი ხელში.
ჩარლი შეეშვა ამ თემას და ადგა რომ ტელევიზორთან წასულიყო.
-ჩარლი,-მიმართა მას ედვარდმა.
-დიახ?
-ბელამ გითხრათ,რომ ჩემმა მშობლებმა თვითმფრინავის ბილეთები აჩუქეს დაბადების დღეზე,რომ რენეს ნახვა შეძლებოდა?
მე თეფში გამივარდა,რომელსაც ვრეცხავდი.ჩარლიმ ვერც შეამჩნია.
-ბელა?
მე ისევ თეფშს ვუყურებდი.
-ხო მამა, მაჩუქეს.

ჩარლი გაოგნებული მიუბრუნდა ედვარდს
-არა ეს არც უხსენებია.
ედვარდმა მხრები აიჩეჩა.
-მემგონი მათ უკვე ვადა გასდით,მე ვფიქრობ ესმეს ეწყინება თუ ბელა მის საჩუქარს არ გამოიყენებს.
მე პირღია ვუყურებდი ედვარდს.
ჩარლი ცოტახანს ჩუმად იყო.
ბელა მემგონი კარგი იქნება თუ დედაშენს მოინახულობ,თუმცა მიკვირს რომ აქამდე არაფერი გითქვამს.
-დამავიწყდა.
-დაგავიწყდა,რომ ვიღაცამ ავიაბილეთები გაჩუქა?
-ხო, რავიცი.
-ედვარდ შენ თქვი ბილეთებიო,რამდენი ბილეთია?
-ერთი ჩემთვის და ერთი მისთვის.
უცებ ვიგძენი როგორ დაიძაბა სიტუაცია.ნეტავ რატომ აკეთებს ამას ედვარდი?
-ამას არც განვიხილავთ!,-ჩარლი მომენტალურად გამოვიდა წყობილებიდან.
-რატომ?,-ედვარდის ხმა სავსე იყო გაკვირვებით.
ჩარლიმ იგნორირება გაუკეთა მას.
-შენ არსად არ წახვალ მასთან ერთად ქალბატონო!,-დაიყვირა მან.
როცა მოვბრუნდი ის თითს იქნევდა ჩემი მიმართულებით.
-მამა მე პატარა აღარ ვარ და თუ სწორედ მახსოვს დასჯილიც არ ვარ.
-ამ მომენტიდან მოყოლებული ისევ დასჯილი ხარ!
-რატომ?
-იმიტომ რომ ასე ვთქვი!
-მამა, ხომ არ შეგახსენო რომ უკვე სრულწლოვანი ვარ.
-ეს ჩემი სახლია და ჩემი წესებით უნდა იცხოვრო!
ჩემი მზერა ყინულივით გახდა.
-როგორც გინდა,თუ გინდა დღესვე გადავალ,თუ მაძლევ ორ დღეს ჩასალაგებლად?
ჩარლი გაწითლდა.ალბათ ზედმეტი მომივიდა.ღრმად ჩავისუნთქე და შევეცადე გამეგრძელებინა.
-მე მაშინ მივიღებ სასჯელს თუ რამე ცუდს ჩავიდენ და ასე უმიზეზოდ არ ვაპირებ ამის ატანას,სრული უფლება მაქვს დედა

ვნახო,ნუთუ ასევე გაბრაზდებოდი რომ მეთქვა ელისთან და ანჯელასთან ერთად მივდივართქო?
-ისინი გოგოები არიან,-ჩაიბურტყუნა ჩარლიმ.
-და თუ ჯეიკობს წავიყვან თან არც მაშინ იქნები წინაამღდეგი?
ედვარდი დაიძაბა.
კი,-თქვა მან არადამაჯერებლად,-ვიქნებოდი წინაამღდეგი.
-მამა ტყუილსაც ვერ ამბობ.
-ბელა..
-მე ხომ ვეგასში არ მივდივარ,რომ სადმე შოუში მივიღო მონაწილეობა,დედა მინდა ვნახო,მას ისეთივე უფლებები აქვს როგორც შენ.
-ბელა სულაც არ მსიამოვნებს რაც ხდება.
-აქ არაფერია სანერვიულო,ასე რომ, საშინაო დავალება გავაკეთე,ვახშამი გავამზადე,ჭურჭელი გარეცხილია და მე მივდივარ,თერთმეტის ნახევარზე მოვალ.
-სად მიდიხარ?,-მისი წამის წინ დამშვიდებული სახე,ისევ წითელი გახდა.
-ჯერ არვიცი,ათი მილის რადიუსში ვიქნები,გაწყობს?
ჩარლი ბუზღუნით გავიდა სამზარეულოდან.
-აბა რას ვშვებით, მივდივართ?,-მკითხა ჩუმად ედვარდმა.
მე შემოვბრუნდი და გაბრაზებულმა შევხედე.
-კი, მემგონი უნდა ვილაპარაკოდ.
როგორც ველოდებოდი,ამა სრულიად არ შეაშინა.ლაპარაკი მაშინ დავიწყე,როცა მანქანაში აღმოვჩდით.
-ეს რა იყო?
-ბელა,ვიცი რომ დედის ნახვა გინდა,სიზმარში ამბობდი ამას,რაღაცაზე ნერვიულობდი.
-მართლა?
მან თავი დამიქნია.
-ვიცოდი რომ ვერ ეტყოდი ჩარლის ამიტომ გადავწყვიტე დაგხმარებოდი.
-ეს შენი აზრით დახმარებაა?ხომ გითხარი რომ არ მინდა ჩარლისთან ჩხუბი,ვერვიტან როცა ესე მელაპარაკება ვერ ვთოკავ ხოლმე თავს.
-ეს ჩემი ბრალი არ არის.

მე ჩაფიქრებული ვუყურებდი,ის მემგონი ვერც კი ამჩნევდა.რაღაც ისე არ იყო და ზუსტად ვერც ვხვდებოდი რა,იქნებ უბრალოდ ჩემი წარმოსახვა მეთამაშებოდა.
-ეს უეცარი გამგზავრების სურვილი რამენაირად დაკავშირებული ბილის წვეულებასთან?
ედვარდი დაიძაბა.
-არანაირად,არა აქვს მნიშვნელობა აქ იქნები თუ ქვეყნის მეორე ბოლოში,იქ მაინც არ წახვალ.
ის ზუსტად ისე მელაპარაკებოდა,როგორც წუთის წინ ჩარლი,თითქოს პატარა ბავშვი ვყოფილიყავი,ძლივს შევიკავე თავი რომ არ მეყვირა.
ედვარდთან ჩხუბი ნამდვილად არ მინდოდა.
ედვარდმა ამოისუნთქა და როცა დაილაპარაკა მისი ხმა ისევ თბილი იყო.
-რა გინდა რომ ამ საღამოს გააკეთო?,-მკითხა მან.
-შეიძლება შენთან წავიდეთ?დიდიხანია ესმე არ მინახავს.
მან გამიღიმა.
-მას ძალიან გაუხარდება.
ედვარდთან დიდხანს არ გავჩერებულვართ.სულ არ გამკვირებია რომ სახლში შუქი ენთო,ვიცოდი რომ ჩარლი დამელოდებოდა.
-ჯობია,რომ არ შემოხვიდე,ეს ყველაფერს გაართულებს.
-მისი აზრები უკვე შედარებით მშვიდია,-გაიხუმრა ედვარდმა.მისმა სახემ დამაფიქრა,ის ძლივს იკავებდა სიცილს.
-მოგვიანებით გნახავ,-მშრალად ვუთხარი მე.
მან ჩაიცინა და შუბლზე მაკოცა.
-დავბრუნდები,როცა ჩარლი ხვრინვას დაიწყებს.
ტელევიზორი ხმამაღლა იყო ჩართული და მინდოდა ჩუმად ავპარულიყავი ჩემს ოთახში.
-ბელა, იქბებ ერთი წუთით მოხვიდე.
ჩემი გეგმა ჩაიშალა.
-რა არის მამა?
-კარგად გაატარე დრო?,-მკითხა მან.ანერვიულებული ჩანდა და ვცდილობდი დაფარული აზრი მეპოვა მის სიტყვებში.
-კი...
-რას აკეთებდი?
-ელისთან ერთად ვსეირნობდით.მერე ჭადრაკი ვითამაშეთ,ელისმა შეიძლება ითქვას ”დამმარხა”.

ამაზე გამეღიმა.ელისის და ედვარდის თამაში ყველაზე საოცარი რამე იყო რაც ცხოვრებაში მინახავს,ისინი გაუნძრევლად იჯდნენ,ელისი ხედავდა იმ სვლებს რომლის გაკეთებასაც ედვარდი აპირებდა,ის კი მის აზრებს კითხულობდა.ისინი ჭადრაკს თავიანთ გონებაში თამაშობდნენ და მხოლოდ რაღაც სამი სვლის შემდეგ ელისმა წაგება აღიარა.
ჩარლიმ ტელევიზორი გამორთო.
-მომისმინე, არის რაღაც რაც მინდა რომ გითხრა.ჩარლის ეტყობოდა რომ თავს უხერხულად გრძნობდა.
-მამა რა მოხდა,-ვთქვი მე და დავჯექი.
ჩარლიმ ჩაისუნქა.
-ბელა,ასეთი საუბრების დიდი სპეციალისტი არ ვარ,არც კი ვიცი საიდან დავიწყო....კარგი,შენი და ედვარდი ურთიერთობა,როგორც ჩანს ძალიან სერიოზულია და არის ისეთი რაღაცეები რასთანაც ფრთხილად უნდა იყო,ვიცი რომ სრულწლოვანი ხარ,მაგრამ ჯერ მაინც ბავშვი ხარ და არის ბევრი რამ რაც უნდა იცოდე,სანამ... ნუ სანამ ფიზიკურ ურთიერთობას დაიწყებ....
-ოჰ,გთხოვ,გთხოვ არა!,-ვიყვირე მე და ადგილიდან წამოვხტი,-ჩარლი ოღონდ არ მითხრა,რომ სექზე აპირებ ჩემთან ლაპარაკს.
ჩარლიმ თავი ჩაღუნა.
-ბელა მე მამაშენი ვარ და რაღაც ვალდებულებები მაკისრია,მეც ისევე უხერხულად ვგრძნობ თავს როგორც შენ.
-მამა შეგიძლია დამშვიდდე დედამ ათი წლით დაგასწრო,ამიტომ თავისუფალი ხარ.
-ხო,მაგრამ ათი წლის წინ ბოიფრენდი არ გყავდა.
-არამგონია,რომ რამე შეიცვლა,-ვთქვი მე და ჩემი სახე ისეთივე წითელი გახდა როგორც მისი.ეხლა მივხვდი რა უხაროდა ედვარდს,მშვენივრად იცოდა რა მელოდებოდა სახლში.
-უბრალოდ მითხარი,რომ ორივე დაფიქრებულად იქცევით.
-დამშვიდდი მამა,ყველაფერი ისე არ არის როგორც შენ ფიქრობ.
-ბელა,ეს იმას არ ნიშნავს,რომ არ გენდობი,ვიცი რომ ეხლა სხვა დროა და რა თქმა უნდა არ მინდა რომ რამე მომიყვე,ამის მოსმენა ნამდვილად არ მინდა.
მე სულელურად გამეცინა.
-შეიძლება ეხლა სხვა დროა,მაგრამ ედვარდი ძალიან ძველმოდურია,ამიტომ შეგიძლია მშვიდად იყო.

-ვითომ ასეა?
-უჰჰ.....მამა,როგორ არ მინდოდა ამის თქმა ხმამაღლა,მაგრამ შენ მაიძულე...სიმართლე ის არის,რომ...ქალიშვილი ვარ და უახლოეს მომავალში არაფრის შეცვლას არ ვაპირებ.
ჩარლი დამშვიდაა,ე.ი დამიჯერა.
-შემიძლია ეხლა დასაძინებლად წავიდე?
-ერთი წუთი.
-ოჰ,კარგი რა მამა.
-არა,სხვა რამე მინდა გითხრა.
-რა?
-უბრალოდ მინდა ვიცოდე მეგობრებთან როგორ არის საქმე?
-ვფიქრობ კარგად.დღეს ანჯელას შევუთანხმდი,რომ მოსაწვევების დაწერაში მოვეხმარებოდი.
-ეგ კარგია და ჯეიკობი?
-მამა ამაზე ჯერ არაფერი არ გადამიწყვეტია.
-იფიქრე ბელა,ვიცი რომ კარგი ადამიანი ხარ და ყველაფერს სწორედ გადაწყვიტავ.
გადასარევია,ე.ი გამოდის,რომ თუ ვერ მოვახერხებ ჯეიკობთან ურთიერთობის გამოსწორებას ცუდი ადამიანი ვყოფილვარ.
-რა თქმა უნდა,-ავტომატურად ვუპასუხე მე.
-ღამე მშვიდობისა ბელზ.
-ღამე მშვიდობისა,-ვუპასუხე მე და ჩემი ოთახისკენ გავიქეცი.
ედვარდი ალბათ სანადიროდ წავიდა და ჩარლის დაძინებამდე არ დაბრუნდებოდა,ამიტომ გამოვიცვალე და დასაძინებლად მოვემზადე.არ მეძინებოდა და რა თქმა უნდა მარტო ყოფნაც არ მინდოდა.საშინაო დავალება გაკეთებული მქონდა,არც კითხვის და არც მუსიკის მოსმენის ხასითზე ვიყავი.რენესთან დარეკვა გადავწყვიტე,მაგრამ მერე გამახსენდა,რომ ფლორიდაში ეხლა სამი საათით გვიანი იყო და ალბათ მას ეძინა.მერე ანჯელა გამახსენდა და ორ წუთში მივხვდი,რომ მასთან სულაც არ მინდოდა ლაპარაკი.
მე ფანჯრის იქით სიბნელეს მივაშტერდი და არც კი ვიცი რამდენს ხანს ვიდექი და ვფიქრობდი ”კი” თუ ”არა”.როგორ უნდა მოვიქცე?ვნახო ჯეიკი,ჩემი უახლოესი მეგობარი,რომ კარგ ადამიანად ვიგრძნო თავი თუ არა,რომ ედვარდი არ გავაბრაზო.დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე,ედვარდი ხომ მხოლოდ ჩემს უსაფრთხოებაზე

ნერვიულობს და მე კიდე დარწმუნებული ვარ რომ იქ უსაფრთხოდ ვიქნები.
ტელეფონზე დარეკვას აზრი აქ ჰქონდა,ჯეიკობი მაინც არ მიპასუხებდა,ამიტომ მე მხოლოდ ერთი საათი მქონდა იმისთვის რომ ლაპუშამდე მიმეღწია და ედვარდის მოსვლამდე დავბრუნებულიყავი.
კიბეზე ჩავრბოდი და თან ქურთუკს ვიცვამდი.ჩარლიმ ტელევიზორს თვალი მოწყვიტა და გაკვირვებულმა შემომხედა.
-წინაამღდეგი ხო არ ხარ ჯეიკობი რომ მოვინახულო?დიდხანს არ გავჩერდები.
როგორც კი ჯეიკის სახელი ვახსენე ჩარლის სახე დაუმშვიდაა და მან გაიღიმა.
-რა თქმა უნდა პატარა,არავითარი პრობლემა,რამდენ ხანსაც გინდა იმდენ ხანს გაჩერდი.
-მადლობთ მამა,-ვუპასუხე მე და ქუჩაში გავვარდი.
სანამ მანქანისკენ მივდიოდი სულ უკან-უკან ვიყურებოდი,სიბნელეში ძლივს ვიპოვე კარის გასაღები.როგორც კი ჩემი თვალები ოდნავ შეეჩვია სიბნელეს გასაღები გადავატრიალე,მაგრამ იმის მაგივრად რომ დაქოქილიყო მატორმა უბრალოდ დაიწკაპუნა,მეორედ ვცადე და ამჯერადაც იგივე შედეგით.
თვალის კუთხით მსუბუქი მოძრაობა შევნიშნე და წამოვხტი.
-აი,-ვიყვირე მე შოკირებულმა,როცა მივხვდი რომ მანქანაში მარტო არ ვიყავი.ედვარდი ძალიან ჩუმად იჯდა და ხელში რაღაც შავ საგანს ატრიალებდა.
-ელისმა დამირეკა,ის ანერვიულდა როცა ხუთი წუთის წინ შენი მომავალი გაქრა.
ჯანდაბა!ელისი და მისი ნიჭი სულ დამავიწყდა.ჩემი თვალები მოულოდნელობისაგან კიდევ უფრო გაფართოვდა.
-იმიტომ,რომ მას მგლების დანახვა არ შეუძლია,-გააგრძელა ედვარდმა,-აღარ გახსოვს?ხომ იცოდი რომ ვინერვიულებდი,ელისმა დაინახა რომ გაქრი და ისიც კი ვერ თქვა დაბრუნდებოდი სახლი თუ არა...ზუსტად არ ვიცით ასე რატომ ხდება,ალბათ ასე იცავენ თავს.
ედვარდი ისე ლაპარაკობდა თითქოს ამას საკუთარ თავს უყვებოდა.ის აგრძელებდა და მე გასუსული ვუსმენდი.
-შენს მანქანას სკოლამდე გავაკეთებ თუ რა თქმა უნდა შენით მოგინდება სკოლამდე მისვლა.
ჩუმად გამოვაძვრე გასაღები და კარები გავაღე.

-ფანჯარა დახურე თუ არ გინდა რომ მოვიდე,-ჩაიჩურჩულა მან როცა მანქანიდან გადავედი.
სახლში შევედი და კარები ხმამაღლა მოვიჯახუნე.
-რა მოხდა,-იკითხა ჩარლიმ სამზარეულოდან.
-მანქანა არ იქოქება,-გაბრაზებისგან ძლივს გადავაბი ორი სიტყვა.
-გინდა შევხედო?
-არა,ხვალ ვცდი.
-გინდა ჩემი მანქანით წადი?
ჩარლის იმდენად უნდადა ჩემი იქ წასვლა,რომ მზად იყო თავისი საპატრულო მანქანაც კი დაეთმო.
-არა,დავიღალე,-ჩავიბურტყუნე მე,-ღამე მშვიდობისა.
უცებ ავირბინე კიბეებზე და პირველი რაც გავაკეთე ის იყო,რომ ხმაურით დავკეტე ფანჯარა..
დიდხანს ვუყურებდი როგორ ზანზარებდა შუშა,სანამ არ გაჩერდა,შემდეგ ამოვისუნთქე და ისევ ფართოთ გავაღე.

თავი 3

მიზეზები

მზე ღრმად იყო ჩამარხული ღრუბლებში, ძნელი სათქმელი იყო ჩავიდა ის თუ არა. ჩვენ ისე დიდხანს მივფრინავდით, რომ მომეჩვენა, რომ მნათობი ერთ ადგილზე გაიყინა, ყველაფერი ალბათ დროში განსხვავების გამო იყო.
უეცრად ტყის იქით პირველი სახლები გამოჩნდა, ალბათ მალე ვიქნებით სახლში.
– სულ ჩუმად იყავი თვითმფრინავში, ცუდად ხომ არ იყავი?,-მკითხა ედვარდმა.
– არა, ყველაფერი რიგზეა.
– რომ წამოვედით იმიტომ ხარ მოწყენილი?
– არა, პირიქით.
ედვარდმა ცალი წარბი ასწია და შემომხედა, არ მინდოდა იმის აღიარება, რომ მართალი იყო.

– რენე ბევრად უფრო მიხვედრილია ვიდრე ჩარლი, ცოტას ვნერვიულობ.
ედვარდს გაეცინა.
– ხო, დედაშენს ძალიან საინტერესო აზროვნება აქვს, როგორც ბავშვს, ის დაკვირვებულია და გარე სამყაროს ისე არ აღიქვამს, როგორც სხვები.
დაკვირვებული..ნამდვილად კარგი დახასიათებაა დედაჩემისთვის, ზუსტად ასეთი ხდებოდა როცა რამე აინტერესებდა, უმეტესად იგი თავისი ცხოვრებით იყო დაკავებული და თითქმის ვერაფერს ამჩნევდა გარშემო.
მაგრამ ამ დასვენებებზე ნამდვილად არ დამკლებია ყურადღება, ფილს სულ ვარჯიში ჰქონდა,მის ბეისბოლის გუნდს მთელი სერია უნდა ეთამაშა, ამიტომ რენეს ყურადღება მარტო ჩემზე და ედვარდზე იყო გადმორთული.როგორც კი შეხვედრის პირველმა ემოციებმა ჩაიარა, რენემ დაკვირვება დაიწყო და რაც მეტად გვაკვირდებოდა მისი ცისფერი თვალები მით უფრო დიდდებოდა გაკვირვებისგან და შეშფოთებისგან.
მეორე დილას რენემ სასეირნოდ წამიყვანა, უნდოდა, რომ თავისი ახალი საცხოვრებელი ადგილის მთელი სილამაზე ეჩვენებინა, კიდევ ჩემთან პირისპირ ლაპარაკი უნდოდა და ეს ადვილად მოეწყო, ედვარდმა იმისთვის რომ დღისით მზეზე არ გამოსულიყო, სასწრაფოდ მოიგონა თავისთვის რაღაც საკურსო დავალება.
მე და რენე ჩუმად მივდიოდით სანაპიროზე, პალმებს შორის.
– ბელა?
– რა არის დე?
მან თვალი ამარიდა და ჩაისუნთქა.
– ვნერვიულობ.
– რა მოხდა?, შემიძლია დაგეხმარო?
– ჩემს გამო არა, შენზე და.. ედვარდზე ვნერვიულობ.
მხოლოდ მისი სახელის ხსენების შემდეგ შემომხედა.
– აა, - მეტი ვერაფერი ვთქვი.
– თქვენი ურთიერთობა იმაზე სერიოზულია ვიდრე ვფიქრობდი.
მე უცებ გადავატრიალე თავში წინა დღე, მისი თანდასწრებით მე და ედვარდი ვცდილობდით არც კი მივკარებოდით ერთმანეთს, ნუთუ რენემაც პასუხისმგებლობაზე უნდა ჩამიტაროს ლექცია, ჩარლისგან განსხვავებით მასთან საუბარი ამ თემაზე ბევრად ადვილი იქნება, მისი სულ არ მრცხვენია.
– არის რაღაც უცნაური თქვენ ორს შორის,-აგრძელებდა რენე,-ის ისე გიყურებს თითქოს რაღაცისგან გიცავს, თითქოს მზად არის მთელი ტანით გადაგეფაროს, თუ ვინმე გესვრის ან სხვა რამე მოხდება მსგავსი.

მე გამეცინა, მაგრამ ვერ შევძელი მისთვის თვალებში ჩამეხედა.
– და ეს ცუდია?
– არა,-რენე ჩაფიქრდა რომ სიტყვები შეერჩია,-ეს უბრალოდ რაღაც უცხოა, ის ძალიან ნერვიულობს და ზრუნავს შენზე, ვგრძნობ რომ ვერ ვიგებ თქვენს ურთიერთობას, რაღაც საიდუმლო გაქვთ, რომელიც მე აშკარად გამომრჩა.
– დედა, მემგონი ყველაფერი მოიგონე,-ვცდილობდი, რომ მხიარული ტონი შემენარჩუნებინა, ამ დროს შიგნიდან ვკანკალებდი, სულ დამვიწყებია რამდენის შემჩნევა შეეძლო დედაჩემს და აქამდე მე არც მქონია მისგან რამე დამალული.
– საქმე მარტო ედვარდში არ არის, მინდა რომ ერთხელ მაინც დაინახო გვერდიდან როგორ მოძრაობ მის გარშემო.
– რას გულისხმობ?
– რაგაცნაირად მოძრაობ და არც კი ფიქრობ ამაზე, ოდნავ რომ გადაადგილდეს შენც მაშინვე იცვლი პოზიციას, როგორც მაგნიტი, თანამგზავრი, ასეთი რამ ჯერ არ მინახავს.
– დედა ოღონდ არ მითხრა, რომ ისევ მისტიკამ გაგიტაცა, თუ ამჯერად მეცნიერულმა ფანტასტიკამ?
რენე ოდნავ გაწითლდა.
– ეს არაფერ შუაშია საქმესთან.
– რამე საინტერესო იპოვე?
– კი, მაგრამ ეხლა ჩვენ შენზე ვლაპარაკობთ.
– დედა, დროა ქალურ რომანებზე გადახვიდე, დამშვიდდები.
რენეს გაეღიმა.
– სისულელე ვთქვი ხო?
  რენეს მოტყუება ძალიან ადვილი იყო, მაგრამ მაინც გამიკვირდა რამდენად მალე შეძლო მან სიტუაციაში გარკვევა და ამჯერად ის მართალი იყო. მან შემოხდედა და შევეცადე არ შემტყობოდა რაზე ვფიქრობდი.
– არა, სისულელე არ არის, უბრალოდ დედასავით იქცევი.
რენემ გაიცინა და ორ წუთში შეცვალა თემა.
– ნუთუ ასეთი სილამაზე არ კმარა იმისთვის, რომ ფორქსიდან წამოხვიდე და შენს სულელ დედასთან იცხოვრო, მალე შეეჩვევი სინოტივეს.
– შენც მალე შეეჩვევი წვიმას,-ვუთხარი მე.
  რენემ იდაყვი მოიმარტყა.
  იმის მიუხედავად, რომ ჩემზე ნერვიულობდა, ის ბედნიერი და კმაყოფილი ჩანდა, ფილს ისევ აღფრთოვანებული თვალებით უყურებდა და ეს მამშვიდებდა. მისი ცხოვრება სრულფასოვანი იყო და სრულიად აწყობდა, კარგიც კი იყო რომ ძალიან არ ვენატრებოდი.

ედვარდის ცივი თითები მეფერებოდნენ ლოყაზე, მე შევხედე, რომ აზრზე მოვსულიყავი და მან შუბლზე მაკოცა.
– გაღვიძების დროა მძინარე მზეთუნახავო, სახლში ვართ.
ჩვენ უკვე ჩარლის სახლთან ვიდექით, შემოსასვლელში შუქი ენთო და ეზოში პოლიციის ჯიპი ეყენა, დავინახე როგორ ჩამოაფარა ჩარლიმ მისაღებ ოთახში ფარდა.
ამოვიოხრე, რა თქმა უნდა ჩარლი მელოდება, რომ განაჩენი გამომიტანოს.
ედვარდიც ალბათ ამაზე ფიქრობდა, იმიტომ, რომ როცა ჩემთვის კარების გასაღებად მიდიოდა მისი სახე ქანდაკებასავით იყო გაყინული.
– ასე ცუდად არის ყველაფერი?-ვკითხე მე.
– ჩარლისთან არავითარი პრობლება არ იქნება,-ხმაზე მივხვდი, რომ არ ხუმრობდა,-მას მოენატრე.
დავეჭვდი, თუ მართლა ყველაფერი რიგზე იყო, რატომ იყო ედვარდი ასეთი დაძაბული? ჩარლიმ კარები გააღო.
– კეთილი იყოს შენი სახლში დაბრუნება, პატარავ!,- იყვირა ჩარლიმ,- როგორ მოგეწონა ჯექსონვილი?
– ის ნოტიო და ხმაურიანია.
– რენემ ვერ დაგარწმუნა ალბათ, რომ ფლორიდის უნივერსიტეტში ჩააბარო?
– ეცადა, მაგრამ..
ჩარლის თვალებმა ედვარდზე გადაინაცვლა.
– შენ როგორი დრო გაატარე?
– რენე ძალიან სტუმართმოყვარეა.
– ჰმ, მიხარია, რომ კმაყოფილი ხარ.
ჩარლი ედვარდს შეეშვა და ჩამეხუტა.
– მართლა მომენატრე ბელს!ნორმალური საკვებიც მომენატრა.
– ამას აუცილებლად მივხედავთ.
– იქნებ ჯერ ჯეიკობთან დარეკო, დილის ექვსი საათიდან რეკავს, შევპირდი, რომ როგორც კი მოხვიდოდი გადაურეკავდი.
– ჯეიკობს ჩემთან ლაპარაკი უნდოდა?
– ძალიან, არ უთქვამს რატომ, უბრალოდ თქვა რომ ეს მნიშვნელოვანია.
უცებ ტელეფონმა დარეკა
– შემიძლია ჩემს ხელფასზე დაგენიძლავო, რომ ეს ისევ ჯეიკია, - ჩაიბურტყუნა ჩარლიმ.
– მე ავიღებ!,-ვთქვი მე და სამზარეულოში გავიქეცი.
ედვარდიც გამომყვა.
მესამე ზარზე ვეცი ტელეფონს და კედლისკენ შევბრუნდი.
– ალო?

– დაბრუნდი?,-თქვა ჯეიკობმა.
როგორც კი მისი ჩახრეწილი ხმა გავიგონე, სევდამ ტალღასავით დამიარა, ათასი მოგონება ერთად ამომიტივტივდა: კლდოვანი სანაპირო, ტყე, პატარა ოთახი, მხოლოდ ერთი დაგლეჯილი სავარძლით, მისი მომცინარი თვალები, მუდამ ცხელი ხელები, თეთრი მბზინვარე კბილები და კიდევ ბევრი სხვა რამ. რაღაც ნოსტალგიის მსგავს ვგრძნობდი, ის ადამიანი მენატრებოდა, რომელიც მაშინ დამეხმარა, როცა ჩემს ცხოვრებაში მუდმივი ღამე იყო. ყელში თითქოს რაღაც გამეჩხირა.
– კი,- ვუპასუხე მე.
– რატომ არ გადმომირეკე?,-შეიცხადა ჯეიკობმა.
მისმა გაბრაზებულმა ტონმა უცებ მომიყვანა აზრზე.
– იმიტომ, რომ ზუსტად ხუთი წამია, რაც შემოვედი სახლში, ზუსტად ეხლა მიყვებოდა ჩარლი, რომ დარეკე.
– ოი, მაპატიე.
– კარგი, ეხლა მითხარი რა ხდება?
– ლაპარაკი მინდა შენთან.
– ამას მეც მივხვდი, გააგრძელე.
სიჩუმე ჩამოვარდა.
– მიდიხარ ხვალ სკოლაში?
– რა თქმა უნდა, ვითომ რატომ არ უნდა მივდიოდე?
– არვიცი, უბრალოდ მაინტერესებს.
კიდევ პაუზა.
– რაზე გინდა ჩემთან ლაპარაკი?
– არაფერზე კონკრეტულზე, უბრალოდ შენი ხმის გაგონება მინდოდა.
– ვიცი ჯეიკ, ძალიან მიხარია რომ დარეკე, ჯეიკ მე... მინდოდა მეთქვა რომ ეხლავე წავიდოდი მასთან ლაპუშზე, მაგრამ ამის თქმა არ შემეძლო.
– უნდა წავიდე, -თქვა მან.
– რა?
– მერე დაგელაპარაკები კარგი?
– კი, მაგრამ ჯეიკ..
მან ყურმილი დაკიდა.
– ყველაფერი რიგზეა?,-მკითხრა ედვარდმა, მისი ხმა საოცრად თბილი და მზრუნველი იყო.
მე ნელა შემოვბრუნდი, რომ მისთვის შემეხედა, მისი სახე მშვიდი იყო, ვერ მიხვდებოდი რაზე ფიქრობდა.
– არვიცი.
მაინტერესებდა ეს რას ნიშნავდა, რატომ რეკავდა ჯეიკობი მთელი დღე, ნუთუ მარტო იმიტომ, რომ გაეგო სკოლაში მივდიოდი თუ არა და თუ ასე უნდოდა ჩემი ხმის გაგონება ყურმილი რატომ დაკიდა?

– შენ ალბათ უკეთ იცი,-მითხრა ედვარდმა და გამიღიმა.
ეს მართალი იყო მე მართლა ბოლომდე ვიცნობდი ჯეიკს.

მაცივარი გავაღე და საჭირო ინგრედიენტების ძებნას შევუდექი, რომ ჩარლისთვის ვახშამი გამემზადებინა, ედვარდი მაგიდას დაეყრდნო და ვიცოდი, რომ ეხლა ჩემს სახეს აკვირდებოდა, ჩემი ფიქრები კი შორს იყო.ჯეიკობს აშკარად რაღაც უნდოდა, სხვა შემთხვევაში ასე არ შეაწუხებდა ჩარლის, შევეცადე ლოგიკურად მემსჯელა, ხვალ თუ სკოლაში არ წავალ, ჩარლი იჩხუბებს, იმიტომ რომ გამოცდებია ცხვირწინ, მაგრამ მე შევძლებ დავარწმუნო, რომ ერთი დღის გაცდენით არაფერი დაშავდება, ჯეიკობს ეს ალბათ არ ადარდებს. ნეტავ რა შეიცვალა ამ სამ დღეში? რა მოხდა ისეთი, რომ მან შეწყვიტა ჩემი იგნორირება და დამელაპარაკა.
უცებ შუა სამზარეულოში გავშეშდი და გაყინული ჰამბურგერების შეკვრა გამივარდა ხელიდან, ედვარდმა დაიჭირა, მაგიდაზე დააგდო და ძლიერად მომეხვია, მისი ტუჩები ჩემს ყურებთან აღმოჩნდა.
– რა მოხდა?
მე გაოგნებულმა გავიქნიე თავი. ნუთუ სამმა დღემ შეცვალა ყველაფერი? მე ხომ სულ ახლახანს ვფიქრობდი, როგორ არ მინდოდა კოლეჯში წასვლა, მე ხომ ადამიანებთან ყოფნას ვერ შევძლებ გადაქცევის შემდეგ, სამაგიეროდ ედვარდთან ვიქნები ყოველთვის, ცვლილებები, რომელიც საუკუნო წყურვილს ნიშნავდა.
ნუთუ ჩარლიმ უთხრა ბილის, რომ სამი დღით გავემგზავრე? და ბილიმ რა დასკვნა გამოიტანა? ნუთუ ჯეიკობს ის აინტერესებს ჯერ კიდევ ადამიანი ვარ თუ არა? ნუთუ მან მართლა იფიქრა, რომ ამ მდგომარეობაში შევძლებდი სახლში დაბრუნებას.
ედვარდმა შემანჯღრია.
– ბელა?,-იკითხა მან ამჯერად უფრო შეშფოთებულმა.
– მგონი, მგონი.. მე ვფიქრობ მან იმიტომ დარეკა, რომ დარწმუნებულიყო, რომ ჯერ კიდევ ადამიანი ვარ.
ედვარდი გაიყინა.
– გამგზავრება მოგვიწევს სამუდამოდ, რომ შეთანხმება არ დავარღვიოთ და ვეღარ დავბრუნდებით.
ის კიდევ უფრო მომეხვია.
– ვიცი.
ჩარლიმ ჩაახველა ჩვენს უკან.
მე წამოვხტი და თავი გავინთავისუფლე ედვარდის მკლავებისგან, ის გვერდზე გაიწია, მისი თვალები გაბრაზებას გამოხატავდა.
– ვახშმის კეთება თუ არ გინდა შემიძლია პიცა შევუკვეთო,-მითხრა ჩარლიმ.
– არა, ყველაფერი რიგზეა, უკვე დავიწყე.

– კარგი.
ჩარლიმ ხელები გულზე გადაიჯვარედინა და კარებში დადგა.
მე ამოვიოხრე და შევეცადე ჩემი საქმე გამეგრძელებინა.

– რაღაცას თუ გთხოვ დამიჯერებ?,-რბილად მკითხა ედვარდმა.
ჩვენ უკვე სკოლასთან ვიყავით, წუთის წინ ის ხუმრობდა და იცინოდა, ეხლა კი ხელები ჰქონდა დაჭიმული ისე, რომ რამის საჭე გატეხა.
მისი დაძაბულობისგან გული ამიჩქარდა.
– გააჩნია რას?
– მეშინოდა, რომ ზუსტად ასე მიპასუხებდი.
– ედვარდ, რა უნდა გავაკეთო?
– მინდა, რომ მანქანაში დარჩე, მინდა, რომ აქ დამელოდო.
– მაგრამ.. რატომ?

და მაშინ დავინახე ის. კოშკივით იდგა სხვა მოსწავლეებს შორის, შეუძლებელი იყო მისი არ შემჩნევა. ჯეიკობი დიდ შავ მოტოციკლზე იყო მიყრდნობილი, მისი სახე მშვიდი-ნიღამი, მშვენივრად ვიცოდი ეს რასაც ნიშნავდა, ეს თავდაცვა იყო, რომ ემოციები არ გამოემჟღავნებინა, ეხლა ის სემს ჰგავდა, ყველაზე უფროსს მგლებს შორის, კვილეტების ტომის ბელადს, ჯეიკობი სულ ცდილობდა მისთვის მიებაძა და მე უკვე დამავიწყდა კიდეც როგორ ვერ ვიტანდი ამ ნიღაბს, ასეთი როცა იყო ჩემს ჯეიკობს არ ჰგავდა.
– გუშინ არასწორი დასკვნა გამოიტანე,-თქვა ედვარდმა,-სკოლაზე იმიტომ გეკითხებოდა, რომ იცოდა სადაც შენ იქნებოდი იქ ვიქნებოდი მეც, უსაფრთხო ადგილს ეძებდა, რომ დაგვლაპარაკებოდა.
– მანქანაში არ დავრჩები! -განვაცხადე მე.
– ესეც ვიცოდი, კარგი წამოდი დაველაპარაკოთ.
ჯეიკობმა საშინელი სახე მიიღო, როცა მანქანიდან გადავედით და ხელიხელ ჩაჭიდებულები გავემართეთ მისკენ. ამ დროს სხვა სახეებიც დავინახე, ისინი ჩემი კლასელები იყვნენ, მათ თვალები გაუფართოვდათ, როცა ჯეიკის დიდი და ძლიერი სხეული დაინახეს, ორი მეტრი და ოთხი სანტიმეტრი სიმაღლის, ის სულაც არ ჰგავდა ჩვეულებრივ მოზარდს. საკმაოდ ციოდა და მას მოკლე სახელოებიანი მაისური ეცვა. ბევრს ეშინოდა მასთან მიახლოვების, ამიტომ ჯეიკის გარშემო საკმაოდ დიდი ცარიელი სივრცე შეიქმნა, ამან ცოტა არ იყოს გამაკვირვა.
ედვარდი ჯეიკობისგან ორი ნაბიჯის მოშორებით დადგა და ხელი უკან გაწია, რომ დავემალე.
– შეგეძლო დაგერეკა,-უხეშად, მეტალით სავსე ხმით უთხრა ედვარდმა.

– ბოდიში, ჩემს ტელეფონის წიგნაკში არ არის სისხლის მსმელების ნომრები,-უპასუხა მან დამცინავი ღიმილით.
– შეგეძლო ბელას სახლში გეპოვე.
ჯეიკობი დაიძაბა და წარბი და აწია, მაგრამ არ უპასუხა.
– ეს არ არის კარგი ადგილი ჯეიკობ, შეგვიძლია ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ,-გააგრძელა ედვარდმა.
– რა თქმა უნდა სკოლის შემდეგ შემოვირბენ შენს აკლდამაში,-ჩაიფრუტუნა ჯეიკობმა,-ვითომ ეხლა რატომ არა?
ედვარდმა აქეთ-იქით მიმოიხედა, მისი თვალები მოწმეებზე შეჩერდა, რომლებიც მოუთმენლად ელოდებოდნენ, როდის დაიწყებოდა ჩხუბი, რომ მათი ერთფეროვანი ცხოვრება გაეხალისებინათ.
– უკვე ვიცი რისთვისაც მოხვედი,-ჩუმად უთხრა ედვარდმა,-შეტყობინება გაგზავნილია, შეგიძლია ჩათვალო, რომ გაფრთხილებულები ვართ.
– გაფრთხილებულები?, რაზე ლაპარაკობთ,-შევიცხადე მე.
– არ უთხარი?,-ჰკითხა ჯეიკობმა, მისი თვალები გაფართოვდა გაკვირვებისგან,-გეშინია, რომ ჩვენს მხარეს დაიჭერს?
– ჯეიკობ, გთხოვ გეყოფა,-მშვიდად უთხრა ედვარდმა.
– რატომ?
– ედვარდ, რა არ ვიცი?
ედვარდი განრისხებული უყურებდა ჯეიკობს და არც კი მისმენდა.
– ჯეიკ?
– მან არ გითხრა, რომ მისმა უფროსმა ძმამ საზღვარი გადმოკვეთა წუხელ ღამეს?პოლს სრული უფლება ჰქონდა..
– ეს ნეიტრალური ტერიტორია იყო,-ჩაიჩურჩულა ედვარდმა.
– არ იყო.
ჯეიკობს ბოლი ასდიოდა გაბრაზებისგან და ხელები უკანკალებდა.
– ემეთი და პოლი,-ვთქვი მე ოდნავ გასაგებად.პოლი ყველაზე გაუწონასწორებელი იყო კვილეტებს შორის, სწორედ მან დაკარგა მაშინ ტყეში კონტროლი, უცებ გამახსენდა დიდი რუხი მგელი.
– რა მოხდა? იჩხუბეს?რატომ? პოლი ხომ არ დაშავდა?,-ნერვიულობისგან ჩემი ხმა საერთოდ დაიკარგა.
– არავის არ უჩხუბია, ყველაფერი რიგზეა,-ჩუმად, მხოლოდ ჩემს გასაგონად თქვა ედვარდმა.
ჯეიკობი სკეპტიკურაად გვიყურებდა.
– არაფერი არ გითქვამს ხო? ამიტომ წაიყვანე რომ არ გაეგო?..
– ეხლავე წადი! შეაწყვეტინა ედვარდმა და მისი სახე უცებ ძალიან საშიში გახდა, ეხლა მართლა ჰგავდა ვამპირს, ის დაუნდობელი, სიძულვილით სავსე თვალებით უყურებდა ჯეიკობს.
ჯეიკობმა უბრალოდ წარბები აწია.
– რატომ არ უთხარი.

ისინი დიდხანს უყურებდნენ ერთმანეთს სრულ სიჩუმეში, ამასობაში უკან კიდევ უფრო მეტი მოსწავლე შეიკრიბა, მე მაიკი და ბენი დავინახე, მაიკს მის მხარზე ხელი ედო, თითქოს მის შეჩერებას ცდილობდა.

ამ აუტანელ სიჩულეში ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდა.
რაღაც, რაც ედვარდს არ უნდოდა რომ მცოდნოდა.
რაღაც ისეთი, რასაც ჯეიკი არ დამიმალავდა.
რაღაც, რამაც აიძულა კალენები საზღვარი გადაეკვეთათ.
რაღაც ისეთი, რამაც აიძულა ედვარდი წასვლაზე დავეყოლიებინე.
ელისს ხილვა ჰქონდა წინა კვირას და მან მომატყუა.
სუნთქვა გამიძნელდა, მეჩვენებოდა, რომ სკოლამ რხევა დაიწყო, თითქოს მიწისძვრა იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი კანკალით გამოწვეული ილუზია იყო.

– ის დაბრუნდა ჩემთვის,-ძლივს ამოვღერღე მე.

ვიქტორია არ მოისვენებდა, სანამ მე მკვდარს არ მნახავდა, ჩემი დამცველების მიუხედავად ის მაინც იპოვიდა გზას, რომ ჩემამდე მოეღწია. იქნებ გამიმართლოს და ვოლტურებმა უფრო ადრე მომაკითხონ, ისინი სწრაფად მაინც მომკლავენ.

ედვარდმა უფრო ახლოს მიმწია თავისთან და ხელები დამადო სახეზე რომ დავეწყნარებინე.

– ყველაფერი კარგად არის,-მიმეორებდა ის ჩურჩულით,-არასდროს მივცემ უფლებას მოგიახლოვდეს.

შემდეგ მან ისევ ჯეიკობს შეხედა.

– ესეც პასუხი შენს კითხვაზე, ძალლო!

– არ მიგაჩნია, რომ ბელას აქვს უფლება იცოდეს, ეს ხომ მისი ცხოვრებაა.

ედვარდი ისევ ჩუმად აგრძელებდა.

– რატომ უნდა შევაშინო, როცა მას არანაირი საფრთხე არ ემუქრება?

– ჯობია შეშინებული იყოს, ვიდრე მოტყუებული!

მინდოდა თავი ხელში ამეყვანა, მაგრამ როგორც კი თვალებს ვხუჭავდი თვალწინ მიდგებოდა ვიქტორიას სახე, მისი სიძუვილით და შურისძიების სურვილით სავსე თვალები.

ედვადმა თითის წვერებით მომწმინდა ცრემლები თვალებიდან.

– შენ მართლა ფიქრობ, რომ მისი გულის ტკენა მის დაცვაზე უკეთესია?,-ჰკითხა ედვარდმა.

– ის უფრო ძლიერია ვიდრე შენ გგონია, უარესებიც გადაუტანია.

უეცრად ჯეიკობის გამომეტყველება შეიცვალა, ის უცნაურად უყურებდა ედვარდს, თითქოს თავში რაღაც მათემატიკურ ამოცანას ხსნდა. ვიგრძენი როგორ დაიძაბა ედვარდი, მის სახეზე საშინელი ტკივილი აისახებოდა, ზუსტად ასეთი სახე ჰქონდა მაშინ, იტალიაში, როცა ჯეინი თავისი საშინელი ნიჭით აწამებდა.

ამ მოგონებამ მაიძულა თავი ხელში ამეყვანა და უცებ მოვედი აზრზე, მერჩივნა ვიქტორიას ათასჯერ მოვეკალი, ვიდრე მეყურებინა ედვარდი როგორ იტანჯებოდა.
– სასაცილოა არა?,-ჰკითხა ჯეიკობმა დამცინავად.
ედვარდი არ განძრეულა.
– რას უკეთებ?, -თითქმის ყვირილით ვკითხე ჯეიკობს.
– არაფერია ბელა, უბრალოდ ჯეიკობს ძალიან კარგი მეხსიერება აქვს. ჯეიკობი სიცილს აგრძელებდა.
– შეწყვიტე ჯეიკობ!
– კარგი, როგორც გინდა,-აიჩეჩა მხრები ჯეიკობმა,- თუმცა ის თვითონ არის დამნაშავე იმაში, რომ არ მოსწონს ის რაც მე მახსოვს.
მე განრისხებულმა შევხედე და მან თავხედურად გამიღიმა.
– დირექტორი მოდის,-ჩუმად თქვა ედვარდმა,-ინგლისურზე წავიდეთ ბელა, აქ შენ არაფერს შუაში ხარ.
– როგორი მზრუნველია არა? პატარა უსიამოვნებები ცხოვრებას ძალიან ახალისებენ, მოდი გამოვიცნობ, გართობის უფლებას არ გაძლევენ ხო?,-მკითხრა ჯეიკობმა.
ედვარდმა ზედა ტუჩი აწია და კბილები გამოაჩინა.
– მოკეტე ჯეიკ!,-ისევ ვიყვირე მე.
– ეს ისე ჟღერს, როგორც “არა”, როცა ისევ დაიწყებ შენი ცხოვრებით ცხოვრებას, შეგიძლია მოხვიდე და მომინახულო, შენი მოტოციკლეტი ისევ ჩემს ფარეხშია.
– შენ ის უნდა გაგეყიდა, ხომ შეპირდი ჩარლის!
– კი, ზუსტად ასეც ვაპირებდი, მაგრამ ის შენ გეკუთნის და მანამდე შევინახავ სანამ დაგჭირდება,-თქვა ჯეიკობმა და ისე გამიღიმა როგორც სჩვეოდა.
– ჯეიკ..
ის წინ გადმოიხარა, მისი სახე უცებ ძალიან სერიოზული გახდა, მწარე სარკაზმი გაქრა.
– მემგონი ვცდებოდი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ვერ ვიმეგობრებთ, იქნებ ვცადოთ და გადავწყვიტოთ ყველაფერი ჩემს საზღვარზე, მოდი და მომინახულე.
მე ისევ ვგრძნობდი ედვარდის ხელებს, ის მეხვეოდა, თითქოს მიცავდა, ის მშვიდი და მომთმენი იყო.
– მე .. არ ვიცი..ჯეიკ..უბრალოდ.,
– ვიცი, ეს არ არის მნიშვნელოვანი არა? ვის სჭირდება მეგობრები, ვფიქრობ გადავიტან. ის ძალიან ცდილობდა ტკივილი დაემალა მაგრამ არ გამოუვიდა, ყველაფერი სახეზე ეწერა.
ჯეიკობის ტანჯვას რომ ვუყურებდი სურვილი მიჩნდებოდა დამეცვა, მას ნამდვილად არ სჭირდებოდა ფიზიკური დაცვა, მაგრამ ჩემს

ხელებს, რომელსაც ედვარდი იჭერდა საშინლად უნდოდათ შეხებოდნენ მას. მინდოდა მოვხვეოდი და დამემშვიდებინა.
– აბა ყველა კლასებში,-მკაცრი ხმა გაისმა ჩვენს უკან.
– წადი სკოლაში ჯეიკობ,-ჩავიჩურჩულე მე, როცა დირექტორის ხმა ვიცანი. ჯეიკობი კვილეტების სკოლაში სწავლობდა და პრობლემები შეექმნებოდა სხვის ტერიტორიაზე შეჭრის გამო.
მისტერ გრინმა გზა გაიკვალა ჩვენს მაყურებლებს შორის.
– სერიოზულად ვამბობ, როცა კიდევ ერთხელ შემოვბრუნდები აქ არავინ დამხვდეს! წინაამღდეგ შემთხვევაში ყველას დავტოვებ გაკვეთილების შემდეგ.
ყველა იქამდე გაიფანტა სანამ მან ფრაზა დაამთავრა.
– მისტერ კალენ, პრობლემები გვაქვს?
– არავითარი მისტერ გრინ, ჩვენ უკვე გაკვეთილზე მივდიოდით.
– ძალიან კარგი, მეჩვენება, რომ ვერ ვცნობ თქვენს მეგობარს,-მან ჯეიკობს შეხედა,-შენ ჩვენი ახალი მოსწავლე ხარ?
მისტერ გრინი ყურადღებით აკვირდებოდა ჯეიკობს და მე მივხვდი, რომ მანაც იგივე დასკვნა გამოიტანა, რაც სხვებმა - საშიში, პრობლემებს შეგვიქმნის.
– არა, -უპასუხა ჯეიკობმა.
– მაშინ უნდა გთხოვოთ რომ დატოვოთ სკოლის ტერიტორია, სანამ პოლიცია გამომიძახებია.
ჯეიკობმა თვითკმაყოფილი სახე მიიღო, მან ალბათ წარმოიდგინა, როგორ მოვიდოდა ჩარლი მის დასაპატიმრებლად.
– არის სერ,-უპასუხა მან ჯარისკაცივით, პედალს დააწვა და წამში გაუჩინარდა.
– მისტერ კალენ, იმედია სთხოვთ თქვენს მეგობარს, რომ სხვა დროს თავი შეიკავოს სკოლის ტერიტორიაზე შემოჭრიაგან.
– ის ჩემი მეგობარი არ არის მისტერ გრინ, მაგრამ მაინც გადავცემ.
– თუ რამე უსიამოვნებებზე ნერვიულობთ?
– არაფერია სანერვიულო მისტერ გრინ, არავითარი უსიამოვნებები არ იქნება.
– იმედი მაქვს, ეხლა კი კლასში წადით, თქვენც მისის სვონ.
ედვარდმა თავი დაუქნია და სწრაფად წამიყვანა შენობისკენ.
– კარგად ხარ? შეგიძლია გაკვეთილზე ყოფნა?,-ჩამჩურჩულა ედვარდმა, როცა დირექტორს გავეცალეთ.
– კი,-ვუპასუხე მე, თუმცა არ ვიყავი ამაში დარწმუნებული.
არ ჰქონდა მნიშვნელობა კარგად ვგრძნობდი თავს თუ არა, ეს ნამდვილად არ იყო მთავარი საკითხი, ედვარდთან ლაპარაკი მინდოდა და ინგლისურის გაკვეთილი ნამდვილად არ იყო შესაფერისი საუბრისთვის. ჩვენ ცოტა დავაგვიანეთ და მაშინვე დავიკავეთ ჩვენი

ადგილები, მისტერ ბერტი ფროსტის ლექსებს კითხულობდა და არც კი მოგვაქცია ყურადღება.
 რვეულიდან ფურცელი ამოვხიე და წერა დავიწყე, ნერვიულობისგან ჩემი ხელწერა კიდევ უფრო გაურკვეველი გახდა.
“ რა მოხდა?, ყველაფერი მომიყევი, დაივიწყე ერთი წუთით ჩემი დაცვა” წერილი ედვარდს გავუცურე, მან ჩაისუნთქა და წერა დაიწყო, რასაც მხოლოდ ორი წუთი მოანდომა და შემდეგ უკან დამიბრუნა.
 ”ელისმა დაინახა,რომ ვიქტორია ბრუნდება,ქალაქიდან უბრალოდ ისე წაგიყვანე, თავის დასაზღვევად, პატარა შანსიც კი არ ჰქონდა რომ ახლოს მოსულიყო შენთან. ემეთს და ჯასპერს სულ ცოტა დააკლდათ რომ დაეჭირათ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება რომ ვიქტორიას განსაკუთრებული უნარი აქვს, ის ყოველთვის ახერხებს გაქცევას. ის ზუსტად კვილეტების საზღვართან გაგვისხლტა ხელიდან, თითქოს რუქა ეჭირა ხელში.სიმართლე რომ ვთქვა კვილეტებსაც შეეძლოთ მისი დაჭერა, ჩვენ რომ არ დავენახეთ, დიდმა რუხმა მგელმა იფიქრა,რომ ემეთმა საზღვარი გადაკვეთა და თავდაცვისთვის მოემზადა, მაგრამ კარლაილმა და ჯასპერმა იქამდე მოაგვარეს ყველაფერი სანამ სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდოდა. სულ ეს არის.”
 გაბრაზებული ვუყურებდი ფურცელს. ყველა იყო ამაში გარეული- ემეთი, ჯასპერი, ელისი, როზალი, კარლაილი, შეიძლება ესმეც, თუმცა ედვარდს ის არ უხსენებია.. და კვილეტები, თავისუფლად შეიძლებოდა ეს ყველაფერი ბრძოლით დამთავრებულიყო, ჩემი მომავალი ოჯახი და ძველი მეგობრები ერთმანეთის წინაამღდეგ იბრძოლებდნენ, თითოეული მათგანი შეიძლებოდა დაშავებულიყო..
 უცებ კანკალმა ამიტანა.
 ფურცელი გადავაბრუნე და დავწერე:
“ჩარლის რა ვუყოთ?”

 ედვარდმა თავი გაიქნია იქამდე, სანამ წერას დავამთავრებდი, რა თქმა უნდა ის იმის მტკიცებას დაიწყებდა რომ ჩარლის საფრთხე არ ემუქრებოდა, მან ხელი გამოწია, მაგრამ არ მივაქციე ყურადღება და გავაგრძელე.
“შენ არ იცი ის რას ფიქრობდა მაშინ, იმიტომ, რომ მე და შენ ფლორიდაში ვიყავით,არ იყო საჭირო იქ წასვლა”
 მან ხელიდან გამომაცალა ფურცელი.
“მარტო ვერ გაგიშვებდი, შენი ბედის ამბავი რომ ვიცი შავი ყუთიც არ გადარჩებოდა”
 ეს სულაც არ იყო ის, რასაც მე ვგულისხმობდი, არც კი მიფიქრია მის გარეშე წასვლაზე, მე იმის თქმა მინდოდა რომ აქ უნდა დავრჩენილიყავით ორივე ერთად.

“წარმოვიდგინოთ, რომ თვითმფრინავი აფეთქდა, რას გააკეთებდი ამ სიტუაციაში?”-გავაგრძელე მე წერა.
“მითხარი მიზეზი რის გამოც აფეთქდა?”
ეხლა უკვე ძლივს იკავებდა სიცილს.
“პილოტები დათვრნენ და გაითიშნენ”
“ეგ ადვილია, მაშინ მე ვმართავდი”
“კარგი, მაშინ ორივე ძრავი გამოვიდა წყობიდან და მიწაზე ვეშვებით”
“დაველოდებოდი, მიწასთან ახლოს როდის ვიქნებოდით, დაგიჭერდი, კედელს გავანგრევდი და გადავხტებოდი, შემდეგ დაგაბრუნებდი ავარიის ადგილზე და ვიბოდიალებდით იქ, როგორც ყველაზე იღბლიანები თვითმფრინავების ჩამოვარდნის ისტორიაში.”
მე მივაშტერდი, აბა რა უნდა მეთქვა.
– რა იყო?- ჩაიჩურჩულა მან?
– არაფერი.
ძველი ნაწერები გადავხაზე და კიდევ ერთი წინადადება დავწერე.
“სხვა დროს მეტყვი”
ედვარდი დიდხანს მიყურებდა თვალებში, ნეტა როგორ გამოვიყურებოდი ეხლა, მციოდა, ე.ი ჯერ არ გავწითლებულვარ.
მან ამოსუნთქა და თავი დამიქნია.
“მადლობთ”
– რამე ისეთია რაც ყველას უნდა გაუზიაროთ მისტერ კალენ?
ედვარდმა თავი აწია და მორცხვად მიაწოდა ფურცელი მისტერ ბერნს.
– ჩემი ჩანაწერებია.
მისტერ ბერნმა გადახედა ნაწერებს, ეს ნამდვილად არ იყო მისი ლექციის ჩანაწერი, მან გაბრაზებულმა შემოგვხედა და შემდეგ გაგვეცალა.
შემდეგ, მათემატიკაზე, ჩემს ერთადერთ გაკვეთილზე ედვარდის გარეშე, გავიგონე, როგორ ჭორაობდნენ ვიღაცეები.
– დიდ ინდიელზე ვდებ,-თქვა ერთ-ერთმა.
თავი მივაბრუნე და დავინახე ტაილერი, მაიკი, ოსტინი და ბენი თავჩაღუნულები როგორ ჩურჩულებდნენ.
– აჰა, დაინახეთ ინდიელის კუნთები?,-აგრძელებდა მაიკი,-ეგ ნამდვილად უნდა მოერიოს კალენს.
– არა მგონია,-არ დაეთანხმა ბენი,-არის რაღაც ედვარდში, ის ყოველთვის ისეთი დარწმუნებულია თავის თავში, ნამდვილად შესძლებს თავის დაცვას.
– ბენს ვეთანხმები,-თქვა ტაილერმა,-თანაც იმ დიდმა ბიჭმა რამეც რომ დაუშავოს ედვარდს, მისი ძმები არ დარჩებიან ვალში.
– ბოლოს როდის იყავი ლაპუშზე?,-იკითხა მაიკმა,- მე და ლორენი ერთი კვირის წინ ვიყავით იქ დამიჯერე ჯეიკობის მეგობრები ისეთივე ძლიერები არიან როგორც ის.

– ეჰ, საწყენია რომ არაფერი მოხდა,-თქვა ტაილერმა.
– მე ვფიქრობ,რომ ეს არ არის დასასრული,-თქვა ოსტინმა,-ჯერ კიდევ შიძლება რამე ვნახოთ.
მაიკს გაეცინა.
– ვის უნდა დანიძლავება?
– ათი ჯეიკობზე,– განაცხადა ოსტინმა.
– ათი კალენის სასარგებლოდ,-გააგრძელა ტაილერმა.
– ათი ედვარდზე,-დაეთანხმა ბენი.
– ჯეიკობი,-დაამთავრა მაიკმა.
– ხომ არ იცით ეს ყველაფერი რის გამო იყო?,-დაინტერესდა ოსტინი, ამან შეიძლება შანსებზე იმოქმედოს.
– არ არის ძნელი გამოსაცნობი,-თქვა მაიკმა და ყველამ ერთდროულად ჩემსკენ გამოიხედა.
მათი სახეებიდან გამომდინარე მივხვდი, რომ ვერც კი წარმოედგინათ, რომ გვერდზე ვიყავი, ისინი უცებ აშრიალდნენ და თავიანთ მერხებზე დაჯდნენ.
– მაინც ჯეიკობი,-ჩაიბურტყუნა მაიკმა.

თავი 4

ბუნება

კვირა არ გამოდგა კარგი.
პრინციპში არც არაფერი შეცვილა, ვიქტორია არ დანებდა და მე ისედაც ვიცოდი რომ ის ასე ადვილად არ დანებდებოდა. მისმა გამოჩენამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის რაც მე ისედაც ვიცოდი. თეორიულად არ იყო მიზეზი ახალი პანიკისთვის.
ამის თქმა ადვილი იყო, მაგრამ გაკეთება..
გამოსაშვები რამოდენიმე კვირაში იყო, მაგრამ მე სისულელედ მიმაჩნდა ასე ჯდომა და იმის ლოდინი როდის მოხდებოდა რამე საშინელება, მე ხომ ისევ სუსტი და დაუცველი ვიყავი.
ადამიანად ყოფნა ძალიან საშიში იყო განსაკუთრებით ჩემთვის.
მაგრამ არავინ არ მომისმინა.

– ბელა, ჩვენ შვიდნი ვართ!,-თქვა კარლაილმა,-თან ჩვენს მხარეს ელისია და ვიქტორია ვერ შესძლებს ჩვენთან მოახლოვებას, ჩარლის უსაფერთხოებისთვისაც აჯობებს, რომ პირველ გეგმას მივყვეთ.
ესმემ დამამშვიდა:
– ძვირფასო, არასდროს დავუშვებთ რომ რამე მოგივიდეს, გთხოვ ნუ ნერვიულობ.
– ძალიან მიხარია, რომ ედვარდმა ჯერ არ მოგკლა, შენს გვერდით უფრო მხიარულად ვარ,- თქვა ემეთმა.
როზალიმ გაოგნებულმა შეხედა.
ელისმაც იგივე მითხრა რაც ესმემ.
– თუ ყველაფერი ასე მარტივად არის მაშინ რატომ წამიყვანა ედვარდმა ფლორიდაში?,- ვიკითხე მე.
– ბელა, ნუთუ აქამდე არ შეგიმჩნევია რომ ედვარდს უყვარს გადაჭარბება.
ჯასპერმა როგორც ყოველთვის თავისი ნიჭი გამოიყენა და მაშინვე დამამშვიდა. ისევ ძლიერად ვიგრძენი თავი.
რა თქმა უნდა, როგორც კი მე და ედვარდი ოთახიდან გამოვედით დაძაბულობა უკან დამიბრუნდა.
ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, რომ მე უნდა დამევიწყებინა არანორმალური ვამპირი ქალი, რომელიც ჩემს მოკლვლას აპირებდა და ჩემი საქმე უნდა მეკეთებინა.
მე შევეცადე, მაგრამ ედვარდმა იმწამსვე მოახერხა და ხასიათი გამიფუჭა.
– ეს მხოლოდ შენ და კარლაილს გეხებათ, რა თქმა უნდა ძალიან მინდა ეს ჩვენს შორის მოხდეს, მაშინ როცა შენ გადაწყვიტავ, ჩემი
პირობა კარგად იცი,- მითხრა მან და გამიღიმა.
მშვენივერად ვიცოდი პირობა, ედვარდი თვითონ მაშინ გადამაქცევდა, როცა ცოლად გავყვებოდი.
ზოგჯერ მეგონა რომ თავს იკატუნებდა და მშვენივრად ახერხებდა ჩემი აზრების წაკითხვას, სხვანაირად როგორ შესძლებდა ზუსტად იმ პირობის წამოყენებას, რამელიც მე შემაჩერებდა და იცოდა რომ რთული გადასაწყვეტი იყო ჩემთვის.
ეს დღე ყველაზე საშინელი იყო, ედვარდის გარეშე ყველა დღე ასეთი იყო, მაგრამ ის მე თვითონ გავუშვი ძმებთან ერთად სანადიროდ, რადგან ელისმა მითხრა რომ საფრთხე არსაიდან ჩანდა.
ვერასდროს ვერ ვეტყოდი ალბათ, როგორ მიჭირდა მისი გაშვება, თუნდაც ორი საათით, მაშინვე მახსენდებოდა ყველაფერი საშინელი, ის დღე როცა მიმატოვა. ეს რომ გაეგო თავს საშინლად იგრძნობდა და შეეშინდებოდა ჩემი მარტო დატოვება. ზუსტად, როგორც მაშინ როცა იტალიიდან დავბრუნდით, მისი ოქროსფერი თვალები სულ შავი იყო და მე მისი ძალით გაგდება მომიხდა რომ სანადიროდ წასულიყო.

მაგრამ მემგონი ჩემი თქმის გარეშეც მან ყველაფერი კარგად იცოდა. დილით ჩემს ბალიშზე წერილი დამხვდა.
“ მალე დავბრუნდები, ვერც კი მოასწრებ ჩემს მონატრებას, ჩემს გულს მოუფრთხილდი, მას შენთან ვტოვებ”
ასე რომ შაბათი თავისუფალი მქონდა, და ნიუტონების მაღაზიის დილის სმენის გარდა სხვა საქმე არ მქონდა. თან ელისმაც გამახარა დაპირებით:
“ სულ ახლოს ვნადირობ, თუ დაგჭირდები უცებ გავჩნდები”
თარგმანი:
“ სანამ ედვარდი აქ არ არის, არც კი იფიქრო სისულელეებზე”
ელისს თავისუფლად შეეძლო ჩემი პიკაპი გაეფუჭებინა, ზუსტად ისე როგორც ეს ედვადმა გააკეთა.
შევეცადე ამ ყველაფერში მხოლოდ კარგი დამენახა. სამსახურის შემდეგ ანჯელასთან ვაპირებდი წასვლას, რომ მოსაწვევების დაწერაში დავხმარებოდი. თან ჩარლიც გადასარევ ხასიათზე იყო, თუ ძალინ მოვიწყენ ელისს ვთხოვ ჩემთან დარჩეს, რა თქმა უნდა ის უარს არ მეტყვის, ხვალ ედვარდიც დაბრუნდება და ყველაფერი კარგად იქნება.
არ მინდოდა ადრე მივსულიყავი სამსახურში, ამიტომ ნელა ვისაუზმე, შემდეგ ჭურჭელი გავრეცხე და მერე მაცივარზე მაგნიტების აძრობას და დაწეპებას შევუდექი, იქნებ ეს მანიაკალურ-დეპრესიული აშლილობის ნიშნები იყო? ამას საკმაო ხანი მოვანდომე, მაგნიტები არაფრით არ მემორჩილებოდნენ, ერთს რომ ვაწეპებდი მეორე ვარდებოდა, არვიცი ასე ძალიან რატომ მაღიზიანებდა ეს და თან მთელი ძალით ვცდილობდი ფიზიკის კანონები დამერღვია.
– აზრი არ აქვს წინაამღდეგობის გაწევას!, - ვითხარი მე უსულო საგნებს და ისევ ისე მივაწებე როგორც თავიდან იყო.
ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ მაინც გადავწყვიტე სახლიდან დროზე გავსულიყავი სანამ საგნებიც არ დამიწყებდნენ ლაპარაკს.
ნიუტონების მაღაზიას რომ მივუახლოვდი, მაიკი იატაკს გვიდა და დედამისი ახალ საქონელს აწყობდა დახლებზე, ისინი არ მელოდნენ ასე ადრე და ზუსტად შუა კამათის დროს შევისწარი.
– მაგრამ ტაილერს მარტო ეხლა შეუძლია წამოსვლა,- წუწუნებდა მაიკი,-შენ ხომ თქვი რომ გამოსაშვების მერე..
– უბრალოდ მოცდა მოგიწევს,-შეაწყვეტინა მისის ნიუტონმა,- იქამდე ვერ წახვალთ სიეტლში, სანამ პოლიცია არ გაარკვევე იქ რა ხდება, დარწმუნებული ვარ ბეტ კროულიმაც აუკრძალა ტაილერს წასვლა,..-ოჰ, დილა მშვიდობისა ბელა! ადრე მოხვედი.
– ჰო. სულ ეს იყო რაც ვთქვი და დახლის ქვევიდან საშინელი სტაფილოსფერი ჟილეტი გამოვაძრე. გამიკვირდა როვა გავიგე, რომ მისის ნიუტონსაც აინტერესებდა რა ხდებოდა სიეტლში, მე მეგონა ამაზე მხოლოდ ჩარლი ნერვიულობდა.

ნიუტონებისთვის უკვე ნათქვამი მქონდა, რომ ზაფხულში მათთან აღარ ვიმუშავებდი, ამიტომ მაშინვე დაიწყეს ჩემი შემცვლელის ძებნა.
– უნდა დავრეკო,-აგრძელებდა მისის ნიუტონი,-დღეს ალბათ ბევრი სამუშაო არ გვექნება, მემგონი მე და მაიკიც მოვაბავთ თავს, ვწუხვარ რომ მოსვლა მოგიწია.
სხვა დღეებში ალბათ გამიხარდებოდა ეს, მაგრამ დღეს..
– კარგი,-ამოვიოხრე მე.ნეტა ეხლა რითი დავკავდე?
– დე, ეს უსამართლობაა,-თქვა მაიკმა,-ბელას მუშაობა თუ უნდა..
– არა, მაიკ ყველაფერი რიგზეა, წავალ საგამოცდოდ ვიმეცადინებ.
არ მინდოდა ეხლა კიდევ ჩემს გამო ეკამათათ.
– მადლობთ ბელა, შეგიძლია ეს ფურცლებიც გაიტანო და გადაყარო? ერთ გოგოს შევპირდი რომ გავაკრავდი ვიტრინაზე, მაგრამ ნამდვილად არ მაქვს ადგილი.
– რა თქმა უნდა.ჟილეტი გავიხადე ფურცლებს ხელი დავავლე და წვიმაში გავედი.
ნაგვის ყუთი სულ ახლოს იყო ქუჩის კუთხეში, უკვე გადაყრას ვუპირედი ყვითელ ფურცლებს როცა სქელი შრიფტით დაწერილი სათაური შევნიშნე. ფურცლებს ორივე ხელით ჩავებღაუჭე და ნახატს მივაშტერდი, რომელიც სათაურის ქვეშ იყო.
“ გადაარჩინეთ ოლიმპიური მგელი!”
ნახატზე კი მგელი იყო გამოსახული, უცებ გამიშრა ყელი, რაღაც იყო ამ ნახატში, მგელი თითქოს იტანჯებოდა.
ორ წუთში უკვე ჩემს პიკაპში ვიყავი, ვიცოდი, რომ მხოლოდ თხუტმეტი წუთი მქონდა იმისთვის, რომ ლაპუშამდე მიმეღწია, გაზს მივაწექი იმის იმედით, რომ მანამდე შევძლებდი საზღვის გადაკვეთას სანამ ელისი დამინახავდა.
არც კი ვიცოდი სად იყო ეს საზღვარი, მაგრამ როგორც კი ლაპუშის პირველის სახლები გამოჩნდა თავი მშვიდად ვიგრძენი.
გადავწყიტე, რომ დღისით დავურეკავდი, როცა ანჯელასთან ვიქნებოდი და ვეტყოდი რომ კარგად ვარ,- ის არ გაბრაზდება, სამაგიეროდ ედვარდი გაბრაზდება ორივეზე.
ჩემმა პიკაპმა საშინელი ხმა გამოუშვა როცა ნაცნობ სახლთან გავჩერდი. ამ ადგილის დანახვისას, რომელიც ერთ დროს ჩემი თავშესაფარი იყო, ცუდად გავხდი, რამდენი დრო გავიდა იმის შემდეგ, რაც ბოლოს ვიყავი აქ.
ჯეიკობი უკვე კარებში იდგა გაოცებული სახით და არც კი იცოდა რა ეთქვა. როგორც კი ძრავი გაჩუმდა გავიგონე მისი ხმაურიანი სუნთქვა.
– ბელა?
– გამარჯობა ჯეიკ!

– ბელა, ამჯერად დაიყვირა მან, და ღიმილმა რომელსაც ასე დიდხანს ველოდი გაუნათა სახე, როგორც მზის სხივმა, მისი კბილები ბრჭყვიალებდა მუქ კანთან კონტრასტში,-არ მჯერა!
ის წამში მოვარდა პიკაპთან და გამომაძვრინა მანქანიდან, სიხარულისგან ისე ვხტუნაობდით, როგორც პატარა ბავშვები.
– აქ როგორ აღმოჩნდი?
– გამოვიქეცი!
– გაგიჟება შეიძლება!
– ბელა?,-გავიგონე მე ბილის ხმა.
– გამარჯობა ბილი!,- ვეღარ შევძელი გაგრძელება, ჯეიკობმა ამწია და დამაბზრიალა.
– რა მაგარია რომ მოხვედი!
– ვერ ვსუნთქავ ჯეიკ,-ჩავიხრიალე მე.
მან გაიცინა და მიწაზე დამაბრუნა.
ორივე ძალიან აფორიაქებულები ვიყავით იმისთვის რომ სახლში დავრჩენილიყავით, ამიტომ გადავწყვიტეთ გაგვესეირნა. ჯეიკობი თითქმის სირბილით მიდიოდა და რამოდენიმეჯერ მომიწია შეხსენება რომ სამი მეტრის სიგრძის ფეხები არ მქონდა. სანამ მივდიოდით ვგრძნობდი, როგორ ვხდებოდი ისევ ის პატარა გოგო, რომელსაც ყოველ წამს შეეძლო რაიმე სისულელე ჩაედინა.
ჩვენ ვმსჯელობდით იმაზე, თუ რა ხდებოდა ამდენ ხანს ჩვენს თავს, რატომ მოგვიწია ასე დიდი ხნით დაშორება და მე ვხედავდი როგორ ივსებოდა მისი სახე ტკივილით.
– აბა, მოყევი რა მოხდა მაშინ? იცი ეხლა ყველაფერი ისევ ისეა, როგორც მაშინ სანამ მიგატოვებდა, ნუთუ ყველაფერი აპატიე?
მე ღრმად ჩავისუნთქე.
– არაფერია საპატიებელი.
ძალიან მინდოდა ამ საუბრის გამოტოვება, მაგრამ ვიცოდი რომ ბევრ კითხვაზე მომიწევდა პასუხის გაცემა.
ჯეიკობი ისევ მოიღუშა.
– ძალიან ვწუხვარ, რომ სემმა არ გადაგიღო მაშინ, როცა ტყეში გიპოვა, იქნებ ამას მაინც ემოქმედა.
– შენ არ დაადანაშაულებდი მას, რომ გცოდნოდა რატომ წავიდა.
რამოდენიმე წამი განრისხებული მიყურებდა.
–კარგი, მიდი, შეეცადე გამაკვირვო!
საშინლად მტკივნეული იყო ის რომ ჯეიკი ასე მიბრაზდებოდა, ეს იმ მომენტს მახსენებდა, როცა მან სემის ბრძანებით განმიცხადა, რომ ჩემთან ვერ იმეგობრებდა.
წუთი დამჭირდა რომ აზრზე მოვსულიყავი.
– ედვარდმა იმიტომ მიმატოვა, რომ ფიქრობდა ვამპირებთან ურთიერთობა არ იყო ჩემთვის კარგი და ასე უფრო დამიცავდა.

ჯეიკობი დიდხანს ფიქრობდა ჩემს ნათქვაზე, ნეტავ რას იტყოდა რომ სცოდნოდა რა მოხდა მაშინ ჩემს დაბადების დღეზე, ამას ნამდვილად ვერ ვეტყოდი.
– და მაინც ის დაბრუნდა, ძალიან ცუდი რომ თავისი დაპირება არ შეასრულა.
– თუ კარგად გახსოვს, ის მე თვითონ დავაბრუნე.
ჯეიკობი კიდევ დიდხანს მიყურებდა ბოლოს დამშვიდდა და ისევ თბილი ტონით მკითხა.
– და რა მოხდა იქ? მე ხომ არცერთხელ არ მომისმენია ეს ისტორია.
მე დავიძაბე.
– საიდუმლოა?,თუ აგიკრძალეს ჩემთვის მოყოლა?
– არა! უბრალოდ ეს ძალიან დიდი ისტორიაა.
ჯეიკობმა ამაყად გაიცინა შებრუნდა და სანაპიროს გაუყვა, მეც გავეკიდე.ის ნაცნობ წაქცეულ ხის მორს მიუახლოვდა, დაჯდა და მეც მანიშნა რომ მის გვერდით დავმჯდარიყავი.
– არაფერი საწინაამღდეგო არ მაქვს გრძელი ისტორიების, ბოევიკის ელემენტები იქნება?
მე თავი გავიქნიე.
– იქნება ცოტა.
– ჩხუბიც იქნება ხო?
– კი, ნამდვილი თრილერი! მომისმენ, თუ ყოველ ხუთ წუთში ერთხელ შემაწყვეტინებ?
ჯეიკობმა გასაღების და ბოქლომის სცენა გაითამაშა, ძლივს შევიკავე სიცილი.
– იქიდან დავიწყებ რაც უკვე იცი.
– ძალიან კარგი, იმიტომ რომ ვერ გავიგე მაშინ რა მოხდა.
– ეს ყველაფერი ცოტათი რთულია, ამიტომ ყურადღებით იყავი!
ელისის შესაძლებლობებზე ხომ იცი?
მისი გამომეტყველებით მივხვდი, რომ მგლებს სულაც არ სიამოვნებდათ ის, რომ განსაკუთრებული შესაძლებლობების ვამპირების ამბავი მართალი იყო. მე თავიდან ბოლომდე მოვუყევი, როგორ გავრბოდით იტალიაში ედვარდის გადასარჩენად.
შევეცადე არასაჭირო დეტალები გამომეტოვებინა.ავუხსენი, რომ ელისმა დაინახა, როგორ აპირებდა ედვარდი თავის მოკვლას და თან მის სახეს ვაკვირდებოდი, მას არავითარი რეაქცია არ ჰქონდა ამაზე. ჯეიკობი თავის ფიქრებში იყო ჩაძირული, ისეთი გრძნობა მქონდა რომ არც კი მისმენდა, მხოლოდ ერთხელ შემაწყვეტინა.
– ე.ი წითურ ვამპირს ჩვენი დანახვა არ შეუძლია? გადასარევია!
მან რეაგირება მხოლოდ მაშინ დაიწყო როცა ვოლტურებამდე მივედი, რა თქმა უნდა ის ნაწილი სადაც მათ ჩემს ვამპირად გადაქცევას

დაპირდნენ გამოვტოვე, მხოლოდ ის მოვყევი, როგორ გამომიყვანა ედვარდმა ამ რთული სიტუაციიდან.
– აი, ეს არის მთელი ისტორია, ასე რომ ეხლა ჯერია, რა მოხდა მაშინ როცა დედაჩემთან ვიყავი დასვენების დღეებში?
ვიცოდი, რომ ჯეიკობი ედვარდისგან განსხვავებით დაწვრილებით მომიყვებოდა და არ ინერვიულებდა იმაზე შემეშინდა თუ არა. ჯეიკობი გამოცოცხლდა და დაიწყო.
– ნუ, შაბათს საღამოს როგორც ყოველთვის ემბრი და ქუილი პატრულირებდნენ ტერიტორიაზე, და უცებ საიდანღაც კვალი გაჩნდა, სემს უნდოდა რომ დავლოდებოდით მოვლენების განვითარებას, მაგრამ მე არ ვიცოდი შენ რომ წასული იყავი და ამიტომ მაშინვე გავეკიდეთ, მან იქამდე გადაკვეთა საზღვარი სანამ დავეწეოდით, ჩვენ საზღვართან გავჩერდით იმის მოლოდინში რომ დაბრუნდებოდა, ჩვენ სამხრეთისკენ წავედით, ამ დროს კალენებმა ის სულ სხვა მხარეს გამოიტყუეს, რომ გვცოდნოდა სად დავხვედროდით, ეხლა ნამდვილად აღარ იქნებოდა ცოცხალი.ყველაზე სარისკო ეს მაშინ გახდა როცა მას დავეწიეთ, ის ზუსტად საზღვარზე იდგა და ცეკვავდა, მეორე მხარეს კი მთელი ვამპირთა ოჯახი იდგა, და ის დიდი..
– ემეთი.
– ხო ის. მან თავი ვერ შეიკავა და ეცა წითურს, ის რა თქმა უნდა მასზე ჭკვიანი აღმოჩნდა, წამში გაუჩინარდა და ემეთი პოლს შეეჯახა, პოლის ამბავი ხომ იცი..
– ხო აბა.
– მან კონტრილი დაკარგა, ვამპირი ხომ ჩვენს ტერიტორიაზე იყო, ეი! ესე ნუ მიყურებ!
შევეცადე სახის გამომეტყველება შემეცვალა, რომ გაეგრძელებინა, იმის მუხედავად, რომ ვიცოდი ეს ამბავი კარგად დამთავრდა მაინც საშინლად დაძაბული ვუსმენდი.
– სანამ პოლი აზრზე მოვიდა, ვამპირი თავის მხარეს დაბრუნდა, ამ დროს ის ქერა..,-ჯეიკობის გამომეტყველების აღწერა რთული იყო, როცა ის ედვარდის დაზე ლაპარაკობდა.
– როზალი.
– ხო რა მნიშვნელობა აქვს, ის გამწარდა და უკვე აპირებდა საზღვის გადმოკვეთას ამ დროს მთავარმა და მეორე ქერამ..
– კარლაილმა და ჯასპერმა.
მან გაბრაზებულმა შემხედა.
– იცი, სულ არ მაინტერესებს მათი სახელები, მოკლედ კარლაილი დაელაპარაკა სემს და შეეცადა ყველა დაემშვიდებინა, შემდეგ რაღაც უცნაური მოხდა, ეს იმ მეორემ გააკეთა, ვგრძნობდით რასაც აკეთებდა და ვეღარაფერს ვერ ვაკეთებდით,
– ხო, ვიცი ეს როგორც ხდება.

– საშინელებაა, როცა გაბრაზება გინდა და ვერ ბრაზდები, საოცარი უნარია, ასე რომ კარლაილმა შესძლო სემთან შეთანხმება.ჩვენი მთავარი სამიზნე ვიქტორია იყო, კარლაილმა გეზი მიგვითითა და ჩვენც განვაგრძეთ მისი დევნა, მან მაკის მიწების კლდეებამდე მიაღწია და წყალში ჩახტა, ვამპირები გვთხოვდნენ მიგვეცა მათთვის საზღვრის გადაკვეთის უფლება, რომ დადევნებოდნენ მაგრამ ჩვენი პასუხი რა თქმა უნდა უარყოფითი იყო.
– კარგი, მოკლედ იდიოტურად მოიქეცით, მაგრამ მიხარია რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ემეთი არასდროს არ არის ფრთხილი, შეიძლებოდა დაშავებულიყო კიდეც.
ჯეიკობმა გაიცინა.
– შენმა ვამპირმა რა გითხრა, რომ ჩვენ უმიზეზოდ გადავედით შეტევაზე?
– არა, ედვარდმაც ზუსტად ასე მომიყვა, ოღონდ ასე დაწვრილებით არა.
– ჰა, ვფიქრობ ის დაბრუნდება და კიდევ გვექნება მისი დაჭერის საშუალება.
ჟრუანტელმა დამიარა, ის ნამდვილად დაბრუნდება და ნეტავ მეტყვის ამას ედვარდი? აუცილებლად უნდა დავაკვირდე ელისს, რომ არაფერი გამომრჩეს. ჯეიკობმა ვერ შეამჩნია ჩემი რეაქცია.
– რაზე ფიქრობ?,- ვკითხე მე ცოტახნის მერე.
– იმაზე ვფიქრობ რაც მომიყევი, იმაზე რაც ელისმა დაინახა მაშინ, როგორ ხტებოდი კლდიდან და რა მოხდა ამის მერე, შენ გესმის, მაშინ რომ დამლოდებოდი, ისე როგორ შევთანხმდით, ელისი ვეღარ დაინახავდა ამას, არაფერი არ შეიცვლებოდა, ეხლა ალბათ ისევ ჩემს ფარეხში ვიჯდებოდით, არცერთი ვამპირი არ იქნებოდა ფორქსში და მე და შენ..,- ის გაცუმდა და ჩაფიქრდა.
ამაზე ფიქრისას საშინელი სიცარიელე ვიგრძენი.
– ედვარდი მაინც დაბრუნდებოდა.
– ამაში დარწმუნებული ხარ?
– დაშორებამ არცერთ ჩვენგანზე არ იმოქმედა კარგად.
ვიგრძენი, რო რაღაც ცუდის თქმა უნდოდა, მაგრამ გაჩერდა და თავიდან დაიწყო.
– იცი რომ სემი გაბრაზებულია შენზე?
– ჩემზე?, ხო რა თქმა უნდა მე რომ არ ვყოფილიყავი უფრო მშვიდად იქნებოდნენ ალბათ.
– არა ამაში არ არის საქმე.
– მაშინ რაზეა გაბრაზებული?
– სემმა დაინახა მაშინ როგორ იყავი, ედვარდის წასვლის მერე და შემდეგ კლდიდან რომ გადახტი, ის ფიქრობდა რომ შენ ერთადერთი ადაიანი ხარ ვისაც იმდენივე მიზეზი აქვს სძულდეს კალენები,

როგორც მას, ეხლა ის ისე გრძნობს თავს თითქოს უღალატეს, შენ ისევ შემოუშვი კალენები შენს ცხოვრებაში, თითქოს არც არაფერი მომხდარა.
მინდოდა ამაზე რამე ცუდი მეპასუხა მაგრამ ჯეიკობმა შემაწყვეტინა.
– შეხედე!,-მითხრა ჯეიკობმა და არწივზე მიმანიშნა.
ფრინველი სწრაფად დაეშვა ქვევით და წყალთან გაჩერდა, კლანჭები მოუსვა ზედაპირზე და თევზი ამოიყვანა.
– ეს ყველგან არის,-გააგრძელა ჯეიკმა,- ბუნებას თავის კანონები აქვს, არის მონადირე და არის ნადავლი, ეს დაუსრულებელია, შენ არასოდეს გინახავს, როგორ ცდილობს თევზი არწივის კოცნას და ვერც ვერასდროს ნახავ,-გაეცინა მას.
ყელი გადამიშრა და ვერც აქ შევძელი უხეშად მეპასუხა მისთვის.
– იქნებ თევზი ცდილობდა კიდეც, ვერ გაიგებ რას ფიქრობს თევზი, არწივი ხომ ასეთი ლამაზი ფრინველია.
მისი ხმა უცებ სასტიკი გახდა.
– ე.ი მხოლოდ ამაშია საქმე? სილამაზეში?
– ნუ სულელობ ჯეიკ!
– მაშინ ფული?
– გადასარევია,-ვთქვი მე და წამოვხტი,- ძალიან ცუდი რომ ასეთი აზრის ხარ ჩემზე.
ეს ვთქვი შევბრუნდი და სწრაფად წავედი, ჯეიკობი დამეწია და დამიჭირა.
– ბელა, უბრალოდ მინდა გავიგო და არ გამომდის.
– მე ის მიყვარს ჯეიკ და იმიტომ არა, რომ ლამაზი და მდიდარია, ის რომ იმის ნახევარი ყოფილიყო რაც არის, მაინც მას ამოვირჩევდი, იმიტომ რომ ის ყველაზე მოსიყვარულე, გულწრფელი და მშვენიერია იმათ შორის ვისაც მე ვიცნობ, რა თქმა უნდა მე ის მიყვარს! ნუთუ ეს ასეთი ძნელი გასაგებია?
– ამის გაგება შუძლებელია.
– მაშინ მიდი ჯეიკ, გისმენ, ამიხსენი, როგორი უნდა იყოს პირობები, რომ ერთ ადამიანს მეორე შეუყვარდეს?გამოდის, რომ მე ყველაფერს არასწორედ ვაკეთებ.
– ვფიქრობ, რომ დასაწყისისთსის უფრო სწორი იქნებოდა ეს ვიღაც შენი ჯიშის არსებებს მიეკუთვნებოდეს, ჩვეულებრივ ეს ამართლებს.
– ეს სრული სისულელეა, მაშინ გამოდის მაიკ ნიუტონთან უნდა დავრჩე.
ჯეიკმა ტუჩზე იკბინა, ეტყობოდა, რომ ჩემმა სიტყვებმა გული ატკინა, მაგრამ მე იმდენად გაბრაზებული ვიყავი, რო ამას აღარ მივაქციე ყურადღება.
– მე ადამიანი ვარ,-ოდნავ გასაგებად ჩაიჩურჩულა მან და ოკეანისკენ მიბრუნდა.

– მაიკთან შედარებით არა,-უხეშად ვაგრძელებდი მე, ისევ ფიქრობ, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს?
– ეს ერთი და იგივე არ არის, მე არ ამირჩევია ასეთი ცხოვრება.
ამაზე გამეცინა.
– შენ გგონია ედვარდმა აირჩია? ან ზუსტად ისევე როგორც შენ არ ოცოდა რა ემართებოდა, ამაზე ხელი არ მოუწერია.
ჯეიკობმა თავი დააქნია.
– იცი ჯეიკ, ყველაფერთან ერთად საშინლად ჯიუტი ხარ.
– ეს ერთი და იგივე არ არის,-აგრძელებდა ის.
– ვერ ვხვდები რატომ, ხომ შეგიძლია უფრო მეტი გაგებით მოეკიდო კალენებს, ისინი მართლა კარგები არიან, ეცადე მაინც.
ჯეიკობი კიდევ უფრო მეტად გაიბუსხა.
– ისინი არ უნდა არსებობდნენ, მათი არსებოდა ყველანაირ კანონებს ეწინააღმდეგება.
მე საკმაოდ დიდხანს ვუყურებდი გაოგნებული.
– რა?
– იცი რა, როცა წინააღმდეგობებზე ვლაპარ..
– ბელა, ის რაც მე ვარ, ჩემთან ერთად დაიბადა, ეს ჩემი ოჯახის ნაწილია, ზუსტად ამიტომ ვართ აქ, ამის გარდა, მე ისევ ადამიანი ვარ.
ჯეიკის ხმა ისე ჟღერდა, როგორც დიდი ადამიანის, მისი თვალები კი სითბოთი იყო სავსე. მან ჩემი ხელი აიღო და მკერდზე დაიდო, მაისურის შიგნითაც კი ვგრძნობდი, როგორ უცემდა გული.
– ნორმალური ადამიანები ვერ ატარებენ ისე მოტოციკლს როგორც შენ.
ჯეიკმა ოდნავ გაიღიმა.
– ბელა, ნორმალური ადამიანები გაურბიან ურჩხულებს, მე არ ვამტკიცებ რომ ნორმალური ვარ, უბრალოდ ადამიანი ვარ.
ჯეიკობზე დიდი ხნით გაბრაზება შეუძლებელი იყო, მე ხელი ავიღე მისი მკერდიდან და გავიღიმე.
– მემგონი ამ მომენტში ძალიან ადამიანურად გამოიყურები.
– გრძნობებიც ადამიანური მაქვს.
ის სადღაც შორს იყურებოდა, ვგრძნობდი როგორ იტანჯებოდა და აიძულებდა თავის თავს მეტი არაფერი ეთქვა.
აი ამიტომ ვიყავი აქ, ამიტომ ვიყავი მზად მომეთმინა ყველაფერი რაც უკან დაბრუნებისას მელოდა, იმიტომ რომ, ვიცოდი ჯეიკის სარკაზმის უკან საშინელი ტკივილი და ტანჯვა იმალებოდა, ეს იკითხებოდა მის თვალებში, არ ვიცოდი როგორ დავხმარებოდი, მაგრამ ვიცოდი რომ უნდა მეცადა მაინც, ეს მოვალეობაზე მეტი იყო, მე მასთან ერთად ვიტანჯებოდი, ჯეიკი ჩემი ნაწილი იყო და ამას ვერაფერი შეცვლიდა.

თავი 5

აღბეჭდა

– ჯეიკ, როგორ ხარ? ჩარლიმ მითხრა, რომ არ იყავი კარგად, ნუთუ არაფერი შეცვლილა?

მან ხელი მომკიდა, მისი ხელები თბილი იყო.

– ყველაფერი არც ისე ცუდად არის,- მიპასუხა მან და თვალები ამარიდა.

ჯეიკობი უკან გატრილდა, იქ სადაც ხუთი წუთის წინ ვიჯექით და მეც თან წამიყვანა.

ცოტახანი ჩუმად ვიჯექით, ბოლოს ისევ მე დავარღვიე სიჩუმე.

– რამდენი დრო გავიდა იმის შემდეგ, რაც ბოლოს ვიყავი აქ, ალბათ ბევრი რამე გამოვტოვე, სემი და ემილი როგორ არიან? ემბრი? და ქუილი?

აქ გავჩერდი ვიცოდი რომ ჯეიკისთვის ქუილი მტკივნეული თემა იყო.

– ქუილი,- ამოიოხრა ჯეიკობმა.

ე.ი ეს მაინც მოხდა, ქუილი შეუერთდა ხროვას.

– ძალიან ვწუხვარ.

ჩემდა გასაკვირად ჯეიკმა ჩაიფრუტუნა.

– ოღონდ მას ეს არ უთხრა.

– ვერ გავიგე?

– მას შეცოდება სულაც არ სჭირდება, პირიქით ის ძალიან ბედნიერია, ეს ყველაფერი ძალიან უხარია.

– მართლა?

ჯეიკობმა შემომხედა და გამიღიმა.

– ქუილს მიაჩნია, რომ ეს ყველაზე კარგი რამეა, რაც შეიძლებოდა მოსვლოდა, მან უკვე იცის რა ხდება, ისევ მეგობრებთან არის და ეს ძალიან მოსწონს.

– მას მოსწონს?

– მართალი გითხრა, მათ უმეტესობას ეს მოსწონს, ბევრ რამეს იღებ ერთდროულად: სისწრაფეს, ძალას, თავისუფლებას, ოჯახს. ამ ყველაფერზე მარტო მე და სემი ვწუხვართ, სემმა ეს უკვე დიდი ხნის წინ გაიარა, ეხლა მე ვარ მტირალა.-ჯეიკობმა თავის თავზე გაიცინა. იმდენი რამის კითხვა მინდოდა მისთვის.

– შენ და სემი რატომ ხართ სხვანაირები? მას რა დაემართა? რა სტანჯავს?-კითხვები ისე მაწუხებდა რომ თავს ვეღარ ვიკავებდი.
ჯეიკობმა ისევ გაიცინა.
– ამის მოყოლას დიდი დრო უნდა.
– მეც დიდხანს გიყვებოდი ჩემს თავგადასავალს და თანაც არსად არ მეჩქარება,- მშვენივრად ვიცოდი რაც მელოდა, ამიტომ არ ვჩქარობდი.
– ის ალბათ გაბრაზდება ხო?
– ძალიან, ის ვერ იტანს როცა მისი სიტყვებით რისკიანად ვიქცევი.
– ანუ ვაერვულფებთან რომ ურთიერთობ?
– ხო.
ჯეიკობმა მხრები აიჩეჩა.
– მაშინ ნუ დაბრუნდები, შემიძლია ტახტზე დავიძინო.
– გადასარევი იდეაა,-ავბუზღუნდი მე,-მაშინ ის აქ მოვა ჩემს საძებრად.
– მოვა?
– თუ იფიქრებს რომ რამე დამემართა აუცილებლად მოვა.
– ჩემი იდეა სულ უფრო მომწონს.
– კარგი რა ჯეიკ, ნუ მანერვიულებ.
– მაინც რა განერვიულებს?
– ის, რომ ორივე მზად ხართ დახოცოთ ერთმანეთი,-ავფეთქდი მე,-ნუთუ არ შეიძლება ცივილიზებულად მოიქცეთ?
– ის მზად არის ჩემს მოსაკლავად?
– შენ თვითონ იწევ მის მოსაკლავად! შენთან შედარებით ის ბავშვივით მაინც არ იქცევა, იცის, რომ თუ შენ რამეს დაგიშავებს, ამით მე მატკენს გულს, ამიტომ ამას არასდროს არ გააკეთებს, შენ კიდევ სულ არ გადარდებს მე რას ვრძნობ.
– კი აბა, ის ნამდვილი პაციფისტია.
– უჰ,- ფეხები გულთან მივიბჯინე და მჭიდროდ შემოვხვიე ხელები. ასე გაბრაზებული ვუყურებდი ჰორიზონტს.
რამოდენიმე წუთი ჯეიკიც ჩუმად იყო, შემდეგ ახლოს მოიწია და ხელი შემომხვია მხრებზე, მაშინვე მოვიშორე.
– მაპატიე,-ჩუმად მითხრა მან,-შევეცდები კარგად მოვიქცე, კიდევ გინდა სემის ისტორიის მოსმენა?
მხრები ავიჩეჩე.
– როგორც გითხარი ეს გრძელი ისტორიაა და ძალიან უცნაური, ამ ახალ ცხოვრებაში ყველაფერი უცნაურია და მე დროც არ მქონდა რომ ნახევარი მაინც მომეყოლა შენთვის. რაც შეეხება სემს, არც კი ვიცი შევძლებ ყველაფრის სწორედ ახსნას.
გაღიზიანების მიუხედავად მისმა სიტყვებმა დამაინტრიგა.
– გისმენ,- ძალდატანებით ვუთხარი მე.
თვალის კუთხით დავინახე როგორ იღიმებოდა.

– სემისთვის ეს ბევრად რთული იყო ვიდრე ჩვენთვის, იმიტომ რომ ის პირველი იყო, მარტო იყო და არავინ ყავდა გვერდით ვინც აუხსნიდა რა ხდებოდა. ბაბუამისი მის დაბადებამდე გარდაიცვალა, მამა კი არასდროს ყოფილა მასთან, პირველად რომ გადაიქცა ეგონა რომ გაგიჟდა, უკან ადამიანად გადაქცევა ორ კვირაში შესძლო, ზუსტად ამდენი დრო დასჭირდა, რომ დაწყნარებულიყო, ეს შენს ფორკსში ჩამოსვლამდე ბევრად ადრე მოხდა, ამიტომ ეს არ გეცოდინება, სემის დედამ და ლია კლირვოტერმა ტყის რეინჯერები დაიქირავეს მის მოსაძებნად და პოლიციაში განაცხადეს, ხალხს ეგონა, რომ რაღაც უბედური შემთხვევა მოხდა.
– ლეა?,-გაკვირვებულმა ვკითხე მე. ლეა გარის შვილი იყო, მისი სახელი, რომ გავიგონე ვიგრძენი როგორ მომაწვა სინანული, გარი, ჩერლის საუკეთესო მეგობარი, შარშან გაზაფხულზე გარდაიცვალა გულის შეტევით.
ჯეიკის ხმა შესამჩნევად პირქუში გახდა.
–კი, ლეა და სემი ჯერ კიდევ სკოლაში იყვნენ ერთად, ლეა კინაღამ გაგიჟდა, როცა ის დაიკარგა.
– მაგრამ ის ხომ ემილისთან..
– აქამდეც მივალ, ესეც ისტორიის ნაწილია.-თქვა მან, შემდეგ ნელა ჩაისუნთქა და ამოისუნთქა.
ჩემი მხრიდან იმის ფიქრი, რომ სემს ემილიმდე არავინ ყვარებია სისულელე იყო, ბევრი ადამიანის ცხოვრებაში სიყვარული ბევრჯერ მოდის და მიდის, უბრალოდ როცა სემზე და ემილიზე ვფიქრობდი ვერ წარმომედგინა ის ვინმე სხვასთან ერთად, სემი მას ზოგჯერ ისე უყურებდა, როგორც მე ედვარდი.
– სემი დაბრუნდა,-გააგრძელა ჯეიკობმა,- მაგრამ არავისთვის არ უთქვამს სად იყო დაკარგული, ხალხი ჭორაობდა, რომ ის სერიუზულ უსიამოვნებებში გაეხვა. ერთხელ ის შემთხვევით ქუილის ბაბუას შეხვდა, რომელიც მისის ულეის მოსანახულებლად იყო მისული, მოხუცმა ქუილ ატეარამ ხელი ჩამოართვა და კინაღამ ხელი დაიწვა,- აქ ჯეიკობმა გაიცინა.
– რატომ?
მან ხელი დამადო ლოყაზე და ჩემი სახე მიიბრუნე თავისკენ, ისე რომ სულ რამოდენიმე სანტიმეტრი გვაშორებდა, მისმა ხელმა კანი დამიწვა, თითქოს ის მაღალი სიცხისგან იწვოდა.
– მივხვდი, სემის ტანის ტემპერტურამაც ასე მოიმატა.
ჯეიკობმა გადაიხარხარა. ის ისე ახლოს იყო ჩემგან, რომ მის თბილ სუნთქვას ვგრძნობდი, შევეცადე ჩვეულებრივად მოვქცეულიყავი, მისი ხელი სახიდან მოვიშორე და გავწიე, მან გაიღიმა და გააგრძელა.
– ასე რომ, მისტერ ატეარა ჩუმად წავიდა დანარჩენ მოხუცებთან, მას , გარის და ბილის ჯერ კიდევ ახსოვდათ როგორ იცვლიდნენ მათი

ბაბუები ფორმას, სემის ამბავი რომ გაიგეს, შეხვდნენ მას და ყველაფერი აუხსნეს. მან თავი ბევრად უკეთ იგრძნო, როცა გაიგო რომ აღარ იყო მარტო, მოხუცებმა თქვეს, რომ კალენების დაბრუნების გამო ასეთი რამ სხვებსაც ელოდა, უბრალოდ ჯერ შესაბამისი ასაკისთვის უნდა მიგვეღწია, ამიტომ სემს ლოდინი მოუწია.
– კალენებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ ვაერვულფები კიდევ არსებობდნენ, არ იცოდნენ, რომ მათი გამოჩენა თქვენი გადაქცევის მიზეზი გახდებოდა,-ჩავიჩურჩულე მე.
– ეს უკვე მოხდა და არაფერი შეიცვლება, მე არ შემიძლია შენნაირად ვაპატიო ყველას ყველაფერი, წმიდა მოწამე არ ვარ.
– ჯეიკობ დროა გაიზარდო.
– კარგი იქნებოდა, მაგრამ..
  მე გაოგნებული მივაშტერდი და შევეცადე მისი ნათქვამიდან აზრი გამომეტანა.
– რა იყო?, -მკითხა მან,- ეს ერთ-ერთი თანდაყოლილი უცნაურობაა.
– შენ.. შენ..ვერ ..იზრდები? არ ბერდები?.. ხუმრობ?
– არა.
ვიგრძენი როგორ მომაწვა სისხლი სახეზე და მწარე ცრემლები მომადგა, სიმწრისგან ყბები დამეჭიმა.
– ბელა ასეთი რა ვთქვი?
  ფეხზე წამოვხტი, მთლიანად ვცახცახებდი.
– შენ არ ბერდები, კბილებს შორის ვთქვი მე.
  ჯეიკობმა ხელი მომკიდა და შეეცადა უკან დავესვი.
– არცერთი ჩვენგანი, რა დაგემართა?
– მე ერთადერთი ვარ ვინც ბერდება? ყოველ საზიზღარ დღესთან ერთად უფროსი ვხვდები,- მე თითქმის ვკიოდი და ხელებს ვიქნევდი, უკვე ვგრძნობი, რომ ჩარლიზე სულ აღარ ვფიქრობდი, ეს მეათე ხარისხოვანი გახდა,- ჯანდაბა! ეს რა სამყაროა, სად არის სამართალი?
– დამშვიდდი ბელა.
– მოკეტე ჯეიკობ, უბრალოდ გაჩუმდი, ეს უსამართლობაა!
– ეს არც ისე ცუდია, როგორც შენ გგონია, დაჯექი და აგიხსნი ყველაფერს.
– ვიდგები.
  მან თვალები გადაატრიალა.
– კარგი, როგორც გინდა, მომისმინე, მეც დავბერდები როდესმე.
– ამიხსენი.
– როდესაც ჩვენი გადაქცევის გაკონტროლებას ვისწავლით და ეს ხშირად აღარ მოხდება, დაბერებასაც დავიწყებთ, მაგრამ ეს საკმაოდ რთულია, ეს ჯერ სემსაც არ შეუძლია და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ცხვირწინ ვამპირების მთელი ხროვაა, ჩვენით ვერსად ვერ წავალთ

იმიტომ რომ ტომს დახმარება სჭირდება, მაგრამ ამაზე არ ინერვიულო, იმიტომ რომ მე ფიზიკურად უკვე შენზე უფროსი ვარ.
– რაზე ლაპარაკობ?
– შემომხედე ბელს, ნუთუ თექვსმეტი წლისას ვგავარ?
 მე კიდევ ერთხელ შევათვალიერე მისი დიდი სხეული თავიდან ფეხებამდე.
– არც ისე.
– საერთოდ არა, იმიტომ რომ ჩვენ რამოდენიმე თვეში სრულად ვიზრდებით, ეს უცაბედი სიმაღლის მომატება,-დაიჭყანა ის,-ფიზიკურად ალბათ ოცდახუთის ვარ ან მეტის, ამიტომ კიდევ მინიმუმ შვიდი წელი შეგიძლია არ ინერვიულო, რომ ჩემზე უფროსი ხარ.
 "ოცდახუთი ან მეტი", ამ აზრმა შოკში ჩამაგდო, მაგრამ მე კარგად მახსოვდა, როგორ იზრდებოდა ის, თითქმის ჩემს თვალწინ, როგორ იცვლებოდა დღიდან დღემდე.
– სემის ამბავი კიდევ გაინტერესებს თუ აპირებ იმაზე მეჩხუბო, რაც საერთოდ არ არის ჩემზე დამოკიდებული?
 ღრმად ჩავისუნთქე.
– მაპატიე, ასაკი ჩემი მტკივნეული თემაა.
 ჯეიკობს თვალები დაუწვრილდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა. აღარ მინდოდა ასაკის თემაზე ლაპარაკის გაგრძელება ამიტომ თავიდან დავიწყე.
 – მოკლედ შენ თქვი, რომ სემს ბევრად გაუადვილდა, როცა თავი მარტოდ აღარ იგრძნო, ისიც თქვი, რომ ამ ყველაფერს კარგი მხარეც აქვს, მაშინ რატომ ეზიზღება სემს ისინი? რატომ უნდა, რომ მეც მეზიზღებოდნენ?
– ეს ყველაზე უცნაური ნაწილია.
– უცნაურობებში პროფესიონალი გავხდი.
– ვიცი,- გაეცინა ჯეიკს,- ხო ბევრი რამე შიცვალა, მისი ცხოვრება ბევრად უკეთესი გახდა ვიდრე მანამდე, მაგრამ იყო სხვა რამეც, მას არ შეეძლო ლეასთვის ამის თქმა, ჩვენ არ გვაქ ამაზე ლაპარაკი უფლება სხვებთან, ამის გარდა მათი ერთად ყოფნა საშიში ხდებოდა ლეასთვის, სემი კი მას ატყუებდა, როგორც მე შენ, ლეა საშინლად ბრაზდებოდა ამ ყველაფერზე, მას აინტერესებდა სად იკარგებოდა სემი ღამღამობით ან საერთოდ რა ემართებოდა, ამის მიუხედავად ისინი მაინც ერთად იყვნენ, იმიტომ რომ ერთმანეთი უყვარდათ.
– ანუ მან გაიგო? ამაშია საქმე?
 ჯეიკობმა თავი გაიქნია.
– არა, ამაში არ არის პრობლება. ლეას ბიძაშვილი ემილი იანგი ჩამოვიდა მასთან არდადეგებზე.
თვალები შუბლზე ამივიდა.
– ემილი ლეას ბიძაშვილია?

– კი, ბავშვობაში ისინი დებივით იყვნენ.
– ეს საშინელებაა, როგორ გააკეთა ეს სემმა?
– ნუ გაკიცხავ მას სანამ ბოლომდე არ მოისმენ ყველაფერს, ვისნმეს თუ მოუყოლია შენთვის აღბეჭდვის შესახებ?
– აღმეჭდვის?,-გავიმეორე მე უცნაური ტერმინი,-არა, ეს რას ნიშნავს?
– ესეც ერთ-ერთი უცნაურობაა, რომელსაც უნდა შევეგუოთ, ეს ყველას არ ემართება, ეს გამონაკლისი უფროა ვიდრე წესი.იმ დროისთვის სემმა უკვე ბევრი იცოდა ამის შესახებ, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ლეგენდებად მიაჩნდა, მას არც კი ეგონა, რომ ეს..
– რომ ეს?

ჯეიკობი ოკეანეს უყურებდა.
– სემს მართლა უყვარდა ლეა, მაგრამ როდესაც ემილი დაინახა უკვე არაფერს აღარ ჰქონდა აზრი, ასე ვპოულობთ ჩვენ წყვილს, ჩვენს მეორე ნახევარს,-ჯეიკობმა შემომხედა და გაწითლდა.
– როგორ? ერთი ნახვით შეყვარება?,- გამეცინა მე.
– ეს ბევრად უფრო ძლიერია, უფრო სრულყოფილი.
– მაპატიე, ამას სერიუზულად ამბობ ხო?,-ჩავიჩურჩულე მე.
– დიახ, ეს რთული ასახსნელია, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, შენ გინდოდა გცოდნოდა, რამ აიძულა სემი ასე შეეზიზღებინა ვამპირები, იმან, რომ ის მათ გამო შეიცვალა და მათ გამო ატკინა ლეას გული, თითქმის ყოველდღე უწევს მის თვალებში ბრალდებების წაკითხვა და თან იცის რომ ის მართალია.
– ემილიმ როგორ შესძლო ეს, ის ხომ ასე ახლოს იყო ლეასთან?
– თავიდან ის საშინლად ბრაზდებოდა, მაგრამ ალბათ საკმაოდ რთულია აირჩიო არასწორს და სასურველს შორის. ასე რომ სემმა შესძლო მისთვის ყველაფრის მოყოლა, ქვეყნად აღარ არსებობს საიდუმლო და წესები, როცა შენს მეორე ნახევარს პოულობ. იცი როგორ დაშავდა ემილი?
– კი, ფორქსში ამბობენ რომ ის დათვმა დაასახიჩრა, მაგრამ მე ვიცი სიმართლე.

“ვაერვულფები არ არიან სტაბილურები, ადამიანები მათ გვერდით მუდმივ საფრთხეში არიან”-მითხრა ედვარდმა.

– ასე შეძლეს სიმართის დამალვა, სემი საშინლად გრძნობდა თავს, მას საკუთარი თავი სძულდა, იმის გამო რაც გააკეთა, ის მზად იყო თავი მოეკლა, რომ ასე აღარ დატანჯულიყო, საბოლოოდ ის მაინც ემილიმ დაამშვიდა, და ამის მერე..
ჯეიკობი გაჩერდა, მივხვდი, რო ამის მერე ისტორია ძალიან პირადული ხდებოდა მოსაყოლად.

– საცოდავი ემილი, საცოდავი სემი, ლეა..-ჩავიჩურჩულე მე.
– ხო, ლეა ყველაზე მეტად დაიტანჯა, მაგრამ მაინც შეძლო ძალა მოეკრიბა და ის აპირებს ემილის მეჯვარე იყოს ქორწილში.
  მთელი ძალით ვცდილობდი გამეაზრებინა მისი ნათქვამი, ის ჩუმად იჯდა და მელოდებოდა სანამ რამეს ვიტყოდი.
– ასეთი რამ შენც დაგემართა?, ერთი ნახვით შეყვარების მსგავსი?,- ვკითხე მე და ვეცადე მისთვის არ შემეხედა.
– არა,-უცებ მიპასუხა მან,-მარტო სემს და ჯარედს.
  ამ პასუხმა დამამშვიდა, თვითონაც ვერ მივხვდი რატომ, ბოლოს ჩავთვალე, რომ უბრალოდ ის გამიხარდა, რომ ჯეიკობი არ მიმტკიცებდა, რომ ჩვენს შორისაც მსგავსი მგლური და მისტიური კავშირია, ჩვენი ურთიერთობა ამის გარეშეც ძალიან რთული და არეული იყო.
  ისიც გაჩუმდა და უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, მივხვდი, რომ არ მინდოდა მცოდნოდა რაზე ფიქრობს.
– ჯარედის შემთხვევაში როგორ მოხდა?,-დავარღვიე მე სიჩუმე.
– ეს ნაკლებად დრამატული იყო, ეს უბრალო გოგონა იყო, რომელთანაც მთელი წელი ერთ მერხთან იჯდა და რომელიც საერთოდ არ აინტერესებდა, მაგრამ იმის შემდეგ რაც პირველად გადაიქცა და მერე ისევ ნახა უკვე თვალს ვეღარ აცილებდა, კიმი ბედნიერი იყო, ის ხომ ყურებამდე იყო შეყვარებული, მან მთელი დღიური გაავსო თავისი სახელით რომელსაც გვერდით სემის გვარს უწერდა,-ჯეიკობმა დამცინავად გაიცინა.
  მე გავბრაზდი.
– ეს ჯარედმა გითხრა? ეს არ უნდა მოეყოლა!
  ჯეიკობმა ტუჩზე იკბინა.
– მემგონი არ უნდა გამეცინა, მაგრამ რა ვქნა ეს სასაცილოა, მას არაფერი მოუყოლია, არ გახსოვს რომ გეუბნეოდი?
– აჰ, ხო, თქვენ ერთმანეთის აზრებს კითხულობთ, როცა მგლები ხართ მაშინ?
– ზუსტად, როგორც შენი სისხლისმსმელი.
– ედვარდი!,-შევუსწორე მე.
– ხო რა თქმა უნდა. ასე რომ მე ყველაფერი გავიგე იმის შესახებ რასაც გრძნობდა სემი, ეს ალბათ ერთადერთია რაც ყველას ერთნაირად გვძულს,-მის ხმაში ტკივილი იკითხებოდა,-ეს საშინელებაა, არაფერი პირადული, არავითარი საიდუმლო, არაფერია სხვებისგან დამალული.
– ცუდად ჟღერს.
– ზოგჯერ ეს პირიქით კარგია, მაგალითად მაშინ ლორანის შემთხვევაში. კალენებს რომ ხელი არ შეეშალათ ვიქტორიასაც დავიჭერდით,- ჯეიკობმა სიმწრისგან მუშტები შეკრა.

თვალებში დამიბნელდა. როგორც არ უნდა მენერვიულა ემეთზე და ჯასპერზე, ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, როცა წარმოვიდგინე, როგორ ებრძოდა ვიქტორიას ჯეიკობი, მეჩვენებოდა, რომ ემეთი და ჯასპერი დაუმარცხებლები იყვნენ, ჯეიკობი კი ისევ თბილი იყო, თითქმის ადამიანი, მოკვდავი.

ჯეიკობი ცნობისმოყვარედ მიყურებდა.

– ნუთუ იგივეს არ გრძნობ, როცა ის ყოველ წამს შენს თავში იქექება?,-მკითხრა მან.

– არა, ის არცერთხელ არ ყოფილა ჩემს თავში, უნდა, მაგრამ არ შეუძლია.

მის სახეზე დაბნეულობა გამოისახა.

– მას ჩემი არ ესმის,-ავუხსენი მე და ჩემს ხმაში თვითკმაყოფილი ნოტები აჟღერდა,-მე მისთვის მხოლოდ ერთი ვარ ასეთი, არვიცით რატომ ვერ კითხულობს ის ჩემს აზრებს.

– უცნაურია, -თქვა ჯეიკმა.

– ხო, ალბათ ეს იმიტომ ხდება, რომ ჩემს ტვინში ყველაფერი რიგზე არ არის.

– მე ეს ისედაც ვიცოდი, -ჩაუბურტყუნა მან.

– მადლობა.

მოულოდნელად ღრუბლებს შორის მზე გამოჩნდა, თვალების მოჭუტვა მომიწია, რომ რამე დამენახა, ყველაფერმა ფერი შიცვალა: ტალღებმა, ხეებმა, ქვიშამ. ცოტა ხნის განმავლობაში ასე ვიჯექით სანამ ჩვენი თვალები შუქს არ შეეჩვია, არაფრის ხმა აღარ ისმოდა ჩუმი ტალღების და ჩვენს თავზე მფრინავი თოლიების გარდა.

ჯეიკობი ახლოს მოჩოჩდა და მომეხვია, ის ისეთი თბილი იყო, რომ ორი წუთის მერე საწვიმარი გავიძრე, მან ჩუმი, კმაყოფილი ხმა ამოუშვა და ლოყა მომადო თავზე, ვგრძნობდი მზე როგორ მათბობდა, მაგრამ ჯეიკობი მასზე ცხელი იყო, მარჯვენა ხელი ავწიე და ვაკვირდებოდი როგორ აირეკლებოდა მზეზე ჯეიმსის მიერ დატოვებული იარა.

– რაზე ფიქრობ?,-ჩუმად მკითხა მან.

– მზეზე.

– ეს კარგია.

– და შენ რაზე ფიქრობ?

მას გაეცინა.

– იმ იდიოტურ ფილმს ვიხსენებდი, რომელზეც წამათრიე, მაიკი რომ ცუდად გახდა.

ამაზე მეც გამეცინა და გამიკვირდა, როგორ შეძლება იცვლებოდეს მოგონებები, იმ ღამის მერე ათასი რამ შეიცვალა, ეხლა მე უკვე შემეძლო გამეცინა. ეს ბოლო ღამე იყო, როცა მე და ჯეიკი ერთად

ვიყავით და სანამ ის თავისი ანდერძის შესახებ გაიგებდა, ბოლო ადამიანური მოგონება, ეხლა ის სასიამოვნოც კი იყო.
– ეს ძალიან მაკლია,–თქვა ჯეიკმა,-მაშინ ყველაფერი ისეთი მარტივი იყო, მიხარია რომ ასეთი კარგი მოგონებები დამრჩა.
  მან იგრძნო როგორ დავიძაბე, როცა მისმა მოგონებებმა ჩემებიც გააღვიძა.
– რა დაგემართა?
– ეს ყველაფერი შენი კარგი მოგონებების გამო, იქნებ მითხრა რას აკეთებდი ორშაბათს დილით, რაღაც ისეთზე ფიქრობდი რამაც ედვარდი გაამწარა.
ჯეიკობი მიხვდა რა მაინტერესებდა და გაეცინა.
– უბრალოდ შენზე ვფიქრობდი, არ მოეწონა ხო?
– ჩემზე? მაინც რას?
  მან ისევ გაიცინა, მაგრამ ამჯერად უფრო მოღუშულმა.
– გავიხსენე იმ ღამეს როგორ გამოიყურებოდი, სემმა რომ გიპოვა, იცი ეს მოგონება სულ თან დასდევს სემს, შემდეგ ის გავიხსენე როგორი იყავი როცა ჩემთან პირველად მოხვედი, ნამდვილად ვიცი, რომ ვერც კი წარმოიდგენ როგორ მდგომარეობაში იყავი, ბელა, თითქმის თვე იყო გასული როცა ნელ-ნელა დაემსგავსე ადამიანს, სულ დაძაბული იყავი და ეხვეოდი საკუთარ თავს, რომ დამშვიდებულიყავი,-ჯეიკობი შეიჭმუხნა და თავი გაიქნია,-ამის გახსენება რთული ოყო ჩემთვის, იმის მიუხედავად რომ ეს ჩემი ბრალი არ იყო, მაგრამ ჩავთვალე რომ მისთვის ბევრად უფრო მძიმე იქნებოდა იმის ნახვა, როგორ დღეში ჩაგაგდო.
  მე ხელი მივარტყი მხარზე, ისე ძლიერ რომ მე თვითონ მეტკინა.
– ჯეიკობ ასე არადროს აღარ მოიქცე! შემპირდი რომ ამას აღარ იზავ.
– არა, ან როდის ვნახავ კიდევ, მაგრამ დიდი ხანია ასე არ მიმხიარულია.
  გაბრაზებული წამოვხტი და წასვლას ვაპირებდი, მან ხელით დამიჭირა. მე მთელი ძალით ვცდილობდი განთავისუფლებას.
– ჯეიკობ, მივდივარ!
– არა, ჯერ არ წახვიდე, მაპატიე, ამას მართლა აღარ ვიზავ, გპირდები!
– მადლობა.
– წამოდი სახლში წავიდეთ ჩემთან.
– მართლა უნდა წავიდე, ანჯელა ვებერი მელოდება და თან ვიცი რომ ელისი ნერვიულობს, არ მინდა ძალიან ვაწყენინო.
– მაგრამ სულ ეხლახანს მოხვედი.
– გეჩვენება,-ვთქვი მე და მზეს შვეხედე, რომელიც უკვე ჩვენს თავზე იყო, როგორ მოხდა რომ დრომ ესე გაირბინა?
ჯეიკი გაიბუსხა.
– არვიცი კიდევ როდის გნახავ,-ტკივილით სავსე ხმით მითხრა მან.

– დავბრუნდები, როცა კიდევ გაემგზავრება,-შევპირდი მე.
– გაემგზავრება? გადასარევი სახელია იმისთვის, რითიც ის ეხლაა დაკავებული, საზიზღარი პარაზიტები!
– თუ წესიერად მოქცევა არ შეგიძლია, საერთოდ არ დავბრუნდები,- ვთქვი მე და შევეცადე ხელები გამენთავისუფლებინა.
– ნუ ბრაზდები, ეს უბრალოდ რეფლექსია.
– თუ კიდევ მოვალ აქ შეეცდები უკეთ მოიქცე? იცი, სულ არ მაინტერესებს, ვინ არის მგელი და ვინ ვამპირი, შენ ჯეიკობი ხარ, ის ედვარდი და მე ბელა, დანარჩენი ყველაფერი უმნიშვნელოა.
– ხო მაგრამ მე ვაერვულფი ვარ და ის ვამპირი.
– მე კიდევ ქალწული ვარ ჰოროსკოპით! ვუპასუხე მე გაღიზიანებულმა.
– ნუ, თუ შენ ამას ესე აღიქვამ..
– კი, ზუსტად ესე.
– კარგი, მაშინ უბრალოდ ჯეიკობი და ბელა.
მან გამიღიმა თავისი თბილი, ნაცნობი ღიმილით, რომელიც ასე მაკლდა და მეც გავუღიმე.
– მართლა მომენატრე ჯეიკობ,-ვაღიარე მე.
– მეც, იმაზე მეტად ვიდრე შენ გგონია, როდის დაბრუნდები?,- მისი ღიმილი უფრო ფართო გახდა, მისი მზერა კი ნათელი და ბედნიერი.
– როგორც კი შევძლებ,- შევპირდი მე.

თავი 6

შვეიცარია

დაბრუნებისას გზას სულ არ ვუყურებდი, იმ ინფორმაციაზე ვფიქრობდი, რომელიც ჯეიკმა მომაწოდა, ვცდილობდი გავრკვეულიყავი და გამეგო მისი აზრი. დაღლილობის მიუხედავად უფრო მშვიდად ვგრძნობდი თავს, ჯეიკობი ხომ ისევ იღიმებოდა და ჩვენს შორის აღარ იყო საიდუმლოებები. ამითი ბევრი არაფერი იცვლებოდა, მაგრამ მაინც კარგი ვქენი რომ მივედი, ჯეიკობს ვჭირდებოდი და სრულიად ნათელი იყო, რომ არავითარი
საფრთხე არ მემუქრებოდა იქ.
ის მოულოდნელად გაჩნდა, თითქოს არსაიდან, წუთის წინ უკანა ფანჯარაში არაფერი ჩანდა, მზით განათებული გზის გარდა, ეხლა კი ვერცხისფერი ვოლვო მომყვებოდა.

– ჯანდაბა,-ავწუწუნდი მე.
მინდოდა გამეჩერებინა, მაგრამ ვერ შევძელი, მეშინოდა ეხლა მისი ნახვა, ცოტა დრო მჭირდებოდა. ვოლვო სულ რამოდენიმე სანტიმეტრით ჩამომრჩებოდა, ვცდილობდი გზისთვის მეყურებინა.
საშინლად მრცხვენოდა მისთვის თვალებში ჩამეხედა, ამიტომ ანჯელას გზას დავადექი.
ედვარდი ვებერების სახლამდე გამომყვა, შემდეგ არ გაჩერდა და გზა გააგრძელა, მანქანას ვუყურებდი სანამ გაქრებოდა. მანქანიდან გადმოვხტი და უცებ გავირბინე ბეტონის ბილიკი, ბენმა მაშინვე გააღო, თითქოს კარებში იდგა და მელოდებოდა.
– სალამი ბელა!-გაკვირვებულმა მითხრა მან.
– გამარჯონა ბენ, ანჯელა სახლშია?, - რატომღაც გავიფიქრე, ანჯელას ხომ არ დაავიწყდა ჩვენი გეგმები და სახლში ხომ არ მომიწევს დაბრუნება.
– რა თქმა უნდა,- ამ დროს ანჯელაც გამოჩნდა კიბეზე და დამიძახა.
– ბელა!
მანქანის ხმა გავიგონე, ამ ხმამ შემაშინა, მაგრამ ეს ოსტინი აღმოჩნდა, რომელსაც ბენი ელოდება. მან დაასიგნალა.
– ოსტინი მოვიდა,-უთხრა ბენმა ანჯელას,-მოგვიანებით განახავ, უკვე მენატრები!
ის ძლიერად მოეხვია ანჯელას და აკოცა.
– მიყვარხარ!- ყვიროდა ის, როცა მანქანისკენ მიდიოდა.
ანჯელა ოდნავ გაწითლდა, შემდეგ აზრზე მოვიდა და მეც მომაქცია ყურადღება.
– დიდი მადლობა ბელს, რომ დასახმარებლად მოხვედი, მართლა გულით გეუბნები, შენ ნამდვილად გადაარჩენ ჩემს ხელებს.
– მიხარია, რომ დახმარება შემიძლია.
პანიკამ გაიარა და უკვე მშვიდად ვსუნთქავდი, აქ ყველაფერი ისეთი მარტივი იყო, ანჯელას ადამიანური გრძნობები უცნაურად მამშვიდებდა, ძალიან სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ სადღაც მაინც იყო ნორმალური ცხოვრება.
მე ანჯელას გავყევი მის ოთახში, გზადაგზა გვხვდებოდა დაყრილი სათამაშოები, რომელსაც ის ფეხით ყრიდა აქეთ-იქით, სახლი საოცრად მშვიდი იყო.
– შენი ოჯახი სად არის?
– მშობლებმა ტყუპები პორტ ანჯელესში წაიყვანეს დაბადების დღეზე, არც კი მჯერა, რომ მეხმარები, ბენმა თავი მოიკატუნა, რომ სახსრები სტკივა.
ამაზე გამეცინა.
– არაუშავს,-ვთქვი მე, მაგრამ როცა ანჯელას ოთახში შევედი და მაგიდაზე დაყრილი კონვერტების რაოდენობა დავინახე ცუდად გავხდი.

ეხლა მივხვდი რატომ გადადო მან ასე დიდი ხნით ეს საქმე და ბენმა სახსრების ტკივილი რატომ მოიგონა.
– მე მეგონა ხუმრობდი,-ვაღიარე მე.
– ხო.. კიდევ გინდა დახმარება?
– მოდი დავიწყოთ, მთელი დღე თავისუფალი მაქვს.
ანჯელამ კონვერტები ორ ნაწილად გაყო და ერთი მე მომცა, შემდეგ დედამისის წიგნაკი აიღო და შუაში დადო, რამოდენიმე ხნის განმავლობაში მხოლოდ წერის ხმა ისმოდა.
– ედვარდი რას აკეთებს საღამოს?,-მკითხა მან.
კალმით ისე დავაწექი კონვერტს, რომ რამის გავხიე.
– ემეთი ჩამოვიდა არსდადეგებზე და მემგონი ლაშქრობაზე აპირებენ წასვლას.
– რაღაც არ ხარ დარწმუნებული.
მე მხრები ავიჩეჩე.
– გაგიმართლა, რომ ედვარდს ძმები ყავს მთელი ამ ბიჭური საქმეებისთვის, არვიცი რას ვიზავდი ბენს რომ ოსტინი არ ყავდეს ასეთი გართობებოსთვის.
– ხო, რავიცი, ეს ბუნებაში ძრომიალი ჩემთვის არ არის და არ მგონია, რომ როდისმე შევიცვლი აზრს.
– მეც სახლში გართობა მირჩევნია.
ანჯელა ისევ კონვერტებს დაუბრუნდა, მასთან არ იყო საჭირო ყველანაირ სისულელეზე ლაპარაკი, როგორც ჩარლი ასევე ისიც კონფორტულად გრძნობდა თავს სიჩულეში, მაგრამ მასავით დაკვირვებულიც იყო.

– რამე მოხდა,-ჩუმად მკითხრა მან,-მემგონი რაღაცას განიცდი.
– ასე მეტყობა,-მშვიდად გავუღიმე მე.
– არც ისე.
ალბათ მან მომატყუა, რომ არ მწყენოდა.
– თუ არ გინდა ნუ მომიყვები, მაგრამ თუ დაგჭირდება ყველაფერს მოვისმენ და გაგიგებ.
მინდოდა მეპასუხა:"მადლობთ-არა", მაგრამ ვერ შევძელი, ბოლოს და ბოლოს ძალიან ბევრი საიდუმლი იყო, რომელიც მე ვალდებული ვიყავი შემენახა, მე მართლა არ შემეძლო ამაზე ადამიანებთან ლაპარაკი, ეს წესებს ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ ამის მიუხედავად რატომღაც ეს ძალიან მინდოდა. მინდოდა ნორმალურ მეგობართან მელაპარაკა, ცოტა წამეტირა, კიდევ ის მინდოდა, რომ ჩემი პრობლემებიც ასეთი მარტივი ყოფილიყო, როგორც მისი. ალბათ ისეთი კარგი იქნებოდა იმასთან ლაპარაკი, ვინც ამ ზებუნებრივი რაღაცეებისგან ასე შორს იყო.
– აღარ გკითხავ გპირდები,- მითხრა ანჯელამ და წერა გააგრძელა.

– არა, მართალი ხარ,-ვუთხარი მე,- მართლა განვიცდი რაღაცას, ეს ედვარდს ეხება.
– რა მოხდა?
ისეთი ადვილი იყო მასთან საუბარი, ნამდვილად ვიცოდი, რომ იგი მხოლოდ საჭორაოდ არ მისვამდა კითხვებს, ის მართლა განიცდიდა, რომ პრობლემები მქონდა.
– ის გაბრაზებულია ჩემზე.
– არ მჯერა,-შეიცხადა მან,-რატომ?
– ჯეიკობ ბლექი გახსოვს?
– აა..კი.
– აჰა.
– გასაგებია, ის ეჭვიანობს.
– არა, არ ეჭვიანობს, უბრალოდ ედვარდს მიაჩნია, რომ ის ჩემზე ცუდ ზეგავლენას ახდენს, რომ ის საშიშია ჩემთვის, მაგრამ ეს მგონი სისულელეა.
სიტყვები თავისით ცვიოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი მონატრებული ვიყავი ადამიანურ საუბარს.
გამიკვირდა როცა ანჯელამ თავი გაიქნია?
– რა?,-ვკითხე მე.
– ბელა, მე დავინახე როგორ გიყურებს ჯეიკობ ბლექი, დარწმუნებული ვარ საქმე მხოლოდ ეჭვიანობაშია.
– ჯეიკობთან ყველაფერი სხვანაირად არის.
– ალბათ შენთვის, მაგრამ ჯეიკობისთვის არა.
მე გავიბუსხე.
– ჯეიკობმა იცის ჩემი გრძნობების შესახებ, ყველაფერი მოყოლილი მაქვს.
– ბელა, ედვარდი უბრალოდ ადამიანია და ისე რეაგირებს, როგორც სხვა ბიჭები.
გამომეტყველება შემეცვალა, მაგრამ რა უნდა მეთქვა.
მან ხელი დამადო მკლავზე.
– ის ამას გადაიტანს.
– იმედი მაქვს, ჯეიკობს ეხლა ძალიან რთული პერიოდი აქვს, მე მას ვჭირდები.
– შენ და ჯეიკობი ასე ახლოს ხართ ერთმანეთთან?
– როგორც ნათესავები,-ვუთხარი მე.
– და ედვარდს ეს არ მოსწონს, ეს ალბათ რთულია, ნეტავ ბენი როგორ მოიქცეოდა,- ჰკითხა მან თავისთავს.
– ალბათ, როგორც ყველა ჩვეულებრივი ბიჭი,-გავუღიმე მე.
– ალბათ.
ანჯელა მიხვდა, რომ მეტს აღარაფერს ვიტყოდი და თემა შეცვალა.

– გუშინ ოთახი მივიღე საერთო საცხოვრებელში, რა თქმა უნდა კამპუსიდან ყველაზე მოშორებულ შენობაში.
– ბენმა უკვე იცის? ის სად გაჩერდება?
– ის უფრო ახლოს იქნება კამპუსთან, ყოველთვის უმართლებს, შენ უკვე გადაწვიტე სად გაემგზავრები?
  მე თვალები დავხარე, გავიფიქრე ბენზე, ანჯელაზე, ვაშინგტონის უნივერსიტეტზე, რამოდენიმე თვეში ისინი სიეტლში გაემგზავრებიან, იქნებიან თუ არა ისინი უსაფრთხოდ? ხომ არ გადავა იქ რომელიმე ახლადგადაქცეული ვამპირი? იქნებ ეს მე ვიქნები?
  შევეცადე ეს ყველაფერი თავიდან ამომეგდო და დაგვიანებით ვუპასუხე მას.
– მემგონი ალიასკაში წავალ, ჯუნოში.
  მას გაუკვირდა.
– ალიასკა? მართლა? არა, ეს კი კარგია, მაგრამ მე მეგონა, რომ უფრო თბილ ადგილას გაემგზავრებოდი.
  გამეცინა.
– ფორქსმა ნამდვილად შეცვალა ჩემი მომავლის გეგმები.
– და ედვარდი?
– ალიასკის სიცივის მასაც არ ეშინია.
  მან გამიღიმა.
– ეს ისე შორია, ალბათ ხშირად ვერ შეძლებ ჩამოსვლას, ძალიან მომენატრები, ხომ მომწერ ხოლმე?
  ჩუმმა სევდის ტალღამ დამიარა, იქნებ შეცდომა იყო ანჯელასთან ეხლა ასე დაახლოვება, მაგრამ ეს ხომ ბოლო შანსი იყო.
– ამის შემდეგ თუ კიდევ შევძლებ ბეჭდვას,-ვუთხარი მე და კონვერტებზე მივანიშნე.
  ამაზე ორივეს გაგვეცინა და ისევ საქმეს შევუდექით, იმდენად მეშინოდა წასვლის, რომ ანჯელას მარკების დაკვრაშიც დავეხმარე.
– ხელი როგორ გაქვს?,-მკითხა მან.
  მე თითები გავამოძრავე.
– მემგონი როდისმე ყველა ფუნქციას აღვიდგენ.
  ქვევით კარის ხმა გავიგონეთ და ერთმანეთს გადავხედეთ..
– ანჯელა?,- დაუძახა ბენმა.
  – მემგონი ჩემი წასვლის დროა.
– სულაც არ არის აუცილებელი რომ წახვიდე, ის მაინც ფილმის მოყოლას დაიწყებს ეხლა.
– მაინც უნდა წავიდე, ალბათ ჩარლი მეძებს უკვე.
– მადლობა დახმარებისთვის.
– მართალი გითხრა ძალიან კარგი დრო გავატარე, ეს კიდევ უნდა გავიმეოროთ.
– ნამდვილად.

კარზე მშვიდად დააკაკუნეს.
– შემოდი ბენ,-უთხრა ანჯელამ.
მე ავდექი.
– ეი, ბელა, ცოცხალი ხარ?,-გაიხუმრა ბენმა და ჩემს ადგილზე დაჯდა ანჯელას გვერდით,-კარგად გიმუშავიათ.
ანჯელამ შემომხედა და თვალები გადაატრიალა.
– აბა შეხვედრამდე, სკოლაში გნახავთ.
– შეხვედრამდე.
საშინლად ვნერვიულობდი სანამ პიკაპამდე მივედი, მაგრამ ქუჩა ცარიელი იყო, გზაშიც სულ სარკეებში ვიყურებოდი, მაგრამ ვერცხლისფერი ვოლვო არსად ჩანდა.
არც ჩემი სახლის წინ არ იდგა.
– ბელა?,-დამიძახა ჩარლიმ როცა სახლში შევედი.
– გამარჯობა მამა.
– დღემ როგორ ჩაიარა?
– კარგად.
უნდა მოვუყვე, ის მაინც ხვალ ყველაფერს გაიგებს ბილისგან, თან ძალიან გაუხარდება.
– სამსახურში აღარ დავჭირდი და ლაპუშზე წავედი.
არ გაუკვირდა, ე.ი უკვე ელაპარაკა ბილის.
– ჯეიკობი როგორ არის?
– კარგად.
– ვებერებთან იყავი?
– აჰა, ყველა მოსაწვევი დავწერეთ.
– კარგია, მიხარია, რომ დღე მეგობრებთან ერთად გაატარე,-მითხრა ჩარლიმ და ფართოდ გამიღიმა.
– მეც.
სამზარეულოში გავემართე, რომ რამე საქმე მეპოვა, მაგრამ სამწუხაროდ ჩარლის უკვე ყველაფერი მილაგებული ჰქონდა.
– წავალ ვიმეცადინებ,-განვაცხადე მე და კიბეებს ავუყევი.
– კარგი ბელს.
კარგად დავკეტე კარი სანამ მოვბრუნდებოდი და ოთახს დავათვალიერებდი.
რა თქმა უნდა ის აქ იყო. მოპირდაპირე კედელთან იდგა. ის საშინლად დაძაბული იყო და ჩუმად მიყურებდა.
მე გავჩერდი და განაჩენს ველოდებოდი, მაგრამ მას ხმა არ ამოუღია, ის ძალიან გაბრაზებული იყო იმისთვის, რომ რამე ეთქვა.
– სალამი,-ბოლოს და ბოლოს ამოვღერღე მე.
მისი სახე თითქოს გაქვავდა, ასამდე დავითვალე, მაგრამ არაფერი შეცვლილა.
– ე..ე.. მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ,-გავაგრძელე მე.

მან მკერდიდან საშინელი ხმა ამოუშვა, მაგრამ გამომეტყველება არ შეუცვლია.
– არავითარი საფრთხე არ ყოფილა.
ის გაინძრა და თვალები დახუჭა.
– ბელა,-ჩაიჩურჩულა მან,-წარმოგიდგენია მაინც, რამდენად ახლოს ვიყავი დღეს იმასთან, რომ საზღვარი გადამეკვეთა, შეთანხმება დამერღვია და გამოგყოლოდი? იცი მაინც ამას რა მოყვებოდა? სუნთქვა შემეკვრა. მან თვალები გაახილა.
– ეს არ უნდა გააკეთო,-თითქმის ვიყვირე მე და მერე შევეცადე თავი ხელში ამეყვანა,-ისინი ნებისმიერ საბაბს გამოიყენებენ, რომ ბრძოლა დაიწყონ, წესები არ უნდა დაარღვიო!
– იქნებ მარტო მათ არ უნდათ ბრძოლა.
– არ დაიწყო!-უხეშად ვუთხარი მე,-თქვენ შეთანხმება დადეთ და ის უნდა შეასრულოთ!
– რამე რომ დაეშავებინა შენთვის..
– შეწყვიტე!, აქ არაფერია სანერვიულო, ჯეიკობი არ არის საშიში.
– ბელა, შენ არ იცი და არის საშიში და რა არა.
– მე ის ვიცი, რომ ჯეიკის არ უნდა მეშინოდეს.
მან ტუჩები მოკუმა და ისევ დაძაბული იდგა კედელთან, საშინლად მაღიზიანებდა ჩვენს შორის ამხელა მანძილი. ღრმად ჩავისუნთქე და მასთან მივედი, ის არც განძრეულა როცა მოვეხვიე, ყინულივით ცივი იყო.
– მაპატიე, რომ განერვიულე,-ჩუმად ვუთხარი მე.
მან ამოისუნთქა და წელზე მომხვია ხელები.
– "მანერვიულე" ცოტა რბილი ნათქვამია, ეს ძალიან გრძელი დღე იყო.
– შენ ეს არ უნდა გაგეგო, წესით ეხლაც სანადიროდ უნდა იყო.
მე სახეზე შევხედე, მისი თვალები შავი იყო, საშინლად გავბრაზდი.
– როცა ელისმა ვეღარ დაგინახა, დავბრუნდი,-ამიხსნა მან.
– არ იყო საჭირო ამის გაკეთება, ეხლა ისევ უნდა წახვიდე.
– შემიძლია მოცდა.
– ეს სასაცილოა ედვარდ, იმას ვგულისხმობ, რომ ელისი კი ვერ დამინახავდა, მაგრამ შენ უნდა გცოდნოდა..
– მაგრამ არ ვიცოდი,-შემაწყვეტინა მან, -და არც იფიქრო, რომ უფლებას მოგცემ..
– კი, ვფიქრობ..
– ასეთი რამ აღარ განმეორდება!
–ზუსტად!, იმიტომ, რომ ასე აღარ მოიქცევი მეორედ, მე ხომ მესმის, რომ უნდა წახვიდე ხოლმე, იმის მიუხედავად, რომ ეს სულაც არ მომწონს.
– ეს ერთი და იგივე არ არის, მე ჩემს სიცოცხლეს საფრთხეში არ ვიგდებ.

– არც მე.
– ვაერვულფები საშიშები არიან!
– არ გეთანხმები.
– ბელა, ამის განხილვას არ ვაპირებ.
– არც მე.
ზურგს უკან ვგრძნობდი როგორ დაეჭიმა ხელები.
– მთელი პრობლემა მარტო ჩემს უსაფრთხოებაშია?
– რას გულისხმობ?,-მკითხა მან.
ანჯელას თეორია ეხლა უფრო სულელურად მომეჩვენა, არც კი ვიცოდი რა მეთქვა.
– ხომ იცი, რომ საეჭვიანო არაფერი გაქვს.
მან წარბი ასწია.
– არა?
– მორჩი ხუმრობას.
– აქ არაფერია სახუმარო.
– მემგონი აქ ყველაფერი აირია ხო? ვაერვულფები და ვამპირები მტრები სამუდამოდ თუ უბრალოდ მამაკაცურმა ჰორმონებმა იჩინა თავი?
მას თვალები აუელვარდა.
– ერთადერთი რაზეც ვნერვიულობ შენი უსაფრთხოებაა.
– კარგი, მჯერა, მაგრამ მინდა, რომ იცოდე, რომ ეს უაზრო ლაპარაკი თქვენს მტრობაზე მე არ მეხება, მე ნეიტრალური მხარე ვარ, შვეიცარია ვარ და არ მინდა, რომ ტერიტორიის გამო ატეხილი მითოლოგიური გმირების კონფლიქტი მეხებოდეს. ჯეიკობი ნათესავივით არის ჩემთვის, შენ კი ცხოვრების სიყვარული, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაგრამ მე მემგონი უფრო დიდხანს მეყვარები, ვიდრე ეს ცხოვრება გულისხმობს, შენ ჩემი არსებობის სიყვარული ხარ, ჩემთვის სულერთია ვინ ვინ არის, ანჯელა თუ ჯადოქრად გადაიქცევა თავისუფლად შეუძლია შემოგვიერთდეს.

თვალებმოჭუტული მისმენდა.
– შვეიცარია!,-გავიმეორე მე.
– ბელა,-დაიწყო მან, შემდეგ გაჩერდა და ცხვირი აიბზუა.
– კიდევ რა?
– არ გეწყინოს, მაგრამ ძაღლის სუნი გაქვს.
მან გამიღიმა და მივხვდი, რომ დღეისთვის კამათი დამთავრებულია.

ედვარდი სანადიროდ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ წასვლა ხუთშაბათისთვის გადაიდო. ის, ჯასპერი ემეთი და კარლაილი კალიფორნიის რომელიღაც ნაკრძალში აპირებდნენ წასვლას პუმების საძებრად.

ვაერვულფების თაობაზე შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ, ის წავიდა რომ მანქანა წაეყვანა და მერე ჩემს ფანჯარაში შემომძვრალიყო, ამასობაში მე ყველანაირი სინდისის ქენჯნის გარეშე დავურეკე ჯეიკს და ვუთხარი, რომ შაბათს ისევ მივიდოდი მის სანახავად, აქ არც არაფერი იყო დასამალი, ედვარდმა ისედაც იცოდა ჩემი გრძნობების შესახებ, თუ კიდევ გამიფუჭებდა მანქანას, მაშინ ჯეიკობი თვითონ მომაკითხავდა, ფორკსი ნეიტრალური ტერიტორია იყო, როგორც შვეიცარია, როგორც მე.

ოთხშაბათს მუშაობა, რომ დავამთავრე დავინახე რომ ედვარდის ვოლვოს საჭესთან ელისი მელოდებოდა, თავიდან ამან არ გამაჯვირვა, კარები ღია იყო და საშინელი ხმაურიანი მუსიკა უკრავდა.
– სალამი ელის,-ვთქვი მე როცა მანქანაში ვჯდებოდი, შევეცადე მუსიკის ხმა გადამეფარა,-სად არის შენი ძმა?
ელისი მუსიკასთან ერთად მღეროდა და მისი ხმა ერთი ოქტავით მაღლა იყო მელოდიაზე, მან თავი დამიქნია და არ მიპასუხა კითხვაზე.
მანქანაში ჩავჯექი და ყურებზე ხელები მივიფარე, ის მიხვდა, გაეცინა და მუსიკას ჩაუწია.
– რა ხდება? სად არის ედვარდი?
მან მხრები აიჩეჩა.
– ადრე გაემგზავრნენ.
შევეცადე დამემალა ჩემი ცუდი განწყობა. რახან მალე წავიდნენ ე.ი მალე დაბრუნდებიან.
– ყველა ბიჭი წავიდა და დღეს გოგოების წვეულება გვაქვს!,-წაიღიღინა ელისმა.
– წვეულება?,-ამან დამაეჭვა.
– არ გიხარია?,წამოიყვირა მან.
– შენ მე მიტაცებ ხო?
მას გაეცინა და თავი დამიქნია.
– ხო შაბათამდე, ესმემ უკვე ყველაფერი მოაგვარა ჩარლისთან, ორი ღამე ჩემთან დარჩები, ხვალ წაგიყვან და წამოგიყვან სკოლიდან.
გაბრაზებული შევბრუნდი ფანჯრისკენ.
– მაპატიე,-მითხრა ელისმა,-მან გადამიხადა.
– რამდენი?,-ვთქვი მე კბილებს შორის.
– "პორშე", ზუსტად ისეთი იტალიაში რომ მოვიპარე, მაგრამ ალბათ ფორკსში მას ვერ ვატარებ.
ჩვენ ძალიან სწრაფად მივდიოდით და მალე უკვე კალენების ფარეხთან ვიყავით, ემეთის ჯიპი აქ იყო და მის მანქანას და როზალის კაბრიოლეტს შორის ყვითელი პორშე იდგა.
ელისი გრაციოზულად გადახტა მანქანიდან, თავის "ქრთამთან" მივიდა და ხელი დაუსვა მანქანას.

– ლამაზია არა?
– გადასარევი, მანქანა მარტო იმიტომ მოგცა, რომ ორი დღით შენი ტყვე ვიყო?
ელისი დაიჭყანა.
ერთი წამის მერე მივხვდი.
– და სულ ესე იქნება, რომ წავა ხოლმე?
მან თავი დამიქნია.
კარი მაგრად გამოვიჯახუნე და სახლისკენ წავედი, ელისი ცეკვა-ცეკვით მომყვებოდა.
– ელის, არ ფიქრობ, რომ ეს უკვე ძალიან ზედმეტია? თან არანორმალური?
– მემგონი არა, შენ მემგონი ვერც კი ხვდები, როგორი საშიში შეიძლება იყოს ახალგაზრდა ვაერვულფი, თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მე მათ ვერ ვხედავ, ედვარდს ზუსტად ვერ ეცოდინება საფრთხეში ხარ თუ არა, ცოტა წინდახედულად უნდა მოიქცე.
– ხო რა თქმა უნდა ვამპირი გოგოების წვეულებაზე უფრო უსაფრთხოდ ვიქნები,-ვთქვი მე მჟავედ.
ელისს გაეცინა.
– გპირდები, რომ არ მოიწყენ.

ყველაფერი არც ისე ცუდად იყო, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ აქ ჩემი ნებით არ ვიყავი. ესმემ ყველაზე კარგი იტალიური საჭმელი მოიტანა, ელისმა კი ჩემი საყვარელი ფილმების დისკები, როზალიც ჩვენთან ერთად იყო, თუმცა სულ ჩუმად იჯდა. ელისმა დაიჩემა ჩემთვის პედიკურის გაკეთება და მანამდე არ მოისვენა სანამ მუქი წითელი ლაქი არ წამისვა.
– როდემდე არ დაიძინებ?
– არ მინდა დიდხანს ჯდომა, დილით სკოლაში ვართ წასასვლელები.
ელისი გაიბუტა.
– ხო მართლა სად უნდა დავიძინო?, -ვთქვი და პატარა ტახტს შევხედე, რომელზეც ვიჯექი,-იქნებ ჩემს სახლში დავიძინო და იქ მითვალთვალო?
– აბა ეს რაღა გოგოების წვეულებაა?,-ელისმა გაღიზიანებულმა გაიქნია თავი,-შენ ედვარდის ოთახში დაიძინებ.
ამოვიოხრე. ედვარდის შავი ტყავის დივანი ამაზე ოდნავ გრძელი იყო, სამაგიეროდ იატაკზე დაფენილი ოქროსფერი ხალიჩა იყო სქელი და შემეძლო იმაზე დამეძინა.
– იმისთვის მაინც მივალ სახლში, რომ ჩემი ნივთები წამოვიღო.
– ყველაფერი მოგვარებულია.
– შეიძლება შენი ტელეფონით ვისარგებლო?

ელისი დაფიქრდა.
– არამგონია, რომ დარეკვა საჭიროა.
– ელის, გეყოფა! კარგი რა.
– კარგი, კარგი, -მითხრა მან და ტელეფონი მომაწოდა,-დარეკვა ედვარდს არ აუკრძალია.
ჯეიკობის ნომერი ავკრიფე იმის იმედით, რომ ის ეხლა სადმე არ დახეტიალობდა თავის მეგობრებთან ერთად. ამჯერად გამიმართლა და მან აიღო ყურმილი.
– გისმენთ?
– ჯეიკ, მე ვარ.
ელისი ერთ წუთს გაოგნებული მიყურებდა, შემდეგ ადგა და როზალის და ესმეს შორის დაჯდა დივანზე.
– სალამი ბელს,-მითხრა მან შეშფოთებული ხმით,-რამე მოხდა?
– კარგი არაფერი, უბრალოდ შაბათს ვერ მოვალ.
სიჩუმე ჩამოვარდა.
– იდიოტი სისხლისმსმელი!-ბოლოს და ბოლოს თქვა მან,-მე მეგონა ის წავიდა, ნუთუ როცა ის წასულია არ გაქვს უფლება რაც გინდა ის აკეთო, თუ რომ მიდის კუბოში გკეტავს?
მე გადავიხარხარე.
– ეს სასაცილო არ არის ბელა.
– იმიტომ გამეცინა, რომ თითქმის გამოიცანი, შაბათს დაბრუნდება.
– ფორკსში აპირებენ კვებას?
შევეცადე არ გავღიზიანებულიყავი.
– არა, ედვარდი ადრე წავიდა.
– მაშინ ეხლა მოდი, ჯერ არ არის გვიან, ან მე მოვალ ჩარლისთან,-მითხრა მან მონდომებულმა.
– დიდი სიამოვნებით, მაგრამ დღეს ჩარლისთან არ ვარ, შეიძლება ითქვას დღეს ტყვე ვარ.
ცოტახნის განმავლობაში ის ჩუმად იყო, ალბათ ცდილობდა გაეაზრებინა რა ვუთხარი.
– ჩვენ მოვალთ და წამოგიყვანთ,-მითხრა მან აღრენილმა.
გამაჟრიალა, მაგრამ ვეცადე ხუმრობით მეპასუხა.
– საინტერესოა, ისე რომ იცოდე მაწამეს, ელისმა პედიკური გამიკეთა.
– სერიოზულად გეუბნები.
– არ გინდა ჯეიკ, მათ უბრალოდ უნდათ, რომ კარგად ვიყო.
მან ისევ დაიღრინა.
– ვიცი ჯეიკ, ეს სულელურად მოგეჩვენება, მაგრამ ისინი თავიანთ გულის კარნახს მისდევენ.
– გულის!,-გაეცინა მას.
– მაპატიე შაბათის გამო, ეხლა კი უნდა წავიდე და დავიძინო, მალე დაგირეკავ.

– დარწმუნებული ხარ, რომ მოგცემენ უფლებას?
– არც ისე,-ამოვიოხრე მე,-ძილი ნებისა ჯეიკობ.
– კარგი, შეხვედრამდე.
ელისი უცებ გაჩნდა ჩემს გვერდით და ტელეფონის გამორთმევას აპირებდა, მაგრამ მე მოვასწარი ნომრის აკრეფა და მან ის დაინახა.
– მემგონი მას ეხლა თან არ ექნება ტელეფონი,-მითხრა მან.
– შეტყობინებას დავუტოვებ.
ოთხი ზუმილის შემდეგ ავტომოპასუხე ჩაირთო.
– შენ დიდი უსიამოვნებები გაქვს,- ვთქვი მე ნელა, რომ თითოეული სიტყვა გამომეყო,-ძალიან დიდი, გამხეცებული დათვები სათამაშოებათ მოგეჩვენება იმასთან შედარებით რაც სახლში გელოდება.
უხეშად დავკეცე ტელეფონი და ელისს მივაწოდე.
მას გაეცინა.
– შენი ტყვედ დატოვება ძალიან სახალისოა.
– ეხლა ძილს ვაპირებ!,- განვაცხადე მე და კიბისკენ გავემართე, ელისიც გამომყვა.
– ელის, არ ვაპირებ გაქცევას და რომც დამეპირებინა შენ ეს უკვე გეცოდინებოდა და დამაკავებდი.
– მე იმიტომ მოვდივარ, რომ განახო სად არის შენი ნივთები, მითხრა მან უსუსურად.
ედვარდის ოთახი მესამე სართულის კორიდორის ბოლოში იყო, არ იყო რთული ამის დამახსოვრება, მაგრამ როცა კარი შევაღე და შუქი ავანთე გაოგნებული გავშეშდი.
– კარი შემეშალა?
ელისმა ხითხითი დაიწყო.
ცოტახანში მივხვდი, რომ ეს იგივე ოთახი იყო, უბრალოდ მან ავეჯი გადააადგილა, შავი ტახტი ჩრდილოეთ კედელთან იდგა, დიდი მაგნიტოფონი კი წინ იყო წამოწეული, უზარმაზარ, დისკებით სავსე თაროებთან ერთად და ეს ყველაფერი იმისთვის რომ ადგილი გაენთავისუფლებინა უზარმაზარი მაშტაბის საწოლისთვის, მას ეკავა ოთახის ცენტრალური ადგილი.
ყველაფერი კიდევ უფრო საშინლად გამოიყურეოდა, იმიტომ, რომ დიდი შუშის კედელი სარკეს გავდა და ოთახს აირეკლავდა.
საწოლი შეხამებული იყო დანარჩენ ფერებთან, ის შავი იყო და ვარდებით და სხვადასხვა ორნამენტებით მოჩუქურთმებული, ზედ კი მუქი ოქროსფერი, კედლებზე ოდნავ ღია ფერის გადასაფარებელი იყო დაფარებული. საწოლზე ლამაზად იყო დაკეცილი ჩემი პერანგი. ჩანთა, ჩემი პირადი ნივთებით გვერდზე იდო.
– ეს რა უბედურებაა?
– შენ რა გეგონა, დივანზე დაძინების უფლებას მოგცემდა?

რაღაცა ჩავიბურტყუნე ჩემთვის და საწოლთან მივედი, რომ ჩემი ნივთები ამეღო.
– მარტოს დაგტოვებ,-გამიღიმა ელისმა,-დილით გნახავ.
კბილები გავიხეხე და გამოვიცვალე, შემდეგ საწოლიდან დიდი ფუმფულა ბალიში და ოქროსფერი გადასაფარებელი ავიღე და დივანზე გადავათრიე, ვიცოდი, რომ სულელურად ვიქცეოდი, მაგრამ ეს არ მადარდებდა. უზარმაზარი საწოლი, იმ სახლში სადაც არავის არ ეძინა, საშინლად მაღიზიანებდა, შუქი გამოვრთე და დავწექი იმის იმედით, რომ შევძლებდი ამ მდგომარეობაში დაძინებას.
სიბნელეში შუშის კედელი აღარ ჰგავდა სარკეს, მთვარის შუქი ანათებდა ღრუბლებს ფანჯრის იქით, როცა ჩემი თვალები სიბნელეს შეეჩვია, დავინახე როგორ ბზინავდა ხის წვეროები ამ ვერცხლისფერ შუქზე, ამ შუქს ვუყურებდი და ველოდებოდი ქუთუთოები როდის დამიმძიმდებოდა.
კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.
– რა არის ელის?-ვთქვი მე წუწუნით და წარმოვიდგინე ელისის სახე, როცა ის დივანზე დამინახავდა.
– ეს მე ვარ,-რბილად თქვა როზალიმ და ფრთხილად შემოაღო კარი, ვერცხლისფერმა შუქმა გაანათა მისი ლამაზი სახე.
– შეიძლება შემოვიდე?

თავი 7

უბედური დასასრული

როზალი დაბნეულად იდგა კარებში, მისი საოცრად ლამაზი სახის გამომეტყველებით მივხვდი, რომ ვერ გადაეწყვიტა შემოსულიყო თუ არა.
– რა თქმა უნდა,-ვუპასუხე მე, დაბნეულობისგან ჩემი ხმა ერთი ოქტავით მაღლა ჟღერდა.
მე დავჯექი და გავიწიე, რომ მისთვის ადგილი გამენთავისუფლებინა. მუცელში ნერვიულმა სპაზმმა დამიარა, როცა ერთ-ერთი კალენი, რომელსაც ასე არ ვუყვარდი ჩუმად მომიახლოვდა და ჩემს გვერდით დაჯდა.
– წინაამღდეგი ხომ არ ხარ რამოდენიმე წუთი რომ ვილაპარაკოთ, ხომ არ გაგაღვიძე?,-მკითხა როზალიმ.

მან ჯერ უზარმაზარ საწოლს შეხედა და შემდეგ დივანს, რომელზეც ვიჯექით.
– არა, არ მეძინა, რა თქმა უნდა შეგვიძლია ვილაპარაკოთ,-ნეტავ შემემჩნა, რომ ვნერვიულობ?
მან ნაზად გაიცინა, მისი სიცილი პატარა ზარების ხმას ჰგავდა.
– ის ისე იშვიათად გტოვებს მარტოს, ჩავთვალე, რომ უნდა მესარგებლა ამ მომენტით,-მითხრა მან.
ნეტავ რა უნდა მითხრას ისეთი რასაც ედვარდის თანდასწრებით ვერ მეტყვის? ნერვიულად ვებღაუჭებოდი გადასაფარებელს.
– გთხოვ არ იფიქრო, რომ რამე ცუდი უნდა გითხრა,-რბილად მითხრა როზალიმ, ხელები მუხლებზე დაიწყო და მათ უყურებდა როცა ლაპარაკობდა,-ადრე ძალიან გაწყენინე, არ მინდა ეს კიდევ გავაკეთო.
– ნუ ნერვიულობ როზალი, არ მეწყინება, რისი თქმა გინდა?
მან ისევ გაიცინა, ამჯერად ნერვიულად.
– შევეცდები მოგიყვე, თუ რატომ ვფიქრობ, რომ ადამიანად უნდა დარჩე, მიზეზები, რის გამოც ამას ვამჯობინებდი, შენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი.
– აჰ..
– ედვარდს როდისმე მოუყოლია იმის შესახებ თუ რატომ ვფიქრობ ასე?
მე ნელა დავუქნიე თავი.
– მან მითხრა, რომ ეს იმას ჰგავდა რაც პორტ ანჯელესში შემემთხვა, ოღონდ არავინ იყო მშველელი,- ამ მოგონებამ საშინლად დამძაბა და კანკალი დავიწყე.
– სულ ეს არის რაც გითხრა?
– კი, და კიდევ არის რამე?
მან გამიღიმა, მისი სახე სასტიკი და მწარე იყო, მაგრამ ამის მიუხედავად სულისშემძვრელად ლამაზი.
– კი, არის რაღაც.
ველოდებოდი სანამ ფანჯარაში იყურებოდა, ალბათ ცდილობდა დაწყნარებულიყო.
– ბელა, გინდა ჩემი ისტორია მოისმინო? მას ცუდი დასასრული აქვს, მაგრამ ნეტავ რომელი ჩვენთაგანის ისტორია მთავრდება კარგად?
მე თავი დავუქნია, თუმცა შემაშინა მისმა ტონმა.

– შენთან შედარებით მე სულ სხვა სამყაროში ვცხოვრობდი, ჩემი ადამიანური სამყარო ბევრად მარტივი იყო. ეს იყო 1933 წელი, თვრამეტი წლის უკვე საოცრად ლამაზი ვიყავი და ჩემი ცხოვრება იდეალური იყო.
– ჩემი მშობლები საშუალო ფენის ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ, მამაჩემს სტაბილური სამუშაო ჰქონდა ბანკში და ეხლა ვხვდები, რომ

ის კმაყოფილი იყო იმის რასაც მიაღწია, შრომით და მონდომებით. მაშინ ეს ყველაფერი ჩვეულებრივ ამბავად მიმაჩნდა, არც კი ვიცოდი რა იყო სიღარიბე, რა თქმა უნდა მინახავს ღარიბები, მაგრამ მამაჩემმა დამარწმუნა, რომ ისინი თვითონ იყვნენ დამნაშავენი, რომ ასე ცხოვრობდნენ.

–დედაჩემის სამუშაო სახლი იყო, მას უნდა მიეხედა იმისთვის, რომ ყველაფერი ყოველთვის წესრიგში ყოფილიყო და კიდევ მე და ჩემი უმცროსი ძმები უნდა გავეზარდეთ. მე მათი საყვარელი შვილი ვიყავი, თავიდან უბრალოდ არ მესმოდა, რომ ჩემი მშობლები არც ისეთი კმაყოფილები იყვნენ თავიანთი ცხოვრებით, იმის მიუხედავად რომ ბევრზე მეტი შემოსავალი გვქონდა, მათ მეტი უნდოდათ, განსაკუთრებით საზოგადოებაში გამოჩენა, ჩემი სილამაზე მათთვის საჩუქარივით იყო, ამაში ისინი მეტს შესაძლებლობებს ხედავდნენ ვიდრე მე.

– მათგან განსხვავებით მე ყველაფერი მომწონდა, კმაყოფილი ვიყავი, რომ როზალი ჰეილი ვიყავი. ძალიან მსიამოვნებდა როცა ქუჩაში ყველა თვალს მაყოლებდა, ჩემი დაქალები შურით იწვებოდნენ, როცა ჩემს თმებს ეხებოდნენ, დედა გიჟდებოდა ჩემზე, მამა კი ლამაზ კაბებს ყიდულობდა ჩემთვის.

–ვიცოდი რა მინდოდა ამ ცხოვრებისგან და ყველაფერი სწორედ იქითკენ მიდიოდა, მინდოდა ყველასთვის სასურველი ვყოფილიყავი, მინდოდა ყვავილებში ჩაფლული გრანდიოზული ქორწილი, რომ მთელ ქალაქს დაენახა როგორ მივყავდი მამაჩემს საკურთხეველთან. მე სულელი და ზედაპირული ვიყავი.

–ასეთი ჩემი მშობლების ზეგავლენით გავხდი და მეც ზუსტად ის მინდოდა რაც მათ, დიდი ელეგანტური სახლი, სადაც ვინმე იზრუნებდა წესრიგზე და ყველაფერ დანარჩენზე.

– მაგრამ იყო რაღაც რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

– ჩემი საუკეთესო მეგობარი ვერა ადრე გათხოვდა, ის სულ რაღაც ჩვიდმეტი წლის იყო და ცოლად ისეთ ადამიანს გაყვა, რომელსაც ჩემი მშობლები არასდროს გამაყოლებდნენ, ის დურგალი იყო. ერთი წლის შემდეგ მათ შვილი ეყოლათ, ლამაზი, შავ კულულებიანი ბიჭუნა, მაშინ ცხოვრებაში პირველად მივხვდი თუ რას ნიშნავდა შური.

როზალიმ კიდევ ერთხელ შემომხედა თავისი უძირო თვალებით.

– ბელა, მაშინ სულ სხვა დრო იყო, მიუხედავად იმისა, რომ შენხელა ვიყავი უკვე მზად ვიყავი ამისთვის, მეც მინდოდა, რომ ბავშვი მყოლოდა, სახლი და ქმარი მინდოდა, რომელიც მაკოცებდა ხოლმე სამსახურიდან დაბრუნებისას, ზუსტად ისე როგორც ვერასთან იყო, მაგრამ ფიქრებში ჩემი სახლი ბევრად სხვანაირი წარმომედგინა.

ჩემთვის ძალიან რთული წარმოსადგენი იყო ის სამყარო, რომელსაც როზალი იცნობდა, მისი მონაყოლი ზღაპარს ჰგავდა, ოდნავ შოკირებულმა გავიაზრე, რომ ეს ზუსტად ის სამყარო იყო, რომელშიც ედვარდი ცხოვრობდა სანამ ადამიანი იყო. სანამ როზალი ჩუმად იჯდა ვფიქრობდი, ნუთუ ჩემი სამყარო მისთვის ისეთივე უცხოა როგორც ჩემთვის როზალისი?

როზალიმ ამოისუნთქა და გააგრძელა.

– როჩესტერში მხოლოდ ერთი ოჯახი იყო, რომელიც მაღალ საზოგადოებას მიეკუთვნებოდა, მათი გვარი იყო ქინგი. როის ქინგი ბანკის პატრონი იყო, სადაც მამაჩემი მუშაობდა, მას ეკუთვნოდა ყველა შემოსავლიანი ბიზნესი ქალაქში. სწორედ იქ მნახა პირველად მისმა შვილმა, უმცროსმა როის ქინგმა,-ამ სახელის წარმოთქმისას სახე მოეღუშა,-მას უნდა აეღო თავის თავზე ბანკის საქმეები, ამიტომ ხშირად იყო იქ, რომ სხვა და სხვა ნიუანსები შეესწავლა. ორი დღის შემდეგ დედაჩემს ვითომ და შემთხვევით დაავიწყდა მამაჩემისთვის საუზმის გატანება სამსახურში, მერე დაიჩემა რომ ჩემი თეთრი კაბა ჩამეცვა და ლამაზად გამეკეთებინა თმა და ეს მხოლოდ იმისთვის რომ ბანკამდე მივსულიყავი.

როზალიმ მწარედ გაიცინა.

– დიდი ყურადღება არ მიმიქცევია იმისთვის როგორ მაკვირდებოდა როისი, მე ხომ ყოველთვის ყველა მიყურებდა, მაგრამ იმ ღამეს პირველი ვარდები მივიღე.

მთელი ჩვენი შეხვედრების მანძილზე ის ყოველ საღამოს ვარდების თაიგულს მიგზავნიდა, ჩემი ოთახი სულ სავსე იყო ყვავილებით.

– როისი ლამაზი იყო. მას ფერმკრთალი ცისფერი თვალები და ჩემზე ოდნავ ღია ფერის ქერა თმა ჰქონდა. ის მეუბნეოდა, რომ ჩემი თვალები იებს ჰგავდა და ამის შემდეგ ვარდებთან ერთად თაიგულებში იებიც გაჩნდა.

ჩემი მშობლები რა თქმა უნდა ხელს გვიწყობდნენ, ისინი სწორედ ამაზე ოცნებობდენენ და როისი ის იყო ვიზეც მე ვოცნებობდი, პრინცი ზღაპრული სამყაროდან, რომელიც პრინცესად გადამაქცევდა. ჩვენ სულ ორი თვე იყო რაც ვიცნობდით ერთმანეთს და უკვე დანიშნულები ვიყავით.

– დიდი ხნით არ ვრჩებოდით ხოლმე მარტო, როისი ამბობდა, რომ მას ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა ბანკში და როცა ერთად ვიყავით ამბობდა, რომ საშინლად მოსწონდა როცა ხალხი გვიყურებდა, ეს მეც მომწონდა.

– გრანდიოზული ქორწილი იგეგმებოდა და ყველა ჩემს ოცნებას ასრულება ეწერა, მე აბსოლუტურად ბედნიერი ვიყავი, ვერასთან რომ

მივდიოდი შურს აღარ ვგრძნობდი. მე წარმოვიდგენდი ხოლმე ჩემს ოქროსფერთმიან ბავშვებს, რომლებიც ქინგების უზარმაზარი სამფლობელოს ბაღში ითამაშებდნენ და ვერა მეცოდებოდა კიდეც.

ეცებ როზალი გაჩუმდა და ყბები დაეჭიმა, ამით მივხვდი, რომ ისტორიის მთავარ ნაწილამდე მივედით.

– იმ საღამოს ვერასთან ვიყავი,-ჩაიჩურჩულა როზალიმ,-მან კარებამდე მიმაცილა, ხელში თავისი საოცარი შვილი ეკავა და წელზე მისი მეუღლე ეხვეოდა. მან ცოლს აკოცა და ამან ამანერვიულა, როცა როისი მკოცნიდა, ეს რაღაც სხვანაირი იყო ხოლმე, ასეთი ნაზი არა, შევეცადე ამაზე არ მეფიქრა.
– ქუჩაში უკვე სიბნელე იყო და ყველგან ლამპიონები ანათებდა, აპრილის ბოლოსთვის უკვე საკმაოდ ციოდა.
ქორწილი ერთ კვირაში უნდა ყოფილიყო და გზაში მარტო ამინდზე ვფიქრობდი, ეს ყველაფერი ისე კარგად მახსოვს.
ხო, ამინდზე ვნერვიულობდი, იმიტომ რომ მინდოდა ქორწილი ღია ცის ქვეშ ყოფილიყო.
– სულ რამოდენომე ქუჩა მაშორებდა სახლს, როცა მთვრალი კაცების ხმა გავიგონე, რომლებიც დამტვრეული ლამპიონის ქვეშ იდგნენ, მაშინ ვინანე, რომ მამაჩემს არ ვთხოვე მოეკითხა ჩემთვის და სახლში წავეყვანე, მაგრამ გზა ისეთი პატარა იყო ეს სისულელედ მომეჩვენა.
– და მაშინ გავიგონე როგორ დამიძახა მან სახელით,–როუზ!-იყვირა მან და დანარჩენებმა იდიოტურად გადაიხარხარეს.
– პირველი რაც შევამჩნიე, რომ მთვრალი კაცები კარგად იყვნენ ჩაცმულები, ეს როისი იყო თავის სხვა მდიდარ მეგობრებთან ერთად.
– ეს ჩემი როუზია,-ყვიროდა ის,-დაგაგვიანდა, გავიყინეთ შენს ლოდინში.
– არასდროს მინახავს ის მთვრალი, ის მეუბნეოდა რომ ვერ იტანდა შამპანიურს და აღმოჩნდა, რომ უფრო ძლიერი სასმელი ყვარებია.
მასთან ერთად ახალი მეგობარი იყო, რომელიც ატლანტიდან იყო ჩამოსული.
– რას გეუბნეოდი ჯონ, - უთხრა როისმა თავის მეგობარს, შემდეგ ხელი ჩამავლო და ახლოს მიმწია თავისთან,-ხომ ბევრად ლამაზია შენს ჯორჯიელ ქალებზე?
– კაცმა, რომელსაც ჯონი ერქვა თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა, თითქოს გასაყიდი ცხენი ვყოფილიყავი.
– რთული სათქმელია,-თქვა მან,-ის ჩაცმულია.
ამაზე ყველას გაეცინა, როისის ჩათვლით. მან უხეშად ჩამომაგლიჯა საკუთარი ნაჩუქარი ჯილეტი მხრებიდან და გავიგონე როგორ დაიფანტა ასფალტზე მოდური ღილები.

– აჩვენე მათ როგორი ხარ როუზ,-იყვირა მან და ქუდი მომგლიჯა თავიდან, თმის სამაგრებმა, რომლებითაც ქუდი მქონდა დამაგრებული თმა დამაგლიჯეს და სიმწრისგან ვიყვირე. მათ ძალიან მოეწონათ ჩემი კივილის ხმა.

როზალიმ უცებ ისე შემომხედა, თითქოს დაავიწყდა ჩემი არსებობდა და გაუკვირდა რომ დამინახა, ჩემი სახეც ისეთივე ფერკმრთალი იყო, როგორც მისი.

– არ მინდა, რომ დანარჩენიც მოისმინო, ბოლოს მათ ქუჩაში დამტოვეს და სიცილით გამეცალნენ, მათ ეგონათ, რომ მოვკვდი და როუსს ეუბნეოდნენ, რომ ახალი საცოლე უნდა ეძებნა, ის იცინოდა და ამბობდა, რომ ჯერ თავის შეკავება უნდა ესწავლა.

– მე ვიწექი და სიკვდილს ველოდებოდი, საშინლად ციოდა, ჩემში იმდენი ტკივილი იყო, რომ მიკვირდა სიცივეს კიდევ რომ ვგრძნობდი, თოვლი წამოვიდა და მე ისევ ცოცხალი ვიყავი, ეს ისე დიდხანს გრძელდებოდა..

– შემდეგ კარლაილმა მიპოვა, მან სისხლის სუნი იგრძნო, საშინელი გაღიზიანება ვიგრძენი, როცა ის მატრიალებდა და ჩემს გადარჩენას ცდილობდა, მე საშინლად არ მომწონდა არც ის, არც მისი ცოლი ესმე და არც მათი შვილი ედვარდი, საშინლად მთრგუნავდა ის, რომ ისინი ჩემზე ლამაზები იყვნენ.

– როცა მან ამიყვანა და გაიქცა ჩავთვალე, რომ მოვკვდი, იმიტომ რომ იმ სიჩქარით, რომლითაც ის მირბოდა მეჩვენებოდა, რომ მივფრინავდი. ძალიან მეშინოდა, რომ ეს ტკივილი არასდროს არ დასრულდებოდა.

– შემდეგ მე თბილ, განათებულ ოთახში აღმოვჩნდი, უკვე გონებას ვკარგავდი, მაგრამ ბედნიერი ვიყავი, რომ ტკივილი ჩერდებოდა.

უცებ რაღაც წვეტიანი ჩამესო და ჩემი ყელი, ხელი და.. , ამას სიტყვებით ვერ ავღწერ, ყვირილი დავიწყე, ვიფიქრე, რომ მან იმიტომ წამომიყვანა, რომ კიდევ რამე დაეშავებინა ჩემთვის, მაგრამ როცა სხეულზე საშინელი წვა ვიგრძენი, ვეხვეწებოდი, რომ მოვეკალი. როცა ესმე და ედვარდი დაბრუნდნენ სახლში მათაც იგივეს ვთხოვდი.

კარლაილი ჩემს გვერდით დაჯდა, ჩემი ხელი აიღო და მარწმუნებდა, რომ ცოტახანში ყველაფერი დამთავრდებოდა, ის მიყვებოდა თუ რად ვიქცეოდი და სულ ბოდიშს მიხდიდა, როცა ყვირილს ვიწყებდი.

– ედვარდი უკმაყოფილო იყო. მახსოვს როგორ ლაპარაკობდნენ ჩემზე.– კარლაილ, რაზე ფიქრობდი, -უთხრა მან,-როზალი ჰეილი?,-არ მომეწონა ის ტონი, რომლითაც ჩემი სახელი წარმოსთქვა, თითქოს არ ვიყავი ნორმალური.

როზალიმ ზუსტად შესძლო ედვარდის გაღიზიანებული ტონის კოპირება.

– ვერ მივცემდი სიკვდილის უფლებას,-თქვა ჩუმად კარლაილმა,-ეს ხომ საშინელებაა, ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა.

– ვიცი,-უთხრა ედვარდმა.
– სწორედ მოიქეცი,-დაეთანხმა ესმე.
– ადამიანები ყოველ წამს კვდებიან,-უხეშად უთხრა ედვარდმა,-ეხლა ქინგები მაშტაბურ ძაბნას წამოიწყებენ, რომ მათზე ეჭვი არავინ აიღოს,-იღრინებოდა ის.
– იმ ფაქტმა, რომ როისის შესახებ ყველაფერი იცოდნენ გამახარა. ტკივილმა ფეხის თითებიდან დაიწყო შემცირება და შემეძლო მათთვის უფრო ყურადღებით მომესმინა.
– რა უნდა ვუყოთ,-იკითხა ედვარდმა ზიზღით, ან მე მომეჩვენა ასე.
კარლაილმა ამოიოხრა.
– ეს თვითონ უნდა გადაწყვიტოს, იქნებ თავისი გზით წასვლა არჩიოს.
– ის ფაქტი, რომ უკვე აღარ ვიყავი ცოცხალი უკვე თითქმის გასაგები იყო ჩემთვის, მაგრამ ის რომ მარტო დავრჩი არა. როგორც კი ტკივილმა საბოლოოდ გაიარა, მათ კიდევ ერთხელ ამიხსნეს თუ რად ვიქეცი, ამჯერად დავიჯერე. ჩემს მკვრივ კანს და საშინელ წყურვილს ვგრძნობდი და ბოლოს წითელი მოელვარე თვალებიც დავინახე.
– იქიდან გამომიმდინარე, რომ სულელი ვიყავი, ჩემმა ანარეკლმა სარკეში ძალიან დამამშვიდა. თვალებს თუ არ ჩავთვლიდი მე ყველაზე ლამაზი არსება ვიყავი დედამიწის ზურგზე,-როზალიმ თავის თავზე გაიცინა,– მხოლოდ მოგვიანებით დავიწყე ჩემი სილამაზის დადანაშაულება იმაში, რაც დამემართა და მასში უკვე მხოლოდ წყევლას ვხედავდი. მე მინდოდა მთლად მახინჯი არა, მაგრამ ვერას ნაირი მაინც ვყოფილიყავი, მაშინ მომცემდნენ უფლებას სიყვარულით გავთხოვილიყავი და ბევრი ბავშვები მყოლოდა, აი ეს იყო ის რაც მე მართლა მინდოდა და დღემდე მგონია რომ არ ვითხოვდი ბევრს.
ის კიდევ ჩაფიქრდა და თავის ფიქრებში წავიდა, ვიფიქრე კიდევ დაავიწყდა ჩემი არსებობა თქო, მაგრამ მოულოდნელად მან გამიღიმა, მისი სახე ანათებდა.
– შენ ხომ იცი ჩემი მიღწევების შესახებ, იმას ვგულისხმობ, რომ თითქმის კარლაილივით სუფთა ვარ, ესმეზეც და ათასჯერ უფრო სუფთა ვიდრე ედვარდი, თითქმის არასდროს გამისინჯავს ადამიანის სისხლი,-ამაყად განაცხადა მან.
“თითქმის”, როზალი მიხვდა რომ ამ სიტყვამ დამაინტერესა.
– მე მართლა მოვკალი ხუთი ადამიანი,-აგრძელებდა როუზი,-თუ რა თქმა უნდა მათ შეიძლება უწოდო ადამიანები, ძალიან ფრთხილად ვმოქმედებდი, რომ ერთი წვეთი სისხლიც არ დამეღვარა, ვიცოდი რომ ამ შემთხვევაში თავს ვერ შევიკავებდი.
– როისი ბოლოსთვის შემოვინახე, ჩავთვალე, რომ როცა ის თავისი მეგობრების ამბავს გაიგებდა მიხვდებოდა, რომ მასაც რაღაც მსგავსი ელოდა და შიში კიდევ უფრო გაუმძაფრებდა დასასრულს. როცა მის

მოსაკლავად მივედი, ის ბნელ ოთახში იმალებოდა, დაცვით გარშემორტყმული.
– უპს, მკვლელობა შვიდი იყო,-შეასწორა როზალიმ,-სულ დამავიწყდა მისი დაცვა, ამას წამები დასჭირდა.
– ჩემს ქმედებებში ძალიან ბევრი თეატრალურობა იყო, მართალი გითხრა ეს ბავშვური საქციელი იყო. მე ის კაბა მეცვა, რომელიც ჩვენს ქორწილში უნდა მცმოდა, მან იყვირა როცა დამინახა, იმ ღამეს ის ბევრს ყვიროდა. –კარგი იდეა იყო მისი ბოლოსთვის მოტოვება, იმ მომენტისთვის მე უკვე შემეძლო თავის გაკონტროლება და მისი ნელა და წამებით მოკვლა.
ის გაჩუმდა და შემხედა.
– მაპატიე,-მითხრა მან დამნაშავე ხმით,-ალბათ გაშინებ?
– არა,-მოვიტყუე მე.
– უბრალოდ გავეროე.
– ნუ ნერვიულობ.
– ძალიან მიკვირს, რომ ედვარდმა ასე ცოტა რამ გიამბო ამაზე.
– მას არ უყვარს სხვისი ისტორიების მოყოლა, ის თვლის, რომ ეს ღალატია, მას ხომ მეტი ესმის ვიდრე სხვებს.
მან თავი დამიქნია და გამიღიმა.
– ალბათ მეტად უნდა ვენდობოდე მას, ის ხომ მართლაც ძალიან კეთილშობილია არა?
– ვფიქრობ კი.
– ბელა, მინდა გითხრა, რომ ძალიან უსამართლოდ გექცეოდი, მან არ გითხრა რატომ? თუ ესეც ძალიან პირადულია მისთვის?
– მან მითხრა რომ შენ იმაზე ნერვიულობ, რომ თქვენი არსებობა უცხოებმა არ გაიგონ.
როზალის მელოდიურმა სიცილმა გამაწყვეტინა.
– ეხლა მართლა ვგრძნობ თავს დამნაშავედ, ის ბევრად კეთილია ჩემს მიმართ, ვიდრე ვიმსახურებ.

მომეჩვენა, რომ სიცილისას როზალის სახე ბევრად თბილი იყო, თითქოს მან ის ნიღაბი მოიხსნა, რომელიც ჩემი თანდასწრებით ეკეთა ხოლმე.
– მაინც რა მატყუარაა,-აგრძელებდა სიცილს როუზი.
– მომატყუა?,-გაკვირვებუმა ვკითხე მე.
– ნუ ეს ძალიან ხმამაღალი ნათქვამია, უბრალოდ ყველაფერი არ მოგიყვა, ეხლა ეს კი სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ თავიდან, მრცხვენია კიდეც ამის აღარების, ეს მხოლოდ ეჭვიანობა იყო, იმიტომ, რომ მას შენ უნდოდი და არა მე.

მისმა სიტყვებმა შოკში ჩამაგდო, ეხლა მთვარის შუქზე ის ალბათ ყველაზე ლამაზი არსება იყო დედამიწაზე, მას ვერ გავუწევდი მეტოქეობას.
– მაგრამ შენ ხომ ემეთი გიყვარს?,-ჩავიჩურჩილე მე.
ის გამხიარულდა და თავი გაიქნია.
– ბელა, მე სულაც არ მინდა ედვარდი ისე, როგორც შენ იფიქრე, მე ის ძმასავით მიყვარს, მაგრამ ის საშინლად მაღიზიანებდა იმ დღიდან რაც მისი ხმა გავიგონე, უნდა გესმოდეს, მე მიჩვეული ვიყავი იმას, რომ ყველას მოვწონდი და ვუნდოდი და ედვარდი ოდნავადაც კი არ დაინტერესდა ჩემით, თავი შეურაწყოფილად ვიგრძენი, მაგრამ ის საერთოდ არავის მიმართ არ იჩენდა ყურადღებას და ამიტომ დავმშვიდდი. მაშინაც კი როცა ტანიას კლანს შევხვდით დენალიში, სადაც მარტო ქალები იყვნენ მან არავის მიმართ არ გამოიჩინა ყურადღება, მერე კი ის შენ შეგხვდა.

მე არ ვიყავი ყურადღებით, ამიტომ როცა ედვარდის და დენალის ქალების შესახებ გავიგონე საშინლად დავიძაბე.

– ბელა, იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ არ ხარ ლამაზი, მაგრამ მაშინ ეს იმას ნიშნავდა, რომ მე მჯობდი, მე კი ძალიან ამაყი ვარ.
– შენ თქვი თავიდან, ე.ი ეს აღარ გაწუხებს?, ჩვენ ხო ორივემ ვიცით რომ ყველაზე ლამაზი ქალი ხარ პლანეტაზე.
როზალი გაიცინა.
– მადლობთ ბელა, არა, ეს აღარ მაწუხებს, ედვარდი ყოველთვის უცნაური იყო.
– მაგრამ შენ ისევ არ მოგწონვარ ხო?-ჩავიჩურჩულე მე.
მისი ღიმილი შეიცვალა.
– მაპატიე ამისთვის.
ცოტახანს ჩუმად ვიჯექით და ეტყობოდა, რომ აღარ აპირებდა გაგრძელებას.
– შეგიძლია მითხრა რატომ არ მოგწონვარ? რა გავაკეთე ასეთი?
– არა, შენ არაფერი არ დაგიშავებია, ჯერ..
მე გაოგნებულმა შევხედე.
– ბელა, ნუთუ ვერ ხედავ,-მოულოდნელად მისი ხმა უცნაურად აჟღერდა,-შენ ყველაფერი გაქვს, მთელი ცხოვრება გაქვს წინ, ყველაფერი რაც მე მინდოდა და შენ ამაზე უარი უნდა თქვა?ალბათ ყველაფერს მივცემდი, რომ შენს ადგილზე ვყოფილიყავი, შენ არჩევანი გაქვს, რომელიც მე არ მქონდა და დიდი შეცდომის ჩადენას აპირებ.

გაკვირვებისგან ყბა ჩამომივარდა, ყველანაირად ვცდილობდი მისთვის სახეში არ შემეხედა.

– ბოდიში ბელა, მეგონა შევძლებდი ამის მშვიდად თქმას, მაგრამ ეს იმაზე რთული აღმოჩნდა ვიდრე ვფიქრობდი.
– შენ უკეთესად მომექცევი თუ ადამიანად დარჩენას გადავწყვიტავ?
– შეიძლება.
– და მაინც შენს ისტორიაში არის ბედნიერი დასასრული, შენ ემეთი გყავს.
– მე მხოლოდ ნახევარი მივიღე, იცი რომ ის დათვს გამოვგლიჯე თათებიდან და ნახევრად ცოცხალი მივიყვანე კარლაილთან? იცი რატომ არ დავუშვი, რომ დათვს შეეჭამა?

მე თავი გავიქნიე.

– შავი კულულები და ორმოები ლოყებთან, რომლებიც მაშინაც კი ეტყობოდა, როცა ტკივილისგან იჭმუხნებოდა, მან ვერას შვილი, ჰენრი გამახსენა, არ მინდოდა, რომ მომკვდარიყო. იმის მიუხედავად, რომ საშინლად მძულდა ეს სიცოცხლე, მაინც ეგოისტი ვიყავი იმისთვის რომ კარლაილისთვის მეთხოვა მისი შეცვლა. მე იმაზე მეტად გამიმართლა ვიდრე ვიმსახურებდი, ემეთი ყველაფერია რასაც ალბათ როდისმე ვისურვებდი და როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს მასაც ვჭირდები, ჩემი სურვილების ეს ნაწილი იმაზე მეტად ამისრულდა ვიდრე მინდოდა, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ორნი ვიქნებით, არასდროს არ ვიჯდები მასთან ერთად ჭაღარა და შვილიშვილებით გარშემორთყმული.
ეხლა როზალის ღიმილი კეთილი გახდა.
– შენთვის ეს ალბათ უცნაური მოსასმენია, ერთი მხრივ შენ ნამდვილად აღარ აზროვნებ როგორც თვრამეტი წლის გოგო, მაგრამ არის რაღაცეები რაზეც ალბათ ჯერ არ გიფიქრია სერიოზულად, შენ ხომ ჯერ მაინც ახალგაზრდა ხარ, არ იცი რა გენდომება ათი, ოცი, ოცდაათი წლის შემდეგ, ნუ გააკეთებ ნურაფერს დაუფიქრებლად, ლაპარაკი ხომ უსასრულობაზეა.
მე ამოვიოხრე.
“ მაგრამ სამაგიეროდ მეტს მივიღებ” გავიფიქრე მე მაგრამ არ ვთქვი ხმამაღლა.
– მადლობთ როზალი, მიხარია, რომ უკეთ გაგიცანი.
– მაპატიე, რომ ასეთი ურჩხული ვიყავი, ამ მომენტიდან ვეცდები უკეთ მოვიქცე, ეხლა კი წავალ და საშუალებას მოგცემ დაიძინო.
მან საწოლს გახედა და გაეღიმა.
– ვიცი, გული გწყდება, რომ აქ ყავხარ გამოკეტილი, მაგრამ ნუ გაუბრაზდები როცა დაბრუნდება, მას იმაზე მეტად უყვარხარ, ვიდრე შენ წარმოგიდგენია და თავს საშინლად გრძნობს, რომ შენგან შორს უწევს ყოფნა.

როზალი ჩუმად ადგა და კარებთან მივიდა.
– ღამე მშვიდობისა ბელა,-თქვა მან და კარი გაიხურა.
– ღამე მშვიდობისა,-წუთის მერე ჩავიბურტყუნე მე.
მის შემდეგ კიდევ დიდხანს ვერ დავიძინე, ხოლო როცა ჩამეძინა კოშმარი ვნახე. თოვლი მოდიოდა, მე უცნობი ქუჩის ცივ ქვებზე მივხოხავდი და სისხლის კვალს ვტოვებდი, თეთრებში ჩაცმული ანგელოზი, რომელიც ჩრდილს ჰგავდა ნაწყენი თვალებით მიყურებდა.

მეორე დილით, როცა ელისს სკოლაში მივყავდი გაბრაზებული ვიყურებოდი ფანჯარაში, გამოუძინებლად ვგრძნობდი თავს და კიდევ უფრო მაღიზიანებდა ის, რომ ეს დღეც გამოკეტილს უნდა გამეტარებინა.
– დღეს ოლიმპიაში წავალთ, ან კიდევ სადმე, კარგ დროს გავატარებთ,-შემპირდა ელისი.
– ელის, იქნებ საკუჭნაუში ჩამკეტო და ამით დაამთავრო.
ელისი გაბრაზდა.
– ის ნამდვილად წამართმევს პორშეს, იმიტომ, რომ არაფერი გამომდის, მე მეგონა შევძლებდი შენს გამხიარულებას.
– ეს შენი ბრალია არ არის,-ვუთხარი მე და გამიკვირდა, რომ კიდევ მე ვგრძნობდი თავს დამნაშავავედ,-სადილობისას გნახავ.
მე ინგლისურზე წავედი, ვიცოდი, რომ ეს დღე აუტანელი იქნებოდა ედვარდის გარეშე, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ჩემი უხასიათობით არაფერი შეიცვლებოდა.
ზარი დაირეკა და გასვლას ვაპირებდი, კარებში მაიკი იდგა.
– ედვარდი ლაშქრობაშია? მკითხა მან მეგობრულად.
– აჰა..
– გინდა რამე მოვიფიქროთ საღამოსთვის?
“ ნეტავ როგორ შეუძლია კიდევ რამის იმედი ჰქონდეს”?
– არ შემიძლია..სხვა გეგმები მაქვს.
– ვისთან..
მაიკის კითხვა საშინელმა ხმამ შეწყვიტა, რომელიც ჩვენს უკან გაისმა. ყველამ იქ გაიხედა სადაც დიდმა შავმა მოტოციკლმა გააჩერა, ძრავი ჯერ კიდევ ხმაურობდა.
ჯეიკობმა ენერგიულად დამიქნია ხელი.
– ბელა, გაიქეცი!,-ყვიროდა ის.
მე გაყინული ვიდექი სანამ მივხვდი რა ხდებოდა.
ვიცოდი, რომ მხოლოდ რამოდენიმე წამი მქონდა.
– მაიკ, მე ცუდად გავხდი და სახლში წავედი, გასაგებია?
– კარგი,-ჩაიბურტყუნა მან.
– მადლობთ მაიკ, შენი მოვალე ვარ,-ვყვიროდი მე როცა მოტოციკლიკენ მივრბოდი.

ჯეიკობმა გაიღიმა და გაზს მიაწვა, მე უკან შემოვახტი და შემოვხვიე ხელები, რომ შემოვბრუნდი ელისი დავინახე, რომელიც გაშეშებული იდგა სასადილოს კარებთან, ის საშინლად იყო გაბრაზებული, შორიდან ვხედავდი მის კბილებს.

ორი წამის შემდეგ ჩვენ უკვე გზაზე მივქროდით.

– კარგად მომეჭიდე!-ყვიროდა ჯეიკობი.

როგორც კი მოტოციკლმა სვლა შეანელი მივხვდი, რომ საზღვარი გადავკვეთეთ, ჯეიკობმა სიცილი დაიწყო.

– გამოვიდა!, ხომ კარგად გავიქეცით ციხიდან?

– კარგი მოფიქრებაა ჯეიკობ.

– მახსოვს, რომ მითხარი ელისი შენს ქმედებებს ვერ ხედავს წინასწარო და ეს საკმაოდ მოხერხებული აღმოჩნდა.

– ამას მაინც არ ველოდი.

ჯეიკობს გამარჯვების ღიმილი არ სცილდებოდა.

– აბა, დღეს რა გავაკეთოთ?

– რაც გინდა,-გავუღიმე მე,-ვერ წარმოიდგენ რა კარგია თავისუფლება.

თავი 8

ტემპერამენტი

უაზროდ ვსეირნობდით და ბოლოს ისევ სანაპიროზე აღმოვჩნდით, ჯეიკობი ისევ თავისი ნამოქმედარით ამაყობდა.

– ფიქრობ მოვლენ შენს მოსაძებნად?,-მკითხა მან.

– არა,-ძალიან დარწმუნებულად ვუპასუხე მე,-მაგრამ ამ საღამოს ალბათ განრისხებულები იქნებიან.

მან ქვა აიღო და ქყალში გადააგდო.

– მაშინ ნუ დაბრუნდები.

– ხო, ჩარლის ძალიან გაუხარდება,-სარკასტულად ვუპასუხე მე.

– ის არ იქნება წინაამღდეგი და ეს შენც იცი.

არ ვუპასუხე, ის მართალი იყო, ჩარლის მართლა ერჩივნა, რომ ჯეიკობთან ვყოფილიყავი, ეს უსამართლობა იყო.

– აბა, რომელია ბოლო სკანდალი ხროვაში?,-ვკითხე მე.
ჯეიკობი გაჩერდა და გაკვირვებულმა შემომხედა.
– რა, მართლა მოხდა რამე? მე ვიხუმრე.
ჯეიკობს გაეცინა.
– უკვე დამავიწყდა კიდეც, როგორია ცხოვრება, როცა არავის არ ესმის შენი, არავინ კითხულობს შენს აზრებს და შეგიძლია ისინი კარგად დამალო.
რამოდენიმე წუთი ჩუმად მივდიოდით.
– რა მოხდა?, რა იცის ყველამ?,-ვკითხე მე ბოლოს და ბოლოს.
ჯეიკობი ფიქრობდა, ალბათ იმაზე რა უნდა ეთქვა და რა არა.
– ქუილიც აღბეჭდილია, ის უკვე მესამეა, იქნებ ეს არც ისე იშვიათად ხდება, როგორც გვეუბნეოდნენ, ჩვენები უკვე ნერვიულობენ.
ეს რომ თქვა დამაშტერდა და თვალს აღარ მაშორებდა.
– რატომ მიყურებ?,-ვკითხე მე როცა თავი უხერხულად ვიგრძენი.
– არა, ისე.
ჯეიკობი ისევ დაიძრა და ხელი ჩამჭიდა. მე ვფიქრობდი ნეტავ როგორ გამოვიყურებოდით ასე ხელჩაჭიდებულები შორიდან, ალბათ შეყვარებულებს ვგავდით, მაგრამ ეს სულ ასე ხდებოდა ჯეიკობთან და არ მინდოდა არაფრის შეცვლა.
– ქუილის აღბეჭდვა რატომ გახდა სკანდალი?, მარტო იმიტომ, რომ ჯერ ახალია ხროვაში?,-ვკითხე მე, როცა მივხვდი, რომ ლაპარაკს აღარ გააგრძელებდა.
– ამაში არ არის საქმე.
– აბა რაშია?
– ლეგენდებში, უკვე იმასაც ვფიქრობ, რომ მათში ყველაფერი სიმართლეა.
– ჯეიკობ მეტყვი თუ უნდა ვიმკითხავო?
– მაინც ვერ გამოიცნობ, ქუილი ხომ არ ტრიალებდა ჩვენს კომპანიაში და ემილისთანაც იშვიათად ხვდებოდა.
– ქუილიც ემილისთან არის აღბეჭდილი?
– არა, არა, მორჩი მკითხაობას, ქუილმა ემილის ბიძაშვილი კლერი გაიცნო.
ჯეიკობმა არ გააგრძელა.
– ემილის არ უნდა რომ მისი ბიძაშვილი ვაევულფს ხვდებოდეს ხო?,- ვკითხე მე,- ცოტა უცნაურია მისი მხრიდან.
ისე ემილის გრძნობები არც ისე გასაკვირი იყო, მითუმეტეს როცა მის იარებზე ვფიქრობდი.
– ბელა, კარგი, მაცადე რომ აგიხსნა, ემილი სულაც არ არის წინაამღდეგი, უბრალოდ.. ჯერ.. ადრეა.
– რას ნიშნავს ადრეა?
– გთხოვ, შეეცადე მკაცრად არ განსაჯო კარგი?

მე ნელა დავუქნიე თავი.
– კლერი მხოლოდ ორი წლისაა.
წვიმა წამოვიდა, წვეთები მეცემოდა სახეზე და მე გაოგნებული ვახამხამებდი თვალებს.
ჯეიკობი ჩუმად იყო და მელოდებოდა, როგორც ყოველთვის მას არ ეცვა ქურთუკი და მაისური უკვე სველი ჰქონდა, მის სახეზე არავითარი ემოცია არ იკითხებოდა.
– ქუილი ორი წლის ბავშვთან არის აღბეჭდილი?,-როგორც იქნა ამოვღერღე მე.
– ყველაფერი ხდება, ასე ამბობენ ლეგენდებში,-ჯეიკობმა მხრები აიჩეჩა.
– მაგრამ ის ბავშვია,-გავაპროტესტე მე.
მან გაბრაზებულმა შემომხედა.
– ქუილი ხომ აღარ დაბერდება, ხოდა სულ რაღაც თხუტმეტი წელი მოუწევს ლოდინი.
– არც კი ვიცი რა გითხრა.
შევეცადე ამ ამბავისთვის სხვა კუთხით შემეხედა, მაგრამ მაინც შოკირებული ვიყავი, აღარ მეგონა თუ კიდევ რამე გამაკვირვებდა.
– შენ მაინც ადანაშაულებ მას ხომ? სახეზე გეტყობა.
– მაპატიე, მაგრამ ეს საშინლად ჟღერს.
– სინამდვილეში ეს ასე არ არის, შენ არასწორედ გაიგე,-იცავდა ჯეიკობი მეგობარს,-მე ხომ მისი თვალებით ვხედავდი ყველაფერს, ამაში არაფერია რომანტიული.
ეს ძნელი ასახსნელია და არანაირად არ ჰგავს ერთი ნახვით სიყვარულს, ეს უფრო მიზიდულობაა, როცა მას ხედავ დედამიწის ძალები ვეღარ გაჩერებენ, მარტო მას ხედავ ყველგან და ყოველთვის, მისთვის ყველაფერი ხდები, მეგობარი, შეყვარებული, მცველი, ძმა.
ქუილი ყველაფერი იქნება ამ ბავშვისთვის, სანამ ბავშვია ძმა იქნება, ცოტა რომ წამოიზრდება მეგობარი, ხოლო შემდეგ ისინი ისეთივე ბედნიერები იქნებიან როგორც სემი და ემილი არიან.
– და კლერს აქვს არჩევანი?
– კი, მაგრამ ვითომ რატომ არ უნდა ამოირჩიოს ქუილი, ის ხომ იდეალური იქნება მისთვის.
ცოტახანი ჩუმად მივდიოდით, მე გავჩერდი რომ ქვა ამეღო და წყალში გადამეგდო, მოვიქნიე და ის ქვიშაზე დაეცა.
ჯეიკობმა გადაიხარხარა.
– როგორ ფიქრობ, შენ როდის დაგემართება ეს?,-ვკითხე მე ჩუმად.
– არასდროს.
– მაგრამ ამას ხომ ვერ გააკონტროლებ არა?
– ეს არ მოხდება,-აღიარა მან,-ამისთვის მე ის ერთადერთი უნდა დავინახო, ჩემი მეორე ნახევარი.

– და შენ გგონია თუ აქამდე არ გინახავს ის არ არსებობს? ჯეიკობ, შენ სულ არ გინახავს ჯერ სამყარო.
– არა, არ მინახავს,- მაგრამ მე მაინც ვერავის დავინახავ ბელა, იმიტომ რომ მარტო შენ გხედავ, მაშინაც კი როცა თვალებს ვხუჭავ და სხვა რამეზე ვფიქრობ, თუ გინდა ქუილს და ემბრის ჰკითხე, ეს აგიჟებთ მათ.
  თვალები დავხარე და ქვებს ვათვალიერებდი, ჩვენ აღარ ვმოძრაობდით, მარტო წვიმის ხმა ისმოდა.
– ალბათ ჯობია სახლში დავბრუნდე.
– არა,-იყვირა მან გაკვირვებულმა, - შენ ხომ მთელი დღე თავისუფალი გაქვს, შენი სისხლისმსმელი ჯერ არ დაბრუნებულა.
  ყბა ჩამომივარდა.
– არ გეწყინოს,-სწრაფად დაამატა მან.
– კი, მაგრამ ჯეიკ..
  მან ხელები ასწია.
– მაპატიე, ამას აღარ ვიზავ, მე უბრალოდ ჯეიკობი ვიქნები.
  მე ამოვისუნთქე.
– თუ მართლა ასე ფიქრობ..
– ჩემზე ნუ ნერვიულობ, ვიცი რასაც ვაკეთებ, უბრალოდ მითხარი თუ გაწყენინე,-გამიღიმა მან.
– არვიცი..
– კარგი ბელა, გეყოფა, წავიდეთ სახლში და ჩვენი მოტოციკლეტები ავიღოთ, ალბათ უკვე დაგავიწყდა მათი ტარება.
– არა მგონია, რომ ამის უფლებას მომცემენ.
– ვინ? ჩარლი თუ ის სისხლ.. ედვარდი?
– ორივე.
  მან გამიღიმა და ისევ ის ჯეიკობი გახდა, მზიანი და თბილი. ვერ გავუძელი და მეც გავუღიმე.
– არავის არ ვეტყვი, -შემპირდა ის.
– შენი მეგობრების გარდა.
  მან სერიოზულად დამიქნია თავი და ხელი ასწია.
– გპირდები, რომ ამაზე არ ვიფიქრებ.
  ამაზე გამეცინა.

ჩვენ დიდხანს ვატარეთ მოტოციკლეტები ლაპუშის ნაწვიმარ ასფალტზე, ბოლოს ჯეიკობმა მითხრა, რომ გული წაუვიდოდა რამეს თუ არ შეჭამდა. სახლში რომ შევედით ბილი ისე მომესალმა, თითქოს ჩემს მოსვლაში არაფერი იყო გასაკვირი. ჩვენ ჯეიკობის მიერ გაკეთებული ბუტერბროდები მივირთვით, შემდეგ ფარეხში წავედით და მოტოციკლები გავრეცხეთ.

– გადასარევია,-ავღნიშნე მე, როვა მან თბილი ლიმონათი ამოიღო ჩანთიდან,-მენატრებოდა ეს ადგილი.
მან გამიღიმა და ფარეხი შეათვალიერა.
– აბა რა, აქ ხომ ტაჯმახალის მთელი სილამაზეა და თან ინდოეთშიც არ გიწევს წასვლა.
– ვაშინგტონის პატარა ტაჯმახალს გაუმარჯოს,-ვთქი მე და ჩემი ბოთლი ავწიე.
– გახსოვს ვალენტინობის ბოლო დღე? შენ აქ იყავი მაშინ და ყველაფერი ჯერ კიდევ ნორმალურად იყო.
– კი, როგორ არა, ერთი ყუთი გულის ფორმის კამფეტები, ამას რა დამავიწყებს.
მან ჩემთან ერთად გაიცინა.
– ასე მგონია რომ ეს მრავალი წლის წინ იყო, სხვა ბედნიერ დროებაში,-თქვა ჯეიკობმა.
მას ვერ დავეთანხმებოდი, ჩემი ბედნიერი დროება ეხლა იწყებოდა და გამიკვირდა ისიც, რომ ასე ძალიან მენატრებოდა ის ბნელი დრო. წვიმა ისევ წამოვიდა, მაგრამ პატარა ფარეხში ჯეიკობთან კომპანიაში თბილად ვიყავი, ქურასავით ცხელი იყო. ის ოდნავ შეეხო თითებით ჩემს ხელს.
– ყველაფერი მართლა შეიცვალა,-დაამატა მან დამწუხრებულმა.
– ხო.. ,-ვთქი მე და ხელი დავატყაპუნე ჩემი მოტოციკლის უკანა ბორბალზე,-ჩარლი კმაყოფილია ჩემით და იმედია ბილი არ ეტყვის დღევანდელზე.
– არა, არ ეტყვის, ჩარლისგან განსხვავებით ის არ ნერვიულობს ასეთ სისულელეებზე და მაშინდელზე უკვე მოგიბოდიშე, მართლა ვწუხვარ, რომ ჩაგიშვი ჩარლისთან.
– კი აბა.
– ძალიან, ძალიან ვწუხვარ.
მან იმედით შემომხედა.
– კარგი, გპატიობ.
– მადლობთ ბელა.
ცოტახნის განმავლობაში ერთმანეთს ვუყურებდით და ვიღიმებოდით, უცებ ის მოიღუშა.
– ბელა, იცი მაშინ, როცა მოტოციკლი მოვიყვანე, რაღაცის კითხვა მინდოდა და თან არ მინდოდა..
მე გავშეშდი, ასეთი რეაქცია ჰქონდა ხოლმე ედვარდს სტრესზე.
– შენ მართლა გაბრაზებული იყავი და იმიტომ ჯიუტობდი, თუ სერიოზულად ლაპარაკობდი?
– რაზე ლაპარაკობ?,-ვკითხე მე თუმცა ვიცოდი უკვე რაც უნდა ეთქვა.
– როცა განაცხადე, რომ ჩემი საქმე არ იყო გიკბენდა თუ არა, ბოლო სიტყვებზე მოიკუნტა.

– ჯეიკ..,- ნერწყვი ჩავყლაპე და ვერ ვუპასუხე.
 მან თვალები დახუჭა და ამოიოხრა.
– სერიოზულად ლაპარაკობდი?
– კი,-ჩუმად ვუპასუხე მე.
ჯეიკობმა ნელა და ღრმად ჩაისუნთქა.
– ასეც ვიცოდი.
 მის სახეს ვუყურებდი და ველოდებოდი როდის გაახელდა თვალებს.
– შენ იცი მაინც ეს რას ნიშნავს?,-უცებ აფეთქდა ის,-წარმოგიდგენია მაინც ამას რა მოჰყვება?
– ჩვენ გავემგზავრებით მანამდე.
 მან ტკივილით და ბოღმით სავსე თვალები შემომანათა.
– ბელა, მოლაპარაკებისთვის არ არსებობს გეოგრაფიული საზღვრები, ჩვენი ბაბუები ამაზე იმიტომ დათანხმდნენ, რომ კალენები არ ჰგავდნენ სხვა ვამპირებს, მათ პირობა დადეს, რომ არასდროს მოკლავდნენ ადამიანს და თუ ისინი დაარღვევენ პირობას, მოლაპარაკება ძალას დაკარგავს, როგორც კი ეს მოხდება ჩვენ მათ ვიპოვით.
– მაგრამ ჯეიკ შენ ხომ უკვე დაარღვიე მოლაპარაკება?,-ვკითხე მე განრისხებულმა,- მაშინ როცა ვამპირების არსებობაზე მიყვებოდი, ეს ხომ იყო დარღვევა?
 ჯეიკობს არ მოეწონა ჩემი შენიშვნა.
– კი დავარღვიე, მაგრამ მაშინ მე ამ ყველაფრის არ მჯეროდა, მათ ეს იციან.
– ჯეიკობ ყველაფერი შეიძლება სხვანაირადაც იყოს
– ყველაფერი ასე იქნება.
საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა.
– შენ არასდროს მაპატიებ ჯეიკობ?,-ჩავიჩურჩულე მე და მაშინვე ვინანე რომ ვკითხე, რადგან პასუხის მოსმენა არ მინდოდა.
– შენ ბელა აღარ იქნება, ჩემი მეგობარი აღარ იარსებებს და ვის უნდა ვაპატიო?
– ე.ი არ მაპატიებ., მაშინ მშვიდობით ჯეიკ.
 ჯეიკობი გაოგნებული მიყურებდა.
– რატომ, ჩვენ ხომ კიდევ გვაქვს რამოდენიმე წელი, რატომ არ შეიძლება მანამდე ვიმეგობროდ?
– წელი? არა ჯეიკობ, არავითარი წელი, ალბათ რამოდენიმე კვირა.
 მის შემდგომ რეაქციას ნამდვილად არ ველოდი. ის ფეხზე წამოხტა, დაიჭიმა და ლიმონათის ბოთლი შემოემტვრა ხელში.
– ჯეიკობ,-ვიყვირე მე და შემდეგ გავჩერდი, მისი ტანი გაბრაზებისგან კანკალებდა და მკერდიდან საშინელ ხმას უშვებდა. ადგილზე ვიდექი გაყინული და ველოდებოდი როდის დამშვიდდებოდა, ცოტახანში ყველაფერი შეწყდა, ის კონცენტრირებას ცდილობდა, მაგრამ ხელები ისევ უკანკალებდა.

– რამოდენიმე კვირა,-წარმოსთქვა მან ნელა,-მან სულ რამოდენიმე კვირაში უნდა გიკბინოს და სისხლისმსმელ ურჩხულად გაქციოს?
მე უბრალოდ თავი დავუქნიე, ის გამწვანდა.
– რა თქმა უნდა ჯეიკ,-ვთქვი მე წუთის შემდეგ,-ის ჩვიდმეტი წლისაა და მე ყოველდღე ვუახლოვდები ცხრამეტ წელს, რას უნდა ველოდო, ის ყველაფერია რაც მინდა, რა ვქნა?
– ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი, ოღონდ ეს არა, ამას აჯობებს, რომ მოკვდე, დიახ, მირჩევნია მკვდარი გნახო!
უკანასკნელი სიტყვები იმდენად მტკივნეული იყო, რომ თავი ვეღარ შევიკავე.
– იქნებ გაგიმართლოს და უკანა გზაზე სატვირთო მანქანამ დამარტყას.
ჩემს მოტოციკლს ჩავეჭიდე და წვიმაში გავიტანე, ჯეიკობი არც დაძრულა ადგილიდან, წუთის შემდეგ უკვე გზაზე მივქროდი, სულ სველი ვიყავი და მაკანკალებდა.

მოტოციკლი კალენების ფარეხში დავაყენე და გამიკვირდა, როცა იქ ელისი აღმოვაჩინე, ის თავისი პორშეს კაპოტზე იჯდა.
– საშუალებაც კი არ მქონდა, რომ მეტარებინა,-მითხრა მან და მანქანას ხელი გადაუსვა.
– მაპატიე,-კანკალისგან ჩემი ხმა ნაწყვეტებად ისმოდა.
– ალბათ ცხელი შხაპი გინდა..
– აჰა..
მან ტუჩები მოპრუწა და მაკვირდებოდა.
– გინდა იმაზე ლაპარაკი რაც მოხდა?
– არა.
ელისმა თავი დამიქნია და მის თვალებში ცნობისმოყვარეობა გაჩნდა.
– გინდა ამ საღამოს ოლიმპიაში გასეირნება?
– არც ისე, შეიძლება სახლში წავიდე?
ელისი დაიჭყანა.
– კარგი, დაივიწყე, მე დავრჩები, თუ შენ ამითი უკეთესად იგრძნობ თავს.
– მადლობა,-ამოისუნთქა მან.
იმ ღამეს გადავწყვიტე ადრე დავწოლილიყავი და რა თქმა უნდა ისევ ედვარდის დივანზე მოვკალათდი.
როცა გამეღვიძა ჯერ კიდევ ბნელოდა, თვალები დავხუჭე და გადაბრუნება დავაპირე, შემდეგ გადავიფიქრე და მოვბრუნდი, რომ ოთახი დამეთვალიერებინა, ეს ღამე ბევრად უფრო ბნელი იყო, ვიდრე წინა, მთვარის შუქიც ვეღარ აღწევდა ოთახში.
– მაპატიე,-ჩაიჩურჩულა მან, ისე თითქოს სიბნელის ნაწილი იყო,-არ მინდოდა შენი გაღვიძება.

როცა მისი სუნთქვის სურნელი ვიგრძენი უკვე აღარ მახსოვდა, რომ მასზე გაბრაზებული ვიყავი, აღარც ის მადარდებდა, რომ ჩხუბს ვაპირებდი, ყველაფერი სულერთი იყო, წავიწიე და სიბნელეში მისი ხელები ვიპოვე, მან დამიჭირა და ჩამეხუტა, ჩემმა ტუჩებმა ჯერ მისი კისერი, შემდეგ ნიკაპი და ბოლოს ტუჩები იპოვა, ედვარდმა ნაზად მაკოცა და ჩაეცინა.
– შეშინებული მოვდიოდი, მეგონა გაბრაზებული დათვი დამხვდებოდა და სამაგიეროდ რა მივიღე, ალბად ხშირად უნდა გაგაბრაზო.
– მაცადე, ჯერ აზრზე მოვიდე,-ვუთხარი მე და თან არ ვწყვიტავდი მის კოცნას.
– რამდენსაც გინდა იმდენს გაცლი,-მითხრა მან და თითები შეუშვა ჩემს თმებში.
ჩემი სუნთქვა არათანაბარი გახდა.
– იქნებ დილით.
– როგორც გინდა.
– კეთილი იყოს შენი სახლში დაბრუნება,-ვუთხარი მე როცა ერთი წამით მოვშორდი მის ტუჩებს,-მიხარია, რომ დაბრუნდი.
–ეს კარგია.
– აჰა..
ის კიდევ უფრო მომეხვია, ვიგრძენი როგორ ჩაცურდა მისი ხელი ჯერ ჩემს ხერხემალზე, შემდეგ წელზე, ბოლოს კი ფეხზე აღმოჩნდა, მან მუხლთან მომკიდა ხელი და ჩემი ფეხი თეძოზე შემოიგდო. აქ უკვე აღარ ვსუნთქავდი, ეს იყო ის რაც მას აქამდე არცერთხელ არ გაუკეთებია, იმის მიუხედავად, რომ ყინულივით ცივი იყო სითბოს ვგრძნობდი, მისი ტუჩები ჩემს ყურთან აღმოჩნდა.
– სანამ ჩხუბი დაგიწყია, იქნებ მითხრა, რითი არ მოგწონს ეს საწოლი?,-ჩამჩურჩულა მან.
ვერც კი მოვასწარი აზრზე მოსვლა, რომ მისი კითხვა გამეაზრებინა. ედვარდი ზურგზე გადაგორდა და მე თავის ზემოდ მომაქცია, ჩემი სახე კი ხელებში მოიქცია.
ჩემი სუნთქვა იმდენად ხმამაღალი იყო, რომ შემრცხვა კიდეც.
– საწოლი?,- იკითხა მან კიდევ ერთხელ,-მე ვფიქრობ ის საოცარია.
– მას დანიშნულება არ აქვს,-ვუპასუხე მე.
მან ისევ მაკოცა, შემდეგ ნელა გადაბრუნდა და ჩემს ზევიდან აღმოჩნდა, ის ფრთხილი იყო და ცდილობდა მისი წონა არ მეგრძნო, მაგრამ მის ცივ სხეულს ვგრძნობდი, რომელიც ასე ახლოს იყო. გული იმდენად მიცემდა, რომ ვერც კი გავიგე მისი სიცილი.
– საკამათოა,-არ დამეთანხმა ედვარდი,- ალბათ გაგვიჭირდება ამის დივანზე გაკეთება.

თავბრუ მეხვეოდა, ჰაერი ძალიან სწრაფად და ღრმად მიეწიოდებოდა ფილტვებს.
– გადაიფიქრე?-ვკითხე მე.
იქნებ მან აზრი შეიცვალა და ამ საწოლს მართლაც ჰქონდა დანიშნულება, ვგრძნობდი, რომ გული მიმდიოდა როცა მის პასუხს ველოდებოდი.
ედვარდმა გაიცინა და გვერდზე გადაგორდა.
– ნუ სულელობ ბელა,-მითხრა მან იმედგაცრუებულმა, როვა მიხვდა რას ვგულისხმობდი,-უბრალოდ მინდოდა ეს საწოლი მოგწონებოდა და სხვა არაფერი.
– გვიანია და საწოლიც ძალიან მომწონს.
– კარგი,-მითხა მან და შუბლზე მაკოცა.
– მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ მას არავითარი დანიშნულება არ აქვს.
მან ამოიოხრა.
– ბელა რამდენჯერ უნდა გითხრა რომ ეს საშიშია.
– მე მიყვარს საშიშროებები.
– ვიცი,-მითხრა მან და მივხვდი, რომ უკვე ნახა მოტოციკლი ფარეხში.
ედვარდმა ჩემი წყენა იგრძნო და ისევ თავის მკლავებში დამაბრუნა.
– მაპატიე, შენ არასწორედ გაიგე ჩემი ქმედებები, არ მინდოდა, რომ თავი ცუდად გეგრძნო, ეს არ იყო ლამაზი საქციელი ჩემი მხრიდან.
– მართალი გითხრა ეს გადასარევი იყო.
– მემგონი შენ დაიღალე და ეხლა უნდა დაიძინო.
– არა, არ დავღლილვარ და არ ვარ წინამღდეგი თუ კიდევ არასწორედ გაგიგებ.
– ეს ცუდი იდეაა, შიძლება ვერ შევიკავო თავი.
– აბა კი,-ავბუზღუნდი მე.
მან გაიცინა.
– ბელა, შენ რა იცი? მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას რომ შენი ძალისხმევით ჩემს თვითკონტროლს დაარღვევ.
– ამაზე ბოდიშს არ მოვიხდი.
– შეიძლება მე მოგიბოდიშო?
– რაზე?
– შენ გაბრაზებული იყავი ჩემზე, გახსოვს?
– აჰ, ხო.
– მაპატიე, არ მოვიქეცი სწორედ, მაგრამ თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ როცა აქ ხარ ჩემს სახლში, ალბათ ასე შორს მეორედ აღარ წავალ, ეს ამად არ ღირდა.
მე გამეღიმა.
– დათვები ვერ ოპოვეთ?

– კი, რამოდენიმე. მაპატიე, რომ ვთხოვე ელისს გამოკეტილი ყოლოდი, ეს ნამდვილად ცუდი იდეა იყო.
– დიახ,-დავეთანხმე მე.
– ასე აღარ მოვიქცევი.\
–კარგი, -ვუთხარი მე და უკვე დიდიხანია ნაპატიები მქონდა ყველაფერი,- შეგიძლია ტყვედ გყავდე რამდენ ხანსაც გინდა.
– ჰმ, სიტყვაზე გიჭერ.
– ეხლა ჩემი ჯერია ხომ?
– შენი ჯერი?,-მკითხა მან გაკვირვებულმა.
– ბოდიშის მოხდის.
– რის გამო უნდა მომიბოდიშო?
– შენ არ ხარ ჩემზე გაბრაზებული?
– არა.
სიმართლეს ჰგავდა.
– ელისი ნახე რომ დაბრუნდი?
– კი და რა?
– პორშეს წაართმევ?
– რა თქმა უნდა არა, ეს ხომ საჩუქარია.
სახეზე არ შევხედე, მაგრამ მისი ხმა ისე ჟღერდა, თითქოს თავი შეურაცყოფილად იგრძნო.
– არ გინდა იცოდე რა გავაკეთე?,-ვკითხე მე, როცა მისგან ვერავითარი ინტერესი ვერ ვიგრძენი.
ედვარდმა მხრები აიჩეჩა.
– მე ყოველთვის მაინტერესებს რას აკეთებ, მაგრამ თუ არ გინდა შეგიძლია არ მომიყვე.
– მაგრამ მე ლაპუშზე ვიყავი.
– ვიცი.
– სკოლა გავაცდინე.
– მეც.
მის სახეს შევხედე და შევეცადე გამომეცნო მისი განწყობა.
– საიდან ამდენი მოთმინება?,- ვკითხე მე.
– გადავწყვიტე, რომ მართალი ხარ, ალბათ ზედმეტად ცუდად ვექცევი მგლებს, შევეცდები ბევრად ობიექტური ვიყო, თუ შენ თვლი, რომ იქ არაფერია საშიში, ე.ი ეს ასეა.
– არ არსებობს..
– და რაც ყველაზე მთავარია, არ მინდა, რომ ეს ჩვენს ურთიერთობას უშლიდეს ხელს.
მე თავი დავადე მკერდზე და თვალები დავხუჭე, თავს ბოლომდე ბედნიერად ბგრძნობდი.
– მოკლედ, უკვე დაგეგმე როდის დაბრუნდები ლაპუშზე?

მე არ ვუპასუხე, მისმა კითხვამ ჯეიკობი გამახსენა და თავი საშინლად ვიგრძენი.
– ამას იმიტომ გეკითხები,-გააგრძელა ედვარდმა,-რომ მაგ დროისთვის ჩემთვისაც გამოვძებნო რამე გასართობი, რომ არ იჩქარო ხოლმე გამოქცევა ჩემს გამო.
– არა, აღარ ვაპირებ იქ დაბრუნებას,-ვუპასუხე მე და ვერც კი ვიცანი საკუთარი ხმა.
– ეს ჩემს გამო არ უნდა გააკეთო.
– მემგონი იქ აღარ მელოდებიან.
– რატომ? ვინმეს კატას ხომ არ გადაუარე?,-მკითხა მან მხიარულად.
– არა,- მძიმედ ჩავისუნთქე მე,- წესით ჯეიკობი ისედაც უნდა მიმხვდარიყო, არ მეგონა თუ გაუკვირდებოდა.
ედვარდი მელოდებოდა სანამ დავასრულებდი.
– მას არ ეგონა, რომ ეს ასე მალე მოხდებოდა.
– აჰ..,-ჩუმად თქვა მან.
– ჯეიკობმა მითხრა, რომ ურჩევნია მკვდარი მნახოს,-ბოლო სიტყვებზე ხმა ჩამიწყდა.
ედვარდი გაჩუმდა და შეეცადა დაემალა ჩემგან თავის რეაქცია, შემდეგ ძლიერად მომეხვია და მაკოცა.
– ძალიან ვწუხვარ ბელა.
– მე მეგონა გაიხარდებოდა.
– ის უნდა გამიხარდეს რაც გულს გტკენს?, არა მგონია.
მე დავმშვიდდი და უფრო კარგად მოვეწყვე მის მკლავებში, წუთის შემდეგ ის დაიძაბა.
– რა მოხდა?
– არაფერი.
– ედვარდ, შეგიძლია მითხრა.
– ეს გაგაბრაზებს.
– მაინც მინდა, რომ ვიცოდე.
– თითქმის მზად ვარ მის მოსაკლავად იმის გამო რაც გითხრა, დიახ, მინდა რომ მოვკლა!
მე გამეცინა.
– მემგონი ძალიან კარგია, რომ ასე შეგიძლია თავის გაკონტროლება.
– შეიძლება რაღაც მომენტში ვერ შევძლო,-დაამატა მან.
– თუ კონტროლის დაკარგვა გინდა, ამისთვის ბევრად უკეთესი იდეა მაქვს.
მის სახესთან მივიწიე და ვაკოცე, ის ისე ძლიერად მეხვეოდა, რომ ვეღარ ვსუნთქავდი.
– რატომ უნდა მქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა მარტო მე?,- მკითხა მან ღიმილით.
– არ არის აუცილებელი, რამოდენიმე საათით მაინც.

– ღამე მშვოდობისა ბელა.
– კარგი რა ედვარდ, რაღაც მინდა გკითხო.
– რა?
– წუხელ ღამით როზალის ველაპარაკე.
მისი სხეული ისევ დაიჭიმა.
– ხო, ის ფიქრობდა ამაზე, როცა მოვედი, ალბათ ბევრი საფიქრალი დაგიტოვა.
– მან ცოტა რამ მიამბო იმ დროზე, როცა შენი ოჯახი დენალიში ცხოვრობდა.
დაწყებამ გააკვირვა.
– მერე?
– მან ვამპირი ქალების კლანი ახსენა და კიდევ.. და მერე შენც გახსენა.
მან არ მიპასუხა იმის მიუხედავად, რომ დიდხანს ველოდებოდი.
– ნუ ნერვიულობ, მან მითხრა, რომ შენ არავისთვის რა მიგიქცევია ყურადღება, მაგრამ იმათი მხრიდან თუ იყო რამე მსგავსი?
ის ისევ ჩუმად იყო.
– რომელი მათგანი?,-გავაგრძელე მე და ვცდილობდი ნერვიული ტონი დამემალა, რაც არ გამომივიდა,-თუ ბევრნი იყვნენ?
პასუხი ისევ არ იყო და მინდოდა დამენახა მისი სახე, იქნებ მაშინ მაინც მივმხვდარიყავი რაზე ფიქრობდა.
– ელისი მომიყვება,-განვაცხადე მე,-წავალ და ეხლავე ვკითხავ.
მისმა ხელებმა დამიჭირა და ვერ შევძელი ადგილიდან დაძვრა.
– უკვე გვიანია,-მითხრა მან, მისი ხმა გაღიზიანებულად ჟღერდა,-ვფიქრობ ელისი წასულია.
– ეს ყველაფერი ცუდია ხო?,-პანიკამ ამიტანა და რამის გული ამომივარდა, როცა მშვენიერი უკვდავი მეტოქე წარმოვიდგინე.
– დაწყნარდი ბელა,-მითხრა მან და ცხვირზე მაკოცა,-შენი საქციელი აბსურდულია.
– მართლა? მაშინ რატომ არ მიყვები?
– იმიტომ, რომ არაფერია მოსაყოლი.
– რომელი მათგანი?,- ვაგრძელებდი მე.
ან ჩაისუნთქა.
– ტანია იჩენდა რაღაც ყურადღებას, მაგრამ მე ძალიან გასაგებად ავუხსენი, რომ არ ვპასუხობდი მის გრძნობებს. სულ ეს არის მთელი ისტორია.
– მომიყევი, როგორ გამოიყურება?
– როგორც ჩვენ, თეთრი, ოქროსფერი თვალებით.
– ის ალბათ ძალიან ლამაზია.
ვიგრძენი როგორ აიჩეჩა მხრები.
– ადამიანისთვის ალბად კი,-თქვა მან უდარდელად,- მაგრამ იცი რა?

– რა?,- ვკითხე მე მოუთმენლად.
– ის ქერაა და მე არ მიყვარს ქერები, აი მიზეზი.
ამაზე ვფიქრობდი ცოტახანს, ამ დროს მისი ტუჩები ზევით და ქვევით მოძრაობდა ჩემს სახეზე, საკმაოდ დიდი დრო გავიდა სანამ დავილაპარაკე.
– ე.ი ყველაფერი რიგზეა ხო?
– ჰმ, შენ ისეთი საოცარი ხარ როცა ეჭვიანობ, არ მეგონა რომ ეს ასეთი სასიამოვნო იყო,-მითხრა მან ჩუმად.
მე ისევ გაბრაზებული მივაშტერდი სიბნელეს.
– დაიძინე ბელა, ჩემს გულში მარტო შენ ხარ, ყოველთვის შენი ვიქნები, შენ ჩემი ერთადერთი სიყვარული ხარ.
მან იავნანის ღიღინი დაიწყო და ჩემი ძილი მხოლოდ დროის საკითხი იყო, ამიტომ უფრო მივეკარი მის მკერდს და თვალები დავხუჭე.

თავი 9

მიზანი

იმის დასამტკიცებლად, რომ მართლა გოგოების წვეულებაზე ვიყავი სახლში ელისმა მიმიყვანა. ედვარდი ოფიციალურად მალე უნდა დაბრუნებულიყო “ლაშქრობიდან” . ეს თვალთმაქცობა ძალიან მაღიზიანებდა, მაგრამ იმედი მქონდა, რომ ვამპირად გადაქცევის შემდეგ ასეთ სისულელეებზე არ ვინერვიულებდი.

ჩარლიმ ფანჯარაში გამოიხედა, როცა გაიგო, როგორ მივაჯახუნე მანქანის კარი, ელისს ხელი დაუქნია და კარის გასაღებად გაემართა.

- კარგი დრო გაატარე? – მკითხა ჩარლიმ

- რა თქმა უნდა, ყველაფერი ძალიან კარგი იყო.

ჩემი ნივთები შიგნით შევიტანე და კიბესთან დავყარე, შემდეგ სამზარეულოში გავემართე საჭმელად.

-შეტყობინებაა შენთვის –დაიყვირა ჩარლიმ.

ბლოკნოტი სატელეფონო ჩანაწერებისთვის სამზარეულოს მაგიდაზე იდო.

“ჯეიკობი რეკავდა”, - ეწერა ჩარლის ხელწერით.

«ის მთხოვდა იმის გადმოცემას , რომ სინამდვილეში ასე არ ფიქრობს, რომ ნანობს, გადარეკვა გთხოვა, იყავი თავაზიანი და მიეცი მას შანსი. ის გულდაწყვეტილი იყო ».

მე დავიმანჭე. ჩვეულებრივ ჩარლი ასე დეტალურად არ იწერს ხოლმე ჩემს შეტყობინებებს.

არ მინდოდა მასთან ლაპარაკი და საერთოდ ზარები არაამქვეყნიური სამყაროდან არაა ნებადართული, თუ ჯეიკობი ამჯობინებს, რომ მოვკვდე, მაშინ მიეჩვიოს სიჩუმეს.

მადა დამეკარგა. შევბრუნდი და ჩემი ნივთების დასალაგებლად გავემართე.

-არ დაურეკავ ჯეიკობს? –მკითხა ჩარლიმ.

–არა.

კიბეზე ასვლა დავიწყე.

–ეს არც ისე ლამაზი საქციელია, ბელა, - თქვა მან, –ღმერთი შენდობას გვასწავლის.

-შენ საქმეს მიხედე, -ჩავიჩურჩულე მე, ჩუმად, რომ მას არ გაეგო.

მე ვიცოდი, რომ სარეცხი უკვე სავსე იყო. კბილების გახეხვის და ჭუჭყიანი ტანსაცმლის კალათში ჩაყრის შემდეგ, წავედი რომ ჩარლის საწოლის თეთრეული შემომეცვალა. მე ის კიბის ზედა საფეხურზე დავტოვე და საკუთარის გამოსაცვლელად გავემართე.

საწოლის გვერდით შევჩერდი და აქეთ-იქით ყურება დავიწყე.

სადაა ჩემი ბალიში? მე დავტრიალდი, ოთახი დავათვალიერე. ბალიში არ იყო და საერთოდ, ჩემი ოთახი უჩვეულოდ დალაგებულად გამოიყურებოდა. ნუთუ ჩემი ნაცრისფერი სპორტული მაისური არ ეკიდა საწოლის ზურგზე? შემიძლია დავიფიცო, რომ წყვილი ჭუჭყიანი წინდები დავტოვე სავარძელზე, ან სადაა წითელი ბლუზი? მე მოვიზომე ის ორი დღის წინ, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ის ძალიან "გამოსასვლელი" იყო სკოლისთვის და სავარძლის სახელურზე დაკიდული დავტოვე... მე ისევ დავტრიალდი. ჩემი კალათი ნახევრამდეც არ იყო სავსე, მაგრამ მე ზუსტად მახსოვს, რომ ის სავსე დავტოვე.

ჩარლიმ გარეცხა? ეს არ ჯდებოდა მის ხასიათში.

-მამა, შენ დაიწყე რეცხვა? – დავიყვირე კარებიდან.

-არა, რა იყო? –თქვა მან დამნაშავე ხმით. –უნდა დამეწყო?

-არა, მე ისე... რამეს ეძებდი ჩემს ოთახში?

-არა და რა არის?

-მე ჩემს ბლუზს ვერ ვპოულობ..

-არა, მე არც კი შემოვსულვარ შენთან.

შემდეგ გამახსენდა, რომ ელისი იყო აქ ჩემი ნივთების ასაღებად, ნუთუ ბალიშიც წამოიღო?, მაგრამ მე ის არ მინახავს დიდ საწოლზე, მან ზუსტად ის წამოიღო რაც მჭირდებოდა, ოთახი კი მიწყობილს ჰგავდა, საშინლად შემრცხვა ჩემი უსუფთაობის.

მაგრამ წითელი ბლუზი ხომ სუფთა იყო, ამიტომ წავედი რომ ის ჭუჭყიანი თეთრეულის გროვიდან ამომეღო.

მე მეგონა რომ მას ზევიდანვე დადებულს ვნახავდი, მაგრამ იქ არ იყო.

მთელი კალათის გაჩხრეკის შემდეგაც ვერ ვიპოვე. ალბათ პარანოია მჭირს, მაგრამ მომეჩვენა, რომ კიდევ რაღაც დაიკარგა, ან კიდე ბევრი რამე, რადგან კალათა ნახევრად ცარიელი იყო.

ჩემი თეთრეული ავკრიფე და გზაში ჩარლისებიც გავიყოლე, შემდეგ სარეცხ მანქანასთან მივედი. ის ცარიელი იყო. სამშრობიც შევამოწმე, ველოდი რომ იქ მაინც ვიპოვიდი რამეს, მაგრამ ისევ არაფერი, ამაში რაღაც მისტიური იყო.

-იპოვე რასაც ეძებდი? – დაიძახა ჩარლიმ.

-ჯერ არა.

მე ზევით ავბრუნდი, რომ საწოლის ქვეშ მომეძებნა., იქ არაფერი იყო მტვრის გარდა. კარადაშიც მოვძებნე, ხომ შიძლებოდა იქ შემენახა.

ხელი ჩავიქნიე, როცა ზარის ხმა გავიგე, ეს ალბად ედვარდია.

- გააღე! – მითხრა ჩარლიმ როცა მე გვერდით ჩავუქროლე.

- დამშვიდდი მამა.

გაღიმებული სახით გავაღე კარი.

ედვარდს ფართოდ ჰქონდა გახელილი ოქროსფერი თვალები, ის დაძაბული იყო და კბილებს უკეთებდა დემონსტრაციას.

- ედვარდ? –ჩემი ხმა დაწვრილდა შიშისგან, როცა მისი გამომეტყველება დავინახე,-რა?
მან თითი დამადო ტუჩებზე.
– ორი წამი,-ჩაიჩურჩულა მან,-არ გაინძრე!

მე ზღურბლზე გავიყინე, ის კი გაქრა, ედვარდი იმდენად სწრაფად მოძრაობდა, რომ ჩარლიმ ვერც კი შეამჩნია როცა გვერდზე ჩაუქროლა.

სანამ ორამდე დავითვალე, ის უკვე დაბრუნდა. მან ხელი მომხვია წელზე და სწრაფად წამათრია სამზარეულოსკენ. ისე ვეჭირე თითქოს რაღაცისგან მიცავდა. მე ჩარლის შევხედე ის საერთოდ არ გვაქცევდა ყურადღებას.

- ვიღაც იყო აქ, - ჩამჩურჩულა მან ყურში, მისი ხმა იმდენად შეშფოთებული იყო, რომ სარეცხი მანქანის ხმაურში ვერც კი ვარკვევდი რას ამბობდა..

- შემიძლია დავიფიცო, რომ არცერთი ვაერვულფი არ იყო.. – დავიწყე მე.

- არა ისინი არა,-სწრაფად შემაჩერა მან,-ეს ვამპირი იყო.

მისი ტონით მივხვდი, რომ საკუთარი ოჯახის წევრს არ გულისხმობდა.

- ვიქტორია?-ძლივს ამოვღერღე მე.

- ეს უცნობი სუნია.

- ვიღაც ვოლტურებიდან?

- შეიძლება.

- როდის?

– ვფიქრობ დილით, როცა ჩარლის ეძინა და ვინც არ უნდა ყოფილიყო მას არ შეხებია, ე.ი სხვა მიზანი ჰქონდათ.

- ისინი მე მეძებდნენ.

მან არ მიპასუხა და ქანდაკებასავით გაიყინა.
– ეი, თქვენ ორნი რაზე ჩურჩულებთ?,-იკითხა ჩარლიმ დაეჭვებულმა და სამზარეულოში შემოვიდა პოპკორნის ცარიელი თასით.

ცუდად გავხდი, სანამ ჩარლის ეძინა, ვამპირი იყო ჩვენ სახლში და მეძებდა. პანიკამ მომიცვა და სუნთქვა არ მყოფნიდა, მე არ შემეძლო მეპასუხა, უბრალოდ საშინლად მივაშტერდი მას.

ჩარლის გამომეტყველება მოულოდნელად შეიცვალა და მას გაეცინა.
– კარგი, თუ ჩხუბობთ მაშინ ხელს არ შეგიშლით,-თქვა მან და გავიდა.

- წავედით, თქვა ედვარდმა, მისი ხმა მკაცრი იყო.

- მაგრამ ჩარლი?, –შიშისგან გული შემეკუმშა, სუნთქვა მიჭირდა.

ედვარდმა ყველაფერი წამში მოიფიქრა, შემდეგ კი მის ხელში ტელეფონი გაჩნდა.

–ემეთ!,- თქვა მან და დაიწყო ლაპარაკი, ისე სწრაფად, რომ მე სიტყვაც ვერ გავიგე. ის ცამეტ წამში ჩაეტია, შემდეგ კი კარისკენ წამათრია.

–ემეთი და ჯასპერი უკვე წამოვიდნენ,– ჩაიჩურჩულა მან როცა იგრძნო ჩემი წინააღმდეგობა, შემდეგ დაამატა, – ისინი გაწმინდავენ ტყეს, ჩარლისთან ყველაფერი კარგად იქნება.
ნება დავრთე, რომ წავეყვანე, ზედმეტად შეშინებული ვიყავი, რომ საღად მეაზროვნა. ჩარლი ჩემს შეშინებულ გამომეტყველებას კმაყოფილი ღიმილით შეხვდა, მაგრამ ცოტახანში მის სახეზე დაბნეულობაც გაჩნდა. ედვარდმა იქამდე გამომიყვანა სახლიდან, სანამ ჩარლი რამის თქმას მოასწრებდა.

-სად მივდივართ?, – მე მაშინაც კი ვჩურჩულებდი, როცა მანქანაში აღმოვჩნდით.

-ელისთან სალაპარაკოდ, -მითხრა მან უხეში ხმით.

-ფიქრობ, მას შეეძლო რამის დანახვა?

ედვარდი დავიწროებული თვალებით იყურებოდა გზაზე.

-შეიძლება.

ისინი უკვე გველოდებოდნენ, თავი მუზეუმში მეგონა, ყველა ქანდაკებასავით იყო გაქვავებული.

– იქ რა მოხდა?, – შევედით თუ არა ახსნა მოითხოვა ედვარდმა.
მე შეძრწუნებული ვიყავი იმითი, თუ როგორ ბურღავდა ის მზერით ელისს, მრისხანებისგან ხელები მუშტად ჰქონდა შეკრული.

. ელისს გულზე ედო ხელები და გაურკვევლად ჩურჩულებდა

. – მე არაფერი ვიცი, არაფერი დამინახავს.

-როგორ ეს შესაძლებელია? – დაიყვირა ედვარდმა.

–ედვარდ!, - ვუყვირე მე, - არ მომწონდა, რომ ელისს ამგვარი ტონით ელაპარაკებოდა.

კარლაილი მშვიდად ჩაერია: - ეს არ არის ზუსტი მეცნიერება, ედვარდ.

- ელის, ის მის ოთახში იყო და ელოდებოდა.

- მე დავინახავდი ამას.

ედვარდმა რისხვით აიქნია ხელები.

- დარწმუნებული ხარ ამაში?

ელისის ხმა ცივი იყო როცა უპასუხა:

– შენ უკვე დამავალე რომ ვოლტურებისთვის მედევნებინა თვალი, ვიქტორიას დაბრუნებას დავკვირვებოდი, ბელას ყოველი ნაბიჯი მეკონტროლებინა, კიდევ გინდა რამე დამავალო? იქნებ ჩარლისაც ვუთვალთვალო? ან კიდევ მთელ ქუჩას? ედვარდ, თუ კიდევ დავამატებ რამეს უბრალოდ ყველაფერი ამერევა თავში.

– მგონი ეს უკვე მოხდა, –მშრალად თქვა ედვარდმა.

–ის არ იყო საფრთხეში, არაფერი იყო დასანახი.

–შენ თუ აკვირდები იტალიას, მაშინ რატომ ვერ დაინახე, როგორ გამოაგზავნეს..

– არ ვფიქრობ, რომ ისინი არიან, ამას აუცილებლად დავინახავდი.

– კიდევ ვის შეეძლო დაეტოვებინა ჩარლი ცოცხალი?
მე გამაჟრჟოლა.

- არ ვიცი, -თქვა ელისმა.

- ძალიან დამეხმარე.

- ედვარდ, შეწყვიტე! -ჩავიჩურჩულე მე.

ის ჩემსკენ შემბრუნდა, მისი სახე ისევ გაბოროტებული იყო ტუჩები მწარედ ჰქონდა მოკუმული. ნახევარი წამი მიყურებდა, შემდეგ კი

მოულოდნელად ამოისუნთქა, თვალები დაუმშვიდდა და დაძაბულობაც გაქრა.
- შენ მართალი ხარ, ბელა, ბოდიშს ვიხდი, -მან ელისს შეხედა, – მაპატიე ელის, მე არ უნდა გავბრაზებულიყავი შენზე, ცუდად მოვიქეცი.

– ყველაფერი მესმის, - დაარწმუნა ელისმა,– და განვიცდი.

ედვარდმა ღრმად ჩაისუნთქა.

-კარგი, მოდით ლოგიკურად ვიფიქროთ, რა ვარიანტები გაქვთ?

ელისი მოეშვა და იდაყვით დაეყრდნო სავარძლის ზურგს, კარლაილი მის გვერდით დადგა, მისი თვალები ჩაფიქრებული იყო. ესმე ელისის პირდაპირ დაჯდა დივანზე. ხოლო როზალი გაუნძრევლად იდგა, ზურგს გვაქცევდა და შუშის კედელს უყურებდა.

ედვარდმა ესმეს გვერდით დამსვა დივანზე და თან ხელს არ მიშვებდა.

–ვიქტორია? –იკითხა კარლაილმა.

ედვარდმა უარყოფითად გაიქნია თავი – არა, მე ვიცი მისი სუნი, ის ნამდვილად ვოლტურებიდან იყო, ვინმე ისეთი, ვისაც მე ჯერ კიდევ არ შევხვედრილვარ.

ელისმა თავი დაუქნია,- აროს არავისთვის დაუვალებია მისთვის თვალთვალი, ამას ველოდები და აუცილებლად დავინახავ.

ედვარდმა სწრაფად მიაბრუნა მისკენ თავი, –შენ ოფიციალურ ბრძანებებს აკვირდები.

– შენ ფიქრობ რომ ვინმე დამოუკიდებლად მოქმედებს? რატომ?

– მაგალითად კაიუსი, –ივარაუდა ედვარდმა, მისი სახე კვლავ დაიძაბა.

–ან ჯეინი... თქვა ელისმა, – მათ ორივეს აქვთ შესაძლებლობები, რომ ჩვენ ვინმე უცნობი გამოგვიგზავნონ.

ედვარდი მოიღუშა.
–და რა მიზნით?

-ეს სისულელეა, - თქვა ესმემ, - ვინმეს, რომ დაეპირებინა ბელასთვის ზიანის მიყენება ელისი იგრძნობდა ამას, მათ სხვა გეგმა ჰქონდათ.

-ყველაფერი კარგად იქნება, ბელა,- ჩამიჩურჩულა ესმემ და მაკოცა.

- ეს რაში სჭირდებათ? – ჩაფიქრდა კარლაილი.
- შეამოწმეს, ისევ ადამიანი ვარ თუ არა, –გავაგრძელე მე.
- შეიძლება, –თქვა კარლაილმა.

როზალიმ იმდენად ხმამაღლა ამოისუნთქა, , რომ გავიგონე, ის შეირხა, და მისი სახე სამზარეულოსკენ შეტრიალდა, ედვარდმაც იქით გაიხედა.

სამზარეულოდან ჯერ ემეთი გამოჩნდა და შემდეგ ჯასპერი.

- დიდი ხანია რაც წავიდა, რამდენიმე საათის წინ, იმედგაცრუებულად განაცხადა ემეთმა,- კვალმა ჯერ აღმოსავლეთისკენ წაგვიყვანა შემდეგ კი სამხრეთისკენ, შემდეგ კი საერთოდ გაქრა.

- არ გაგვიმართლა,-თქვა ედვარდმა,-დასავლეთით, რომ წასულიყო მგლები მაინც ჩაიგდებდნენ ხელში.

მე ავკანკალდი.
ჯასპერი კარლაილს უყურებდა, მან რაღაც მწვანე და დაკუჭული მისცა მას და კარლაილმა ცხვირთან მიიტანა, ეს ფოთოლი იყო.
- კარლაილ, იქნებ იცი ეს სუნი.

-არა, - თქვა კარლაილმა – სამწუხაროდ ვერ ვცნობ.

- შეიძლება ჩვენ არასწორი გზით მივდივართ, შეიძლება ეს მხოლოდ დამთხვევაა... –დაიწყო ესმემ, მაგრამ გაჩერდა როცა დაინახა სხვების სკეპტიკური გამომეტყველება, – მე არ ვამბობ, რომ უცნობი შემთხვევით შევიდა ბელას სახლში, შეიძლება ვინმე შევიდა იქ ცნობისმოყვარეობის გამო, ჩვენი სუნი ყველგან არის, ის შეიძლება დაინტერესდა, რა გვინდოდა იმ სახლში.
- მაშინ პირდაპირ აქ რატომ არ მოვიდა?,-დაინტერესდა ემეთი.

- შენ კი მოხვიდოდი, -ღიმილით უთხრა ესმემ,-მაგრამ ყველა ისე არ ფიქრობს, როგორც ჩვენ, შეიძლება უბრალოდ შეეშინდა, რახან ჩარლის არ შეეხო, შეიძლება მტერი არც იყოს.

ჩემამდე ნელ-ნელა მოვიდა ის აზრი, რომ ვამპირები არც თუ ისეთ იშვიათობას წარმოადგენდნენ, ალბათ რამდენჯერ ხვდებიან მათ ადამიანები და წარმოდგენაც არ აქვთ ამაზე. რამდენი სიკვდილი და ყველაფერი, უბრალო დანაშაულად ითვლება სინამდვილეში კი ვამპირების წყურვილთან არის დაკავშირებული, ნეტავ მე როდის შევუერთდები მათ?

კალენები ესმეს თეორიას განიხილავდნენ, ედვარდი მას არ ეთანხმებოდა, კარლაილს კი ძალიან უნდოდა, რომ მისი ნათქვამი სიმართლე ყოფილიყო.
– მე ასე არ ვფიქრობ,-თქვა ელისმა,-ვიზიტის დრო ძალიან კარგად იყო შერჩეული, ის ფრთხილად მოქმედებდა, შთაბეჭდილება მრჩება, რომ იცოდა ჩემი შესაძლებლობების შესახებ.

– მას შეიძლებოდა სხვა მიზეზები ჰქონოდა ამისთვის,- შეახსენა ესმემ.
– ნუთუ ასეთი მნიშვნელოვანია ვინ იყო ის?,-ვთქვი მე,- ნუთუ ის რომ ვიღაც მეძებდა არ არის საკმარისი მიზეზი, რომ არ დაველოდოთ გამოსაშვებს?
– არა, ბელა,-მითხრა ედვარდმა,-ყველაფერი არც ისე ცუდად არის, ასე რომ ყოფილიყო გვეცოდინეოდა.
– ჩარლიზე იფიქრე,-შემახსენა კარლაილმა,-წარმოიდგინე რა მტკივნეული იქნება მისთვის უცებ რომ გაქრე.
– ჩარლიზეც ვფიქრობ, მაგრამ რა მოხდებოდა ჩემი სტუმარი წყურვილს, რომ შეეწუხებინა, სანამ მე ჩარლის გვერდზე ვარ ისიც საფრთხეშია, რამე რომ დაემართოს ჩემი ბრალი იქნება!
– არა, ბელა,-მითხრა ესმემ და თავზე ხელი გადამისვა,-მას არაფერი მოუვა, უბრალოდ ჩვენ მოგვიწევს უფრო ფრთხილად ვიყოთ.
– კიდევ უფრო ფრთხილად?,-ჩავიბურტყუნე მე.
– ყველაფერი კარგად იქნება,-მითხრა ელისმა.
ედვარდმა ხელი მომიჭირა.
როცა მათ ლამაზ სახეებს ვაკვირდებოდი, მივხვდი, რომ რაც არ უნდა მეთქვა აზრს არ შეიცვლიდნენ.
ჩვენ სიჩუმეში ვუახლოვდებოდით ჩემს სახლს, იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან ისევ ადამიანი ვიყავი.
– შენ მარტო ერთი წუთითაც არ დარჩები,-შემპირდა ედვარდი,-ვიღაც ყოველთვის იქნება აქ, ემეთი, ჯასპერი, ელისი..
ამოვიოხრე.

– ეს სასაცილოა, ისინი ბოლოს ისე მოიწყენენ, რომ თვითონ მომკლავენ.
ედვარდმა მკაცრად შემომხედა.
– ძალიან სასაცილოა, ბელა.

ჩარლიმ ჩემი და ედვარდის დაძაბული სახეები შეამჩნია და ძალიან კარგ ხასიათზე დადგა, თვითკმაყოფილი სახით მიყურებდა, როცა მაგიდას ვშლიდი სავახშმოდ. ედვარდი ცოტა ხნთ გავიდა, ალბათ სიტუციის დასაზვერად, ჩარლი სპეციალურად დაელოდა მის დაბრუნებას, რომ შეტყობინება გადმოეცა.
– ჯეიკობი ისევ რეკავდა,-მითხრა მან, როგორც კი ედვარდი შემოვიდა, ჩემი სახე არაფერს არ გამოხატავდა.
– მერე რა?
ჩარლი გაიბუსხა.
– ნუ იქნები ასეთი შურისმაძიებელი ბელა, მას საცოდავი ხმა ჰქონდა.
– ჯეიკობი გიხდის რეკლამისთვის, თუ მოხალისე ხარ?

ჩარლი რაღაცას გაურკვევლად ბურტყუნებდა ვახშამს მიუბრუნდა, თუმცა ის ვერ მიხვდა, მაგრამ მისი სიტყვები მიზანში მოხვდა.

ჩემი ცხოვრება ეხლა თამაშს ჰგავდა, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი, ან შემდეგ რა მომივიდოდა, არ ვიცოდი მიმეტოვებინა თუ არა ჯეიკობი, რომ მას თავისი სიტყვების გამო თავი დამნაშავედ ეგრძნო, მაგრამ მე არ მინდოდა მასთან ლაპარაკი ეხლა, როცა ჩარლი თითოეულ სიტყვას მოისმენდა, არ მინდოდა რამე ზედმეტი წამომცდენოდა, ამაზე ფიქრის დროს შემშურდა ბილისი და ჯეიკობის, ალბათ როგორი ადვილი იყო ცხოვრება, როცა საიდუმლო არ გქონდა.
აჯობებს დილას დაველოდო და ჯეიკობი კიდევ თორმეტი საათი ინერვიულებს, ეს მოუხდება კიდეც.
როცა ედვარდი ოფიციალურად წავიდა, ძალიან მაინტერესებდა ვინ იყო იქ გარეთ, ვინ ზრუნავდა ჩემი და ჩარლის უსაფრთხოებაზე, თავს უხერხულად ვგრძნობდი, მაგრამ მაინც მშვიდად, უნდა ვაღიარო, რომ კარგი იყო იმის შეგრძნება, რომ მარტო არ ვიყავი და ედვარდიც მალე დაბრუნდა.

ის ისევ მიმღეროდა იავნანას და მარწევდა, როცა ის ჩემს გვერდით იყო, კოშმარებიც აღარ მაწუხებდა.

დილით სანამ გამეღვიძებოდა, ჩარლი სათევზაოდ წავიდა, ვიფიქრე რომ უნდა გამომეყენებინა ეს დრო.

– ჯეიკობს შევურიგდები,-გავაფრთხილე მე ედვარდი, როცა საუზმეს მოვრჩი.
– ვიცოდი, რომ აპატიებდი,-თბილი ღიმილით მითხრა ედვარდმა,- შენ დიდხანს არ იტოვებ წყენას გულში.
  თვალები გადავატრიალე, ალბათ ედვარდს საბოლოოდ შეეცვალა აზრი ვაევულფებზე, ეს მიხაროდა.
 საათს მარტო მაშინ შევხედე, როცა ნომერი ავკრიფე, ჯერ ადრე იყო და მეშინოდა, რომ გავაღვიძებდი მათ, მან მაშინვე აიღო ტელეფონი, თითქოს ყარაულობდა.
– გისმენთ,-თქვა მან.
– ჯეიკობ!
– ბელა!,-იყვირა მან,-ბელა, გთხოვ მაპატიე, გეფიცები სპეციალურად არ მითქვამს, იდიოტი ვარ, გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ ეს არ მამართლებს, ეს ყველაზე იდიოტური სიტყვები იყო, რაც კი როდესმე მითქვამს, მაპატიე, მითხარი რომ აღარ მიბრაზდები, ოღონდ მაპატიე და მთელი ცხოვრება შენი მონა ვიქნები.
– არ გიბრაზდები, ჩათვალე, რომ გაპატიე.
– მადლობთ,-ამოიოხრა მან,- არ მჯერა, რომ ასეთი სულელი ვიყავი.
– ნუ ნერვიულობ, ამას შევეჩვიე.
  მან ხმამახლა და შვებით გადაიხარხარა.
– ჩემთან მოდი,-მთხოვა მან,-მინდა რომ დანაშაული გამოვისყიდო.
  მე გავბრაზდი.
– როგორ?
– რაც გინდა, თუნდაც კლდიდან ხტომა,- შემომთავაზა მან და ისევ გაიცინა.
– იჰ, ეს გადასარევი იდეაა.
– გპირდები დაგიცავ, რისი გაკეთებაც არ უნდა გადაწყვიტო.
  მე ედვარდს შევხედე, მისი სახე შვიდი იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ ეხლა არ იყო გართობის დრო.
– დღეს არ შემიძლია.
– ისინი არ მენდობიან ხო?,- ჯეიკობის ხმაში სირცხვილი იგრძნობოდა.
– ამაში არ არის საქმე, ნუ.. არის კიდევ რაღაც უფრო დიდი პრობლემა, ვიდრე ცუდად გაზრდილი და თავხედი ვაერვულფი,-ჩემმა მხიარულმა ტონმა არ მოატყუა.
– რა მოხდა?,-მოითხოვა მან პასუხი.
– ეე..,- არ ვიყავი დარწმუნებული, რომ მისთვის უნდა მეთქვა.
 ედვარდმა ხელი გამოწია ტელეფონისკენ, მე კარგად დავაკვირდი მის სახეს, ის ისევ მშვიდი იყო.
– ბელა?,-მკითხა ჯეიკობმა.
 ედვარდმა ჩაისუნთქდა და კიდევ უფრო გამოწია ხელი.

– წინაამღდეგი ხომ არ ხარ, რომ ედვარდს დაელაპარაკო, რაღაცის თქმა უნდა,-ვთქვი მე დაბნეულად.
 დიდი პაუზა.
– კარგი, ეს ალბად საინტერესო იქნება.
 ყურმილი ედვარდს მივაწოდე, იმედი მაქვს წაიკითხა გაფრთხილება ჩემს თვალებში.
– სალამი ჯეიკობ,-ზრდილობიანად უთხრა მან.
 შემდეგ სიჩუმე იყო, ტუჩს ვიჭამდი და ვცდილობდი წარმომედგინა რა უპასუხა ჯეიკობმა.
– ვიღაც იყო აქ და მე არ ვიცი მისი სუნი,-აუხსნა ედვარდმა,-თქვენს ხროვას არავინ შეხვედრია?
 კიდევ ერთი პაუზა, ედვარდი მშვიდად აქნევდა თავს.
– ეს არის მიზეზი ჯეიკობ, სანამ ამას არ გავიგებთ ბელას ვერსად ვერ გავუშვებ, აქ არაფერია პირადული..
 ყურმილიდან გავიგონე, როგორ შეაწყვეტინა ჯეიკობმა, რაც არ უნდა ეთქვა მისი ხმა აშკარად უფრო ხმამაღალი იყო, ვცდილობდი ერთი სიტყვა მაინც გამეგო.
– ეს საინტერესო წინადადებაა, თუ სემი მოინდიმებს ჩვენ მზად ვართ ხელახალი მოლაპარაკებისთვის,-თქვა ედვარდმა.
 ჯეიკობის ხმა ისე აღარ ისმოდა, ფრჩხილებიც კი დავიჭამე სანამ ვცდილობდი ედვარდის გამომეტყველების ახსნას.
– მადლობთ,-უპასუხა ედვარდმა.
 შემდეგ ჯეიკობმა რაღაც ისეთი თქვა, რამაც ედვარდი გააკვირვა.
– მართალი გითხრა მარტო ვაპირებდი წასვლას,-პასუხობდა ედვარდი მის მოულოდნელ კითხვას,- და მის სხვებთან დატოვებას ვფიქრობდი.
 ჯეიკობი ისევ რაღაცას უმტკიცებდა.
– შევეცდები ობიექტურად გადავწყვიტო,-შეპირდა ედვარდი.
 ამჯერად პაუზა არ იყო ხანგრძლივი.
– ეს არ არის ცუდი იდეა, როდის?, კი, მაწყობს, მინდა, რომ ჩემით გავყვე ნაკვალევს, ათი წუთი?, რა თქმა უნდა,-უთხრა ედვარდმა და ყურმილი მომაწოდა.
 – ბელა?
 – ეს რა იყო?,- ცოტა გაღიზიანებულმა ვკითხე ჯეიკობს.
– მე ვფიქრობ შეთანხმება, ბელა, შეგიძლია ერთი თხოვნა შემისრულო, შენი სისხლისმსმელი დაარწმუნე, რომ შენთვის ყველაზე უსაფრთხო იქნება აქ, ჩვენს რეზერვაციაში ყოფნა, ჩვენ ყველაფერს გავუმკლავდებით.
– ცდილობდი ამაში დაგერწმუნებინა?
– კი და ეს ჭკვიანურია, ვფიქრობ ჩარლისთვისაც კარგი იქნება, რომ ცოტახანს ჩვენთან იყოს.
– ამას ბილიმ მიხედოს,-ვუთხარი მე,-კიდევ რა?

– საზღვარი თავიდან უნდა გავავლოთ, რომ ყველას დაჭერა მოვახერხოთ ვინც კი ფორკსს მოუახლოვდება, ვფიქრობ სემი ამას არ დათანხმდება, მაგრამ სანამ ის რამეს გადაწყვიტავს ყველაფერს მივხედავ.
– რას ნიშნავს ყველაფერს მიხედავ?
– იმის თქმა მინდა, რომ თუ შენს სახლთან მგელს დაინახავ არ უნდა ესროლო.
– რა თქმა უნდა ამას არ ვიზავ, მაგრამ სულაც არ არის საჭირო თავის საფრთხეში ჩაგდება.
ჯეიკობმა ჩაიფრუტუნა.
– ნუ სულელობ, მივხედავ ჩემს თავს.
ამოვისუნთქე.
– ბელა შემპირდი, რომ გააკეთებ იმას რაც გთხოვე, მან მშვენივრად იცის, რომ აქ უფრო დაცული იქნები.
– კარგი ვეცდები.
– მალე გნახავ,-მითხრა ჯეიკმა.
– მოხვალ?
– აჰა, შენი სტუმრის სუნი უნდა დავიმახსოვრო, რომ კვალის აღება შევძლოთ.
– ჯეიკობ სულაც არ მომწონს, რომ მის დევნას აპირებ..
– ოჰ, კარგი რა ბელა,-გაეცინა მას და ყურმილი დაკიდა.

თავი 10

სურნელი

ეს ცოტა ბავშვური საქციელი იყო, ვითომ რატომ უნდა წასულიყო ედვარდი, როცა ჯეიკობი მოდიოდა, ნუთუ ისინი ვერ გაიზარდნენ?
– ბელა იმიტომ კი არ მივდივარ, რომ არ მომწონს ის, უბრალოდ ასე უფრო ადვილია ორივესთვის, აქვე ვიქნები ახლოს,–თქვა ედვარდმა როცა გადიოდა.
– ამის გამო არ ვნერვიულობ.

მან გამიღიმა და თვალები აუციმციმდა, შემდეგ ახლოს მიმწია თავისთან, ჩამეხუტა და ღრმად შეისუნთქა ჩემი სურნელი, მისი ცივი სუნთქვა ვიგრძები ლოყაზე და ჟრუანტელმა დამიარა.
– მალე დავბრუნდები,-თქვა მან და ისე გაიცინა, თითქოს რამე სასაცილო ვთქვი.
– რა გაცინებს?
მან არ მიპასუხა, სიცილით გამეცალა და ორ წუთში აორთქლდა.
ბუზღუნით გავემართე სამზარეულოს დასალაგებლად.
წყლის მოშვებაც ვერ მოვასწარი ზარმა რომ დარეკა, არ იყო ადვილი იმასთან შეჩვევა, რომ ჯეიკობი მანქანის გარეშე უფრო სწრაფად მოძრაობდა, მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ჩემზე სწრაფი იყო გარშემო.
– შემოდი ჯეიკობ!-დავიყვირე მე.
ჭურჭელს ნიჟარაში ვაწყობდი და სულ დამავიწყდა, რომ ჯეიკობს ეხლა ძალიან ჩუმად ძეეძლო სიარული, ამიტომ როცა მისი ხმა გავიგონე შევხტი.
– აუცილებელია კარი ღია დატოვო?უი ბოდიში შეგაშინე?,-მკითხა მან.
– მე არ მეშინია იმათი, ვისთვისაც კარი არ არის დაბრკოლება,-ვთქვი მე და ხელები გავიწმინდე ტილოზე.
– მართალი ხარ,-დამეთანხმა ჯეიკი.
მე შემოვბრუნდი და კრიტიკულად შევათვალიერე.
– ჯეიკობ, ნუთუ ასეთი რთულია რომ ჩაიცვა?
ის ისევ შიშველი იყო წელს ზევით, მთელ მის ტანისამოსს ძველი გადაჭრილი ჯინსები შეადგენდა, ვივარაუდე, რომ ის თავისი ახალი სხეულით ამაყობდა და არ უნდოდა მისი დამალვა, უნდა ვაღიარო, რომ მისი კუნთები მართლაც შთამბეჭდავი იყო.
– ვიცი, რომ შენ აღარ გცივა, მაგრამ მაინც,-დავამატე მე.
მან ხელით გადაიწია სველი თმა, რომელიც თვალებში ეფხატებოდა.
– ასე უფრო მოხერხებულია.
– მოხერხებული?
მან გამიღიმა.
– მე ისედაც მეზარება ყველგან შორტების თრევა და ეხლა კიდევ სხვა ტანსაცმელიც უნდა ვატარო? ასე ცუდად გამოვიყურები?
მე გავბრაზდი.
– რაზე ლაპარაკობ ჯეიკობ?
მას ისეთი სახე ჰქონდა თითქოს რაღაცა ძალიან მარტივს ვერ ვიგებდი.
– ბელა, როცა ფორმას ვიცვლი ჩემი ტანსაცმელი არ ქრება და მითუმეტეს მერე არ ჩნდება, მისი თან ტარება მიწევს.

გავწითლდი.
– უი, ამაზე არ მიფიქრია,-ჩავიბურტყუნე მე.

მან გამიღიმა და შავი თასმა დამანახა, რომელიც სამჯერ ჰქონდა ფეხზე შემოვლებული და მხოლოდ ეხლა შევამჩნიე, რომ ფეხზეც არ ეცვა.
– ეს რამე მოდური არ გეგონოს, უბრალოდ აქ ვამაგრებ ჯინსებს, აბა მათი პირით ტარება საშინელებაა.
არც კი ვიცოდი რა მეპასუხა.
მან გაიცინა.
– ის გაწუხებს, რომ ნახევრად გახდილი ვარ?
– არა.
მე შევბრუნდი, რომ ჭურჭლისთვის მიმეხედა, იმედი მქონდა ის არ იფიქრებდა, რომ მისი კითხვის გამო ვიყავი წითელი.
– მემგონი დროა საქმეს მივხედოთ, ნამდვილად არ მინდა მან დამაბრალოს, რომ საქმეს გაშორებ და გაცდენ.
– ჯეიკობ, ეს შენი გასაკეთებელი საქმე არ არის.
ჯეიკობმა ხელი ასწია რომ გავეჩუმებინე.
– მე მოხალისე ვარ!, თან მომიყევი, შენი სტუმრის სუნი სად არის უფრო მეტად დარჩენილი?
– ვფიქრობ, ჩემს საძინებელში.
მან შუბლი შეიჭმუხნა, ეს ისევე არ მოეწონა, როგორც ედვარდს.
– ერთი წუთით ავალ..
მე თეფშს ვამშრალებდი და ეს ერთადერთი ხმა იყო რაც მესმოდა, ვცდილობდი ზევით ოთახისთვის ყური დამეგდო, მაგარამ სიჩუმე იყო, ბოლოს შევეცადე ისევ ჩემს საქმეზე მეფიქრა.
– მოვედი!,-მოულოდნელად თქვა ჯეიკობმა და ისევ შემაშინა.
– კარგი რა ჯეიკობ!
– ბოდიში, ბოდიში, მოდი მოგეხმარები, შენ გარეცხე და მე გავამშრალებ.
– გადასარევია, -ვთქვი მე და თეფში მივაწოდე.
– სუნის აღება არ იყო რთული, შენი ოთახი პირდაპირ გაჟღენთილია.
– ჰაერის გამწმენდს ვიყიდი.

რამოდენიმე წუთის განმავლობაში მეგობრულად ვაკეთებდით საქმეს, მე ვრეცხავდი და ის ამშრალებდა.
– შიძლება რაღაც გკითხო,-დაარღვია მან სიჩუმე.
– გააჩნია რის კითხვას აპირებ,-ვუპასუხე მე და შემდეგი თეფში მივაწოდე.
– არ მინდა, რომ იდიოტად ჩამთვალო, უბრალო ცნობისმოყვარეობაა.
– კარგი, მკითხე.
მან პატარა პაუზა გააკეთა სანამ მკითხავდა.
– როგორი გრძნობაა, როცა ვამპირი გყავს ბოიფრენდად?
თვალები გადავატრიალე.

– ყველაზე მაგარი.
– სერიოზულად გეკითხები, ნუთუ ეს არ გაწუხებს, ის არ გაშინებს ხოლმე?
– არასდროს.
მის სახეს შევხედე, ის იბღვირებოდა.
– კიდევ გაინტერესებს რამე?
– ნუ კიდევ ის.. გიკოცნია მისთვის?
მე გადავიხარხარე.
–კი.
ჯეიკობი დაიჭყანა.
– ფუუუ.. და ეშვების არ გეშინია?
გავბრაზდი და ხელი მივარტყი.
– მოკეტე ჯეიკობ, ხომ იცი რომ მას ეშვები არ აქვს.
– მაინც,- ჩაიბურტყუნა მან.
კბილები დავაჭირე ერთმანეთს და დიდი დანის რეცხვას შევუდექი.
– შეიძლება კიდევ ერთი კითხვა?, -რბილად მკითხა მან როცა დანა გადავეცი,-ისევ ცნობისმოყვარეობა.
– კარგი,-უხეშად ვუპასუხე მე.
– შენ თქვი რამოდენიმე კვირაშიო, მაინც როდის?,-მკითხა მან და დანის განშრალება დაიწყო.
– გამოსაშვების შემდეგ,-ჩავიჩურჩულე მე და თან ფრთხილად ვაკვირდებოდი მის სახეს.
– ასე მალე,-თქვა მან და თვალები დახუჭა.
ეს კითხვა არ იყო, ეს ჩივილს ჰგავდა, მისი სხეული დაიძაბა და ძარღვები დაეჭიმა ხელებზე.
– ოი!,- იყვირა მან, სამზარეულოში ისეთი სიჩუმე იყო, რომ შევხტი მის ხმაზე.
მისი მარჯვენა ხელი მუშტად იყო შეკრული დანის გარშემო, მან ხელი გაშალა და დანა ხმაურით დაეცა იატაკზე, ხოლო ხელის გულზე უზარმაზარი ჭრილობა გაჩნდა, სისხლი შადრევანივით მოედინებოდა და ძირს წვეთავდა.
– ჯანდაბა!,- დაიღმუვლა მან.
თავბრუ დამეხვა და სამზარეულოს მაგიდას ჩავებღაუჭე, რომ არ დავცემულიყავი.
– ეს რა უბედურებაა ჯეიკობ, მიდი შემოიხვიე!,-ვუთხარი მე და სამზარეულოს ტილო ვესროლე.
ის უბრალოდ გაიწია.
– ნუ ნერვიულობ, სისულელეა.
ყველაფერი ტრილებდა ჩემს გარშემო, შევეცადე თანაბრად მესუნთქა.
– რას ქვია არ ვინერვიულო, ხელზე ღია ჭრილობა გაქვს.

მან ყურადღება არ მიაქცია ჩემს მიერ ნასროლ ტილოს და ხელი ონკანს შეუშვირა, ერთ წამში წყალი წითელი გახდა, კიდევ უფრო ცუდად გავხდი.
– ბელა?
– რა?
– ისეთი სახე გაქვს თითქოს სადაცაა გული წაგივა, დამშვიდდი და ისუნთქე, მე კარგად ვარ.
დიდი სუნთქვა ავიღე პირით.
– წამოდი საავადმყოფოში წაგიყვან,-თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ შევძლებდი მანქანის ტარებას, კედლები აღარ ტრიალებდა ჩემს გარშემო და სუნთქვაც შემეძლო.
– ეს ზედმეტია.
ჯეიკობმა ონკანი დაკეტა და შემდეგ ტილო შემოიხვია ხელზე.
– მოიცადე,-გავაპროტესტე მე,-შემახედე მაინც.
– შენ რა სამეცადინო განათლება გაქვს, რომელზეც აქამდე არაფერი გითქვამს?
– მომეცი უფლება გადავწვიტო წაგიყვანო თუ არა საავადმყოფოში.
– კარგი რა ბელა.
– ძალიან გავბრაზდები თუ ხელს არ მაჩვენებ.
– კარგი ხო..
მან ტილო მოიშორა და ხელი გამომიწოდა.
სულ რამოდენიმე წამი დამჭირდა. მე მის ხელს ვატრიალებდი, თუმცა ვიცოდი, რომ ხელის გული გაიჭრა, ბოლოს მივხვდი, რომ პატარა ვარდისფერი ზოლი ერთადერთი იყო რაც იარიდან დარჩა.
– მაგრამ.. შენ სისხლი მოგდიოდა.., თან ისე ძლიერად.
მან ხელი გაწია და მკაცრად შემომხედა.
– სწრაფად მიხორცდება.
– გასაგებია,-ჩავიბურტყუნე მე.
მე დავინახე დიდი და ღრმა ჭრილობა, სისხლიც დავინახე, რომელიც ნიჯარაში ჩაედინებოდა, მისი სუნისგან კინაღამ გული წამივიდა, ალბათ ასეთ ჭრილობას ნაკერების დადება დასჭირდებოდა და უკვე ლაპარაკი ზედმეტია იმაზე რამდენი დრო დასჭირდებოდა შეხორცებას.
მან კმაყოფილი სახით გამიღიმა და მუშტი დაიტყაპუნა გულზე.
– ვაერვულფი ვარ, ხომ გახსოვს?
რამოდენიმე წუთი თვალებში ვუყურებდი.
– მართლაც,-ბოლოს და ბოლოს ამოვღერღე მე.
მას გაეცინა ჩემს სიტყვებზე.
– ამაზე ხომ გიყვებოდი?, პოლის იარა ხომ ნახე?
თავი გავიქნიე, რომ აზრები მომეკრიბა.
– როცა პროცესს აკვირდები ყველაფერი სხვანაირად არის.

კარადა გამოვაღე და მათეთრებელი გამოვიღე, შემდეგ ტილოზე დავასხი და იატაკის წმენდა დავიწყე, ქლორის მძაფრმა სუნმა საბოლოოდ გამანთავისუფლა თავბრუსხვევისგან.
– მოდი მე გავწმინდავ,-მითხრა ჯეიკობმა.
– უკვე დავამთავრე, შეგიძლია ეს ტილო სარეცხ მანქანაში ჩააგდო?
როცა დავრწმუნდი, რომ იატაკს მხოლოდ ქლორის სუნი ჰქონდა ნიჟარაც გავწმინდე, შემდეგ სამრეცხაოში შევედი, რომელიც საკუჭნაოს გვერდით იყო და სარეცხის მანქანა ჩავრთე და მასშიც დიდი რაოდენობით ჩავყარა მათეთრებელი, ჯეიკობი გაოგნებული სახით მაკვირდებოდა.
– შენ რა სისუფთავის მანიაკალური შეტევა გაქვს?,-მკითხა მან როცა დავამთავრე.

ალბათ ის მართალი იყო, მაგრამ ამჯერად მართლა მქონდა მიზეზი.
– ჩვენ აქ ცოტა არ იყოს მგძნობიარეები ვართ სისხლის მიმართ, იმედია ხვდები რას ვგულისხმობ.
– ოჰ,- თქვა მან და ცხვირი აიბზუა.
– რატომ არ გინდა ისე გააკეთო ყველაფერი, რომ მას გაუადვილდეს, მისთვის ეს ძალიან რთულია.
– კარგი, კარგი, ბელა, შეიძლება რაღაც გკითხო?
მე ჩავისუნთქე.
– კარგი.
– როგორია ვაერვულფთან მეგობრობა?
კითხვამ გამაკვირვა და გადავიხარხარე.
– ეს გაშინებს?,-მკითხა მან სანამ მოვასწარი პასუხის გაცემა.
– არა, როცა ვაერვულფი კარგად იქცევა ეს ძალიან მაგარია.
მან ფართოდ გამიღიმა.
– მადლობთ ბელა,-მითხრა მან და ძლიერად მომეხვია.
ის მანამდე გამეცალა სანამ რეაგირებას მოვასწრებდი.
–ფუუ,-თქვა მან,- შენი თმები უარესად ყარს ვიდრე შენი ოთახი.
– ბოდიში.
მარტო ეხლა მივხვდი რა უხაროდა ედვარდს წასვლის წინ.
– ვამპირებთან თანაცხოვრებაში ბევრია ცუდი,-თქვა ჯეიკობმა და მხრები აიჩეჩა,-ერთ-ერთი ის არის, რომ საშინელი სუნი აქვთ და სუნი შენზეც გადასულა.
მე გაბრაზებულმა შევხედე.
– მე მარტო შენთვის ვყარვარ ჯეიკობ.
მას გაეცინა.
– მალე გნახავ, ბელა.
– მიდიხარ?
– ელოდება როდის წავალ, მისი ხმა მესმის.

– ოჰ..
– უკანა კარიდან გავალ,- მითხრა მან და გაჩუმდა, შემდეგ გააგრძელა,- დღეს საღამოს შესძლებ ლაპუშზე მოსვლას? წვეულება გვექნება კოცონთან, ემილიც იქნება და კიმის გაცნობასაც შეძლებ, ქუილსაც გაუხარდება შენი დანახვა.

– ჯეიკობ, არ კი ვიცი, ეხლა სიტუცია იმდენად დაძაბულია..
– კარგი რა, მიდი გადაწყვიტე, ხომ არ გგონია, რომ ვინმე შეგვიტევს ამდენს ერთად?
მისი თვალები თითქოს მემუდარეოდნენ.
– ვკითხავ.
ჯეიკობი საშინლად გაბრაზდა.
– ეხლა ის შენი მეთვალყურეა? მემგონი ეს არ არის ნორმალური..
– შეწყვიტე ჯეიკობ!,-შევაწყვეტინე მე და ხელი მივარტყი,-ვაერვულფის წასვლის დროა.
მას გაეცინა.
– კარგად ბელს და არ დაგავიწყდეს ნებართვის თხოვნა.
ის მანამდე გავარდა სანამ რამეს ვესროდი, ჩემთვის ვბურტყუნებდი ცარიელ ოთახში.
ზუსტად ორი წამის შემდეგ ედვარდი შემოვიდა სამზარეულოში, წვიმის წვეთები, როგორც ბრილიანტები ბზინავდნენ მის თმაზე, თვალები აფორიაქებული ჰქონდა.
– თქვენ რა იჩხუბეთ?.-მკითხა მან.
– ედვარდ!,-წამოვიყვირე მე და ვეცი მას.
მან გაიცინა და შემომეხვია.
– გინდა, რომ ყურადღება გადამატანინო?, ეს გამოგდის.
– ჯეიკობთან არ მიჩხუბია, საიდან მოიტანე?
– უბრალოდ მაინტერესებს რატომ დაჭერი? მე კი არ ვარ წინაამღდეგი, მაგრამ.., - მითხრა მან და თვალებით მიმანიშნა დანაზე, რომელიც სამზარეულოს მაგიდაზე იდო.
– ჯანდაბა!,-მეგონა, რომ ყველაფერი დავალაგე.
ედვარდს მოვწყდი და დანის რეცხვა დავიწყე.
– სულაც არ ვაპირებდი მის დაჭრას,-ვუთხარი მე და თან საქმეს არ ვწყდებოდი,-მას უბრალოდ დაავიწყდა, რომ ხელში დანა ეჭირა.
ედვარდმა გადაიხარხარა.
– ეს იმაზე სახალისოა ვიდრე ველოდი.
– ნუ მავნებლობ.
მან ჯიბიდან დიდი კონვერტი ამოიღო და მაგიდაზე დააგდო.
– შენი ფოსტა მივიღე.
– რამე კარგია?
– ვფიქრობ კი.

მისი უცნაური ტონი შევნიშნე და დაეჭვებულმა შევხედე.
გადავწყვიტე შემეხედა რა იყო. დიდი კონვერტი გავხსენი და გამიკვირდა ქაღალდის ხარისხი, შემდეგ გამომგზავნის მისამართი წავიკითხე.
– დარმუთი? ეს ხუმრობაა?
– დარწმუნებული ვარ ეს მიღების საბუთია, ისევე გამოიყურება როგორც ჩემი.
– კარგი რა ედვარდ, ეს როგორ გააკეთე?
– მე მათ უბრალოდ შენი განცხადება გავუგზავნე, სულ ეს არის.
– შეიძლება დარმუთის მოთხოვნებს ვერ ვაკმაყოფილებ, მაგრამ არც იმდენად სულელი ვარ, რომ ეს დავიჯერო.
– მემგონი დარმუთი ფიქრობს რომ აკმაყოფილებ.

ჩუმად ჩავისუნთქე და ათამდე დავითვალე.
– ეს ძალიან კეთილშობილურია მათი მხრიდან, როგორც იქნა ამოვღერღე მე, - მაგრამ ის, რომ იქ მიმიღეს სულაც არ ნიშნავს, რომ დავთანხმდები, ამის უფლებას ვერ მივცემ ჩემს თავს და შენც არ მოგცემ უფლებას რომ ამდენი ფული გადაყარო, ამ თანხით შეგიძლია ახალი სპორტული მანქანა იყიდო შენთვის.
– სულაც არ მჭირდება კიდევ ერთი სპორტული მანქანა, ვფიქრობ კოლეჯის ერთი წელი ვერაფერს დაგაკლებს, პირიქით იქ მოგეწონება კიდეც, იფიქრე ამაზე ბელა, წარმოიდგინე როგორ გაუხარდება ეს ჩარლის.

შევეცადე ეს სურათი თავიდან ამომეგდო.
– ედვარდ, მე იმაზე ვნერვიულობ, რომ სკოლის დამთავრებამდე გადავრჩე და შემოდგომამდე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.
ის ისევ მომეხვია.
– არავინ არაფერს დაგიშავებს, იმდენი დრო გექნება რამდენიც დაგჭირდება.
ჩავისუნთქე.
– ხვალ მთელს ჩემს დანაზოგს ალიასკის ბანკის ანგარიშზე გადავიყვან, ეს საკმაოდ კარგი ალიბია, პირველ რიგში შორია და ამიტომ გადავრჩებით ჩარლის შობაზე ვიზიტებს და მანამდე ალბათ შევძლებ ღირსეული მიზეზის პოვნას, იცი, მთელი ეს ტყვილები და საიდუმლოებები ძალიან მტკივნეულია ჩემთვის.
მისი გამომეტყველება შეიცვალა.
– მერე უფრო ადვილი იქნება, რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ, როცა ყველა ვინც გიყვარს აღარ იქნება ცოცხალი, პრობლემაც გადაიჭრება.
მე გამაჟრიალა.

– მაპატიე, ზედმეტად უხეშად მომივიდა.
თვალები დავხარე.
– მაგრამ მაინც მართალი ხარ.
– თუ უკვე მივიღე გადაწყვეტილება, იმის მიუხედავად რასთან გვექნება საქმე, გთხოვ, მოიცდი ცოტას?
– არა.
– როგორც ყოველთვის ჯიუტი ხარ.
– აჰა.
სარეცხმა მანქანამ საშინელი ხმა გამოუშვა და გაჩერდა.
– დებილური მეტალის გროვა,-ჩავიბურტყუნე მე და გაჭედილი პირსახოცი ამოვიღე მანქანიდან.
– უი, მართლა რადაც გამახსენდა, შეგიძლია ელისს ჰკითხო ჩემს ნივთებს რა უყო? ჩემი ოთახი დაულაგებია და რამოდენიმე ნივთს ვერ ვპოულობ.
  მან დაბნეულად შემომხედა.
– ელისმა შენი ოთახი დაალაგა?
– ვფიქრობ მაშინ, როცა ჩემი პირადი ნივთებისთვის იყო მოსული, ყველაფერი აუკრეფია რაც დაყრილი იყო და არ ვიცი სად წაიღო, ბალიშს და ტანსაცმელს ვერ ვპოულობ.
  ერთი წუთის განმავლობაში ედვარდი ფიქრობდა, შემდეგ კი მოულოდნელად გაშეშდა.
– როდის აღმოაჩინე რომ ნივთები აღარ არის?
– როდესაც თქვენგან დავბრუნდი და რა არის?
– არ მგონია რომ ისინი ელისმა აიღო, ის ნივთები გაქრა რომლებთანაც ხშირად გქონდა შეხება,.. რომლებსაც ხშირად ეხებოდი.., რაზეც გეძინა?
– ედვარდ რა გჭირს? რა ხდება?
– ნივთები შენი სურნელით,-დაამატა მან დაძაბულად.
– აჰჰ..
ჩვენ დიდხანს ვუყურებდით ერთმანეთს.
– ჩემი სტუმარი?,-ჩავიჩურჩულე მე.
– ის შენს ნივთებს ეძებდა იმის დასამტკიცებლად, რომ გიპოვა.
– რატომ?
– არვიცი ბელა, არვიცი, მაგრამ გეფიცები რომ გავიგებ.
– გაიგებ,-ვუთხარი მე და თავი დავადე გულზე, მთელი სხეულით მივეკარი და მისი ჯიბიდან ტელეფონის ვიბრაცია გიგრძენი.
  მან ტელეფონი ამოიღო და ნომერს დახედა.
– ეს ზუსტად ის არის ვინც მჭირდებოდა, -კარლაილ!-უპასუხა მან ტელეფონს, შემდეგ გაჩუმდა და მას უსმენდა.
– შევამოწმებ, ეხლა კი მომისმინე..

ედვარდმა ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა გამქრალ ნივთებზე, მაგრამ რატომღაც მომეჩვენა, რომ კარლაილს ეხლა ჩვენი თავი არ ჰქონდა.
– ალბად მე წავალ,- თქვა ედვარდმა და შემდეგ მე შემომხედა,-ან არ წავალ, არ მისცე უფლება ემეთს, რომ მარტო წავიდეს, ხომ იცი როგორია, ელისს უთხარი არ შეწყვიტოს დაკვირვება.
ედვარდმა ტელეფონი გათიშა.
– გაზეთი სად არის?,-მკითხა მან.
– გაზეთი? რათ გინდა?
– რაღაცას უნდა გადავხედო, ჩარლიმ უკვე გადააგდო?
– ალბად..
ედვარდი გაქრა და ერთ წამში დაბრუნდა, ხელში სველი გაზეთი ეკავა, მან ის მაგიდაზე გაშალა და სათაურების გადახედვა დაიწყო, ის სწრაფად შლიდა ფურცლებს და იმ ადგილებს კითხულობდა რაც აინტერესებდა.
– კარლაილი მართალია, ის ძალიან ახალგაზრდა და სულელია, ან სიკვდილს ეძებს,-ბურტყუნებდა ის თავისთვის.
ახლოს მივედი და შევხედე რას კითხულობდა.
“ სიეტლ თაიმსის” სტატიის სათაურში ეწერა:
“ მკვლელობების ეპიდემია გრძელდება, პოლიციას ახალი ინფორმაცია არ გააჩნია”
თითქმის ასეთივე სტატიამ შეაძრწუნა ჩარლი ორი კვირის წინ, მკვლელობების რიცხვით სიეტლი უკვე შესული იყო ამერიკის ყველაზე საშიში ქვეყნების სიაში, სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდებოდა.
– ყველაფერი უარესად არის ხომ?,-ვკითხე ედვარდს.
– ყველაფერი გამოვიდა კონტროლიდან, ეს არ არის მხოლოდ ერთი ახალდაბადებული ვამპირის ნამოქმედარი, რა ხდება? ნუთუ მათ არაფერი გაუგიათ ვოლტურებზე?, არავინ აუხსნა მათ წესები? ან ვინ ქმნის მათ?
– ვოლტური?,-გავიმეორე მე.
– სწორედ ასეთი საქმეების გადაჭრა არის მათი საქმე, უკვდავები, რომლებსაც ჩვენი არსებობის გამხელა შეუძლიათ, ეს არის ვოლტურების სფერო, ისინი წამში აგვარებენ მსგავს პრობლემებს, როგორც ეს მრავალი წლის წინ იყო ატლანტაში, თუმცა მაშინ ასეთ არეულობამდე არ იყო საქმე მისული, ისინი ალბად მალე ჩაერევიან, რა თქმა უნდა თუ ჩვენ ვერ ვიპოვით ამ პრობლემის აღმოფხვრის სხვა საშუალებას, მართალი გითხრა ეხლა მირჩევნია, რომ თავი შორს დაიკავონ სიეტლისგან, იმიტომ რომ პრობლემის გადაჭრის შემდეგ შეიძლება შენც მოგინახულონ.

საშინლად დავიძაბე.

– რისი გაკეთება შეგვიძლია?
– აუცილებელია მეტი გავიგოთ სანამ რამეს მოვიმოქმედებთ, ვფიქრობ თუ დაველაპარაკებით ამ ახალდაბადებულებს და წესებს ავუხსნით ყველაფერი მშვიდად მოგვარდება.
  მისი გამომეტყველებით მივხვდი, რომ ამის შანსი ძალიან პატარაა.
– დაველოდებით, სანამ ელისი გაარკვევს რა ხდება,-გააგრძელა ედვარდმა,- არ გვინდა რომ ბოლო მომენტამდე ჩავერიოთ, ეს არ არის ჩვენი მოვალეობა, მაგრამ კარგია, რომ ჯასპერი გვყავს, თუ ახალდაბადებულებთან შეტევაზე გადასვლა მოგვიწევს გამოგვადგება მისი ცოდნა.
– ჯასპერი?, რატომ?
  ედვარდმა გაიღიმა.
– ჯასპერი ახალგაზრდა ვამპირების სპეციალისტია.
– რას ნიშნავს სპეციალისტი?
– როცა იქნება აუცილებლად მოგიყვება, ეს გრძელი ისტორიაა. - ყველაფერი ისეთი ჩახლართულია, ყველა მხრიდან პრობლემები დაგვატყდა თავს, არ გგონია, რომ ბევრად მშვიდად იცხოვრებდი მე რომ არ გყვარებოდი?
– შეიძლება კი, მაგრამ ეს ცხოვრება აღარ იქნებოდა.
– ჩემთვის,-მშვიდად დაამატა ედვარდმა,-ეხლა მემგონი რაღაცის კითხვა გინდა ჩემთვის,- მან თბილად გამიღიმა.
  მე უემოციოდ მივაშტერდი.
– კითხვა?
– თუ აღარ გინდა?,-გაეცინა მას,-ძალიან მესიამოვნა, როცა ჯეიკობს უთხარი, რომ მათ წვეულებაზე წასასვლელად ჩემთვის უნდა გეთხოვა ნებართვა.
– ისევ ყურს გვიგდებდი?
  ედვარდმა გადაიხარხარა.
– ცოტას, ბოლოში.
– მართალი გითხრა არ ვაპირებდი ამის კითხვას, მემგონი ეხლა ისედაც ბევრი მიზეზი გაქვს სანერვიულოდ.
  მან ჩემი სახე ასწია და თვალებში ჩამხედა, რომ გაეგო რაზე ვფიქრობდი.
– გინდა იქ წასვლა?
– სისულელეა, არ ინერვიულო.
– შენ არ ხარ ვალდებული ნებართვა მთხოვო, მადლობა ზეცას, რომ მამაშენი არ ვარ, მაგრამ ჩარლის ალბათ უნდა უთხრა.
– შენ ხომ იცი, რომ ჩარლი სიხარულით გამიშვებს.
– რა თქმა უნდა, მე ყველაზე კარგად ვიცი რას გიპასუხებს ჩარლი.
  მე გაოგნებული მივაშტერდი, მინდოდა გამეგო რას ფიქრობდა და ამ დროს ლაპუშზე წასვლის სურვილის ჩაქრობას ვცდილობდი. რა თქმა

უნდა ეხლა სისულელე იყო იქ წასვლა, დიდ და სულელ მგელ ბიჭუნებთან გართობა, მითუმეტეს როცა გარშემო ამდენი უცნაური და აუხსნელი ხდებოდა, მაგრამ ზუსტად ამიტომ მინდოდა წასვლა, მინდოდა რამოდენიმე წუთი მაინც არ მეფიქრა სიკვდილზე, ჯეიკობთან ერთად სიცილი და ყველაფრის ცოტა ხნით დავიწყება მინდოდა.
– ბელა, -მითხრა ედვარდმა,-გახსოვს, მე შეგპირდი, რომ უფრო დაფიქრებულად მოვიქცევი და შენს გადაწყვეტილებებს ვენდობი, სერიოზულად გეუბნებოდი, შენ თუ ენდობი ვაერვულფებს, მაშინ მეც არ ვინერვიულებ როცა მათთან იქნები.
– აუჰ, - რაღაც მსგავსი ვთქვი წინა ღამითაც.
– ერთ რაღაცაში ჯეიკობი ნამდვილად მართალია, ერთი ღამე მგლების ხროვაში ნამდვილად დაგიცავს.
– დარწმუნებული ხარ?
– რა თქმა უნდა, ოღონდ..
დავიძაბე.
– ოღონდ?
– რაღაცეებში მაინც სიფრთხილეს გამოვიჩენ, პირველ რიგში მე მიგიყვვან საზღვრამდე და კიდევ ის, რომ მობილური ტელეფონი თან უნდა წაიღო, რომ ვიცოდე როდის მოგაკითხო.
– ჭკვიანურად ჟღერს.
– გადასარევია.
მან გამიღიმა და ნერვიულობის კვალიც კი ვერ დავინახე მის ოქროსფერ თვალებში.

რა თქმა უნდა ჩარლის არავითარი პრობლემა არ ჰქონია ლაპუშზე წასვლასთან დაკავშირებით. ჯეიკობი გადარეული ყვიროდა, როცა ახალი ამბების სათქმელად დავურეკე, მოუთმენლობისგან იწვოდა და ყველა იმ პირობას დათანხმდა რომელიც ედვარდმა წამოაყენა, გადაწყდა, რომ საზღვართან შეგვხვდებოდა.
გადავწყვიტე არ გამეყიდა მოტოციკლი და ისევ ლაპუშზე წამეყვანა, ზუსტად იქ იყო მისი ადგილი და როცა აღარ დამჭირდება ჯეიკობი თავისუფლად შეძლებს გაყიდოს ან ვინმეს აჩუქოს, ჩემთვის ალბათ სულერთი იქნება. დღეს ზუსტად მქონდა ამის გაკეთების საშუალება.
ბოლო მოვლენების შემდეგ იმდენად ვუფრთხიდებოდი თითოეულ დღეს, პატარა საქმის გადადებაც კი არ მინდოდა.
ედვარდმა უბრალოდ თავი დამიქნია, როცა ვუთხარი რას ვაპირებდი, მაგრამ მომეჩვენა, რომ მის თვალებში შიშმა გაიელვა, ვიცოდი, რომ ის ისევე როგორც ჩარლი არ იყო აღფრთოვანებული ჩემი გატაცებით.
ჩვენ მის სახლში შევლა მოგვიწია, რომ მოტოციკლი წამოგვეღო, მაგრამ როცა პიკაპი გავაჩერე და ფარეხში შევედი მივხვდი რომ მისი შიში მხოლოდ ჩემს უსაფრთხოებას არ უკავშირდებოდა.

ჩემი პატარა ანტიკვარული მოტოციკლის გვერდით ახალი სატრანსპორტო საშუალება იდგა, ამ მექანიზმისთვის მოტოციკლის დარქმევა უსამართლობა იქნებოდა, ის ნამდვილად სულ სხვა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

ეს იყო დიდი და ვერცხლისფერი მოტოციკლი, მიუხედავად იმისა რომ გაუნძრევლად იდგა, ვიცოდი, რომ სწრაფი იქნებოდა.

– ეს რა არის?

– არაფერი,-ჩაიბურტყუნა ედვარდმა.

– ეს ჩემი აზრით "არაფერს" არ ჰგავს.

– მართალი გითხრა არ ვიცოდი, შეურიგდებოდი თუ არა შენს მეგობარს, მაგრამ ვიფიქრე რომ როცა იქნებოდა მოგინდებოდა ამითი კატაობა, შემიძლია კომპანიაც გაგიწიო,-თქვა ედვარდმა და მხრები აიჩეჩა.

მე ახალ ტრანსპორტს მივაშტერდი, მის გვერდით ჩემი მოტოციკლი ჯართის გროვას ჰგავდა, მოულოდნელად სევდამ მომიცვა, ალბათ ზუსტად ასე გამოვიყურებოდი მე ედვარდის გვერდით.

– შენ ნამდვილად ვერ დაგეწევი,-ჩავიჩურჩულე მე.

ედვარდმა ნიკაპზე მომკიდა ხელი და ჩემი სახე მოატრიალა, ისე რომ თვალებში ჩაეხედა.

– შემიძლია შენს სიჩქარეს გავუთანაბრდე.

– ძალიან მოიწყენ.

– ერთად თუ ვიქნებით ეს მოსაწყენი არ იქნება.

ერთი წუთით წარმოვიდგინე ეს.

– ედვარდ, წარმოიდგინე, რომ ძალიან სწრაფად მივდივარ, ან მოტოციკლზე კონტროლს ვკარგავ, როგორ მოიქცევი ამ შემთხვევაში?

ის ჩაფიქრდა, რომ სწორედ გაეცა პასუხი ამ კითხვაზე, მაგრამ მე ვიცოდი პასუხი: ის იქამდე გადამარჩენდა სანამ დავიმტვრეოდი.

ცოტახნის შემდეგ მან გამიღიმა.

– აი თურმე რითი ხართ შენ და ჯეიკობი დაკავებულები, ყველაფერი გასაგებია.

– უბრალოდ მე არ ვთხოვ მას ნელა იაროს ჩემს გამო, მგონი შემიძლია ვცადო..

დაეჭვებულმა გავხედე ვერცხლისფერ მოტოციკლს, ის ლამაზი იყო, მაგრამ არ მქონდა მისი ტარების სურვილი.

– ამაზე ნუ ინერვიულებ,-მითხრა ედვარდმა და შემდეგ გაეცინა, -შევამჩნიე, რომ ის ჯასპერს მოეწონა, მემგონი გაუხარდება, თანაც ელისს ხომ ახალი პორშე ყავს, ერთად იგრიალებენ.

– ედვარდ, მე..

მან სწრაფი კოცნით შემაწყვეტინა.

– გითხარი ნუ ინერვიულებთქო, შეგიძლია რაღაც გააკეთო ჩემთვის?

– რაც გინდა,-სწრაფად შევპირდი მე.

მან ხელი გამიშვა და დიდი მოტოციკლის უკნიდან ორი ნივთი გამოაძრო.
ერთი დიდი და უფორმო იყო, ხოლო მეორე წითელი და ძალიან ადვილად საცნობი.
– გთხოვ,-მითხრა მან თბილი ღიმილით, რომელსაც მე ვერ ვუძლებდი და წითელი ჩაფხუტი მომაწონა.
– ამაში სულელს დავემსგავსები.
– არა, პირიქით, ეს ჭკვიანი ადამიანის საქციელი იქნება.
მან ჩემი სახე ხელებში მოიქცია.
– ეხლა ის მიჭირავს ხელში რის გარეშეც არ შემიძლია სიცოცხე, ხომ შეიძლება ამას გაუფრთხილდე.
– კარგი, კარგი, კიდევ რა გაქვს მანდ?
მან გაიცინა და მოტოცილეტის ქურთუკი მომაწოდა.
ღრმად ჩავისუნთქე, თმები უკან გადავიყარე და ჩაფხუტი ჩამოვიცვი, შემდეგ ქურთუკის სახელოებში გავყავი ხელები, მან ელვა შემიკრა და გაიწია.
თავს ძალიან გაბერილად ვგრძნობდი.
– სიმართლე მითხარი, საშინლად გამოვიყურები?
ის კიდე ერთი ნაბიჯით გაიწია, რომ დამკვირვებოდა.
– ძალიან ცუდია ხო?,-ჩავიბურტუნე მე.
– არა, არა ბელა, უბრალოდ..
ეტყობოდა, რომ სწორი სიტყვების შერჩევას ცდილობდა.
– შენ.. სექსუალურად გამოიყურები.
– ამას იმიტომ მეუბნები, რომ ეს ყველაფერი ვატარო, მაგრამ არ არაუშავს, მართალი ხარ ეს მართლაც ჭკვიანურია.
მან ხელები შემომხვია და გულში ჩამიკრა.
– შენ ისეთი სულელი ხარ და სწორედ ამაშია შენი მიმზიდველობა, მაგრამ ამ ჩაფხუტს მართლაც აქვს ნაკლი.
შემდეგ მან მომხსნა ჩაფხუტი და მაკოცა.

მოგვიანებით, როცა მას ლაპუშზე მივყავდი, ვიგრძენი რომ ეს სიტუაცია ძალიან ნაცნობი იყო ჩემთვის.
– იცი ამან რა გამახსენა?,-ვუთხარი მე,- როგორ მივყავდი ხოლმე ზაფხულში რენეს ჩარლისთან, თავს ისევ შვიდი წლის ბავშვად ვგრძნობ.
ედვარდმა გადაიხარხარა.

როგორც კი გზიდან გადავუხვიეთ, ლაპუშის გზის დასაწყისში ჯეიკობი დავინახეთ, ის თავისი ხელით აწყობილი ფოლცვაგენის კარებზე იყო მიყრდნობილი და ყველანაირად ცდილობდა სახეზე უდარდელი გამომეტყველება შეენარჩუნებინა.

ედვარდმა თავისი ვოლვო ოცდაათი მეტრის მოშორებით გააჩერა.
– დამირეკე, როცა სახლში წამოსვლას დააპირებ და აქ გავჩნდები,- მითხრა მან.
– დიდხანს არ გავჩერდები,-შევპირდი მე.
მან საბარგულიდან ჩემი მოტოციკლი და ახალი ნივთები ამოიღო, ჯეიკობი ჩუმად გვაკვირდებოდა და არც ცდილობდა მოახლოვებას, ის აღარ იღიმებოდა.
– ყველაფერი აიღე?,-მკითხა ედვარდმა.
– კი ყველაფერი.
მან ამოისუნთქა და ჩემსკენ დაიხარა, მე უბრალო გამოსამშვიდობებელ კოცნას ველოდი მაგრამ ედვარდმა გამაკვირვა, როცა ძლიერად შემომხვია ხელები და ისევ ისე მაკოცა, როგორც ცოტა ხნის წინ ფარეხში, ისევ დამავიწყდა სუნთქვა.
ედვარდმა ჩუმად ჩაიფხუკუნა რაღაცაზე და გამიშვა.
– ნახვამდის,-მითხრა მან, - მართლა მომწონს ჩაფხუტი.
სანამ შემოვბრუნდებოდი რაღაცამ გაიელვა მის თვალებში, არ ვიცოდი ეს რას ნიშნავდა, ალბათ უბრალო ნერვიულობა ან შეიძლება უბრალოდ მომეჩვენა, სანამ მოტოცილს მივათრევდი საზღვრამდე ვგრძნობდი მის მზერას ჩემს ზურგზე.
– ეს რას ნიშნავს?,-მკითხა ჯეიკობმა, როცა მოტოციკლი დაინახა.
– მემგონი ის იქ უნდა იყოს სადაც მისი ადგილია.
ის ერთი წუთით ჩაფიქრდა და შემდეგ გაიცინა.

როგორც კი საკმარისად ახლოს აღმოვჩნდი ჯეიკობმა მოტოციკლი მიაყუდა და ძლიერად მომეხვია.
ვოლვოს ძრავის ხმა გავიგონე და მთელი ძალით ვცდილობდი გათავისუფლებას.
– გეყოფა ჯეიკობ!
მან გადაიხარხარა და ხელი გამიშვა.
შემოვბრუნდი, რომ ედვარდისთვის ხელი დამექნია მაგრამ ის უკვე შორს იყო.
– რა?,-მკითხა ჯეიკობმა უწყინარი თვალებით.
– ის ძალიან თავაზიანად იქცეოდა მემგონი ეს უნდა დაუფასო.
ჯეიკობმა ისევ გაიცინა, ვერ მივხვდი რატომ, მაგრამ მას ჩემი სიტყვები სასაცილოდ მოეჩვენა.
მან ფოლცვაგენს შემოუარა, რომ ჩემთვის კარი გაეღო.

თავი 11

ლეგენდები

– ამ ჰოთ-დოგის შეჭმასაც აპირებ?, - ჰკითხა პოლმა ჯეიკობს და ვაერვულფების სადილის შემდეგ დარჩენილ ერთადერთ სოსისს შეხედა.

ჯეიკობი ჩემს მუხლებზე დაყრდნობილი იჯდა, მავთულზე ჰქონდა წამოცმული სოსისი და კოცონზე წვავდა, მან მძიმედ ამოისუნთქა და მუცელზე დაიტყაპუნა ხელი, არვიცი რატომ, მაგრამ მისი მუცელი ისევ სწორი იყო, ვცდილობდი დამეთვალა რამდენი ჰოთ-დოგი შეჭამა, მაგრამ მეათეს შემდეგ თვლა ამერია და შევწყვიტე, მანამდე კიდევ ჩიპსების დიდი შეკვრა და ორლიტრიანი რუთ-ბირის იყო.(რუთ-ბირი-ტრადიციული, ამერიკული ალკოჰოლური სასმელი, სხვა და სხვა სუნელებით)

– ალბათ,-უპასუხა ჯეიკობმა,-იმდენი ვჭამე, რომ მგონი გული ამერევა, მაგრამ მაინც უნდა მოვერიო ჩემს თავს და ესეც შევჭამო.

იმის მიუხედავად რომ პოლმაც იმდენი ჭამა რამდენიც ჯეიკობმა ის მაინც გაბრაზებული იყო და მუშტები ჰქონდა შეკრული.

– კარგი, კარგი, ვიხუმრე,- გაეცინა ჯეიკობს და თვითნაკეთი შამფური ესროლა მას, პოლმა მოხერხებულად დაიჭირა.

– მადლობთ მეგობარო,-უთხრა პოლმა.

კოცონი ხმაურიანად გიზგიზებდა, მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარმა კიდევ უფრო გააღვივა და ეს საოცარი სანახავი იყო შავ ცასთან კონტრასტში.

ვერც კი შევამჩნიე, რომ მზე ჩავიდა, სულ დავკარგე დროის შეგრძნება.

ჩემს კვილეტელ მეგობრებთან დროის გატარება იმაზე ადვილი და კარგი აღმოჩნდა ვიდრე ველოდი.

სანამ მე და ჯეიკობი ჩემს ბაიკს ვტოვებდით ფარეხში, მან აღიარა, რომ ჩაფხუტი მართლაც კარგი იდეა იყო და რომ თვითონაც უნდა მოეფიქრებინა ეს. მე ვნერვიულობდი, როგორ გამოვჩნდებოდი მასთან ერთად კოცონთან, იქნებ ეს არ მოეწონოთ ვაერვულფებს, იქნებ მე წვეულებას გავაფუჭებ?

მაგრამ როცა მე და ჯეიკი ტყიდან გამოვედით და მათი შეკრების ადგილს მივუახლოვდით ყველაფერი ძალიან კარგად და უბრალოდ მოეწყო.

– სალამი, ვამპირო გოგონავ!,-ხმამაღლა მომესალმა ემბრი, ქუილი ჩემსკენ გადმოხტა და ლოყაზე მაკოცა, ემილიმ კი ხელი ჩამომართვა როცა მის გვერდით დავჯექი ცივ მიწაზე.

პოლის რამოდენიმე სულელური რეპლიკის გარდა, რომელიც რა თქმა უნდა ვამპირებს შეეხებოდა ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

ეს არ იყო უბრალოდ მოზარდების შეკრება, ბილიც აქ იყო, მისი ინვალიდის სავარძელი წრის მთავარ ადგილზე იდგა, მის გვერდით ხის, ძველ სკამზე ქუილის მოხუცი ბაბუა, მოხუცი ქუილი იჯდა, იქვე იყო ქვრივი სიუ კლირვოტერი, ისიც მიწაზე იჯდა დანარჩენებივით. გამაკვირვა, იმ ფაქტმა, რომ სამივემ იცოდა ეს საიდუმლო, ბილი და მოხუცი ქუილი ისე ელაპარაკებოდნენ სიუს, მაშინვე მივხვდი, რომ ეხლა მან დაიკავა ქმრის ადგილი საბჭოში, აქედან გამომდინარე მისი შვილებიც ავტომატურად ხდებოდნენ ყველაზე საიდულმო საზოგადოების წევრები.

ალბათ როგორ ცუდად გრძნობდა თავს ლეა, რომელიც სემის და ემილის პირდაპირ იჯდა, მის სახეზე არავითარი ემოცია არ იყო, მაგრამ ის თვალს არ წყვიტავდა კოცონს, როცა მის აბსოლუტურ სილამაზეს ვუყურებდი, ვერ შევიკავე თავი მისი და ემილის დასახიჩრებული სახის შედარებისგან. ნეტავ რას ფიქრობდა ლეა მის იარებზე?, ეხლა როცა უკვე იცოდა სიმართლე, ალბათ თვლიდა, რომ ემილიმ ეს დაიმსახურა.

პატარა სეთ კლირვოტერი სულაც აღარ იყო პატარა, თავისი ფართო ღიმილით და გრძელი სხეულით საშინლად მაგონებდა ჯეიკობს. ძალავნებურად გამიჩნდა კითხვა, მოუწევდა თუ არა სეთს სხვების მსგავსად ცხოვრების ძირფესვიანად შეცვლა? ეს იყო მისი მომავალი და ამიტომ იყო აქ მისი ოჯახი?

მთელი ხროვა აქ იყო: სემი ემილისთან ერთად, პოლი, ემბრი, ქუილი, ჯარედი კიმთან ერთად.

ერთი შეხედვით კიმი ძალიან კარგი გოგო ჩანდა, ოდნავ მორცხვი და უბრალო.

ასეთი იყო ჩემი პირველი შტაბეჭდილება, მაგრამ როცა რამოდენიმე საათის განმავლობაში ვაკვირდებოდი, როგორ უყურებდა მას ჯარედი მთელი მისი უბრალოება გაქრა.

შეუძლებელი იყო ამის აღწერა, ჯარედი ისე უყურებდა მას თითქოს ბრმა იყო, რომელმაც პირველად დაინახა მზე, როგორც კოლექციონერი, რომელმაც დავინჩის ახალი ტილო აღმოაჩინა, როგორც დედა უყურებს თავის ახალშობილ ბავშვს.

მისმა მზერამ მაიძულა სხვანაირად შემეხედა კიმისთვის, ცეცხლის ანარეკლში მისი კანი მოწითალი-მოყავისფრო აბრეშუმს ჰგავდა, იდეალური ფორმის ტუჩები, თეთრი კბილები, გრძელი წამწამები, რომლებიც ლოყებს ეხებოდნენ როცა თვალებს ხრიდა.

მათ რომ ვაკვირდებოდი ნელ-ნელა ვხვდებოდი რას ნიშნავდა აღბეჭდვა.

– უკვე საღამოა,-ჩავუჩურჩულე ჯეიკობს.

– მოითმინე ცოტახანს,-მიპასუხა მან,-ეხლა ყველაზე საინტერესო დაიწყება.

– და რა არის ყველაზე საინტერესო? მთლიანი ძროხა უნდა გადაყლაპო?

ჯეიკმა ჩაიფხუკუნა.

– არა, ეს ფინალისთვის დავტოვოთ, ჩვენ აქ მარტო იმიტომ არ შევკრებილვართ, რომ ერთი კვირის მარაგი საკვები შევჭამოთ, ტეხნიკურად ეს საბჭოს სხდომაა, ქუილი აქ პირველად არის და ჯერ არ სმენია ჩვენს თქმულებებზე, უფროსწორედ კი გაუგია, მაგრამ დღეს გაიგებს, რომ ეს ყველაფერი მართალია და ის ყურადღებით იქნება, კიმი, სეთი და ლეაც პირველად მოისმენენ ამას.

– თქმულებები?

მე ხის მორზე დაყრდნობილი ვიჯექი, ჯეიკობი გადმოხტა და გვერდზე დამიჯდა, მხარზე დამადო ხელი და ჩამიჩურჩულა: – ჩვენ ყოველთვის გვეგონა, რომ ეს ყველაფერი გამოგონილი ლეგენდებია, თქმულებები იმის შესახებ თუ როგორ გავჩნდით, პირველი ისტორია მებრძოლ სულებზეა.

ჯეიკობის რბილი ჩურჩული შესავალს ჰგავდა, სიტუაცია მოგიზგიზე კოცონის გარშემო მომენტალურად შეიცვალა, პოლი და ემბრი სწორედ დაჯდნენ, ჯარედმა კიმი გააღვიძა და ფრთხილად დასვა.

ემილიმ უბის წიგნაკი და კალამი მოიმარჯვა, ის სტუდენტს ჰგავდა, რომელიც მნიშვნელოვანი ლექციისთვის ემზადებოდა.

სემი ისე მოტრიალდა, რომ მოხუც ქუილს გათანაბრებოდა და მაშინ მივხვდი, რომ საბჭოს უხუცესები სამნი კი არა ოთხნი იყვნენ.

ლეამ ხელები მიიფარა სახეზე, ოღონდ დაღლილობის გამო არა, ის უბრალოდ ყურადღების მოკრებას ცდილობდა, მისი ძმაც მოუთმენელი სახით მიუცუცქდა მოხუცებს.

ბილიმ ჩაახველა და მოემზადა, მან ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო ლაპარაკი თავისი ღრმა და ბოხი ხმით.

– ეს იმიტომ, რომ ჩვენ სისხლში ყოველთვის იყო მაგია, თავიდან ეს არ იყო ფორმის შეცვლის მაგია, ეს მოგვიანებით მოვიდა, დასაწყისში ჩვენ მებრძოლი სულები ვიყავით.

აქამდე არასდროს არ გამიგია ასეთი მეფური დიდება ბილის ხმაში, თუმცა ის ყოველთვის ამ ხმით ლაპარაკობდა.

ემილის კალამი სწრაფად დაცურავდა ფურცელზე, ის ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მონაყოლს.

– დიდი ხნის წინ ტომი დაფუძვნდა ამ ჰავანაში, ჩვენი წინაპრები მეთევზეები და გემთმშენებლები იყვნენ, მაგრამ ტომი პატარა იყო, ხოლო ჰავანა მდიდარი იყო თევზით. სხვა ტომებს მოუნდათ ჩვენი მიწების მითვისება და ჩვენ ცოტანი ვიყავით იმისთვის, რომ თავი დაგვეცვა, დიდი ტომი დაგვესხა თავს, ჩვენ კი გემებში ჩავსხედით, რომ გავქცეოდით მათ.

– კაელეა არ იყო პირველი მებრძოლი სული, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ არ გვახსოვს ვინ იყო მანამდე და ვინ აღმოაჩინა პირველად ეს ძალა, ან როგორ გამოიყენა ის ბრძოლამდე. კაელეა პირველი უდიდესი სულების ბელადი იყო ჩვენს ისტორიაში, საშიშროების მომენტში მან გამოიყენა მაგია, რომ ჩვენი მიწა დაეცვა.

– მან და მისმა მებძოლებმა დატოვეს გემები, უფროსწორედ მათმა სულებმა და არა სხეულებმა, ფიზიკურად არ შეეძლოთ მტერთან შეხება, მაგრამ მათ სხვა შესაძლებლობებიც ჰქონდათ, თქმულების მიხედვით მათ შეეძლოთ დიდი ქარიშხლის გამოწვევა, ასევე შეეძლოთ ქუხილისმაგვარი კივილის გამოცემა, რომელსაც ქარი აიტაცებდა და შემდეგ საშინელ დღეში აგდებდა მტერს, თქმულება იმასაც გვიამბობს, რომ ცხოველებს შეეძლოთ მებრძოლი სულების დანახვა და მათ ბრძანებებსაც კი ასრულებდნენ.

– კაელეამ თავის მებრძოლები წაიყვანა და საშინელად გაანადგურა დამპყრობელი ტომი, მათ თან უზარმაზარი ძაღლები ჰყავდათ, რომელთაც მარხილებში ჩასაბმელად იყენებდნენ, მებრძოლმა სულებმა ისინი პატრონების წინაამღდეგ განაწყვეს, შემდეგ კი ათასობით ღამურა გამოიძახეს კლდოვანი გამოქვაბულებიდან.

– ძაღლებმა და ღამურებმა მოიგეს ბრძოლა, რამოდენიმემ გადარჩენილთაგან ჩვენს მხარეს დაწყევლილი ჰავანა უწოდა, როცა ბრძოლა დამთავრდა კვილეტებმა გაუშვეს ძაღლები, შემდეგ კი თავიანთ სხეულებს და ცოლებს დაუბრუნდნენ.

– მეზობელმა ტომებმა, “ხომ” და “მაკამ” შეთანხმება დადეს კვილეტებთან, მათ არ უნდოდათ საქმე ჰქონოდათ ჩვენს მაგიასთან, ჩვენ მათთან თანხმობაში ვცხოვრობდით, ხოლო როცა მტერი ისევ ბრუნდებოდა მებრძოლი სულები ისევ აგდებდნენ მათ.

– იცვლებოდა თაობები, სულების ბოლო უდიდესი ბელადის, ტახა აკის დრო მოვიდა, ის განთქმული იყო თავისი სიბრძნით და კეთილი გულით, ხალხი კარგად ცხოვრობდა და კმაყოფილი იყო მისი ზრუნვით.

– მაგრამ იყო ერთი უკმაყოფილო ადამიანი, მას უტლაპა ერქვა, ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იყო ტახა აკის მებრძოლ სულებს შორის, ის თვლიდა, რომ ხალხს თავისი მაგია მიწების დასაპყომად უნდა გამოეყენებინა, დანარჩენი ტომები დაემორჩილებინა და დიდი იმპერია შეექნა.

– ეხლა, როცა მებრძოლებმა უკვე იცოდნენ თავისი ძალების შესახებ, ერთმანეთის აზრების კითხვაც შეეძლოთ. ტახა აკი ხედავდა რაზე ოცნებობდა უტლაპა, უბრძანა მას დაეტოვებინა ტომი და არასდროს აღარ გამოეყენებინა თავის ძალა, უტლაპა ძლიერი იყო, მაგრამ ბელადის სურვილი ძალაზე ზემოთ იდგა, მას სხვა

გზა არ ჰქონდა და წავიდა, ტყეში დაიმალა და სამაგიეროს გადახდის შანსს ელოდებოდა.

–ტახა აკი ხშირად ტოვებდა ხოლმე თავის სხეულს და ამოწმებდა მიდამოებს, მაშინაც კი როცა იცოდა, რომ საშიშროება არსაიდან იყო, ეს მას ვალად მიაჩნდა.

– ერთხელ როცა ის ტყის შესამოწმებლად წავიდა, უტლაპა გაჰყვა მას, თავიდან ბელადის მოკვლა უნდოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს ცუდი გეგმა იყო, მებრძოლი სულები აუცილებლად დაიწყებდნენ მის ძებნას და უტლაპამ იცოდა, რომ ვერ გაექცეოდა მათ. ის კლდეებში დაიმალა და აკვირდებოდა, როგორ ტოვებდა ბელადი სხეულს და ამ დროს სხვა გეგმა მოიფიქრა.

– ტახა აკიმ დატოვა სხეული და ქარს გაჰყვა, უტლაპა ელოდებოდა სანამ საკმარისად შორს წავიდოდა.

– ბელადმა იგრძნო, როცა უტლაპა სულების სამყაროში შეუერთდა, მაშინვე მიუხვდა გეგმას და სასწრაფოდ გაიქცა, რომ თავის სხეულს დაბრუნებოდა, მაგრამ ქარი არ იყო საკმარისად ძლიერი, რომ გადარჩენაში დახმარებოდა.

– როცა დაბრუნდა სხეული აღარ დახვდა, უტლაპას სხეული კი მიტოვებული ეგდო და ყელი ჰქონდა გადაჭრილი.

– ტახა აკიმ უტლაპას მისდევდა და სხეულის დაბრუნებას სთხოვდა, მაგრამ ის საერთოდ არ აქცევდა მას ყურადღებას.

– ტახა აკის მოუწია იმის ყურება, თუ როგორ დაიკავა უტლაპამ ტომში მისი ადგილი, როცა მის სხეულში ჩასახლდა. შემდეგ ცვლილებები მოხდა, პირველი მისი ბრძანება სულების სამყაროში გადასვლის აკრძალვა იყო, მან თქვა რომ რაღაც ხილვა ჰქონდა, ამ დროს კი უბრალოდ ეშინოდა, მან იცოდა, რომ ამ შემთხვევაში ტახა აკის სული ყველაფრის მოყოლას შესძლებდა დანარჩენებისთვის, თვითონაც ეშინოდა სხეულის დატოვების, იმიტომ რომ ტახა აკი მაშინვე დაიბრუნებდა მას. აქედან გამომდინარე მისი გეგმები მასიურ დაპყრობასთან დაკავშირებით განუხორციელებელი გახდა, მას მხოლოდ ტომის ბელადობა შეეძლო. უტლაპა აუტანელი გახდა ტომისთვის, როცა ისეთ პრივილეგიებს ითხოვდა, რასაც ტახა აკი არ აკეთებდა, მან უარი თქვა სხვებთან ერთად მუშაობაზე და მეორე ცოლიც მოიყვანა, შემდეგ მესამეც, თუმცა ტახა აკის ცოლი ჯერ ცოცხალი იყო და ეს გაუგონარი იყო ტომისთვის. ტახა აკი დაუძლურებელი აკვირდებოდა იმას რაც მის ტომში ხდებოდა.

– ბოლოს და ბოლოს ტახა აკიმ გადაწყვიტა მოეკლა თავის სხეული, რომ ტომი უტლაპას გამოხტომებისგან ეხსნა, მან განრისხებული მგელი გამოიძახა მის მოსაკლავად, მაგრამ უტლაპა საკუთარი მებრძოლების ზურგს უკან დაიმალა, როცა მგელმა ახალგაზრდა ყმაწვილი მოკლა, რომელიც მატყუარა ბელადს იცავდა, ტახა აკიმ ძალიან განიცადა და მგელს წასვლა უბრძანა.

– ისტორია გვეუბნება, რომ სულაც არ არის ადვილი მებრძოლი სულად ყოფნა, საკუთარი სხეულიდან გამოსვლა საკმაოდ საშიში იყო, ამიტომ ისინი საკუთარ მაგიას მხოლოდ საჭიროების დროს იყენებდნენ. ბელადი საკმაოდ დიდი ხნის

განმავლობაში იყო სხეულის გარეშე და ეს კლავდა. ის ორ სამყაროს შორის იყო გაჭედილი და გრძნობდა, რომ ვეღარასდროს შეძლებდა იმ შორეული მიწების გადაკვეთას, სადაც წინაპრები ელოდებოდნენ.

– დიდი მგელი თან სდევდა მის დატანჯულ სულს, ის უზარმაზარი იყო და ძალიან ლამაზი, ტახა აკის შურდა კიდეც ცხოველის, იმიტომ, რომ მას სხეული ჰქონდა, ცხოვრება ჰქონდა და ეს იმაზე უკეთესი იქნებოდა ვიდრე სულის ხეტიალი.

– ზუსტად მაშინ მოუვიდა ის იდეა, რამაც ყველა შეგვცვალა, მან სთხოვა დიდ მგელს ადგილი დაეთმო საკუთარ თავში, მგელიც დაემორჩილა, ტახა აკი მის სხეულში შევიდა და შვება იგრძნო, ეს არ იყო მისი სხეული, მაგრამ თავს მაინც კარგად გრძნობდა.

– როცა ერთი მთლიანობა, ადამიანი და მგელი ჰავანაში დაბრუნდა ხალხი შიშისგან დაიფანტა და დახმარებას სთხოვდნენ მებრძოლ სულებს, მეომრები შუბებით გამოვარდნენ მის დასახვედრად, უტლაპა კი დაიმალა.

– ტახა აკი არ დაესხა საკუთარ მებრძოლებს, ის უყურებდა მათ და ცდილობდა საკუთარი ხალხის სიმღერა ეღიღინა, ცოტახანში მებრძოლები მიხვდნენ, რომ ეს უბრალო მგელი არ იყო და რომ მასზე სული აჰდენდა ზემოქმედებას, ერთ-ერთმა მოხუცმა მებრძოლმა, რომელსაც უთი ერქვა გადაწყვიტა დაერღვია თვითმარქვია ბელადის ბრძანება, რომ მგელს დალაპარაკებოდა.

– როგორც კი უთმა დატოვა თავის სხეული, ტახა აკიმაც დატოვა მგელი და დაელაპარაკა მას. მან მაშინვე გაიგო სიმართლე და გაუხარდა ჭეშმარიტი ბელადის დაბრუნება.

– ამ დროს უტლაპა გამოვიდა, რომ ენახა მოიგეს თუ არა მისმა მებრძოლებმა და როცა უთის სხეული დაინახა, მისხვდა რაც მოხდა და დანით ხელში გამოიქცა, რომ უთი მანამდე მოეკლა სანამ სხეულს დაუბრუნდებოდა.

– მოღალატე!-ყვიროდა ის, მებრძოლები დაიბნენ, ბელადმა ხომ აკრძალა სხვა სამყაროში გადასვლა, ვინ გაბედა ამის დარღვევა?

– უთმა მოასწრო სხეულში დაბრუნება და უტლაპამ დანა მიაბჯინა ყელზე, ტახა აკის ახალგაზრდა სხეული ბევრად ძლიერი იყო მოხუც უთზე, მან ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო.

– ტახა აკი ხედავდა, როგორ მიფრინავდა უთის სული სხვა სამყაროში, საიდანაც ვეღარ დაბრუნდებოდა, საშინლად განრისხდა და ისევ მგლის სხეულში დაბრუნდა, რომ უტლაპა გაეგლიჯა, მაგრამ როგორც კი ეს გააკეთა საოცრება მოხდა.

– ტახა აკის რისხვა ადამიანის რისხვა იყო, ის სიყვარული, რომელსაც საკუთარი ხალხის მიმართ გრძნობდა ზედმეტად ადამიანური იყო მგლისთვის, მგლის სხეული აკანკალდა და გაოგნებული მებრძოლების თვალწინ გადაიქცა ადამიანად.

– ახალი სხეული არ ჰგავდა ტახა აკისას, ის ბევრად მედიდური იყო, ნამდვილი ბელადის სხეული, მებრძოლებმა მომენტალურად იცნეს ის, იმის მუიუხედავად რომ არ ჰგავდა თავის თავს.

– უტლაპამ გაქცევა სცადა, მაგრამ ტახა აკის ახალ სხეულში მგლის ძალა ჰქონდა და მანამდე მოახერხა მისი დაჭერა სანამ სხეულს მიატოვებდა.

– ხალხი ძალიან ბედნიერი იყო, როცა გაიგეს რა მოხდა, ტახა აკიმ მალევე მოაგვარა ყველაფერი, ისევ დაიწყო თავის ხალხთან მუშაობა და ახალგაზრდა ცოლები საკუთარ ოჯახებში დააბრუნა. ერთადერთი აკრძალვა, რომელიც მან დატოვა, სხეულის დატოვება იყო, ეხლა მან უკვე იცოდა რამდენად საშიში იყო ეს და ამიტომ მებრძოლმა სულებმა შეწყვიტეს არსებობა.

– ამ მომენტიდან ტახა აკი უფრო მეტი იყო, ვიდრე მგელი და ადამიანი, ის საკმაოდ დიდხანს მართავდა ტომს, იმიტომ რომ არ ბერდებოდა. როდესაც რაიმე საშიშროება ჩნდებოდა მგლად იქცეოდა და ებრძოდა მტერს, ხალხი სიმშვიდეში ცხოვრობდა. მას უამრავი ვაჟი ჰყავდა და აღმოჩნდა, რომ გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ მათაც შეეძლოთ მგლად გადაქცევა, ეს არ იყვნენ უბრალო მგლები, ისინი ადამიანის შინაგან არსს აირეკლავდნენ.

– აი რატომ არის სემი მთლიანად შავი,-ამოთქვა ქუილმა,-შავი გული, შავი ბეწვი.

იმდენად გატაცებული ვიყავი ისტორიით, რომ რეალობაში დაბრუნება ცოტათი რთული აღმოჩნდა, მაშინ მივხვდი, რომ რომ აქ ტახა აკის შვილთაშვილები იჯდნენ.

– და შენი შოკოლადისფერი ბეწვი რას ნიშნავს?,-ჰკითხა სემმა,-ასეთი ტკბილი ხარ?

ბილიმ არ მიაქცია ყურადღება მათ მაიმუნობას და გააგრძელა.

– რამოდენიმე ტახა აკის ვაჟებიდან მას დაემსგავსა, ისინი არ ბერდებოდნენ, დანარჩენები კი ვინც უარი თქვა ამაზე და არ უნდოდათ გადაქცევა რა თქმა უნდა იცვლიდნენ ასაკს. ასე მიხვდნენ ტომში, რომ მხოლოდ გადაქცევისას არ დაბერდებოდნენ.

– ტახა აკის ცხოვრება სამ სრულფასოვან ცხოვრებას უდრიდა, პირველი ორი ცოლის სიკვდილის მერე მან მესამე ცოლი შეირთო და ამჯერად იპოვა თავის სულის მეგობარი, მას წინა ცოლებიც უყვარდა, მაგრამ აქ რაღაც სხვა იყო, მან გადაწყვიტა უარი ეთქვა თავის მგლურ ცხოვრებაზე და თავის ცოლთან ერთად დაბერებულიყო.

– აი როგორ მოვიდა ჩვენთან მაგია, მაგრამ ეს არ არის ისტორიის დასასრული..

ბილიმ მოხუც ქუილს შეხედა და ანიშნა გაეგრძელებინა. მოხუცი ქუილი გასწორდა და მხრები გაშალა.

– ის ისტორია მებრძოლ სულებზე იყო,-თქვა მან მაღალი ტენორით,-ეხლა კი იმას გიამბობთ როგორ შესწირა მსხვერპლად საკუთარი თავი მესამე ცოლმა.

– დიდი დრო იყო გასული იმის შემდეგ რაც ტახა აკიმ უარი თქვა მგლობაზე, ის უკვე მოხუცი იყო, როცა არეულობა დაიწყო სამხრეთში "მაკას" ტომში, ტომიდან რამოდენიმე ახალგაზრდა ქალი გაქრა და ყველაფერს მგლებს აბრალებდნენ, რადგან მათ არ ენდობოდნენ, მგლები ისევ კითხულობდნენ ერთმანეთის აზრებს და იცოდნენ რომ არცერთი მათგანი არ იყო დამნაშავე, ტახა აკი შეეცადა "მაკას" ტომის ბელადი დაემშვიდებინა, მაგრამ ის ძალიან იყო შეშინებული, ტახა აკის არ უნდოდა ომი, მაგრამ თვითონაც აღარ შეეძლო ამ ამბავში გარკვევა, ამიტომ ბელადად თავისი უფროსი ვაჟი ტახა ვი დანიშნა, რომელსაც ამ საქმისთვის უნდა მიეხედა.

– ტახა ვიმ ხუთი მებრძოლი ამოირჩია ტომიდან და მთებში წავიდა, რომ დაკარგული ქალების კვალი ეპოვა, იქ ისინი ისეთ რაღაცას წააწყდნენ, რაც აქამდე არ უგრძვნიათ, უცნაური, ტკბილი სუნი, რომელიც ცხვირებს უწვავდა მათ.

– მათ არ იცოდნენ რა არსება ტოვებდა ამ სუნს, მაგრამ მაინც მიყვებოდნენ მას, დევნამ ისინი საკმაოდ შორს წაიყვანა, ამიტომ ტახა ვის მოუწია რამოდენიმე მებრძოლის უკან ჰავანაში გაგზავნა, რათა მათ ტახა აკისთვის მოეხსენებინათ ვითარება.

– ტახა ვი და მისი ორი ძმა აღარც დაბრუნებულან იკან..

– სხვა ძმები ცდილობდნენ მათ პოვნას, მაგრამ ყველგან მხოლოდ სიჩუმეს აწყდებოდნენ, ტახა აკიმ გამოიტირა შვილები, უნდოდა შური ეძია მათი სიკვდილისთვის, მაგრამ უკვე საკმაოდ მოხუცი იყო, ის "მაკას" ტომის ბელადთან მივიდა და უამბო თავისი უბედურების შესახებ, ბელადმა დაუჯერა და ტომებს შორის გაჩენილი გაუგებრობა შეწყდა.

– ერთი წლის შემდეგ კიდევ ორი ქალი გაქრა "მაკას" ტომიდან, მათ მგლები გამოიძახეს დასახმარებლად, რომლებმაც ისევ ის სუნი იგრძნეს, როგორც მაშინ ტყეში და კიდევ ერთხელ გაემართნენ საძებრად.

– მხოლოდ ერთი დაბრუნდა, ეს იახა უტა იყო, ტახა აკის მესამე ცოლის უფროსი შვილი და ტომში ყველაზე ახალგაზრდა მგელი, მან თან ისეთი რაღაც მოიტანა რაც აქამდე არავის ჰქონდა ნანახი, ეს ცივი, გაქვავებული და დანაწევრებული გვამი იყო, რომელსაც საშინელი სუნი ასდიოდა, სწორედ ეს იყო "მაკას" ტომის მტერი.

– იახა უტამ აღწერა ყველაფერი რაც მოხდა: მან და მისმა ძმებმა იპოვეს არსება, რომელიც ძალიან ჰგავდა ადამიანს, მაგრამ ქვასავით მკვრივი იყო, დაკარგული ქალებიც მასთან იყვნენ, ერთი უკვე აღარ იყო ცოცხალი, თეთრი და გასისხლიანებული ეგდო მიწაზე, მეორე არსების ხელებში იყო და სისხლს სწოვდა

მას, ქალი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ როგორც კი არსებამ მგლები დაინახა მაშინვე მოუგრიხა კისერი და ძირს დააგდო მისი უსულო სხეული, უცნაური არსების ტუჩები სისხლით იყო მოთხვრილი, თვალები კი წითლად უნათებდა.

– იახა უტამ აღწერა როგორ საოცარ ძალას და სისწრაფეს ფლობდა არსება, მან ერთ-ერთი მისი ძმა წამებში მოკლა, თოჯინასავით გაგლიჯა შუაზე, იახა უტა და მისი მეორე ძმა უფრო ფრთხილობდნენ და ორივე მხრიდან აპირებდნენ თავდასხმას, მათ მთელი მგლური ძალა უნდა მოეკრიბათ იმისთვის, რომ ამ მკვრივ და ყინულივით ცივ არსებას მორეოდნენ, ბოლოს აღმოაჩინეს, რომ მხოლოდ მათ ეშვებს შეეძლო არსებასთან გამკლავება და მისი დანაწევრება გადაწყვიტეს.
 არსება მიუხვდა ჩანაფიქრს და სხვა მანევრებს მიმართა, მან მეორე ძმა დაიჭირა, იახა უტა მივარდა და თავი მოაგლიჯა, ბოლოს დაანაწევრა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ შესძლო ძმის გადარჩენა.

– იახა უტამ დაალაგა ნაწილები მიწაზე, რომ უხუცესებისთვის ეჩვენებინა, ამ დროს ნაწილებმა ერთმანეთთან მიწევა და შეერთება დაიწყეს, შეშინებულმა უხუცესებმა მაშინვე დაწვეს ყველაფერი, ხოლო ის ფერფლი, რომელიც არსებისგან დარჩა სხვა და სხვა მხარეს მიმოფანტეს, ზოგი ოკეანეში, ზოგი ტყეში, ზოგიც მთებში, ტახა აკიმ ცოტა პატარა ტომარაში ჩაყარა და გულზე ჩამოიკიდა, ამითი ის გაიგებდა ეცდებოდა თუ არა კიდევ არსება თავის გამთელებას.

 მოხუცი ქუილი გაჩერდა და ბილის შეხედა, ბილიმ ტყავის თოკი გამოწია, რომელიც გულზე ეკიდა, მასზე პატარა ტომარა იყო, რომელიც უკვე გაშავებული იყო სიძველისგან, ყველამ პირი გააღო გაკვირვებისგან, მათ შორის მეც.

 მოხუცმა ქუილმა გააგრძელა.

– ამ არსებას სისხლისმსმელი დაარქვეს და შიშში ცხოვრობდნენ, რომ მისი მსგავსები კიდევ იქნებოდნენ, მათ კი მხოლოდ ერთი დამცველი მგელი ჰყავდათ, ეს იახა უტა იყო.

– დიდხანს ლოდინი არ მოუწიათ, არსებას წყვილი ჰყავდა, რომელიც კვილეტებთან მივიდა შურისსაძიებლად.

– თქმულება გვიამბობს, რომ ცივი ქალი ყველაზე ლამაზი არსება იყო, რომელიც აქამდე უნახავთ ადამიანებს, როდესაც ის დილით მივიდა ჰავანაში ზეციდან ჩამოსულ ქალღმერთს ჰგავდა, მზე ანათებდა და მისი კანი საოცრად ბზინავდა, ხოლო ოქროსფერი თმები მუხლებამდე ჰქონდა გაშლილი, ზოგიერთი მუხლებზეც კი დაეცა, რომ თაყვანი ეცათ მისთვის.

– ქალმა მათთვის უცნობ ენაზე იკითხა რაღაც, მისი ხმა პატარა ზარების გადაძახილს ჰგავდა, ხალხი დაიბნა, არ იცოდნენ რა ეპასუხათ, მათ შორის ტახა აკის სისხლის მატარებელი მხოლოდ ერთი პატარა ბავშვი იყო, მან დედას უთხრა, რომ ცხვირი ასტკივდა სუნისგან, უხუცესები მაშინვე მიხვდნენ რა მივიდა მათთან, მათ ხალხს უბრძანეს, რომ სასწრაფოდ გაქცეულიყვნენ.

– ქალის გამოჩენას ოცი მოწმე ჰყავდა, მან მხოლოდ ორი დატოვა ცოცხალი, ისინი ტახა აკისთან გაიქცნენ, რომელიც საბჭოზე იყო სხვა უხუცესებთან, შვილებთან და მესამე ცოლთან ერთად.

– როგორც კი ეს ამბავი გაიგო იახა უტა მაშინვე მგლად გადაიქცა და სისხლისმსმელთან საბრძოლველად გაიქცა, ტახა აკი, მესამე ცოლი და დანარჩენებიც მას გაჰყვენ.

– თავიდან მათ ვერ დაინახეს არსება, გარშემო მხოლოდ საშინელი თავდასხლის კვალი იყო, მიწა მოფენილი იყო უსულო გვამებით, შემდეგ მათ კივილი გაიგეს და ჰავანისკენ გაიქცნენ.

– რამოდენიმე კვილეტი გემზე ავიდა და ასე ცდილობდა თავის გადარჩენას, მაგრამ ქალი მათ დაეწია და ყველა მოკლა, წყლიდან მხოლოდ მაშინ ამოვიდა, როცა ნაპირზე დიდი მგელი დაინახა, ის იახა უტას წინ დადგა, თითი გაიშვირა მისკენ და ისევ რაღაც თქვა უცნობ ენაზე.

იახა უტა ელოდებოდა.

– ბრძოლა არ იყო გრძელი. იმის მიუხედავად, რომ ქალი თავის თანამგზავრზე ძლიერი არ იყო, შეძლო მგლის დამარცხება, იმიტომ რომ იახა უტა მარტო იყო.

– როცა იახა უტა დამარცხდა ტახა აკი განრისხდა და საშინელი ღმუილი აღმოხდა, ის მუხლებზე დაეცა და მოხუც, თეთრბეწვიან მგლად გადაიქცა, ბრძოლა თავიდან დაიწყო.

– მესამე ცოლმა სულ ახლახანს დაინახა როგორ მოუკლეს შვილი, ეხლა კი მისი მეუღლე იბრძოდა და მან იცოდა, რომ ის ვერ გადარჩებოდა, ქალს მოსმენილი ჰქონდა იახა უტას ძველი ისტორია, იმის შესახებ, რომ ძმის მოულოდნელმა თავდასხმამ გადაარჩინა ის.

– მესამე ცოლმა ერთ-ერთ თავის შვილს დანა ამოაცალა ქამრიდან და ცივ ქალთან მივარდა, ქალი წამით მოწყდა ბრძოლას და გაეცინა, მას ნამდვილად არ ეშინოდა მოკლვდავი ადამიანის, პატარა დანა ხომ ვერც დაკაწრავდა მას, მაგრამ ამ დროს მესამე ცოლმა ის გააკეთა რასაც სისხლისმსმელი ვერ წარმოიდგენდა, ის მის წინ დაეცა და დანა ჩაირტყა გულში, სისხლმა შადრევანივით იფეთქა მისი ჭრილობიდან, ცივმა ქალმა სისხლის სუნი იგრძნო და ვერ გაუძლო ცდუნებას, ის მხოლოდ ერთი წამით შეტრიალდა და ამ დროს ტახა აკიმ მოახერხა და თავი წააცალა მას.

– ბრძოლა დასრულდა, მაგრამ ტახა აკი მარტო აღარ იყო, როცა მისმა პატარა ვაჟებმა დაინახეს რა მოუვიდა მათ დედას, ისე განრისხდნენ, რომ მგლების სულებმა ადრე გაიღვიძეს მათში და მათ ტახა აკისთან ერთად მოუღეს ბოლო არსებას.

– ტახა აკი აღარ დაბრუნებულა ტომში, ის ბოლომდე მგლის სხეულში დარჩა, მთელი დღე ცოლის გვამთან იწვა და არავის აძლევდა უფლებას მიკარებოდნენ, შემდეგ კი ტყეში წავიდა და ამის მერე არავის უნახავს.

– უსიამოვნებები ცივებთან იმ დღის შემდეგ იშვიათობად იქცა, ტახა აკის შვილები იცავდნენ ტომს, მაგრამ როცა სისხლისმსმელები მაინც ბედავდნენ გამოჩენას მგლები მათ მაშინვე ამარცხებდნენ, ზოგჯერ მგლებიც იხოცებოდნენ, მაგრამ არა იმდენი რამდენიც პირველად, მათ ისწავლეს ცივებთან ბრძოლა და ამ ცოდნას აზრებით გადასცემდნენ თაობებს,

– გადიოდა წლები და ტახა აკის შთამომავლობა აღარ იცვლიდა ფორმას, მგლები მხოლოდ მაშინ ხდებოდნენ, თუ ახლომახლო სისხლისმსმელები ჩნდებოდნენ.

– ერთხელ როდესაც ისინი კიდევ გაჩნდნენ, ეს მთელი ოჯახი იყო, თქვენი დიდი ბაბუა ეფრაიმ ბლექი მათთან საბრძოლველად მოემზადა, მაგრამ მათი ლიდერი ადამიანივით მოიქცა, ეფრაიმს მიმართა და შეპირდა, რომ კვილეტებს არაფერს დაუშავებდა, მისი ოქროსფერი თვალები იმაზე მოწმობდა, რომ ისინი სხვა სისხლისმსმელებს არ ჰგავდნენ, მგლები ჩამორჩებოდნენ მათ რაოდენობით, ამიტომ ეფრაიმს სხვა გზა არ ჰქონდა და დათანხმდა.

– ცივები მართლაც იცავდნენ თავიანთ დანაპირებს, მაგრამ მათი ახლოს ყოფნით მგლებიც მრავლდებოდნენ და ბოლოს იმაზე მეტნი იყვნენ ვიდრე ოდესმე ახსოვდა ტომს.

მოხუცმა ქუილმა თავისი დიდი შავი თვალებით გამომხედა და გააგრძელა.

– ეხლა კი ჩვენმა შვილებმა მამების მსგავსად უნდა ატარონ ეს ტვირთი.

ცოტახნით ყველა გაჩუმდა, ცოცხალი ლეგენდის შთამომავლები მოწყენილები უყურებდნენ ერთმანეთს, მარტო ერთი იყო კარგ ხასიათზე.

– ტვირთი?,-ტქვა ქუილმა,-მე კი ვფიქრობ რომ ეს მაგარია.

სეთ კლირვოტერმა, რომელიც მოპირდაპირე მხარეს იჯდა აღფრთოვანებულმა დაუქნია თავი.

ბილიმ გადაიხარხარა და მაგიაც სადღაც გაქრა, ეს შეკრება ორ წუთში ისევ წვეულებას დაემსგავსა, ჯარედმა პატარა ქვა ესროლა ქუილს და ყველას გაეცინა როცა ის მოულოდნელობისაგან შეხტა.

ლეა კლირვოტერი ისევ თვალდახუჭული იჯდა, რაღაც მომენტში მომეჩვენა, რომ მის ლოყაზე ცრემლი ციმციმებდა, მაგრამ, როცა კარგად დავაკვირდი არაფერი აღარ იყო.

არც მე და არც ჯეიკობი არ ვლაპარაკობდით, ის გაუნძრევლად იჯდა ჩემს გვერდით და მეგონა რომ ჩაეძინა.

ჩემი ფიქრები ეხლა შორს იყო, მრავალი წლების უკან, მე არ ვფიქრობდი არც იახა უტაზე, არც სხვა მგლებზე, არც ცივ ქალზე, მათი წარმოდგენა ადვილად შემეძლო, მე იმაზე ვფიქრობდი ვინც არ იყო მაგიასთან დაკავშირებული, იმ ქალის სახის წარმოდგენას ვცდილობდი, რომლის სახელიც არ ვიცოდი, რომელმაც მთელი ტომი გადაარჩინა, ეს მესამე ცოლი იყო. უბრალო ადამიანი, ყოველგვარი უნარის და ძალის გარეშე, ის იყო ყველაფრის გასაღები, მან თავისი მეუღლე, შვილები და ტომი გადაარჩინა.

გული დამწყდა, რომ მათ არ ახლოვდათ მისი სახელი.

ვიღაცამ შემანჯღრია.

– ბელს, გაიღვიძე!-მითხრა ჯეიობმა ყურში,-აქ ვართ.

თვალები დავახამხამე და დავინახე, რომ კოცონთან აღარ ვიჯექი, ვცდილობდი გამეგო სად ვიყავი, წუთის მერე მივხვდი, რომ მანქანაში ვიყავით.

ნეტავ ჯეიკობის მანქანაში როგორ მოვხვდი?

– ჯანდაბა!-ჩავიბურტყუნე მე, როცა მივხვდი, რომ ჩამძინებია,-უკვე გვიანია? სად არის ეს ოხერი ტელეფონი?

ჯიბეებში ვეძებე მაგრამ ვერ ვიპოვე.

– დამშვიდდი, ჯერ შუაღამე არ არის, მე დავურეკე მას შენს მაგივრად, შეხედე აი იქ დგას და გელოდება.

– შუაღამე?,-გავიმეორე მე სულელურად და სიბნელეში გავიხედე, გული კინაღამ ამომივარდა, როცა ჩემმა თვალებმა ვერცხლისფერი ვოლვო დაინახა, კარების სახელურისკენ გავიწიე.

– დაიჭირე,-მითხრა ჯეიკობმა და მეორე ხელში ტელეფონი ჩამიდო,-ტელეფონი.

– ჩემი გულისთვის დაურეკე ედვარდს?

ჩემი თვალები უკვე საკმაოდ შეეჩვია სიბნელეს და შევძელე მისი ღიმილის დანახვა.

– მივხვდი, რომ თუ კარგად მოვიქცევი, ისევ მექნება შენი ნახვის შანსი.

– მადლობთ ჯეიკ, მართლა დიდი მადლობა, დღეს ყველაფერი ძალიან..სიტყვები არ მყოფნის, ეს რაღაც განსაკუთრებული იყო.

– და შენ არც კი გაიღვიძე, რომ გენახა როგორ გადავსანსლე მთლიანი ძროხა,-გაეცინა მას,-მიხარია, რომ მოგეწონა, ძალიან მესიამოვნა რომ იქ იყავი, ჩემს გვერდით.

შევამჩნიე, რომ რაღაც მოძრაობდა ხეებს შორის.

– ჰმ, ძალიან მოუთმენელია არა? მიდი წადი მასთან, ოღონდ შემპირდი, რომ მალე დაბრუნდები.

– კარგი, ჯეიკ, გპირდები,-ვთქვი მე და კარი გავაღე, ცივმა ქარმა დამიბერა და ავკანკალდი.

– ტკბილად დაიძინე ბელს და არ ინერვიულო, დღეს იქ ვიქნები და გიყარაულებ.

– არა, ჯეიკობ, არ არის საჭირო, დაისვენე.

–კარგი, კარგი,-მითხრა მან რომ დავემშვიდებინე.

– ღამე მშვიდობისა ჯეიკობ.

– ღამე მშვოდიბისა ბელა,-თქვა მან როცა მანქანის კარები მივხურე.

ედვარდი საზღვართან შემხვდა.

– ბელა,-ამოთქვა მან დამშვიდებულმა და მომეხვია.

– მაპატიე, რომ დავაგვიანე, მე ჩამეძინა და..

– ვიცი, ჯეიკობმა ყველაფერი ამიხსნა, ძალიან დაიღალე? მიგიყვან მანქანამდე.

– ყველაფერი რიგზეა.

– მალე სახლში ვიქნებით და დაგაძინებ, როგორი დრო გაატარე?

– ეს ფანტასტიური იყო ედვარდ, ვწუხვარ, რომ შენ არ შეგეძლო მოსვლა, ჯეიკობის მამა ძველ ლეგენდებს გვიყვებოდა.

– რომ გამოიძინებ მერე მომიყევი.

– ამას მაინც ვერ გადმოვცემ,-ვთქვი მე და დავამთქნარე.

ედვარდმა გაიღიმა, მანქანაში ჩამსვა და უსაფრთხოების ღვედი შემიკრა.

როცა დავბრუნდი მეგონა ჩარლი ჩხუბს დამიწყებდა, მაგრამ გადავრჩი, რადგან ჯეიკობმა მას დაურეკა და ყველაფერი აუხსნა.

იმის მაგივრად, რომ მაშინვე წავსულიყავი დასაძინებლად, ფანჯარაში გავყავი თავი და ედვარდს ველოდებოდი, ღამე ძალიან ბნელი და ცივი იყო, გაყინული წვეთი დამეცა და ორ წამში წვიმა დაიწყო.

ძალიან მინდოდა რამე გამერჩია სიბნელეში ნაძვების გარდა, მაგრამ სამწუხაროდ ჩემი მზერა ძალიან სუსტი იყო ამისთვის, ამ დროს, ზუსტად ჩემს თვალწინ ედვარდი შემოძვრა ფანჯარაში, მისი ხელები წვიმაზე ცივი იყო.

– ჯეიკობი იქ არის?,-ვკითხე მე აკანკალებულმა, როცა ჩამეხუტა.

– კი, სადღაც და ესმე უკვე სახლში ბრუნდება.

ამოვიოხრე.

– მაგრამ ეხლა ისე ცივა და წვიმს.

– ეს მარტო შენ გცივა ბელა,-გაეღიმა ედვარდს.

ამ ღამეს ძილშიც მციოდა, ალბათ იმიტომ რომ ედვარდის მკლავებში მეძინა, მესიზმრებოდა ჭექაქუხილი, ქუჩაში ვიდექი, ქარი აფრიალებდა ჩემს თმას, ვცდილობდი გამერჩია შორს მოძრავი სილუეტები, უცებ მთვარე გამოვიდა ღრუბლებიდან და მე შევძელი მისი დანახვა, ეს როზალი იყო, მას მუხლებამდე ჰქონდა გაშლილი სველი თმა და ის დიდ მგელს ებრძოდა, ამ ცხოველში მომენტალურად ამოვიცანი ბილი ბლექი. მივრბოდი, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ძლივსძლიობით ვახერხებდი გადაადგილებას, მინდოდა მეყვირა, რომ გაჩერებულიყვნენ, მაგრამ ჩემი ხმა მეც არ მესმოდა, ხელების ქნევა დავწყე, რომ მათი ყურადღება მიმექცია, ამ დროს რაღაცამ გაიელვა ჩემს ხელში, მე ძველი, მჭრელი და ვერცხლისფერი დანა მეჭირა, რომელიც სისხლით იყო მოთხვრილი. უხეშად გადავაგდე დანა და ჩემს საძინებელში გაეღვიძა.

პირველი რაც გამახსენდა ის იყო, რომ მარტო არ ვიყავი, შემოვბრუნდი და ედვარდს მივეკარი, ვიცოდი, რომ მისი სურნელი ნებისმიერ კოშმარს განდევნიდა.

– გაგაღვიძე?,-ჩამიჩურჩულა მან, სიბნელეში მხოლოდ ფურცლების შრიალის ხმა ისმოდა, რაღაც დაეცა ხის აიტაკზე.

– არა,-ჩავიბურტყუნე მე და მოვეწყვე მის მკლავებში,-უბრალოდ ცუდი სიზმარი ვნახე.

– გინდა რომ მომიყვე?

– არა,-გავიქნიე მე თავი,-ძალიან დავიღალე, იქნებ ხვალ, თუ გამახსენდება.

მან მსუბუქი სიცილით მიპასუხა.

– კარგი, დილით.

– რას კითხულობდი?

– “ ჭექაქუხილის უღელტეხილს”

ნახევრად მეძინა მაგრამ მაინც შევძელი რეაგირება.

– მე მეგონა არ გიყვარდა ეს წიგნი.

– შენ ის დატოვე,-მითხრა მან ჰავერდოვანი ხმით, რომელიც მთიშავდა,- ამის გარდა რაც მეტ დროს ვატარებ შენს გვერდით მით მეტი ადამიანური ემოციები მიჩნდება, შევამჩნიე რომ მომწონს ჰითკლიფი, რასაც აქამდე ნამდვილად ვერ ვიტყოდი.

– ჰმ..

მან კიდევ თქვა რაღაც, მაგრამ მე უკვე მეძინა.

დილა ძალიან მშვიდი იყო, ედვარდმა მკითხა ჩემს სიზმარზე მაგრამ ვერაფრის გახსენება ვერ მოვახერხე, მარტო ის მახსოვდა, რომ ღამე მციოდა. იქამდე სანამ სახლში წავიდოდა გამოსაცვლელად და მანქანის წამოსაყვანად იმდენ ხანს მკოცნიდა, რომ პულსი ამომივარდა.

მე სწრაფად ჩავიცვი, ტანსაცმლის არჩევის პრობლემა ნამდვილად არ მქონდა, იმან ვინც ჩემი ნივთები წაიღო საკმაოდ შეამცირა ჩემი გარდერობი, ეს ფაქტი არ მაშინებდა, მაგრამ ძალიან მაღიზიანებდა.

უკვე სასაუზმოდ ვაპირებდი წასვლას, როცა იატაკზე "ჭექაქუხილის უღელტეხილი" დავინახე, წიგნი გადაშილი იყო იმ გვერდზე, რომელსაც ღამე ედვადი კითხულობდა.

დაინტერესებულმა ავიღე წიგნი და ვცდილობდი იმის გახსენებას რა მითხრა, რაღაც ჰითკლიფის შესახებ, ან შეიძლება დამესიზმრა.

სიტყვებმა, რომელიც გადაშლილ გვერდზე იყო დამაინტერესა და წავიკითხე, ეს ჰითკლიფის მონოლოგი იყო, კარგად მახსოვდა ეს აბზაცი:

" ამაშია ჩემსა და მის სიყვარულს შორის განსხვავება, მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი და ის ჩემსაზე, ყველაზე ძლიერ სიძულვისაც რომ დავეწვი მასზე ხელს არ ავწევდი, არ გჯერა? არა, არასოდეს! არ გავაგდებდი მას მისი საზოგადოებიდან იქამდე, სანამ მას ენდომებოდა მის გვერდით ყოფნა, მაგრამ მაშინ როცა ის მისთვის სულერთი გახდებოდა, გულს ამოვგლეჯდი მკერდიდან და მის სისხლს დავლევდი, მაგრამ იქამდე, თუ არ გჯერა, ეი არ მიცნობ, იქამდე ნაწილებად დავაჭრევინებდი თავს, მაგრამ თმის ღერსაც არ შევეხებოდი მის თავზე"

სიტყვებმა რომლებმაც მიიპყრეს ჩემი ყურადღება იყო "მის სისხლს დავლევდი"

გამაჟრიალა.

ალბათ მართლა დამესიზმრა, რომ ედვარდმა რაღაც პოზიტიური თქვა ჰითკლიფზე და ეს გვერდი ალბათ ის არ არის, რომელსაც კითხულობდა, ვარდნისას წიგნი შეიძლებოდა ნებისმიერ გვერდზე გადაშლილიყო.

თავი 12

დრო

– მე ვხედავ.., - იდუმალად თქვა ელისმა.

ედვარდს უნდოდა იდაყვი მიერტყა მისთვის მაგრამ ელისი ოსტატურად დაუსხლტა.

– გადასარევია,- გააგრძელა მან,- ედვარდმა მაიძულა ამის გაკეთება, მაგრამ მე მართლა დავინახე, რომ ის უფრო რთული იქნებოდა შენთვის სიუპრიზი რომ გამეკეთებინა.

ჩვენ მანქანისკენ გავემართეთ და წარმოდგენაც არ მქონდა რაზე მელაპარაკებოდა ელისი.

– უფრო გასაგებად შეიძლება?-ვკითხე მე.

– ყველაფერს ასე მძაფრად ნუ აღიქვამ, არ გინდა ისტერიკები.

– მართალი გითხრა უკვე მეშინია.

– მოკლედ, შენ, უფრო სწორედ ჩვენ ყველას წვეულება გვექნება გამოსაშვებთან დაკავშირებით, არაფერი განსაკუთრებული, ამაზე არ ინერვიულო, მე მართლა დავინახე, რომ იდარდებდი ბოლო მომენტში რომ მეთქვა.

მძიმედ ამოვისუნთქე.

– და კამათს აქვს აზრი?

– აბსოლუტურად არავითარი.

– კარგი ელის, მე მოვალ და გპირდები, რომ თითოეულ წუთს შევიზიზღებ ამ წვეულების დროს.

– აი, ამას ჰქვია განწყობა, ხო მართლა ძალიან მომეწონა შენი საჩუქარი, არ ღირდა შეწუხება.

– ელის მე არც შევწუხებულვარ..

– ვიცი, მაგრამ დავინახე, რომ შეწუხდები.

ტვინი დავძაბე რომ გამეხსენებინა, მაინც რისი ჩუქება მქონდა გადაწყვეტილი ელისისთვის და რა დაინახა მან.

– საოცარია,-ჩაიბურტყუნა ედვარდმა, - როგორ შეუძლია ასეთ პატარა არსებას ამდენად გაგაღიზიანოს?

ელისმა გადაიხარხარა.

– ეს ტალანტია.

– იქნებ კიდევ რამოდენიმე კვირა დაგეცადათ და მერე გეთქვათ,-გავიბუტე მე,-ეხლა უფრო დიდხანს უნდა ვინერვიულო.

ელისი გაკვირვებული დამაშტერდა.

– ბელა, იცი დღეს რა დღეა?

– ორშაბათი?

– კი, ორშაბათი, ოთხი რიცხვი.

ელისმა ხელი მომკიდა, შემატრიალა და დიდ ყვითელ პლაკატზე მიმანიშნა, რომელიც სპორტული დარბაზის კარებზე ეკიდა, იქ შავი და დიდი ასოებით ეწერა გამოსაშვების თარიღი, ეს ზუსტად ერთი კვირის შემდეგ იყო.

– დღეს ოთხია? ივნისი? დარწმუნებულები ხართ?

ორივე გაჩუმდა, ელისმა გულდაწყვეტილმა გაიქნია თავი, ხოლო ედვარდმა წარბები ასწია.

– არ არსებობს, ეს როგორ მოხდა?,-ვცდილობდი გონებაში გადამეთვალა დღეები, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი ასე როგორ გაირბინა დრომ.

თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მიწა გამომეცალა ფეხებიდან, რაღაცნაირად მთელი ჩემი დრო უბრალოდ გაქრა, ის დრო, რომელიც პრობლემების მოსაგვარებლად და გეგმების დასაწყობად მქონდა აღარ იყო.

მე არ ვიყავი მზად.

არ ვიცოდი ეს როგორ გამეკეთებინა, ჩარლის და რენეს როგორ დავმშვიდობებოდი, ჯეიკობს.. მთელს ჩემს ადამიანურ არსებობას.

მე ზუსტად ვიცოდი რაც მინდოდა, მაგრამ უცებ ამის მიღების საოცარი შიში ვიგრძენი.

თეორიულად, მე ძალიან მინდოდა გამეცვალა ჩემი ცხოვრება უკვდავებაზე, ბოლოს და ბოლოს ეს იყო ედვარდთან დარჩენის ერთადერთი საშუალება და ამას კიდევ ის ემატებოდა, რომ ჩემზე საკმაოდ ბევრი და უცნობი მტერი ნადირობდა, ყველაფერი თითქოს უკვე გასაგები იყო.

პრაქტიკაში ადამიანად ყოფნა ერთადერთი იყო რაც ვიცოდი, მომავალი, რომელიც მეორე მხარეს მელოდებოდა შავ უფსკრულად მეჩვენებოდა და არ ვიცოდი რას მიმზადებდა სანამ მასში არ გადავეშვებოდი.

ალბათ ედვარდი მიხვდა, რომ მხოლოდ სხეულით ვიყავი აქ და სხვა რამეზე ვფიქრობდი და არც უცდია ჩემი ფიქრებიდან მოწყვეტა, არ მახსოვს როგორ აღმოვჩნდი მანქანაში, ბუნდოვნად მესმოდა ელისის ბურტყუნა უკანა სავარძლიდან.

ბოლოს და ბოლოს ჩემს სახლში აღმოვჩნდით, ედვარდმა შიგნით შემიყვანა და დივანზე დამსვა თავის გვერდით, მე ფანჯარას მივაშტერდი და ვცდილობდი გამერკვია სად გაქრა ჩემი მონდომება, რატომ ვიყავი პანიკაში? ვიცოდი, რომ ვადა იწურებოდა და ეს რატომ მაშინებდა?

არვიცი, რამდენ ხანს მაცადა ედვარდმა ჩუმად ყოფნა, მაგრამ ეტყობა იმდენად დიდხანს ვიყავი გატრუნული, რომ ეს მისთვისაც გაუსაძლისი გახდა. მან ჩემი სახე თავის ცივ ხელებში მოაქცია და თვალები ჩამხედა.

– იქნებ მითხრა რაზე ფიქრობ? სანამ ჭკუიდან გადავსულვარ.

რა უნდა მეთქვა მისთვის? რომ შევშინდი? ვერ ვპოულობდი საჭირო სიტყვებს.

– ბელა ტუჩები გაგითეთრდა, მითხარი!

ღრმად ჩავისუნთქე.

– თარიღმა გამაკვირვა, სულ ეს არის.

ის მელოდებოდა, სახეზე ეტყობოდა, რომ ძალიან ნერვიულობდა.

შევეცადე ამეხსნა.

– არ ვარ დარწმუნებული როგორ მოვიქცე, ჩარლის რა ვუთხრა, როგორ.., აქ ხმა ჩამიწყდა.

– ეს წვეულების გამოა?

– არა,-გავბრაზდი მე,-მაგრამ მადლობთ, რომ შემახსენე.

ედვარდი დიდხანს მაკვირდებოდა და ცდილობდა გამოეცნო ჩემი გამომეყველების მიზეზი.

– შენ არ ხარ მზად,-თქვა მან ჩურჩულით.

– მზად ვარ,-უცებ მოვიტყუე მე, ის მშვენივრად მიცნობდა და მიხვდა ამას.

– უნდა ვიყო მზად,-დავამატე მე.

– არა, არ უნდა იყო.

– ვიქტორია, ჯეინი, კაიუსი არ აქვს მნიშვნელობა ვინ იყო ჩემს ოთახში!

– მით მეტი მიზეზია, რომ მოვიცადოთ.

– ეს უაზრობაა ედვარდ!

მან უფრო ახლოს მიმწია თავისკენ და ნელა, თითოეული სიტყვის გამოყოფით დაიწყო ლაპარაკი.

– ბელა, არცერთ ჩვენგანს არ ჰქონდა არჩევანი და შენ ხედავ ამისგან რა გამოვიდა, განსაკუთრებით როზალის შემთხვევაში, ჩვენ ყველამ ვიბრძოლეთ, რომ შევგუებოდით იმას, რისი გამოსწორებაც აღარ შეიძლება, შენ ასე არ უნდა დაგემართოს, შენ გექნება არჩევანი.

– მე უკვე გავაკეთე არჩევანი.

– მაგრამ ეს მარტო იმიტომ არ უნდა გააკეთო, რომ საფრთხეში ხარ, ჩვენ მოვაგვარებთ ამ პრობლემას, მე ვიზრუნებ შენზე,- დაიფიცა მან,-როცა ეს ყველაფერი დამთავრდება და არავინ გაიძულებს ამას მაშინ შეგეძლება შემომიერთდე, თუ რა თქმა უნდა ეს კიდევ გენდომება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში შიშის გამო.

– კარლაილი შემპირდა,- ჩავიბურტყუნე მე,-გამოსაშვების შემდეგ.

– სანამ მზად არ იქნები ეს არ მოხდება,- მკაცრად თქვა ედვარდმა, - და მითუმეტეს მაშინ არა, როცა გემუქრებიან.

მე არ ვუპასუხე, არ მინდოდა კამათი, მეჩვენებოდა რომ დარწმუნებული ვიყავი ჩემს სისწორეში.

– აი ხედავ,- მაკოცა მან შუბლზე,-არაფერია სანერვიულო.

საცოდავად გავიცინე.

– არაფერი?

– დამიჯერე.

– მჯერა.

ის ისევ მიყურებდა და ელოდებოდა როდის დავმშვიდდებოდი.

– შემიძლია რაღაც გკითხო?,-ვთქვი მე.

– რაც გინდა.

დიდხანს ვყოყმანობდი და ის კითხვა არ დავსვი, რომელიც მაინტერესებდა.

– ელისს რას ვაჩუქებ გამოსაშვებზე?

– მემგონი შენ ჩვენ ორივეს კონცერტის ბილეთებს გვაჩუქებ.

– ზუსტად!,კონცერტი ტაკომაში, წინა კვირას განცხადება ვნახე გაზეთში და ვიფიქრე რომ მოგეწონებოდათ, თან შენ აქებდი იმ დისკს.

– კარგი იდეაა, მადლობთ.

– იმედი მაქვს, რომ ბილეთები ჯერ არ არის გაყიდული.

– ეს უკვე მეცოდინებოდა.

ამოვისუნთქე.

– არის კიდევ რამე, რისი კითხვაც გინდა?,-მკითხა მან.

– ყველაფერი ისედაც იცი.

– ბელა, მე მშვენივრად ვკითხულობ შენს სახეზე, პრაქტიკა გავიარე, მკითხე!

თვალები დავხუჭე და სახე ედვარდის მკერდში დავმალე.

– შენ არ გინდა რომ ვამპირი გავხდე.

– არა, არ მინდა,-მითხრა მან რბილად,-ეს კითხვა არ არის, გააგრძელე.

– ნუ.. მე განვიცდი რატომ არ გინდა?

– განიცდი?,-მკითხა მან გაკვირვებული ხმით.

– მპირდები, რომ სიმართლეს მეტყვი, თუნდაც მეწყინოს?

ის ერთი წუთით ჩაფიქრდა.

– თუ ამ კითხვაზე პასუხს გაგცემ მეტყვი ის რატომ დამისვი?

მე თავი დავუქნიე და ისევ დავმალე სახე.

მან დიდი სუნთქვა აიღო სანამ დაიწყებდა.

– შენ ყველაფერი გაცილებით უკეთესად შეიძლებოდა გქონოდა, ვიცი, შენ გჯერა რომ მე სული გამაჩნია, მაგრამ მე არ ვარ ამაში დარწმუნებული და შენი სულით გარისკვა .., -მანთავი გაიქნია,- იმის უფლება მოგცე ჩემნაირი გახდე, მხოლოდ იმიტომ რომ არ დაგკარგო? ეს ალბათ ყველაზე ეგოისტური საქციელი იქნება, რომლის წარმოდგენაც შემიძლია, ეს ყველაზე მეტად მინდა ცხოვრებაში-ჩემთვის, მაგრამ შენთვის უფრო მეტი მინდა, ჩემს ეგოიზმს თუ დავემორჩილები ეს ნამდვილი დანაშაული იქნება, საშუალება რომ არსებობდეს ჩემთვის ადამიანი გავხდე, იმისთვის რომ შენს გვერდით ვიყო, როგორი მსხვერპლის გაღებაც არ უნდა დამჭირვებოდა გავიღებდი.

მე გაუნძრევლად ვიჯექი და მის ნათქვამს ვაანალიზებდი, ედვარდს ეგონა, რომ ეგოისტურად იქცეოდა, ვგრძნობდი, რომ ღიმილი მიბრუნდებოდა სახეზე.

– ე.ი შენ არ გეშინია იმისი, რომ ასე აღარ გეყვარები, როცა ადამიანი აღარ ვიქნები, როცა თბილი აღარ ვიქნები და ჩემი სურნელიც შეიცვლება? შენ მართლა გინდა ჩემს გვერდზე ყოფნა იმის მიუხედავად მერე ვინ გავხდები?

მან მძიმედ ამოისუნთქა.

– შენ იმაზე ნერვიულობ, რომ აღარ მომეწონები? ბელა იმის მიუხედავად რომ კარგი ინტუიცია გაქვს, ზოგჯერ სისულელეებს ლაპარაკობ ხოლმე, თქვა ედვარდმა და გადაიხარხარა.

ვიცოდი რომ ჩემს ნათქვამზე გაეცინებოდა, მაგრამ მაინც შვება ვიგრძენი, თუ მას მართლა უნდოდა ჩემთან ყოფნა მე ყველაფერს ავიტანდი, სიტყვა "ეგოისტი" ეხლა ძალიან ლამაზად მეჩვენებოდა.

– მემგონი ვერც წარმოგიდგენია ბელა, რამდენად იოლი იქნება ჩემთვის, როცა მე მთელი ჩემი ყურადღების კონცენტრაცია არ მომიწევს იმისთვის, რომ არ მოგკლა, რა თქმა უნდა იქნება რაღაცეები რაც მომენატრება ხოლმე, მაგალითად.. ეს..

მან თვალებში შემომხედა და ლოყაზე მომეფერა, ვიგრძენი როგორ მომაწვა სისხლი და გავწითლდი, მას გაეცინა.

– და შენი გულისცემის ხმა,-გააგრძელა მან,-ეს ყველაზე ლამაზი ხმა არის ჩემს სამყაროში, ჩემი სმენა იმდენად მომართულია მასზე, რომ ამ ხმას შენგან მილიონი კილომეტრის მოშორებითაც კი გავიგონებ, მაგრამ ამ ყველაფერს არ აქვს მნიშვნელობა,-თქვა მან და ჩემი სახე მოიქცია ხელებში,- შენ ის ხარ ვინც მე მჭირდება, შენ ყოველთვის ჩემი ბელა იქნები.

მე გავიტრუნე და თვალები დავხუჭე, რომ ამ მომენტით დავმტკბარიყავი.

– და შენ უპასუხებ ჩემს კითხვას? სრულ სიმართლეს მეტყვი, რომც მეწყინოს?

– რა თქმა უნდა,-სწრაფად ვუპასუხე მე და თვალები გამიფართოვდა გაკვირვებისგან, ნეტა რა უნდა მკითხოს?

მან ნელა წარმოსთქვა.

– შენ არ გინდა, რომ ჩემი ცოლი გახდე.

გული გამიჩერდა და ოფლმა დამასხა, ის მელოდებოდა და ჩემს რეაქციას აკვირდებოდა.

– ეს არ არის კითხვა.

– მე იმას განვიცდი, რატომ არ გინდა?

– ესეც არ არის კითხვა,-ჩავიბურტყუნე მე.

– გთხოვ, ბელა..

– სიმართლე?

– რა თქმა უნდა, რაც არ უნდა იყოს ამას შევეგუები.

– ამაზე გაგეცინება.

– გამეცინება? ვერ წარმომიდგენია.

– მოკლედ, ვიცი რომ ეს ხუმრობად მოგეჩვენება, მაგრამ ეს.. .. ეს..ისეთი სირცხვილია!,-ვაღიარე მე და ისევ დავმალე ჩემი სახე მის მკერდში.

– ვერ ვხვდები,- მითხრა ედვარდმა ოდნავ შეშინებულმა.

– მე არ ვარ ასეთი გოგო, ედვარდ, ის არ ვარ ვინც მაშინვე თხოვდება, როგორც კი სკოლას დაამთავრებს, როგორც ვიღაც პროვინციელი, რომელიც თავისი

მეგობარი ბიჭისგან დაორსულდა და სხვა გზა არ აქვს, ხალხი რას იტყვის? ხვდები მაინც ეხლა რომელი საუკუნეა? ხალხი არ ქორწინდება ასე უბრალოდ თვრამეტი წლის ასაკში, ჭკვიანი და პასუხისმგებლობის მქონე ხალხი ასე არ იქცევა, ამაზე არ მიოცნებია.., აქ გავჩერდი.

ედვარდი დიდხანს ფიქრობდა ჩემს პასუხზე.

– და სულ ეს არის?,-მკითხა მან.

– ეს საკმარისი არ არის?

– ანუ შენ ვამპირობა იმაზე მეტად არ გინდა ვიდრე ჩემთან ყოფნა?

ამ კითხვის შემდეგ ნამდვილი ისტერიკა დამემართა, ისე ვხარხარებდი, რომ ვერ ვჩედებოდი.

– ედვარდ!,-ძლივს ამოვთქვი მე,- საერთოდ ყოველთვის მეგონა, რომ ჩემზე ჭკვიანი ხარ.

მან ჩამიხუტა და ვგრძნობდი როგორ იცინოდა ჩემთან ერთად.

– ედვარდ,-დავიწყე მე როცა დავწყნარდი,-უსასრულობას არ აქვს აზრი შენს გარეშე, ერთი დღეც არ მინდა მსგავსი.

– დავმშვიდდი,-მითხრა მან.

– და მაინც ეს არაფერს არ ცვლის.

– ბელა მე ყველაფერი მესმის, მართლა, მაგრამ ძალიან მესიამოვნებოდა, რომ შენც გეცადა ჩემი გაგება, საქმე იმაშია, რომ მე ყოველთვის ასეთი ბიჭი ვიყავი, ჩემს სამყაროში მე არასდროს ვეძებდი სიყვარულს, ამაზე მეტად ჯარისკაცობა მინდოდა, არაფერზე არ მიფიქრია, ჯარის გარდა, მაგრამ რომ მეპოვა ვინმე, შენ რომ მეპოვე, ვიცი როგორც მოვიქცეოდი, მე მუხლებზე დავდგებოდი და ხელს გთხოვდი, ყველაფერს გავაკეთებდი იმისთვის რომ შენი თანხმობა მიმეღო და ჩვენ მთელს ცხოვრებას გავატარებით ერთად და არა უსასრულობას,-მან მძიმედ ამოიოხრა.

თვალები გამიფართოვდა და მივაშტერდი.

– ისუნთქე ბელა,-ღიმილით შემახსენა მან.

ამოვისუნთქე.

– ბელა გესმის ჩემი ცოტათი მაინც?

ერთი წამით მართლა დავინახე ყველაფერი მისი თვალით, დავინახე ჩემი თავი გრძელ ქვედაბოლოში, მაქმანებიან ბლუზში გრძელი საყელოთი, ზევით აწეულ თმაში, კიდევ ედვარდი დავინახე, ის საოცრად გამოიურებოდა ღია ფერის კოსტუმში და ვარდების თაიგულით ხელში.

თავი გავიქნიე, ეს სცენა აშკარად რომელიღაც წიგნიდან მახსოვდა.

– საქმე იმაშია ედვარდ,-დავიწყე მე აკანკალებული ხმით,-რომ ჩემს წარმოდგენაში “ქორწინება” და “უსასრულობა” ერთმანეთს არ გულისხმობს და რადგან ჩვენ ეხლა ჩემს სამყაროში ვცხოვრობთ უნდა ვეცადოთ და დროსთან შესაფერისად მოვიქცეთ, ალბათ ხვდები რასაც ვგულისხმობ.

– მეორეს მხრივ,-შემეკამათა ის,-შენ მალე უკან მოიტოვებ დროს და ამიტომ არ მესმის, ამ კულტურის დღევანდელმა ტრადიციებმა რატომ უნდა იმოქმედონ შენს გადაწყვეტილებაზე.

– ტრადიციებს ვუღალატო?,-გამეცინა მე.

– ბელა, შენ არ ხარ ვალდებული დღესვე მითხრა კი ან არა, უბრალოდ კარგია, რომ ეხლა ვიცით ერთმანეთის აზრი.

– ანუ შენი პირობა..?

– ისევ ძალაშია, მე მესმის შენი ბელა, მაგრამ თუ გინდა, რომ მე შეგცვალო..

– ტამ, ტამ, ტატამ,-დავიწყე მე საქორწინო მარშის სიმღერა, მაგრამ არ გამომივიდა.

დრო ისევ სწრაფად გადიოდა.

იმ ღამეს სიზმრები არ მინახავს, შემდეგ გათენდა და სკოლის დამთავრება უკვე ცხვირწინ იყო, ძალიან ბევრი უნდა მესწავლა საგამოცდოდ, მაგრამ ვიცოდი, რომ ნახევარსაც ვერ მოვასწრებდი.

როცა სასაუზმოდ ჩავედი, ჩარლი უკვე აღარ იყო სახლში, მან გაზეთი დამიტოვა მაგიდაზე და გამახსენდა, რომ რაღაც მქონდა საყიდელი, იმედი მქონდა, რომ იქ ისევ იქნებოდა კონცერტის რეკლამა. იმ წამსვე მინდოდა გასართობ გვერდზე გადამეფურცლა, მაგრამ ჩემი ყურადღება პირველივე სათაურმა მიიპყრო.

“ სიეტლი შეშინებულია მკვლელობებით”

სტატიაში ეწერა:

“ უკვე ათი წელი გავიდა იმის შემდეგ, რაც სიეტლი სერიული მკვლელის გერი რიჯვეის სანადირო ადგილი იყო, ის 48 ქალის მკლველობაში იყო დამნაშავე.

ეხლა კი სიეტლი შეშინებულია იმით, რომ მანიაკზე ბევრად უარეს შემთხვევასთან აქვს საქმე.

პოლიცია არ თვლის, რომ ეს სერიული მკვლელია, ყოველშემთხვევაში ეხლა, მათ არ სჯერათ, რომ ადამიანს შეეძლო მსგავსი დანაშაულის ჩადენა, მარტო ბოლო სამი თვის განმავლობაში მან გაიტაცა და მოკლა 39 ადამიანი, თუ ამ ყველაფერში მხოლოდ ერთი ადამიანია დამნაშავე, მაშინ ის ყველაზე სასტიკი აღმოჩნდება აშშ-ს ისტორიაში.

პოლიციას აქვს ვერსია, რომ ამაში მთელი ბანდაა გაერთიანებული, ვერსიას მკველობების რაოდენობა და კიდევ ის ადასტურებს რომ არცერთი მსხვერპლი არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული.

ჯეკ მფატრავის და თედ ბანდის მსხვერპლები ჩვეულებრივ ჰგავდნენ ხოლმე ერთმანეთს გარეგნობით, რასით, წლოვანებით, ხოლო ამ ბანდის მიერ მოკლულები განსხვავდებიან ასაკით, დაწყებული თხუტმეტი წლის ამანდა რიდით, პენსიონერი ომარ ჯენკსონით დამთავრებული.

ისინი არ არჩევენ მსხვერპს, ეს უბრალოდ ხდება, მარტო იმიტომ რომ ვიღაცა მოკლან.

ყველა ნაპოვნი ცხედარი დამწვარია და მათ ამოსაცნობად კბილების შესახენ მონაცემები გახდა საჭირო, ყველა მათგანი ადვილად იქნა ნაპოვნი, მკვლელი არც ცდილობდა კვალის დამალვას.

ყველაზე საშინელი ის არის, რომ უმეტეს გვამებზე შეიმჩნევა ძალადობის კვალი, მათ რაღაც უზარმაზარი ძალის მიერ ძვლები აქვთ დატეხილი, ექსპერტების თქმით, მოტეხილობები სიკვდილამდე აქვთ მიღებული.

დანაშაულის ადგილზე არავითარი მტკიცებულებები არ არის ხოლმე და ჯერ არავის უნახავს გამტაცებლები, კიდევ ერთი ფაქტი ის არის, რომ აბსოლუტურად ყველა ადამიანი ღამით ქრებოდა.

პოლიციას არაფერი აქვს ხელჩასაჭიდი და ერთი რაღაც ყველასთვის ნათელია: რაღაც საშინელი დაეხეტება სიეტლის ქუჩებში”

ბოლო წინადადება სამჯერ წავიკითხე და ხელები ამიკანკალდა.

– ბელა?

ფიქრებში ვიყავი წასული, ამიტომ ედვარდის ხმამ მაიძულა პირი გამეღო გაკვირვებისგან და შემოვბრუნდი.

– შეგაშინე? მაპატიე, ვაკაკუნებდი..

– არა, არა,-ვთქვი მე სწრაფად, -ეს უკვე ნახე?

მის შუბლზე ნაოჭები გაჩნდა.

– დღევანდელი ახალი ამბები ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ ვიცოდი, რომ სიტუაცია გაუარესდებოდა, მოგვიწევს მალე რაღაც მოვიმოქმედოთ..

მისი სიტყვები არ მომეწონა, ვერ ვიტანდი, როცა რომელიმე მათგანს, თავის სიცოცლის რისკის ქვეშ ჩაგდება უწევდა, ამ ამბების ფონზე ვოლტურები სულაც აღარ მაშინებდნენ.

– ელისმა რა თქვა?

– ზუსტად ამაშია პრობლემა, ისე ვერაფერს ხედავს და ძალიან ნერვიულობს, შეიძლება კარგავდეს თავის ნიჭს.

– ასეთი რამე შესაძლებელია?

– ვინ იცის? ეს არავის გამოუკვლევია, მაგრამ მე ვფიქრობ რომ ასეთი რაღაცეები დროთა განმავლობაში უფრო უნდა ძლიერდებოდეს, გაიხსენე არო და ჯეინი.

– მაშინ რაშია საქმე?\

– არვიცი, ალბათ ეს წინასწარ არის გათვლილი, ამიტომ მოგვიწევს ბრმად ვიმოქმედოთ.

– არა..

– ძალიან გინდა დღეს სკოლაში წასვლა? რამოდენიმე დღე დარჩა გამოცდებამდე და არ მგონია, რომ რამე ახალს ახსნიან.

– ვფიქრობ, რომ ერთი დღე გავძლებ სკოლის გარეშე, რა გავაკეთოდ?

– ჯასპერს მინდა დაველაპარაკო.

კიდევ ჯასპერი, უცნაურია, კალენების ოჯახში ის ყოველთვის თავისთვის იყო, არასდროს არ ყოფილა ყურადღების ცენტრში, ჩემი დასკვნით ის მარტო ელისის გამო იყო იქ, ისევ დამაინტერესა, რას გულისხმობდა ედვადი, როცა მის გამოცდილებაზე ლაპარაკობდა, მე ხომ მხოლოდ ის ვიცოდი მასზე, რომ ელისმა იპოვა, რაღაც მიზეზით ედვარდი ყოველთვის გაურბოდა მის შესახებ შეკითხვებს და მეც არაფერს აღარ ვეკითხებოდი ქერა ჩაფიქრებულ ვამპირზე, რომელიც კინოვარსკვლავს გავდა.

როცა სახლამდე მივედით კარლაილი, ჯასპერი და ესმე ახალ ამბებს უყურებდნენ, ელისი კიბის ქვედა საფეხურზე იჯდა და ფიქრობდა, როცა შევედით ემეთი მხიარულად შემოგვეგება, მას არადროს არაფერი არ ანერვიულებდა.

– სალამი ედვარდ, სკოლას აცდენ ბელა?,-გაეცინა მას.

– ერთად ვაცდენთ,-შეახსენა ედვარდმა.

– მაგრამ ის პირველად არის საშუალო სკოლაში, შეიძლება რამე გამოტოვოს,- აგრძეებდა სიცილს ემეთი.

ედვარდმა იგნორირება გაუკეთა თავის საყვარელ ძმას და გაზეთი ესროლა კარლაილს.

– მთელი დღეა ამას გადმოსცემენ სნნ-ზე,-თქვა კარლაილმა.

– არ უნდა დავუშვათ, რომ ასე გაგრძელდეს.

– ეხლავე წავიდეთ,-თქვა ემეთმა,-ძალიან მოწყენილი ვარ.

საშინელი სისინი გაისმა ზევით სართულიდან, ეს როზალი იყო.

– ის ისეთი პესიმისტია,-ჩაიბურტყუნა ემეთმა.

– ადრე თუ გვიან მოგვიწევს წასვლა,-დაეთანხმა ედვარდი.

კიბის თავზე როზალი გამოჩნდა და ნელა ჩამოვიდა, მისი სახე არავითარ ემოციას არ გამოხატავდა.

– არ ვიცი როგორ მოვიქცეთ,-დაიწყო კარლაილმა,-ჩვენ მსგავს რაღაცეებში ჯერ არ მიგვიღია მონაწილეობა, ჩვენ ხომ ვოლტურები არ ვართ.

– არ მინდა, რომ ვოლტურები მოვიდნენ აქ, ამიტომ არ გვაქვს ბევრი დრო,-უთხრა ედვარდმა.

– ამდენი უდანაშაულო ხალხი სიეტლში,-თქვა ესმემ,-არ უნდა დავუშვათ მათი სიკვდილი.

– ვიცი,-თქვა კარლაილმა.

– ოჰ, ამაზე არ მიფიქრია, -თქვა ედვარდმა და ჯასპერს შეხედა,-მართალი ხარ, ამ შემთხვევაში გეგმები იცვლება.

მარტო მე არ შევხედე გაკვირვებულმა.

– მემგონი ჯობია, რომ ყველას აუხსნა,-მიმართა ედვარდმა ჯასპერს,-ნეტავ რა იყო ამის მიზეზი?

– რის წაკითხვას აპირებს შენს აზრებში?, -ჰკითხა ელისმა ჯასპერს,-რაზე ფიქრობ?

ჯასპერმა ყველას გადახედა და ჩემზე შეაჩერა მზერა.

– დაბნეული ხარ,-მითხრა მან ჩუმად.

ეს არ იყო შეკითხვა, მან მშვენივრად იცოდა რასაც ვგრძნობდი.

– ჩვენ ყველანი დაბნეულები ვართ,-ჩაიბურტყუნა ემეთმა.

– ბელამ უნდა გაიგოს, ეხლა ის ერთ-ერთი ჩვენგანია,-უთხრა ჯასპერმა.

მისმა სიტყვებმა გამაკვირვა, ჩემი დაბადების დღის შემდეგ თითქმის არ ვკონტაქტობდით, არც მეგონა, რომ ასე ფიქრობდა ჩემზე.

– რა იცი ჩემს შესახებ ბელა?,-მკითხა მან.

ემეთი სიცილით დაემხო დივანზე.

– ბევრი არაფერი.

ჯასპერმა ედვარდს შეხედა.

– იმედია ხვდები, რატომ არ მოუყევი ამის შესახებ,-უთხრა მას ედვარდმა, -მაგრამ მემგონი ეხლა დროა, რომ მოისმინოს.

ჯასპერმა თავი გაიქნია, შემდეგ სპილოსძვლისფერი სვიტერის სახელოები აიწია და ნათურასთან მივიდა, მან ხელი ახლოს მიწია მასთან და თითით მიმანიშდა იარაზე, რომელიც მთვარის ფორმის იყო, ერთ წამში მივხვდი რატომ იყო ის ჩემთვის ასეთი ნაცნობი.

–ოჰ, ჯასპერ,-ამოვთქვი მე,- მეც ხომ ზუსტად ასეთი მაქვს.

ხელი წინ გამოვწიე და კიდევ ერთხელ ვაჩვენე ჩემი იარა.

ჯასპერს გაიღიმა.

– მე ბევრი მაქვს ასეთი ბელა.

ჯასპერმა კიდევ უფრო მაღლა ასწია სახელოები და მე უამრავი მთვარის ფორმის იარა დავინახე, რომელიც ნაქარგივით იყო ერთმანეთზე გადახლართული და ბრჭყვიალებდა მის კანზე.

ისევ ჩემს საკუთარს შევხედე და გამახსენდა ის როგორ მივიღე, ჯეიმსის კბილები სამუდამოდ იყო აღბეჭდილი ჩემს ხელზე.

აქ პირი გავაღე გაკვირვებისგან, მივაშტერდი მას და ვკითხე.

– ჯასპერ, რა დაგემართა?

თავი 13

ახალშობილი

– ზუსტად ის რაც შენ დაგემართა ხელზე, ოღონდ ეს ათასჯერ განმეორდა,-ჩუმად მითხრა ჯასპერმა.

მან დამწუხრებულმა შეხედა თავის იარებს.

– ჩვენი შხამი ერთადერთია, რაც კვალს ტოვებს ვამპირის კანზე,-დაამატა მან.

– რატომ?,-წარმოვსთქვი მე გაგიჟებულმა და ვერაფრით ვწყვიტანდი თვალს მის დასახიჩრებულ კანს.

– ჩემი და-ძმებისგან განსხვავებით, მე სხვანაირად აღმზარდეს, ჩემი დასაწყისი სხვანაირი იყო,-თქვა მან ოდნავ უხეშად.

მე გავფითრდი.

– სანამ ჩემს ისტორიას მოგიყვები ბელა, მინდა იცოდე, რომ არსებობს ადგილები ამ სამყაროში, სადაც უკვდავების ცხოვრება კვირები გრძელდება და არა საუკუნეები.

ყველა დანარჩენს ეს უკვე მოსმენილი ჰქონდა, კარლაილი და ემეთი ტელევიზორს მიუბრუნდნენ, ელისი ესმეს ფეხებთან დაჯდა ხალიჩაზე, მაგრამ ედვარდი ისევე როგორც მე ყურადღებით უსმენდა მას, თან ჩემს სახეს აკვირდებოდა, რომ ჩემი განცდები დაენახა.

– იმისთვის, რომ მიზეზი გაიგო, ყველაფერს სხვა თვალით უნდა შეხედო, შენ უნდა წარმოიდგინო, როგორ აღიქვამენ ამ სამყაროს ძუნწი და ძლიერი არსებები.

– არის ადგილები დედამიწაზე, რომელიც ჩვენთვის უფრო მომხიბვლელია, სადაც შეგვიძლია თავი არ შევიკავოთ.

– წარმოიდგინე დასავლეთი ნახევარსფეროს რუქა, ადამიანის სიცოცხლეს იქ პატარა წითელი წერტილი აღნიშნავს და რაც მეტია ასეთი წერტილები მით უფრო ადვილია ჩვენთვის გამოკვება, ისე რომ ყურადღება არ მივიქციოთ.

გამაჟრიალა, მაგრამ ჯასპერი ედვარდისგან განსხვავებით სულაც არ მიფრთხილდებოდა, ამიტომ აგრძელებდა.

– ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამხრეთში განიცდიან, იქცევენ თუ არა ყურადღებას, ვოლტურები აჩერებენ მათ, მხოლოდ მათი ეშინიათ სამხრეთის ოჯახებს.

არ მომეწონა რომ ისინი ასეთი მოწიწებით და მადლიერებით ახსენა, ძალიან მიჭირდა ვოლტურების დადებითად აღქმა.

– ჩრდილოეთი სამხრეთთან შედარებით ძალიან ცივილიზებულია, ჩვენ თითქმის ყველა მომთაბარეები ვართ, დღეც გვიხარია და ღამეც, ჩვენ ხალხს ვეკონტაქტებით, რომ მათ ეჭვი არ გაუჩნდეთ.

– სამხრეთში სულ სხვა სამყაროა, იქ უკვდავები მხოლოდ ღამით გამოდიან, ღამე ისინი გეგმებს აწყობენ, ელოდებიან რომელ ნაბიჯს გადადგავს მტერი, ამიტომ სამხრეთში სულ ომი იყო, გაუჩერებელი, რომელიც უკვე საუკუნეებია გრძელდება.

ადამიანები მათთვის არაფერს წარმოადგენენ.

– მაგრამ რაზე იბრძოდნენ?,-ვკითხე მე.

ჯასპერს გაეღიმა.

– გახსოვს რუქა წითელი წერტილებით?

თავი დაუქნიე.

– ისინი ადგილების კონტროლისთვის იბრძოდნენ, იმ ადგილების სადაც უფრო მეტი ხალხია. ვიღაცას ყოველთვის აწუხებდა აზრი, რომ ის ერთადერთი ვამპირი იქნება, მაგალითად მექსიკაში, მაშინ ის შეძლებს რამდენიც უნდა იმდენი დახოცოს და ამას ვერავინ შეამჩნევს, ის კონკურენტების მოშორებას ფიქრობდა, სხვებსაც იგივე აზრები ჰქონდათ და მათი ტაქტიკაც უკეთესი იყო.

– ყველაზე ეფექტური ტაქტიკა გამოიგონა ახალგაზრდა ვამპირმა, რომელსაც ბენიტო ერქვა, პირველად მის შესახებ მაშინ გაიგეს, როცა მან ჰიუსტონთან ახლოს ორი პატარა ოჯახი გაანადგურა, ორი ღამის შემდეგ მან უფრო ძლიერი კლანი გამოიძახა საბრძოლველად, რომლებიც მექსიკის ჩრდილოეთით ბატონობდნენ და ისინიც დაამარცხა.

– როგორ მოიგო?-დავინტერესდი მე.

– ბენიტომ ახალშობილი ვამპირების ჯარი შექმნა, მან პირველად მოიფიქრა ეს და თავიდან ის დაუმარცხებელი იყო, ძალიან ახალგაზრდა ვამპირები არ ექვემდებარებიან კონტროლს, ერთ ასეთ ვამპირს კიდევ შეიძლება რამე ასწავლო, მაგრამ როცა ასეთი ათი და თხუტმეტია, ეს საშინელებაა, ისინი ნებისმიერს ეცემიან ვისაც მიუთითებ, ერთმანეთსაც კი, ამიტომ ბენიტოს მათი შექმნა სულ ხელახლა უწევდა, რადგან ძველები ერთმანეთს ხოცავდნენ.

– იმის მიუხედვად, რომ ახალშობილები საშიშები არიან, მათი დამარცხებაც შეიძლება, თუ გეცოდინება ეს როგორ გააკეთო. ისინი წარმოუდგენლად ძლიერები არიან ფიზიკურად, მაგრამ თავიანთი ინსტინქტების სხვერპლნი არიან და მათი ქმედებების გათვლა ადვილია, მათ არ აქვთ ბრძოლის გამოცდილება და მხოლოდ ძალის ხარჯზე იბრძვიან.

– სამხრეთ მექსიკის ვამპირები მიხვდნენ რაც ელოდათ, ამიტომ მათ ის გააკეთეს რაც მოაფიქრდათ და თავიანთი ჯარები შექმნეს.

– და აქ დაიწყო ნამდვილი ჯოჯოხეთი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ეს იმაზე უარესია, ვიდრე შეგიძლია ამის წარმოდგენა, ჩვენ უკვდავებსაც გვაქვს ისტორია და ამ ომს ალბათ ვერასდროს დავივიწყებთ, მაშინ მექსიკაში ნამდვილად არ იყო კარგი დრო იმათთვის, ვინც ადამიანი იყო.

გავფითრდი.

– როდესაც მოკლულების რაოდენობამ პიკს მიაღწია ვოლტურები ჩაერივნენ, მათ მთელი გვარდია ჩამოიყვანეს და ყველა ახალდაბადებული მოძებნეს მექსიკაში, მაგრამ პირველი რა თქმა უნდა ბენიტო იყო.

– ყველას ანადგურებდნენ, ვინც კი ოდნავ იყო ახალშობილი ვამპირების შექმნაში გარეული და ამიტომ მექსიკა რაღაც პერიოდი მთლიანად გაწმენდილი იყო ვამპირებისგან.

– ვოლტურები თითქმის ერთი წელი “ალაგებდნენ”, ეს ჩვენი ისტორიის მეორე თავია, რომელიც ასევე არასდროს დაგვავიწყდება, თუმცა ამის მოწმე მხოლოდ რამოდენიმე დარჩა, მე ერთ-ერთთან მქონდა კავშირი და მან მომიყვა თუ რა ხდებოდა ვოლტურების ჩასვლისას კულიაკანში.

ჯასპერს სახე შეეცვალა და მივხვდი, რომ ადრე არასდროს მინახავს შეშინებული, ეს პირველად იყო.

– ეს საკმარისი იყო, რომ დაპყრობის ციებცხელება სამხრეთიდან აღარ გავრცელებულიყო, სამყაროს დანარჩენმა ნაწილმა შეინარჩუნა საღი გონება, ჩვენ ნამდვილად უნდა ვუმადლოდეთ ვოლტურებს, რომ ცოცხლები ვართ.

– მაგრამ როცა ვოლტურები იტალიაში დაბრუნდნენ, გადარჩენილმა ვამპირებმა ისევ გაინაწილეს სამხრეთი.

– დიდი დრო არც იყო გასული, როცა ოჯახებს შორის ისევ დაიწყო გაუგებრობა, ახალშობილების იდეა არავის დავიწყებია და თავი ვერ შეიკავეს, თუმცა ვოლტურები ახსოვდათ, ამიტომ ჩრდილოეთის ოჯახები ამჯერად უფრო ფრთხილობდნენ, ახალშობილების შექმნისთვის განსაკუთრებულ ადამიანებს არჩევდნენ და უკვე მეტ დროს უთმობდნენ მათ წვრთნას, ამას ძალიან ჩუმად და დამალულად აკეთებდნენ და ვოლტურებს არ აძლევდნენ საბაბს დაბრუნებისთვის.

– ომი ისევ დაიწყო, მაგრამ ის არ იყო ისეთი მაშტაბური, ადრე თუ გვიან ვიღაცა ღრმად შეტოპავდა და ვოლტურები ისევ დაბრუნდებოდნენ ქალაქის დასასუფთავებლად.

ჯასპერი ერთ წერტილს მიაშტერდა.

– ასე მოხდა შენი შეცვლა?,-ჩურჩულით ვკითხე მე.

– დიახ,-მითხრა მან, - როცა ადამიანი ვიყავი ჰიუსტონში ვცხოვრობდი, ტეხასის შტატში, 1861 წელს, როცა ჩვიდმეტის გავხდი შემმოწმებელი კომისია მოვატყუე, რომ ოცის ვიყავი და კომფედერაციის ჯარს შევუერთდი, საკმაოდ მაღალი ვიყავი და ამიტომ დამიჯერეს.

– ჩემი ჯარისკაცის კარიერა დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ყველა დიდ წარმატებებს მიწინასწარმეტყველებდა, ხალხს ვუყვარდი და უსმენდნენ იმას რასაც ვეუბნეოდი, მამაჩემი მეუბნეოდა, რომ ამას ქარიზმა ერქვა, მაგრამ ეხლა უკვე ვიცი, რომ ეს რაღაც მეტი იყო, ყოველგვარი მიზეზის გარეშე მაწინაურებდნენ და იმათზე წინ მაყენებდნენ, ვინც ჩემზე უფროსი და გამოცდილი იყო. კონფედერაციის ჯარი ახალი იყო და მათ ის ადმიანები სჭირდებოდათ, ვინც ორგანიზატორული ნიჭით გამოიჩეოდა, ეს კი ახალ საშუალებას წარმოადგენდა. პირველ ბრძოლაში გამვესტონთან, მე ყველაზე ახალგაზრდა ოფიცერი ვიყავი, რეალური ასაკი გათვალისწინების გარეშეც.

– ევაკუაციის ჯგუფს ვხელმძღვანელობდი, მე უნდა მეზრუნა ქალების და ბავშვების ქალაქიდან გამოყვანაზე. მათი ევაკუაციისთვის მომზადება არ იყო რთული, როგორც კი ერთი ჯგუფი შეიკრა მე მათ გავყევი, რომ ჰიუსტონამდე ჩემეყვანა.

– ის ღამე ძალიან კარგად დამამახსოვრდა.

– ქალაქს რომ მივაღწიეთ უკვე ბნელოდა, მე იქამდე დავრჩი, სანამ ხალხი კარგად დაბინავდა, როცა ყველაფერი მზად იყო ახალგაზრდა ცხენი ავიღე და უკან გავწიე გალვესტონისკენ, დასვენების დრო ნამდვილად არ იყო.

– ქალაქიდან სამ კილომეტრში სამი ქალი დავინახე, რომლებიც ფეხით მოდიოდნენ, ვიფიქრე, რომ ისინი ჩვენ ჩამოგვრჩნენ და ცხენიდან ჩამოვედი, რომ დახმარება შემეთავაზებინა, მაგრამ როცა მთვარის შუქზე მათი სახეები გავარჩიე, უბრალოდ გავშეშდი, ისინი ყველაზე ლამაზი ქალები იყვნენ იმათ შორის ვინც იქამდე მყავდა ნანახი.

– მათ ისეთი ფერკმრთალი კანი ჰქონდათ, მახსოვს როგორ მოვიხიბლე ამით, პატარა შავთმიანი გოგონაც კი, რომელიც აშკარად მექსიკელი იყო, თეთრად ანათებდა მთვარის შუქზე, უკვე ვიცოდი, რომ ისინი კოლონიიდან არ იყვნენ, ასეთი ქალები, რომ მენახა მათ დავიმახსოვრებდი.

– მემგონი დამუნჯდა,-თქვა ყველაზე მაღალმა გოგონამ წვრილი ლამაზი ხმით, ამ ხმამ ზარები გამახსენა, მისი თმა ოქროსფერი იყო და კანი თოვლივით თეთრი.

– ჰმ,-ამოისუნთქმა მეორემ, მისი სახე ანგელოზისას ჰგავდა.

– ყურადღება მოიკრიბე ნეტი,-უთხრა მას მესამემ, შავგვრემანმა პატარა გოგონამ მელოდიური ხმით.

– ყოველთვის კარგად ვგრძნობდი ადამიანებს შორის დამოკიდებულებას და უკვე გასაგები იყო, რომ მექსიკელი გოგონა მთავარი იყო მათ შორის, მებრძოლები, რომ ყოფილიყვნენ, ვიტყოდი, რომ წოდებით მაღლა იდგა.

– ის ახალგაზრდა, ძლიერი ოფიცერია,– თქვა მან ჩემზე,- და არის კიდევ რაღაც მასში, გრძნობთ? ის საცრად მიმზიდველია.

– ოჰ, კი, -დაეთანხმა ნეტი და ჩემსკენ გადმოიხარა.

– მოთმინება,- შეახსენა შავგვრემნმა,- მინდა, რომ დავიტოვო.

ნეტი გაღიზიანებული ჩანდა.

– ჯობია ეს შენ გააკეთო მარია,- ისევ დაილაპარაკა მაღალმა,- თუ ის მნიშვნელოვანია შენთვის, მე მათი მოკვლა უფრო გამომდის, ვიდრე შენარჩუნება.

– კი, ამას გავაკეთებ,-დაეთანხმა მარია,-ეს მართლა მომწონს, ნეტი შორს გაიყვანე კარგი? არ მინდა დაცვაზე გამეფანტოს ყურადღება სანამ მოკრებას ვცდილობ.

– იმის მიუხედავად, რომ არ ვიცოდი რაზე ლაპარაკობდნენ ეს შვენიერი ქმნილებები ძალიან შემეშინდა, ჩემი ინსტინქტები მაფრთხილებდნენ საშიშროებაზე, ისინი მართლა აპირებდნენ იმას რასაც ამბობდნენ, მაგრამ მე ქალების დაცვას მასწავლიდნენ და არა მათ შიშს.

– წამოდი ვინადიროდ,-თქვა ნეტიმ მხიარულად და მაღალ ქალს გაუწოდა ხელი, ისინი გრაციოზულად შებრუნდნენ და ქალაქისკენ გაემართნენ, იმდენად

სწრაფად მოძრაობდნენ, რომ მეგონა მიფრინავდნენ, მათი თეთრი კაბები ფრთებივით ფრიალებდა, გაოგნებული ვადევნებდი თვალს.

– რა გქვია ჯარისკაცო?,-მკითხა მარიამ.

– მაიორი ჯასპერ ვიტლოკი, მემ, -ვთქვი მე სლოკინით, არ შემეძლო ქალთან უხეშობა, იმის მიუხედავად, რომ ის აშკარად მოჩვენება იყო.

– მე მართლა მჯერა, რომ გადარჩები ჯასპერ,-მითხრა მან ნაზი ხმით,- კარგი წინათგრძნობა მაქვს.

– მარია ერთი ნაბიჯით მომიახლოვდა და თავი დახარა, თითქოს ჩემს კოცნას აპირებდა, ადგილზე გავიყინე, ყველა ჩემი ინსტინქტი მეუბნეოდა, რომ უნდა გავქცეულიყავი.

ჯასპერმა პაუზა გააკეთა, მისი გამომეტყველება ჩაფიქრებული გახდა.

– რამოდენიმე დღის შემდეგ, - როგორც იქნა გააგრძელა მან და მე ვიცოდი, რომ ეს ნაწილი ჩემს გამო გამოტოვა, - მე ჩემი ახალი ცხოვრება გამაცნეს.

– მათ მარია, ნეტი და ლუსი ერქვათ, ერთად სულ ცოტახანია რაც იყვნენ, მარიამ ორი დანარჩენი იპოვა, ისინი ბრძოლის შემდეგ იყვნენ გადარჩენილები, მათი

პარტნიორობა სამივესთვის მომგებიანი იყო, მარიას შურისძიება და თავისი ტერიტორიის დაბრუნება უნდოდა, დანარჩენებს საკუთარის გაფართოება. ისინი ჯარს აგროვებდნენ და ამას საკმაოდ ფრთილად აკეთებდნენ, იდეა მარიას ეკუთვნოდა, მას ძლიერი ჯარი უნდოდა, ამიტომ ის განსაკუთრებულ ხალხს ეძებდა, იმათ ვისაც პოტენციალი ჰქონდათ, ის ბრძოლას გვასწავლიდა, როცა კარგად ვსწავლობდით, გვასაჩუქრებდა.

ჯასპერი ისევ გაჩუმდა, ალბათ ისევ რაღაც გამოტოვა.

– მარია ჩქარობდა, მას უნდოდა მანამდე გვემოქმედა სანამ ჩვენი, ახალშობილების ძალა არ შემცირდებოდა.

– როცა მე მარიას ჯგუფს შევუერთდი ისინი ექვსნი იყვნენ, ორ კვირაში მან კიდევ ოთხი მოიყვანა, ყველანი მამაკაცები ვიყავით, იმიტომ, რომ მარიას ჯარისკაცები უნდოდა, თუმცა ამის გამო უფრო რთული იყო ერთმანეთს შორის ბრძოლის აცილება, მე ყველაზე სწრაფი და ძლიერი ვიყავი მათ შორის, ის კმაყოფილი იყო ჩემით და ხშირად მაჯილდოვებდა.

– მარია კარგი ფსიქოლოგი იყო, მან მე უფროსად დამნიშნა, ზუსტად ჩემს სტიქიაში ვიყავი, დანაკლისები შემცირდა და მალე ჩვენმა რიცხვმა ოცს მიაღწია.

– მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი ჩემი დამშვიდების ნიჭის შესახებ, მაგრამ ის მაინც გვეხმარებოდა, ჩვენ შეთანხმებულად ვმოქმედებდით, ისე, როგორც მანამდე არასდროს უმოქმედიათ ახალშობილებს.

– მარიას სიმპატია ჩემს მიმართ იზრდებოდა, ის ჩემზე დამოკიდებული გახდა და მეც აღფრთოვანებული ვიყავი მისით, ვერც კი წარმომედგინა, რომ სხვანაირად ცხოვრება შეიძლებოდა, ის გვეუბნეოდა, რომ ყველაფერი ასე უნდა ყოფილიყო და ჩვენც გვჯეროდა.

– მან მთხოვა მეთქვა, როდის ვიქნებოდით მე და ჩემი აღზრდილები მზად საბრძოლველად, ერთი სული მქონდა, როდის გამოვამჟღავნებდი ჩემს შესაძლებლობებს, ერთად შევკრიბე ოცდასამ კაციანი ახალშობილთა ჯარი და ის ძალიან კმაყოფილი იყო.

– ჩვენ ქალაქ მონტერეასთან მივედით, სადაც ის ერთ დროს ცხოვრობდა და მან მტერთან საბრძოლველად გაგვიშვა. მტერი რიცხვობრივად საკმაოდ ჩამოგვრჩებოდა და მისი დამარცხება საკმაოდ ადვილი იყო, ჩვენ მხოლოდ ოთხი ახალშობილი დავკარგეთ, რაც სულაც არ იყო ბევრი.

– საკმაოდ ჭკვიანები ვიყავით და ყველაფერი ყურადღების მიქცევის გარეშე გავაკეთეთ, მმართველობა ქალაქში ისე შეიცვალა, რომ ვერავინ გაიგო.

– წარმატებამ გააგიჟა მარია და საკმაოდ ცოტა ხნის შემდეგ მან სხვა ქალაქების მმართველობაც მოინდომა, ერთ წელიწადში მან შეძლო ჩრდილოეთ მექსიკაზე და

ნახევარ ტეხასზე გაევრცელებინა კონტროლი, ამის შემდეგ სხვები მოვიდნენ სამხრეთიდან რომ შური ეძიათ.

ჯასპერმა ისევ თავის იარებს შეხედა.

– ბრძოლები დაძაბული იყო, ბევრი ნერვიულობდა, რომ ვოლტურები ისევ დაბრუნდებოდნენ, ოცდასამი ვამპირიდან მე ერთადერთი ვიყავი ვინც თვრამეტი თვე გაძლო, ჩვენ ერთდროულად წავაგეთ და მოვიგეთ, ნეტიმ და ლუსიმ ზურგი შეაქციეს მარიას, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიგეთ ბრძოლა.

– მე და მარიას თავისუფლად შეგვეძლო მონტერეის გაკონტროლება, ყველაფერი ოდნავ მიჩუმდა, მაგრამ ბრძოლები მაინც გრძელდებოდა, ბევრმა ჩვენთაგანმა თანაშემწეები დაკარგა და ამას ჩვენი ჯიში არ პატიობს.

– ჩვენ მაინც გვყავდა ყოველიშემთხვევისთვის ოცამდე ახალშობილი, ისინი ჩვენთვის არაფერს ნიშნავდნენ, მათ მარტო საბრძოლველად ვიყენებდით, როდესაც ისინი ძალას კარგავდნენ, უბრალოდ ვანადგურებდით, წლები გადიოდა და ყველაფერი ზუსტად ასე გრძელდებოდა, ვატყობდი, რომ ეს აღარ მინდოდა.

– რამოდენიმე ათასწლეულის შემდეგ ერთ ახალშობილს დავუმეგობრდი, რომელმაც, ჩემდა გასაკვირად შეძლო გადარჩენა, მას პიტერი ერქვა, ის ასე ვთქვათ, ძალიან ცივილიზებული იყო, ბრძოლა არ მოსწონდა, თუმცა ეს საკმაოდ კარგად გამოსდიოდა.

– მისი სამუშაო სხვა ახალშობილების გაწვრთნა იყო. შემდეგ ისევ გაწმენდის დრო მოვიდა, იმიტომ რომ ბევრი ახალშობილი აღარ ვარგოდა საბრძოლველად, სწორედ პიტერი უნდა მომხმარებოდა მათ მოშორებაში, ჩვენ თითო-თითო გაგვყავდა გვერდზე და ეს მთელ ღამეს გრძელდებოდა ხოლმე. ამჯერად ის მიმტკიცებდა, რომ რამოდენიმე მათგანს კიდევ ჰქონდა პოტენციალი, მაგრამ მარიას ბრძანება ყველას მოშორება იყო ამიტომ ვუპასუხე-არა.

– უკვე შუაში ვიყავით, როცა ვიგრძენი, რომ ეს ძლიან რთული იყო მისთვის, უკვე იმას ვფიქრობდი რომ უკან გამეშვა და მე დამემთავრებინა საქმე, უცებ ის განრისხდა, ვერ მივხვდი რა იყო ამის მიზეზი.

– შემდეგი ქალი იყო, მას შარლოტა ერქვა და მან წელიწადი გაძლო, როცა ის შემოვიდა, პიტერი თითქოს შეიშალა, ის უყვიროდა ქალს რომ გაქცეულიყო, შემდეგ თვითონაც გაჰყვა, შემეძლო მათ დავწეოდი, მაგრამ ეს არ გავაკეთე, პიტერის მოკლვლა არ შემეძლო.

  მარია ძალიან იყო ჩემზე გაბრაზებული.

– რამოდენიმე წლის შემდეგ პიტერმა მომაკითხა, მან საკმაოდ კარგი დრო შეარჩია ვიზიტისთვის.

– მარია უკვე დიდიხანია ამჩნევდა ჩემს ცუდ განწყობას, როცა ის ჩემს გვერდით იყო უბრალოდ მეშინოდა, მე უკვე იმ აზრს ვეგუებოდი, რომ ჩემი ერთადერთი მოკავშირის, შემქმნელის მოკვლა მომიწევდა, როცა უცაბედად პიტერი დაბრუნდა.

– პიტერმა მომიყვა თავის ახალ ცხოვრებაზე შარლოტასთან ერთად, ახალ შესაძლებლობებზე, რომელზეც წარმოდგენაც არ მქონდა. ხუთი წლის განმავლობაში ისინი არავის შებრძოლებიან, თავის მსგავსები იპოვეს ჩრდილოეთში და მშვიდად ცხოვრობდნენ.

– ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთი ჩვენი საუბრის დროს მან დამარწმუნა, წასვლა გადავწყვიტე და ამან დამამშვიდა, რადგან მარიას მოკვლა აღარ მომიწევდა, მე წავედი მისგან და ეს არასდროს მინანია.

– საკმაოდ დიდხანს ვმოგზაურობდი პიტერთან და შარლოტასთან ერთად და ამ ახალ სამყაროს შევიგრძნობდი, მაგრამ ჩემი დეპრესია არ გაქრა, ვერ ვხვდებოდი რა მჭირდა, სანამ პიტერმა არ შეამჩნია, რომ სულ ასე მემართებოდა ნადირობის შემდეგ.

– დავფიქრდი ამაზე, მრავალწლიანი ბრძოლების შემდეგ მე თითქმის დავხარჯე მთელი ჩემი ადამიანობა, მე ყველაზე საშინელი ღამის კოშმარი ვიყავი და როცა ახალ მსხვერპლს ვპოულობდი მაშინვე ვგრძნობდი იმ ძველი საშინელი ცხოვრების ნარჩენებს, მე ხომ ჩემი მსხვერპლისთვის ისეთივე ლამაზი ვიყავი, როგორც ჩემთვის იყო მარია იმ ღამეს, როცა ჯერ კიდევ ჯასპერ ვიტლოკი ვიყავი, მე თვითოეულის გრძნობები მესმოდა და მათ განცდებს ვგრძნობდი, როცა ვკლავდი.

– შენ უკვე დაინახე, როგორ შემიძლია გარშემომყოფთა გრძნობებით მანიპულირება ბელა, მაგრამ მე მაინტერესებს ხვდები თუ არა შენ რამდენად მოქმედებს ჩემზე ეს გრძნობები, ყოველდღე ემოციების კლიმატში ვცხოვრობ. ბევრად უკეთესად ვგრძნობდი თავს მარიასგან წამოსვლის შემდეგ, მაგრამ ეხლა ჩემი მსხვერპლის შიშს ვგრძნობდი, ეს უკვე მეტისმეტი იყო.

– დეპრესია სულ უფრო ძლიერი ხდებოდა და მე მარტო გადავწყვიტე მოგზაურობა, ისინი ვერ გრძნობდნენ იმას რასაც მე, მათ უბრალოდ ბრძოლისგან დასვენება უნდოდათ, მე კი დაღლილი ვიყავი მკვლელობებით და ადამიანის მოკლვლაც აღარ შემეძლო.

– სხვა გზა არ მქონდა და მაინც მიწევდა მოკვლა, ჩემი წყურვილი ჩემზე მაღლა იდგა, მხოლოდ საუკუნის შემდეგ შევძელი თავის კონტროლის სწავლა და ის ეხლაც კი მიჭირს.

ჯასპერი დაიკარგა თავის ისტორიაში ისევე, როგორ მე და გამიკვირდა როცა მისი მოწყენილი სახე ღიმილმა გაანათა.

– ფილადელფიაში ვიყავი,-გააგრძელა მან,-შტორმი იყო, შემეძლო დღისითაც გავსულიყავი გარეთ, მაგრამ რაღაც მაწუხებდა, ვხვდებოდი, რომ ყურადღებას

მივიქცევდი ასე უბრალოდ რომ გავსულიყავი კოკისპირულ წვიმაში და ამიტომ ნახევრად ცარიელ სასადილოში შევედი, ჩემი თვალები საკმაოდ შავი იყო, რომ არავის მიექცია ყურადღება, მშიერი ვიყავი, მაგრამ ეს არ მადარდებდა.

– ის იქ იყო და მე მელოდებოდა,-თქვა მან და ელისს შეხედა,-ის მაღალი სკამიდან ჩამოხტა და პირდაპირ ჩემსკენ მოვიდა.

– ძალიან დიდხანს მალოდინე,-მითხრა მან.

ვერც კი დავინახე როდის მომიჯდა გვერდზე ელისი.

– და შენ თავი დახარე, როგორც კეთილშობილმა ჯელტმენმა და მითხარი: -უკაცრავად მემ.

ელისს გაეცინა, როცა გაახსენდა.

– შენ ხელი გამომიწოდე,-აგრძელებდა ჯასპერი,- და მეც უსიტყვოდ გამოგყევი, პირველად ვიგრძენი, რომ იმედი მქონდა.

ჯასპერი ელისს მიუახლოვდა და ხელი ჩასჭიდა.

– იცი მაშინ შვებით ამოვისუნთქე, მეგონა რომ არასდროს გამოჩნდებოდი,-უთხრა მან ჯასპერს.

ისინი დიდხანს უყურებდნენ ერთმანეთს ღიმილით, ბოლოს ჯასპერი მომიბრუნდა.

– ელისმა მომიყვა, რომ ხილვა ჰქონდა კარლაილზე და მის ოჯახზე, ვერც კი წარმომედგინა რომ ასეც შეიძლებოდა არსებობა, მაგრამ მან მაიძულა დამეჯერებინა და ჩვენ მათ საძებრად გავემართეთ.

– და საკმაოდ შეგვაშინეთ,-უთხრა ედვარდმა და შემდეგ მე მომიბრუნდა, რომ აეხსნა,- მე და ემეთი ვნადირობდით, ამ დროს ჯასპერი გამოჩნდა, რომელიც სულ დაფარული იყო იარებით და თან რაღაც პატარა საოცარი არსება მოჰყავდა, რომელმაც ყველაფერი იცოდა ჩვენზე და უკვე ის აინტერესებდა, რომელ ოთახში დაბინავდებოდა.

ედვარდს გაეცინა ამ მოგონებაზე და იდაყვი მიარტყა ელისს.

ელისმა და ჯასპერმა ერთდროულად გადაიხარხარეს.

– სახლში, რომ დავბრუნდი ყველა ჩემი ნივთი უკვე ფარეხში იყო,-გააგრძელა ედვარდმა.

– შენი ფანჯრიდან უკეთესი ხედი იყო,-მხრები აიჩეჩა ელისმა.

ეხლა უკვე ყველა იცინოდა.

– ეს კარგი ისტორიაა,-ვთქვი მე.

ექვსივემ გაოგნებულმა შემომხედა.

– ნუ მე ბოლო ნაწილს ვგულისხმობ, მან ხომ ელისი იპოვა.

– ელისმა ყველაფერი შეცვალა,-დამეთანხმა ჯასპერი.

სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა.

– ჯარი,-ჩურჩულით თქვა ელისმა,-ადრე რატომ არ მითხარი?

– ვიფიქრე, რომ შეცდომით გავიგე ყველაფერი, ამისთვის არავითარი მოტივი არ არსებობს, ვის უნდა დასჭირვებოდა სიეტლში მათი შექმნა? ამაში ვერანაირ აზრს ვერ ვხედავ, იქ არავინ არის ისეთი ვისთანაც ბრძოლაა საჭირო, ვისაც არ უნდა შეექმნა ისინი, უკვე მიატოვა, ძალიან მიკვირს რომ ვოლტურები არ ერევიან.
მაგრამ ერთში დარწმუნებული ვარ, იქ თითქმის ოცამდე ახალშობილია და ისინი გაუწვრთნელები არიან.

– რისი გაკეთება შეგვიძლია?-ჰკითხა კარლაილმა.

– თუ ვოლტურების ჩამოსვლის აცილება გვინდა, მაშინ ისინი ჩვენ უნდა გავანადგუროდ და ამის გაკეთება მალევე მოგვიწევს, ალბათ მათი ქალაქიდან გამოტყუება გახდება საჭირო.

– იქნებ არ მოგვიწევს ამის გაკეთება,-თქვა ედვარდმა,-ნუთუ არავის მოგსვლიათ აზრად, რომ ისინი ზუსტად ჩვენთვის არიან შექმნილები.

ჯასპერს და კარლაილს თვალები გაუფართოვდათ.

– ტანიას ოჯახიც ჩვენს გვერდით იქნება,-თქვა ესმემ, მას არ უნდოდა ედვარდის თეორიის დაჯერება.

– ისინი არ მოსულან ჩვენთვის,-ჩაერია ელისი,- ან შეიძლება ჯერ არც იციან რომ მოვლენ..

– რა მოხდა? რა დაინახე?- ჰკითხა ედვარდმა.

– არაფერი კონკრეტული, რაღაც პატარა აფეთქებები, ვერ ვხედავ ნათელ სურათს, მე მარტო იმას ვხვდები, რომ ვიღაც მოქმედებს მათ გადაწყვეტილებებზე იმდენად სწრაფად, რომ მე ვერ ვასწრებ ამის დანახვას.

– ჯერ ვერ წყვიტავენ?,-იკითხა ჯასპერმა.

– არ ვიცი.

– ვიღაცამ იცის, რომ შენ ვერ დაინახავ ვერაფერს, სანამ ზუსტ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ,- თქვა ედვარდმა გაცეცხლებულმა,-ვიღაც თამაშობს შენი ხილვებით.

– ეს ვინ უნდა იცოდეს?

– არომ! ის ისევე კარგად გიცნობს, როგორც შენ იცნობ შენს თავს.

– მაგრამ მე ხომ მაინც დავინახავ, როცა მოსვლას გადაწყვიტავენ.

– დარწმუნებული ვარ ისინი ვოლტურებმა გამოგზავნეს, სწორედ ამიტომ არ ჩანან ამდენ ხანს,- პირველად დაილაპარაკა როზალიმ.

– მაგრამ, რატომ?- იკითხა კარლაიმა.

– არის მიზეზები,-მშვიდად თქვა ედვარდმა,-ოცნებებში არო ყოველთვის გვხედავდა მე და ელისს თავის გვერდით, ამის განხორციელების იდეამ გონება დაუბინდა, ეს დიდი ხანია რაც უნდა და დიდხანს არ იტყვის უარს ამ ოცნებაზე, მას ასევე ეშინია ჩვენი, რადგან ჩვენი ოჯახი ძლიერდება და უფრო დიდი ხდება, მას შურს შენი, კარლაილ, იმიტომ რომ შენ ყველაფერი გაქვს რაც მას უნდოდა, არო ცდილობდა ამაზე არ ეფიქრა, მაგრამ ჩემგან მაინც ვერ დამალა, მაინც გავიგონე.

გაოგნებული მივაშტერდი ედვარდს, მას ამაზე არასდროს მოუყოლია, ვერ ვხვდებოდი ეს რატომ დამიმალა, უცებ წარმოვიდგინე ის და ელისი შავ მოსასხამებში აროს გვერდით.

– მაგრამ ისინი ხომ ვერ დაარღვევენ საკუთარ კანონებს?-აგრძელებდა კარლაილი,- ეს ყველაფერს ეწინააღმდეგება რაც აქამდე გაუკეთებიათ.

– ამითი მათ რეპუტაცია არ შეელახებათ,-უთხრა ცივად ედვარდმა.

ჯასპერმა თავი გაიქნია.

– კარლაილი მართალია, ვოლტურები არ დაარღვევენ კანონებს, დარწმუნებული ვარ რომ ეს ახალშობილები არიან, რომელთაც ჯერ არ იციან რა უნდა გააკეთონ, არ მჯერა რომ ვოლტურებს რამე კავშირი აქვთ ამასთან.

ყველანი დაძაბულები უყურებდნენ ერთმანეთს.

– მაშინ წავიდეთ!-იღრიალა ემეთმა,-რას ველოდებით?

კარლაილმა და ედვადმა ერთმანეთს გადახედეს.

– შენ უნდა გვასწავლო, როგორ უნდა გავანადგუროდ ისინი,-მიმართა კარლაილმა ჯასპერს.

რაღაც მაწუხებდა და ვერ ვხვდებოდი რა, შეშინებული ვიდექი და ვგრძნობდი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გამოვტოვე ამ ქაოსში.

– დახმარება დაგვჭირდება, ტანიას ოჯახი მზად არის?-იკითხა ჯასპერმა,-კიდევ ხუთი ვამპირი კარგი დანამატი იქნება ჩვენთვის.

– ვკითხავთ,-უპასუხა კარლაილმა.

ჯასპერმა ტელეფონი მიაწოდა.

– უნდა ვიჩქაროთ.

არასდროს მინახავს კარლაილი ასეთ მდგომარეობაში, მან ტელეფონი აიღო და ფანჯარასთან მივიდა, ნომერი აკრიფა და ტელეფონი ყურთან მიიტანა.

ედვარდმა ხელი მომკიდა და კალთაში ჩამისვა, თვალს არ ვწყვიტავდი მას სანამ ის კარლაილს უყურებდა.

კარლაილი ჩუმად და სწრაფად ლაპარაკობდა, მარტო ის გავიგონე ტანიას როგორ მიესალმა, როგორც ჩანს ალიასკის ვამოპირებმაც იცოდნენ რა ხდებოდა სიეტლში.

შემდეგ მის ხმაში რაღაც შეიცვალა.

– ოჰ,-თქვა მან გაკვირვებულმა,-ჩვენ წარმოდგენაც არ გვქონდა ირინას გრძნობებზე.

ედვარდმა ხელი მიიფარა თვალებზე.

– ჯანდაბა, წყეული ლორანი, სწორედ ჯოჯოხეთში იყო მისი ადგილი,-თქვა მან თავისთვის.

– ლორანი?,-ვიკითხე მე ჩურჩულით, მაგრამ ედვარდმა არ მიპასუხა.

კარლაილი აგრძელებდა ლაპარაკს.

– ამაზე ლაპარაკიც არ იქნება, ჩვენ შეთანხმება გვაქვს, მათ ის არ დაურღვევით და არც ჩვენ დავარღვევთ, გული მწყდება ეს რომ მესმის, ჩვენ ყველაფერს მარტონი მივხედავთ.

კარლაილმა ტელეფონი გამორთო და ფანჯარას მიაშტერდა.

– რაშია პრობლემა?-ჩუმად ჰკითხა ედვარდს ემეთმა.

– ირინას იმაზე მეტად აინტერესებდა ლორანი, ვიდრე გვეგონა, მას სძულს ვაევულფები, რადგან მათ მოკლეს ის და მას შურისძიება და მგლების განადგურება უნდა, ის ამის სანაცვლოდ დაგვპირდა დახმარებას.

– არა!-ვიყვირე მე.

– ნუ ნერვიულობ,-მითხრა მან მშვიდად,-კარლაილი არასდროს წავა ამაზე, ლორანმა ის მიიღო რაც დაიმსახურა და მე ისევ ვალში ვარ მგლებთან.

– ეს ცუდია, ძალიან ცოტანი ვართ, თქვა ჯასპერმა,-ჩვენ გამოცდილება გვაქვს, შეიძლება მოვიგოთ, მაგრამ რა ფასად?

მან ჯერ ელისს შეხედა და მერე დანარჩენებს.

ყვირილი მინდოდა, როცა მივხვდი რას გულისხმობდა, ვიღაც ალბათ ვერ გადარჩებოდა..

მე მათ სახეებს შევხედე: ჯასპერი, ელისი, როზალი, ემეთი, ესმე, კარლაილი.. ედვარდი - ეს ხომ ჩემი ოჯახი იყო..

თავი 14

აღიარება

– ხუმრობ? ალბათ სულ მთლად გაგიჟდი!-ვთქვი მე აღშფოთებულმა.

– რაც გინდა ის მითხარი,-მიპასუხა ელისმა,-წვეულება მაინც იქნება.

ასეთი ფრაზები გავცვალეთ მე და ელისმა ოთხშაბათს სადილის შემდეგ.

გაკვირვებისგან იმდენად გამიფართოვდა თვალები, რომ მეგონა გუგებიდან გადმომცვივდებოდა.

– ბელა, დაწყნარდი, არ არსებობს მიზეზი, რომ უარი ვთქვათ გართობაზე, თანაც მოსაწვევები უკვე დაგზავნილია,- მითხრა მან.

– მაგრამ.. შენ .. ეს ხომ სიგიჟეა! –გაურკვევლად ვბურტყუნებდი მე.

– საჩუქარი უკვე მიყიდე,-შემახსენა მან, -არაფრის გაკეთება აღარ დაგჭირდება, უბრალოდ უნდა მოხვიდე.

შევეცადე დავმშვიდებულიყავი.

– ბოლო პერიოდში მომხდარი მოვლენების შემდეგ მემგონი არ არის ნორმალური წვეულების მოწყობა.

– ბოლო მოვლენა ეს სკოლის დამთავრებაა, წვეულება უბრალოდ აუცილებელია, ამას ვერ ასცდები.

– ელის!

მან ამოისუნთქა და დასერიოზულდა.

– არის რაღაც, რაც უნდა მოვაგვაროდ და ეს დროს წაიღებს, სანამ ვზივართ და ველოდებით რატომ არ უნდა ავღნიშნოთ სასიამოვნო მოვლენა, ბელა, შენ პირველად ამთავრებ სკოლას, შემდეგ უკვე აღარ იქნები ადამიანი, ასეთი რამ ერთხელ ხდება ცხოვრებაში.

ედვარდმა გაბრაზებული მზერა ესროლა, ელისმა კი ენა გამოუყო.

– რა უნდა მოაგვაროდ?-ვიკითხე მე.

ედვარდმა ჩუმად მიპასუხა.

– ჯასპერი ფიქრობს, რომ დაგვეხმარებიან, ტანიას ოჯახის გარდა კიდევ არის ვარიანტები. კარლაილი რამოდენიმე ძველი მეგობრის მოძებნას ცდილობს, ჯასპერი კი პიტერს და შარლოტას ეძებს, ის იმასაც ფიქრობს, რომ მარიას სთხოვოს დახმარება, მაგრამ არავის არ ენდომება ამაში სამხრეთელების ჩარევა.

ელისს გამომეტყველება შეეცავლა.

– მათი დაყოლიება არ იქნება რთული,-აგრეძელებდა ედვარდი,- არავის არ უნდა იტალიელი სტუმრები.

– მაგრამ ეს მეგობრები ხომ ვეგეტარიანელები არიან?- გავაპროტესტე მე და კალენების სიტყვა გამოვიყენე.

– არა,-მიპასუხა ედვარდა.

– აქ? ფორქსში?

– ისინი მეგობრები არიან,-დამამშვიდა ელისმა,-ყველაფერი კარგად იქნება, არ ინერვიულო, თან ჯასპერი რამოდენიმე გაკვეთილს ჩაგვიტარებს, როგორ გავანადგუროდ ახალშობილები.

ედვარდს თვალები გაუნათდა ჩანაფიქრისგან და შევამჩნიე, რომ გაიღიმა კიდეც, ისეთი შეგრძნება მქონდა რომ მუცელი ყინულის ნატეხებით მევსებოდა.

– როდის მიდიხართ?,- ვიკითხე მე ჩუმად, არ შემეძლო იმასთან შეგულება, რომ ვიღაც შეიძლებოდა აღარ დაბრუნებულიყო. ეს რომ ემეთი ყოფილიყო? ასეთი მამაცი და დაუფიქრებელი, ის ხომ არასდროს არ ფრთხილობდა, ან ესმე, ასეთი თბილი და მზრუნველი, ვერც კი წარმომედგინა ის ბრძოლაში, ან ელისი, შესახედად ასეთი სუსტი და პატარა, ან .. მისი სახელი ვერც კი გავიფიქრე..

– ერთი კვირის შემდეგ,-მითხრა ედვარდმა, ისე თითქოს რაღაც მარტივზე იყო ლაპარაკი, - საკმარისი დრო გვაქვს, რომ მოვემზადოთ.

თავბრუ დამეხვა.

– ბელა, საშინელი ფერი გაქვს,-შეამჩნია ელისმა.

ედვარდი მომეხვია და ახლოს მიმწია თავისთან.

– ყველაფერი კარგად იქნება ბელა, მინდა, რომ გჯეროდეს ჩემი.

რა თქმა უნდა - გავიფიქრე მე, მას ხომ არ მოუწევს ჯდომა და ლოდინი დაბრუნდება თუ არა მისი ცხოვრების აზრი

უცებ აზრმა გამიელვა, იქნებ არც მომიწევს ლოდინი, ერთი კვირა ხომ დიდი დროა.

ელისი მიხვდა რაზეც ვფიქრობდი.

– კი,-მითხრა მან.

მე მას შევხედე, ჩემი ხმა ჩურჩულზე ჩუმი იყო.

– მე შევძლებ დახმარებას.

ედვარდი ერთიანად დაიძაბა და ამოიოხრა, ეს ხმა სისინს უფრო ჰგავდა.

– ეს არ გვიშველის,-მშვიდად მითხრა ელისმა.

– რატომ?,-შევეკამათე მე სასოწარკვეთილი ხმით,-რვა უკეთესია ვიდრე შვიდი და დროც გვეყოფა.

– ეს დრო არ არის საკმარისი, რომ გასწავლოთ ბელა,-არ დამეთანხმა ელისი,-ხომ გახსოვს როგორ აღწერა ჯასპერმა ახალშობილი ვამპირები? შენგან არავითარი ხეირი არ იქნება ბრძოლაში, იმიტომ რომ ჯერ ვერ შესძლებ ინსტინქტების კონტროლირებას და ადვილად მოგერევიან, შენს დაცვაში შეიძლება ედვარდიც დაშავდეს.

ვიცოდი, რომ მართალი იყო და აღარ გავაგრძელე, ედვარდიც მოეშვა ჩემს გვერდით.

– იმ მომენტში არა, როცა გეშინია,-ჩამიჩურჩულა მან ყურში.

– ოჰ.. –თქვა ელისმა და მისი სახე ცარიელ ნიღბად გადაიქცა, - ვერ ვიტან როცა ბოლო მომეტში უარს ამბობენ მოსვლაზე, სია სამოცდახუთ კაცამდე შემცირდა.

– სამოცდახუთი?,- შევიცხადე მე, ამდენ ადამიანს არც კი ვიცნდობდი.

– ვინ თქვა უარი?,- ჰკითხა ედვარდმა.

– რენემ.

– რა? – ვიკითხე მე.

– ის სიურპრიზის გაკეთებას აპირებდა გამოსაშვების დღეს, მაგრამ რაღაც მოხდა, სახლში რომ მიხვალ შეტყობინება დაგხვდება.

ამ ახალმა ამბავმა დამამშვიდა, რაც არ უნდა მომხდარიყო ამის მადლობელი ვიყავი, ეხლა ნამდვილად არ იყო კარგი დრო ფორქსში ჩამოსასვლელად.

როცა სახლამდე მივაღწიე, ავტომოპასუხეზე ნათურა ციმციმებდა, კიდევ უფრო დავმშვიდდი, როცა რენეს შეტყობინება მოვისმინე, ფილს თამაშისას ფეხი მოუტეხია და ეხლა მთლიანად რენეზე იყო დამოკიდებული და ის მას ვერაფრით დატოვებდა.

– ერთი მაინც,-ამოვისუნთქე მე.

– ერთი რა?-მკითხა ედვარდმა.

– ის უკვე ერთი ადამიანია, ვიზეც შემიძლია არ ვინერვიულო, რომ ვინმე მოკლავს.

მან თვალები გადაატრიალა.

– რატომ არ აღიქვავთ შენ და ელისი ამ სიტუციას უფრო სერიაზულად?- მოვითხოვე მე,- ყველაფერი მართლაც ძალიან ცუდად არის.

მან გამიღიმა.

– მოგვენდე.

ტელეფონი ავიღე და რენეს ნომერი ავკრიფე, ვიცოდი, რომ ეს საუბარი გრძელი იქნებოდა, მილიონჯერ მომიხდა იმის თქმა, რომ მასზე არ ვბრაზობდი და არ მწყინდა, რომ ვერ ჩამოდიოდა, როცა ყველაფერი დეტალებში ამიხსნა საუბრის დამთავრებაც მოვახერხე.

ედვარდის მოთმინება უსაზღვრო იყო, ის მშვიდად ელოდებოდა, როდის დავამთავრებდი საუბარს, ჩემი თმებით თამაშოვდა და იღიმებოდა როცა შევხედავდი, ის იმდენად მშვენიერი იყო, რომ რთული იყო სხვა რამეზე მეფიქრა, რენეს ბოდიშები, ფილის განცდები და ვამპირებთა ჯარი არაფერი იყო, როცა მას ვუყურებდი, უბრალოდ ვდნებოდი.

როგორც კი ყურმილი დავკიდე თითის წვერებზე ავიწიე და ვაკოცე, მან წელზე შემომხვია ხელები და სამზარეულოს მაგიდაზე შემომსვა, ეხლა აღარ მჭირდებოდა აწევა, ხელები კისერზე შემოვავლე და მის ცივ მკერდს მივეკარი.

როგორც ყოველთვის მან სწრაფად გაინთავისუფლა თავი ჩემი ხელებისგან და გაიწია.

– ვიცი, შენ გგონია, რომ მე კარგად გამომდის თავის გაკონტროლება, მაგრამ ეს ასე არ არის, - მითხრა მან.

– ძალიან მინდა ასე მეგონოს.

– ხვალ, სკოლის შემდეგ,-შეცვალა მან თემა,-კარლაილთან, ესმესთან და როზალისთან ერთად მივდივარ სანადიროდ, სულ რამოდენიმე საათით, ემეთი, ჯასპერი და ელისი შენს გვერდით იქნებიან.

– უჰჰ,-ავბუზღუნდი მე,- ვერვიტან როცა “ძიძებთან” მტოვებ.

– ეს დროებით იქნება.

– ჯასპერი მოიწყენს, ემეთი ნერვებს მომიშლის.

– კარგად მოიქცევიან.

– კი აბა.

უცებ გამახსენდა, რომ სხვა ვარიანტიც მქონდა.

– იცი, დიდიხანია ლაპუშზე აღარ ვყოფილვარ, ხომ იცი იქ უსაფრთხოდ ვიქნები,- შევახსენე მე.

რამოდენიმე წუთი განიხილავდა ჩემს წინადადებას.

– ალბად მართალი ხარ.

მისი სახე იმდენად მშვიდი იყო, რომ თამამად შევცვალე თემა.

– უკვე გწყურია?,-ვკითხე მე და თითებით შევეხე ჩრდილებს მისი თვალების ქვეშ.

– არც ისე,- გამიკვირდა, როგორ უხალისოდ მიპასუხა და ახსნას ველოდებოდი.

– ჩვენ უფრო ძლიერები უნდა ვიყოთ,- ამიხსნა მან,- ბრძოლის წინ ალბად კიდევ ერთხელ მოგვიწევს ნადირობა.

– ეს გაგაძლიერებთ?

– ყველაზე მეტად ადამიანის სისხლი აძლიერებს, მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვუღალატებთ ჩვენს პრინციპებს, ზუსტად ამიტომ არიან ახალშობილები ასეთი ძლიერები, მათ საკუთარი სისხლი ავსებთ, ის ცვლილებებზე რეაგირებს და ძალას აძლევს.

– მე ძლიერი ვიქნები?

– ჩემზე ძლიერი,-გაეცინა ედვარდს.

– ემეთზეც?

ედვარდის ღიმილი უფრო ფართო გახდა.

– კი და ერთ რაღაცას უნდა შემპირდე, აუცილებლად გამოიძახე ის ხელის გადაწევაზე შეჯიბრში, მოუხდება ასეთი გამოცდილება.

გამეცინა, ეს ყველაფერი ისე სულელურად ჟღერდა.

მაგიდიდან ჩამოვხტი და სწავლას შევუდექი, იმიტომ, რომ დრო ნამდვილად ცოტა მქონდა, ბედნიერება იყო გვერდით ისეთი რეპეტიტორის ყოლა, როგორიც ედვარდი იყო, მან ხომ აბსოლუტურად ყველაფერი იცოდა.

შესვენებისას ჯეიკობს დავურეკე, როგორც ეს რენეს შემთხხვევაში იყო, ედვარდი ეხლაც არავითარ დისკომფორტს არ გრძნობდა და ისევ ჩემს თმებს ეთამაშებოდა.

შუადღე იყო, მაგრამ ჯეიკობს ეძინა და გავაღვიძე, მან ბუზღუნი დაიწყო, მაგრამ როგორც კი ვუთხარი, რომ მეორე დღეს მასთან მისვლას ვაპირებდი გამხიარულდა.

ედვარდმა ისევ დაიჟინა ჩემი საზღვრამდე მიცილება, თითქოს ბავშვი ვიყავი.

– აბა, როგორ გგონია კარგად ჩააბარე გამოცდები?-მკითხა მან გზაში.

– ისტორია მარტივი იყო და მათემატიკაში ეჭვი მეპარება, მემგონი ჩავიჭერი.

მას გაეცინა.

– დარწმუნებული ვარ კარგად დაწერე, მაგრამ თუ მართლა ასე ნერვიულობ შემიძლია ქრთამი მივცე მისტერ ვარნერს და მაღალ ქულას დაგიწერს.

– მადლობთ, არა.

მან ისევ გაიცინა და შემდეგ უცებ გაჩუმდა, ჩვენს წინ წითელი მანქანა იდგა და გველოდებოდა, ედვარდმა მანქანა გააჩერა და მძიმედ ამოისუნთქა.

– რა მოხდა?,- ვკითხე მე.

– არაფერი,-თავი გაიქნია მან.

ედვარდის მზერა გაყინული იყო, როცა ის მეორე მანქანას უყურებდა, ასეთი მზერა უკვე მინახავს.

– შენ რა ისევ ჯეიკობის აზრებს ისმენ,-დავადანაშაულე მე.

– შეუძლებელია არ გაიგონო, როცა ის თითქმის ყვირის ამას.

– ოჰ.. და მაინც რაზე ფიქრობს?

– დარწმუნებული ვარ, რომ ამას თვითონ მოგახსენებს,-თავშეკავებულად მომახსენა ედვარდმა.

ძალიან მაინტერესებდა ედვარდის გამომეტყველების მიზეზი, მაგრამ ჯეიკობი უკვე ასიგნალებდა.

– ეს უზრდელობაა,- გაბრაზდა ედვარდი.

– ეს ჯეიკობია,- ვთქვი მე და სწრაფად გადავედი მანქანიდან, სანამ ჯეიკობი რამეს ისეთს არ მოიმოქმედებდა, რაც მართლა წყობილებიდან გამოიყვანდა ედვარდს.

სანამ ჯეიკობის მანქანაში ჩავჯდებოდი ხელი დავუქნიე ედვარდს, ამ მანძილიდანაც კი დავინახე, რომ შეწუხებული იყო რაღაცით.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ხელში ორი მაგნიტი მეკავა და მათ შეერთებას ვცდილობდი, ზუსტად ამაზე ვფიქრობდი, როცა მათ ვუყურებდი.

ამოვისუნთქე და მანქანაში ჩავჯექი.

– სალამი ბელს.

ჯეიკობი კარგ განწყობაზე იყო, მაგრამ ხმა ჰქონდა დაღლილი, მის სახეს ვაკვირდებოდი გზაში, სანამ ის გზას არ აცილებდა თვალს.

– ყველაფერი რიგზეა ჯეიკობ?

– უბრალოდ დავიღალე,-თქვა მან და დაამთქნარა, - რა გინდა რომ დღეს გავაკეთოთ?

– წამოდი, უბრალოდ შენთან დავჯდეთ სახლში, -შევთავაზე მე, მას ისეთი სახე ჰქონდა, რომ ალბათ სხვა არაფრის თავი არ ექნებოდა.

– კარგი,-თქვა მან და ისევ დაამთქნარა.

ჯეიკობის სახლი ცარიელი იყო და ამან გამაკვირვა, უკვე მიჩვეული ვიყავი, რომ ბილი სულ აქ იყო.

– მამაშენი სად არის?

– კლირვოტერებთან, იმის შემდეგ რაც გარი გარდაიცვალა, სიუ მარტო გრძნობს თავს და ბილი ხშირად მიდის მათთან.

ჯეიკობი ძველ დივანზე დაჯდა, რომელიც ორი დიდი სავარძლის ზომის იყო და მეც გამინთავუისუფლა ადგილი თავის გვერდით.

– ძალიან კარგი, სიუ ძალიან ცოდოა.. - ვთქვი მე ჩუმად.

– კი, თან რაღაც პრობლემები აქვს.. – ჯეიკობი გაჩუმდა, არ იცოდა ეთქვა თუ არა,- თავის შვილებთან.

– გასაგებია, ლეას და სეთს ალბათ ძალიან უჭირთ, მათ ხომ მამა დაკარგეს.

– აჰა,- თქვა ჯეიკმა, პულტი აიღო და უაზროდ დაიწყო სხვადასხვა არხებზე გადართვა.

– ჯეიკობ რა გჭირს? ზომბს ჰგავხარ..

– გუშინ მხოლოდ ორი საათი მეძინა, გუშინწინ კი ოთხი,- ამიხსნა მან და თავის გრძელი ხელები გაშალა, მარცხენა ხელი თავქვეშ ამოიდო და დივანის ზურგზე გადაწვა.

– და მერე რატომ არ იძინებ?

ჯეიკობი დაიჭყანა.

– სემთან არის პრობლემები, ის არ ენდობა სისხლისმსმელებს, უკვე ორი კვირაა ორმაგი დატვირთვით ვპატრულირებ და ჯერ არავინ მომკარებია, მაგრამ ის მაინც გაიქცა და მარტო მიწევს ყველაფრის კეთება.

– და ეს ყველაფერი იმისთვის რომ მე დამიცვა? ჯეიკობ ასე არ შეიძლება, უნდა გამოიძინო, მე არაფერი მომივა.

– კარგი, სისულელეა, - გამაჩუმა მან,- ბოლოს და ბოლოს გაიგე ვინ იყო შენს ოთახში? არის რამე ახალი?

მეორე კითხვას იგნორირება გავუკეთე.

– არა, ვერაფერიც ვერ გავიგეთ.

– მაშინ პატრულირებას გავაგრძელებ,- თქვა მან და თვალები დახუჭა.

– ჯეიკობ..

– ბელა, ეს ყველაზე ცოტაა რისი გაკეთებაც შემიძლია, მე ხომ სამუდამო მონობას დაგპირდი? შენი მონა ვიქნები მთელი ცხოვრება.

– მონა არ მინდა!
მან თვალები გაახილა.

– მაშინ რა გინდა?

– მე ჩემი მეგობარი, ჯეიკობი მინდა და არ მინდა მას ნახევრად ძალაგამოცლილს და გამოუძინებელს ვხედავდე რაღაც სისულელეების გამო.

– მოდი ამას სხვა თვალით შეხედე, იმედი მაქვს რომ იმ ვამპირის კვალს ვიპოვი, ვისი მოკვლის უფლებაც მექნება.

არ ვუპასუხე, მან კი შემომხედა, რომ ჩემი რეაქცია გაეგო.

ტელევიზორს მივაშტერდი.

– რამე კარგი ხომ არ ხდება შემდეგ დასვენების დღეებში? შენ ხომ სკოლას ამთავრებ, ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენაა,- ჯეიკობი მელაპარაკებოდა და ისევ თვალები ეხუჭებოდა, მისი სახე ნიღაბს დაემსგავსა, ვიცოდი, რომ სკოლის დამთავრებას მისთვის ყველაზე ცუდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა ჩემს გეგმებს ჯერ არ ეწერა განხორციელება.

– არავითარი გეგმები არ მაქვს, თუმცა ალბათ ჩემს სახელზე გამართულ წვეულებაზე მომიწევს წასვლა,-ვთქვი მე უხალისოდ,- ელისს უყვარს წვეულებები და თითქმის მთელი ქალაქი დაპატიჟა, ეს საშინელება იქნება.

სანამ ვლაპარაკობდი ისევ გაახილა თვალები და მშვიდად გაიღიმა.

– მეწყინა, რომ მოსაწვევი არ მივიღე,- გამეხუმრა ის.

– ჩათვალე, რომ უკვე დაპატიჟებული ხარ, - ვთქვი მე ყოველგვარი იმედის გარეშე, - ისე აღარ მოვიწყენ.

– კი, კი, - ეს ძალიან ჭკვიანური იქნება,- ჩაიბურტყუნა მან.

რამოდენიმე წუთის შემდეგ უკვე ხვრინავდა.

საწყალი ჯეიკობი, ვუყურებდი როგორ ეძინა და ეს ძალიან მომწონდა, სახე დაუმშვიდდა და ის ისევ ის პატარა ბიჭი იყო, ჩემი ჯეიკობი.

დივანზე მოვეწყვე და ველოდებოდი, როდის გაიღვიძებდა, ის სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ხვრინავდა და ტელევიზორი გამოვრთე.

საოცარმა სიმშვიდემ მომიცვა და ვიგრძენი, რომ მეც მეძინებოდა, ეს სახლი ბევრად უსაფრთხო იყო ჩემსაზე, აქ არავინ მოვიდოდა ჩემს საძებრად, რაღაც

მომენტში ვიფიქრე კიდევაც დაძინება, მაგრამ ჯეიკობის ხვრინვაში ეს შეუძლებელი იყო, ამიტო მმივეცი ჩემს თავს უფლება უბრალოდ მეოცნება.

გამოცდები უკვე ჩაბარებული მქონდა, მარტო მათემატიკის პასუხი მაშინებდა, ჩემი განათლება დამთავრდა, არ ვიცოდი როგორი გრძნობები უნდა მქონოდა, ამას ობიექტურად ვერ შევხედავდი, იმიტომ რომ ამის შემდეგ ადამიანობას ვემშვიდობებოდი.

საინტერესოა, კიდევ რამდენ ხანს გამოიყენებს ედვარდი მიზეზად –"მაშინ არა, როცა გეშინია", როდესღაც ყელში ამომივა და ჩემი მოთხოვნის შესრულებას მოვთხოვ.

ვიცოდი, რომ ეხლავე შემეძლო ეს კარლაილისთვის მეთხოვა, ფორქსი საშიში ხდებოდა, ამის გარდა წვეულებასაც გადავრჩებოდი, გამეცინა ჩემს თავზე როცა ასეთი პატარა მიზეზების გამოც კი შემეძლო ამაზე წასვლა, მაგრამ ედვარდი მართალი იყო, ჯერ არ ვიყავი მზად.

რატომღაც ძალიამ მინდოდა, რომ ეს ედვარდს გაეკეთებინა, ეს რაღაც აუხსნელი სურვილი იყო, მშვენივრად ვიცოდი, რომ კბენის შემდეგ სულ აღარ მემახსოვრებოდა ვინ გააკეთა ეს, მაგრამ ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, მინდოდა, რომ მას მიეღო ჩემი დატოვების გადაწყვეტილება, იმდენად მონდომებოდა ეს, რომ სხვისთვის აღარ მიეცა ამის უფლება, მომწონდა იმაზე ფიქრი, რომ მისი ტუჩები ბოლო იქნებოდა რასაც ვიგრძნობდი. მრცხვენოდა ამის ხმამაღლა თქმის, მაგრამ ძალიან მინდოდა, რომ მის შხამს მოვეწამლე, ამითი თავს ბოლომდე მის საკუთრებად ვიგრძნობდი.

ისიც ვიცოდი, რომ ედვარდი არ შეცვლიდა თავის პირობას, ქორწინებასთან დაკავშირებით, ამითი დროის მოგება უნდოდა და ეს მშვენივრად გამოსდიოდა.

შევეცადე წარმომედგინა, როგორ ვეტყოდი ჩემს მშობლებს, რომ ზაფხულში გათხოვებას ვაპირებ, როგორ მოვუყვებოდი ანჯელას, ბენს, მაიკს.. არც კი შემეძლო ამაზე ფიქრი, ჩემთვის უფრო მარტივი იქნებოდა იმის თქმა, რომ ვამპირი გავხდებოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ რენე ვამპირობის უფლებას უფრო მომცემდა ვიდრე გათხოვების, დავიჭყანე, როცა მისი სახე წარმოვიდგინე.

შემდეგ წუთით ედვარდი დავინახე ვერანდაზე, ჩვენ საქანელაში ვიჯექით და სხვა სამყაროს ტანსაცმელი გვეცვა, სადაც ალბათ არავის გააკვირვებდა ბეჭედი ჩემს თითზე, ამ სამყაროში ყველაფერი ძალიან მარტივი იყო.

ჯეიკობი ხმაურით გადაბრუნდა მეორე გვერდზე, მისი ხელი ჩამოცურდა და მასთან მიმწია.

ღმერთო რა მძიმე იყო და რა ცხელი, რამოდენიმე წამის შემდეგ ოფლმა დამასხა. შევეცადე გამოვმძრალიყავი ისე, რომ არ გაღვიძებოდა, მაგრამ არ გამომივიდა და მისი შენჯღრევა დამჭირდა, მან წამში გაახილა თვალები, წამოხტა და შეწუხებულმა დაიწყო აქეთ-იქით ყურება.

– რა? რა? – იკითხა მან დაბნეულად,-ბელა?

– სალამი ძილისგუდავ.

– ჯანდაბა, მაპატიე, დიდხანს ვიყავი გათიშული?

– არა.

ის ისევ დაემხო დივანზე ჩემს გვერდით.

– მართლა? ბოდიში..

თმებზე გადავუსვი ხელი.

– ნუ ნერვიულობ, მიხარია, რომ ცოტა გამოიძინე.

– ბოლო დღეებში ჩემგან არანაირი ხეირი არ არის, სულაც არ მიკვირს, რომ ბილი მიდის ხოლმე, ჩემთან მოიწყენს.

– შენთან ძალიან კარგია,-დავაწყნარე მე.

– აჰა, მოდი გავისეირნოდ, ჰაერი მინდა ჩავყლაპო, თორემ კიდევ ჩამეძინება.

– ჯეიკობ წადი დაიძინე, ჩემზე არ ინერვიულო, ედვარდს დავურეკავ და წამიყვანს.

ჯიბეში ჩავყავი ხელი, მაგრამ ის ცარიელი იყო.

– ჯანდაბა, მომიწევს შენი ტელეფონით ვისარგებლო, ჩემი ალბად ედვარდის მანქანაში დარჩა.

– არა!,- იყვირა მან და ხელით დამიჭირა,-გთხოვ, დარჩი, შენ ალბათ კიდევ დიდხანს ვეღარ მოხვალ, არც კი მჯერა, რომ ძილში დავკარგე დრო.

მან ხელი მომკიდა და გარეთ გამიყვანა, გარეთ საკმაოდ ციოდა, ამინდი სულაც არ ჰგავდა მაისისას.

– იდიოტი ვარ,-ბურტყუნებდა ჯეიკობი თავისთვის.

– ასეთი რა მოხდა? შენ ხომ უბრალოდ ჩაგეძინა.

– შენთან ლაპარაკი მინდოდა და არც კი ჯერა რომ ასე უაზროდ გავითიშე.

– ეხლა დამელაპარაკე.

ჯეიკობმა თვალებში შემომხედა, მერე კი მზერა ხეებისკენ გააპარა, მომეჩვენა რომ გაწითლდა კიდეც, აქ ედვარდი გამახსენდა, მან გამაფრთხილა, რომ ჯეიკობი რაღაცას მეტყოდა, ალბად იმას რაზეც იმ წუთში ფიქრობდა.

– ყველაფერი ცოტა სხვანაირად იყო დაგეგმილი,-მითხრა ჯეიკობმა,- და ეხლა არ მაქვს იმის დრო რომ ეს ყველაფერი სწორედ გავაკეთო.

მას საკუთარ თავზე გაეცინა და ნაბიჯს შეუნელა.

– რაზე ლაპარაკობ ჯეიკობ?

სანამ მიპასუხებდა ღრმად ჩაისუნთქა.

– რაღაც მინდა გითხრა და ეს შენ უკვე იცი, უბრალოდ ხმამაღლა მინდა ვთქვა, რომ ამაში ეჭვი აღარ გეპარებოდეს.

ჯეიკობს წარბები ჰქონდა შეკრული და თავისი შავი თვალებით მბურღავდა.

– მიყვარხარ ბელა!- ხმამაღლა და ომახიანად წარმოსთქვა მან, - მიყვარხარ და მინდა, რომ მე ამომირჩიო და არა ის, ვიცი, რომ ეხლა სხვანაირად ფიქრობ, მაგრამ ეს უნდა მეთქვა, არ მინდა, რომ ჩვენს შორის საიდუმლო იყოს.

თავი 15

სანაძლეო

ლაპარაკის უნარი წამერთვა და დიდხანს ვუყურებდი მას, თავში უბრალოდ არაფერი არ მომდიოდა.

მთელი მისი სერიოზულობა გაქრა, როცა მან ჩემი შეშლილი სახე დაინახა.

– კარგი,- გაეცინა მას,- სულ ეს არის რისი თქმაც მინდოდა.

ყელში თითქოს რაღაც გამეჩხირა.

– ჯეიკ.. მე.. არ შემიძლია.. მე.. უნდა წავიდე.

შევბრუნდი და წასვლას ვაპირებდი, მან მხრებში მომკიდა ხელი და თავისკენ შემატრიალა.

– გთხოვ მოიცადე, ეს ყველაფერი ვიცი ბელა, ერთადერთ კითხვაზე მიპასუხე კარგი? გინდა რომ წავიდე და არასდროს აღარ შეგაწუხო? სიმართლე მითხარი.

რთული იყო მის კითხვაზე კონცენტრირება, ერთი წუთი ვფიქრობდი სანამ ვუპასუხებდი.

– არა, არ მინდა რომ წახვიდე,- ვაღიარე მე.

ჯეიკობს ჩაეღიმა.

– აი ხედავ?

– ჯეიკობ, მაგრამ მე არ მინდა, რომ ჩემს გვერდით იყო ისე, როგორც შენ ფიქრობ.

– მაშინ მითხარი რაგორ გინდა რომ ვიყო?

– როცა ახლოს არ ხარ მენატრები ხოლმე, როცა ბედნიერი ხარ, მეც ბედნიერი ვარ, მაგრამ ზუსტად იგივეს თქმა ჩარლიზეც შემიძლია, შენ ჩემი ოჯახი ხარ და მიყვარხარ, მაგრამ სულ სხვანაირად.

მან თავი დამიქნია, ჩემმა სიტყვებმა არაფერი შეცვალა.

– მაგრამ შენ მაინც გინდა, რომ შენს გვერდით ვიყო.

– კი.

– მაშინ ვიქნები.

– შენ თვითონ არ ინდობ შენს თავს,- ბუზღუნით ვუთხარი მე.

– აჰა.

მან თითები დამისვა მარჯვენა ლოყაზე, მაშინვე მოვაშორებინე ხელი.

– შეგიძლია, რომ ზრდილობის ფარგლებში მაინც მოიქცე?,- გავღიზიანდი მე.

– არა, არ შემიძლია, შენ უნდა გადაწყვიტო, მე ვიქნები შენს გვერდით ისეთი, როგორიც ვარ, ყოველგვარი ფარგლების გარეშე, წინაამდდეგ შემთხვევაში საერთოდ წავალ.

გაბრაზებულმა შევხედე.

– სასტიკი ხარ.

– შენც.

თავისი სიტყვებით უცებ მომიყვანა აზრზე და ნაბიჯი გადავდგი უკან, ის მართალი იყო, მე რომ სასტიკი არ ვყოფილიყავი უბრალოდ ვეტყოდი, რომ არ უნდა ვიმეგობროდ და წავიდოდი, არ შეიძლება მეგობარი გყავდეს გვერდით და აწამებდე, მივხვდი, რომ ძალიან ცუდად ვიქცეოდი.

– მართალი ხარ,-ჩურჩულით ვუთხარი მე.

– გპატიობ, უბრალოდ ეცადე ძალიან არ გამიბრზდე, იმიტომ რომ უკან არ დავიხევ.

მის შავ თვალებს შევხედე და შევეცადე უფრო სერიოზულად მოვქცეულიყავი.

– ჯეიკობ, მე ის მიყვარს, ის მთელი ჩემი ცხოვრებაა.

– მეც ხომ გიყვარვარ,- შემახსენა მან,- ვიცი ისე არა, მაგრამ ის არ არის მთელი შენი ცხოვრება, შეიძლება ადრე ასე იყო, ოღონდ სანამ დაგტოვებდა, ეხლა კი თავისი საქციელის შედეგებთან ექნება საქმე, ანუ ჩემთან.

– აუტანელი ხარ ჯეიკობ.

ის სერიოზული იყო, ჩემი ნიკაპი აიღო და ისე მაჩერებდა, რომ პირდაპირ თვალებში ეყურებინა ჩემთვის.

– სანამ შენი გული ძგერს ბელა, დაგელოდები, ვიბრძოლებ შენთვის, არ დაგავიწყდეს, რომ არჩევანი გაქვს.

– არა, არ მაქვს,-ვუთხარი მე და უშედეგოდ ვცდილობდი მისი ხელებიდან განთავისუფლებას,- ჩემი გულის ყოველი დარტყმა შეიძლება ბოლო აღმოჩნდეს, დრო თითქმის აღარ მაქვს.

– მაშინ მე მეტი მიზეზი მქონია საბრძოლველად, სანამ ამას ჯერ კიდევ აზრი აქვს.

ხელით ჯერ კიდევ იჭერდა ჩემს ნიკაპს, იმდენად ძლიერად, რომ მეტკინა კიდეც, მისი თვალებით მივხვდი რის გაკეთებასაც აპირებდა.

– არ.. .. – გავაპროტესტე მე, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად მან მაკოცა, ამას საშინლად უხეშად აკეთებდა და მარცხენა ხელით ჩემს კეფას იჭერდა, მთელი ძალიათ ვცდილობდი განთავისუფლებას, მკერდზე ვურტყავდი ხელებს, მაგრამ ის ვერც კი გრძნობდა ამას, მისი ტუჩების შეხება თბილი და უჩვეულო იყო.

სახეზე მოვკიდე ხელები, რომ გამეწია, მაგრამ ესეც უშედეგოდ, ჩემი მცდელობები უფრო აღიზიანებდა მას, მისმა ტუჩებმა ძალით გახსნეს ჩემები და ცხელი ჰაერი ვიგრძენი პირში.

ინსტინქტურად მოვიქეცი და შევყვიტე წინაამრდეგობა, ვერაფერს ვერ ვგრძნობდი, უბრალოდ გავიყინე და ველოდებოდი როდის გაჩერდებოდა.

ამან გაამართლა, გაბრაზება გაქრა, ის გაიწია, რომ ჩემთვის შეეხედა, ქანდაკებად გადავიქეცი.

– დაამთავრე?- გულგრილად ვკითხე მე.

– კი,- მან ხელი მიიფარა სახეზე და მომეჩვენა, რომ გაიღიმა.

მთელი ძალით მოვიქნიე ხელი და სახეში გავარტყი.

ტკაცუნის ხმა გაისმა.

– აი, აი, აი, -ტკივილისგან აღარ ვიცოდი რა მექნა, ხელი გულზე მივიხუტე და ერთ ადგილზე ვხტუნაობდი, ვგრძნობდი, რომ მოტეხილი იყო.

– რა გჭირს ბელა?

– ჯანდაბა! ხელი მომტეხე!

– შენ თვითონ მოიტეხე, მორჩი ხტუნაობას და შემახედე.

– არ შემეხო! ეხლავე სახლში მივდივარ!

– წავალ, მანქანას მოვიყვან,- მითხრა მან მშვიდად.

– მადლობთ, არ არის საჭირო, ფეხით წავალ – დავიჩხავლე მე.

გზის მხარეს მივბრუნდი, საზღვრამდე სულ რამოდენიმე კილომეტრი იყო, ვიცოდი, რომ როცა მას გადავკვეთდი ელისი დამინახავდა და ვინმეს გამოგზავნიდა ჩემს შესახვედრად.

– ბელა, უფლება მომეცი, რომ სახლამდე მიგიყვანო,-აგრძელებდა ჯეიკობი.

წარმოუდგენელი იყო, მაგრამ მას ეყო თავხედობა და წელზე მომხვია ხელი, მაშინვე გამოვეცალე.

– გადასარევია!,-ვიყვირე მე,- მიდი წამიყვანე, ერთი სული მაქვს დავინახო რას გიზავს ედვარდი, იმედი მაქვს კისერს მოგიგრიხავს! შენ თავხედი, აუტანელი და ჭკუასუსტი ძაღლი ხარ!

ჯეიკობმა უბრალოდ გაიცინა.

მანქანამდე მიმიყვანა და მომეხმარა, რომ ჩავმჯდარიყავი.

– საერთოდ ვერ გატკინე?- ვიკითხე მე გაცეცხლებულმა.

– მეხუმრები?

– მეზიზრები ჯეიკობ ბლექ!

– ეს კარგია, სიძულვილი ვნებიანი გრძნობაა.

– მე შენ მოგიწყობ ვნებიან გრძნობას, ეს აფექტის მდგომარეობაში მკვლელობა იქნება,- ვბურტყუნებდი მე ჩემთვის.

ჯეიკობი გადასარევ ხასიათზე იყო.

– კარგი, გაჩერდი ბელა, ჩემი კოცნა ალბათ ბევრად უკეთესია ვიდრე ქანდაკების.

– ამას არც კი შევადარებ!- ცივად მოვუჭერი მე.

– ამას ისე ამბობ უბრალოდ.

– ზუსტად ასეა!

ჩემმა ნათქვამმა ოდნავადაც არ შეაწუხა.

– ამ სფეროში ჯერ არ მაქვს გამოცდილება, მაგრამ მაინც მომეწონა, დღეს ღამე ამას გაიხსენებ, მას ეგონება, რომ შენ გძინავს, შენ კი შენს არჩევანზე იფიქრებ.

– მარტო მაშინ გამახსენდები, თუ კოშმარულ სიზმარს ვნახავ.

მან სიჩქარე დააგდო, შემობრუნდა და დიდი და სერიოზული თვალებით შემომხედა.

– დაფიქრდი ბელა, როგორ მარტივად შეიძლება ყველაფერი იყოს, ჩემთვის სულაც არ დაგჭირდება, რომ შეიცვალო, ჩარლიც ბედნიერი იქნება თუ მე ამომირჩევ, მეც შემიძლია შენი დაცვა ისევე როგორც შენს ვამპირს და ალბად უკეთესადაც, მე გაგაბედნიერებ ბელა, არის ბევრი რაღაც რაც შემიძლია შემოგთავაზო და მას არ შეუძლია, დარწმუნებული ვარ ის ასე ვერც გაკოცებს, იმიტომ რომ ეშინია რამე არ გატკინოს.

მოტეხილი ხელზე შევახედე.

– აქ მე არ ვარ დამნაშავე, ეს უნდა გცოდნოდა.

– ჯეიკობ, მე არ ვიქნები ბედნიერი მის გარეშე.

– შენ არც კი გიცდია ჯერ, როცა მიგატოვა მთელი შენი ძალები იმაზე დახარჯე, რომ დაგებრუნებინა, ბოლომდე რომ გაგეშვა ეხლა ბედნიერი იქნებოდი, შენ შეგეძლო ბედნიერი ყოფილიყავი ჩემთან.

– არ მინდა რომ ბედნიერი ვიყო ვინმესთან მის გარდა.

– შენ ვეღარასდროს ენდობი მას ისე, როგოც მე, მან ერთხელ უკვე მიგატოვა და მეორედაც შეუძლია ეს გააკეთოს.

– არა, ის არ წავა,- ვთქვი მე გამწარებულმა, მტკივნეული მოგონებები მომაწვა და ისევ მინდოდა დამერტყა ჯეიკობისთვის, - ერთხელ შენც მიმატოვე.

– მე არასდროს მიმიტოვებიხარ, მათ მითხრეს, რომ ჩვენი ერთად ყოფნა საშიში იყო შენთვის, მაგრამ არასდროს წავსულვარ, ისევე დავრბოდი ღამით შენი სახლის გარშემო, როგორც ეხლა.

– ჯეიკობ სახლში წამიყვანე, ხელი მტკივა.

მან ამოიოხრა და სიჩქარეს მოუმატა.

– უბრალოდ იფიქრე ამაზე ბელა.

– არა.

– ვიცი, რომ იფიქრებ ღამით და მეც ვიფიქრებ შენზე.

– კოშმარში.

– კოცნაზე ხომ მაინც მიპასუხე.

– საიდან მოიტანე? მე შენს კოცნაზე არ მიპასუხია.

– მე უფრო ვიცი.

– არა, იდიოტო! მე უბრალოდ ვცდილობდი მომეშორებინე და შენ არასწორედ გაიგე.

ჯეიკობს გაეცინა.

ღრმად ჩავისუნთქე და შევეცადე არ მიმექცია ყურადღება, მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა, მთელი ყურადღება ხელზე გადავიტანე, რომ გამეგო, ზუსტად რა ადგილზე იყო მოტეხილი, თითები გავამოძრავე და ვიკივლე ტკივილისგან.

– მართლა ძალიან ვწუხვარ რომ ასე გამოვიდა,- მითხრა ჯეიკობმა მართლა გულწრფელად,- სხვა დროს თუ მოგინდება, რომ დამარტყა, ბეისბოლის ბიტა ან სხვა რაიმე მაგდაგვარი მოიმარჯვე.

– არც იფიქრო, რომ დამავიწყდება,- ვუთხარი მე.

სანამ ჩემს სახლთან არ აღმოვჩნდით ვერც კი მივხვდი სად მივდიოდით.

– აქ რატომ მომიყვანე? – ავღშფოთდი მე.

მან გაკვირვებულმა შემომხედა.

– შენ ხომ სახლში მიყვანა მთხოვე.

– აუჰჰჰ, არ შეგიძლია ედვარდის სახლთან მიმიყვანო?

მისი სახე ტკივილმა დაფარა.

– ეს არის შენი სახლი ბელა.

– კი მაგრამ აქ ექიმები არ არიან.

– მაშინ საავადმყოფოში წაგიყვან, ან ჩარლი წაგიყვანს.

– არ მინდა საავადმყოფოში, სულაც არ არის აუცილებელი.

ჯეიკობმა ძრავა არ გამორთო, უბრალოდ იდგა და ფიქრობდა.

– სახლში წადი ჯეიკობ!

ფრთხილად გადავედი მანქანიდან და სახლისკენ გავემართე, ძრავი გაჩუმდა ჩემს უკან და გამიკვირდა, როცა ჯეიკობი ისევ ჩემს გვერდით აღმოჩნდა.

– რის გაკეთებას აპირებ? - მკითხა მან.

– ჯერ ყინულის დადებას ვაპირებ და მერე ედვარდს დავურეკავ, რომ კარლაილთან წამიყვანოს, შემდეგ თუ კიდევ აქ იქნები დიდი ბიტის მოძებნა მომიწევს.

მან არ მიპასუხა და კარი გამიღო, რომ შევსულიყავი, ჩარლი დივანზე იწვა მისაღებში.

– სალამი ბავშვებო,- თქვა მან და წამოდგა,- მიხარია, რომ გხედავ ჯეიკობ.

– სალამი ჩარლი.

სამზარეულოსკენ გავემართე.

– რა სჭირს?,- გაუკვირდა ჩარლის.

– ის ფიქრობს, რომ ხელი მოიტეხა,-უთხრა მას ჯეიკობმა.

მაცივარი გავაღე და ყინული გამოვიღე.

– ეს როგორ მოახერხა?- ჰკითხა ჩარლიმ, მეგონა, რომ უფრო ანერვიულდებოდა.

ჯეიკობს გაეცინა.

– მან დამარტყა.

ეხლა ჩარლის გაეცინა, გაბრაზებული ვცდილობდი ყინული ამომეღო ფორმიდან, მეორე ხელით ავიღე რაც მოვახერხე და ტილოში გავახვიე.

– და რატომ დაგარტყა?

– ვაკოცე და იმიტომ,- ასე უბრალოდ უპასუხა ჯეიკობმა.

– მაგარი ხარ,-ჩაეღიმა ჩარლის.

არცერთს არ მივაქციე ყურადღება, ტელეფონი ავიღე და ედვარდის მობილური ტელეფონის ნომერი ავკრიფე.

– ბელა?, -იმ წამსვე მიპასუხა მან, მისი ხმა მშვიდი იყო, ყურმილში მესმოდა ვოლვოს ძრავის ხმა, კარგია, რომ მანქანაშია.

– ბელა ,ტელეფონი დაგრჩა, მაპატიე, ჩემი ბრალია, ჯეიკობმა მიგიყვანა სახლამდე?

– კი,- ბუზღუნით ვუთხარი მე, - ძალიან გთხოვ შეგიძლია მოხვიდე და აქედან წამიყვანო?

– უკვე მოვდივარ და რა მოხდა?

– მინდა, რომ კარლაილმა ჩემი ხელი ნახოს, მემგონი მოვიტეხე.

მისაღებიდან აღარ ისმოდა ხმა იმედი მქონდა, რომ ჯეიკობს შერცხვა და წავიდა.

– რა მოხდა? – უკვე აფორიაქებული ხმით იკითხა მან.

– ჯეიკობს დავარტყი.

– კარგია, მაგრამ ვწუხვარ რომ ხელი დაიზიანე.

გამეცინა.

– ძალიან მინდოდა, რომ რამე სტკენოდა, მაგრამ ვერაფერი ვერ ვუყავი.

– ამის გამოსწორება შემიძლია.

– იმედი მქონდა რომ ამას მეტყოდი.

პაუზა ჩამოვარდა.

– ბელა, უცნაურად ლაპარაკობ, რა გააკეთა?

– მაკოცა, - თოთქმის ვიჩხავლე მე.

ყურმილიდან გავიგონე, რომ ედვარდმა სიჩქარეს მოუმატა.

მისაღები ოთახიდან ისევ გავიგონე ჩარლის ხმა.

– ჯეიკობ იქნებ ჯობდეს რომ წახვიდე?

– აქ ვიქნები თუ წინაამღდეგი არ ხარ.

– ეს ნამდვილად შენი დასაფლავება იქნება,- ჩაიბურტყუნა ჩარლიმ.

– ძაღლი ისევ მანდ არის?,- მკითხა ედვარდმა.

– კი.

– უკვე კუთხეში ვარ, - მკაცრად თქვა მან და გათიშა.

ღიმილით დავკიდე ყურმილი. ქუჩაში უკვე ისმოდა მისი მანქანის ხმა, ხმაურით დაამუხრუჭა და მე კარის გასაღებად წავედი.

ედვარდი უკვე კარებშ იდგა.

– მომეცი შევხედო,- მითხრა მან.

ძალიან ფრთხილად შეათვალიერა ჩემი ხელი, ოდნავადაც არ მეტკინა, ხელები ყინულივით ცივი ჰქონდა და ეს ძალიან მესიამოვნებდა.

– მემგონი მართალი ხარ, მართლა მოტეხილია, ვამაყობ შენით, მთელი ძალით დაგირტყავს.

– მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი.

მან ნაზად მაკოცა ხელზე.

– ამას მე მივხედავ,- შემპირდა ის,- ჯეიკობ! – ედვარდის ხმა მშვიდი და გაწონასწორებული იყო.

ოთახიდან ჯერ ჯეიკობი გამოვიდა, მას კი უკან ჩარლი გამოჰყვა.

– არავითარი ჩხუბი, გაიგეთ?, - მიმართა ჩარლიმ მხოლოდ ედვარდს, - შემიძლია ჩემი ნიშანი მივიმაგრო, რომ ეს უფრო ოფიციალურად ჟღერდეს.

– ეს ზედმეტია,- თავშეკავებულად უთხრა ედვარდმა.

– მამა, იქნებ უბრალოდ დამაპატიმრო, მემგონი დღეს მე ვიჩხუბე,- შევთავაზე მე.

ჩარლიმ წარბები აწია.

– ჯეიკობ გინდა მასზე საჩივარი შემოიტანო?- ხუმრობით ჰკითხა მან.

– არა, - გაეცინა ჯიკობს, - შეიძლება მერე მოგვიანებით.

ედვარდმა საშინელი სახე მიიღო.

– მამა, ოთახში მემგონი ბეისბოლის ბიტა გქონდა შეგიძლია მათხოვო?

– გეყოფა ბელა.

– წავიდეთ კარლაილთან, სანამ საკანში არ გამოგკეტეს,- მითხრა ედვარდმა ხელი შემომხვია და გასასვლელისკენ წამიყვანა.

– გადასარევია,- ვუთხარი მე და მივეკარი მას, ეხლა როცა ის ახლოს იყო ხელიც აღარ მაწუხებდა.

უკვე ტროტუარზე ვიყავით, როცა ჩარლის ბურტყუნი გავიგონე, ის ჯეიკობს ეუბნეოდა რაღაცას.

უკან მოვტრიალდი და დავინახე, რომ ის უკან გამოგვყვა, მანამდე კი ჩარლის ცხვირწინ მიუხურა კარები.

თავიდან ედვარდი საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას, უბრალოდ მანქანისკენ მივყავდი, ის მომეხმარა, რომ ჩავმჯდარიყავი, კარი მიმიხურა და მხოლოდ ამის შემდეგ შებრუნდა ჯეიკობისკენ.

აფორიაქებული ვიყურებოდი ღია ფანჯრიდან, ჯეიკობი მშვიდად იდგა და ხელები გულზე ჰქონდა დაწყობილი.

ედვარდმა მშვიდი ტონით დაიწყო საუბარი, რაც ბევრად საშინლად ჟღერდა.

– ეხლა არ მოგკლავ, იმიტომ, რომ ის ინერვიულებს.

– ჰმ, აბა კი, - ჩავიბურტყუნე მე.

– მაგრამ თუ კიდევ ერთხელ დამიბრუნებ მას ასეთ მდგომარეობაში, არ აქვს მნიშვნელობა ეს ვისი ბრალი იქნება, არ მაინტერესებს უბრალოდ ფეხს წამოდებს რამეზე თუ მეტეორი დაეცემა, მოკლედ თუ მას იგივე მდგომარეობაში არ დამიბრუნებ, როგორშიც გაგატან, გპირდები, რომ სამ ფეხზე მოგიწევს სირბილი, გაიგე, ძაღლო?

ჯეიკობმა თვალები გადაატრიალა.

– და ვინ აპირებს მასთან დაბრუნებას?- ვიკითხე მე.

ედვარდმა გააგრძელა.

– და თუ კიდევ როდესმე ეცდები მის კოცნას, გეფიცები, რომ ყბას მოგინგრევ.

– და თუ ეს თვითონ ენდომება?- ამაყად იკითხა ჯეიკობმა.

– ეს თუ მას ენდომება, მაშინ არაფერს არ ვიზავ,- ედვარდი აბსოლუტურად მშვიდი ჩანდა, - მაგრამ დიდხანს მოგიწევს ამის ლოდინი და დაიმახსოვრე რომ ყბა მხოლოდ ერთი გაქვს.

ჯეიკობს გაეცინა.

– იოცნებე მაგაზე,- გავბრაზდი მე.

– ოცნებობს კიდევაც,- ჩუმად თქვა ედვარდმა.

– ჩემს თავში ქექვა თუ დაამთავრე,- გაღიზიანებულად უთხრა ჯეიკობმა,- იქნებ მის ხელს მიხედო.

– და კიდევ ერთი რაღაც, - ნელა წარმოსთქვა ედვარდმა,- მე ვიბრძოლებ მისთვის და ეს შენ ძალიან კარგად იცი.

– კარგი, - უთხრა ჯეიკობმა,- მოსაწყენი იქნებოდა დამარცხებულ მეტოქესთან ბრძოლა.

– ის ჩემია! – ედვარდის ხმა სასტიკი იყო.

– წარმატებებს გისურვებ, იმედია ჩვენს შორის უძლიერესი მამაკაცი მოიგებს.

– კარგად ჟღერს, ლეკვო..

ჯეიკობმა ისევ არ შეიმჩნია მისი ნათქვამი და მე შემომხედა.

– იმედი მაქვს ხელი მალე მოგირჩება, მართლა ძალიან ვწუხვარ რომ ასე მოხდა.

მე ბავშვურად ავარიდე თვალები და არც ამიწევია თავი სანამ ედვარდი არ ჩაჯდა მანქანაში.

– თავს როგორ გრძნობ,- მკითხა ედვარდმა როცა მანქანა დაძრა.

– გაცოფებული ვარ.

მას გაეცინა.

– ხელზე გეკითხები.

მხრები ავიჩეჩე.

– უარესიც ყოფილა.

– მართლაც,-დამეთანხმა ის.

ედვარდმა სახლს შემოუარა და ფარეხში შევიდა, იქ ემეთი და როზალი იყვნენ, როზალი როგორც ყოველთვის ფანტასტიურად გამოიყურებოდა და დიდ ჯიპში იჯდა, რომელიც ემეთს ცალი ხელით ჰქონდა აწეული და აკეთებდა.

ემეთი ინტერესით აკვირდებოდა ედვარდს, როგორ მეხმარებოდა მანქანიდან გადმოსვლაში, მისი თვალები ჩემს ხელზე გაჩერდა, რომელიც გულზე მქონდა მიბჯენილი.

– ბელა, ისევ დაეცი?

გაბრაზებული მზერა ვესროლე.

– არა ემეთ, უბრალოდ ვაერვულფს ვხიე სიფათში.

მან თვალები დაახამხამა და შემდეგ ხმამაღლა გადაიხარხარა.

როცა გვერდზე გავუარეთ როზალის ხმა გავიგე მანქანიდან:

– ჯასპერი მოიგებს სანაძლეოს,- თქვა მან კმაყოფილმა.

ემეთის სიცილი წამში შეწყდა და მან მრავლისმეტყველად შემომხედა.

– რა სანაძლეო?,- ვიკითხე მე და გავჩერდი.

– წამოდი ჯერ კარლაილი ვნახოთ,-დამაჩქარა ედვარდმა და შევამჩნიე რომ ემეთს ოდნავ დაუქნია თავი.

– რა სანაძლეო? – არ შევეშვი მე.

– დიდი მადლობა როზალი,- უთხრა ცივად ედვარდმა, წელზე ხელი შემომხვია და სახლში შემიყვანა.

– ედვარდ!

– ბავშვური ხუმრობაა ბელა, ემეთს და ჯასპერს უყვართ აზარტული თამაშები.

– ემეთი მომიყვება,- ვთქვი მე და შემოტრიალება ვცადე, მაგრამ რა თქმა უნდა ედვარდის ხელებმა ძლიერად დამიჭირეს.

მან ამოისუნთქა.

– ისინი დანიძლავდნენ.. რამდენ შეცდომას დაუშვებ პირველ წელს.

– ოჰჰ.. დავიჭყანე მე და შევეცადე დამემალა შიში, - იმაზე დადეს ნიძლავი თუ რამდენ ადამიანს მოვკლავ?

– კი და როზალი ფიქრობს, რომ შენი ტემპერამენტი ჯასპერის სასარგებლოდ გადაწონის.

ეს უბრალოდ სასაცილო იყო.

– ჯასპერი უკეთესად იგრძნობს თავს თუ შენც გაგიჭირდება მიჩვევა, მას მოსწყინდა ყველაზე სუსტის სახელი,-დაამატა ედვარდმა.

– რა თქმა უნდა, აუცილებლად ჩავიდენ რამოდენიმე მკვლელობას, რომ მან თავი უკეთესად იგრძნოს, რატომაც არა? – ვბურტყუნებდი მე უაზროდ.

ის მომეხვია.

– ამაზე ეხლა ნუ ინერვიულებ და თუ გადაიფიქრებ საერთოდ აღარ მოგიწევს ამაზე ნერვიულობა.

წუწუნი დავიწყე, მაგრამ ედვარდმა იფიქრა, რომ ეს ხელის გამო იყო და უფრო სწრაფად გამაქანა სახლისკენ.

ჩემი ხელი მოტეხილი იყო, მაგრამ ეს არ იყო რთული მოტეხილობა. გიფსი არ მინდოდა და კარლაილმა მითხრა, რომ უბრალო სახვევიც გამოდგებოდა თუ არ მოვიხსნიდი.

საოცარი გამომეტყველება მქონდა და ედვარდს ეგონა, რომ ეს ტკივილისგან იყო და საშინლად განიცდიდა, ყოველ წუთში ვამშვიდებდი, რომ ამაში არ იყო საქმე.

იმ დღიდან, რაც ჯასპერმა საკუთარი ისტორია მომიყვა, ის სულ თავში მიტრიალებდა, ეხლა ეს ისტორიები ისე მკაფიოდ ანათებდა ჩემს თავში, განსაკუთრებით იმის მერე რაც გავიგე რომ ემეთი და ჯასპერი დანიძლავდნენ, საინტერესოა ნეტა რაზე დადეს ნიძლავი? ნეტავ რას იღებდა გამარჯვებული? მათ ხომ ისედაც ყველაფერი ჰქონდათ.

ყოველთვის ვიცოდი, რომ სხვა ვიქნებოდი, იმედი მქონდა, რომ სწრაფი და ძლიერი ვიქნებოდი, როგორც ედვარდმა მითხრა და რაც ყველაზე მთავარია ლამაზი და აღარ შემრცხვება მის გვერდით დგომა, ვცდილობდი არ მეფიქრა სხვა რამეზე, ველურობაზე, სისხლის წყურვილზე. იქნებ მართლა ვერ შევიკავებ თავს ადამიანების მკვლელობისგან, უცნობი ხალხის, რომელთაც ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ, მე ის ურჩხული გავხდები, რომელიც მათ ყველაფერს წაართმევს.

მაგრამ სიმართლე ის იყო რომ ამისი დიდად არ მეშინოდა, იმიტომ რომ ედვარდს ვენდობოდი, ვიცოდი, რომ ყველაფრისგან დამაკავებდა, რაც შეიძლება მერე ვინანო, ვიცოდი, რომ ანტარქტიდაზეც კი წამიყვანდა თუ ვთხოვდი და მე ყველაფერს გავაკეთებდი რომ კარგი ვამპირი ვყოფილიყავი.

ედვარდი ნერვიულობდა, რომ არცერთი ადამიანური მოვლენა არ გამომეტოვებინა იქამდე, ეს სულელურად მეჩვენებოდა, მე ამ შეგრძნებებიდან არაფერი არ მომენატრებოდა, მე ხომ მის გვერდით ვიქნები, მეტი რა უნდა მინდოდეს?

მე მის სახეს ვუყურებდი, სანამ ის კარლაილს აკვირდებოდა, ამ ქვეყანაზე არ იყო არაფერი რაც მასზე მეტად მინდოდა.

არსებობდა კი რომელიმე ადამიანური წუხილი, რომელზეც არ მინდოდა უარის თქმა?

თავი 16

ეპოქა

– არაფერი მაქვს ჩასაცმელი,- ვეწუწუნებოდი მე საკუთარ თავს.

თაროებიდან და ყუთებიდან ამოვყარე ტანსაცმელი და ყველაფერი საწოლზე დავყარე, კარადის სიცარიელეს მივაშტერდი, თითქოს იქ უცებ გაჩნდებოდა რამე.

ჩემი ხაკისფერი ქვედაბოლო სავარძლის ზურგზე იყო გადაკიდებული და ელოდებოდა, როდის აღმოვაჩენდი რამეს მის შესაფერისს, რაღაც ისეთს რაშიც ლამაზი და ასაკით უფრო დიდი გამოვჩნდებოდი, ბევრი ვეძებე მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ მოვნახე.

უკვე გასასვლელი ვიყავი და ჩემი საყვარელი სპორტული ტანსაცმელი მეცვა, ალბად ამითი მომიწევდა გამოსაშვებზე წასვლა, დაღვრემილი ვუყურებდი ტანსაცმლის გროვას ჩემს საწოლზე.

საქმე იმაში იყო, რომ ზუსტად ვიცოდი რასაც ჩავიცმევდი, ადგილზე რომ ყოფილიყო, ეს წითელი ბლუზი იყო, რომელიც სამწუხაროდ მოიპარეს, ჯანმრთელი ხელი მივარტყი კედელზე.

– შტერი, მომაბეზრებელი, ქურდი ვამპირი! – დავიყვირე გამწარებულმა.

– რა დავაშავე? - მკითხა ელისმა.

ის ღია ფანჯრის რაფაზე იჯდა, თითქოს აქ იყო სულ.

– კაკუ, კაკუ, - დაამატა მან ღიმილით.

– ელის, ნუთუ ასეთი ძნელია დამელოდო სანამ კარებს გავაღებ?

მან ბრტყელი თეთრი ყუთი ისროლა საწოლზე.

– მაღაზიასთან ახლოს ვიყავი, ვიფიქრე, რომ ტანსაცმელი დაგჭირდებოდა, აღიარე, რომ შენი გადამრჩენელი ვარ.

– შენ ჩემი გადამრჩენელი ხარ, მადლობა.

– მიხარია, რომ რაღაცას მაინც ვაკეთებ კარგს, თავი ისეთი უსარგებლო მგონია ამ ბოლოს დროს, ნეტავ რატომ ვერ ვხედავ შენს ქურდს, ან იმას რა ხდება სიეტლში? - თქვა მან და მოიწყინა.

როგორც კი ელისმა ეს ორი სიტუაცია ერთ წინადადებაში მოაქცია გონება გამინათდა, ეს უცნაური აზრი აქამდეც მაწუხებდა, მაგრამ მხოლოდ ახლა მივხვდი რა იყო ეს, ელისს გაოგნებული სახით მივაშტერდი.

– არ აპირებ ამის გახსნას? – მკითხა მან, შემდეგ თვითონ ვერ მოითმინა და სწრაფად გახსნა ყუთი, იქიდან რაღაცა ამოაძრო, მაგრამ ვერც კი ვხედავდი ეს რა იყო.

– კარგია არა? ცისფერი შევარჩიე, იმიტომ, რომ ედვარდს უყვარს როცა ეს ფერი გაცვია.

არც ვუსმენდი.

– ეს ყველაფერი ერთი და იგივეა,- ჩავიჩურჩულე მე.

– რა არის ერთი და იგივე?,- მკითხა მან, - შენ არაფერი არ გაქვს მსგავსი და საერთოდ ძალიან ცოტა ტანსაცმელი გაქვს.

– არა, ელის, დაივიწყე ტანსაცმელი, მომისმინე!

– არ მოგწონს?

– ელის ნუთუ ვერ მიხვდი? ის ვინც აქ იყო და ჩემი ტანსაცმელი მოიპარა და ვამპირები სიეტლიდან, ყველანი ერთად მოქმედებენ!

ელისს ტანსაცმელი გაუცურდა ხელიდან და ისევ ყუთში ჩავარდა, ის მაშინვე დასერიოზულდა.

– ასე რატომ გგონია?

– გახსოვს, ედვარდი ამბობდა, რომ ვიღაცა იყენებდა იმას, რომ შენ ახალშობილებს ვერ ხედავდი? მერე შენც ამბობდი, რომ დრო კარგად იყო შერჩეული, ჩემმა სტუმარმაც იცოდა ეს და ისეთ დროს მოვიდა, რომ ვერავის შეემჩნია, არამგონია ეს დამთვევა იყოს, ეს ორ ადამიანს ვერ ეცოდინება, აქ ერთია გარეული, რომელიც ამ ჯარს ქმნის, ზუსტად მან მოპარა ჩემი ტანსაცმელი.

ელისის გაკვირვება რთული იყო, ის უბრალოდ გაიყინა და მე გონებაში ვითვლიდი სანამ ველოდებოდი, ორი წუთის შემდეგ მან ისევ შემომხედა.

– მართალი ხარ,- თქვა მან ცარიელი ხმით.

– ედვარდმა ყველაფერი არასწორედ გაიგო,- გავაგრძელე მე, - ეს შემოწმება იყო, მათ აინტერესებდათ შესძლებდნენ თუ არა აქ ასე ადვილად შემოღწევას, მან ჩემი ტანსაცმელი წაიღო, იმის დასამტკიცებლად, რომ მიპოვა და კიდევ იმისთვის, რომ სხვებსაც სცოდნოდათ ჩემი სუნი.

– ოჰ, არა, - ძალიან ჩუმად თქვა ელისმა.

– ეხლა მშვიდად ვარ, უკვე ვიცი, რომ ეს ჩემს გამო ხდება და არავის არ უნდა კალენების განადგურება.

– ძალიან ცდები, თუ ფიქრობ, რომ ეს რამეს ცვლის, - თქვა მან გაბრაზებულმა, - თუ ისინი, რომელიმე ჩვენთაგანისთვის მოდიან მაშინ ყველასთან ექნებათ საქმე.

– მადლობთ, ელის, მაგრამ კარგია, რომ ვიცით ვისთვის მოდიან.

ელისი არ მისმენდა, ის წინ და უკან დადიოდა ოთახში.

კარებზე დააკაკუნეს, მე შევხტი ელისმა კი ვერც გაიგო.

– ჯერ არ ხარ მზად? დაგვაგვიანდება, - აბუზღუნდა ჩარლი, ისიც უხალითოდ ჩანდა, იმიტომ რომ არც მას უყვარდა გაპრანჭვა.

– თითქმის, ერთი წუთიც მაცადე, - ვოქვი მე დაბნეულად.

– შენ რა სტირი?

– არა, უბრალოდ ვნერვიულობ, გადი.

გავიგონე, როგორ ხმაურიანად ჩავიდა კიბეებზე.

– უნდა წავიდე, - თქვა ელისმა.

– რატომ?

– ედვარდი მოვა მალე და ამას რომ გაიგებს..

– წადი, წადი! – უცებ მივხვდი მე, ედვარდი ალბად გაცოფდებოდა ამას რომ გაიგებდა და დიპლომების გადაცემის ცერემონიალი ნამდვილად არ იყო ამისთვის საუკეთესო ადგილი.

– სწრაფად ჩაიცვი ეს! -მიბრძანა ელისმა დ ფანჯრიდან გადახტა.

მაშინვე ჩავიცვი, თმის გაკეთებაც მინდოდა, მაგრამ დრო აღარ იყო, ასე რომ როგორც ყოველთვის გაშლილი მქონდა, ამას ეხლა არ ჰქონდა მნიშვნელობა, სარკეში ჩახედვაც კი არ მინდოდა, ხელზე გადავიკიდე საშინელი, ყვითელი გამოსაშვების მანტია და ქვევით ჩავედი.

– კარგად გამოიყურები, ეს ახალია?,- მკითხრა ჩარლიმ.

– აჰა, ელისმა მომცა.

რამოდენიმე წუთში ედვარდიც მოვიდა, დრო არ მეყო რომ დავმშვიდებულიყავი, მაგრამ იმის გამო, რომ ჩარლის მანქანით მივდიოდით ვერაფერი ვერ მკითხა.

ჩარლის საშინლად უნდოდა ჩემთან ერთად წამოსვლა და მისი გაგება შემეძლო, მშობლები მიჰყვებოდნენ ხოლმე შვილებს გამოსაშვებზე, ედვარდმა კი შესთავაზა, რომ ყველანი ერთად წავსულიყავით, ჩარლიმ ვერავითარი მიზეზი ვერ პოვა, რომ ამაზე უარი ეთქვა და დათანხმება მოუწია, ამიტომ ედვარდი ეხლა პოლიციელის ჯიპის უკანა სავარძელზე იჯდა ბედნიერი გამომეტყველებით და როცა ჩარლი დრო და დრო გახედავდა ხოლმე, მისი ღიმილი სულ უფრო მეტად ფართოვდებოდა, ალბად იმიტომ, რომ მამაჩემი იმაზე ფიქრობდა, რაც მე ძალიან არ მომეწონებოდა.

– ბელა, ყველაფერი რიგზეა? – მკითხა ედვარდმა როცა მანქანიდან გადმოსვლაში მეხმარებოდა.

– ვნერვიულობ, - ვუპასუხე მე და ეს მართალი იყო.

– მშვენიერი ხარ,- მითხრა მან.

მას კიდევ უნდოდა რაღაცის დამატება მაგრამ რა თქმა უნდა ჩარლიმ არ დააცადა.

– ძალიან ნერვიულობ?,- მკითხა ჩარლიმ.

– არც ისე.

– ბელა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ეხლა შენთვის მთელი სამყარო ღიაა, დამოუკიდებელი ცხოვრება.. , შენ აღარ ხარ ჩემი პატარა შვილი, - ჩარლიმ ვერ გააგრძელა, თითქოს რაღაცამ მოუჭირა ყელში.

– მამა, ნუ იქნები ასეთი სენტიმენტალური.

– კარგია, რომ ელისი წვეულებას მართავს, ცოტას გაერთობი.

– ხო, წვეულება ზუსტად ის არის რაც მინდოდა.

ჩარლის გაეცინა.

მე და ედვარდი სპორტული დარბაზიდან შევედით, ჩარლის კი სხვა მშობლებთან ერთად მოუწია ცენტრალური შესასვლელისკენ მისვლა.

მისის კოუპი და მისტერ ვარნერი ძალიან ცდილობდნენ გვარების მიხედვით დავეყენებინეთ, მაგრამ ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

– სალამი ბელა!

შემოვტრიალდი და ჯესიკა სტენლი დავინახე, რომელიც რიგის ბოლოდან მიქნევდა ხელს.

ედვარდმა სწრაფად მაკოცა და უკან წავიდა, რომ იმათთან დამდგარიყო, ვინც ასო კ-ზე იყო, ელისი იქ არ იყო, ნეტავ რას აპირებდა? გამოსაშვების გაცდენას?

– ბელა აქ მოდი! – კიდევ ერთხელ დამიძახა ჯესიკამ.

რიგის ბოლოში წავედი, რომ მის უკან დავმდგარიყავი, ძალიან მაინტერესებდა ასე უცებ როგორ გაიღვიძა მასში მეგობრობულმა გრძნობამ, როცა ახლოს მივედი, შევამჩნიე, რომ ანჯელაც, რომელიც ოდნავ მოშორებით იდგა ასევე გაოგნებული აკვირდებოდა.

– რა საოცრებაა,- დაიწყო ჯესიკამ, - ასე მგონია, რომ სულ ეხლახანს გავიცანით ერთმანეთი და უკვე ერთად ვამთავრებთ სკოლას, გჯერა რომ ყველაფერი დამთავრდა? ყვირილი მინდა!

– მეც,- ჩავიბურტყუნე მე.

– გახსოვს შენი პირველი დღე ამ სკოლაში, მაშინვე დავმეგობრდით, როგორც კი ერთმანეთი დავინახეთ, ეხლა კი მე კალიფორნიაში მივდივარ, შენ კი ალიასკაში და ძალიან მომენატრები! უნდა შემპირდე, რომ ვნახავთ ხოლმე ერთმანეთს, ისე მიხარია, რომ ეხლა წვეულება გაქვს, იმიტომ რომ ჩვენ ძალიან ცოტა დროს ვატარებდით ერთად.

ჯესიკა გაუჩერებლად ლაპარაკობდა, ვიცოდი, რომ ეს უაზრო სიტყვები იყო და უბრალოდ გამოსაშვების ემოციებს უკავშირდებოდა, გათიშული ვუსმენდი, სანამ ჩემს ყვითელ მანტიას ვიცმევდი, მიხაროდა, რომ ჯესიკასთან ურთიერთობა კარგად მთავრდებოდა, ჩვენ ეხლა ყველანი რაღაცას ვიტოვებდით უკან და მე ალბად ყველაზე მეტს.

ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდებოდა, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ აჩქარების ღილაკს დავაწექი, როგორც კი დირექტორმა ლაპარაკი დაამთავრა, ჩვენი გამოძახება დაიწყო გვარების მიხედვით, ყველას ერთი სული ჰქონდა როდის დაიჭერდნენ ხელში დიპლომებს, მისის კოუპი მთლიანად დაფარული იყო ატესტატებით და ვერც კი ასწრებდა გვარების მოძებნას.

უცებ საიდანღაც ელისიც გაჩნდა სცენაზე, მან თავის დიპლომი აიღო, ედვარდი კი დაბნეული მიჰყვებოდა უკან, მარტო მათ უხდებოდათ ეს საზიზღარი ყვითელი მანტია, ყველასგან გამოირჩეოდნენ ელეგანტურობით, არც კი მესმოდა, როგორ სჯეროდა ხალხს, რომ ისინი ადამიანები იყვნენ, ალბად ანგელოზებიც კი ნაკლებად შესამჩნევები იქნებდნენ მათ ფონზე.

გავიგონე როგორ გამოაცხადა მისტერ გრინმა ჩემი გვარი, უხერხულად ვიგრძენი ჩემი თავი, როცა ჩემი სახელი გავიგონე, უკან გავიხედე და ჯეიკობი და ბილი დავინახე, ორივე უსტვენდა და ყვიროდა, ბილიც აქ იყო, სხვა გზა არ მქონდა და ზრდილობიანად გავუღიმე სამივეს.

– გილოცავთ, მისის სტენლი,- უთხრა მისტერ გრინმა ჯესიკას, როცა დიპლომი მიაწოდა.

– გილოცავთ მისის სვონ, - მითხრა და დიპლომი გადმომცა.

– მადლობთ, - ჩუმად ვუპასუხე მე.

ჯესიკას გვერდზე დავდექი იქ, სადაც ყველა მოსწავლე შეიკრიბა, მას თვალები ჰქონდა დაწითლებული და მანტიის სახელოთი იწმინდავდა, წამში მივხვდი რომ ტიროდა.

მისტერ გრინმა რაღაც თქვა და გარშემო ყველამ ყვირილი დაიწყო, ქუდების წვიმა წამოვიდა, ჩემი ქუდი საკმაოდ გვიან მოვიხსენი და უბრალოდ ძირს დავაგდე.

– ოჰ, ბელა, - ქვითინებდა ჯესიკა, - არ მჯერა, რომ სკოლა დავამთავრეთ.

– მეც არ მჯერა, რომ ყველაფერი დამთავრდა.

– უნდა შემპირდე, რომ არ დავკარგავთ კავშირს,- მითხრა მან და ჩამეხუტა.

– მიხარია, რომ გაგიცანი ჯესიკა, ეს კარგი ორი წელი იყო.

– ზუსტად, - მითხრა მან და მაშინვე ლორენისკენ გაიქცა.

მინდოდა ანჯელასთვის და ბენისთვის მიმელოცა, მაგრამ ისინი ნათესავებით იყვნენ გარშემორტყმულები და ეს ამბავი გადავდე.

კისერი წავიგრძელე, რომ ელისი მეპოვა ხალხში.

– გილოცავ, - ყურში ჩამჩურჩულა ედვარდმა და წელზე შემომხვია ხელები.

– მადლობთ.

– რაღაც ვერ გატყობ, რომ დამშვიდდი,- შეამჩნია მან.

– ჯერ არა.

– რა გაწუხებს? წვეულება? ეს სულაც არ არის საშიში.

– მართალი ხარ.

– ვის ეძებ?

რა თქმა უნდა ის ამას შეამჩნევდა.

– ელისს, სად არის?

– როგორც კი ატესტატი აიღო, გაიქცა.

ედვარდის ხმა უცნაურად ჟღერდა, ის დაბნეულად იყურებოდა სპორტული დარბაზის გასავლელისკენ.

– ელისზე ნერვიულობ? – ვკითხე მე.

– ეე..... მას არ უნდოდა პასუხის გაცემა.

– რაზე ფიქრობდა, რომ მისი აზრები არ წაგეკითხა?

ედვარდმა უცნაურად შემოხედა.

– ჯერ რესპუბლიკური საბრძოლო ჰიმნი გადაჰყავდა არაბულ ენაზე და როცა დაამთავრა კორეულ ენაზე გადავიდა.

ნერვიულად გამეცინა.

– ეს კი დააკავებდა მის გონებას.

– შენ იცი ელისი რასაც მიმალავს, - განმიცხადა მან.

– კი, იმიტომ რომ ეს მე აღმოვაჩინე.

ედვარდი სულ მთლად დაიბნა.

აქეთ-იქით მიმოვიხედე და დავინახე, რომ ჩარლი გვიახლოვდებოდა და ამიტომ ვიჩქარე თქმა.

– ელისი წვეულების ბოლომდე შეეცდება ამის დამალვას, არ გაგიჟდე და ნუ მიაქცევ ყურადღებას, კარგი? ყოველთვის ჯობია, როცა მეტი იცი, ეს როგორღაც დაგვეხმარება.

– ბელა, რაზე ლაპარაკობ?

– ოღონდ არ ინერვიულო კარგი?

მან თავი დამიქნია.

შევეცადე ჩურჩულით ამეხსნა ყველაფერი.

– მემგონი შენ შეგეშალა, როცა იფიქრე რომ ყველა მხრიდან გვემუქრებოდა საფრთხე, მემგონი ის მხოლოდ ერთი მხრიდან მოდის და მარტო ჩემზეა გათვლილი, მარტო ერთი არსება ურევს ელისის ხილვებს, უცხო ვამპირი ჩემს ოთახში, ახალშობილები, ჩემი ტანსაცმლის გაქრობა, ეს ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, მათ ჩემი სუნი სჭირდებოდათ, არავინ არ მოდის თქვენს მოსაკლავად, გესმის? თქვენ არავინ არაფერს არ დაგიშავებთ და ეს უკვე კარგია.

ედვარდი კიდევ უფრო გათეთრდა და შოკირებული სახით მიყურებდა, მაშინვე მიხვდა, რომ მართალი ვარ.

– დამშვიდდი,- ვუთხარი მე და ლოყაზე დავადე ხელი.

– ბელა!- იყვირა ჩარლიმ როცა ჩვენამდე მოაღწია,- გილოცავ!

უკვე ჩვენს გვერდით იყო და მაინც ყვიროდა, ის ჩამეხუტა და ზურგი შეაქცია ედვარდს.

ედვარდს შევხედე, მას ისევ ჩემსკენ ჰქონდა ხელები გამოწეული თითქოს ჩემს დაჭერას და წაყვანას აპირებდა.

– ჯეიკობს და ბილის წასვლა მოუწიათ, დაინახე ხომ? ისინი აქ იყვნენ,- მკითხა ჩარლიმ.

– კი, გავიგონე როგორ ყვიროდნენ.

– ძალიან კარგი იყო მათი მხრიდან, რომ მოვიდნენ.

– ხო..

ედვარდისთვის ყველაფრის მოყოლა ცუდი იდეა აღმოჩნდა, ელისი სწორედ იქცეოდა, რომ უმალავდა, ეს მაშინ უნდა მეთქვა როცა მარტონი ვიქნებოდით, ან კიდევ მის ოჯახთან ერთად, მისმა გამომეტყველებამ შემაშინა, სახე დაჭიმული ჰქონდა გაბრაზებისგან.

– სად გინდა რომ ვისადილოდ? ამოირჩიე, - მითხრა ჩარლიმ.

– შემიძლია მე გავამზადო.

– ნუ სულელობ ბელა, იქნებ "მონადირის სახლში" წავიდეთ?

სულაც არ მომწონდა ჩარლის საყვარელი რესტორანი, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა, ეხლა მაინც ვერაფერს შევჭამდი.

– კარგი იქ წავიდეთ.

ჩარლიმ გამიღიმა და შემდეგ ედვარდისკენ შებრუნდა.

– შენც მოდიხარ ედვარდ?

თვალებით ვცდილობდი მენიშნებინა, რომ წამოსულიყო.

– არა, მადლობთ,- ცივად და მშრალად უპასუხა ედვარდმა.

ჩარლი გააკვირვა მისმა უხეშობამ, მაგრამ ის ამას იმსახურებდა.

– მშობლებთან ერთად მიდიხარ სადმე? – არ შეეშვა ჩარლი.

– დიახ, დიდი ბოდიში უნდა წავიდე, - თქვა ედვარდმა და წავიდა, იმდენად სწრაფად, რომ შემეშინდა არავის შეემჩნია.

– ასეთი რა ვთქვი? – მკითხა ჩარლიმ.

– არ ინერვიულო მამა, შენ არაფერ შუაში ხარ.

– თქვენ რა კიდევ იჩხუბეთ?

– არავის არ უჩხუბია, სხვის საქმეში ნუ ძვრები.

– ზუსტად შენ ხარ ჩემი საქმე.

– წავიდეთ რესტორანში.

“მონადირის სახლი” სავსე იყო ხალხით, თითქმის ყველა აქ მოდიოდა ხოლმე მნიშვნელოვანი თარიღების აღსაღნიშნად. სანამ ჩარლი მიირთმევდა, მე ირმის ფიტულს ვაშტერდებოდი, საშინელი ხმაური იყო, დანარჩენი ბავშვებიც აქ იყვნენ მშობლებთან ერთად და ყველა ხმამაღლა ლაპარაკობდა.

ზურგით დავჯექი ფანჯარასთან, დარწმუნებული ვიყავი, რომ ედვარდი იქ იყო და მიყურებდა, მაგრამ მე მაინც ვერ დავინახავდი, ვიცოდი, რომ ერთი წამითაც არ დამტოვებდა დაცვის გარეშე, მითუმეტეს იმის შემდეგ რაც ვუთხარი.

დრო საშინლად იწელებოდა, ჩემი ბურგერი ავიღე და ვცდილობდი ჩარლის დასანახად მაინც მეჭამა, ნერვიულად ვუყურებდი საათს.

როგორც იქნა ჩარლიმ გადაიხადა და მაშინვე ავდექი.

– გეჩქარება? - მკითხა მან.

– ელისს მინდა მივეხმარი წვეულებასთან დაკავშირებით.

– კარგი, - მითხრა მან და თავის ნაცნობებთან მივიდა, რომ დამშვიდობებოდა.

მე გამოვედი და მის მანქანას მივეყუდე, უკვე ბნელოდა და ჰაერი ისეთი მძიმე იყო თითქოს წვიმას აპირებდა.

რაღაცა გამოძრავდა ჩრდილში.

გაშეშებული ვიდექი სანამ დავინახე, რომ ეს ედვარდი იყო.

მან სიტყვაც არ მითხრა, მომიახლოვდა და მომეხვია, ცალი ხელით ჩემი სახე დაიჭირა და მაკოცა, მიუხედავად იმისა, რომ მისმა კოცნამ სუნთქვა გამიჩერა, მაინც ვგრძნობდი, რომ დაძაბული იყო.

– როგორ ხარ? – ვკითხე მე როცა სუნთქვის საშუალება მომცა.

– არც ისე კარგად,- ჩუმად თქვა მან, - მაგრამ უკვე ავიყვანე ჩემი თავი ხელში, მაპატიე, რომ თავი ვერ შევიკავე ჩარლისთან.

– ეს ჩემი ბრალია, უნდა მომეთმინა, სულ ტყვილად გითხარი.

– არა, ეს უნდა მცოდნოდა, არც კი მჯერა, რომ ჩემით ვერ მივხვდი.

– შენი თავი ისედაც სავსეა პრობლემებით.

– და შენი არა?

მან არ მაცადა, რომ მეპასუხა სწრაფად მაკოცა და გაიწია.

– ჩარლი მოდის!

– მას ვთხოვე რომ თქვენს სახლამდე მიმიყვანოს.

– მაშინ უკან გამოგყვებით.

მინდოდა მეთქვა, რომ ეს არ იყო აუცილებელი, მაგრამ ის უკვე შორს იყო.

– ბელა?- დამიძახა ჩარლიმ როცა რესტორნიდან გამოვიდა.

– აქ ვარ მამა.

– აბა რა შეგრძნებები გაქვს? - მკითხა მან როცა უკვე გზაში ვიყავით,- დღეს მნიშვნელოვანი დღე იყო.

– კარგად ვგრძნობ თავს,- მოვიტყუე მე.

ჩარლის გაეცინა, მშვენივრად მიცნობდა.

– წვეულებაზე ნერვიულობ?

– აჰა,-მოვიტყუე მე კიდევ ერთხელ.

ამჯერად ვერ შეამჩნია.

– არასდროს არ გიყვარდა წვეულებები.

– ნეტავ ვის დავემსგავსე? – ვთქვი მე ჩემთვის.

– მართლა კარგად გამოიყურები, ვწუხვარ, რომ მე თვითონ ვერ მოვიფიქრე რამე მეყიდა შენთვის, მაპატიე.

– ნუ სულელობ მამა.

– ეს სისულელე არ არის, ვგრძნობ, რომ ყოველთვის იმას ვერ ვაკეთებ შენთვის რაც საჭიროა.

– ესეც სისულელეა, ყველაფერს ძალიან კარგად აკეთებ, შენ ყველაზე კარგი მამა ხარ ქვეყანაზე და მე მართლა ბედნიერი ვარ, რომ აქ ჩამოვედი შენთან საცხოვრებლად, ეს ყველაზე კარგი გადაწყვეტილება იყო ჩემს გადაწყვეტილებებს შორის, ასე რომ ნუ ნერვიულობ.

– შეიძლება, მაგრამ სადღაც მაინც შემეშალა, შეხედე შენს ხელს! არ მეგონა თუ იმის სწავლება დამჭირდებოდა, როგორ უნდა დაარტყა ვინმეს.

მე ხელს შევხედე, რომელიც უკვე თითქმის აღარც მაწუხებდა.

– მე მეგონა ჯეიკობის მხარეს იყავი?

– არ აქვს მნიშვნელობა ვის მხარეზე ვარ, თუ ვინმე შენი ნებართვის გარეშე გკოცნის, უნდა შეგეძლოს თავის დაცვა ისე, რომ საკუთარი თავი არ დაიზიანო, ცერა თითი ხომ მუშტის შიგნით გქონდა?

– მამა, არამგონია, რომ აქ გაკვეთილები დამეხმარებოდა, ჯეიკობს ძალიან მკვრივი თავი აქვს.

ჩარლის გაეცინა.

– სხვა დროს მუცელში დაარტყი.

– სხვა დროს?

– ასეთი მკაცრიც ნუ იქნები, მაინც პატარაა ჯერ.

– ის აუტანელია მამა.

– მაგრამ ის ჯერ კიდევ შენი მეგობარია.

ამოვიოხრე.

– ვიცი, მამა, მაგრამ მართლა არ ვიცი ეხლა როგორ მოვიქცე.

ჩარლიმ თავი დამიქნია.

– ყოველთვის არ არის ადვილი გადაწყვეტილების მიღება, ზოგჯერ ის, რაც ერთი ადამიანისთვის კარგია, მეორესთვის ცუდია ხოლმე, ასე რომ წარმატებას გისურვებ გადაწყვეტილების მიღებაში.

– მადლობთ,-ვთქვი მე და დავიჭყანე.

ჩარლის ისევ გაეცინა.

– თუ წვეულება კონტროლიდან გამოვა..

– არ ინერვიულო მაგაზე, მამა, კარლაილი და ესმეც იქ იქნებიან, თუ გინდა შენც შეგიძლია წამოხვიდე.

ჩარლიმ საოცარი სახე მიიღო და ამიტომ აღარ დავაძალე, მას ჩემსავით არ უყვარდა ხალმრავლობა.

– სად უნდა შევუხვიო?- მკითხა მან, - გზის გაწმენდა არ აწყენდათ, ამ სიბნელეში არაფერი ჩანს.

– შემდეგ შესახვევში, მართალი ხარ, არაფერი ჩანს.

ელისმა ყველა მოსაწვევს რუქა დაურთო და დიდი იმედი მქონდა, რომ ბევრი მაინც ვერ მიაგნებდა მათ სახლს.

როგორც კი გადავუხვიეთ ყველაფერი გამოჩნდა, ვიღაცას, გზის ორივე მხარეზე ფერადი მოციმციმე ნათურებით მოურთავს ხეები, მართლაც საოცარი სანახავი იყო.

– ეჰ, ელის, ელის,- ვთქვი მე ჩუმად.

– ვაუ..-გაოცდა ჩარლი.

თითქმის ყველა ხე განათებული იყო და მათ დიდ და თეთრ კალენების სახლთან მივყავდით.

– ის არაფერს აკეთებს სანახევროდ ხომ? – ჩურჩულებდა ჩარლი ჯერ კიდევ გაოგნებული.

– ხო.. დარწმუნებული ხარ რომ წამოსვლა არ გინდა მამა?

– აბსოლუტურად, მიდი და გაერთე.

– მადლობთ, მამა.

ჩარლი ჯერ კიდევ ფხუკუნებდა როცა წავიდა, მე ვუყურებდი მის მანქანას და ჩემს ფიქრებზე გამეღიმა.

დიდი სუნთქვა ავიღე და კიბეებს ავუყევი, უნდა ამეტანა ჩემი წვეულება.

თავი 17

ალიანსი

– ბელა!

უკან ედვარდის ხმა გავიგონე და მოვბრუნდი, ის უკვე ჩემს წინ იდგა და თმა ჰქონდა აჩეჩილი სირბილისგან.

როგორც ოცი წუთის წინ რესტორნის ავტოსადგომთან, ეხლაც არ მაცადა ამოსუთქვა და მაკოცა.

ამ კოცნამ შემაშინა, ის ისევ დაძაბული იყო, თითქოს ეშინოდა, რომ ძალიან ცოტა დრო გვრჩებოდა.

ამაზე არ უნდა მეფიქრა, მომდევნო რამოდენიმე საათი მაინც, ამიტომ მე თვითონ გამოვეცალე.

– მოდი მოვიშოროთ ეს უაზრო წვეულება,- ვუთხარი მე და თვალები დავმალე.

მან ჩემი სახე ხელებში მოიქცია და მიცდიდა სანამ შევხედავდი.

– არ დავუშვებ, რომ რამე დაგემართოს.

ჯანმრთელი ხელის თითებით შევეხე მის ტუჩებს.

– საკუთარ თავზე არ ვნერვიულობ.

– ნეტავ ეს რატომ არ მაკვირვებს? – ბუზღუნით თქვა მან, შემდეგ მოდუნდა და გამიღიმა.

– მზად ხარ ახსაღნიშნად? – მკითხა მან.

პასუხის მაგივრად უცნაური ხმა გამოვეცი.

მან შესასვლელი კარები გააღო და შიგნით შემიყვანა. როცა შევედი ადგილზე გავიყიდე და თავი გავიქნიე გაკვირვებისგან.

– შეუძლებელია.

ედვადმა მხრები აიჩეჩა.

– ელისი - ელისია.

კალენების სახლი ღამის კლუბს დაემსგავსა და თან ისეთს, რომელსაც ალბათ მარტო ტელევიზორში თუ ნახავდი.

– ედვარდ! – დაიძახა ელისმა, რომელიც გიგანტურ გამაძლიერებელთან იდგა,- შენი რჩევა მჭირდება, -თქვა მან და დისკების მთაზე მიანიშნა, - რა ჩავრთო? მათთვის ნაცნობი ხმაურიანი მუსიკა, თუ კლასიკური მუსიკით გავანათლო?

– ჯობია თანამედროვე ჩართო,- ურჩია ედვარდმა.

ელისმა თავი დაუქნია და ის დისკები, რომელიც აღარ სჭირდებოდა ყუთებში ჩაყარა, რა თქმა უნდა მან გამოცვლაც მოასწრო, საოცრად გამოიყურებოდა ვერცხლისფერ ბრჭყვიალა ტოპში და წითელ ტყავის შარვალში. მისი კანი საოცრად ბზინავდა კლუბურ იასამნისფერ შუქში.

– მემგონი ჩემი ტანსაცმელი არ შეეფერება ამ სიტუაციას,- ავწუწუნდი მე.

– გადასარევად გამოიყურები,- არ დამეთანხმა ედვარდი.

– წავა რა.. – დაამატა ელისმა.

– მადლობთ, მართლა ფიქრობ რომ ხალხი მოვა,- ვკითხე მე, მაგრამ საპირისპირო მინდოდა.

ელისი მიხვდა და დაიჭყანა.

– ყველა მოვა,- მიპასუხა ედვარდმა, - მათ საშინლად აინტერესებთ როგორია შიგნიდან კალენების იდუმალი სახლი.

– გადასარევია..

ჩემი დახმარება სულაც არ იყო საჭირო, მაინც ვერაფერს გავაკეთებდი ელისზე კარგად, ყოველშემთხვევაში იქამდე სანამ სწრაფი გავხდებოდი.

ედვარდი ერთი წამით არ მტოვებდა მარტოს, ხელჩაჭიდებულს დამათრევდა ოთახიდან ოთახში, ჯერ ჯასპერს ეძებდა, შემდეგ კი კარლაილს, რა თქმა უნდა ორივეს მოუყვა ჩემი ვერსიის შესახებ, გაგიჟებული ვუსმენდი მათ გეგმებს, თუ როგორ აპირებდნენ სიეტლში წასვლას თავდასხმისთვის, ჯასპერი ძალიან დათრგუნული ჩანდა, იმიტომ, რომ იცოდა ძალები რამდენად არათანაბრად იქნებოდა გადანაწილებული.

არ შემეძლო გვერდზე დარჩენა და იმის ლოდინი დაბრუნდებოდნენ თუ არა, ვიცოდი, რომ ჭკუიდან გადავიდოდი.

კარებზე დარეკეს.

უცებ ყველაფერი ძალიან ნორმალური გახდა, დაძაბულობა კარლაილის სახეზე გაქრა და ის თბილმა ღიმილმა შეცვალა, ელისმა ხმამაღლა ჩართო მუსიკა და ცეკვა-ცეკვით წავიდა კარის გასაღებად.

ეს ჩემი მეგობრები იყვნენ, ალბათ ცალ-ცალკე მოსვლის შეეშინდათ და ამიტომ ყველა ერთად მოვიდა, პირველი კარებში ჯესიკა იდგა, მის უკან კი მაიკი, ტაილერი, კონერი, ლი, სამანტა და ლორენი იდგნენ, ყველას თვალები ცნობისმოყვარეობით ანათებდა, კინაღამ გული წაუვიდათ როცა უზარმაზარ ოთახში შემოვიდნენ, მაგრამ ის არ იყო ცარიელი, კალენები უკვე თავის ადგილებზე იდგნენ და მზად იყვნენ თავიანთი ყოველდღიური როლები ეთამაშათ, იმ საღამოს მეც ისე ვიქცეოდი, როგორც ისინი.

მათთან მივედი, რომ მივსალმებოდი და იმედი მქონდა, რომ ჩემს დაბნეულ ხმას წვეულების სიხარულს დაუკავშირებდნენ, ამ დროს კიდევ დარეკეს, ეს ანჯელა ბენი, ერიკი და კეტი იყვნენ.

პანიკაში ჩავარდნის დრო არ მქონდა, უნდა მომეკრიბა ყურადღება და სტუმართმოყვარე დიასახლისივით მოვქცეულიყავი, იმის მიუხედავად, რომ ეს წვეულება ელისს უფრო ეძღვნებოდა, მაინც მარტო მე მილოცავდნენ, იმიტომ, რომ კალენები ძალაინ უცნაურად გამოიყურებოდნენ ამ შუქზე და მათთან მისვლის ეშინოდათ, ემეთი ყველაზე სასაცილო იყო, საოცარი გამომეტყველებით დადიოდა და ყველა ერიდებოდა.

მემგონი ელისმა ეს სპეციალურად გააკეთა, რომ ყურადღების ცენტრში მე ვყოფილიყავი, ის სულ მაიძულებდა ისე მოვქცეულიყავი, როგორც მისი აზრით უნდა მოქცეულიყვნენ ადამიანები.

უკვე ნათელი იყო, რომ წვეულება შედგა, ატმოსფერო თითქოს გიპნოზში გაგდებდა, იმით თუ ვიმსჯელებთ რამდენად სწრაფად გაქრა საჭმელი, ე.ი ისიც საკმაოდ კარგი იყო, ოთახი სავსე იყო ხალხით და ყველა ცეკვავდა.

ყველაფერი არც ისეთი რთული იყო, როგორც მეგონა, ელისის რჩევა გავითვალისწინე და ვცდილობდი არავინ არ დამეტოვებინა უყურადღებოდ, ალბათ ფორქსს ჯერ არც ახსოვდა მსგავსი ღონისძიება, ელისი ღიღინებდა კმაყოფილებისგან.

მთელი ოთახი შემოვიარე და ბოლოს ჯესიკასთან მივედი, ის რაღაცას ქაქანებდა, მაგრამ ამ ხმაურში ვერ ვარჩევდი რას.

ედვარდი ისევ ჩემს გვერდით იყო და არაფრით მტოვებდა, ამიტომ ცოტა გამიკვირდა, როცა მან ხელი გამიშვა და გაიწია.

– აქ იყავი, მალე დავბრუნდები, - მითხრა ყურში.

მან გრაციოზულად გაიარა ბავშვებს შორის, არც კი შეხებია მათ, მზერით გავაცილე და ვცდილობდი გამერკვია სად წავიდა, ამ დროს ჯესიკა მიჭერდა ხელით და რაღაცას გაჰყვიროდა მუსიკის ფონზე.

დავინახე როგორ მივიდა სამზარეულოს კარებამდე და ვიღაცის თავზე დაიხარა, თითის წვერებზე ავიწიე, ამ დროს შუქმა გაიელვა ელისის ბრჭყვიალა ზედატანზე და ეს საკმარისი იყო.

– ბოდიში ჯესს, ერთი წუთით უნდა გავიდე, - ჩავიბურტყუნე მე და გავეცალე.

როგორც იქნა მივაღწიე სამზარეულომდე, მაგრამ იქ მარტო ელისი დამხვდა, მისი სახე ცარიელი იყო, თითქოს რაღაც საშინელი დაინახა, ცალი ხელით კარების სახელურს ებღაუჭებოდა.

– რა არის ელის? რა დაინახე? – ვკითხე მე შეწუხებულმა.

მან არ შემომხდა, სადღაც შორს იყურებოდა, მის მზერას გავყევი და დავინახე, რომ მან ედვარდის მზერა დაიჭირა ოთახის მეორე ბოლოდან, მისი სახე ქვასავით იყო, ის შეტრიალდა და გაქრა.

ამის შემდეგ ზარი გაისმა, ელისმა საშინლად გაცოფებულმა გაიხედა კარისკენ.

– ვინ დაპატიჟა ვაერვულფი? – მეცა ის მე.

თავი ჩავღუნე.

– ჩემი ბრალია.

მე მეგონა ბოლო ამბების შემდეგ ჯეიკობი ვერ გაბედავდა მოსვლას.

– თუ მასეა, მაშინ მიდი და მიხედე, მე კარლაილი უნდა ვნახო,- მითხრა ელისმა.

– არა, ელის მოიცადე!, მინდოდა დამეჭირა, მაგრამ რა თქმა უნდა ვერ შევძელი.

– ჯანდაბა! – ვიღრიალე მე.

სხვა გზა არ მქონდა და კარის გასაღებად წავედი, გზა და გზა ელისს ვათვალიერებდი ბნელ ოთახში.

– სალამი,ბელა! - ჯეკობის ხმა მაშინ გაჟღერდა, როცა მუსიკა ცოტათი მიჩუმდა.

საოცარი გამომეტყველება მქონდა.

იქ ერთი კი არა სამი ვაერვულფი იყო, ჯეკობის შემდეგ ქუილი და ემბრი შემოვიდნენ, ორივე დაძაბული იყო და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, ემბრი ჯერ კიდევ კარის სახელურს ეჭიდებოდა, თითქოს ყოველ წამს მზად იყო გასაქცევად.

ჯეიკობი სხვებზე მშვიდად გამოიყურებოდა, თუმცა ეტყობოდა, რომ აქ ყოფნა საშინელება იყო მისთვის, ხელი დავუქნიე და ელისის საძებრად ვაპირებდი წასვლას.

არვიცი საიდან გაჩნდა, მაგრამ მოახერხა და შემაბრუნა თავისკენ, ჯანმრთელი ხელით დამიჭირა და გამიყვანა ხალხიდან.

– მეგობრული მიღება,- მითხრა მან.

ხელი გამოვგლიჯე და გაბრაზებულმა შევხედე.

– აქ რას აკეთებ?

– შენ დამპატიჟე აღარ გახსოვს?

– თუ ჩემი დარტყმა ცუდი ნამიოკი იყო, მაშინ მოდი გადაგითარგმნი, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოპატიჟება აღარ იყო ძალაში.

– ნუ სულელობ, საჩუქარი მოგიტანე სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით.

ხელები გულზე გავიწყვე, არ მინდოდა ეხლა ჯეიკობთან ჩხუბი, იმის ცოდნა მინდოდა რა დაინახა ელისმა და ეხლა რაზე ლაპარაკობდნენ ის, კარლაილი და ედვარდი.

ჯეიკობს ყურადღებას არ ვაქცევდი და კისერი მქონდა წაგრძელებული, რომ რომელიმე მაინც დამენახა.

– ჯეიკობ დააბრუნე უკან რაც იყიდე, ეხლა არ მცალია..

ის ჩემს წინ დადგა, რომ შემეხედა მისთვის.

– უკან ვერ დავაბრუნებ, ეს არ მიყიდია, მე თვითონ გავაკეთე და ამის გასაკეთებლად დიდი დრო დავხარჯე.

ისევ ზურგი შევაქციე, მაგრამ მაინც ვერცერთი კალენის დანახვა ვერ შევძელი, ნეტავ სად წავიდნენ?

– ბელა, გეყოფა, თავს ნუ იკატუნებ თითქოს აქ არ ვარ.

– ჯეიკობ თავს არ ვიკატუნებ, მართლა ბევრი საქმე მაქვს.

მან ნიკაპში მომკიდა ხელი და მაიძულა რომ მისთვის შემეხედა.

– შეგიძლიათ თქვენი ძვირფასი დრო დამითმოთ მისის სვონ?

ხეები გავაწევინე.

– ხელები გააჩერე ჯეიკობ! – ვუყვირე მე.

– ბოდიში! - მოკლედ მითხრა მან და ხელები ზევით ასწია, - მართლა ძალიან ვწუხვარ იმ დღევანდელზეც, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, არ უნდა მეკოცნა შენთვის, ჩემს თავს ვატყუებდი და სულ ეს იყო, მეგონა ეს შენც გინდოდა.

– რა კარგია, რომ მიხვდი!

– ბელა, მე ხომ პატიებას გთხოვ..

– კარგი, გაპატიე, ეხლა კი ბოდიში, მაგრამ უნდა წავიდე.

– კარგი,- ჩუმად თქვა მან, მისი ხმა უცებ სხვანაირი გახდა, გაკვირვებული მოვტრიალდი, ის ქვევით იყურებოდა და თვალებს მალავდა.

– ალბად შენს ნამდვილ მეგობრებთან უნდა იყო,- მითხრა მან გულდაწყვეტილმა, - ყველაფერი მესმის.

– ჯეიკობ, კარგი რა, ასე ნუ ამბობ.

– აბა რა ვთქვა?

ის ისევ არ მიყურებდა.

– ეი, შენ თქვი, რომ რაღაცა გაქვს ჩემთვის, სად არის ჩემი საჩუქარი? – ყველანაირად ვცდილობდი ენთუზიაზმი გამომემჟღავნებინა, მაგრამ არ გამომივიდა.

ჯეიკობმა თვალები გადატრიალა.

– გელოდები! – ვუთხარი მე და ხელი გავწიე წინ.

მან შარვლის უკანა ჯიბიდან პატარა ფერადი ტომარა ამოიღო, რომელიც ბევრი თასმებით იყო შეკრული და ხელის გულზე დამიდო.

– ოი, ლამაზია ჯეიკობ, მადლობა!

– ბელა, საჩუქარი შიგნით არის.

– ოჰ..

რა თქმა უნდა გახსნასთან პრობლემა შემექმნა, ჯეიკობმა ტომარა გამომართვა და თვითონ გასხნა, შემდეგ იქიდან რაღაც ვერცხლისფერი ამოიღო და მომცა.

– სამაჯური მე არ გამიკეთებია, მხოლოდ ის რაც ზედ ჰკიდია.

ეს სამაჯური იყო, ზედ კი რაღაც ხის ფიგურა იყო ჩამოკიდებული, თითებით ვატრიალებდი, რომ გამერკვია რა იყო, საოცრება იყო, როგორ შეეძლო ამ პატარა

ფიგურას ამდენი დეტალი დაეტია თავის თავზე, ეს არანორმალურად რეალისტური მინიატურული მგელი იყო, რომელიც მოწითალო ხისგან იყო გამოჭრილი, ისეთივე ფერის, როგორიც ჯეიკობი იყო.

– ის მშვენიერია,- ჩურჩულით ვთქვი მე,- შენ გააკეთე?

მან მხრები აიჩეჩა.

– ბილიმ მასწავლა, მას ეს ჩემზე უკეთ გამოსდის.

– არ მჯერა, რომ ამაზე კარგიც არსებობს,- ვთქვი მე და პაწაწინა მგელს ვატრიალებდი თითებში.

– მართლა მოგეწონა?

– კი! ძალიან.

მან გამიღიმა, მაგრამ მისი ღიმილი სევდიანი იყო.

– ვიფიქრე, რომ ეს ნივთი ზოგჯერ მაინც გაგახსენებს ჩემს თავს.

ამაზე არაფერი მითქვამს.

– მომეხმარე გაკეთებაში.

მარჯვენა ხელი სახვევში მქონდა, ამიტომ მარცხენა გავუშვირე, მან ადვილად შეკრა საკეტი თავისი დიდი ხელებით.

– ატარებ მას?

– რა თქმა უნდა.

ეხლა მან ისე გაიღიმა, როგორც მიყვარდა, როცა ასე იღიმებოდა ბედნიერი იყო.

რამოდენიმე წუთის მერე ისევ დავიწყე აქეთ-იქით ყურება, რომ ედვარდი და ელისი მეპოვა.

– რატომ ხარ ასეთი აფორიაქებული?,- მკითხა ჯეიკობმა.

– არ ვარ აფორიაქებული, - მოვიტყუე მე,- კიდევ ერთხელ მადლობა საჩუქრისთვის.

– ბელა, რაღაც მოხდა ხომ?

– ჯეიკობ.. მე.. არა, არაფერი.

– ნუ მატყუებ, მაინც არ გამოგდის, ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა ხდება! – გადავიდა ის მრავლობით რიცხვზე.

ალბად ის მართალი იყო, ვაერვულფებს ნამდვილად დააინტერესებდათ ის რაც ხდებოდა, მაგრამ მე არ ვიცოდი ეს ბოლომდე, ჯერ ელისი უნდა მენახა.

– ჯეიკობ მოგიყვები, მაგრამ მაცადე ჯერ გავიგო რა მოხდა კარგი? ელისი უნდა ვნახო.

– ნათელმხილველმა დაინახა რამე?

– ხო, ზუსტად მაშინ როცა შენ მოხვედი.

– ეს იმ სისხლისმელზეა შენს ოთახში რომ იყო? – მკითხა მან ბოხი ხმით.

– კი, ესეც კავშირშია.

ის ერთი წუთი ფიქრობდა და ჩემს სახეს სწავლობდა.

– რაღაც იცი და არ მეუბნები, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი.

რა აზრი ჰქონდა ტყვილის თქმას, ის მშვენივრად მიცნობდა.

– კი.

ჯეიკობმა ჯერ მე შემომხედა, შემდეგ კი თავის მეგობრებს, რომლებიც შესასვლელთან იდგნენ, მათ მისი გამომეტყველება დაინახეს და მაშინვე ჩვენსკენ წამოვიდნენ.

ბავშვები ისევ აგრძლებდენენ ცეკვას, კარგია, რომ ვერავინ ვერაფერს ამჩნევდა.

– ეხლა ამიხსენი, - მოითხოვა ჯეიკობმა, როცა ქუილი და ემბრი მოგვიახლოვდნენ, ისინი გაკვირვებულები უყურებდნენ ხან მას, ხან მე.

– ჯეიკობ, ჯერ ყველაფერი არვიცი, - თავს ვიმართლებდი მე და ისევ ოთახს ვათვალიერებდი, მათ თითქოს კუთხეში მიმიმწყვდიეს.

– მაშინ რა იცი დანამდვილებით?

სამივემ გულზე დაიწყო ხელები, საოცარი სანახავები იყვნენ.

შემდეგ ელისი დავინახე, რომელიც კიბეებზე ჩამოდიოდა.

– ელის! – შვებით ამოვთქვი მე.

ხმაურიანი ბასების ფონზე მან მაინც გაიგონა ჩემი ხმა და შემომხედა, ენერგიულად დავუქნიე ხელი და მის სახეს ვაკვირდებოდი, როცა მან ჩემს გვერდით სამი მგელი დაინახა, ის შეშინებული და შეწუხებული სახით მოგვიახლოვდა.

ჯეიკობი, ქუილი და ემბრი უკმაყოფილოები იდგნენ, ოღონდ უკვე რამოდენიმე მეტრის მოშორებით.

– უნდა გელაპარაკო,- მითხრა ელისმა ყურში.

– ე.. ჯეიკობ, მოგვიანებით განახავ, - ვუთხარი მე და შევტრილდი.

ჯეიკობი წინ გადმოხტა და გზა გადაგვიღობა.

– ეი, მოიცადეთ.

ელისს თვალები გაუფართოვდა გაკვირვებისგან.

– ვერ გავიგე?

– გვითხარი რა ხდება! – მომთხოვნი ტონით მიმართა მას ჯეიკობმა.

ერთ წამში ჯასპერიც გაჩნდა და ჯეიკობის გვერდზე დადგა მრისხანე სახით.

– ჩვენ გვაქვს უფლება ვიცოდეთ, - აგრძელებდა ჯეიკობი.

ჯასპერი მის და ელისს შორის ჩადგა.

– ეი, ეი! – ვთქვი მე ისტერიულად, - ეს წვეულებაა ხომ არ დაგავიწყდათ?

არავინ არ მომაქცია ყურადღება, ჯეიკობი ელისს უყურებდა, ჯასპერი კი მას. უცებ ელისი ისევ ჩაფიქრდა.

– ყველაფერი რიგზეა, ჯასპერ, ის მართალია.

ჯასპერი ისევ თავის პოზიციაზე იდგა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთი წამიც და ჩემით თავი გასკდებოდა ცნობისმოყვარეობისგან.

– რა დაინახე ელისს?

ელისი ჩემსკენ შემობრუნდა.

– გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

– სიეტლში მიდიხართ?

– არა.

ვიგრძნები როგორ გავფითრდი.

– ისინი მოდიან აქ? – ნელა ამოვთქვი მე.

კვილეტები ჩუმად გვაკვირდებოდნენ, სამივეს ხელები უკანკალებდა.

– კი.

– ფორქსში?

– კი.

– და..?

– ერთს შენი წითელი ბლუზი მოაქვს.

შევეცადე გული არ წამსვლოდა.

ჯასპერი უკმაყოფილო იყო, ალბად იმის გამო, რომ ამ თემაზე ლაპარაკი მგლებთან უწევდა, მაგრამ აშკარად რაღაც უნდა ეთქვა.

– ჩვენ ვერ მივცემთ უფლებას ასე ახლოს მოვიდნენ, მაგრამ ძალიან ცოტანი ვართ ამისთვის, რომ ქალაქი დავიცვათ.

– ვიცი, - წაშლილი სახით უპასუხა ელისმა, - არ აქვს მნიშვნელობა სად გავაჩერებთ, ისინი მოგვერევიან და მაინც მოაღწევენ აქამდე.

– არა! – ჩავიჩურჩულე მე.

წვეულების ხმაური ფარავდა ჩვენს ემოციებს, ყველანი ჩვენს გარშემო, ჩემი მეგობრები, მეზობლები, მტრები, რომლებიც იცინოდნენ და ცეკვავდნენ, ვერც კი ხვდებოდნენ რა ელოდათ და ეს ყველაფერი ჩემს გამო.

– ელისს, - ვთქვი მე კიდევ უფრო ჩუმად, - უნდა წავიდე, უნდა გავაღწიო აქედან.

– აზრია არ აქვს, მაინც აქ მოვლენ პირველად.

– მაშინ მე უნდა შევხვდე მათ, იქნებ იმას თუ იპოვიან რაც უნდათ სხვას არაფერს დაუშავებენ!

– ბელა! – აღშფოთდა ელისი.

– მოიცადეთ,- დაბალი, მრისხანე ხმით თქვა ჯეიკობმა, - რა მოდის აქ?

ელისი მისკენ შებრუნდა.

– ჩვენნაირები, ოღონდ საკმაოდ დიდი რაოდენობით.

– რატომ?

– ბელასთვის, ეს ერთადერთია რაც ვიცით.

– ბევრნი არიან თქვენთვის?

– ჩვენ მეტი შესაძლებლობები გვაქვს, ეს თანაბარი ბრძოლა იქნება,- უპასუხა ჯასპერმა.

– არა, - თქვა ჯეიკობმა და უცნაური ღიმილი გაიშალა მის სახეზე, - ეს არ ქნება თანაბარი ბრძოლა.

– გადასარევია! – თქვა ელისმა.

ყველანი ელისს მივაშტერდით, მისი სახე აღარ იყო შეშფოთებული, თოთქოს მას იმედი გაუჩნდა, მან და ჯეიკობმა გაუღიმეს ერთმანეთს.

– რა თქმა უნდა, ეხლა ყველაფერი გაქრა, უთხრა მას ელისმა, - ვიცი ეს უხერხულია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას რაც ხდება, თანახმა ვარ.

– უნდა შევათანხმოთ ჩვენი მოქმედებები,- უთხრა ჯეიკობმა, - ეს ადვილი არ იქნება, მაინც ეს ჩვენი სამუშაო უფრო არის, ვიდრე თქვენი.

– ეს ასე შორს არ წავა, მაგრამ დახმარება მართლა გვჭირდება, არაფერზე არ დავიწუწუნებთ.

– ეი, ეი, ეი, ეი... – შევაწყვეტინე მე.

ელისი და ჯაიკობი თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს.

– ე.ი მოქმედებები შევათანხმოთ?

ჯეიკობი ჩემსკენ შემობრუნდა.

– შენ რა მართლა ფიქრობდი, რომ არ ჩავერეოდით? – მკითხა მან.

– თქვენ არ ჩაერევით! – ვიყვირე მე.

– შენი ნათელმხილველი ასე არ ფიქრობს.

– ელის უარი უთხარი! ისინი ხომ ყველას მოკლავენ!

ჯეიკობა, ქუილმა და ემბრიმ ხმამაღლა გადაიხარხარეს.

– ბელა, - მომმართა ელისმა, - ცალ-ცალკე ყველა შეიძლება მოგვკლან, მაგრამ ერთ..

– ერთად, - გააგრძელა ჯეიკობმა,- ყველაფერი უფრო ადვილი იქნება.

– რამდენი? – მოუთმენლად იკითხა ქუილმა.

– რაოდენობა იცვლება, დღეს ოცდაერთია, მაგრამ ალბად კიდევ დაიკლებს.

– რატომ? – დაინტერესდა ჯეიკობი.

– გრძელი ისტორიაა, -თქვა ელისმა და გარშემო მიმოიხედა, - და აქ ამის მოყოლის ადგილი არ არის.

– შემდეგ, გვიან? – არ შეეშვა ჯეიკი.

– დიახ, - უპასუხა ჯასპერმა, - ჩვენ უკვე დავგეგმეთ სტრატეგიული შეხვედრა, თუ ჩვენთან ერთად აპირებთ ბრძოლას, მაშინ რამოდენიმე ინსტრუქცია დაგჭირდებათ.

მგლებმა უკმაყოფილო სახეები მიიღეს.

– არა, - ვაგრძელებდი მე წუწუნს.

– ეს უცნაური იქნება, - გააგრძელა ჯასპერმა, - ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ერთად ვიმუშავებდით, ეს პირველად მოხდება.

– ეჭვის გარეშეა, - დაეთანხმა ჯეიკობი,- სემთან უნდა დავბრუნდეთ, რომელ საათზე მოვიდეთ?

– რომელი საათია შენთვის ძალიან გვიანი?

– რომელ საათზე? – გაიმეორა მან.

– სამზე?

– აქ?

– მიახლოებით თხუთმეტ კილომეტრში ჩრდილოეთისკენ, სადაც რეინჯერების საგუშაგოა, დასავლეთიდან მოდით და იპოვით ჩვენს კვალს.

– იქ ვიქნებით.

ისინი შებრუნდნენ, რომ წასულიყვნენ.

– მოიცადე ჯეიკობ! – ვიყვირე მე, - ეს არ გააკეთო!

ის გაჩერდა და თვითკმაყოფილი სახით შემომხედა, დანარჩენები უკვე მოუთმენლად იდგნენ კარებში.

- ნუ მაცინებ ბელს, ეს უფრო ძვირფასი საჩუქარია ჩემთვის, ვიდრე ის რაც მე გაჩუქე.

– არა! – ისევ ვიყვირე მე, ელექტროგიტარის ხმაურმა გადაფარა ჩემი ხმა.

მან არ მიპასუხა და თავის მეგობრებს გაჰყვა, საცოდავად გავაყოლე თვალები.

თავი 18

ინსტრუქციები

– ეს ყველაზე გრძელი წვეულება იყო მსოფლიო ისტორიაში,- ვწუწუნებდი მე გზაში.

ედვარდს არც უფიქრია ჩემთან კამათი.

– ეხლა ის დამთავრდა, - მითხრა მან და ხელზე მაკოცა.

მე ერთადერთი ვიყავი, ვისაც დაწყნარება სჭირდებოდა, ედვარდი და დანარჩენი კალენები გადასარევად გრძნობდნენ თავს და ყველა ერთად მამშვიდებდა, რა თქმა უნდა ჯასპერმა თავის ნიჭი გამოიყენა ამითვის, ელისმა თავზე ხელი გადამისვა, ესმემ შუბლზე მაკოცა და შემპირდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, ემეთმა რა თქმა უნდა ბევრი იხარხარა. ჯეიკობის გადაწყვეტილება იმედს აძლევდა მათ, რამოდენიმე კვირიანი სტრესის შემდეგ ყველა ეიფორიაში იყო, ეხლა ყველას სჯეროდა, რომ მოიგებდნენ.

წვეულება კარგად დამთავრდა, ნამდვილი დღესასწაული იყო, ოღონდ ჩემთვის არა.

საშინელება იყო იმაზე ფიქრი, რომ კალენებს ჩემს გამო უნდა ებრძოლათ, ეს იმაზე მეტი იყო ვიდრე მე შემეძლო მომეთმინა.

ჯეიკობი და მისი სულელი და მოუთმენელი მეგობრებიღა მაკლდა, ისინი ხომ ჯერ სულ პატარები იყვნენ, ერთი სული ჰქონდათ როდის გაჩაღდებოდა ბრძოლა,

ამას ისე უყურებდნენ, თითქოს პიკნიკზე აპირებდნენ წასვლას, ჩემი ნერვები უკვე ზღვარზე იყო, არვიცი კიდევ რამდენ ხანს ჩავახშობდი ყვირილის სურვილს.

– დღეს ღამე თან წამიყვან, - ვთქვი მე ჩურჩულით.

– ბელა, შენ დაიღალე.

– გგონია შევძლებ დაძინებას?

ედვარდი გაიბუსხა.

– ეს ექსპერიმენტია, არვიცი შევძლებთ თუ არა შეთანხმებას და არ მინდა რომ ეპიცენტრში აღმოჩნდე.

– შენ თუ არ წამიყვან, ჯეიკობს დავურეკავ.

ვიცოდი, რომ ეს არ უნდა მეთქვა, მაგრამ ედვარდმა სხვა გზა არ დამიტოვა, აუცილებლად უნდა ვყოფილიყავი იქ.

მან არ მიპასუხა.

– ზევით განახავ,- ვუთხარი მე, როცა უკვე სახლთან ვიყავით.

ფეხაკრეფით შევედი სახლში, ჩარლის მისაღებში ჩასძინებია დივანზე და ისე ხმამაღლა ხვრინავდა, რომ ვერაფერი გააღვიძებდა, მთელი ძალით შევანჯღრიე.

– მამა ! ჩარლი !

თვალები არ გაახილა, მაგრამ ბუზღუნი დაიწყო.

– მამა, უკვე სახლში ვარ, აქ ზურგს იტკენ, წადი და შენს ლოგინში გადაწექი.

დიდხანს მომიწია მისი ნჯღრევა, ბოლოს როგორც იქნა ავაყენე და საწოლამდე მისვლაში დავეხმარე, ალბად ამ ღამეს არ დამიწყებდა ძებნას.

სანამ ვიცვლიდი და ედვარდი ჩემს ოთახში მიცდიდა, საცოდავი გამომეყველებით მაკვირდებოდა, როგორ ვკიდებდი კარადაში ელისის ნაჩუქარ ტანსაცმელს.

– მოდი აქ,- ვუთხარი მე, ხელი მოვკიდე და საწოლზე გადმოვათრიე, შემდეგ გვერდზე მივუწექი და თავი დავადე გულზე, მან პლედში გამახვია და პატარა ბავშვივით ჩამიხუტა.

– გთხოვ, დამშვიდდი.

– როგორ არა..

– ბელა ყველაფერი კარგად დამთავრდება, ამას ვგრძნობ.

მისგან საოცარი სიმშვიდე მოდიოდა, ჩემს გარდა არავინ ნერვიულობდა, რომ ჯეიკობი და მისი მეგობრები დაშავდებოდნენ.

– მომისმინე ბელა, -გააგრძელა მან,- ეს ძალიან ადვილი იქნება, ჩვენ მათ საკმაოდ გავაკვირვებთ, წარმოდგენაც კი არ აქვთ, რომ ვაერვულფები არსებობენ, მგლების ბრძოლის წესი საკმაოდ დააბნევთ მათ და ვერაფერს ვეღარ მოიმოქმედებენ.

– რა მარტივია.. – ჩავიბურტყუნე მე.

– აი, ნახავ, ეხლა კი დაწყნარდი.

ედვარდმა იავნანის სიმღერა დაიწყო, მაგრამ მან ამჯერად ვერ დამამშვიდა.

არ ვიცოდი რა მექნა, როგორ დავხარებოდი მათ, ალბად ამისთვის მომენტი უნდა დამეჭირა. ვერ დავიძინე და ჩემდა გასაკვირად, დრო საკმაოდ სწრაფად გავიდა.

ედვარდი წამოიწია.

– დარწმუნებული ხარ რომ სახლში ყოფნა და გამოძინება არ გინდა?

მჟავე სახით შევხედე, მან ამოიოხრა, შემდეგ ზურგზე მომიკიდა და ფანჯრიდან გადახტა.

როდესაც დიდ ველამდე მივაღწიეთ მისი ოჯახი უკვე იქ იყო, ყველა მშვიდად ელაპარაკებოდა ერთმანეთს, დრო და დრო სიჩუმეს ემეთის სიცილი არღვევდა, ედვარდმა მიწაზე დამსვა და ხელი ჩამჭიდა.

მთვარე ღრუბლებში იმალებოდა და საკმაოდ ბნელოდა, ამიტომ დრო დამჭირდა, რომ მივმხვდარიყავი სად ვიყავით, ეს ბეისბოლის მოედანი იყო, ის ადგილი სადაც

ერთი წლის წინ ჯეიმსს და მის კლანს გადავეყარეთ, უცნაური იყო ისევ აქ ყოფნა, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ისინიც უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, იმიტომ, რომ ჯეიმსი და ლორანი აღარ იყვნენ ცოცხლები.

ვიქტორია ყოველთვის ბუნებრივ სტიქიად მიმაჩნდა, მისი მოქმედებების გათვლა შუძლებელი იყო და არანაირ პროგნოზს არ ექვემდებარებოდა.

– იცი რას ვფიქრობ? – ვკითხე მე ედვარდს.

მას გაეცინა.

– არა, რას ფიქრობ?

– მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი კავშირშია, ორი კი არა სამი რამ.

– დამაბნიე..

– იმის შემდეგ რაც დაბრუნდი სამი რაღაც მოხდა – ახალშობილები სიეტლში, უცნობი ჩემს ოთახში და ყველაზე მთავარი, ვიქტორია ისევ გამოჩნდა და მეძებს.

ედვარდმა თვალები მოჭუტა და ჩაფიქრდა.

– ასე რატომ გგონია?

– იმიტომ, რომ ჯასპერი მართალია, ვოლტურები იცავენ თავიანთ კანონებს, მათ რომ სდომოდათ უკვე დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი, გახსოვს, როცა ვიქტორიას კვალს ეძებდი შარშან?

– კი და მაშინ დიდად არ გამიმართლა.

– ელისმა მითხრა, რომ ტეხასში იყავი, იქ ეძებდი?

– კი.. ჰმ..

– აი ხედავ, სწორედ იქ მოუვიდოდა ეს იდეა, მან ჯერ არ იცის რას აპირებს და ზუსტად ამიტომ არიან ახალშობილები არეულები და ამიტომ ვერ ხედავს მათ ელისი.

ედვარდმა უარყოფითად გაიქნია თავი.

– მარტო არომ იცის, როგორ შეუძლია ელისს წინასწარმეტყველება.

– შეიძლება არომ ყველაზე კარგად იცის, მაგრამ თავისუფლად შეიძლება ეს ტანიამ, ირინამ და დანარჩენმა თქვენმა მეგობრებმაც იცოდნენ, ლორანი ხომ დიდხანს ცხოვრობდა მათთან და ვიქტორიასთანაც მეგობრობდა, რატომ გგონია, რომ არ მოუყვებოდა?

– შენს ოთახში ვიქტორია არ ყოფილა.

– ახალ მეგობრებს ვერ შეიძენდა? დაფიქრდი ამაზე ედვარდ, თუ სიეტლში მან იმუშავა, მაშინ ყველა ეს ვამპირი მისი შექმნილი გამოდის.

ის ჩაფიქრდა.

– ჰმ, შეიძლება მართალიც იყო, მაგრამ მე ჯერ კიდევ ვოლტურებზე მაქვს ეჭვი, შენს თეორიაშიც არის რაღაც, იმიტომ, რომ ის ზუსტად შეერეფერება ვიქტორიას ბუნებას, მან თავიდანვე თავდაცვის საოცარი უნარი გამოავლინა. ყველა შემთხვევაში ჩვენი მხრიდან ეს გეგმა მას არაფერს დააკლებს, თუ ის ახალშობილებს უფლებას აძლევს ყველაფერი გაანადგურონ რაც გზაზე შეხვდებათ, ვოლტურებიც კი ვერაფერს დაუშავებენ. წესით მას ერთი უფროსი მეგობარი მაინც უნდა ყავდეს, ახალშობილი არ დატოვებდა მამაშენს ცოცხალს. შეიძლება მართლაც ასე იყოს, ამიტომ ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, ისე დღეს ძალიან მიხვედრილი ხარ, ეს შტაბეჭდილებას ახდენს.

გამეცინა.

– ალბათ ჩემზე ეს ადგილი ახდენს ზემოქმედებას, აქ რომ ვარ, ვგრძნობ, თითქოს ვიქტორიაც აქ არის და მითვალთვალებს.

ამ აზრმა დაძაბა ედვარდი.

– ის ვერასდროს მოგეკარება ბელა, ალბად ძალიან ბევრს გავიღებდი იმისთვის, რომ მეპოვა, იმ შანსისთვის, რომ მე მომეღო მისთვის ბოლო.

გამაჟრიალა მისი მრისხანე ხმისგან, ხელი ჩავავლე მის ხელს, მინდოდა იმდენად ძლიერი ვყოფილიყავი, რომ ერთი წუთითაც არ გამეშვა.

ჩვენ უფრო ახლოს მივედით მის ოჯახთან, შევამჩნიე რომ ელისი ისე ოპტიმისტურად აღარ გამოიყურებოდა, როგორც მანამდე, ის მოშორებით იდგა და აკვირდებოდა როგორ ემზადებოდა ჯასპერი ვარჯიშისთვის.

– რა სჭირს ელისს? – ვიკითხე მე.

ედვარდმა მხრები აიჩეჩა.

– მგლები გზაში არიან და მას არ შუძლია იმის დანახვა რა მოხდება, თავს ისე გრძნობს როგორც ბრმა.

ელისი შორს იყო მაგრამ ედვარდის სიტყვები გაიგონა და ენა გამოუყო. ედვარდს გაეცინა.

– სალამი ედვარდ, სალამი ბელა, - მოგვესალმა ემეთი, - უფლებას მოგცემს, რომ შენც გაიარო პრაქტიკა?

– გთხოვ, ემეთ, იდეებს ნუ აწვდი,- აბუზღუნდა ედვარდი.

– სტუმრები როდის მოვლენ? – ჰკითხა კარლაილმა ედვარდს.

– ერთ წუთში, მაგრამ მე მომიწევს მათი მოსმენა და თარგმნა, იმდენად არ გვენდობიან ჯერ, რომ ადამიანის ფორმაში მოვიდნენ.

კარლაილმა თავი დაუქნია.

– ეს რთულია მათთვის, მე მაინც მადლობელი ვარ რომ მოდიან.

თვალები გამიფართოვდა და ედვარდს შევხედე.

– ისინი მგლის ფორმაში მოვლენ?

მან თავი დამიქნია.

სულ ორჯერ ვნახე ჯეიკობი ამ მდგომარეობაში და ეს ორივე შემთხვევა ძალიან ცუდად მახსენდებოდა.

უცნაური ცეცხლი გაჩნდა ედვარდის თვალებში, თითქოს მისთვის სასიამოვნო ამბავი გაირკვა, სანამ მეტის დანახვას შევძლებდი ის დანარჩენებს მიუბრუნდა.

– მოემზადეთ! ისინი მოდიან.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ელისმა.

– სიჩუმე.. თქვა ედვარდმა და მის უკან სიბნელეს მიაშტერდა.

უცებ არეულად მდგარი კალენები ხაზზე გასწორდნენ, ჯასპერი და ემეთი პირველები იდგნენ, ვიცოდი ედვარდსაც უნდოდა მათ გვერდით დგომა, ხელი მოვუჭირე რომ არ წასულიყო, თითქოს ამას აზრი ჰქონდა.

ტყეში ვიყურებოდი, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი.

– ჯანდაბა, -ჩურჩულით თქვა ემეთმა, - გინახავთ რამე მსგავსი?

ესმემ და როზალიმ გაოგნებულებმა გადახედეს ერთმანეთს.

– რა? - ვიკითხე მე ჩუმად, - ვერაფერს ვერ ვხედავ.

– ხროვა გაიზარდა, - მითხრა ედვარდმა ყურში.

ნუთუ მე არ მომიყოლია, რომ ქუილიც შეუერთდა ხროვას? შევეცადე ექვსი მგელი გამერჩია სიბნელეში, როგორც იქნა რაღაცამ გაიელვა ხეებს შორის, სულ დამვიწყებია რამხელები იყვნენ ვაერვულფები, როგორც ცხენები, ოღონდ დიდი კუნთებით და ბეწვით.

ჯერ მხოლოდ მათ თვალებს ვხედავდი და როცა კარგად ვაკვირდებოდი, რომ სხვა რამეც დამენახა, მივხვდი, რომ ჩვენ ექვს წყვილზე მეტი თვალი გვიყურებდა, რამოდენიჯერ გადავითვალე, ისინი ათნი იყვნენ.

– წარმოუდგენელია, - ძალიან ჩუმად თქვა ედვარდმა.

კარლაილი ნელა გავიდა წინ, მისი მოძრაობები ფრთხილი და კარგად მოფიქრებული იყო, ნამდვილად იმსახურებდა ნდობას.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, - მიესალმა ის უხილავ მგლებს.

– მადლობთ,- თქვა ედვარდმა უცნაური, დაბალი ხმით და მივხვდი, რომ ეს სემის სიტყვები იყო, ვუყურებდი ჩემს წინ განათებულ ორ უზარმაზარ თვალს.

ედვარდმა ისევ გააგრძელა ლაპარაკი სემის მაგივრად.

– ჩვენ გიყურებთ და მოგისმენთ, სხვა არაფერი, ეს ერთადერთია რაც შეგვიძლია.

– ეს იმაზე მეტია, ვიდრე საჭიროა, -უპასუხა კარლაილმა,- ჩემს შვილს, ჯასპერს გამოცდილება აქვს ამ სფეროში, ის გვასწავლის, როგორ იბრძვიან ისინი და როგორ უნდა მივაყენოთ ჩვენ დარტყმები, დარწმუნებული ვარ ეს გამოგადგებათ.

– ისინი განსხვავდებიან თქვენგან? – თქვა ედვარდმა სემის სიტყვები.

კარლაილმა თავი დაუქნია.

– ისინი ახალგაზრდები არიან, სულ რამოდენიმე თვეა რაც ვამპირები გახდნენ, მათ არ აქვთ გამოცდილება და სტრატეგია, უბრალოდ ძლიერები არიან, დღეს

ისინი ოცნი არიან, თქვენ თუ დაგვემატებით ჩვენც ოცნი გამოვდივართ და მემგონი გართულებები არ გვექნება.

მგლებმა ერთხმად დაიყმუვლეს, რაც ალბათ ენთუზიაზმს გამოხატავდა.

– თუ შესაძლებელია, მაშინ ჩვენ მეტს ავიღებთ ჩვენს თავზე, ვიდრე ნახევარს,- გადათარგმნა ედვარდმა სემის აზრები.

კარლაილმა გაიღიმა.

– ვნახოთ, ყველაფერი როგორ განვითარდება.

– თქვენ იცით როდის მოვლენ?

– ისინი მთებით წამოვლენ და ოთხ დღეში აქ იქნებიან, ალბათ დილით, როცა ახლოს იქნებიან ელისი მოგვეხმარება რომ მათ კვალს დავადგეთ.

– მადლობთ ინფორმაციისთვის. ჩვენ თვალს ვადევნებთ.

მგელმა ამოისუნთქა და გაჩერდა.

სიჩუმე ორი წამი გაგრძელდა, ჯასპერი ცარიელ სივრჩეში გავიდა მგლებს და ვამპირებს შორის, მისი დანახვა არ იყო რთული, ვამპირების კანი ისევე ანათებდა სიბნელეში, როგორც მგლების თვალები, ჯასპერმა ედვარდს გახედა, მან თავი დაუქნია, შემდეგ მგლებს ზურგი შეაქცია და დაიწყო.

– კარლაილი მართალია, ისინი ბავშვებივით იბრძოლებენ, არის ორი ყველაზე მთავარი რამ, რაც უნდა დაიმახსოვროთ, პირველი - არ მისცეთ უფლება ხელები შემოგხვიონ და მეორე - მაშინვე ნუ ეცდებით მათ მოკვლას, ამისთვის მზად არიან, თუ გვერდიდან შეუტევთ, თავგზა აებნევათ და ვერ შეძლებენ სათანადო რეაგირებას. ემეთ?

ემეთი გაღიმებული გამოვიდა ხაზიდან.

ჯასპერი ჩრდილოეთ მხარეს დადგა და ხელი დაუქნია მას.

– ემეთი პირველია, ის ყველაზე კარგი მაგალითია ახალშობილებთან ბრძოლისთვის.

ემეთმა თვალები მოჭუტა.

– ვეცდები არაფერი დავამტვრიო, - აბუზღუნდა ის.

ჯასპერს გაეცინა.

– ემეთს თავისი ძალის იმედი აქვს, თავდასხმისას ის ზუსტად და ღიად მოქმედებს, ახალშობილებიც ასე მოიქცევიან, -დაამატა ჯასპერმა.

ჯასპერი კიდევ რამოდენიმე ნაბიჯით გაიწია უკან და მოემზადა.

– კარგი, ემეთ,შეეცადე დამიჭირო.

მე უკვე ველარ ვხედავდი ჯასპერს, როცა ემეთი დათვივით ებრძოდა მას, მხოლოდ რაღაც ღმუილი მესმოდა, ჯასპერი კი გაურკვეველ ფიგურას დაემსგავსა მოძრაობაში, ის მოჩვენებასავით მოძრაობდა, რამდენჯერაც ვიფიქრე ემეთმა უკვე დაიჭირა თქო, ხელში სიცარიელე რჩებოდა, ჩემს გვერდით ედვარდი დაიხარა წინ, მისი თვალები მიჯაჭვული იყო ბრძოლისკენ.

ჯასპერი ემეთის უკან აღმოჩნდა და კბილები რამოდენიმე მილიმეტრში ჰქონდა მისი ყელიდან.

ემეთმა ბუზღუნი დაიწყო.

მგლები სიამოვნებით ადევნებდნენ ამას თვალს და ხანდახან მათი მხრიდან გუგუნი ისმოდა.

– კიდევ ერთხელ, ყვიროდა ემეთი და ჯერ კიდევ იღიმებოდა.

– ეხლა ჩემი რიგია, - გააპროტესტა ედვარდმა, მთელი ძალით მოვუჭირე ხელი.

– ერთი წუთის მერე,- თქვა ჯასპერმა და უკან დაიხია, -ეხლა კი მინდა ბელას ვაჩვენო რაღაც.

ნერვიულად გავიხედე მისკენ, როცა მან ელისს დაუძახა.

– ვიცი, რომ მასზე ნერვიულობ, - ამიხსნა ჯასპერმა, - მინდა გაჩვენო, რომ ეს ზედმეტია.

ელისმა მხიარულად მიირბნა მასთან.

იმის მიუხედავად, რომ ვიცოდი, ჯასპერი არასდროს არაფერს დაუშავებდა ელისს, მაინც რთული იყო იმის ყურება როგორ შეუტია, ელისი გაუნძრევლად იდგა, როგორც პატარა თოჯინა, გული ამიჩქარდა, როცა ჯასპერი მიუახლოვდა, ის ახტა და შემდეგ გაქრა, როცა ისევ გაჩნდა ელისის უკან იყო, ელისი ისევ გაუნძრევლად იდგა და იღიმებოდა კიდეც, შევეცადე უფრო კარგად დავკვირვებოდი.

ის მოძრაობდა, უბრალოდ ამას მე ვერ ვამჩნევდი, სწორედ იმ მომენტში დგავდა ნაბიჯს, როცა ჯასპერი ჩაუქროლებდა, ცოტახანში მან უფრო სწრაფად დაიწყო მოძრაობა, ის ცეკვავდა და რგოლებს ხაზავდა ჰაერში, ჯასპერი ცდილობდა მის სივრცეში შეეღწევას, მაგრამ არცერთხელ არ შეხებია, თითქოს თითოეული მოძრაობა ათასჯერ ჰქონდათ გაკეთებული, ბოლოს ელისმა სიცილი დაიწყო.

და გაქრა, შემდეგ საიდანღაც ისევ გაჩნდა და მისი ტუჩები ჯასპერის კისერს მიეკრა.

– დაგიჭირე,- თქვა ელისმა და ყელზე აკოცა მას.

ჯასპერმა გაიღიმა და თავი გაიქნია.

– შენ მართლა საშინელი, პატარა მონსტრი ხარ.

მგლებმა ისევ დაიყმუვლეს, ამჯერად ეს მოუთმენლობას უფრო გამოხატავდა.

– ეხლა მე, - თქვა ედვარდმა ხმამაღლა.

მან შუბლზე მაკოცა და ხაზიდან გავიდა, მის მაგივრად ჩემს გვერდით ელისი დადგა.

– მაგარია არა? – მკითხა მან კმაყოფილმა.

– ძალიან, - დავეთანხმე მე და თვალს არ ვაშორებდი ედვარდს, რომელიც ნელი ნაბიჯით მიდიოდა ჯასპერთან, მისი მოძრაობები ისეთივე მოქნილი იყო, როგორც კატის.

– გაკვირდები ბელა,- მიჩურჩულებდა ელისი ყურში,- მე გავაფრთხილებ მას თუ შენი გეგმები უფრო ჩამოყალიბებული გახდება,- მემუქრებოდა ის,- იმითი, რომ შენ თავს საფრთხეში ჩააგდებ არაფერი შეიცვლება, შენ გგონია, რომელიმე ჩვენგანი უკან დაიხევს თუ რამე მოგივა? შენ ვერაფერს ვერ შეცვლი, ამიტომ კარგად მოიქეცი.

დავიჭყანე და შევეცადე ყურადღება არ მიმექცია მისთვის.

– გაკვირდები, - გაიმეორა ელისმა.

ედვარდი ჯასპერს მიუახლოვდა, ეს ნამდვილად თანაბარი მეტოქეების შერკინება იყო, ჯასპერი საუკუნეების გამოცდილებას იყენებდა, მაგრამ მისი აზრები წინ უსწრებდა მოქმედებებს, ამიტომ ედვარდი სწრაფად ახერხებდა რეაგირებას, თუმცა ჯასპერის ილეთები მისთვის ძალიან უცხო იყო, ისინი გაუჩერებლად მოძრაობდნენ, მაგრამ ვერცერთი ვერ ახერხებდა უპირატესობის მოპოვებას, ძალიან რთული იყო ამის ყურება, მაგრამ ბევრად რთული იყო თვალის არიდება, ისინი ზედმეტად სწრაფად მოძრაობდნენ ჩემთვის და ვერც ვახერხებდი ყველაფრის გარჩევას.

ბოლოს და ბოლოს კარლაილმა დაახველა, რომ მათი ყურადღება მიეპყრო.

ჯასპერმა და ედვარდმა ბრძოლა დაამთავრეს და ორივეს გაეცინა.

– სამუშაოს დავუბრუნდებით, ამას კი ფრე ვუწოდოთ, - თქვა ჯასპერმა.

ყველა თანმიმდევრობით ებრძოდა ჯასპერს, კარლაილი, შემდეგ როზალი, ესმე და მერე ისევ ემეთი, თითქმის დავპატარავდი, როცა ჯასპერი ესმეს უტევდა, ამის ყურება ყველაზე რთული იყო, შემდეგ მან შეანელა მოძრაობები, მაგრამ არა იმდენად, რომ მე შემძლებოდა დანახვა.

– ხედავთ რას ვაკეთებ? – იკითხა მან, - ხო, ზუსტად ასე, ყურადღება გაამახვილეთ ფლანგებზე, არ დაგავიწყდეთ რა არის მათი მიზანი და მოძრაობა გააგრძელეთ.

ედვარდი მობილიზებული იყო და რა თქმა უნდა იმასაც ისმენდა რაც სხვებს არ ესმოდათ.

ჩემი ქუთუთოები დამძიმდა და ისეთი ყურადღებით ვეღარ ვაკვირდებოდი მათ, უკვე ოცდაოთხი საათი იყო გასული იმის შემდეგ რაც ბოლოს მეძინა, ედვარდს მივეყრდენი და თვალები დავხუჭე.

– თითქმის დავამთავრეთ,- ჩამიჩურჩულა მან.

ჯასპერი პირველად მიბრუნდა მგლებისკენ და ვარჯიშის დამთავრება დაუდასტურა.

– ამ ყველაფერს ხვალაც გავიმეორებთ, გთხოვთ, მოდით და დაგვაკვირდით.

– კარგი,- უპასუხა ედვარდმა სემის მშრალი ხმით, - აქ ვიქნებით.

ედვარდმა ჩაისუნთქა და თავის ოჯახს მიუბრუნდა.

– ხროვას მიაჩნია, რომ მათთვის სასარგებლო იქნება ყოველი ჩვენთაგანის სუნის დამახსოვრება, ასე ისინი არ აირევიან ბრძოლაში, თუ არ გავინძრევით ამას უფრო ადვილად შეძლებენ.

– კარგი,- უთხრა კარლაილმა სემს, - როგორც ინებებთ.

დაღლილობა დამავიწყდა და ისევ ფართოდ გავახილე თვალები.

მგლები წინ გამოვიდნენ და როგორც იქნა შესაძლებელი გახდა მათი ზომის და ფერის გარჩევა, სემი რა თქმა უნდა პირველი იყო, წარმოუდგენლად მაღალი და შავი, ნამდვილი ურჩხული კოშმარიდან.

ეხლა როცა ყველას ვხედავდი, კიდევ ერთხელ გადავთვალე და აღმოჩნდა, რომ ათზე მეტნი იყვნენ, ხროვა უზარმაზარი იყო.

თვალის კუთხით შევამჩნიე, რომ ედვარდი მიყურებდა და ჩემს რეაქციას აკვირდებოდა.

სემი კარლაილთან მივიდა და მთელი ხროვა მას გაჰყვა, ჯასპერი დაძაბული იყო, ემეთი კი ისევ იკრიჭებოდა.

სემმა კარლაილი დასუნა და შემდეგ დანარჩენებისკენ წავიდა.

მე ხროვას ვათვალიერებდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ ახლები იყვნენ, ერთი ღია ნაცრისფერი იყო და სხვებზე პატარა ჩანდა, მეორე კი უდაბნოს ქვიშის ფერი და ცოტა დაულაგებლად გამოიყურებოდა. ჩემი მზერა სემის უკან, მოწითალო-მოყავისფრო გრძელბეწვიან მგელზე გაჩერდა, ის სხვებზე ბევრად გაბურძგნული და სემივით მაღალი იყო.

მან თითქოს იგრძნო, რომ ვუყურებდი და ნაცნობი შავი თვალებით შემომხედა. ვცდილობდი დამეჯერებინა, ის რაც ისედაც ვიცოდი, ჩემი სახე აღფრთოვანებას გამოხატავდა.

მგელმა კბილები გამოაჩინა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ღიმილი იყო.

ჩავიფხუკუნე.

ჯეიკობმა თავის ადგილი დატოვა, სწრაფად გაირბინა ედვარდის და ელისის წინ და ჩემგან ერთ მეტრში გაჩერდა.

ედვარდი გაუნძრევლად იდგა, როგორც ქანდაკება და ისევ მე მაკვირდებოდა.

ჯეიკობი წინა თათებზე დაიხარა ისე, რომ მისი თავი ჩემს ზევით არ ყოფილიყო და თვალებში მიყურებდა.

– ჯეიკობ? – ამოვთქვი მე.

საპასუხო ღმუილი მის მკერდში კმაყოფილ ღიმილს ჰგავდა.

ხელი წინ გავწიე და მის ბეწვს შევეხე.

მან შავი თვალები დახუჭა და უზარმაზარი თავი დახარა ჩემს ხელზე, მისი ყელიდან კრუტუნი მესმოდა.

ჯეიკობის ბეწვი რბილი იყო და ამავდროულად უხეში და თბილი, ხელს ვუსმევდი კეფაზე და ვერც კი შევამჩნიე, რომ ძალიან ახლოს აღმოვჩნდი, მან ყოველგვარი გაფრთხილეის გარეშე ამლოკა სახეზე.

– ფუ, ჯეიკობ! – ავღშფოთდი მე და გავიწიე, მან თავი დახარა და იმ ხმით თუ ვიმსჯელებ რასაც გამოსცენდა, ალბათ იცინოდა.

სახე პერანგის სახელოთი გავიწმინდე, ვერ მოვითმინე და მასთან ერთად დავიწყე სიცილი.

იმ მომენტში მივხვდი, რომ ყველა ჩვენ გვიყურებდა გარშემო, კალენები შეწუხებული და შეშფოთებული სახეებით, მგლების რეაქციის გაგება კი ცოტა რთული იყო.

ედვარდი გულდაწყვეტილი იყო, ვიცი, ის სხვა რეაქციას ელოდებოდა ჩემგან, ალბათ ეგონა რომ ვიკივლებდი და გავიქცეოდი.

მგლებმა უკან დახევა დაიწყეს და თან თვალს არ წყვიტავდნენ კალენებს, ჯეიკობი ჩემს გვერდით იყო და აკვირდებოდა როგორ მიდიოდნენ, მხოლოდ ორი მგელი ჩამორჩებოდა მათ და მოუთმენლად უყურებდა ჯეიკობს.

ედვარდმა ჩაისუნთქა, ჯეიკობს ყურადღება არ მიაქცია და ჩემთან მოვიდა.

– წავედით?, - მკითხა მან და ხელი ჩამკიდა.

სანამ ვუპასუხებდი ედვარდმა ჯეიკობს შეხედა.

– ჯერ ყველა დეტალი არ გამირკვევია, უპასუხა ედვარდმა ჯეიკობი გონებაში დასმულ კითხვას.

მგელმა ხმამაღლა დაიყმუვლა.

– ეს უფრო რთულია, -აგრძელებდა ედვარდი, - და შენი სადარდებელი არ არის.

– რაზე ლაპარაკობთ? – მოვითხოვე მე.

– უბრალოდ სტრატეგიას განვიხილავთ, - მიპასუხა ედვარდმა.

ჯეიკობმა თავი გაიქნია და შემდეგ ტყისკენ გაიქცა.

– მოიცადე,- ვიყვირე მე, მაგრამ ის წამებში გაქრა – რატომ წავიდა?

– ის დაბრუნდება, - მიპასუხა ედვარდმა,- პირადად უნდა დალაპარაკება.

ისევ ედვარდს დავეყრდენი და ვცდილობდი არ ცავქცეულიყავი.

ჯეიკობი ისევ გამოჩნდა, ამჯერად ორ ფეხზე, წელს ზევით შიშველი და გაბურძგნული.

– კარგი სისხლისმსმელო, - თქვა მან როცა რამოდენიმე ნაბიჯში იყო ჩვენგან,- რა არის აქ ასეთი რთული?

– ყველანაირი შესაძლებლობა უნდა გავიაზრო, - მშვიდად უპასუხა ედვარდმა, - ხომ შეიძლება შენამდეც მოვიდეს ვინმე?

– მაშინ რეზერვაციაში დატოვე, იქ უსაფრხოდ იქნება.

გაბრაზებულმა შევხედე ორივეს,.

– ჩემზე ლაპარაკობთ?

– მე უბრალოდ მაინტერესებს, სად გეგმავს შენს დატოვებას ბრძოლის დროს,- ამიხსნა ჯეიკობმა.

– ჩემს დატოვებას?

– ბელა, ფორქსში ვერ დარჩები, - გააგრძელა ედვარდმა,- მათ იციან სად გიპოვონ და შემთხვევით რომელიმე რომ გაგვისხლტეს?

სისხლი მომაწვა სახეში.

– და ჩარლი?

– ის ბილისთან იქნება,- დამამშვიდა ჯეიკობმა, - ძალითაც რომ მოგვიწიოს მისი წაყვანა, თან ამ შაბათს ბეისბოლის თამაშია ტელევიზიით.

– ამ შაბათს? ედვარდ, კონცერტის ბილეთები რომ გაჩუქეთ?

ედვარდმა გადაიხარხარა.

– შეგიძლია ვინმე სხვას მისცე.

– ანჯელას და ბენს, -სწრაფად გადავწყვიტე მე,- კარგია, თუ ამ დღეს ქალაქში არ იქნებიან.

მან ლოყაზე დამადო ხელი.

– ყველას ვერ გაუკეთებ ევაკუაციას, - რბილად მითხრა მან, - და თანაც აღარაფერია საშიში, მათი რაოდენოდა გასართობათაც აღარ იქნება საკმარისი.

– და რა მოხდება თუ ჩვენთან იქნება ლაპუშზე,- მოუთმენლად შეაწყვეტინა ჯეიკბმა.

– ის ამ გზაზე ხშირად დადიოდა და ბევრი კვალი დატოვა, ელისი მხოლოდ ძალიან ახალგაზრდებს ხედავს, მაგრამ მათ უკან ვიღაც ბევრად გამოცდილი დგას, ელისი დაინახავს თუ დააპირებენ განოჩენას და ჩვენ შეიძლება ძალიან დაკავებულები ვიყოთ იმ მომენტში, ბელას იმ ადგილზე ვერ დავტოვებ სადაც საკმაოდ ხშირად იყო ხოლმე, საჭიროა, რომ მისი პოვნა გაუძნელდეთ, ესეთი რამ არ მოხდება, მაგრამ მაინც.

ჯეიკობმა ჟესტით მიუთითა სამხრეთისკენ, ოლიმპიური მთებისკენ.

– მაშინ იქ დამალე, იქ ათასი საშუალებაა, ათასი ადგილი, სადაც წამებში შეგვიძლია გავჩნდეთ.

ედვარდმა თავი გაიქნია.

– მისი სუნი ძალიან განსხვავებულია, მითუმეტეს ჩემს სუნთან ერთად, ხელითაც რომ წავიყვანო მაინც დავტოვებ კვალს, ვამპირების სუნი ყველგან არის, მაგრამ ბელას სუნთან ერთად ზედმეტ ყურადღებას მიიქცევს, აი ამაშია პრობლემა..

– უნდა იყოს რაღაც გამოსავალი, - თქვა ჩუმად ჯეიკობმა და ტყისკენ გაიხედა.

შემაქანა, ედვარდმა წელზე შემომხვია ხელი და დამიჭირა.

– სახლში უნდა წაგიყვანო, დაიღალე, თან მალე ჩარლიც გაიღვიძებს.

– ერთი წამით,- თქვა ჯეიკობმა, მისი თვალები ანათებდა, - ჩემი სუნი ხომ საშინელია შენთვის.

ედვარდი მიუხვდა ჩანაფიქრს.

– შესაძლებელია, - თქვა ედვარდმა და თავის ოჯახს მიუბრუნდა.

– ჯასპერ?

ჯასპერი ახლოს მოვიდა, ელისი სულ ორი ნაბიჯით ჩამორჩებოდა, უკმაყოფილო სახით.

– კარგი, ჯეიკობ, -უთხრა ედვარდმა.

ჯეიკობი უცნაური გამომეტყველებით მობრუნდა ჩემსკენ, ის აჟიტირებული იყო თავისი ახალი გეგმით, მან ხელი გამომიწოდა და ინსტიქტურად დავიხიე უკან.

ედვარდმა ღრმად ჩაისუნთქა.

– ბელა უნდა შევამოწმოთ, შემიძლია თუ არა იმდენად გადავფარო შენი სუნი, რომ შენი კვალი დავმალო.

დაძაბული ვუყურებდი მის გაშლილ ხელებს.

– მიეცი უფლება რომ წაგიყვანოს, - მშვიდად მითხრა ედვარდმა.

გავიბუსხე.

ჯეიკობმა მოთმინება დაკარგა და დაიხარა, რომ ხელში ავეყვანე.

– ნუ სულელობ, - აბუზღუნდა ის.

– ბელას სუნი ძალიან ძლიერია ჩემთვის, სწორი იქნება, რომ მისი პოვნა სხვამ სცადოს,- უთხრა ედვარდმა ჯასპერს.

ჯეიკობმა ამიტაცა, შეტრიალდა და სწრაფად გაიქცა ტყეში, თავს საშინლად უხერხულად ვგრძნობდი, ბოლო დღე მახსენდებოდა ლაპუშზე და არ მინდოდა ამაზე ფიქრი.

შორს არ წავსულვართ, რამოდენიმე ათეულ მეტრში მოვტრიალდით და მეორე მხრიდან გამოვედით, საწყის წერტილთან ახლოს, ედვარდი მარტო იდგა და ჯეიკობი მისკენ გაემართა.

– შეგიძლია მიწაზე დამსვა,- ვუთხარი მე.

– არ მინდა ექსპერიმენტი ჩავშალო.

– საშინლად მიშლი ნერვებს.

– მადლობთ.

უცებ ჯასპერიც და ელისიც გამოჩდნენ, ჯეიკობმა კიდევ ორი ნაბიჯი გადადგა და ედვარდისგან ორი მეტრის მოშორებით დამსვა მიწაზე, არც კი შემიხედავს მისთვის, ედვარდთან მივედი და ხელი ჩავჭიდე.

– აბა?,- ვიკითხე მე.

– ბელა, სანამ არაფერს არ შეეხები, ვერავინ აიღებს შენს სუნს, მეორე სუნმა მთლიანად გადაფარა ის,- თქვა ჯასპერმა.

– ეს კარგია, - დაამატა ელისმა და ცხვირი აიბზუა.

– და მე რაღაც მოვიფიქრე, -გააგრძელა ჯასპერმა.

– ჭკვიანურია,- უთხრა ედვარდმა, როგორც კი მისი აზრები წაიკითხა.

– ამას როგორ ითმენთ? – ჩურჩულით თქვა ჯეიკობმა.

არავინ არ მიაქცია ყურადღება.

– ბელა, - დაიწყო ედვარდმა, - ჩვენ მცდარი კვალი უნდა დავტოვოთ ველზე, ახალშობილები მას აიღებენ და ზუსტად იქ წავლენ სადაც შენი სუნი წაიყვანს, ელისმა უკვე დაინახა, რომ ეს გაამართლებს, ისინი ორი მხრიდან ეცდებიან თავდასხმას, ნახევარი ტყიდან წამოვა, აქ მისი ხილვები ქრება.

– კარგია! – იყვირა ჯეიკობმა.

ედვარდმა მეგობრულად გაუღიმა.

არ მესმოდა ეს ასე რატომ უნდოდათ? როგორ უნდა გამეძლო, როცა ორივე ასეთი რისკის ქვეშ იყო? უბრალოდ არ შემეძლო, ამას ვერ ავიტანდი.

– არავითარ შემთხვევაში, - უცებ უკმაყოფილოდ თქვა ედვარდმა, მისი სიტყვებისგან შევხტი, მეგონა ჩემი აზრები გაიგონა, მაგრამ აშკარად ჯასპერს უყურებდა.

– ვიცი, ვიცი, - სწრაფად უთხრა ჯასპერმა, - ამაზე არც მიფიქრია.

ელისმა ფეხზე დააბიჯა.

– ბელა, რომ მართლა ყოფილიყო ველზე, - გააგრძელა ჯასპერმა, - ეს მათ ჭკუიდან გადაიყვანდა და სხვაზე ვერაფერზე იფიქრებდნენ, ასე უფრო ადვილად მოვუღებდით ბოლოს.

ედვარდის მრისხანე მზერამ შეცვალა მისი აზრი.

– ვიცი, ეს საკმაოდ საშიშია, ეს ცუდი აზრი იყო.

– არა, - თქვა ედვარდმა, ეს საბოლოო გადაწყვეტილება იყო.

– მართალი ხარ, - უთხრა ჯასპერმა, ელისს ხელი მოკიდა და წავიდა.

ჯეიკობმა გაბრაზებულმა გააყოლა თვალი.

– ჯასპერი ყველაფერს ისე უყურებს, როგორც მეომარი სტრატეგი, ყველა ვარიანტს განიხილავს, - გაამართლა ედვარდმა ძმა.

ჯეიკობი ძალიან ახლოს იდგა ჩვენთან, ფიზიკურად ვგრძნობდი დაძაბულობას ჰაერში, ისეთი გრძნობა მქონდა რომ ჩემში დენი გადიოდა.

ედვარდი საქმეს დაუბრუნდა:

– მე მას პარასკევს შუადღეს მოვიყვან, რომ მცდარი კვალი დავტოვოთ, ამის შემდეგ შეგიძლია შეგვხვდე და შესაფარში მოიყვანო, ეს ადგილი სულ სხვა მხარეს არის და ახალშობილები იქ არ მოვლენ, არამგონია ეს საჭირო გახდეს, მაგრამ მე მაინც სხვა გზით მივალ.

– და მერე რას იზავ? მობილურ ტელეფონს დაუტოვებ? – უხეშად ჰკითხა ჯეიკობმა.

– უკეთესი იდეა გაქვს?

ჯეიკობს სახე გაუნათდა.

– საერთოდ კი.

ედვარდი მის აზრებს უსმენდა.

– ოჰ, სულაც არ არის ცუდი, ძაღლო.

ჯეიკობი ჩემსკენ შემობრუნდა.

– ჩვენ ვცდილობდით დაგვერწმუნებინა სეთი, რომ სხვა ორ ახალგაზრდა მგელთან დარჩენილიყო, საშინლად ჯიუტი და შემტევია, მაგრამ მე უკვე ვუპოვე მას საქმე, ის შენთან დარჩება, როგორც მობილური ტელეფონი.

შევეცადე ისეთი სახე მიმეღო, თითქოს ყველაფერი გავიგე.

– როცა სეთ კლირვოტერი მგლის ფორმაში იქნება, ის დაკავშირებული იქნება ხროვასთან, - ამიხსნა ედვარდმა, - და მანძილს აქვს მნიშვნელობა? - მიმართა მან ჯეიკობს.

– არა.

– შთამბეჭდავია.

თავბრუ მეხვეოდა, მიჭირდა რამეზე კონცენტრირება, ვერც კი წარმომედგინა, რომ პატარა სეთიც უკვე მგელი იყო, ის მხოლოდ თხუთმეტი წლის იყო, ეხლა მივხვდი რატომ იყო მაშინ, კოცონთან ასეთი აჟიტირებული.

– კარგი იდეაა, -აგრძელებდა ედვარდი,- კარგი იქნება თუ სეთი მასთან დარჩება, არც კი ვიცი შევძლებ მის მარტო დატოვებას? სადამდე მივიდა საქმე, ვაერვულფებსაც კი უნდა ვენდო.

– ვამპირებთან ერთად ბრძოლა და არა მათ წინააღმდეგ ასეთივე უცნაურია ჩვენთვის.

– მაინც მოგიწევთ მათთან ბრძოლა.

ჯეიკობმა გაიღიმა.

– სწორედ ამიტომ ვართ აქ.

თავი 19

ეგოიზმი

ედვარდი ელოდებოდა, რომ უკანა გზაზე ძალა აღარ მეყოფოდა, ამიტომ ხელში აყვანილმა მიმიყვანა სახლამდე, გზაში ალბათ ჩამეძინა.

ჩემს ლოგინში გამეღვიძა, ფანჯრიდან მზის შუქი შემოდიოდა, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ შუადღე იყო.

დავამთქნარე და ხელი გავწიე, რომ ის მეპოვა, ჩემი თითები სიცარიელეს შეეხო.

– ედვარდ? – ჩავიბურტყუნე მე.

როგორც იქნა მის ხელს მივწვდი.

– ამჯერად ნამდვილად გაიღვიძე? – ჩურჩულით მკითხა მან.

– ჰმ.. და ბევრი ტყვილი გამოღვიძებაც იყო?

– ძალიან ფორიაქობდი და მთელი დღე ლაპარაკობდი.

– მთელი დღე? – თვალები დავახამხამე და ისევ ფანჯრისკენ გავიხედე.

– შენ გრძელი ღამე გქონდა, ნამდვილად დაიმსახურე ერთი დღე ლოგინში, - დამამშვიდა ედვარდმა.

– აჰა..

წამოვჯექი და თავბრუ დამეხვა.

– მშიერი ხარ? – მიხვდა ედვარდი, - გინდა საუზმე ლოგინში?

– ჯობია მე თვითონ ავდგე და გავაკეთო.

სამზარეულომდე ხელჩაჭიდებულმა ჩამიყვანა, ის ისე მაკვირდებოდა, თითქოს ყოველ წამს შეიძლებოდა წავქცეულიყავი, ან ეგონა, რომ ჯერ კიდევ მეძინა და ძილში დავდიოდი.

არაფრის კეთების თავი არ მქონდა, ამიტომ ორი სენდვიჩი ჩავაგდე ტოსტერში, შემდეგ სამზარეულოს თაროს შუშაში შევხედე ჩამს თავს.

– ვაი.. რა საოცრად გამოვიყურები.

– ძალიან დაღლილი იყავი, სახლში უნდა ყოფილიყავი და დაგეძინა.

– აჰა და ყველაფერი გამომეტოვებინა, იცი, მემგონი დროა შეეგუო იმ ფაქტს, რომ შენი ოჯახის ნაწილი ვარ.

– ამას ნამდვილად შეეგუები, - გაეღიმა ედვარდს.

სენდვიჩები თეფშზე დავდე და საჭმელად დავჯექი. შევამჩნიე, რომ ედვარდი ჩემს ხელს უყურებდა, მხოლოდ ეხლა დავაფიქსირე, რომ ჯერ კიდევ მეკეთა ჯეიკობის ნაჩუქარი სამაჯური.

– შეიძლება? – მკითხა მან და პატარა მგელზე მიმანიშნა.

ხმაურით გადავყლაპე.

– კი, რა თქმა უნდა.

მან სამაჯური მომხსნა და პატარა მგელი დაატრიალა თეთრ თითებში, რაღაც მომენტში შემეშინდა, მას ხომ პატარა მოძრაობითაც შეეძლო დაემსხვრია ფიგურა, მაგრამ რა თქმა უნდა ამას არ იზავდა, შემრცხვა კიდევაც ჩემი აზრების, მან უბრალოდ დაათვალიერა მგელი და უკან დამიბრუნა.

– ჯეიკობ ბლექს შეუძლია საჩუქრები გაგიკეთოს.

ეს არ იყო კითხვა, მან უბრალოდ ფაქტი დაადასტურა, ვიცოდი, რომ ამ დროს ის ჩემს წინა დაბადების დღეზე ფიქრობდა, როცა მე პანიკაში ჩავვარდი საჩუქრების გამო.

– შენც გაგიკეთებია ჩემთვის საჩუქრები,- შევახსენე მე, - ხომ იცი, რომ ხელნაკეთი ყველაფერი მიყვარს.

ედვარდი ერთი წუთით ჩაფიქრდა.

– და მეორადზე რას ფიქრობ? ასეთს მიიღებ?

– რას გულისხმობ?

– ეს სამაჯური,-თქვა მან და ხელით შეეხო მას, - ამას ხომ ატარებ?

მხრები ავიჩეჩე.

– იმიტომ, რომ ჯეიკობს არ აწყენინო არა?

– ხო, ალბათ ასეა.

– ამ შემთხვევაში მემგონი სამართლიანი იქნება, თუ მეც გაჩუქებ რამეს სამახსოვროდ?

– სამახსოვროდ?

– სამაჯურზე ჩამოსაკიდათ, რომ ჩემი თავი გაგახსენოს.

– შენ ისედაც ყველა ჩემს ფიქრში ხარ, ამის შესახსენებლად არაფერი მჭირდება.

– რაღაცას თუ მოგცემ ატარებ? – არ მეშვებოდა ის.

– მეორადი?

– ხო, რაღაც ისეთი რასაც დიდიხანია ვინახავ, - მითხრა მან და თბილად გამიღიმა.

– კი, თუ ეს გაგაბედნიერებს.

– დისკრიმინაცია შეამჩნიე? – მკითხა მან და მის ხმაში ბრალდება გაჩნდა, - იმიტომ, რომ მე შევამჩნიე.

– რა დისკრიმინაცია?

– ყველას აქვს უფლება, რომ რაღაც გაჩუქონ, ჩემს გარდა, დიდი სიამოვნებით გაჩუქებდი რამეს გამოსაშვებზეც, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს არ მოგეწონებოდა, ეს სრული უსამართლობაა, ამას როგორ ახსნი?

– ძალიან მარტივად, შენ სხვებზე მნიშვნელოვანი ხარ და შენ საკუთარ თავს მჩუქნი, ეს იმაზე მეტია, ვიდრე ვიმსახურებ და რასაც არ უნდა მჩუქნიდე, ეს მარტო აძლიერებს დისბალანსს.

ის ცოტახანს ფიქრობდა ჩემს ნათქვამზე და ბოლოს თვალები გადაატრიალა.

– ბელა, საშინლად მექცევი.

მე მშვიდად ვღეჭავდი ჩემს საუზმეს, ვიცოდი, რომ რაც არ უნდა მეთქვა არასწორედ გამიგებდა.

ედვარდის მობილურმა დარეკა.

მან ტელეფონს დახედა და შემდეგ უპასუხა.

– ელის, რა მოხდა?

ის უსმენდა და მე მის რეაქციას ველოდებოდი, რაც არ უნდა ეთქვა ელისს, ეს ედვარდისთვის არ იყო ახალი ამბავი, მან რამოდენიმეჯერ მძიმედ ამოიოხრა.

– ასეც ვფიქრობდი, - უთხრა ედვარდმა მას და თვალებში შემომხედა,- ის ძილში ლაპარაკობდა.

შევხტი, ნეტა ამჯერად რა ვილაპარაკე?

– ამას მივხედავ,- დაამატა ედვარდმა და გათიშა ტელეფონი.

– არაფრის თქმა არ გინდა? - მკითხა მან.

რამოდენიმე ხანი ვყოყმანობდი, ელისისგან გაფრთხილება მქონდა მიღებული და უკვე ვხვდებოდი რისთვის რეკავდა, შემდეგ სიზმრები გამახსენდა, სიზმრები სადაც ჯასპერს მივდევდი ველზე და ვცდილობდი დავწეოდი შავ ტყეში იმიტომ, რომ ვიცოდი ედვარდიც იქ იყო, კიდევ მონსტრები, რომელთაც ჩემი მოკვლა უნდოდათ და მე უკვე მიღებული მქონდა გადაწყვეტილება, ალბათ ედვარდმა ეს მოისმინა როცა მეძინა.

თავი დავხარე არ შემეძლო მისთვის თვალებში შემეხედა.

– ჯასპერის იდეა მომეწონა,- ბოლოს და ბოლოს ამოვთქვი მე, - მინდა, რომ დაგეხმაროთ და უნდა გავაკეთო რამე.

– იმითი, რომ საფრთხეში აღმოჩნდები ვერ დაგვეხმარები.

– ჯასპერი ფიქრობს რომ კი, ის ექსპერტია ამ საქმეში.

ედვარდმა გაბრაზებულმა შემომხედა.

– ვერ მაიძულებ, რომ უმოქმედოდ ვიყო,- ვაგრძელებდი მე, - არ ვაპირებ ტყეში ყოფნას და ლოდინს, სანამ თქვენ ჩემს გამო სწირავთ სიცოცხლეს.

აქ მან ძლივს შეიკავა სიცილი.

– ელისი ვერ გხედავს ველზე, ის შენ ტყეში დაკარგულს გხედავს, შენ ცდილობ, რომ გვიპოვო, მე უბრალოდ მეტი დრო დამეკარგება შენს ძებნაზე.

ვცდილობდი სიმშვიდე შენარჩუნებინა.

– ეს იმიტომ, რომ ელისი სეთ კლირვოტერს არ ითვალისწინებს, ეს რომ გააკეთოს სხვა რამის დანახვასაც შესძლებს, მაგრამ მემგონი სეთსაც არ უნდა გვერდზე გადგომა და ამიტომ სულაც არ იქნება რთული დავარწმუნო, რომ გზა მაჩვენოს.

ედვარდი საშინლად იყო გაბრაზებული, მაგრამ შეეცადა თავი ხელში აეყვანა.

– ეს ალბათ გამოვიდოდა, რომ არ მოგეყოლა, ეხლა უბრალოდ ვთხოვ სემს რომ სეთს კონკრეტული მითითებები მისცეს, როგორც არ უნდა უნდოდეს, ბრძანებას ვერ გადავა.

– და რატომ მისცემს მსგავს მითითებებს? თუ ვეტყვი რომ დახმარება შემიძლია? ვიცი, რომ მე უფრო დამიჭერს მხარს, ვიდრე შენ.

– შეიძლება მართალი ხარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში ჯეიკობი ჩემს მხარეს იქნება.

– ჯეიკობი?

– ჯეიკობი მეორეა სემის შემდეგ, ეს არასდროს უთქვამს? მის ბრძანებებსაც ემორჩილებიან.

ედვარდმა მოიგო კამათი, მისი გამომეტყველებით თუ ვისჯელებ ეს იცოდა, ჯეიკობი მის მხარეს იქნებოდა პირველად და მას მართლა არაფერი უთქვამს თავის სტატუსზე ხროვაში.

ედვარდმა ისარგებლა ჩემი დაბნეულობით და გააგრძელა.

– წინა ღამეს საშუალება მქონდა, რომ მთელი ხროვის აზრები მომემსმინა, იქ ყველაფერი იმაზე არეულია, ვიდრე სერიალში, წარმოდგენაც კი არ მქონდა, რომ ასეთი რთული იყო ხროვის მართვა, საოცრებაა.

ნათელი იყო, რომ სხვა რამეზე უნდოდა ჩემი ყურადღების გადატანა.

– ჯეიკობს ბევრი საიდუმლო აქვს, - მითხრა მან და გამიღიმა,- მაგალითად, შეამჩნიე გუშინ ნაცრისფერი მგელი, რომელიც სხვებზე პატარა იყო ზომით?

თავი დაუქნიე.

– ისინი თავის ლეგენდებს ძალიან სერიოზულად აღიქვამენ, თურმე არსებობს რაღაცეები, რასაც არცერთი მათი ლეგენდა არ ხსნის

– რაზე ლაპარაკობ?

– მათ ყოველთვის იცოდნენ, რომ მხოლოდ პირდაპირ შთამომავალს შეეძლო ჰქონოდა ეს უნარი.

– და რა შეიცვალა? რომელიმე არ არის პირდაპირი შთამომავალი?

– არა, არის მაგრამ ის ქალია.

თვალები გამიფართოვდა გაკვირვებისგან.

– ქალი?

მან თავი დამიქნია.

– კი, და ის შენ გიცნობს, მისი სახელი ლეა კლირვოტერია.

– ლეა - მგელია? – ვიყვირე მე, - როგორ? რამდენი ხანია? ჯეიკობმა რატომ არ მითხრა?

– არის რაღაცეები, რისი თქმის უფლება არ აქვს, მაგალითად მათი რაოდენობის შესახებ, როგორც უკვე ვთქვი სემი გასცემს ბრძანებებს და ყველა მას ემორჩილება, ჯეიკობი ჩვენს გვერდით იყო და აკონტროლებდა თავის აზრებს, რა თქმა უნდა ამ დამის მერე ყველაფერი ნათელი გახდა.

– არ მჯერა, ლეა კლირვოტერი! – გამახსენდა რას მიყვებოდა მასზე და სემზე ჯეიკობი, ის თვლიდა, რომ რაღაც ზედმეტი წამოსცდა და წესები დაარღვია, ეხლა მივხვდი რატომ ატარებდა ბილი ბევრს დროს სიუსთან, მას მართლა ჰქონდა პრობლემები, მისი ორივე შვილი ხომ ვაერვულფი იყო.

ადრე დიდად არ ვფიქრობდი ლეაზე, უბრალოდ თანაუგრძნობდი, როცა ჰარი გარდაიცვალა და კიდევ როცა ჯეიკობმა მომიყვა მისი ისტორია, ემილიზე და სემზე, ეხლა ის უკვე ხროვის ნაწილი იყო და ყველას შეეძლო მისი აზრების მოსმენა.

– საწყალი ლეა,- ჩურჩულით ვთქვი მე.

– ის სისხლს უშრობს დანარჩენ ხროვას, არამგონია, რომ შეცოდება სჭირდებოდეს.

– რას გულისხმობ?

– მათ ისედაც უჭირთ ერთმანეთისთვის აზრების გაზიარება, უმეტესობა ცდილობს ერთად გაჩერდნენ, რომ ერთმანეთს გაუადვილონ ეს, როცა ხროვის ერთი წევრი დაბოღმილია, ეს ყველაზე ცუდად მოქმედებს.

– მას ამისთვის ბევრი მიმეზი აქვს,- ვამართლებდი მე ლეას.

– კი, ვიცი, - ამოიოხრა ედვარდმა,- ეს ყველაზე დიდი უცნაურობაა რაც აქამდე შემხვედრია, ის თუ როგორ არიან სემი და ემილი ერთმანეთთან დაკავშირებული არ ექვემდებარება ახსნას, სემს მართლა არ ჰქონდა შანსი, ეს რაღაც ჯადოქრობაა, - ეს ისეთივე ძლიერი გრძნობაა, როგორსაც მე განვიცდი შენს მიმართ.

– საწყალი ლეა,- გავიმეორე მე, - და რას გულისხმობ, როცა ამბობ, რომ დაბოღმილია?

– ის სულ იმაზე ფიქრობს, რისი გახსენებაც სხვებს არ უნდათ, მაგალითად ემბრი.

– და რა ხდება ემბრისთან?

– ჩვიდმეტი წლის წინ, როცა დედამისი მასზე იყო ორსულად მაკის რეზერვაციიდან გადმოვიდა, ის კვილეტების ტომიდან არ არის, ყველას ეგონა, რომ ემბრის მამაც მაკიდან იყო, მაგრამ შემდეგ ემბრიც შეუერთდა ხროვას.

– და?

– ეხლა აღმოჩნდა, რომ მისი მამობის კანდიდატები უფროსი ქუილი, ჯოშუა ულეი ან ბილი ბლექი არიან, არა და იმ დროს ყველა დაქორწინებული იყო.

– არ არსებობს! – ამოვთქვი მე, - ედვარდი მართალი იყო, ეს მართლა ჰგავდა სერიალს.

– ეხლა სემი, ქუილი და ჯეიკობი მკითხაობენ რომელს ყავთ ნახევარძმა, ყველას იმედი აქვს, რომ ეს სემია, იმიტომ, რომ მამამისი არ იყო კარგი მამა, ეჭვები მაინც არსებობს, მაგრამ ჯეიკობი ვერასდროს ჰკითხავს ამას მამამისს.

– აუჰ, როგორ შესძელი ამდენი გაგეგო ერთ ღამეში?

– ხროვის აზროვნება რაღაც ძალიან უცნაურია, ყველა ერთად და იმავდროულად ცალცალკე ფიქრობს, იმდენის წაკითხვა შეიძლება!

ედვარდი ისე ლაპარაკობდა თითქოს საინტერესო წიგნს მოსწყვიტეს და გამეცინა.

– ხროვა მართლაც საოცარია, - დავეთანხმე მე, - როგორც შენ, როცა ცდილობ რომ ყურადღება სხვა რამეზე გადამატანინო.

მის სახეზე ისევ გაჩნდა ჩვეული ნიღაბი.

– ედვარდ, მე აუცილებლად უნდა ვიყო იქ.

– არა!

ამ მომენტში მივხვდი რაც უნდა გამეკეთებინა, ვიცოდი რომ რადაც არ უნდა დამჯდომოდა ედვარდის გვერდით უნდა ვყოფილიყავი და ამისთვის სულაც არ იყო საჭირო ბრძოლის ველზე ყოფნა, შემეშინდა ჩემი საშინელი და ეგოისტური აზრების.

იგნორირება გავუკეთე ჩემს ინსტინქტებს, მაგრამ დანაშაულის გრძნობამ მაიძულა თავი დამეხარა და ვერც შევძელი მისთვის შემეხედა, სანამ ჩემს თხოვნას წარმოვთქვამდი.

– მომისმინე, ედვარდ,- ვჩურჩულებდი მე,- არის ერთი პრობლემა, ერთხელ უკვე კინაღამ გავგიჟდი, ვიცი სად არის ჩემი ზღვარი და ვეღარ გადავიტან კიდევ რომ დამტოვო.

ვერაფრით ავწიე თავი, რომ მისი რეაქცია დამენახა, ვიცოდი, რომ ჩემი სიტყვები საშინელ ტკივილს აყენებდა, მან მძიმედ ჩაისუნთქა და სიჩუმე ჩამოვარდა, მაგიდას ვაშტერდებოდი და ვფიქრობდი წამეღო თუ არა ჩემი სიტყვები უკან, მაგრამ ვიცოდი, რომ ამას არ ვიზავდი, ეს ერთადერთი იყო რაც გაამართლებდა.

უცებ ის მომეხვია და სახეზე და ხელებზე დამიწყო მოფერება, ჩემს დამშვიდებას ცდილობდა და დანაშაულის გრძნონამ კიდევ უფრო შემაწუხა, მაგრამ გადარჩენის ინსტინქტი უფრო ძლიერი იყო და სწორედ ედვარდი იყო ჩემი არსებობის საფუძველი.

– ბელა, ხომ იცი, რომ ყველაფერი ასე არ არის, მე არ ვიქნები შორს და ყველაფერი მალე დამთავრდება.

– ვერ მოვითმენ, იმაზე ფიქრს გადავყვები დაბრუნდები თუ არა და არ აქვს მნიშვნელობა ეს რამდენ ხანში დამთავრდება.

– ეს ადვილი იქნება და შენი შიში აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

– და ყველაფერი კარგად იქნება?

– ყველაფერი.

– ანუ ჩემი ყოფნა ველზე არ არის აუცილებელი?

– რა თქმა უნდა არა, ელისმა ეხლა მითხრა, რომ მათი რაოდენობა ცხრამეტამდე შემცირდა, მათ ძალიან ადვილად დავამარცხებთ.

– მართალია, ანუ შენ ამბობ, რომ ყველაფერი იმდენად ადვილი იქნება, რომ ვიღაცას შეეძლება გვერდზე გადგეს, ხომ ასეა?

– კი.

ის ვერ მიხვდა რას ვგულისხმობდი, ამიტომ დავამატე.

– ანუ შენც შეგიძლია გვერდზე გადგომა?

დიდი ხნის სიჩუმეს შემდეგ, როგორც იქნა შევხედე, უემოციო ნიღამი ისევ დაუბრუნდა, ის ჩუმად იყო.

– ორიდან ერთი,- გავაგრძელე მე, - თუ ყველაფერი იმაზე ბევრად საშიშია ვიდრე შენ ამბობ, მაშინ მე გამოგადგებით და ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის, მაგრამ თუ ეს მართლა ასეთი ადვილი აღმოჩნდება, მაშინ ისინი შენს გარეშეც დაამარცხებენ ახალშობილებს, ასე რომ აირჩიე.

ედვარდი ისევ ჩუმად იყო.

ვიცი, ისიც იმაზე ფიქრობდა რაზეც მე. კარლაილი, როზალი, ესმე, ემეთი ჯასპერი და კიდევ ელისი..

ალბათ ურჩხული ვიყავი, ისეთი არა როგორსაც ედვარდი უწოდებდა თავის თავს, მე ნამდვილი ურჩხული ვიყავი, რომელიც იმ ადამიანებს ტკენდა გულს, ვინც მისი გულისთვის ყველაფერზე იყო წამსვლელი.

ერთადერთი რაც მინდოდა ედვადის დაცვა და ჩემს გვერდით დატოვება იყო, ნეტავ რამდენის დათმობა შემეძლო ამ სურვილისთვის? არც კი მინდოდა ამაზე ფიქრი.

– შენ მთხოვ, რომ უფლება მივცე ჩემს გარეშე იბრძოლონ?- როგორც იქნა ამოღერღა ედვარდმა.

– კი, ან მომეცი უფლება იქ ვიყო, ყველა ვარიანტზე თანახმა ვარ თუ შენთან ერთად ვიქნები.

მან ნელა ჩაისუნთქა და ამოისუნთქა, შემდეგ ჩემი სახე ხელებში მოიქცია და დიდხანს მიყურებდა თვალებში, საინტერესოა რას ეძებდა იქ და რა იპოვა? ნუთუ ასე მკაფიოდ მეხატა სახეზე დანაშაულის გრძნობა? შინაგანად ძალიან საცოდავად ვგრძნობდი თავს.

მან თვალები მოჭუტა და შემდეგ ერთი ხელი ჩასწია, რომ ტელეფონი ამოეღო.

– ელის, შეგიძლია მოხვიდე და ბელას მიხედო? – ედვარდმა წარბი ასწია, რომ ხმა არ ამომეღო, - ჯასპერს უნდა ველაპარაკო.

მან ტელეფონი გათიშა და ისევ თვალებში ჩამხედა.

– რა უნდა უთხრა ჯასპერს? – ძალიან ჩუმად ვკითხე მე.

– უნდა ავუხსნა.. რომ ვეთიშები ბრძოლას.

ეტყობოდა, რომ ძალიან გაუჭირდა ამ სიტყვების თქმა.

– მაპატიე, ედვარდ.

მართლა ვწუხდი და მეზიზღებოდა ჩემი თავი, რომ ამის გაკეთებას ვაიძულებდი, მაგრამ არა იმდენად რომ უფლება მიმეცა ჩემს გარეშე წასულიყო.

– ნუ მთხოვ პატიებას,-მითხრა მან და გამიღიმა,- ნურასდროს შეგეშინდება იმის თქმის რასაც ფიქრობ, შენ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხარ და თუ ასე გინდა, ასეც იქნება.

– არ მინდოდა რომ ასე გამოსულიყო, თითქოს შენს ოჯახს და ჩემს შორის უნდა გააკეთო არჩევანი.

– ვიცი, მაგრამ შენ არჩევანის გაკეთება არ გითხოვია, შენ მე ორი ვარიანტი შემომთავაზე, რომელიც გაწყობდა და მე ის ავირჩიე რომელიც ჩემთვის იყო მისაღები.

დავიხარე და თავი დავადე გულზე.

– მადლობთ.

– არაფრის, - მითხრა მან და თმებზე მაკოცა.

ძალიან დიდხანს ვიჯექით გაუნძრევლად, ჩემში ორი ხმა ებრძოდა ერთმანეთს, ერთი რომელსაც უნდოდა, რომ კარგი და მამაცი ყოფილიყო და მეორე რომელიც პირველს აიძულებდა გაჩუმებულიყო.

– ვინ არის მესამე ცოლი? – მკითხა მან უცებ.

– რა? – გავოგნდი მე, ნუთუ ესეც დამესიზმრა?

– რაღაცას ბურტყუნებდი ძილში მესამე ცოლზე, აზრი ვერ გამოვიტანე და ცოტა დავიბენი.

– ხო, ეს ერთ-ერთი ისტორიაა, რომელიც მაშინ მოვისმინე კოცონთან, ვფიქრობ ძალიან ჩამყვა.

ედვარდმა გაიგონა დაბნეულობა ჩემს ხმაში და გაიწია, რომ ჩემთვის შემოეხედა, სანამ კითხვის დასმას მოასწრებდა, სამზარეულოში უკმაყოფილო სახით ელისი შემოვიდა.

– მთელს მხიარულებას გამოტოვებთ, - აბუზღუნდა ის.

– სალამი, ელის,- მიესალმა მას ედვარდი, ჩემი ნიკაპი ასწია და მაკოცა დასამშვიდობებლად.

– საღამოს დავბრუნდები, - შემპირდა ის, - სხვებთან უნდა მოვაგვარო ეს საკითხი, რაღაცეების შეცვლა მოგვიწევს.

– კარგი.

– არაფერია შესაცვლელი, - თქვა ელისმა,- მე მათ უკვე ვუთხარი და ემეთი ძალიან კმაყოფილია.

ედვარდმა მძიმედ ამოისუნთქა.

– რა თქმა უნდა, ის კმაყოფილი იქნება.

ის წავიდა და ელისთან დამტოვა.

– მაპატიე, ელის, - ისევ მოვიბოდიშე მე, - შენ ფიქრობ, რომ მის გარეშე უფრო გაგიჭირდებათ?

ელისმა ჩაიფხუკუნა.

– ძალიან ბევრს ნერვიულობ ბელა, ადრე გაჭაღარავდები.

– მაშინ რატომ ხარ მოწყენილი?

– ედვარდი ისეთი აუტანელია, განსაკუთრებით, როცა იმას არ იღებს რაც უნდა, უბრალოდ წარმოვიდგინე, როგორი იქნება მის გვერდით ცხოვრება მომდევნო რამოდენიმე თვე, თუმცა თუ ეს დაგამშვიდებს, ეს იმათ ღირს, ბელა ძალიან მინდა, რომ შენი პესიმიზმის გაკონტროლება ისწავლო, ეს სრულიად ზედმეტია.

– შენ მისცემდი ჯასპერს უფლებას შენს გარეშე წასულიყო? – ვიკითხე მე.

– ეს სულ სხვა რამეა.

– როგორ არა.

– ბელა მიდი და თავი მოიწესრიგე, ჩარლი თხუთმეტ წუთში სახლში იქნება, ასეთ მდგომარეობაში რომ დაგინახოს, არსად წასვლის უფლებას აღარ მოგცემს.

ელისი მართალი იყო, თითქმის მთელი დღე მეძინა და საშინლად გამოვიყურებოდი, მიხაროდა, რომ მომავალში ძილზე დროის დაკარგვა აღარ დამჭირდებოდა.

როცა ჩარლი დაბრუნდა უკვე ჩაცმული და დავარცხნილი ვიყავი და მაგიდაზე უკვე გამზადებული სადილი იდო, ელისი ედვარდის ადგილზე დაჯდა, დღეს ჩარლი ნამდვილად კმაყოფილი იქნებოდა.

– სალამი, ელის, როგორ არის საქმეები ძვირფასო?

– ძალიან კარგად ჩარლი, მადლობთ.

– როგორც იქნა ამდგარხარ ლოგინიდან ძილისგუდავ, -მომმართა მან მე და შემდეგ ისევ ელისს მიუბრუნდა,- ყველა მარტო იმ წვეულებაზე ლაპარაკობს, რომელიც შენმა მშობლებმა მოაწყვეს, ალბათ იმის მერე სახლს ალაგებთ ხომ?

ელისმა მხრები აიჩეჩა, ის ხომ ამას ხუთ წუთს მოანდომებდა.

– ეს ამად ღირდა,- თქვა მან,- წვეულება მართლაც კარგი იყო.

– ედვარდი სად არის? დალაგებაში გეხმარებათ?

ელისმა ამოისუნთქა, მისი სახე შეწუხებული იყო, ის თამაშობდა, მაგრამ იმდენად კარგად, რომ მეც დავიჯერე.

– არა, ის, ემეთი და კარლაილი გეგმავენ როგორ გაატარონ დასვენების დღეები.

– კიდევ ლაშქრობა?

ელისმა საცოდავი გამომეტყველებით დაუქნია თავი.

– კი, ყველა მიდის ჩემს გარდა, ჩვენ ყოველთვის დავდივართ ხოლმე ლაშქრობებზე წლის ბოლოს მაგრამ ამჯერად გადავწყვიტე, რომ დავრჩე და მაღაზიებში გავიარო, ჩემთან კი არავინ რჩება, სულ მარტო ვარ.

ელისი იმდენად დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ ვერც კი მივხვდი რას აკეთებდა.

– ელის, ძვირფასო, ჩვენთან რომ დარჩე? - შესთავაზა ჩარლიმ,- მეშინია იმის წარმოდგენის, რომ იმხელა სახლში მარტო იქნები.

მან ამოისუნთქა და ვიგრძენი რომ რაღაცა მაჭერდა ფეხზე, ელისი მიხვდა, რომ დღეს ცუდად ვაზროვნებდი.

– აბა რას იტყვი ელის? – აგრძელებდა ჩარლი.

ელისმა ისევ დამაბიჯა ფეხზე.

– ეეე.. მამ, ჩვენ სულაც არ გვაქვს კარგი აპარტამენტები და მემგონი ელისს არ უნდა იატაკზე დაძინება.

ჩარლი ჩაფიქრდა.

– მაშინ იქნებ ბელა დარჩეს შენთან? სანამ შენები არ დაბრუნდებიან.

– ოჰ, ბელა თანახმა ხარ? – სახე გაუნათდა ელისს, - ხომ წამომყვები საყიდლებზე?

– კი, საყიდლებზე სიარული ძალიან მაგარია.

– როდის მიდიან? - ჰკითხა მას ჩარლიმ.

– ხვალ.

– მე როდის მოვიდე? – ვიკითხე მე.

– ალბათ სადილის შემდეგ, შაბათისთვის ხომ არაფერი გეგმა არ გაქვს? მინდა, რომ ქალაქიდან გავიდეთ და ეს ალბათ მთელ დღეს გასტანს.

– ოღონდ სიეტლში არა, - უხეშად თქვა ჩარლიმ.

– რა თქმა უნდა არა, იქნებ ოლიმპიაში წავიდეთ? მოგეწონება ბელა, ნამდვილად მოგიხდება გასეირნება.

ელისმა ამ პატარა საუბრით შეადგინა ჩემი განრიგი.

ედვარდი მალე დაბრუნდა და დაუდასტურა ჩარლის ელისის ნათქვამი, მან მშვიდობიანი ღამე უსურვა ჩარლის და ელისთან ერთად წავიდა.

გადავწყვიტე ჩემს ოთახში ავსულიყავი.

– შეუძლებელია, რომ დაღლილი იყო, - შეიცხადა ჩარლიმ.

– ცოტათი, - მოვიტყუე მე.

რომ ავედი ედვარდი უკვე ჩემს საწოლზე იწვა.

– როდის ვხვდებით მგლებს,- ჩურჩულით ვკითხე მე და გვერდზე მივუწექი.

– ერთ საათში.

– კარგია, ჯეიკობს და მის მეგობრებს ნამდვილად სჭირდებათ დასვენება.

– იმათ იმდენად არა, როგორც შენ.

ვიცოდი, რომ ჩემს დარწმუნებას შეეცდებოდა, რომ სახლში დავრჩენილიყავი, ამიტომ სხვა თემაზე გადავედი.

– იცი, რომ ელისი ისევ აპირებს ჩემს “მოტაცებას”?

ედვარდს გაეცინა.

– საერთოდ ის კი არა, მე ვაპირებ.

დაბნეულმა შევხედე, ჩემმა რეაქციამ ძალიან გაამხიარულა.

– მე ერთადერთი ვარ, ვისაც მიეცი უფლება ტყვედ ყოლოდი, გახსოვს? – მითხრა მან, - ელისი დანარჩენებთან ერთად წავა სანადიროდ, მე ეს ჯერ არ მჭირდება.

– ე.ი მე და შენ მარტონი ვიქნებით?

სწრაფად გავიაზრე სიტუაცია, იქ არ იქნებოდა ჩარლი, რომელიც ყოველ წუთს შემოვიდა და შემამოწმებდა რას ვაკეთებდი და სახლიც არ იქნებოდა ვამპირებით სავსე, მარტო მე და ედვარდი.

– ყველაფერი რიგზეა? – მკითხა მან, როცა გავიტრუნე.

– კი, რა თქმა უნდა, ერთის გარდა.

– რის გარდა? – შეშფოთდა ის, უცნაურია, მაგრამ ჯერ კიდევ ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ მხოლოდ მას ვეკუთვნოდი, იქნებ უკეთესად უნდა გამომეხატა ეს.

– რატომ არ უთხრა ელისმა ჩარლის, რომ დღეს მიდიოდით?

მან მშვიდად გაიცინა.

ამჯერად ველზე გასეირნება უფრო მეტად მომეწონა, ვიდრე წინა ღამეს, უკვე თითქმის მჯეროდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, ედვარდიც ისე აღარ ნერვიულობდა, რომ ბრძოლის გამოტოვება მოუწევდა, ელისი ალბათ მართალი იყო, მე მართლაც ზედმეტად ვნერვიულობდი.

ველზე ბოლოები მივედით.

ჯასპერი და ემეთი უკვე იბრძოდნენ და თან იცინოდნენ, ელისი და როზალი მიწაზე იჯდნენ და აკვირდებოდნენ, ესმე და კარლაილი კი მოშორებით იდგნენ ხელჩაჭიდებულები და რაღაცას ჩურჩულებდნენ.

ეს ღამე უფრო ნათელი იყო, მთვარე უკეთ ანათებდა და კარგად ვხედავდი სამ მგელს, რომლებიც იქვე იჯდნენ.

– დანარჩენი მგლები სად არიან? – გამიკვირდა მე.

– ყველას ყოფნა არ არის საჭირო, ერთიც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ სემი ჯერ ამდენად არ გვენდობა, რომ მარტო ჯეიკობი გამოეგზავნა.

– ჯეიკობი შენ გენდობა.

ედვადმა თავი დამიქნია.

– მან იცის რომ მისი მოკვლას არ ვაპირებთ.

– შენ მიიღებ დღეს მონაწილეობას?

– ჯასპერს მივეხმარები თუ დავჭირდი, მას უნდა რანოდენიმე არათანაბარი ჯგუფი მოსინჯოს. რომ ასწავლოს მათ როგორ უნდა მოერიონ რამოდენიმეს ერთად.

ახალმა პანიკამ მომიცვა, ველს მივაშტერდი, რომ ჩემი განცდები დამემალა.

ეს ის ადგილი არ იყო, სადაც უნდა გამეხედა, ჩემს თავს ვატყუებდი, იმიტომ რომ როცა ძალით ვარიდებდი თვალს კალენების მხარეს, ჩემი მზერა ჯეიკობმა დაიჭირა და გამიღიმა.

ის დღესაც მგლის ფორმაში იყო, მაგრამ მისი გამომეტყველება ისეთივე ადვილად წასაკითხი იყო, როგორც ადამიანის.

უკვე ადვილად ვცნობდი მათ, ემბრი პატარა იყო და ნაცრისფერი, ზურგზე შავი კოპლებით, ქუილი კი მუქი ყავისფერი და სულ შფოთავდა, ისინი სულაც არ ჰგავდნენ მონსტრებს, პირიქით ძალიან მეგობრულად გამოიყურებოდნენ.

ედვარდი ნამდვილად არ ნერვიულობდა თავის ოჯახზე, დარწმუნებული იყო მათ ძალებში, მაგრამ არ ვიცოდი ნერვიულობდა თუ არა მგლებზე, ალბათ ეს მისთვის სულერთი იყო.

ნერწყვი გადავყლაპე და მეც გავუღიმე ჯეიკობს.

ის ოთხ ფეხზე წამოხტა და ჩვენთან მოირბინა.

– ჯეიკობ,- თბილად მიმართა ედვარდმა.

ჯეიკობი მე მიყურებდა და მივხვდი რისი კითხვაც უნდოდა.

– მე კარგად ვარ, უბრალოდ ვნერვიულობ, ხომ იცი.

ის ისევ მიყურებდა.

– მას აინტერესებს რატომ? – მითხრა ედვარდმა.

ჯეიკობმა დაიყმუვლა.

– რა?

– მას მიაჩნია, რომ ჩემი ნათარგმნი არ გადმოსცემს იმას რისი თქმაც უნდა, მან ის გაიფიქრა, რომ სულელი ხარ და მართლაც არაფერია სანერვიულო, მე უბრალოდ რედაქტირება გავუკეთე.

გამეღიმა.

– ნამდვილად ბევრია სანერვიულო, მაგალითად ის, რომ ჩერჩეტი მგლების ხროვა საფრთხეში იგდებს თავს.

ჯეიკობმა თითქოს დაახველა, მივხვდი, რომ ეს სიცილს ნიშნავდა.

– ჯასპერს დახმარება სჭირდება,-მომმართა ედვარდმა,- გაძლებ მთარგმნელის გარეშე?

– მოვახერხებ.

ედვარდი ცოტახანს მიყურებდა, ვერ მივხვდი რას ნიშნავდა მისი გამომეტყველება, მერე შებრუნდა და ჯასპერისკენ წავიდა.

მე მიწაზე დავჯექი, ზუსტად იქ სადაც ვიდექი.

ჯეიკობმა რამოდენიმე წრე გააკეთა და ჩემს გვერდით დამოწვა.

– ჯეიკობ კარგად ვარ, შეგიძლია წახვიდე.

მან არ მიპასუხა და თავი დადო თათებზე.

საკმაოდ ციოდა და კანკალი დავიწყე, ის ახლოს მოიწია და მომაწვა.

– მადლობთ,- ჩურჩულით ვთქვი მე.

ეხლა ბევრად კომფორტულად და თბილად ვიყავი.

– იცი, ძაღლი არასდროს მყოლია, მინდოდა, მაგრამ რენეს ალერგია აქვს.

ჯეიკობმა ისევ ისე გაიცინა.

– საერთოდ არ ნერვიულობ შაბათზე? – ვკითხე მე.

მან დიდი თავი მოაბრუნა ჩემსკენ და მივხვდი რაც გაიფიქრა.

– მეც მინდა, რომ ასეთი ოპტიმისტი ვიყო.

მგელმა თავი დახარა ჩემს ფეხებთან და ისევ ისე დაიწყო კრუტუნი, როგორც წინა ღამეს.

ეს უცნაური იყო, მისი მდგომარეობის მიუხედავად მეჩვენებოდა, რომ ისევ ძველ დროში დავბრუნდით, როცა ასე ადვილად შეგვეძლო მეგობრობა, ბოლო დროს ხომ ჩვენი ურთიერთობა დაძაბული იყო, უცნაური იყო, რომ სწორედ აქ ვიგრძები წარსული, მე ხომ ზუსტად ამ მგლური ცხოვრების გამო დავკარგე ჩემი მეგობარი.

ველზე ისევ გრძედებოდა ბრძოლა, მე კი მთვარეს ვაშტერდებოდი.

თავი 20

კომპრომისი

ყველაფერი მზად იყო.

ნივთები შევაგროვე ორდღიანი ვიზიტისთვის "ელისთან", კონცერტის ბილეთები ანჯელას, მაიკს და ბენს მივეცი, მაიკს ჯესიკა უნდა დაეპატიჟებინა და სწორედ ამის იმედი მქონდა. ბილიმ მოხუცი ქუილ ატეარას ნავი ითხოვა და თამაშის დაწყებამდე ჩარლი სათევზაოდ დაპატიჟა, ორი ყველაზე პატარა ვაერვულფი - კოლინი და ბრედი ლაპუშის დასაცავად დარჩნენ, ჩარლი ალბათ ბევრად უფრო დაცული იქნებოდა, ვიდრე სხვა ყველა ვინც ფორკსში იყო.

ყველაფერი გავაკეთე რაც შემეძლო, შევეცადე ყველაფერი ისე მიმეღო, როგორც იყო და დამევიწყებინა ის რაც ჩემზე არ იყო დამოკიდებული, ყოველ შემთხვევაში ამ ღამეს მაინც, ასე თუ ისე ორმოცდარვა საათში ეს ყველაფერი დამთავრდებოდა და ეს აზრი თითქმის მამშვიდებდა.

ედვარდმა მთხოვა დავმშვიდებულიყავი და მართლა ვცდილობდი ამას.

– ერთი ღამით არ შეგიძლია ყველაფერი დაივიწყო ჩვენ ორის გარდა? – მემუდარებოდა ის, - ალბათ ჩემთვის ყოველთვის ცოტა იქნება შენს გვერდით გატარებული დრო, მე სულ შენთან უნდა ვიყო.

რთული იყო არ დავთანხმებოდი, თუმცა თქმა უფრო ადვილი იყო ვიდრე გაკეთება, ჩემი თავი სავსე იყო პრობლემებით და ის რომ ჩვენ მარტონი ვიქნებოდით ამ ღამით, დამეხმარებოდა მათ გადაჭრაში.

რაღაც შეიცვალა, მაგალითად ის, რომ უკვე მზად ვიყავი.

მზად ვიყავი მისი ოჯახის და სამყაროს ნაწილი გავმხდარიყავი, ამასთან შიშმა, დანაშაულის გრძნობამ და იმან მიმიყვანა, რასაც ეხლა განვიცდიდი და ამას მაშინ მივხვდი, რომ ღამე ველზე ვიჯექი და მთვარეს ვუყურებდი, თუ მსგავსი რამ მომავალში კიდევ მოხდება მე კარგი დამხმარე ვიქნები და არა ზედმეტი ბარგი და ედვარდს არასდროს აღარ მოუწევს თავის ოჯახს და ჩემს შორის არჩევანის

გაკეთება, ჩვენ ისეთივე პარტნიორები გავხდებით, როგორიც ელისი და ჯასპერი არიან.

მხოლოდ ერთი რაღაც მაკლდა.

მარტო ერთი, იმიტომ, რომ სხვა დანარჩენი არ შეცვლილა.

ბევრი დრო მქონდა იმისთვის, რომ ჯასპერის და ემეთის სანაძლეოზე მეფიქრა, ვიცოდი, რომ ბევრ ადამიანურს შეველეოდი მომავალში, მაგრამ იყო ერთი ადამიანური გრძნობდა, რომელიც მინდოდა იქამდე განმეცადა, სანამ ვამპირი გავხდებოდი.

ნამდვილად ვიცოდი რა უნდა გვეკეთებინა ამ ღამეს, იმის შემდეგ რაც ორი წლის განმავლობაში მესმოდა, სიტყვამ "შეუძლებელია " ყოველგვარი აზრი დაკარგა, ეხლა ჩემს გასაჩერებლად მას ბევრად სერიოზული მიზეზების მოგონება დასჭირდებოდა.

ვიცოდი ეს ბევრად რთული იქნებოდა, ვიდრე მე ვგეგმავდი, მაგრამ მაინც ყველანაირად ვეცდებოდი.

ამისთვის იმდენად ვიყავი განწყობილი, რომ სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ძალიან ვნერვიულობდი, როცა მის სახლს მივუახლოვდით, არ ვიცოდი, როგორ განმეხორციელებინა ის რაც ჩავიფიქრე და ნერვიულად მაკანკალებდა.

ედვარდი გვერდზე მეჯდა და ეცინებოდა იმაზე, როგორ ნელა ვატარებდი მანქანას, მაგრამ ამჯერად არ მოუთხოვია, რომ საჭესთან დამესვა.

როგორც კი ძრავი ჩავაქვრე, ის უკვე გვერდზე იდგა და კარებს მიღებდა, ერთი ხელით გადმოსვლაში დამეხმარა, მეორეთი კი ჩემი დიდი ჩანთა აიღო, მისმა ტუჩებმა ჩემები იპოვეს და გავიგონე, ჩემს უკან კარები როგორ მიხურა ფეხით, კოცნა არ შეუწყვეტია ისე ამიყვანა ხელში და სახლში შემიყვანა. თავბრუ მეხვეოდა და ჩემს თავს ვახსენებდი, რომ მესუნთქა.

ამ კოცნას არ შევუშინებივარ, ეს იმას არ ჰგავდა, როცა მის თვითკონტროლში პანიკა და შიში იგრძნობოდა, ის ძალიან მშვიდი და ბედნიერი იყო და ისევე როგორც მე აღელვებული იყო იმით, რომ ამ ღამეს მარტოები ვიქნებოდით, კოცნა კიდევ დიდხანს გაგრძელდა და ჩვენ ისევ შემოსასვლელში ვიდექით, ის სულაც არ ფრთხილობდა, პირიქით, დღეს ბევრად თავისუფალი და ლაღი იყო, ვიდრე სხვა დროს.

ოპტიმიზმის მოზღვავებას ვგრძნობდი, ვიფიქრე რომ სულაც არ იქნებოდა რთული იმისთვის მიმეღწია, რაც ჩაფიქრებული მქონდა.

ის გაიწია და თბილად გამიღიმა.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება სახლში.- მითხრა მან, მისი თვალები ოქროსავით ბზინავდა, ცოტაც და დავიკარგებოდი მათში.

– კარგად ჟღერს, - ვუთხარი მე, ვგრძნობდი რომ ჰაერი აღარ მყოფნიდა.

მან ფრთხილად დამსვა ფეხებზე და მე წელზე შემოვეხვიე, არ მინდოდა, რომ ჩვენს შორის პატარა მანძილი მაინც ყოფილიყო.

– რაღაც მაქვს შენთვის, - დაუბრუნდა ის ძველ საუბარს.

– მართლა?

– რაღაც მეორადი, გახსოვს? შენ თქვი, რომ მიიღებდი.

– ხო, მემგონი ასე ვთქვი.

– ეს ზევით არის ჩემს ოთახში, მოვიტანო?

მის საძინებელში?

– რა თქმა უნდა, - ვითხარი მე და ძლიერად ჩავჭიდე ხელები, - ავიდეთ.

ალბათ იმდენად უნდოდა თავის საჩუქრის მოცემა, რომ ადამიანური სისწრაფე ამისთვის არ ეყოფოდა, ისევ ხელში ამიტაცა და აფრინდა კიბეებზე, თავისი ოთახის კარებთან დამსვა და კედლის კარადას ეცა.

ყურადღება არ მივაქციე და დიდი, ოქროსფერი საწოლისკენ გავემართე, ბურთივით დავმრგვალდი და შუაში დავჯექი.

– კარგი, - ვთქვი მე, როცა უკვე იქ ვიყავი სადაც მინდოდა,- აქ მოიტანე საჩუქარი.

ედვარდს გაეცინა.

ის საწოლზე ამოვიდა და ჩემს გვერდით დაჯდა, ჩემი გული ძლიერად ძგერდა და იმედი მქონდა, რომ ვერ მიხვდებოდა რატომ.

– მეორედი ნივთი, - შემახსენა მან, შემდეგ ჩემი მარცხენა ხელი აიღო, ვერცხლისფერ სამაჯურს შეეხო და ხელი გამიშვა.

ხელი ავწიე, რომ დამენახა რა გააკეთა, მგლის მოპირდაპირე მხარეს ეხლა ბზინვარე, გულის ფორმის კრისტალი ეკიდა, ამ შუქზეც კი საოცარი სანახავი იყო, რაღაც აღფრთოვანების მსგავსი ხმა გამოვეცი.

– ის დედაჩემს ეკუთვნოდა, ბევრი მსგავსი რამ დამრჩა მისგან, რამოდენიმე ელისს და ესმეს ვაჩუქე, ეს უბრალოდ წვრილმანია,- დამამშვიდა მან, - არაფერი განსაკუთრებული, ვიფიქრე რომ ეს გაგახსენებს ჩემს თავს, ის ჩემსავით მკვრივი და ცივია და მზეზეც ბრჭყვიალებს.

– ყველაზე მთავარი მსგავსება დაგავიწყდა,- ვთქვი მე, - ის მშვენიერია.

– ჩემი გული მასავით მშვიდია, - თქვა მან იდუმალად, - და ისიც შენია.

– ორივესთვის მადლობა.

– მადლობა შენ, რომ მიიღე საჩუქარი, მემგონი უკვე დროა მათ მიღებას შეეჩვიო,- მითხა მან და გამიღიმა.

მასთან ახლოს მივიწიე და მივეკარი, ეს მიქელანჯელოს დავითთან ჩახუტებას ჰგავდა, განსხვავება ის იყო, რომ ამ ქანდაკებამ ხელები შემომხვია და ახლოს მიმწია თავისთან.

ეს ძალიან კარგი მომენტი იყო დასაწყებად.

– შეიძლება რაღაცაზე შევთანხმდეთ? დავაფასებ თუ ამას გამიგებ.

ის ცოტახანს ფიქრობდა.

– ყველანაირად ვეცდები, - მიპასუხა მან ფრთხილად.

– არცერთ კანონს არ დავარღვევ, - შევპირდი მე, - ყველაფერი მარტო მე და შენ გვეხება, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ წინა ღამეს ასე ადვილად ვიპოვეთ კომპრომისი, ვფიქრობ, ეს პრინციპი სხვა სიტუაციაშიც უნდა გამოვიყენოთ.

გამიკვირდა, რომ ამას ასე ოფიციალურად ვამბობდი, ალბათ ნერვების ბრალი იყო.

– რაზე გინდა ლაპარაკი? ,- მკითხა მან ღიმილით.

ყველანაირად ვცდილობდი სწორი სიტყვები მეპოვა დასაწყებად.

– მოუსმინე, როგორ სწრაფად ძგერს შენი გული,- ჩამიჩურჩულა მან,- კალიბრის ფრთებივით ფართხალებს, კარგად გრძნობ თავს?

– გადასარევად ვარ.

– მაშინ გააგრძელე, გთხოვ.

– ნუ.. ჯერ მინდა, რომ ამ ქორწინების სასაცილო პირობაზე ვილაპარაკოთ.

– ეს სასაცილო მარტო შენთვის არის, მერე?

– იცი რა ვიფიქრე, ამის შეცვლა კიდევ შეიძლება?

ედვარდი დასერიოზულდა.

– დიდი ხნის წინ მე უკვე წავედი ერთ დიდ დათმობაზე, როცა შენი სიცოცხლის წართმევას დავთანხმდი, ეს იმაზე მეტია ვიდრე შემიძლია.

– არა, - თავი გავიქნიე მე, - ეს უკვე გარკვეულია, ჩვენ ეხლა ჩემს შეცვლაზე არ ვლაპარაკობთ, სხვა დეტალებზე მინდა შევთანხმდეთ.

ედვარდი დაეჭვებული მიყურებდა.

– რა დეტალებს გულისხმობ?

– მოდი, ჯერ შენი პირობები გავარკვიოთ.

– შენ იცი რაც მინდა.

– ქორწინება,- ეს სიტყვა ისე წარმოვთქვი, თითქოს ლანძღვა იყო.

– კი,- ღიმილით თქვა მან,- ეს დასაწყისისთვის.

– რა კიდევ არის რამე?

– ნუ, თუ ჩემი ცოლი გახდები, მაშინ ის რაც მე მეკუთვნის შენი გახდება, მაგალითად ფული სწავლისთვის და დარმუთში წასვალც აღარ იქნება პრობლება.

– კიდევ რა?

– დროზეც არ ვიტყოდი უარს.

– არა, არავითარი დრო, თუ ეს არის შენი პირობა, მაშინ შეთანხმება აქვე შეწყდება.

მან მწუხარედ ამოისუნთქა.

– სულ ერთი წელი, ან ორი.

– არა, შემდეგზე გადადი.

– სულ ეს არის, ეხლა გააგრძელე, მე მეგონა ურჩხულად გადაქცევის გარდა არაფერი გინდოდა, მართლა ძალიან დამაინტერესე.

მე პაუზა გავაკეთე, ჯერ კიდევ არვიცოდი საიდან დამეწყო, მის მზერას ვგრძნობდი და მეშინოდა რომ მისთვის შემეხედა, სისხლი მომაწვა.

ის ცივი ხელით მომეფერა ლოყაზე.

– შენ გაწითლდი?,- თქვა მან გაკვირვებულმა,- გთხოვ, ბელა, დაიწყე, უკვე ცუდად ვარ.

– ნუ, ცოტას განვიცდი იმაზე შემდეგ რა იქნება,- ვაღიარე მე და როგორც იქნა შევხედე.

ვიგრძენი როგორ დაეძაბა სხეული, მაგრამ ხმა ისევ მშვიდი ჰქონდა.

– კონკრეტულად რაზე ნერვიულობ?

– მემგონი, თქვენ ყველანი დარწმუნებულები ხართ, რომ შეცვლის შემდეგ ჩემი ერთადერთი ინტერესი ხალხის ხოცვა იქნება და მე მეშინია, რომ იმდენად მშთანთქავს ეს აზრი, რომ მე ის აღარ ვიქნები ვინც ვარ და რომ ისე აღარ მენდომები, როგორც ეხლა მინდიხარ.

– ბელა, ეს ხომ სამუდამოდ არ იქნება,- დამამშვიდა მან.

– ედვარდ,- ვთქვი მე და ისევ დავხარე თვალები,- არის რაღაც, რაც მინდა იქამდე გავაკეთო, სანამ შევიცვლები.

ის ელოდებოდა, რომ გავაგრძელებდი, მაგრამ ვერაფერი ვერ დავამატე.

– ყველაფერს გავაკეთებ რაც გინდა, - მითხრა მან.

– მპირდები? – ჩავიჩურჩულე მე, ვიცოდი, რომ თუ სიტყვაზე დავიჭერდი, ვეღარ დაიძვრენდა თავს.

– კი, - მითხრა მან ძალიან სერიოზული სახით,- მითხარი რა გინდა და ამას მიიღებ.

არც კი მჯეროდა, იმდენად იდიოტურად ვგრძნობდი თავს, წარმოდგენაც კი არ მქონდა, როგორ უნდა ვყოფილიყავი უფრო მაცდუნებელი, ერთადერთი რაც შემეძლო გაწითლება იყო, ამიტომ ვარჩიე პირდაპირ მეთქვა.

– შენ მინდიხარ,- ძლივს ამოვღერღე მე.

– მე შენი ვარ,- გამიღიმა მან.

ღრმად ჩავისუნთქე და მუხლებზე დავდექი, შემდეგ კისერზე შემოვხვიე ხელები და ვაკოცე.

მან მიპასუხა კოცნაზე, მისი ტუჩები ნაზი იყო, მაგრამ ფიქრებით შორს იყო და ცდილობდა გაერკვია რა მინდოდა, მივხვდი, რომ მინიშნება სჭირდებოდა.

ხელები ოდნავ მიკანკალებდა, როცა მათ მისი კისრიდან ვაშორებდი, ჩემი თითები ქვევით, მისი პერანგის საყელოსთან ჩამოვიდა, ხელები მიკანკალებდა და ვცდილობდი ღილები გამეხსნა, სანამ გამაჩერებდა.

ედვარდის ტუჩები გაიყინა და მივხდი, რომ გაიგო რასაც ვგულისხმობდი.

მან საშინელი უკმაყოფილო სახით გამწია გვერდზე

.

– ბელა რას აკეთებ?

– შენ შემპირდი, ყველაფერი რაც მენდომებოდა.

– ამას არც განვიხილავთ,- მითხრა მან და იმ ღილების შეკვრა დაიწყო, რომლის გახსნაც მოვასწარი.

კბილები ძლიერად დავაჭირე ერთმანეთს.

– მე მინდა, რომ ეს განვიხილოდ,- თითქმის ვიყვირე მე და ისევ გავწიე ხელები მისი პერანგისკენ.

მან ძლიერად დამიჭირა მაჯები.

– მე ვთქვი არა!

გაბრაზებულები ვუყურებდით ერთმანეთს.

–შენ თვითონ გინდოდა გცოდნოდა,- შევახსენე მე.

– მე მეგონა ეს რამე რეალური იქნებოდა.

– ე.ი შენ გაქვს უფლება ნებისმიერი სისულელე მთხოვო, მაგალითად ქორწინება და მე ამაზე ლაპარაკიც აკრძალული მაქვს?

– არა! - გაქვავებული სახით გაიმეორა მან.

ღრმად ჩავისუნთქე, რომ დავწყნარებულიყავი და როცა გაბრაზებამ ცოტა გადამიარა, სხვა რამ ვიგრძენი. წუთი დამჭირდა იმის მისახვედრად ისევ რატომ გავწითლდი და დავხარე თავი, თვალები ცრემლებით ამევსო და ამ ოთახიდან გაქცევა მინდოდა. მან უარმყო და თავს საშინლად ვგრძნობდი.

ვიცოდი, რომ ეს სისულელე იყო და ბევრჯერ მქონდა გაგონილი, რომ მხოლოდ ჩემს უსაფრთხოებაზე ფიქრობდა, თუმცა აქამდე ასე არასაჭიროდ და უვარგისად თავი არ მიგრძვნია.

ედვარდმა ამოისუნთქა და სახე ზევით ამაწევინა, სხვა გზა არ მქონდა და შევხედე.

– ეხლა რა ხდება?

– არაფერი,- ჩავიბურტყუნე მე.

ის დიდხანს მიყურებდა, შემდეგ ცალი წარბი ასწია და მისი გამომეტყველება შეშინებული გახდა.

– ძალიან გატკინე გული? – მკითხა მან შოკირებულმა.

– არა,- მოვიტყუე მე.

ვერც კი ვიგრძენი ისე სწრაფად აღმოვჩნდი მის მკლავებში, ერთი ხელით მიჭერდა, მეორეთი კი სახეზე მეფერებდა.

– შენ ხომ იცი რატომაც მომიწია უარის თქმა,- ჩურჩულით მითხრა მან – ხომ იცი, რომ მეც მინდიხარ.

– გინდივარ? – ვკითხე მე დაეჭვებულმა.

– რა თქმა უნდა მინდიხარ, შენ სულელი, ლამაზი და ზედმეტად მგრძნობიარე გოგონა ხარ,- გაეცინა ედვარდს,- და ვის არ უნდიხარ? ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ჩემს უკან კონკურენტების მთელი ჯარია, რომლებიც ელოდებიან, როდის დავუშვებ შეცდომას და შანსს მივცემ მათ.

– და ეხლა ვინ არის ჩვენს შორის სულელი?

– გინდა, ხელწერილი დავაწერინო ყველას, რომ დაიჯერო? გითხრა ვისი სახელებია ამ სიაში? ზოგიერთებს იცნობ, ზოგი კიდევ ძალიან გაგაკვირვებს.

უარყოფითად გავიქნიე თავი.

– შენ უბრალოდ ცდილობ, რომ სხვა რამეზე გადამატანინო ყურადება, მოდი თემას დავუბრუნდეთ, მითხარი, თუ რამე არასწორედ გავიგე, შენი მოთხოვნებია – ქორწინება, სწავლის საფასურის გადახდა, ცოტა მეტი დრო და სწრაფი მანქანა არა? ეს საკმაოდ დიდი სიაა.

– მარტო პირველია მოთხოვნა, დანარჩენი უბრალოდ თხოვნაა.

– და ჩემი ერთადერთი მოთხოვნა არის..

– მოთხოვნა? – შემაწყვეტინა მან და ისევ დასერიოზულდა.

– დიახ, მოთხოვნა, ჩემთვის ქორწინება რთული გადასაწყვეტია, ამას არ დავთანხმდები, სანამ სამაგიეროდ არ მივიღებ რამეს.

ის დაიხარა და ყურში ჩამჩურჩულა.

– არა, ეხლა ეს შეუძლებელია, შემდეგ, როცა ასეთი სუსტი აღარ იქნები, მოითმინე ბელა.

შევეცადე ხმა მშვიდი მქონოდა.

– სწორედ ამაშია პრობლემა, მე არ ვიცი შემდეგ ვინ ვიქნები და ეს იგივე შეგრძნება აღარ იქნება.

– შენ ისევ ბელა იქნები.

გავბრაზდი.

– ჩარლის მოკვლა, რომ მომინდეს? ჯეიკობის ან ჯესიკას სისხლი რომ დავლიო? ეს როგორ იქნება სიმართლე?

– ეს გაივლის, ბელა და ეჭვი მეპარება, რომ ძაღლის სისხლის დალევა მოგინდეს, იმის მიუხედავად, რომ ახალშობილი იქნები, უკეთესი გემოვნება გექნება.

– მაგრამ ეს ხომ მაინც ყველაზე სასურველი იქნება ჩემთვის არა? სისხლი, სისხლი და კიდევ მეტი სისხლი!

– ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ, ადასტურებს იმას, რომ ეს ასე არ არის.

– ოთხმოცი წლის შემდეგ, ვიცი, რომ აზროვნება ისევ ჩემი იქნება და ალბათ თავის გაკონტროლებასაც შევძლებ, მაგრამ ფიზიკურად მე მარტო წყურვილს ვიგრძნობ და სხვას არაფერს.

მან არ მიპასუხა.

– ასე, რომ, -გავაგრძელე მე,- მე უკვე სხვა ვიქნები,- ეხლა ფიზიკურად ყველაზე მეტად რაც მინდა შენ ხარ, ჰაერზე მეტადაც კი.

შემოვბრუნდი, რომ მისთვის ხელზე მეკოცნა.

მან ამოიოხრა, ეს იმას ჰგავდა, რომ უკვე ახლოს ვიყავი მიზანთან.

– ბელა, მე შეიძლება მოგკლა,- ჩურჩულით თქვა მან.

– არამგონია, რომ ამას იზავ.

ედვარდმა თვალები მოჭუტა, ერთი ხელი უკან წაიღო და რაღაცას მისწვდა, მაგრამ ვერ დავინახე, ხმა გავიგონე და საწოლი შეირხა ჩვენს ქვევით.

რაღაც მუქი იყო მის ხელში, მან ხელი ასწია, რომ დამენახა რა იყო, ეს ერთ-ერთი მეტალის ყვავილი იყო, რომელიც საწოლს ამშვენებდა, მან ერთი წამით მოუჭირა ხელი და შემდეგ გახსნა მუჭა.

ხმა არ ამოუღია ისე შემახედა დაკუჭულ, უფორმო მეტალზე, რომელზეც მისი თითები იყო აღბეჭდილი.

გაოგნებული ვუყურებდი.

– ედვარდ, ამაზე არ არის ლაპარაკი, უკვე ვიცი რამდენად ძლიერი ხარ და სულაც არ არის საჭირო ამის საჩვენებლად ავეჯის დამტვრევა.

– მაშინ რაზეა ლაპარაკი?- მკითხა მან და ხმაურით მოისროლა რკინის ნაჭერი.

თვალს არ მაცილებდა, როცა ახსნას ვცდილობდი.

– შეიძლება ფიზიკურად მართლა დამიშავო რამე, ოღონდ თუ გენდომება, მაგრამ შენ ეს იმდენად არ გინდა, რომ ვერასდროს ვერაფერს მატკენ.

მან უარყოფითად გაიქნია თავი.

– ბელა, ამან შეიძლება არ გაამართლოს.

– შეიძლება, - გამეცინა მე,- შენ ამ საქმეში იმდენივე გამოდილება გაქვს რაც მე.

– ზუსტად და ამიტომ ასეთი დიდი რისკის ქვეშ არ დაგაყენებ.

დიდხანს ვუყურებდი თვალებში, უკვე დაკარგული მქონდა იმედი.

– გთხოვ, - ვთქვი მე ჩუმად, - ეს ერთადერთია რაც მინდა, გემუდარები.

ედვარდმა გაიმარჯვა, თვალები დავხუჭე და უკვე ველოდებოდი საბოლოო უარყოფით პასუხს.

მან მაშინვე არ მიპასუხა, განცვიფრებულმა ვცქვიტე ყურები, როცა მისი არათანაბარი სუნთქვა გავიგონე.

თვალები გავახილე, რომ შემეხედა, მისი სახე სავსე იყო ტკივილით.

– გთხოვ,- გავაგრძელე მე ჩურჩულით და ჩემი გული ისევ ახმაურდა, - არ მინდა არავითარი გარანტია, თუ არაფერი გამოვა, ე.ი ასე ყოფილა საჭირო, უბრალოდ მოდი ვცადოთ და მე ყველაფერს მოგცემ რაც გინდა, ცოლადაც გამოგყვები, მოგცემ უფლებას, რომ სწავლის საფასური გადამიხადო, შეგიძლია სწრაფი მანქანაც მიყიდო თუ ამით ბედნიერი იქნები, ოღონდ გთხოვ..

მისი ტუჩები ჩემს ყურთან იყო.

– ბელა, ეს აუტანელია, იმდენი რამეა, რაც მინდა, რომ მოგცე და შენ ამის მოთხოვნა გადაწყვიტე, იცი მაინც, რამდენად მიჭირს შენთვის უარის თქმა, როცა ასე მთხოვ?

– მაშინ ნუ მეუბნები უარს.

მან არ მიპასუხა.

– გემუდარები, - შევეცადე მე ისევ.

ედვარდმა ნელა გაიქნია თავი, მაგრამ ეს არ ჰგავდა უარს, მისი ტუჩემი ზევით და ქვევით მოძრაობა ჩემს კისერზე, ეს უფრო გამარჯვებას ჰგავდა, ჩემი გული მზად იყო ამოვარდნილიყო.

სიჩუმით ვისარგებლე, მის ხელებში მოვტრიალდი და ვაკოცე, ედვარდმა ჩემი სახე დაიჭირა და მეგონა, რომ გამწევდა, მაგრამ ასე არ მოიქცა.

ის აღარ იყო ნაზი, რაღაც ახალი იგრძნობოდა მის კოცნაში, ხელები ძლიერად შემოვხვიე და ცხელი კანით მივეკარი, ვიგრძენი, რომ მისი სხეული ბევრად უფრო ცივი იყო, ვიდრე სხვა დროს, ვკანკალებდი, მაგრამ სიცივის გამო არა.

ის არ წყვეტდა ჩემს კოცნას, გამიკვირდა, მაგრამ სულ არ მჭირდებოდა შესვენება და ჰაერი, მისი ტუჩებმა ნელა გადაინაცვლა ჯერ ჩემს ნიკაპზე და მერე კისერზე, მოგების შეგრძნება საოცარი იყო, ვგრძნობდი, რომ ძლიერი ვიყავი და აღარ ვკანკალებდი, ეხლა უკვე ადვილად მოვერიე ღილებს მის პერანგზე და ხელებით მისი მკერდის იდეალურ ზედაპირს შევეხე, ის ზედმეტად ლამაზი იყო, მისი სილამაზე უბრალოდ აუტანელი იყო.

ედვარდი ისევ ჩემს ტუჩებს მიუბრუნდა, ცალი ხელით ჩემი სახე ეჭირა, მეორე კი წელზე შემომხვია და უფრო ძლიერად მიმიკრა, ამის გამო გამიჭირდა ჩემი ბლუზის გასახსნელის პოვნა, მაგრამ შეუძლებელი არაფერი იყო.

ის გაჩერდა და ხელები დამიჭირა, უცებ მივხვდი, რომ უკვე ბალიშზე მედო თავი, მისი ტუჩები ისევ ჩემს ყურთან იყო.

– ბელა, - ჩურჩულით მითხრა მან, მისი ხმა თბილი და ჰავერდოვანი იყო,- გთხოვ, შეგიძლია გახდა შეწყვიტო?

– გინდა, რომ ეს შენ გააკეთო?

– დღეს არა,- მიპასუხა მან რბილად და ისევ განაგრძნო ჩემი კოცნა, მაგრამ უკვე არ ჩქარობდა.

– ედვარდ..

– მე უარს არ გეუბნები, უბრალოდ გითხარი, რომ დღეს არა.

– ერთი მიზეზი მაინც დამისახელე, ეს ღამე რატომ არ გამოდგება?

– ბელა, მე გუშინ არ დავბადებულვარ,- გაეცინა მას, - შენ შემპირდი, რომ მანამდე გამომყვებოდი ცოლად, სანამ შეგცვლიდი, რა გარანტია მაქვს, რომ შენი მოთხოვნის მიღების შემდეგ კარლაილთან არ გაიქცევი? პირველი შენ შეასრულებ დანაპირებს.

ხმამაღლა ამოვიოხრე, ის კი ჩემს კოცნას აგრძელებდა.

– ეი ჯერ ცოლად უნდა გამოგყვე? მემგონი ეს ძალიან ცუდი იდეაა, - ვთქვი მე, როცა სუთქვის საშუალება მომცა.

– სულაც არ მიკვირს, რომ ასე ფიქრობ.

– ეს როგორ მოახერხე? იმედი მქონდა, რომ დღესვე მივაღწევდი იმას რაც მინდოდა, ამის მაგივრად კი..

– დანიშნული ხარ, - გააგრძელა მან.

– ფუ, ნუ ამბობ ამას ხმამაღლა.

– უკან აპირებ შენი სიტყვების წაღებას?- მკითხა მან და გაიწია, რომ გაეგო რა ხდებოდა ჩემს თავში, ეტყობოდა, რომ საკმაოდ მხიარულად გრძნობდა თავს.

– უჰჰ, არა, არ ვაპირებ! ეხლა ბედნიერი ხარ?

მისი ღიმილი დამაბრმავებელი იყო.

– ნამდვილად.

ისევ დავიწყე წუწუნი.

– და შენ საერთოდ არ ხარ ბედნიერი? – მკითხა მან და მანამდე მაკოცა სანამ პასუხს გავცემდი.

– ცოტათი,- ვთქვი მე, როცა საშუალება მომცა,- მაგრამ ქორწინების გამო არა.

მას ისევ გაეცინა.

– არ გეჩვენება რომ ყველაფერი უკუღმა ხდება? თუ ტრადიციებს მივსდევთ მაშინ მე უნდა გეხვეწებოდე და შენ უნდა მეუბნეოდე უარს, ესე არ არის?

– მე და შენ ყველაფერი არც ისე ტრადიციულად გვაქვს.

– მართალია.

მან ისევ მაკოცა, სანამ ჩემმა გულმა ისევ არ დაიწყო ფართხალი.

– მომისმინე ედვარდ, - ვთქვი მე, როცა ჩემს ხელს კოცნიდა, - გითხარი, რომ ცოლად გამოგყვები, გეფიცები შევასრულებ ამ დაპირებას, თუ გინდა ამ შეთანხმებას სისხლით მოვაწერ ხელს.

– სულაც არ არის სასაცილო.

– მე იმის თქმა მინდა, რომ სულაც არ ვაპირებ შენს მოტყუებას, შენ მიცნობ და იცი რომ ამას არ ვიზავ, ამიტომ არ არსებობს მიზეზი ლოდინისთვის, ჩვენ სრულიად მარტონი ვართ და ასეთი რამ ხშირად არ ხდება, თან შენ ეს დიდი და მოხერხებული საწოლიც დადგი ამ ოთახში..

– დღეს არა,- კიდევ ერთხელ გაიმეორა მან.

– არ მენდობი?

– რა თქმა უნდა გენდობი.

იმ ხელით, რომელსაც ჯერ კიდევ კოცნიდა, მისი სახე მოვატრიალე და შევხედე.

– მაშინ რაშია პრობლემა? შენ ისედაც იცი, რომ ბოლოს შენსას გაიტან, შენ ყოველთვის იმარჯვებ,- გავიბუტე მე.

– უბრალოდ მინდა, რომ ბოლომდე ვიყო დარწმუნებული,- თქვა მან მშვიდად.

– შენ კიდევ რამე ჩაიფიქრე? უკან აპირებ შენი სიტყვების წაღებას?

ის რაღაცას მალავდა, რაღაც საიდუმლო მოტივი იმალებოდა მისი ჩვეულებრივი საქციელის უკან.

– არა, გეფიცები, რომ ამას მოვსინჯავთ, როგორც კი ცოლად გამომყვები.

თავი გავიქნიე და გამეცინა.

– შენ მაიძულებ თავი ისე ვიგრძნო, როგორც ურჩხულმა მელოდრამიდან, რომელიც საწყალი გოგოს პატიოსნების მოპარვას ცდილობს, ხო, ზუსტად ასეა, -გამეცინა მე და ხელი მივიფარე პირზე,- შენს პატიოსნებას იცავ,- ეს სიტყვები ისეთი ძველმოდური იყო.

– არა, სულელო, მე შენს პატიოსნებას ვიცავ და შენ საშინლად მირთულებ ამ მცდელობებს.

– ნუ მაცინებ ედვარდ..

– რაღაცას გკითხავ ბელა, - სწრაფად შემაწყვეტინა მან, - ამაზე ადრეც გვილაპარაკია, შენი აზრით რამდენ ადამიანს აქვს ამ ოთახში სული?

– ორს!

– კარგი, შეიძლება ასეც იყოს, ბევრის აზრი იქითკენ იხრება, რომ ქვეყანაზე ბევრი წესებია, რომელთა დაცვაც აუცილებელია.

– ვამპირების წესები ცოტაა და შენ გინდა რომ ადამიანურებიც დაიცვა?

– ეს არ მაწყენს, მაგრამ ეს ჩემთვის უკვე გვიან არის, მართალიც რომ აღმოჩნდე ჩემი სულის თაობაზე.

– არ არის გვიან!

– “ არა კაც ჰკლა” – ამას ქადაგებს რელიგია, მე კი ბევრი ადამიანი მომიკლავს.

– კი, ოღონდ ისინი ცუდი ადამიანები იყვნენ.

– ამას არ აქვს მნიშვნელობა, შენ ხომ არავინ მოგიკლავს.

– ეს შენ გგონია ასე.

მან გამიღიმა და არ მიაქცია ყურადღება, რომ შევაწყვეტინე.

– მე ყველაფერს გავაკეთებ რომ ეს არ მოხდეს.

– მაგრამ ჩვენ ეხლა მკვლელობაზე არ ვლაპარაკობთ,- შევეახსენე მე.

– აქაც იგივე პრინციპია, ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ ამ სფეროში მე ისეთივე პროფესიონალი ვარ, როგორც შენ, ხომ შეიძლება ერთი წესი მაინც არ დავარღვიო?

– ერთი?

– შენ იცი, რომ მე მომიტყუებია, მომიპარავს, ზედმეტი მომინდომებია და საღი გონება ერთადერთია რაც შემრჩა.

– მე სულ ვიტყუები.

– ხო, მაგრამ ტყვილები არ გეხერხება და ამიტომ ეს არ ითვლება.

– ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ცდები, წინაამღდეგ შემთხვევაში ეხლა ჩარლი შემოვარდება ოთახში იაღაღით.

– ჩარლი მშვიდად არის, როცა თავს იკატუნებს, რომ სჯერა შენი ზღაპრების, მას ურჩევნია თავი მოიტყუოს, ვიდრე სიმართლეს შეხედოს თვალებში.

– მაგრამ სხვისი რა უნდა მოგენდომებინა? შენ ხომ ყველაფერი გაქვს,- ვკითხე მე.

– მე შენი თავი მოვინდომე და ამის უფლება არ მაქვს, მაგრამ მაინც გავიტანე ჩემი, ეხლა ჩემი ხარ და შეხედე რას დაემსგავსე, ვამპირის შეცდენას ცდილობ.

– შენ არ შეიძლება გინდოდეს ის რაც უკვე შენია, ამის გარდა მე მეგონა ჩემს საღ გონებაზე ნერვიულობდი.

– ასეა, იმიტომ რომ ჩემთვის უკვე გვიან არის, მე უკვე დაწყევლილი ვარ და ჯოჯოხეთში მოვხვდები, არ მივცემ უფლებას, რომ შენც წაგიყვანონ.

– შენ ვერ მაიძულებ იქ წასვლას, სადაც შენ არ იქნები, ჩემთვის ეს უკვე ჯოჯოხეთია, ამ პრობლების გადაჭრა მარტივად შეიძლება, უბრალოდ ნუ მოვკვდებით.

– ძალიან მარტივად ჟღერს.

– ედვარდ, ანუ ჩემთან იქამდე არ დაიძინებ, სანამ შენი ცოლი არ გავხდები?

– პრაქტიკულად, შენთან ერთად ძილს ვერასდროს შევძლებ.

– ედვარდ, სერიოზულად გეკითხები!

– ხო ასეა, ყველაფერი სწორედ გაიგე.

– ვფიქრობ, რომ დაფარული მოტივი გაქვს.

მისი თვალები უსუსურად გაფართოვდა.

– კიდევ ერთი?- მკითხა მან.

– შენ იცი, რომ ეს დააჩქარებს მოვლენებს.

– მხოლოდ ერთი რამ არის, რისი დაჩქარებააც მინდა და შენი მოუთმენელი ადამიანური ჰორმონები ძალიან მეხმარება ამაში.

– არც კი მჯერა, რომ ამას შევძლებ, როცა ჩარლიზე და რენეზე ვფიქრობ, ან გოგოები რას იფიქრებენ? ალბათ გამჭორავენ..

მან წარბი ასწია და შემომხედა, ვიცოდი რასაც ფიქრობდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემზე რას იფიქრებდნენ, თუ მალე მაინც უნდა წავსულიყავი და აღარც

დავბრუნდებდი, ნუთუ იმდენად მგრძნობიარე ვიყავი, რომ რამოდენიმე ზედმეტ შემოხედვას ვერ გავუძლებდი?

ედვარდმა შეწყვიტა ჩემი ფიქრები.

– არ არის აუცილებელი, რომ ეს ყველაფერი გრანდიოზული იყოს, შეგიძლია არც არავის უთხრა, ჩვენ ვეგასში გავეგზავრებით, შეგიძლია ძველი ჯინსები ჩაიცვა, მანქანიდანაც კი არ დაგვჭირდება გადმოსვლა, უბრალოდ მინდა, რომ ეს ყველაფერი ოფიციალურად მოხდეს, მინდა რომ მარტო მე მეკუთვნოდე.

– ეს იმაზე ოფიციალური არ იქნება, ვიდრე უკვე არის, უბრალოდ ელისს დაწყდება გული.

– რამეს მოვიფიქრებთ,- გამიღიმა მან კმაყოფილმა, - ვფიქრობ, რომ ჯერ არ გინდა შენი ბეჭდის ნახვა, ხომ?

ნერწყვი გადავყლაპე სანამ ვუპასუხებდი.

– სწორედ ფიქრობ.

მას ჩემს გამომეტრყველებაზე გაეცინა.

– სულ მალე მაინც წამოგაცვამ მას თითზე.

– ისე ამბობ, თითქოს ის უკვე გაქვს.

– კი და ის გელოდება, რომ დაგამარცხოს, როგორც კი პატარა სისუსტეს გამოიჩენ.

– აუტანელი ხარ.

– გინდა, რომ ნახო? – მისი ტოპაზის ფერი თვალები, სიხარულით ანათებდა.

– არა,- თითქმის ვიყვირე მე და მაშინვე ვინანე, როცა მისი მოღუშული სახე დავინახე,- მანახე თუ ეს ძალიან გინდა.

– ყველაფერი რიგზეა, ბეჭედი მოიცდის.

ამოვიოხრე.

– ედვარდ, მანახე ეს ოხერი ბეჭედი!

მან თავი გაიქნია.

– არა.

– გთხოვ,- ვუთხარი მე და თითებით შევეხე მის სახეს, - ძალიან მინდა რომ ვნახო.

– შენ ყველაზე საშიში არსება ხარ, რომელიც აქამდე მინახავს,- მითხრა მან ღიმილით, შემდეგ ადგა და პატარა ტუმბოსტან დაიხარა, ორი წამის შემდეგ უკან დაბრუნდა, გვერდით დამიჯდა და ცალი ხელი მომხვია, მეორე ხელში კი პატარა შავი ყუთი ჰქონდა, მან ის მარცხენა მუხლზე დამიდო.

– მიდი, შეხედე.

ეს იმაზე რთული იყო, ვიდრე მეგონა, მაგრამ არ მინდოდა მისთვის ტკივილის მიყენება და ამიტომ შევეცადე კანკალის გარეშე გამეხსნა ყუთი.

– ბევრი ფული დახარჯე? მომატყუე, თუ დახარჯე.

– არაფერიც არ დამიხარჯავს, ეს კიდევ ერთი მეორადი ნივთია, ეს ბეჭედი მამაჩემმა მისცა დედაჩემს.

–ოჰ,- ამოვთქვი მე და ცერა თითით მოვხსნენი ყუთს თავსახური.

– ალბათ ის ძალიან ძველმოდურია, ისეთივე, როგორიც მე ვარ, შემიძლია რამე თანამედროვე გიყიდო.

– მე მიყვარს ძველებური ნივთები.

ელიზაბეტ მეისენის ოქროს ბეჭედი შავ ატლასში იდო და მუქ შუქზე ბზინავდა, წინა მხარე წაგრძელებულ ოვალს წარმოადგენდა და მორთული იყო მრგვალი ბრჭყვიალა ქვების რიგებით, თვითონ ბეჭედი თხელი და დახვეწილი იყო.

– როგორი მშვენიერია,- ჩავიჩურჩულე მე ჩემთვის.

– მოგწონს?

– ის საოცარია, რატომ არ უნდა მომწონდეს?

– ვნახოთ მოგიხდება თუ არა.

მარცხენა ხელით მუშტი შევკარი.

– ბელა, არ ვაპირებ, რომ ის თითზე მიგაწებო, უბრალოდ ვნახავ შენი ზომაა თუ არა, შემდეგ შეგიძლია მოიხსნა.

– კარგი.

ბეჭდისკენ წავიწიე, მაგრამ მისმა გრძელმა თითებმა დამასწრო, მან ჩემი ხელი აიღო და ბეჭედი გამიკეთა, ის საოცრად ანათებდა ჩემს კანთან კონტრასტში.

– კარგად გაქვს, - თქვა მან, მისი ჩვეულებრივი ტონის უკან საკმაოდ ძლიერი ემოციები იმალებოდა და მე მის სახეს შევხედე.

– შენ მოგწონს ეს არა? – ვკითხე მე და თითები გავამოძრავე.

მან მხრები აიჩეჩა.

– რა თქმა უნდა, ძალიან გიხდება.

კიდევ დავაკვირდი, რომ გამეშიფრა მისი ნიღაბი, მანაც შემომხედა და უცებ ნიღაბი გაქრა, ის ანათებდა, მისი ანგელოზის სახე სავსე იყო ბედნიერებით, იმდენად ლამაზი იყო ამ დროს, რომ სუნთქვა შემეკვრა.

სანამ შევძლებდი ამოსუნთქვას ის უკვე მეხვეოდა და მკოცნიდა, თითქოს სიზმარში ვიყავი, როცა მან ტუჩები ჩემს ყურთან მოსწია.

– კი, მომწონს, ვერ კი წარმოგიდგენია როგორ.

– მჯერა,- ვთქვი მე გათიშულმა.

– წინაამღდეგი ხომ არ ხარ რომ რაღაც გავაკეთო? – ჩურჩულით მკითხა მან.

– ყველაფერი რაც გინდა.

მან ხელი გამიშვა და გადავიდა საწოლიდან.

– ოჰ, ედვარდ, ოღონდ ეს არა..

მან იგნორირება გაუკეთა ჩემს სიტყვებს, ხელი მომკიდა, ჩამომსვა საწოლიდან და ჩემს წინ დადგა.

– ეხლა მინდა ეს სწორედ გავაკეთო, გთხოვ გახსოვდეს, შენ დამთანხმდი და ეხლა ნუ გამიფუჭებ სიამოვნებას.

– ოჰ, არა,- ვთქვი მე როცა მუხლებზე დადგა.

– ჭკვიანად მოიქეცი,- ჩაიჩურჩულა მან.

ღრმად ჩავისუნთქე.

– იზაბელა სვონ,- მან ამომხედა, თავისი გრძელი წამწამებიდან, მისი ოქროსფერი თვალები საოცრად თბილი იყო, - ვფიცავ რომ მუდამ მეყვარები, უსასრულობის ყოველ ცალკე აღებულ დღეს, გახდები ჩემი ცოლი?

ბევრი რამე შემეძლო მეპასუხა ამაზე, რამე რომანტიული ან ბანალური, ედვარდი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მსგავსი რამ შემეძლო, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე სისულელე არ გამეკეთებინა და უბრალოდ ჩავიჩურჩულე.

– კი.

– მადლობთ, - მითხრა მან და ხელზე მაკოცა.

თავი 21

კვალი

ძალიან არ მინდოდა ამ ღამის ძილზე დახარჯვა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. როცა გავიღვიძე უკვე მზე ანათებდა, პატარა ღრუბლები სწრაფად დაჰქროდნენ ცაზე, ქარი ხეებს არხევდა და თითქოს მთელი ტყე კანკალებდა შიშისგან.

ედვარდმა მარტო დამტოვა, რომ ჩამეცვა, მადლობელი ვიყავი მისი, რომ მარტოობაში ფიქრის საშუალება მომცა, არვიცი, როგორ, მაგრამ ჩემი გუშინდელი გეგმა ჩაიშალა და უნდა შევგუებოდი მის შედეგებს, ბეჭედი მალევე დავუბრუნე უკან, მაგრამ მარცხენა ხელი მაინც მძიმედ მეჩვენებოდა, თითქოს ის ისევ მეკეთა.
ამ ყველაფერზე არ უნდა ვინერვიულო, არაფერია განსაკუთრებული, უბრალოდ ვეგასში გავემგზავრებით, მე ჩემს საყვარელ სპორტულ ტანსაცმელს ჩავიცმევ და ალბათ ცერემონიალი მხოლოდ თხუთმეტ წუთს გაგრძელდება
, ამას ნამდვილად გავუძლებ და შემდეგ, როცა ყველაფერი დასრულდება მას თავისი დანაპირების შესრულება მოუწევს, სწორედ ამაზე უნდა ვიფიქრო.
ედვარდმა მითხრა, რომ შემეძლო არავისთვის მეთქვა და სწორედ ასე ვაპირებდი მოქცევას, მაგრამ რა თქმა უნდა ელისი სულ ამოგვივარდა თავიდან.

კალენები თორმეტ საათზე დაბრუნდნენ, რაღაც ახალი იგრძნობოდა მათ საქციელში, ისინი საქმიანები და მოწესრიგებულები იყვნენ, ეს ყველაფერი კიდევ უფრო მახსენებდა იმას რაც გვიახლოვდებოდა.

ელისი საშინელ ხასიათზე იყო, ეს იმას მივაწერე, რომ თავს ასე უსუსურად გრძნობდა, ის იმაზე წუწუნებდა, რომ მგლებთან უწევდა მუშაობა.

– მე ვფიქრობ,- მიმართა მან ედვარდს,- უნდა მოემზადო ცივი ამინდისთვის, ზუსტად არვიცი, იმიტომ, რომ დღისით ძაღლთან ერთად იქნები, მაგრამ დიდი ქარიშხალი ახლოვდება და ზუსტად იმ რაიონში, სადაც გავჩერდებით.

ედვარდმა თავი დაუქნია.

– მთებში თოვლი იქნება,- დაამატა ელისმა.

– ფუ.. თოვლი,- ჩავიბურტყუნე მე, ეხლა ხომ ივნისი იყო.

– ქურთუკი ჩაიცვი, - მითხრა ელისმა ძალიან არამეგობრული ტონით, შევეცადე გამეგო რა სჭირდა, მან კი ზურგი შემაცია.

ედვარდს შევხედე და ის იცინოდა, იმან რაზეც ელისი ფიქრობდა ძალიან გაამხიარულა.

ედვარდს იმაზე მეტი ტურისტული ინვენტარი ჰქონდა, ვიდრე ადამიანად თავის მოკატუნებისთვის იყო საჭირო.
კალენები ნიუტონების მაღაზიის მუდმივი კლიენტები იყვნენ, მან საძილე ტომარა და პატარა კარავი აირჩია და ჩემს სახეზე ეცინებოდა, როცა რამოდენიმე შეკვრა მშრალ საჭმელს ალაგებდა ჩანთში.
ელისი ფარეხში დაბოდიალობდა და ედვარდის მომზადებას აკვირდებოდა, როგორდ კი ჩალაგება დაამთავრა მობილური ტელეფონი ამოიღო ჯიბიდან და გამომიწოდა.
– ბელა, ჯეიკობს დაურეკე და უთხარი, რომ ერთ საათში მზად ვიქნებით, იცის სადაც უნდა შეგვხვდეს.

ჯეიკობი არ იყო სახლში, მაგრამ ბილი შემპირდა, რომ რომელიმე ვაერვულფს იპოვოდა და ის გადასცემდა ჯეიკობს დანაბარებს.

– ჩარლიზე არ ინერვიულო,- მითხრა მან,- მას ჩემს თავზე ვიღებ.
– ვიცი, რომ ჩარლი კარგად იქნება,- ვთქვი მე, სინამდვილეში მის შვილზე უფრო ვნერვიულობდი.
– სამწუხაროა, რომ თქვენთან ერთად არ იქნები ხვალ, ძალიან ცუდია, როცა მოხუცი ხარ.
– იმედია შენ და ჩარლი კარგ დროს გაატარებთ.
– კარგი ბელა, კალენებს წარმატებები უსურვე ჩემს მაგივრად,- დაამატა მან.
– აუცილებლად,- დავპირდი მე, თუმცა მისმა სიტყვებმა გამაკვირვა.

ტელეფონი ედვარდს დავუბრუნე და შევამჩნიე, რომ ის და ელისი უხმოდ კამათობდნენ რაღაცაზე, ელისი თვალებით ემუდარებოდა რაღაცას, ედვარდი კი გაბრაზებული უყურებდა.
– ბილიმ წარმატებები გისურვათ.
– ძალიან კეთილშობილურია მისი მხრიდან,- თქვა ედვარდმა და ელისს ზურგი შეაქცია.
– ბელა, შეიძლება პირისპირ ვილაპარაკოთ?- სწრაფად მკითხა ელისმა.
– ელის, შენ ისედაც რთულ ცხოვრებას კიდევ უფრო მირთულებ,- თქვა ედვარდმა კბილებს შორის,- არ არის საჭირო.
– ეს შენ არ გეხება, ედვარდ.

ედვარდს გაეცინა, რაღაცამ მის პასუხში გაამხიარულა ის.
– ნამდვილად,- არ ეშვებოდა ელისი,- ეს ქალური ამბებია.
ედვარდი ისევ მოიღუშა.

– მიეცი უფლება რომ დამელაპარაკოს, - ვთქვი მე, მართლა ძალიან მაინტერესებდა რის თქმას აპირებდა ელისი.
– შენ თვითონ მოინდომე,- თქვა ედვარდმა და ისევ გაიცინა, ერთდროულად გაბრაზებული და გამხიარულებული გავიდა ფარეხიდან.
ელისს მივუბრუნდი, ის კი მე არ მიყურებდა, ისევ საშინელ ხასიათზე იყო. ის თავის პორშეს ცხვირზე შემოჯდა, მასთან მივედი და გვერდზე მივუჯექი.

– ბელა,- დამწუხრებულმა თქვა მან და ჩემსკენ გამოიწია, მის ხმაში იმდენი სევდა იყო, რომ მოვეხვიე კიდეც, რომ დამემშვიდებინა.
– რა მოხდა ელის?
– არ გიყვარვარ?
– რა თქმა უნდა მიყვარხარ, შენც ხომ იცი.
– მაშინ რატომ ვხედავ, რომ ვეგასში გარბიხარ და მე არც კი მეპატიჟები ქორწილში.
– ოჰ.. – ჩუმად ვთქვი მე და გავწითლდი, ვიცოდი, რომ ძალიან ვაწყენინე, მაგრამ შევეცადე რომ თავი გამემართლებინა.
– ელის, შე ხომ იცი, რომ გრანდიოზული არაფერი მიყვარს, და საერთოდ ეს ედვარდის იდეა იყო.
– ჩემთვის სულერთია ეს ვისი იდეა იყო, ასე როგორ მომექეცი? ედვადისგან ველოდებოდი რაღაც მსგავსს, მაგრამ შენგან არა, მე ნამდვილი დასავით მიყვარხარ.
– შენ ხარ კიდევაც ჩემი და.
– ეს მარტო სიტყვებია.
– კარგი ელის, შეგიძლია მოხვიდე ქორწილში, მაგრამ იქ სანახავი არაფერი იქნება.
ის ისევ უკმაყოფილო სახით იჯდა.
– კიდევ რა არის ელის?
– ბელა, რამდენად ძლიერად გიყვარვარ?
– რატომ მეკითხები?

ელისი სასოწარკვეთილი სახით მიყურებდა, გრძელი და შავი წარბები ზევით ჰქონდა აქაჩული და თვალებით რაღაცას მეხვეწებოდა, უბრალოდ გული მეწვებოდა რომ ვუყურებდი.

– გთხოვ, გთხოვ, გთხოვ,- ჩურჩულებდა ის, - გემუდარები ბელა, თუ მართლა გიყვარვარ მომეცი უფლება რომ შენი ქორწილის ორგანიზატორი ვიყო.

– ოჰ, ელის,- ვიწიკვინე მე და მანქანიდან ჩამოვხტი,- ოღონდ ეს არა.
– ბელა, გთხოვ, თუ მართლა ასე ძალიან გიყვარვარ.
– ელის, ეს უსამართლობაა, ედვარდმა უკვე გამიკეთა რაღაც მსგავსი.
– გინდა დავნიძლავდეთ, რომ ედვარდს ძალიან გაუხარდება თუ დამთანხმდები და ყველაფერს ტრადიციულად გააკეთებ, თუმცა ამას თვითონ არასდროს გეტყვის.. და კიდევ ესმე, დაფიქრდი, რა მნიშვნელოვანია მისთვის თქვენი ქორწილი.

– ამას მირჩევნია ახალშობილებს მარტო ვებრძოლო,- ავწუწუნდი მე.

– ბელა ათი წელი შენი მოვალე ვიქნები.
– ათი კი არა ასი.

მას თვალები გაუნათდა.
– ანუ თანახმა ხარ?

– არა! არ მინდა ამის გაკეთება.

– შენ არაფრის გაკეთება არ მოგიწევს, უბრალოდ საკურთხევლამდე რამოდენიმე ნაბიჯს გაივლი და მღვდლის სიტყვებს გაიმეორებ.
– ჯანდაბა! ჯანდაბა! ჯანდაბა!

– გთხოვ, გთხოვ, გთხოვ.. – წიკვინებდა ელისი და ადგილზე ხტუნაობდა.
– ელის ამას არასდროს გაპატიებ.

– კი! – იყვირა მან და ჰაერში დაბზრიალდა.
– ელის, მე ჯერ არ მითქვამს "კი".
– ჯერ არ გითქვამს, მაგრამ იტყვი,- წაიღიღინა მან კმაყოფილი ხმით.

– ედვარდ! –ვიყვირე მე, როვა ფარეხიდან გავდიოდი,- ვიცი, რომ ყველაფერი მოისმინე, მოდი აქ!

ელისი ისევ ჩემს გვერდით იდგა და ტაშს უკრავდა.
ედვარდი უცებ გამოძვრა საიდანღაც.

– დიდი მადლობა ელის,- უხეშად უთხრა მან.
მე მისკენ მივტრიალდი, რომ რამე მეთქვა, მაგრამ იმდენად შეშფოთებული და შეწუხებული სახე ჰქონდა, რომ გავჩუმდი, ამის მაგივრად ჩავეხუტე და თავი დავმალე მის მკერდში, რომ ცრემლები არ დაენახა.

– ვეგასი,- ყურში მითხრა მან.

– ვარიანტი არ არსებობს,- მხიარულად წამოიყვირა ელისმა,- ბელა ასე არასდროს მომექცევა, იცი, ედვარდ, როგორც ძმა ზოგჯერ ძალიან მიშლი ნერვებს.

– ელის, ნუ ხარ ბრაზიანი,- ვუთხარი მე,- ის შენგან განსხვავებით ცდილობს, რომ ბედნიერი ვიყო.

– მეც სწორედ ის მინდა, რომ ბედნიერი იყო, უბრალოდ შენ ჯერ არ იცი რა გინდა და მე წინ ვიყურები, მერე მადლობასაც კი მეტყვი.
– არასდროს მეგონა, რომ შენთან კამათი მომიწევდა ელის, მაგრამ ეს დღეც დადგა.

მას გაეცინა.
– აბა მაჩვენებ ბეჭედს?
საოცარი გამომეტყველება მქონდა, როცა მან ჩემი ხელი აიღო და მერე ისევ გამიშვა.

– ჰმ.. მე ვნახე როგორ გაგიკეთა ბეჭედი, ნუთუ რამე გამოვტოვე? – დაინტერესდა ის, შემდეგ ჩაფიქრა და თვითონვე უპასუხა კითხვას, - არა, ქორწილი მაინც იქნება!

– ბელას ცუდი ურთიერთობა აქვს სამკაულთან,- აუხსნა ედვარდმა.
– რა, კიდევ ერთი ბრილინტი? მემგონი ბეჭედზე ისინი უკვე საკმარისად არის, მაგრამ მას ხომ უკვე აქვს ერთი..
– ელის გეყოფა! – შეაწყვეტინა ედვარდმა, - გვეჩქარება!
ედვარდი ისე უყურებდა მას, რომ იმ წუთში მართლა ჰგავდა ვამპირს.

– ვერ გავიგე, რას ამბობდა ბრილიანტებზე?- ვიკითხე მე.

– ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ,- მიპასუხა ელისმა,- ეხლა კი ედვარდი მართალია, უნდა იჩქაროთ, მცდარი კვალი უნდა დატოვოთ და ქარიშხლამდე უნდა მოასწროთ კარვის გაშლა, თბილი ქურთუკი არ დაგავიწყდეს ბელა, ძალიან ეცივება.
– უკვე ყველაფერი ავიღე,- დაამშვიდა ის ედვარდმა.
– სასიამოვნო ღამეს გისურვებთ,- თქვა ელისმა და წავიდა.

ჩვენ საკმაოდ დიდხანს მივდიოდით ველამდე, მას ხელში ვყავდი აყვანილი, ჩემს ჩვეულებრივ ადგილზე კი ეხლა ზურგჩანთა ეკიდა,
ედვარდი ველის შორეულ ნაწილში გაჩერდა და ფეხზე დამსვა.

– ბელა, ეხლა უბრალოდ ჩრდილოეთისკენ წადი და ყველაფერს შეეხე რაც გზაში შეგხვდება, ელისმა კარგად დამიხატა მათი მოძრაობის სურათი, მალე გამოყვებიან საჭირო კვალს.
– ჩრდილოეთისკენ?
მან გამოღიმა და ხელით მიმანიშნა სად უნდა წავსულიყავი.
ტყეში მივბობღავდი, ჩემს უკან კი მზიანი დღის შუქი რჩებოდა, იქნებ ელისს ეშლებოდა ამინდის თაობაზე, იმიტომ. რომ ეხლა მისი ხილვები ცოტა დაჩრდილული იყო მგლების გამო, იმედი მქონდა, რომ ცდებოდა, ცაზე თითქმის არ იყო ღრუბელი მაგრამ ივნისისთვის მაინც ძალიან ციოდა, ნელა მივდიოდი და ყველაფერს ვეხებოდი გზაში: ხეებს, ბუჩქებს და ქვებსაც კი.
ედვარდი ჩემს პარალელურად მოძრაობდა ათიოდე მეტრის მოშორებით.
– კარგად ვაკეთებ ყველაფერს?- დავუძახე მე.
– იდეალურად.

იდეა გამიჩნდა.

– ეს უკეთესი ხომ არ არის? - ვკითხე მე, რამოდენიმე თმა მოვიწყვიტე თავიდან და ბუჩქზე დავაგდე.
– ეს კვალს უფრო შესამჩნევს გახდის, მაგრამ ბელა, სულაც არ არის საჭირო თმის დაგლეჯვა, ყველაფერი ისედაც კარგად გამოვა.
– რამოდენიმე ზედმეტია, ასე რომ შემიძლია დავთმო.

ტყეში სიჩუმე იყო, ძალიან მინდოდა ედვარდის გვერდით მევლო და ხელი ჩამეკიდა მისთვის, მაგრამ ეს ეხლა არ შეიძლებოდა.

– ბელა, ელისის გულისთვის ნუ გააკეთებ ამას,- მითხრა მან.
– ნუ ნერვიულობ ედვარდ, არ გადავიფიქრებ და არ გავიქცევი საკურთხევლიდან ბოლო მომენტში.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ზუსტად ისე იქნებოდა ყველაფერი, როგორც ელისს ჰქონდა ჩაფიქრებული, თუ რამე უნდოდა ამისთვის ენერგიას არ იშურებდა და ბოლოს მაინც აღწევდა საწადელს.

– ამაზე არ ვნერვიულობ ბელა, უბრალოდ მინდა, რომ ყველაფერი ისე იყოს, როგორც შენ გინდა.

არაფერია არ მიპასუხია, არ მინდოდა რომ გული ტკენოდა, იმიტომ, რომ მე არცერთი ვარიანტი არ მომწონდა.

– ელისმა მაინც თუ გაიტანა თავისი, - გაგრძელა ედვარდმა,- პატარა ცერემონიის ორგანიზება შეიძლება, მარტო შინაურები იქნებიან, ემეთს შეუძლია ლიცენზია მიიღოს ინტერნეტში საქორწინო რიტუალის ჩასატარებლად.

– კარგად ჟღერს.
– აი ხედავ, ყოველთვის შეიძლება გამოსავლის პოვნა,- მითხრა მან ღიმილით.

საკმაოდ დიდი დრო გავიდა იქამდე, სანამ საჭირო ადგილამდე მივიდოდი, მაგრამ ედვარდს ჩემი ნელი მოძრაობა საერთოდ არ ადარდებდა, მას რამოდენიმეჯერ მოუწია ჩემთვის სწორი გზის ჩვენება, რომ ბილიკს არ ავცდენოდი, რაც ჩემთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.
ჩვენ თითქმის დავბრუნდით ველზე და მაინც მოვახერხე წაქცევა, კინაღამ თავი გავიტეხე უახლოეს ხეზე, ბოლო მომენტში შევძელი გამოძრომა, მაგრამ პატარა ტოტმა, რომელიც საიდანღაც გამოხტა, ხელის გული გამიჭრა.

– აი! უბრალოდ გადასარევია! – ჩავიბურტყუნე მე.
– კარგად ხარ?
– კი, იყავი სადაც ხარ, ხელი გავიჭერი და სისხლი მომდის, ერთ წუთში შემიწყდება.

ფრაზის დამთავრებაც ვერ მოვასწარი, რომ ის უკვე გვერდით მედგა.

– თან მაქვს რაღაცეები, ეხლავე გადაგიხვევ ხელს,- მითხრა მან და ზურგჩანთა გახსნა,- ვიცოდი, რომ გამომადგებოდა.
– არაფერია სერიოზული, თვითონ მივხედავ, შენ თავს ცუდად იგრძნობ.
– მე კარგად ვარ,- მშვიდად მიპასუხა ედვარდმა,- მომეცი ხელი უნდა გავწმინდო ჭრილობა.
– მოიცადე, იდეა მაქვს.

ხელი გავწია და უახლოეს ქვას დავადე.

– რას აკეთებ?
– ჯასპერი აღფრთოვანებული იქნება,-ჩუმად ვთქვი მე, ავდექი და ყველაფერს შევეხე გარშემო სისხლიანი ხელის გულით,- ეს ალბათ ნამდვილად მოიყვანს მათ აქამდე.

ედვარდმა ამოიოხრა.

– სუნთქვა შეიკავე,- ვუთხარი მე.

– ბელა მე კარგად ვარ, უბრალოდ ვფიქრობ, რომ ზედმეტი მოგდის.
– ეს ერთადერთია რისი გაკეთებაც შემიძლია და მინდა, რომ ეს კარგად გავაკეთო.
– ყველაფერი ძალიან კარგად გააკეთე, ახალშობილები ჭკუიდან გადავლენ და ჯასპერი მართლაც აღფრთოვანებული იქნება შენი თავგანწირვით, ეხლა კი ხელი მომეცი, ჭრილობა ჭუჭყით აგევსო.

– გთხოვ, მე თვითონ.

მას გაეცინა, ჩემი ხელი აიღო და ჭრილობის დამუშავებას შეუდგა.
– შენი სისხლის დანახვა აღარ მოქმედებს ჩემზე.

გაკვირვებული ვუყურებდი და ვცდილობდი რამე მაინც შემემჩნია, მაგრამ ის თანაბრად სუნთქავდა და ედიმებოდა კიდეც.
– რატომ? – ვკითხე მე როცა ხელი გადამიხვია.
.
მან მხრები აიჩეჩა.
– უბრალოდ თავს მოვერიე.

– თავს მოერიე? როდის ?როგორ? - მინდოდა გამეხსენებინა, როდის ცდილობდა ბოლოს არ ესუნთქა ჩემი თანდასწრებით, მაგრამ მარტო ჩემი დაბადების დღე გამახსენდა.
– ბელა, მე მთელი ოცდაოთხი საათი გადავიტანე, იმის ფიქრში, რომ აღარ იყავი ცოცხალი, ამან ბევრ რამეზე შემიცვალა შეხედულება.
– ანუ, ეხლა სხვანაირად რეაგირებ ჩემს სუნზე?
– სულაც არა, მაგრამ როცა ეს გადავიტანე, ჩემი რეაქციაც შეიცვალა, მთელი ჩემი არსება ცდილობს მოერიდოს იმ გზას, რომელმაც შეიძლება მსგავს ტკივილამდე მიიყვანოს.

არც კი ვიცოდი ამ აღიარებაზე რა მეპასუხა.
მან ისევ გამიღიმა.

ძლიერმა ქარმა დაუბერა და კანკალი დავიწყე.

– კარგი, შენი სამუშაო უკვე გააკეთე,- მითხრა მან, ზურგჩანთიდან თბილი ქურთუკი ამომიღო და ჩამაცვა,- დანარჩენი სხვების გასაკეთებელია, წამოდი კარავი გავშალოთ.

მან ხელი მომკიდა და საწინაამდდეგო მხარეს წამიყვანა.

– ჯეიკობი სად უნდა ვნახოთ?
– ზუსტად აქ,- მიპასუხა მან და ჩვენს წინ მდგარ ხეებზე მიმანიშნა, წამში მათი ჩრდილიდან ჯეიკობი გამოვიდა.

არ უნდა გამკვირვებოდა მისი ადამიანის ფორმაში დანახვა, არვიცი რატომ მაგრამ რატომღაც ისევ მგელს ველოდებოდი, ჯეიკობმა ხელები დაიწყო გულზე, ცალ ხელში ქურთუკი ეჭირა, მისი სახე საერთოდ არაფერს არ გამოხატავდა, ის უბრალოდ გვიყურებდა.

– სალამი, ჯეიკ,- მივესალმე მე, როცა უფრო ახლოს მოვიდა.

– სალამი, ბელა.
– გამარჯობა, ჯეიკობ,- უთხრა ედვარდმა.
– სად წავიყვანო? – ჰკითხა ჯეიკობმა ძალიან საქმიანი გამომეტყველებით.

ედვარდმა ზურგჩანთის გვერდითა ჯიბიდან დაკეცილი რუქა ამოიღო და მიაწოდა, ჯეიკობმა რუქა გაშალა.

– ეხლა აქ ვართ,- მიანიშნა ედვარდმა სადღაც მარჯვენა კუთხეში, ჯეიკობი გაიწია მისგან, მაგრამ ედვარდმა თავი მოიკატუნა, რომ ვერ შემჩნია - აქამდე უნდა მიიყვანო, - გააგრძელა მან და თითით გაუყვა დაკლაკნილ ხაზს რუქაზე.
ჯეიკობმა თავი დაუქნია.

– როცა დაახლოებით ორ კილომეტრში იქნები, ჩემი ბილიკის გადაკვეთა მოგიწევს, ზუსტად იქ მიგიყვანს, რუქა გჭირდება?
– მადლობთ, არა, ეს ტერიტორია კარგად ვიცი, მიახლოებით ვხვდები სადაც უნდა მივიდე.

შესამჩნევი იყო, რომ ჯეიკობი ედვარდისგან განსხვავებით ძლივსძლიობით ინარჩუნებდა მეგობრულ ტონს.

– მე გრძელი გზით წავალ,- თქვა ედვარდმა,- რამოდენიმე საათში შევხვდებით.
ედვარდი საცოდავი სახით მიყურებდა, გეგმის ეს ნაწილი სულაც არ მოსწონდა.

– შეხვედრამდე,- ჩურჩულით ვუთხარი მე.
ის წამში გაუჩინარდა ხეებს შორის.

როგორც კი ედვარდი გაქრა, ჯეიკობი კარგ ხასიათზე დადგა.

– აბა, როგორ არის საქმეები ბელს?
– ყველაფერი ძველებურად არის.
– აჰა,- დამეთანხმა ის,- ვამპირების ბანდა ისევ ნადირობს შენზე, კარგი, წავიდეთ.

პატარა ნაბიჯი გადავდგი მისკენ, ის დაიხარა და ფეხებში მომკიდა ხელი, კინაღამ თავი დავარტყი, მაგრამ მან მოასწრო, მეორე ხელით დამიჭირა და ამიყვანა.
– ცანცარა,- ჩავიბურტყუე მე.

ჯეიკობმა გაიცინა და ტყეში გავარდა.

– არ არის საჭირო სირბილი, მალე დაიღლები.
– სირბილით არ ვიღლები, - მითხრა მან, სუნთქვა მართლაც თანაბარი ჰქონდა, - თანაც მალე აცივდება და იმედია ის ჩვენს მისვლამდე გაშლის კარავს.

ხელი დავატყაპუნე მის ქურთუკზე.
– მე მეგონა შენ აღარ გციოდა.
– არც მცივა, ეს შენ მოგიტანე, ყოველი შემთხვევისთვის, ამინდი არ მომწონს, შეამჩნიე, რომ არცერთი ცხოველი არ ჩანს გარშემო?
– ჰმ, მართალი გითხრა ვერ შევამჩნიე.
– შენ ვერც შეამჩნევ, შენი გრძნობები ცოტა დასუსტებულია.
მისი სიტყვები არ შევიმჩნიე.

– ელისიც ნერვიულობს ქარიშხალზე.
– იმისთვის რომ ტყე გააჩუმო, სერიოზული რამ არის საჭირო, საოცარი ღამე აირჩიე კარავში ღამის გასათენებლად.
– ნუ, ეს ჩემი იდეა არ ყოფილა.

გზა სულ უფრო გაუვალი ხდებოდა, მაგრამ ეს მის ტემპზე არ მოქმედებდა, ის ადვილად ახტებოდა ქვებს და სულაც არ სჭირდებოდა ხელები.

– ეს რა დამატებაა შენს სამაჯურზე?- დაინტერესდა ის.

ხელზე დავიხედე, კრისტალის გული საოცრად ანათებდა და ფერად სხივებს აფრქვევდა, დამნაშავედ ავიჩეჩე მხრები.
– კიდევ ერთი საჩუქარი გამოსაშვებზე.

ჯეიკობმა ჩაიფრუტუნა.
– ქვა ზუსტად შესაფერისია.

“ქვა”? უცებ ამომიტივტივდა თავში ის რაც ელისმა თქვა ფარეხში, მე ვაკვირდებოდი კრისტალს და ვდილობდი გამეხსენებინა რას ამბობდა ის ბრილიანტებზე,“ მას ხომ აქვს უკვე ერთი?” თითქოს მე უკვე მეკეთა ედვარდის ნაჩუქარი ბრილიანტი, არა, ეს შეუძლებელია, ეს გული ხომ დაახლოებით ხუთ კარატიანი იყო, ის ძალიან დიდი იყო... ჯეიკობმა შეწყვიტა ჩემი ფიქრები.

– დიდი დრო გავიდა შენი ბოლო ვიზიტიდან ლაპუშზე.
– დაკავებული ვიყავი,- ვუპასუხე მე,- და ასეც რომ არ ყოფილიყო მაინც არ მოვიდოდი.

ჯეიკობი შეიშმუშნა.
– მე მეგონ უკვე მაპატიე ყველაფერი, ბევრს ფიქრობდი ჩვენს ბოლო შეხვედრაზე?
– არა.

მას გაცინა.
– შენ ან იტყუები და ან ყველაზე ჯიუტი არსება ხარ დედამიწაზე.
– მეორე ნაწილის არაფერი ვიცი, მაგრამ ნამდვილად არ ვიტყუები.
არ მომწონდა ეს საუბარი, მითუმეტეს იმ სიტუაციაში, როცა მის ძალიან ცხელ ხელებს მჭიდროდ ვყავდი დაჭერილი და ამას ვერაფერს ვერ ვუხერხებდი, მისი სახე იმაზე ახლოს იყო, ვიდრე საჭირო იყო, ძალიან მინდოდა ერთი მეტრით შორს გავწეულიყავი.

– ჭკვიანი ადამიანი თავისი გადაწყვეტილების ყველა მხარეზე იფიქრებს.
– უკვე ვიფიქრე,- ვუთხარი მე.
– თუ შენ საერთოდ არ გიფიქრია ჩვენს ბოლო საუბარზე, მაშინ ეს არ არის სიმართლე.
– იმ საუბარს ჩემს გადაწყვეტილებასთან არავითარი კავშირი არ აქვს.
– ზოგიერთი ადამიანები ყველაფერზე წავლენ, რომ თავი მოიტყუონ.
– შევამჩნიე, რომ ვარვულფებს ეს განსაკუთრებით ახასიათებთ, ეს გენეტიკურია?
– ე.ი ის უკეთესად გკოცნის ვიდრე მე? – გაბრაზდა ჯეიკობი.

– მაგას ვერ გეტყვი, ედვარდი ერთადერთია, ვისთვისაც ოდესმე მიკოცნია.
– ჩემს გარდა.
– ჯეიკობ, მე არ მიმაჩნია, რომ ის კოცნა იყო, ეს თავდასხმას უფრო ჰგავდა.
– უჰ.. კარგი რა ბელა, მე ყველაფერზე გთხოვე პატიება.
– და მეც გაპატიე, მაგრამ ეს არ ცვლის ჩემს მოგონებებს მომხდარზე.
ის რაღაცას ბურტყუნებდა თავისთვის.
შემდეგ რამოდენიმე ხანი სიჩუმე იყო, მარტო სუნთქვის და ქარის ხმა ისმოდა, რომელიც ხეებს არხევდა ჩვენს თავზე.

– მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს დაუფიქრებელი საქციელია,- უცებ განაცხადა ჯეიკობმა.
– რაზეც არ უნდა ლაპარაკობდე ცდები.
– დაფიქრი, ბელა, შენ ამბობ, რომ შენს ცხოვრებაში მხოლოდ ერთი ადამიანისთვის გაქვს ნაკოცნი, რომელიც სინამდვილეში ადაიანიც არ არის და შენ მიგაჩნია, რომ ეს საკმარისია დასკვნების გამოსატანად? საიდან იცი, რომ ზუსტად ეს გჭირდება? არ მიგაჩნია, რომ ცოტა უნდა მიმოიხედო გარშემო?

– მე ვიცი რაც მინდა, - ვუპასუხე მე ცივი ხმით.
– მითუმეტეს, არ გაწყენდა, რომ კიდევ ვინმეს აკოცო შედარებისთვის, ჩათვალე, რომ მაშინ რაც იყო არ მოხდარა, სცადე და შენ თვითონ მაკოცე.
ის უფრო ძლიერად მიკრავდა გულში და თან თავის ხუმრობაზე იკრიჭებოდა, მაგრამ მე სულაც არ მეხუმრებოდა.

– ჯეიკობ, ნერვებს ნუ მიშლი, გეფიცები არ გავაჩერებ თუ შენთვის ყბის მონგრევას დააპირებს.

პანიკურმა ნოტებმა ჩემს ხმაში კიდევ უფრო გაამხიარულა.
– შენ თვითონ მთხოვ, რომ გაკოცო, ის არაფერს არ იზავს, მან თქვა რომ თანახმა ასეთი პირობების მისაღებად.

– სუნთქვა არ დაგავიწყდეს ჯეიკობ, არა მოიცადე გადავიფიქრე, მოდი უბრალოდ შეწყვიტე სუნთვა და დაელოდე სანამ ამას გთხოვ.
– ცუდ ხასიათზე ხარ?
– საინტერესოა, ნეტავ რატომ?
– ზოგჯერ მგონია, რომ მგელი როცა ვარ უფრო მოგწონვარ.
– ზოგჯერ ასეც არის, ეს ალბათ იმიტომ რომ მგლები ამდენს არ ქაქანებენ.
ის ჩაფიქრდა.
– არა, არ გეთანხმები, შენ მგელთან ყოფნა იმიტომ გიადვილდება, რომ როცა ადამიანი ვარ, ვერ მალავ რომ გიზიდავ.
ყბა ჩამომივარდა გაკვირვებისგან, დიდი სუნთქვა ავიღე სანამ დავილაპარაკებდი.
– არა! დარწმუნებული ვარ იმის გამო, რომ ლაპარაკი არ შეგიძლია.
მან ამოისუნთქა.
– როდისმე მოგწყინდება შენი თავის მოტყუება? უნდა იცოდე როგორ იძაბები ჩემი დანახვისას, ფიზიკურად ვგულისხმობ..
– როგორ შეიძლება ვინმე არ იძაბებოდეს შენი დანახვისას ჯეიკობ? შენი უზარმაზარი ურჩხული ხარ, რომელიც უარს ამბობს პატივი სცეს სხვის პირად სივრცეს.

– მე რომ მხედავ ნერვიულობ ხოლმე, მაგრამ მარტო მაშინ როცა ადამიანი ვარ, როცა მგელი ვარ მშვიდად ხარ ჩემს გვერდით.
– ნერვიულობა და გაღიზიანება ერთი და იგივე არ არის.

მან სიარული შეანელა და მაკვირდებოდა, მისი სუნთქვაც აირია, ძალიან ნელა დაიხარა ჩემსკენ, ვუყურებდი და ზუსტად ვიცოდი რის გაკეთებასაც აპირებდა.

– ყბა მხოლოდ ერთი გაქვს,- შევახსენე მე.
მან ხმამაღლა გაიცინა და ისევ გაიქცა.
– დღეს ღამე ნამდვილად არ მაქვს სურვილი შენს ვამპირთან ვიჩხუბო, სხვა დროს კი ბატონო, მაგრამ ხვალ რთული სამუშაო გველის და არ მინდა კალენები ერთით ნაკლები დავტოვო, ვიცი, ვიცი.. შენ ფიქრობ რომ ის მომკლავს

საშინელი სინდისის ქენჯნა ვიგრძენი, მე ხომ თვითონ დავტოვე კალენები ერთით ნაკლები, ვინმე რომ მოკვდეს ჩემს გამო?
– ბელა რა გჭირს? – გაღიმებული ნიღაბი უცებ გაქრა მისი სახიდან,- არ მინდოდა შენი წყენინება, ხომ იცი რომ ვხუმრობ, მსგავსი არაფერი არ მიგულისხმია, გთხოვ არ იტირო.
– არ ვტირი.
– რა ვთქვი ასეთი?
– არაფერი არ გითქვამს, უბრალოდ მე.. რაღაც ძალიან ცუდი გავაკეთე.

მას თვალები გაუფართოვდა გაკვირვებისგან.

– ედვარდი არ იბრძოლებს ხვალ, - ვაღიარე მე,- ვაიძულე, რომ ჩემთან დარჩეს, საშინელი მშიშარა ვარ.
– შენ გგონია, ყველაფერი ცუდად ჩაივლის და აქ მოგაგნებენ? რამე ისეთი იცი რაც მე არვიცი?
– არა, არა, ამისი არ მეშინია, ვერ მივცემ უფლებას რომ წავიდეს, რომ არ დაბრუნდეს.. – ავკანკალდი და ხელები მივიფარე სახეზე.
ჯეიკობი ჩუმად იყო.
მე ისევ გავაგრძელე ჩურჩული.
– ვინმე, რომ დაშავდეს ჩემს გამო, ეს ჩემი დანაშაული იქნება და რომც არავინ დაშავდეს, მე მაინც საშინლად მოვიქეცი, ვიცოდი, რომ უარს ვერ მეტყოდა და დავარწმუნე ჩემთან ყოფილიყო.
თავი უკეთ ვიგრძენი, ყველაფერი რომ ვაღიარე.

ჯეიკობმა ჩაიფრუტუნა, რომ შევხედე მისი სახე ისევ გაბრაზებულმა ნიღაბმა დაფარა.
– არც კი მჯერა, რომ დაგთანხმდა ამაზე, მე ამას არასდროს გამოვტოვებდი.
– ვიცი.
– ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ჩემზე მეტად უყვარხარ.
– მაგრამ შენ არასდროს დარჩებოდი, რამდენიც არ უნდა მეთხოვა.
ის გაჩუმდა, ჩვენ ორივემ ვიცოდით სიმართლე.

– ეს მარტო იმიტომ, რომ მე მასზე უკეთ გიცნობ, მე რომც არ დამეჯერებინა შენთვის, დიდხანს არ გამიბრაზდებოდი.

– თუ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა კი, მაგრამ როცა არ ვიცი რა იქნება და უნდა გელოდო, ეს უბრალოდ ჭკუიდან შემშლის.
– რატომ? რატომ განერვიულებს მე რამე მომივა თუ არა?
– ასე ნუ ამბობ ჯეიკობ, შენ იცი, რომ ბევრს ნიშნავ ჩემთვის, მაპატიე, რომ იმდენს არა, რამდენიც შენ გინდა, მაგრამ მე ვდარდობ შენზე, იმიტომ რომ ჩემი მეგობარი ხარ, ყოველშემთხვევაში იყავი.
მან თბილად გამიღიმა.
– მე ყოველთვის შენი საუკეთესო მეგობარი ვიქნები, მაშინაც კი როცა ცუდად ვიქცევი, შიგნიდან მე მაინც ისეთი ვარ.
– ვიცი, და არც კი მესმის რატომ ვაგრძელებ შენი სისულელეების მოსმენას.
ჩვენ ერთად გადავიხარხარეთ, შემდეგ კი მან ისევ მოიწყინა.

– ბოლოს და ბოლოს როდის აღიარებ რომ გიყვარვარ?
– დაწყნარდი, ჯეიკობ, მომენტს გააფუჭებ.
– მე არ ვამბობ, რომ ის არ გიყვარს, სულელი არ ვარ, უბრალოდ ხომ შეიძლება ერთზე მეტი გიყვარდეს? ასეთი რამ მინახავს.
– მე ვიღაც გაფუჭებული ვაერვულფი არ ვარ ჯეიკობ.

მან ცხვირი აიბზუა და ვინანე ჩემი სიტყვები, მაგრამ სანამ რამეს ვიტყოდი თემა შეცვალა.

– ის უკვე ახლოს არის, მის სუნს ვგრძნობ.

შვებით ამოვისუნთქე.
მან არასწორედ გამიგო.
– სიამოვნებით შევანელებდი სირბილს, მაგრამ შენ შესაფარში უნდა იყო, სანამ ეს დაიწყება.

ჩვენ ცაში ავიხედეთ, ღრუბლების შავი კედელი დასავლეთიდან მოდიოდა და ტყეს ეფარებოდა.

– იჩქარე ჯეიკობ, ალბათ გინდა, რომ სახლში მიხვიდე ქარიშხლის დაწყებადე.
– სახლში არ წავალ.
– ჩვენთან ერთად არ იქნები,- გაბრაზებულმა ვუთხარი მე.
– არა, არ ვაპირებ თქვენთან ერთად კარავში ყოფნას, ამას ქარიშხლის სუნი მირჩევნია, მაგრამ დარწუნებული ვარ, რომ შენს სისხლისმსმელს ენდომება ხროვასთან კავშირში ყოფნა მოქმედების კოორდინაციისთვის, ამას მშვენივრად გავაკეთებ.
– მე მეგონა, რომ ეს სემის სამუშაო იყო.
– ის ხვალ მოვა, ბრძოლის დროს.

ამის შეხსენებამ მაიძულა გავჩუმებულიყავი, მას ვუყურებდი და ნერვები შიგნიდან მჭამდა.
– ვიცი, ვარიანტი არ არის, რომ აქ დაგტოვო, იმიტომ რომ უკვე აქ ხარ, მაგრამ თუ შეგეხვეწები? სამუდამო მონობა რომ შემოგთავაზო?
– კარგია, მაგრამ არა, თუმცა შენი ხვეწნა-მუდარის ყურება საინტერესო იქნება, შეგიძლია დაიწყო თუ გინდა.
– ნუთუ არაფრის შემოთავაზება არ შემიძლია?

– არა, თუ რა თქმა უნდა ამაზე უკეთეს ბრძოლას არ შემომთავაზებ, მაინც სემი ხელმძღვანელობს და არა მე.
– ედვარდმა იმ დღეს რაღაც მომიყვა შენზე.
– ალბათ მოგატყუა.
– ნუთუ? და შენ ხროვაში მეორე არ ხარ წოდებით?

– ოჰ, ეს – გაუკვირდა ჯეიკობს.
– როგორ შეგეძლო ეს არ გეთქვა?
– რა საჭიროა, ეს ხომ სისულელეა.
– სულაც არ არის სისულელე, ეს როგორ მუშაობს? გამოდის, რომ სემი ალფაა და შენ რაღაც ბეტის მსგავსი?

ჯეიკობს გაეცინა ჩემს დარქმეულ ტერმინებზე.

– სემი პირველი იყო და ის უფროსია, მას აქვს უფლება, რომ მთავარი იყოს.
– მაშინ მეორეები ჯარედი და პოლი რატომ არ არიან? ისინი ხომ მის მერე შეიცვალნენ.
– ნუ.. ეს რთული ასახსნელია.
– შეეცადე ამიხსნა.

მან ჩაისუნთქა.

– ეს უფრო შთამომავლობითია, ხვდები? ნეტავ რატომ უნდა იყოს მნიშვნელოვანი ვინ იყო ჩემი ბაბუა?
– შენ ხომ ამბობდი, რომ ეფრაიმ ბლექი ბოლო ბელადი იყო კვილეტების ტომში?
– ხო, ზუსტად, იმიტომ, რომ ის ალფა იყო, სულელური ტრადიციები..

ერთი წუთის განმავლობაში ვფიქრობდი და ვცდილობდი აზრები დამეწყო.
– შენ იმასაც ამბობდი, რომ ხალხი უსმენს მამაშენს, იმიტომ, რომ ის ეფრაიმის შვილიშვილია.
– ხო, მერე?
– ეი წესით შენ უნდა იყო ბელადი, ასე არ არის?

ჯეიკობი არ მპასუხობდა.

– ჯეიკობ?
– არა, ეს სემის სამუშაოა.
– რატომ? ის ხომ ლევაი ულეის შთამომავალია? ისიც ალფა იყო?
– არა, ალფა მხოლოდ ერთია.
– მაშინ ვინ იყო ლევაი?

– მე ვფიქრობ ბეტა, როგორც მე.
– სისულელეა.
– ამას არ აქვს მნიშვნელობა.
– უბრალოდ მინდა, რომ გავიგო.

ჯეიკობმა როგორც იქნა შემომხედა თვალებში.

– ხო, მე უნდა ვყოფილიყავი ალფა.

– სემმა არ დაგითმო?
– მე არ მოვინდომე მისი ადგილის დაკავება.
– რატომ?

ჯეიკობი შეიშმუშნა, ის უხერხულად გრძნობდა თავს ჩემი კითხვების გამო.

– მე არაფერი მსგავსი არ მინდა ბელა, არც არაფრის შეცვლა არ მდომებია, არ მინდა ლეგენდარული ბელადი ვიყო, საერთოდ მგლობაც არ მინდა, სემმა შემოთავაზა და მე უარი ვუთხარი.
– მაგრამ მე მეგონა, რომ ბედნიერი იყავი და ეს გიხაროდა.
– სინამდვილეში ყველაფერი არც ისე ცუდად არის, ზოგჯერ ეს მართობს კიდეც, მაგალითად ხვალინდელ დღეს რაც შეეხება ეს ნამდვილად მომწონს, მე მაინც კმაყოფილი ვარ, ნამდვილად ვერ დავუთმობ სხვას ჩემს სამუშაოს, როცა ამის გაკეთება თვითონაც კარგად შემიძლია.

მე მას შევხედე და უცაბედი სიამაყე ვიგრძენი, ის იმაზე უფროსი იყო ვიდრე მეგონა, როგორც ბილის, მაშინ კოცონთან, მასაც ვატყობდი რაღაც მეფურ დიდებას.

– ჯეიკობი ბელადი! – ჩურჩულით ვთქვი მე და გამეღიმა.
მან თვალები გადაატრიალა.

ზუსტად ამ მომენტში ქარმა უფრო ძლიერად დაუბერა, საშინელმა ღრუბლებმა დაფარა ცა, ერთადერთი რასაც ვხედავდი პატარა ფანტელები იყო, რომელიც ჩვენს თავზე ტრიალებდა, შევტრიალდი და თავი დავმალე უცაბედი თოვლისგან, ერთი წუთის შემდეგ, როცა ცოტა ცარიელ ადგილზე მოვხვდით, პატარა კარავი დავინახეთ, რომელიც კლდეზე იყო მიმაგრებული, თოვლი კიდევ უფრო წამოვიდა, მაგრამ ქარი იმდენად ძლიერი იყო, რომ ფანტელები ქვევით ვეღარ აღწევდა.

– ბელა! – შვებით იყვირა ედვარდმა.
ის ჩემსკენ გამოექანა, იმდენად სწრაფად, რომ მისი მოძრაობა არეული გამოვიდა, ჯეიკობმა მის წინ დამსვა ფეხზე და ედვარდი ძლიერად მომეხვია.

– მადლობთ,- უთხრა მან ჯეიკობს, მისი ტონი გულწრფელი იყო,- იმაზე სწრაფად მოხვედი ვიდრე ვვარაუდობდი, ამას ვაფასებ.
შევბრუნდი რომ ჯეიკობის პასუხი გამეგო, მან უბრალოდ თავი დაუქნია, მთელი მისი მეგობრული განწყობა გაქრა.

– შიგნით შეიყვანე, ვგრძნობ, რომ საშინელება იქნება, კარავი ხომ კარგად არის დამაგრებული?
– კი, კლდეზე დავამაგრე.
– კარგი.
ჯეიკობმა ზევით აიხედა, ცა უკვე შავი იყო, ქარიშხალი დაიწყო.

– უნდა შევიცვალო, მინდა გავიგო რა ხდება სახლში.
მან ქურთუკი სქელ ტოტზე ჩამოკიდა და ტყეში გავარდა.

თავი 22

ცეცხლი და ყინული

ძლიერი ქარი აქეთ-იქით არხევდა კარავს და მე მასთან ერთად ვკანკალებდი, ტემპერატურა სულ უფრო და უფრო იკლებდა, იმისთვის რომ გავმთბარიყავი ტურისტული ჩექმებით და ქურთუკით ვიყავი საძილე ტომარაში შემძვრალი, მაგრამ ეს არ მშველიდა, სიცივე ძვლებში ატანდა, როგორ შეიძლებოდა ასეთი სიცივე ყოფილიყო? ხომ უნდა არსებობდეს ტემპერატურის ვარდნის ზღვარი?

– რრრრრომელი სსსსსაათია? – ძლივსძლიობით ამოვთქვი მე, სიცივისგან კბილებს ერთმანეთზე ვაკაწკაწებდი.
– ორი, - მიპასუხა ედვარდმა.

ის ცდილობდა შორს მჯდარიყო ჩემგან, სუნთქვასაც კი ერიდებოდა, რომ არ შემცივნოდა, სიბნელეში ვერ ვხედავდი მის სახეს, მაგრამ ხმა ანერვიულებული და დაბნეული ჰქონდა.

– იქნებ..
– არა, კკკკკარგად ვვვვარრრ, არრრრ მინდაა გარეთთთ გასვლაა.

რამოდენიმეჯერ სცადა ჩემი დარწმუნება, რომ აქედან გავქცეულიყავით, მაგრამ მეშინოდა ჩემი თავშესაფრის დატოვება, თუ აქ, ქარისგან დაფარულ ადგილზე ასე მციოდა, შემეძლო წარმომედგინა რამდენად უარესი იქნებოდა ასეთ ქარიშხალში, რომ გვერბინა, ამასთან მთელი ჩვენი ნამუშევარი წყალში ჩაიყრებოდა, გვექნებოდა კი იმდენი დრო, რომ ეს ყველაფერი ქარიშხლის ჩადგომის მერე გაგვეკეთებინა? და თუ ის არ დამთავრდება? წასვლას ეხლა არანაირი აზრი არ ჰქონდა, დიდი არაფერი თუ ერთი ღამე ვიკანკალებ.

– ბელა, რითი შემიძლია დაგეხმარო? – თითქმის მემუდარებოდა ედვარდი.
თავი გავიქნიე.
გარეთ ჯეიკობის დამწუხრებული ყმუილი ისმოდა.

– წწაეეთრიეე ააქედანნნ,- ვუბრძანე მე.

– ის უბრალოდ შენზე ნერვიულობს,- მითარგმნა ედვარდმა, - ის კარგად არის, მისი სხეული მოწყობილია ქარიშხლის ასატანად.

მინდოდა მეთქვა, რომ მაინც წასულიყო, მაგრამ უბრალოდ ენაზე ვიკბინე, ისიც კარგი იყო, რომ ჯეიკობი "შეფუთული" იყო ასეთი ცივი ამინდებისთვის და ალბათ უფრო კარგად ვიდრე დანარჩენი ხროვა, მას ხომ ასეთი სქელი, ფუმფულა და გრძელი ბეწვი ჰქონდა, ძალიან მაინტერესებდა, რატომ განსხვავდებოდა ის დანარჩენებისგან..

ჯეიკობმა ხმამაღლა დაიწყო წკმუტუნი.

– და რა გინდა რომ გავაკეთო? – უყვირა ედვარდმა კარვიდან, - ის საკმაოდ განერვიულებული იყო იმისთვის, რომ მეგობრული ტონი შეენარჩუნებინა, - ქარიშხალში ვატარო? და საერთოდ დიდი ხეირი არ არის შენგან, კარგი იქნებოდა წასულიყავი და რამე გამათბობელი მოგეტანა.

უცებ ყმუილმა ქარის ხმა გადაფარა, ყურებზეც კი მივიფარე ხელი, ედვარდი საშინლად უკმაყოფილო ჩანდა.

– ეს სულაც არ არის აუცილებელი,- მიმართა მან ჯეიკობს,- ეს ყველაზე ცუდი იდეაა შენი იდეებიდან, - დაამატა მან უფრო ხმამაღლა.
– ეს ბევრად ჯობია იმას, რისი შემოთავაზებაც შენ შესძელი, - თქვა ჯეიკობმა უკვე ადამიანის ხმით, - გამათბობელი მოვიტანო? მე შენი სენბერნარი კი არ ვარ.

გავიგონე კარვის ელვა როგორ გაიხსნა, ჯეიკობი უცებ შემოძვრა შიგნით, რომ ცივი ჰაერი არ შემოეშვა, ჩემი კანკალი უკვე ისტერიული იყო.

– მე ეს არ მომწონს,- ჩაისისინა ედვარდმა, სანამ ჯეიკობი ელვას კრავდა,- ქურთუკი მიეცი და გადი!

ჩემი თვალები სიბნელეს შეეჩვია და უკვე ვარჩევდი კონტურებს, ჯეიკობს ხელში ის ქურთუკი ეჭირა, რომელიც ტოტზე დატოვა.
შევეცადე მეკითხა რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ საერთოდ ვერ ამოვიღე ხმა.
– ქურთუკი ძალიან ცივია და ვერ გაათბობს, შენ თქვი რომ გამათბობელი გინდოდა, ხო და მე აქ ვარ,- თქვა ჯეიკობმა და მთელს კარავზე გაშალა ხელები, მას როგორც ყოველთვის მხოლოდ შარვალი ეცვა.

– ჯჯჯჯეიიკკ გაიყინებიიი, - ამოვღერღე მე.
– ოღონდ მე არა,- გაეცინა მას, - ჩემი სხეულის ტემპერატურა თითქმის ორმოცდაორი გრადუსია, მემგონი გაოფლიანდები კიდეც.

ედვარდი იღრინებოდა, მაგრამ ჯეიკობმა არც კი მიაქცია ყურადღება, ჩემთან მოვიდა და საძილე ტომრის ელვის შეხსნა დაიწყო.
ედვარდის მკვრივმა ხელმა მხარში დაიჭირა, ჯეიკობმა კბილები დააჭირა ერთმანეთს, დიდი კუნთები დაეჭიმა ხელებზე.

– ხელი გამიშვი,- თქვა მან კბილებს შორის.
– შორს დაიჭირე შენი თათები მისგან,- მრისხანედ უპასუხა ედვარდმა.
– ნუუუ კამააათობთ,- ამოვთქვი მე, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მალე კბილები დამძვრებოდა სიცივისგან.
– დარწმუნებული ვარ მადლობას გეტყვის, როცა ფეხის თითები გაუშავდება და დასძვრება, - უხეშად დაამატა ჯეიკობმა.

ედვარდი ჩაფიქრდა, შემდეგ ხელი გასწია მისგან და თავის კუთხეში დაბრუნდა.

– ჭკვიანად იყავი, - უთხრა მან ჯეიკობს უფერული ხმით.

ჯეიკობს გაეცინა.

– მიდი, ბელა, გაიწიე, - მითხრა მან და საძილე ტომარა გახსნა.

მე გაოგნებული მივაშტერდი, ეხლა მივხვდი რატომ ჰქონდა ედვარდს ასეთი რეაქცია.

– ააარააა,- შევეცადე გამეპროტესტებინა.
– ნუ ხარ შტერი, თუ თითების გარეშე გინდა დარჩე?

ის ტომარაში შემოძვრა და ელვა შეკრა.

ამის შემდეგ ვეღარ შევძელი წინაამღდეგობის გაწევა, უბრალოდ არ შემეძლო, ის ისეთი თბილი იყო, მოუთმენლად დავადე ცივი ხელები მის ცხელ კანს.

– ღმერთო, ყინულივით ხარ, ბელა.
– ბოდდდიშში.. – ვთქვი მე სლოკინით.
– შეეცადე მოდუნდე, ერთ წუთში გათბები, ტანსაცმელს თუ გაიხდი კიდევ უფრო მალე.

იმ კუთხიდან სადაც ედვარდი იჯდა საშინელი ღმუილის ხმა გაისმა.

– ეს ხომ უბრალოდ ფაქტია,- აუხსნა ჯეიკობმა.

– გეყოფაა ჯჯეიკობ,- ვუთხარი მე გაბრაზებულმა,- სინამდვილეშიი ათი თითიი სულაცცც არ არისსს საჭირო.
– კარგი, ნუ ნერვიულობ შენს სისხლისმსმელზე,- მითხრა ჯეიკობმა თვითკმაყოფილმა,- ის უბრალოდ ეჭვიანობს.

– რა თქმა უნდა ვეჭვიანობ,- თქვა ედვარდმა თავისი ჰავერდოვანი ხმით,- წარმოდგენაც კი არ გაქვს, როგორ მინდა ეხლა შენს ადგილზე ყოფნა, ძაღლო.

– ზუსტად ეს გაჩერებს, ისე დარწმუნებული იყავი, რომ მასაც უნდა, რომ შენ იყო ჩემს ადგილას.
– ზუსტად ასეა,- დაეთანხმა ედვარდი.

სანამ ისინი ერთმანეთს სიტყვებით კბენდნენ, ჩემმა კანკალმა ცოტათი გაიარა.

– თავს უკეთ გრძნობ? – მკითხა ჯეიკობმა.
როგორც იქნა სლოკინის გარეშე შევძელი პასუხის გაცემა.
– კი.

– ტუჩები ისევ ლურჯი გაქვს,- შენიშნა მან,- გინდა გაგითბო? უბრალოდ მთხოვე.

ედვარდმა მძიმედ ამოიოხრა.

– ნორმალურად მოიქეცი,- ვუთხარი მე და სახე მხარზე დავადე, მას გააჟრიალა ჩემი ცივი შეხებისგან, ტომარაში იმდენად თბილოდა, რომ ჩექმა გავიძრე და ფეხის გულები დავადე ფეხებზე, მან კი ლოყა დამადო გაყინულ ყურებზე.

ჯეიკობის კანს ტყის სუნი ჰქონდა, ეს სუნი ძალიან სასიამოვნო იყო, ალბათ კალენებს და მგლებს მხოლოდ ცრურწმენების გამო არ მოსწონდათ ერთმანეთის სუნი, იმიტომ რომ მე მათი სუნი ძალიან მსიამოვნებდა.

ქარიშხალი ცხოველივით ღმუოდა და კარავს არხევდა, მაგრამ ეს უკვე აღარ მანერვიულებდა, ჯეიკობი კარავში იყო, ის აღარ გაიყინებოდა და მეც თბილად ვიყავი, ამის გარდა ძალიან დაღლილი ვიყავი იმისთვის, რომ რამეზე მედარდა, სხეული ნელნელა მომეშვა და ძილი მომერია.
– ჯეიკ?- უკვე ძილმორეულმა ჩავიბურტყუნე მე,- შეიძლება რაღაც გკითხო? არ გეგონოს რომ დაგცინი, უბრალოდ მართლა მაინტერესებს.
– რა თქმა უნდა.
– რატომ ხარ შენს მეგობრებზე გაბურძგნული? თუ გინდა ნუ მიპასუხებ, - მგლების ეტიკეტი ნამდვილად არ ვიცოდი.

– იმიტომ, რომ მათზე გრძელი თმა მაქვს,- მხიარულად მიპასუხა მან, თავი გაიქნია და მისი ყბებამდე მოზრდილი თმა წინ გადმოიყარა.
– აჰ, ამიტომ? და ამიტომ იყო, რომ ყველამ მოკლედ შეიჭრა თმა გადაქცევის შემდეგ? შენ რატომ არ იჭრი? მოგწონს ასეთი გაბურძგნული მგელი რომ ხარ?

მან მაშინვე არ მიპასუხა, ედვარდს კი გაეცინა.

– ბოდიში, - ვთქვი მე და დავამთქნარე,- არ ხარ ვალდებული, რომ მითხრა.
– ნუ, ის მაინც მოგიყვება და ამიტომ მირჩევნია, რომ მე გითხრა, თმებს იმიტომ ვიზრდი... რომ უბრალოდ მგონია გრძელ თმაში უფრო მოგწონვარ.

– ოჰ, ჰმ, მე გრძელიც მომწონს და მოკლეც, არ მინდა ჩემს გამო სირთულეები შეგექმნას.
– როგორც ხედავ დღეს ეს საკმაოდ გამომადგა, ასე, რომ ნუ ნერვიულობ.

არ ვიცოდი რა მეთქვა, ქუთუთოები დამიმძიმდა და თვალები დამეხუჭა, ჩემი სუნთქვაც თანაბარი გახდა.

– სწორია ძვირფასო, დაიძინე,- ჩურჩულით თქვა ჯეიკობმა.

– სემი მოვიდა, - უთხრა ედვარდმა ჯეიკობს და მეც გავიგონე ყმუილი.
– გადასარევია, ეხლა შეგიძლია ყველაფერ დანარჩენს მიხედო, სანამ მე შენს მეგობარ გოგოზე ვზრუნავ.
ედვარდმა არაფერი უპასუხა.

– გეყოფათ,- ჩავიბურტყუნე მე.

შიგნით სიჩუმე ჩამოვარდა, გარეთ კი ისევ ისმოდა ქარის ზუზუნი, კარვის რხევა ხელს მიშლიდა დაძინებაში, ჩემი ფიქრები სადღაც, ძალიან შორს იყო, ამ პატარა სივრცემ ჩემი წარსული გამახსენა ჯეიკობთან, რომელიც მზეს მიცვლიდა ხოლმე, სწორედ მისმა სითბომ დამაბრუნა სიცოცხლისკენ და ის ისევ აქ იყო და მათბობდა.

– გთხოვ! - ისევ ასისინდა ედვარდი, - მიხედე შენს აზრებს.

– რა? – გაუკვირდა ჯეიკობს.

– შეგიძლია რომ შენი აზრები გააკონტროლო?,- ჩუმად და ბრაზიანად ჩურჩულებდა ედვარდი.

– არავინ გაძალებს მოსმენას, გაეთრიე ჩემი თავიდან.

– ძალიან კი მინდა, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენ, როგორ ხმამაღლა ფიქრობ, თითქოს მიყვირი.

– შევეცდები ჩუმად ვიფიქრო,- სარკასტულად უთხრა ჯეიკობმა.
ცოტახნის განმავლობაში სიჩუმე ჩამოვარდა.

– კი, - უპასუხა ედვარდმა ჯეიკობის გაფიქრებულ კითხვას,- ამაშიც ალბათ მშურს შენი.

– ასეც ვიცოდი,- კმაყოფილად თქვა ჯეიკობმა,- ეს ოდნავ ათანაბრებს ჩვენს შესაძლებლობებს არა?

ედვარდს გაეცინა.
– კი აბა იოცნებე..

– იცი, მას კიდევ შეუძლია გადაიფიქროს, თუ მიხვდება, რომ მეტის შეთავაზება შემიძლია, შენგან გასხვავებით არ შემომაკვდება მაინც.

– დაიძინე ჯეიკობ,-ჩაიბურტყუნა ედვარდმა,- უკვე ნერვებზე მოქმედებ.
– ვფიქრობ, დავიძინებ, ისე ძალიან მყუდროდ ვგრძნობ თავს.

ედვარდმა ისევ არ უპასუხა.

უკვე ძალიან შორს ვიყავი იმისთვის, რომ მეთხოვა ჩემზე არ ელაპარაკათ, მათი ლაპარაკი სიზმრად მეჩვენებოდა.

– ალბათ კი,- უპასუხა ედვარდმა ჯეიკობის მიერ დასმულ კითხვას, რომელიც მე რა თქმა უნდა ვერ გავიგე.

– და გულწრფელი იქნები?

– შეგიძლია მკითხო და დარწმუნდე,- ედვარდის ტონმა მაიძულა ჩავფიქრებულიყავი, რამე ხომ არ გამოვტოვე?

– ნუ.. შენ ხედავ რა ხდება ჩემს თავში, მომეცი უფლება დღეს მე გავიგო რა ტრიალებს შენსაში.

– შენს თავში უამრავი კითხვებია, რომელზე გინდა პასუხის გაგება?

– ეჭვიანობა.. ის ალბათ გჭამს შიგნიდან, შეუძლებელია ისეთი დარწმუნებული იყო შენს თავში, როგორიც ჩანხარ, თუ რა თქმა უნდა ემოციები გაგაჩნია.

– რა თქმა უნდა მაქვს ემოციები,- მკაცრად უპასუხა ედვარდმა,- ზუსტად ეხლა იმდენად ცუდად ვარ, რომ ძლივსძლიობით ვაკონტროლებ ჩემს ხმას, ყველაფერი ბევრად ცუდად იყო, როცა ის ჩემგან შორს იყო, შენთან და მისი დანახვა არ შემეძლო.

– ამაზე სულ ფიქრობ არა? გიძნელდება სხვა რამეზე ფიქრი როცა ის შორს არის?
– თან კი და თან არა,- ჩემი ტვინი ისე არ მუშაობს, როგორც შენი, ერთდროულად ბევრ რამეზე შემიძლია ფიქრი, შენზეც ვფიქრობ, უფროსწორედ იმაზე ის ხომ არ ფიქრობს შენზე, ხო, და მგონია, რომ ის იმაზე ხშირად ფიქრობს შენზე ვიდრე მე მინდა, ის ნერვიულობს, რომ უბედური ხარ, ეს შენ თვითონაც იცი და იყენებ.

– ყველაფერი უნდა გამოვიყენო რაც შემიძლია,- ჩურჩულებდა ჯეიკობი,- მე არ მაქვს ისეთი მყარი უპირატესობა, როგორც შენ, იმიტომ რომ შენ ნამდვილად იცი, რომ უყვარხარ.

– ეს მამშვიდებს,- რბილად უთხრა ედვარდმა.

– ისე, რომ იცოდე მეც ვუყვარვარ, მაგრამ ჯერ თვითონაც არ იცის.

– თუ მართალი ხარ, შემიძლია ვუთხრა..

– ეს გაგიჟებს არა? რომ არ იცი მის თავში რა ხდება?

– კი და.. არა, მას ურჩევნია, რომ ასე იყოს, ზოგჯერ არცოდნას ჭკუიდან გადავყავარ, მაგრამ დაე იყოს ასე თუ ის კმაყოფილია.

ცოტახანს ორივე გაჩუმდა.

– მადლობთ,- ჩურჩულით თქვა ედვარდმა,-შეიძლება ეს უცნაურად ჟღერს, მაგრამ მიხარია, რომ აქ ხარ.

– შენ გინდოდა გეთქვა, რომ სიამოვნებით მომკლავდი, მაგრამ გიხარია, რომ ის სითბოშია, ასე ხომ?

– უხერხული შეთანხმებაა, არა?

– ვიცოდი, რომ საშინლად ეჭვიანობდი.

– მე ისეთი იდიოტი არ ვარ, რომ შენსავით ვიყვირო ამის შესახებ, შენს შემთხვევაში ამას აზრი არ აქვს.

– ისე მოთმინება იმაზე მეტი გაქვს, ვიდრე ვვარაუდობდი.

– ასეც უნდა იყოს, მე ასი წელი მქონდა, რომ ეს მესწავლა, ასი წელი ველოდებოდი მას.

– მერე და როდის გადაწყვიტე ძალიან კარგი და მომთმენი ბიჭის როლი გეთამაშა?

– როცა მივხვდი, რომ ტკივილს ვაყენებ, როცა ვაიძულებ ამოირჩიოს, საერთოდ ჩემი განცდების კონტროლირება მარტივია, მაგალითად შენს შემთხვევაში ეს საკმაოდ კარგად გამომდის, მაგრამ ზოგჯერ მგონია რომ ის გამჭირვალეს მხედავს.

– მე კი ვფიქრობ, რომ იმაზე დარდობ, რომ არჩევანის გაკეთებას თუ აიძულებ მე ამომირჩევს.

– ხო, ამაზეც ვნერვიულობ, მაგრამ სულ ცოტათი, ძირითადად იმას ვნერვიულობ, რომ თავს არაფერი დაუშავოს, როცა შენს სანახავად მიდის ხოლმე.

ჯეიკობმა ამოიოხრა.

– შენ გგონია, რომ ყველაფერი იცი?

– მე მომავალი არ ვიცი,- უპასუხა ედვარდმა.

დიდი პაუზა გაჩნდა.

– რას იზავ თუ გადააიფიქრებს?- ჰკითხა ჯეიკობმა.

– ესეც არ ვიცი.

ჯეიკობს გაეცინა.
– ჩემს მოკვლას შეეცდები არა? – სარკაზმი ისევ გაჩნდა მის ხმაში.

– არა.

– რატომ არა?

– შენ მართლა გგონია, რომ ასე ვატკენ გულს?

ჯეიკობი ცოტახანს ფიქრობდა.
– კი, მართალი ხარ, ვიცი, მაგრამ ზოგჯერ..

– ზოგჯერ, ეს ძალიან საინტერესო იდეაა.

ვიფიქრე მართლაც მძინავს და მესიზმრება თქო, მაგრამ ჯეიკობმა გააგრძელა.
– ეს როგორი გრძნობაა? მისი დაკარგა? როგორ გაუძელი, როცა გეგონა რომ სამუდამოდ დაკარგე?

– ძალიან მიჭირს ამაზე ლაპარაკი, ისე მოხდა, რომ ამის გადატანა ორჯერ მომიწია, - ედვარდი სიტყვებს ჩვეულებრივზე ნელა გამოთქვამდა,- პირველად, როცა მეგონა, რომ მის დატოვებას შევძლებდი.... ეს კიდევ ასატანი იყო, იმიტომ, რომ მეგონა დამივიწყებდა და ყველაფერი ისე იქნებოდა, თითქოს მე არც ვყოფილვარ მის ცხოვრებაში, ნახევარ წელიწადზე მეტხანს მეყო ძალა მისგან შორს ვყოფილიყავი და არ ჩავრეულიყავი და თითქმის გამომივიდა, ჩემს თავს ვებრძოდი და ვიცოდი, რომ მოვიგებდი, მერე დავბრუნდებოდი, მარტო იმისთვის რომ შემემოწმებინა როგორ არის, ამას ვეუბნეოდი საკუთარ თავს და თუ მას ისევ ბედნიერს ვნახავდი იმედი მქონდა, რომ ისევ შევძლებდი წასვლას, მაგრამ სხვა შემთხვევაში დავრჩებოდი, გუშინაც, როცა დამარწმუნა, რომ მასთან

დავრჩენილიყავი, მან უბრალოდ შემახსენა როგორ გრძნობდა თავს, რომ დავტოვე და ის მართალია, მე ვერასდროს შევძლებ წარსულის გამოსწორებას.

ჯეიკობი ჩუმად იჯდა, არვიცოდი ქარიშხალს უსმენდა თუ ედვარდს.

– და მეორედ, როცა გეგონა, რომ ცოცხალი აღარ იყო?- მკაცრად ჩაიჩურჩულა ჯეიკობმა.

– კი და შენც დაახლოებით ასე იგრძნობ თავს არა? შენ გგონია, რომ როცა ვამპირი გახდება ბელა აღარ იქნება, მაგრამ ის მაინც სამუდამოდ ბელად დარჩება.

– ამას არ გეკითხებოდი.

– ამას ვერ მოგიყვები, უბრალოდ ვერ გადმოვცემ სიტყვებით,- ცივად უპასუხა ედვარდმა.

ჯეიკობი უფრო ძლიერად შემომეხვია.

– მაგრამ შენ იმიტომ წახვედი, რომ მისი სისხლისმსმელად გადაქცევა არ გინდოდა, შენ გინდოდა, რომ ადამიანი ყოფილიყო.

– იმ წამიდან, როცა მივხვდი, რომ მიყვარდა, ვიცოდი, რომ ჩვენთვის მხოლოდ ოთხი ვარიანტი არსებობდა, პირველი ბელასთვის იყო უკეთესი, ასე ძალიან რომ არ შემჩვეოდა, დაშორება გადაეტანა და თავისი გზით წასულიყო, ამას მივიღებდი, მაგრამ ეს მის მიმართ ჩემს გრძნობებს არ შეცვლიდა, მე შენ ცივ და სასტიკ ცოცხალ ქვად მიგაჩნივარ, ეს ასეა და ჩვენ არ ვიცვლებით, როცა ბელა გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში ცვლილება მოხდა და უკან დასახევი გზა აღარ არსებობს..
– მეორე ვარიანტი, რომელიც მე თავიდან ვარჩიე მის გვერდით დარჩენა იყო, ოღონდ მის ადამიანურ ცხოვრებაში, ეს მისთვის არ იყო კარგი ვარიანტი, იმიტომ, რომ თავისი ცხოვრების დახარჯვა იმაზე მოუწევდა, ვინც მის გვერდით ადამიანი ვერ იქნებოდა, მაგრამ ეს ვარიანტი ყველაზე მარტივი იყო ჩემთვის, სამოცი, სამოცდაათი წელი და მერე როცა ის მოკვდებოდა, მეც ვიპოვიდი გზას რომ გავყოლოდი, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ მისთვის ძალიან საშიში ხდებოდა ჩემს სამყაროში ცხოვრება, შემეშინდა, რომ ის სამოცი წელიც აღარ მექნებოდა.
– ასე, რომ მესამე ვარიანტი ვარჩიე, რომელიც ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა აღმოჩნდა ცხოვრებაში, მე წასვლა ვარჩიე მისი ცხოვრებიდან, რომ პირველ ვარიანტში დაენახა აზრი, ამან არ გაამართლა და კინაღამ ორივე დაგვღუპა.
– და რა მრჩება თუ არა მეოთხე ვარიანტი? ეს ის არის რაც თვითონ უნდა, ყოველშემთხვევაში ასე ჰგონია, ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ მოეცადა, მაგრამ ის ძალიან ჯიუტია, შენც იცი, მას საშინად ეშინია იმისი, რომ დღითიდღე ჩემზე უფროსი ხდება.

– მე პირველი ვარიანტი მომწონს,- ჩაიბურტყუნა ჯეიკობმა.

ედვარდმა არ უპასუხა.

– შენ მშვენივრად იცი, როგორ მიჭირს ამ ყველაფერთან შეგუება,- გააგრძელა ჯეიკობმა,- მაგრამ ვხედავ რომ მართლა ძალიან გიყვარს, ამაზე აღარ ვიკამათებ,

მაგრამ არ მგონია, რომ პირველ ვარიანტზე უარი უნდა თქვა, მას უბრალოდ დრო სჭირდება, კლდიდან რომ არ გადამხტარიყო და შენც კიდევ ნახევარი წელიწადი მოგეცადა, ალბათ ეხლა მას ბედნიერს ნახავდი, მე გეგმა მქონდა.

ედვარდს გაეცინა.
– ხო, გეგმა კარგად იყო შედგენილი.

– კი..- უთხრა ჯეიკობმა და შემდეგ სწრაფად მიაყარა, - ერთი წელი მომეცი ედვარდ, მემგონი შემიძლია ის ბედნიერი გავხადო, ის ჯიუტია და არავინ იცნობს მას ჩემზე კარგად, ის შეძლებს შენი წასვლის გადატანას, ეს ადრეც შეეძლო და ის ადამიანად დარჩება ჩარლისთვის და რენესთვის, გაიზრდება და ბავშვები ეყოლება.. შენ ის იმდენად გიყვარს, რომ უნდა ხედავდე ამ გეგმის უპირატესობას, მას მიაჩნია რომ შენ არ ხარ ეგოისტი, ეს მართალია? შეგიძლია აღიარო, რომ მე უკეთესი ვარიანტი ვარ მისთვის ვიდრე შენ?

– ამაზე მიფიქრია,- ჩუმად უპასუხა ედვარდმა,- შენ ალბათ იმაზე მეტად შეეფერები, ვიდრე სხვა ადამიანი, ბელას მიხედვა სჭირდება და შენ საკმაოდ ძლიერი ხარ, რომ საკუთარი თავისგან და ყველაფერი დანარჩენისგან დაიცვა, შენ ის ერთხელ უკვე გადაარჩინე და მე შენი მოვალე ვარ.
ელისსაც ვკითხე, დაინახა მან თუ არა, რომ ბელა შენთან უკეთესად არის, მაგრამ სამწუხაროდ ის ვერ ხედავს მგლებს და თან თვითონ ბელამ სხვანაირად გადაწყვიტა, ჯეიკობ, მე ისეთი სულელი არ ვარ, რომ ჩემი შეცდომა გავიმეორო, არაფერს აღარ დავაძალებ, სანამ უნდა, რომ მის გვერდით ვიყო, ვიქნები კიდეც.

– და თუ გადაწყვეტს რომ მე ვუნდივარ? – გააპროტესტა ჯეიკობმა,- ვიცი ამის შანსი პატარაა, მაგრამ მაინც..

– მე გავუშვებ მას.

– უბრალოდ გაუშვებ?

– კი და არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად რთული იქნება ეს ჩემთვის, მე ახლოს ვიქნები და გითვათვალებთ, შეიძლება ერთხელაც შენც მიატოვო, ისე როგორ სემმა მიატოვა ლეა, შენ უბრალოდ არჩევანი არ გექნება და მე ყოველთვის ახლოს ვიქნები იმის იმედით, რომ ასეც მოხდება.

ჯეიკობმა ჩაიფრუტუნა.
– შენ მართლაც იმაზე გულწრფელი ხარ ვიდრე მე ველოდებოდი.. მადლობთ, ედვარდ, რომ უფლება მომეცი შენს თავში შევმძვრალიყავი.

– როგორც უკვე გითხარი, უცნაურ მადლიერებას ვგრძნობ განსაკუთრებით დღეს, რომ მის ცხოვრებაში არსებობ, ეს ყველაზე მცირედია, რითიც შემიძლია მადლობა გადაგიხადო, იცი ჯეიკობ, შენ რომ ჩემი მტერი არ იყო და ჩემი ცხოვრების აზრის წართმევას არ ცდილობდე მომეწონებოდი კიდეც.

– ხო, შეიძლება, შენ რომ საზიზღარი ვამპირი არ იყო, რომელსაც გეგმაში აქვს სიცოცხლე წაართვას იმ გოგოს, რომელიც მიყვარს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ მგონია, რომ მომწონებოდი.

ედვარდს გაეცინა.
– შემიძლია რაღაც გკითხო,- ცოტახნის შემდეგ ჰკითხა მან.

– რაში გჭირდება კითხვის დასმა.
– მე მარტო ის მესმის, რაზეც ფიქრობ, იმ ლეგენდის შესახებ მინდა გკითხო, რომელზეც ბელა არაფერს მიყვება, რაღაც მესამე ცოლზე..

– და რა მერე?

ედვარდმა არ უპასუხა და ჯეიკობის აზრებში მოისმინა მთელი ლეგენდა, ძილშიც კი გავიგონე სისინი
.

– რა არის? – ჰკითხა ჯეიკობმა.

– ჯანდაბა! – ედვარდი თითქმის ყვიროდა გაბრაზებისგან,- ნეტავ თქვენ უხეცესებს თავისთვის შეენახათ ეს ისტორია.

– შენ არ მოგწონს, რომ სისხლისმსმელებს ასე ცუდად მოიხსენიებენ? დღესაც ისეა, როგორც მაშინ..

– ამაზე არ ვნერვიულობ, აბა გამოიცანი რომელ პერსონაჟთან აიგივებს ბელა საკუთარ თავს?

ჯეიკობი ფიქრობდა.

– აუჰ, ჯანდაბა! მესამე ცოლი.. ვხვდები რასაც გულისხმობ.

– ბელას უნდა, რომ იქ იყოს, ბრძოლის ველზე და ის გააკეთოს რაც შეუძლია, ეს მეორე მიზეზია, რის გამოც ბრძოლის გამოტოვებას დავთანხმდი, მის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს, როცა რამე უნდა.

– იცი, შენმა მეომარმა ძმამაც მიაწოდა იდეა.

– არავის არ უნდა ზიანის მიყენება.

– და როდის დამთავრდება ჩვენი პატარა შეთანხმება, გათენებისას? –იკითხა ჯეიკობმა,- თუ ბრძოლის შემდეგ?

– გათენებისას,- ჩაიჩურჩულეს მათ ერთად და გაეცინათ.

– კარგ სიზმრებს გისურვებ ჯეიკობ, დატკბი მომენტით.

გარეთ სიჩუმე იყო, ქარიშხალი ცოტათი ჩაწყნარდა, კარავიც აღარ ზანზარებდა.

ედვარდმა წუწუნი დაიწყო.
– არც ამდენად ჯეიკობ.

– ბოდიში, - ჩურჩულით თქვა ჯეიკობმა,- შეგიძლია წახვიდე და წოტახნით მარტო დაგვტოვო.

– იქნებ დაძინებაში მოგეხმარო? – დაემუქრა ედვარდი.

– აბა, სცადე, საინტერესოა, ნეტავ ვინ წავა ბოლოს?

– წყობილებიდან ნუ გამომიყვან მგელო, ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

ჯეიკობმა ჩუმად გაიცინა.
– ეხლა, თუ წინაამღდეგი არ ხარ აღარ გავინძრევი კარგი?

ედვარდი ცდილობდა ხმამაღლა ეღიღინა, რომ ჯეიკობის აზრები ჩაეხშო, ის ჩემს იავნანას მღეროდა და მათი საუბრით გამოწვეული ფორიაქის მიუხედავად ღრმად ჩავიძირე სიზმრებში.

თავი 23

ურჩხული

დილა ძალიან მზიანი იყო, სხივები კარავშიც კი აღწევდა, როგორც ჯეიკობი ვარაუდობდა მე მართლაც გავოფლიანდი, მას ისევ ჩახუტებული ვყავდი, თვითონ კი ხვრინავდა.

თავი ავწიე მისი ცხელი მკერდიდან, მან კი ძილში ამოიოხრა და ჩამებღაუჭა, ვერაფრით გავინთავისუფლე თავი მისი ხელებიდან, ვცდილობდი თავი ამეწია და დამენახა რა ხდებოდა გარშემო.

ედვარდის მზერა დავიჭირე, ერთი შეხევით ის მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ თვალები ტკივილით ჰქონდა სავსე.

– გარეთ დათბა?,- ჩურჩულით ვკითხე მე.
– კი, ვფიქრობ დღეს აღარ დაგჭირდება გამათბობელი.

ჯეიკობი ისე ძლიერად მიჭერდა, რომ ვერაფრით მივწვდი საძილე ტომრის ელვას.

– მომეხმარები? – ჩუმად ვთხოვე ედვარდს.
მას გაეცინა.
– ხელები მოვაწყვიტო?

– არა, მადლობთ, უბრალოდ გამანთავისუფლე, თორემ სიცხისგან გული წამივა.

ედვარდმა სწრაფი მოძრაობით გახსნა ელვა, ჯეიკობი ტომრიდან გადმოვარდა და ზურგით დაეცა ძირს.

– ეი! – იყვირა ჯეიკობმა და თვალები ზევით აქაჩა, ის მომენტალურად წამოხტა და გადამეფარა, ცუდად გავხდი მისი სიმძიმისგან.
წამში ის მთელს სიგრძეზე გაიშალა და თავი მიარტყა კარვის ჭერს.
ედვარდი ჩემზე იყო გადაფარებული, მის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ მისი მკერდიდან საშინელი ღმუილი ისმოდა, ჯეიკობი ჩვენსკენ იყო დახრილი, კბილებს ერთმანეთს აჭერდა და მისი სხეული ერთიანად ცახცახებდა, გარედან ექოსავით გაისმა სეთ კლირვოტერის ყმუილი.

– გეყოფათ! – ვიყვირე მე და ძლივსძლიობით ამოვძვერი ტომრიდან, რომ მათ შორის ჩავმდგარიყავი.

ადგილი ცოტა იყო, ამიტომ შევეცადე ხელები გამეშალა მათ გასაცალკევებლად, ედვარდმა ხელი მომხვია წელზე, რომ გავეწიე.

– გაჩერდი, ეხლავე! – გავაფრთხილე ის.

ჯეიკობს შევეხე და მან ნელ-ნელა დაიწყო დამშვიდება, სხეული აღარ უკანკალებდა, მაგრამ ისევ გაბრაზებული უყურებდა ედვარდს, სეთი ისევ იღრინებოდა გარეთ.

– ჯეიკობ? – ვკითხე მე და დაველოდე სანამ შემომხედავდა, - დაჭრილი ხარ?

– რა თქმა უნდა არა! – იღრიალა მან.

ედვარდს მივუმბრუნდი, ის აღშფოთებული მიყურებდა.

– ედვარდ, ასე არ შეიძლება, ბოდიში უნდა მოუხადო.

მას თვალები გაუფართოვდა.
– ხუმრობ? ის ხომ თვითონ დაგახტა.

– იმიტომ, რომ ძირს გადააგდე, მას ჩემთვის არაფერი დაუშავებია.

ედვარდმა ამოიოხრა და დაწყნარება სცადა, შემდეგ ჯეიკობს შეხედა.
– ბოდიში, ძაღლო.

– კარგი.. ისეთი არაფერია,- უპასუხა ცივად ჯეიკობმა.

ისევ შემცივდა, ისე არა როგორც მანამდე, მაგრამ მაინც დავიწყე კანკალი.

– აი,- მითხრა მშვიდად ედვარდმა და ჩემს ქურთუკზე მეორე ქურთუკი მომაცვა.

– ეს ჯეიკობის არის,- შევეწინააღმდეგე მე.

– ჯეიკობს ბეწვი აქვს,- შენიშნა ედვარდმა.

– თუ წინაამდდეგები არ ხართ, ისევ დავიძინებ,- თქვა ჯეიკობმა და საძილე ტომარაში შეძვრა,- ძილი დამაკლდა, სულაც არ იყო კარგი ღამე.

– შენ თვითონ მოინდომე,- ჩაიბურტყუნა ედვადმა.

ჯეიკობმა დიდი შავი თვალები გაახილა და კმაყოფილი სახე მიიღო.
– ანუ.. ღამე შენც არ მოგეწონა?
– ყველაზე ცუდი არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში.

– ნუ.. ათეულში მოხვდა?
– ალბათ.

ჯეიკობს გაეღიმა და თვალები დახუჭა.

– მაგრამ, - გააგრძელა ედვარდმა,- შენი შეცვლაც რომ შემძლებოდა ამ ღამეს, ის მაინც არ იქნებოდა ყველაზე კარგი.
ჯეიკობმა ისევ გაახილა თვალები, გაბრაზებული მიაშტერდა და წამოჯდა.

– იცი, მე ვფიქრობ აქ ძალიან ბევრი ხალხია,- თქვა მან.

– არ შემიძლია არ დაგეთანხმო.

იდაყვი მივარტყი ედვარდს, ალბათ ხელი დამილურჯდებოდა.

ჯეიკობი დაიჭყანა.
– მირჩევნია მერე გამოვიძინო, ეხლა მაინც სეთს უნდა დაველაპარაკო.

ის მუხლებზე გადმოგორდა და კარვის ელვისკენ გაიწია.

საშინელი ტკივილი ვიგრძენი შინაგანად, როცა წარმოვიდგინე რომ შეიძლებოდა ბოლოჯერ ვხედავდი მას, ის უკან მიდიოდა სემთან, რომ ახალშობილებს შებრძოლებოდა.

– ჯეიკობ, მოიცადე,- ამოვთქვი მე და ხელი გავწიე მისკენ, ის გაიწია და მხოლოდ სიცარიელე დავიჭირე,- გთხოვ, ჯეიკობ, დარჩი.
მისი პასუხი ცივი იყო.
– არა.

ჩემს სახეზე ტკივილი დაინახა და სიტყვები შეარბილა.

– ნუ დარდობ ბელს, მე კარგად ვიქნები, მართლა გგონია, რომ სეთს ჩემს ადგილს დავუთმობ და მთელს მხიაულებას გამოვტოვებ? როგორ არა..

– ფრთხილად იყავი..

– ოჰ, გეყოფა ბელა,- გავიგონე მისი ბურტყუნი, როცა კარვიდან გავიდა.

მისი ნაბიჯების ხმა მესმოდა, შემდეგ კი სიჩუმე ჩამოვარდა, ქარის ხმაც აღარ ისმოდა, მარტო ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა სადღაც შორს, ედვარდს მხარზე დავადე თავი და ცოტახანს ჩუმად ვიყავით.

– რამდენი დრო დარჩა? – ვიკითხე მე.
– ელისმა სეთს უთხრა, რომ ყველაფერი დაახლოებით ერთ საათში დაიწყება,- მიპასუხა მან რბილად.
– ხომ აქ ვიქნებით, ერთად, რაც არ უნდა მოხდეს?
– რაც არ უნდა მოხდეს.. – თქვა მან და თვალები დახუჭა.
– ვიცი,- ვთქვი მე,- მე ვნერვიულობ მათზე.

– მათ იციან, როგორც უნდა მოქცნენ,- დამამშვიდა ედვარდმა, - მე უბრალოდ მთელს მხიარულებას გამოვტოვებ.

ნეტავ რას იყო ამაში სამხიარულო.

– დამშვიდდი,- მითხრა მან და შუბლზე მაკოცა.
– კი, კი.
– გინდა, სხვა რამეზე გადაგატანინო ყურადღება? – ჩურჩულით მითხრა მან და ლოყაზე შემეხო ცივი თითებით.
კანკალი დავიწყე.

– ალბათ ეხლა არა,- უპასუხა მან თავის თავს.

– ჩემს გასართობათ სხვა საშუალებაც არსებობს,- ვთქვი მე.

– რას მთავაზობ?

– შეგიძლია, შენი ცხოვრების ათ საუკეთესო ღამეზე მომიყვე? მაინტერესებს,- ვთხოვე მე.

ედვარდს გაეცინა.
– აბა სცადე და გამოიცანე.

უარყოფითად გავიქნიე თავი.
– ძალიან ბევრი ღამე გექნებოდა ისეთი, რომლის შესახებაც მე არაფერი ვიცი, ეს ხომ მთელი საუკუნეა.
– სპეციალურად შენთვის შევამცირებ ვადებს და გეტყვი, რომ ჩემი კარგი ღამეები მაშინ დაიწყო, როცა შენ გამოჩნდი ჩემს ცხოვრებაში.
– მართლა?
– კი, მართლა.
– მე მარტო ჩემები მახსოვს,- ვაღიარე მე.
– ისინი შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს,- გამამხნევა მან.

– ნუ.. ის პირველი ღამე, როცა ჩემთან დარჩი.
– კი, ისიც არის, მაგრამ ჩემს საყვარელ მომენტში შენ გეძინა.
– ზუსტად და სიზმარში ვლაპარაკობდი.
– დიახ.

გავწითლდი, როცა გამახსენდა, რისი თქმა შემეძლო ძილში, როცა ამ ღამით ჯეიკობთან ჩახუტებულს მეძინა.

– ამ ღამეს რა ვილაპარაკე?- ვიკითხე მე ძალიან ჩუმად.

მან მხრები აიჩეჩა და გამაჟრიალა.
– არაფერი ცუდი,-ამოისუნთქა მან.
– გთხოვ მომიყევი.
– ძირითადად ჩემს სახელს ამბობდი.
– ეს ცუდი არ არის,- დაეჭვებულმა ავღნიშნე მე.

– თუმცა ბოლოსკენ, რაღაც "ჩემი ჯეიკობის" მაგვარს ბურტყუნებდი,- ვიგრძენი როგორ უჭირდა ამის ხმამაღლა წარმოთქმა.
კისერი წავიგრძელე, რომ მისთვის მეკოცნა, მის თვალებს ვერ ვხედავდი, იმიტომ რომ ზევით იყურებოდა.
– მაპატიე, - ჩავიჩურჩულე მე, - უბრალოდ მათ ასე განვასხვავებ.

– განასხვავებ ვის?

– იმ ჯეიკობს, რომელიც მომწონს და იმას, რომელიც საშინლად მაცოფებს,- ავუხსენი მე.

– ხო, არის ამაში რაღაც,- თითქმის დამშვიდდა ედვარდი, -მიდი შემდეგი ღამე გამოიცანი.

– იტალიიდან ფრენის ღამე.

ედვარდი მოიღუშა.

– შენ არ გიყვარს ის ღამე? – გამიკვირდა მე.
– არა, პირიქით ეს ღამე ერთ-ერთი ყველაზე საყვარელია ჩემთვის, მაგრამ მიკვირს, რომ შენს სიაშიც შევიდა, მე მეგონა შენ მაშინ აკვიატებული გქონდა, რომ მხოლოდ დანაშაულის გრძნობის გამო ვიქცეოდი ისე და გეგონა, რომ თვითმფრინავის დაჯდომის შემდეგ მაშინვე მიგატოვებდი.

– კი, - გამეღიმა მე,- მაგრამ შენ ხომ იქ იყავი, ჩემთან.

მან თავზე მაკოცა.
– შენ იმაზე მეტად გიყვარვარ, ვიდრე ვიმსახურებ.

გამეცინა ამ სულელურ აზრზე.
– შემდეგი ჩემს სიაში, იტალიის შემდგომი ღამეა
.
– ხო, ისიც არის ჩემს სიაში, შენ ისეთი სასაცილო იყავი.
– სასაცილო? მეწყინა მე.

– ხო, ვერც კი წარმომედგინა, რომ ასეთი ფანტაზია გქონდა, საკმაოდ დიდხანს გარწმუნებდი იმაში, რომ არ გეძინა.
– და მე ისევ არ ვარ ამაში დარწმუნებული, შენ ყოველთვის ოცნებად მიმაჩნდი და არა რეალობათ, ეხლა მიდი შენები მოყევი, პირველი ადგილი გამოვიცანი?

– არა, პირველ ადგილზე ორი დღის წინანდელი ღამეა, როცა როგორც იქნა დათანხმდი ჩემს ცოლობას, შენს სიაში ის არ შედის?

ჯერ დავიჭყანე, შემდეგ კი გამახსენდა, როგორ მკოცნიდა იმ ღამეს და რას დამპირდა ქორწინების შემდეგ და აზრი შევიცვალე.
– კი ეს ღამეც მიყვარს, მაგრამ მაინც ვერ ვხვდები რატომ არის ის შენთვის ასეთი მნიშვნელოვანი, ისედაც ხომ იცი, რომ სამუდამოდ შენი ვარ.
– ასე.. ასი წლის შემდეგ, როცა იმდენი გამოცდილება გექნება, რომ ჩემი პასუხი გაიგო, აუცილებლად აგიხსნი.

– კარგი, შეგახსენებ ასი წლის მერე.

– გათბი? – შეცვალა მან თემა.
– კარგად ვარ, - დავამშვიდე მე, - რატომ მეკითხები?

სანამ პასუხის გაცემას მოასწრებდა, კარვის გარეთ სიჩუმე საშინელმა, ტკივილით და სევდით სავსე ყმუილმა დაარღვია, ამ ხმამ ყველაფერი მოიცვა, არასდროს არ გამიგია ასეთი უბედური ყმუილი, მაგრამ მაშინვე ვიცანი ის და მივხვდი კიდეც მის მნიშვნელობას, არ მჭირდებოდა მთარგმნელები, ეს ხომ ჯეიკობი იყო.
ის ახლოს იყო და ჩვენი თითოეული სიტყვა გაიგონა, ყმუილი ნელ-ნელა ჩუმ ტირილს დაემსგავსა, მე არ გამიგია, მაგრამ ვიგრძენი, რომ გაიქცა, საშინელი სიცარიელე ვიგრძენი.

– შენს გამათბობელს მოთმინება ამოეწურა,- ჩუმად ამიხსნა ედვარდმა.
– ჯეიკობი გვისმენდა?- ჩურჩულით ვქვი მე.
– კი.
– იცოდი?
– კი, მე არასდროს მითქვამს რომ წესებით ვიბრძოლებდი და ის იმსახურებს იმას, რომ სიმართლე იცოდეს.

ხელები მივიფარე სახეზე.

– ჩემზე გაბრაზებული ხარ? – მკითხრა ედვარდმა.
– შენზე არა, ჩემი თავის მეშინია.

– ბელა, ნუ იწვალებ თავს, მან იცოდა რასაც აკეთებდა.

– გგონია, ამას აქვს მნიშვნელობა? – ვყვიროდი მე და უეცრად წამოსულ ცრემლებს ვყლაპავდი, - მე მას გულს ვტკენ, ყოველ ჯერზე მასთან ახლოს ყოფნით ვაწამებ, მე საშინელი ადამიანი ვარ.
ედვარდი ძლიერად მომეხვია.
– ეს არ არის სიმართლე.
– ზუსტად ასეა! რა მჭირს ასეთი? – უკვე ისტერიულად გავყვიროდი მე და ვეჭიდავებოდი მის ხელებს, ედვარდმა ხელები გამიშვა, - უნდა წავიდე და ვიპოვო.

– ბელა, ის უკვე ძალიან შორს არის და გარეთ ცივა.

– არ მაინტერესებს, არ შემიძლია უბრალოდ აქ ვიჯდე.

ჯეიკობის ქურთუკი გავიძრე, ჩექმები ამოვიცვი გასასვლელისკენ მივედი.

– მე უნდა.. მე უნდა... – არ ვიცოდი, როგორ დამესრულებინა წინადადება, არც კი ვიცოდი რას ვაკეთებდი, მაგრამ მაინც გავხსენი კარვის ელვა და გარეთ გავვარდი.
თოვლი იმაზე ცოტა იყო ვიდრე ველოდი საშინელი ღამის შემდეგ, მზე დასავლეთიდან ანათებდა, ის თოვლზე აირეკლებოდა და თვალებს მჭრიდა, საშინლად ციოდა და გარშემო მკვდარი სიჩუმე იყო.
სეთ კლირვოტერი იქვე ახლოს იწვა ცარიელ ადგილზე და თავო ედო თათებზე, შევამჩნიე, რომ მაკვირდებოდა, მისი თვალებში ბრალდებას ვხედავდი.

ვიცოდი, რომ ედვარდი მომყვებოდა, როცა ხეებს შორის გაძრომას ვცდილობდი, მისი ნაბიჯების ხმა არ მესმოდა, მაგრამ მზეზე მისი კანიდან სხივები აირეკლებოდა და ჩემს წინ ანათებდა, მან მაჯაში მომკიდა ხელი.

– მას ვერ გაჰყვები, დღეს არა, მალე ყველაფერი დაიწყება, არ აქვს მნიშვნელობა ეხლა რას ფიქრობ, მაგრამ თუ დაიკარგები ეს არავის არ უშველის, მაპატიე,- დაამატა მან ჩერჩულით, - ძალიან ვწუხვარ რომ ასე მოვიქეცი.

– შენ არაფერი დაგიშავებია, ეს ჩემი ბრალია, მე ყველაფერი არასწორედ გავაკეთე, მე უნდა.. როცა .. ის – ავტირდი მე.

– ბელა, ბელა..

ის მომეხვია და ჩემმა ცრემლებმა პერანგი დაუსველა.

– მას არ უნდა გაეგო ეს ყველაფერი ასე.

– გინდა, შევეცდები და დავაბრუნებ, რომ ილაპარაკოთ? ჯერ კიდევ არის ცოტა დრო,- ბუტბუტებდა ედვარდი, მისი ხმა საშინელ ტანჯვას გამოხატავდა.

თავი დავუქნიე, მაგრამ არ ამიწევია, მეშინოდა მისთვის თვალებში ჩახედვის.

– კარავთან დარჩი, მალე მოვალ,- თქვა მან.

ის იმდენად სწრაფად წავიდა, რომ წამში სულ მარტო დავრჩი.
არ ვიცოდი, როგორ მაგრამ დღეს ყველას ტკივილს ვაყენებდი, იყო კი რამე, რაც ჩემი შეხებით არ ფუჭდებოდა?

არ ვიცოდი, ზუსტად ეხლა რატომ ვიყავი ასე ცუდად, მე ხომ ყოველთვის ვიცოდი რომ ასე იქნებოდა, მაგრამ ჯეიკობს არასდროს ჰქონია ასეთი რეაქცია აქამდე, დღეს კი მან ვეღარ დამალა ტკივილი, მისი ხმა ისევ ჩამესმოდა ყურებში და მის გვერდით ჩემი ტკივილი იყო, რომელსაც მის გამო და ედვარდის გამო განვიცდიდი, რატომ არ შემეძლო მშვიდად გამეშვა ის?

მე კეტის ვგავდი “ ჭექაქუხილის უღელტეხილიდან”, თუმცა მე უკეთესი არჩევანი მქონდა ვიდრე მას, მე არ უნდა გამეკეთებინა არჩევანი ბოროტებას და სისუსტეს შორის, მაგრამ ისევე, როგორც ის ვიდექი და იმას დავტიროდი რაც დავაშავე.

არ უნდა მიმეცა უფლება ჩემი ტკივილისთვის, რომ ჩემს გადაწყვეტილებაზე ემოქმედა, ცოტა დრო მქონდა და სწორედ უნდა მოვქცეულიყავი, იქნებ ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო, ედვარდი ვერ დაეწეოდა, მე მომიწევდა ამ ფაქტთან შეგუება

და ჩვეულებრივად გავაგრძელებდი სიცოცხლეს, ედვარდი ვეღარასდროს ვერ ნახავდა ჩემს ცრემლებს.
  და თუ შეძლებს მის დაბრუნებას? მაშინ ყველაფრის თქმა მომიწევს, ანუ იმის, რომ უნდა წავიდეს და აღარ დაბრუნდეს..
 რაში იყო განსხვავება? რატომ მიჭირდა მასთან დამშვიდობება? ეს არ იყო სწორი, მე ხომ ყველაფერი მივიღე რაც მინდოდა, ორივე ერთად ვერ მეყოლებოდა და ჯეიკობს კი არ შეეძლო, რომ უბრალოდ მეგობარი ყოფილიყო, ამას უნდა შევგუებოდი..
 უნდა დამევიწყებინა ის სულელური აზრი, რომ ჯეიკობი ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო, ის ვერ იქნებოდა ჩემი ჯეიკობი, იმიტომ, რომ მე სხვას ვეკუთვნოდი.

 ძლივს მივიტანე ფეხები კარვამდე, სეთს გავხედე, ის ისევ გაუნძრევლად იწვა, მაშინვე სხვაგან გავიხედე, ძალა არ მქონდა, რომ მის მზერას შევხვედროდი. თმები საშინლად მქონდა აჩიჩილი და ხელით ვცდილობდი მათ გასწორებას, ნეტავ ვის ადარდებდა, როგორ გამოვიყურებოდი.
 არ ვიცოდი რა მეკეთებინა და წინ და უკან დავიწყე სიარული, მინდოდა სეთისთვის მეთხოვა ნიშანი მოეცა თუ დაინახავდა, რომ ჯეიკობი ბრუნდებოდა, მაგრამ ეს არ გავაკეთე.

 უცებ სეთი წამოხტა და ყმუილი დაიწყო.

– რა მოხდა? – სულელურად ვიკითხე მე.
  მან ყურადღება არ მომაქცია, ხეებისკენ გაიქცა, ცხვირით დასავლეთისკენ მიმანიშნა და აწკმუტუნდა.

– სეთ, ისინი არიან, სხვები? ველზე?

 მან ერთხელ გამომხედა და ისევ დასავლეთისკენ შეტრიალდა, ყურები ჰქონდა ჩამოყრილი და ისევ წკმუტუნებდა.

– რატომ ვარ ასეთი იდიოტი? რას ვფიქრობდი, როცა ედვარდს ვუშვებდი? ეხლა როგორ გავიგებ რა ხდება? მე ხომ მგლების ენა არ ვიცი..

 შიშმა ტალღასავით დამიარა, იქნებ სეთის ყმუილს კავშირი არ ჰქონდა ბრძოლასთან, იქნებ ედვარდი და ჯეიკობი ებრძოდნენ ერთმანეთს? სადღაც შორს ტყეში..
 მე თუ მათ ორივეს დავკარგავდი ეს მარტო ჩემი ბრალი იქნებოდა, ვიგრძენი გული როგორ გამეყინა.

  სანამ გული წამიმიდოდა, სეთმა რაღაც ყრუ ხმა ამოუშვა და მივტრიალდი, ის თავის ადგილზე დაბრუნდა და ამან დამამშვიდა, ქურთუკი კარავში შევაგდე და ხეებისკენ წავედი, რომ რამე დამენახა.
  სეთი ისევ წამოხტა, ბეწვი აეფოფრა, ვიყურებოდი, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი, ეხლაც თუ არ ამიხსნიდა რაში იყო საქმე, ნამდვილად გირჩს ვესროდი.

– ეს ჩვენ ვართ სეთ,- დაუძახა ჯეიკობმა.

შევეცადე გამეგო, რატომ ამიჩქარდა გული, როცა მისი ხმა გავიგონე, იქნებ იმის გამო, რომ მეშინოდა ყველაფერი მეთქვა მისთვის.
ედვარდი პირველი გამოჩნდა, ის მშვიდად და უდარდელად გამოიყურებოდა, სეთმა მასთან მიირბინა, ედვარდმა ნელა დაუქნია თავი..

– კი, ეს ყველაფერია რაც გვჭირდება,- უთხრა მან თავის თავს, სანამ დიდ მგელს უპასუხებდა,- მემგონი არ უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ დრო უკვე იწურება, გთხოვ, უთხარი სემს, რომ ელისმა ცხრილი დააზუსტოს.
სეთმა თავი დაუკრა.
შემოვბრუნდი და მივხვდი, რომ ჯეიკობიც აქ იყო, ის ზურგით იდგა და იქით იყურებოდა საიდანაც მოვიდა, ველოდებოდი, როდის მოტრიალდებოდა.

– ბელა,- თქვა ედვარდმა და უცებ ჩემს გვერდით გაჩნდა, თვალები აფორიაქებული ჰქონდა, მაგრამ ცდილობდა, რომ არ შემჩნეოდა, მის მოთმინებას საზღვარი არ ჰქონდა და მე ნამდვილად არ ვიყავი მისი ღირსი,- გართულებებია,- თქვა მან, - მე და სეთი წავალთ, რომ ყველაფერი გავარკვიოთ, შორს არ ვიქნები, მაგრამ გპირდები, რომ არ მოგისმენთ, ვიცი, რომ არ გინდა მაყურებლები, არ აქვს მნიშვნელობა რას გადაწყვიტავ.
თვალებში არ მიყურებდა, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა რასაც გრძნობდა.
მე აღარასდროს ვატკენდი გულს, ეს ჩემი ცხოვრების მიზანი იქნებოდა, ყველაფერს გავაკეთებდი, რომ მის სახეზე მსგავსი ტკივილი აღარ მენახა.

– მალე დაბრუნდი,- ვუთხარი მე ჩურჩულით.

მან ნაზად მაკოცა და ტყეში გაუჩინარდა სეთთან ერთად.

ჯეიკობი ისევ ზურგით იდგა და ხეებს აშტერდებოდა.

– ბელა, მეჩქარება, მოდი სწრაფად დავამთავროთ ყველაფერი,- თქვა მან მშრალად.

ნერწყვი გადავყლაპე არ ვიცოდი, როგორ ამომეღო ხმა.

– მიდი, ბელა, გისმენ!

– მაპატიე, რომ ასეთი საშინელი ადამიანი ვარ, რომ ასეთი ეგოისტი ვარ,- ვჩურჩულებდი მე, - ნეტავ არასდროს შემხვედროდი და მაშინ ვეღარ მოგაყენებდი ტკივილს, ამას არასდროს აღარ გავაკეთებ, გპირდები, შორს დავიჭერ შენგან თავს, შტატებიდან წავალ და აღარ მოგიწევს ჩემი ყურება.

– ეს სულაც არ ჰგავს პატიების თხოვნას, - თქვა მან მკაცრად.

– მითხარი, როგორ გავაკეთო ყველაფერი სწორედ.

– იქნებ მე სულ არ მინდა, რომ ჩემგან წახვიდე? უკეთესად ვიქნები თუ დარჩები, ეს ეგოიზმია? ვერ ვხვდები, ვისთვის გინდა კარგის გაკეთება?

– ეს არ არის სწორი ჯეიკობ, ჩვენ ვერ ვიქნებით ერთად, როცა ორივეს სხვადასხვა რამე გვინდა, ეს კიდევ უფრო მტკივნეული გახდება შენთვის, აღარ მინდა გულს გტკენდე, მძულს ეს..

მან ამოისუნთქა.
– გეყოფა, არაფრის თქმა არ არის საჭირო, ყველაფერი გავიგე.

მინდოდა მეთქვა, როგორ დამაკლდებოდა და მომენატრებოდა, მაგრამ ენაზე ვიკბინე, ამის თქმა არ იყო საჭირო.

ცოტახანს ის ჩუმად იდგა და ქვევით იყურებოდა, საშინლად მინდოდა მასთან ახლოს მისვლა, შემდეგ მან თავი ასწია.

– მარტო შენ არ ხარ ასეთი, - თქვა მან, - ამ თამაშში ორნი ვიყავით.

– რა?

– მეც არ ვიქცეოდი კარგად, ჩემს თავსაც გავურთულე ცხოვრება და შენც, არ უნდა დამეჯერებინა ზღაპრებისთვის, ვიცი, მეც გატკინე გული.

– ეს ჩემი ბრალია.

– ბელა, არ მოგცემ უფლებას, რომ ყველაფერი შენს თავზე აიღო, ვიცი, როგორ უნდა გამოვისყიდო ჩემი დანაშაული.

– რაზე ლაპარაკობ? – მის თვალებში გაჩენილმა ცეცხლმა შემაშინა.
მან მზეს შეხედა და გამიღიმა.

– იქ, ქვევით ბრძოლა იქნება და არ იქნება რთული თამაშიდან გამოსვლა.

ჩემამდე ნელ-ნელა მოდიოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა, სუნთქვა გამიჩერდა, იმის მიუხედავად რომ მართლა ვცდილობდი ის ჩემი ცხოვრებიდან გამექრო, ამ წამამდე ვერც კი ვხვდებოდი რამდენად დიდი ტკივილის მოყენება შეეძლო ჩემთვის, თითქოს დანა დამარტყეს გულში.

– ოჰ, არა ჯეიკ.. არა, არა, არა.. – მივაყარე მე,- გთხოვ არა.

შიშისგან მუხლები მიკანკალებდა.

– ბელა, რა მნიშვნელობა აქვს? ეს ყველასთვის კარგი იქნება, არსად გამგზავრება აღარ მოგიწევს.

– არა!,- ვიყვირე მე,- არა, ამის უფლებას ვერ მოგცემ!

– და როგორ აპირებ ჩემს გაჩერებას?

– ჯეიკობ, გემუდარები, ჩემთან დარჩი,- მოძრაობა არ შემეძლო, თორემ მის წინ მუხლებზეც დავდგებოდი.

– თხუთმეტი წუთი, რომ ბრძოლა გამოვტოვო? მერე როგორც კი დაინახავ, რომ საფრთხე აღარ მემუქრება ისევ გამექცევი არა?

– არ გაგექცევი, გადავიფიქრე, ყოველთვის შეიძლება გამოსავლის მოძებნა, რამეს მოვიფიქრებთ, არ წახვიდე!

– იტყუები!

– არა, არ გატყუებ, შენ იცი, რომ ტყვილები არ მეხერხება, თვალებში შემომხედე, მე დავრჩები, თუ შენც დარჩები.

მისი სახე მკაცრი გახდა.
– და მეჯვარე ვიქნები შენს ქორწილში?

– გთხოვ,- სხვა ვერაფრის თქმა ვერ შევძელი.

– ასეც ვიცოდი,– თქვა მან და სახე ისევ დაუმშვიდდა, - მე მიყვარხარ ბალა.

– მეც მიყვარხარ ჯეიკობ.
– ეს იმაზე უკეთ ვიცი, ვიდრე გგონია,- გაეღიმა მას.

ის შებრუნდა და უკვე წასვლას აპირებდა.

– ჯეიკობ, ყველაფერზე თანახმა ვარ,- ვიყვირე მე, როგორ შემეძლო,- ყველაფერზე რაც გინდა, ოღონდ ამას ნუ გააკეთებ!

ის გაჩერდა და ნელა მობრუნდა ჩემსკენ.

– არ მგონია, რომ რასაც ამბობ, იმას გულისხმობ.

– დარჩი,- ვემუდარებოდი მე.
მან თავი გაიქნია.

– არა, მე მივდივარ, ბედმა გადაწყვიტოს ყველაფერი.

– რაზე ლაპარაკობ?

– არაფერს არ გავაკეთებ სპეციალურად, უბრალოდ წავალ და ჩემი ხროვისთვის იმას გავაკეთებ, რაც ყველაზე კარგად შემიძლია, ბედმა გადაწყვიტოს,- მხრები აიჩეჩა მან,- შენ თუ მართლა გინდა ჩემი დაყოლიება დარჩენაზე, ამას გააკეთებ კიდეც და უაზროდ არ შემეხვეწები.

– როგორ?

– შეგიძლია მთხოვო,- შემომთავაზა მან.

– დაბრუნდი,- ვთქვი მე ჩურჩულით, ვერ ვხვდებოდი რას ითხოვდა ჩემგან.
მან გამიღიმა და თავი გაიქნია.

– ამას არ ვგულისხმობდი.

წამში მივხვდი რაზეც ლაპარაკობდა, მთელი ეს დრო ისე მიყურებდა, თითქოს წინასწარ იცოდა ჩემი პასუხი, ვიცოდი ეს რადაც დამიჯდებოდა, მაგრამ ამაზე ფიქრს თავი დავანებე და ვთქვი:
– ჯეიკობ, მაკოცებ?

მას თვალები გაუფართოვდა გაკვირვებისგან.

– კიდევ მატყუებ.

– მაკოცე ჯეიკობ და მერე დაბრუნდი.

ჩრდილში იდგა და თავის თავს ებრძოდა, შემდეგ ერთი პატარა ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ, შემდეგ მეორე, მის თვალებში ეჭვს ვხედავდი.
შემდეგ ის უცებ სწრაფად წამოვიდა და ჩვენს შორის აღარ იყო მანძილი, ვიცოდი, რომ ამ მომენტით ისარგებლებდა, მან ხელი მომკიდა სახეზე და მისმა ტუჩებმა ჩემები იპოვეს, გაუნძრევლად ვიდექი და თვალები მქონდა დახუჭული, ის საკმაოდ უხეშად მკოცნიდა.

მან იგრძნო ჩემი პასიურობა და გაბრაზდა, მისმა ერთმა ხელმა ჩემს კეფაზე გადაინაცვლა, მეორე ხელით უხეშად ჩამეჭიდა მკლავზე და ძლიერად მიმიკრა თავისთან, შემდეგ ჩემი ხელი იპოვა და კისერზე შემოიგდო, არვიცოდი, რამდენად შორს წამიყვანდა მისი უსაფრთხოდ დატოვების სურვილი, მისი თბილი და რბილი ტუჩები კი ცდილობდნენ ჩემში საპასუხო გრძნობები გამოეწვიათ.
როგორც კი მიხვდა, რომ განძრევასაც არ ვაპირებდი, მისმა ხელმა ჩემს წელზე გადაინაცლა, მისი ცხელი ხელი ძლიერად მაწვებოდა, რაღაც მომენტში ჩემს ტუჩებს მოშორდა და ლოყებზე, კისერზე და თვალებზე გადაინაცვლა, ვიცოდი, რომ არ მოისვენებდა, სანამ თავისას არ მიიღებდა, მან მეორე ხელიც თავის კისერზე ამაწევინა და შემდეგ ორივე ხელი შემომხვია წელზე.
– ბელა, უკეთესადაც შეგიძლია,- მითხრა მან ყურში.

გამაჟრიალა, როცა ტუჩებით შეეხო ჩემს ყურს.

– ხო, ზუსტად ასე,- ჩურჩულებდა ის, - გარეთ გამოუშვი შენი გრძნობები.
მინდოდა თავი გამექნია, მაგრამ მისი ხელი ისე ჩემს კეფაზე აღმოჩნდა და შემაჩერა.

მისი ტონი უხეში გახდა.
– დარწმუნებული ხარ, რომ გინდა დავბრუნდე? თუ გინდა, რომ დავუღუპო?

საშინლად ვბრაზობდი მასზე, ის ყველანაირი წესების გარეშე იბრძოდა.

ხელები თმებში ჩავავლე, რომ გამეწია, მიმდოდა ძირიანად ამომეგლიჯა ისინი, მაგრამ მან ეს ვნების გამოხატვად მიიღო და იფიქრა, რომ როგორც იქნა ვუპასუხე.
ის სურვლით იხრჩობოდა და ისევ ჩემს ტუჩებს დაუბრუნდა, მისი მძიმე ხელები ისევ ჩემს ზურგზე იყო.

გაბრაზებამ გათიშა ჩემი ტვითკონტროლი, ჯეიკობის ქცევაში მარტო ტრიუმფი, რომ ყიფილიყო, შევძლებდი წინაამღდეგობის გაწევას, მაგრამ მისი სიხარულის დაუცველობამ შეარყია ჩემი გადაწყვეტილება, ყველაფრის მიუხედავად ჩემი ტუჩები დაემორჩილა მას, უცნაური იყო, რომ შემეძლო სიფრთხილეზე არ მეფიქრა, იმიტომ, რომ არც ის იყო ჩემთან ფრთხილი.
ჩემი ხელები მის თმებში გაიხლართა, მაგრამ ამჯერად მის გაწევას არ ვცდილობდი, ის ყველგან იყო და მის გარდა ვერაფერს ვხედავდი, ჩემი გონების პატარა ნაწილი მეკითხებოდა თუ რატომ არ ვაჩერებდი? ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ არ მინდოდა გაჩერებულიყო, ეს რას ნიშნავდა?

ჯეიკობი მართალი იყო, ის ყოველთვის მეტი იყო ვიდრე უბრალოდ მეგობარი, ზუსტად ამიტომ ვერ ვემშვიდებებოდი, მე ის მიყვარდა, იმაზე მეტად ვიდრე შეიძლებოდა, მაგრამ მაინც არასაკმარისად, არა იმდენად, რომ რამე შემეცვალა, ეს უბრალოდ კიდევ უფრო აღრმავებდა ჩვენს ტკივილს.

არაფერზე აღარ ვნერვიულობდი მისი ტკივილის გარდა, იმიტომ რომ მე ჩემი დავიმსახურე, იმედი მქონდა, რომ მეტადაც დავისჯებოდი, ზუსტად ამის ღირსი ვიყავი.

ეხლა ჩვენ ერთი მთლიანობა ვიყავით, მისი ტკივილი სამუდამოდ ჩემი ტკივილი იქნებოდა, ისევე, როგორც სიხარული.
რაღაც პატარა მომენტში თვალწინ წარმომიდგა სულ სხვა ცხოვრება, თითქოს ჯეიკობის თვალებით ვიყურებოდი, ვხედავდი იმას რასაც დავკარგავდი, მაგრამ ეს ხედვა არ დამეხმარებოდა, ჩარლის და რენეს ვხედავდი, რომლებიც ლაპუშზე იყვნენ ბილისთან და სემთან ერთად, ვხედავდი როგორ გადიოდა წლები და ვბერდებოდი, დიდ ყავისფერ მგელს ვხედავდი, ჩემს მეუღლეს, რომელიც ყოველთვის მზად იყო ჩემს დასაცავად და ბოლო მონაკვეთში ორი პატარა შავთმიანი ბავშვი დავინახე, ისინი ტყეში გაქრნენ და ჩემი ხილვაც დამთავრდა.

ვგრძნობდი, როგორ მეფლითებოდა გული, თითქოს ერთი ნაწილი მოწყდა დანარჩენს.
ჩვენი ტუჩები ისევ ერთად იყო, თვალები გავახილე, ჯეიკობი მიყურებდა ბედნიერად და გაკვირვებულად.

– უნდა წავიდე,- მითხრა მან.
– არა.
მან გაიღიმა, კმაყოფილი იყო ჩემი პასუხით.

– დიდი ხნით არ წავალ, მაგრამ ჯერ რაღაცას გავაკეთებ.

და ის ისევ ჩემს საკოცნელად დაიხარა, არანაირი მიზეზი არ მქონდა რომ შევწინააღმდეგებოდი, ან რა აზრი ჰქონდა?

ამჯერად ყველაფერი სხვანაირად იყო, მის ხელებს რბილად ეჭირა ჩემი სახე, კოცნა კი ნაზი და ტკბილი იყო.
მან ძლიერად შემომხვია ხელები და ყურში ჩამჩურჩულა:
– ასეთი უნდა ყოფილიყო ჩვენი პირველი კოცნა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

სახე მის მკერდში დავმალე, რომ ჩემი ცრემლები არ დაენახა.

თავი 24

უცაბედი გადაწყვეტილება

ცხვირი მქონდა ჩარგული საძილე ტომარაში და დამსახურებულ განაჩენს ველოდებოდი, ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ზვავის ქვეშ მოვყვებოდი, აღარასდროს შევხედავდი საკუთარ თავს სარკეში.

ედვარდი ძალიან ჩუმად გაჩნდა, თითქოს არსაიდან და ცივი ხელი გადამისვა აჩეჩილ თმაზე, მისი შეხებისგან დამნაშავედ ავკანკალდი.

– კარგად ხარ? – მკითხა მან ანერვიულებული ხმით.

– ცუდად ვარ, სიკვდილი მინდა.

– ეს არ მოხდება, ამას მე არ დავუშვებ.

– შენ შეიძლება გადაიფიქრო.

– ჯეიკობი სად არის?

– საბრძოლველად წავიდა.

ჯეიკობმა სიხარულით დატოვა პატარა ბანაკი,- მალე დავბრუნდები,- თქვა მან წასვლისას და ბრძოლის ველზე გაიქცა, ეხლა უკვე მთელმა ხროვამ იცოდა, ჩვენი ამბავი, სეთ კლირვოტერი, რომელიც ეხლა კარვის უკან დადიოდა, ჩემი უსირცხვილობის მოწმე იყო.

ედვარდი წამით გაჩუმდა.
– ო... – ბოლოს და ბოლოს ამოთქვა მან.
მისი ხმის ტონმა, მაიძულა მენანა, რომ მართლა არ მოვყევი ზვავის ქვეშ, მე მას ვუყურებდი, ის კი სადღაც შორს იყურებოდა და იმას უსმენდა, რასაც მე ალბათ მოვკვდებოდი და მაინც ვერ ვეტყოდი, ისევ ტომარაში ჩავრგე თავი.

გამიკვირდა როცა ედვარდმა თავშეკავებულად ჩაიფხუკუნა.

– მე კიდევ მეგონა, რომ მე ვიბრძოდი წესების გარეშე, - თქვა მან თითქმის შურით, - მასთან შედარებით ნადვილი ანგელოზი ვყოფილვარ.
ის დაიხარა და ლოყაზე მომეფერა.
– მე არ ვბრაზდები შენზე, ჩემო საყვარელო, ჯეიკობი იმაზე ჭკვიანი ყოფილა ვიდრე მეგონა, მაგრამ ალბათ აჯობებდა, რომ არ გეთხოვა..

– ედვარდ.. – ჩევიჩურჩულე მე, მაგრამ ვერ ავწიე თავი, - მე.. მე..

– ჩუმად, ჩუმად, ამის თქმა არ მინდოდა, უბრალოდ ის მაინც გაკოცებდა, მის ხაფანგშიც, რომ არ გაბმულიყავი, ეხლა უბრალოდ მიზეზი არ ამქვს, რომ სახე დავულეწო, იმიტომ, რომ ეს თვითონ სთხოვე, არა და ამით დიდ სიამოვნებას მივიღებდი.

– ხაფანგში გავები? – ჩავიბურტყუნე მე, ვერ ხვდებოდი მის სიტყვებს.

– ბელა, ნუთუ მართლა იფიქრე, რომ ასეთი კეთილშობილია? რომ დიდების კოცონზე დაიწვავს თავს, რომ ადგილი გამინთავისუფლოს?

ნელა ავწიე თავი, რომ მის მომთმენ მზერას შევხვედროდი, გამომეტყველება ძალიან რბილი ჰქონდა.
– ხო, მე მართლაც ასე ვიფიქრე,- ჩუმად ვთქვი მე და ისევ ავარიდე თვალი, მაგრამ მე არავითარ ზიზღს არ ვგრძნობდი ჯეიკობის მიმართ, ჩემს სხეულს არაფრის დატევა არ შეეძლო შიგნით, საკუთარი თავის სიძულვილის გარდა.

ედვადმა ისევ რბილად გაიცინა.
– შენ იმდენად ცუდი მატყუარა ხარ, რომ მზად ხარ ყველას დაუჯერო ვინც ოდნავ შენზე კარგად იტყუება.

– რატომ არ მიბრაზდები? – ვჩურჩულებდი მე, - რატომ არ გეზიზღები? თუ ჯერ ყველაფერი არ მოგისმენია?

– მემგონი საკმაოდ ვრცელი წარმოდგენა მაქვს,- მშვიდად შენიშნა მან, ჯეიკობის ფიქრები ძალიან ნათელი და ფერადია, მე ისიც მეცოდება და მისი ხროვაც, საწყალი სეთი კინაღამ ცუდად გახდა, მაგრამ სემი მალე მოიყვანს ჯეიკობს ჭკუაზე.
თვალები დავხუჭე, ტკივილი უკვე აუტანელი ხდებოდა.
ის თმებზე მეფერებოდა და ჩურჩულებდა:
– შენ უბრალოდ ადამიანი ხარ.

– ეს ყველაზე საცოდავი გამართლებაა, რომელიც როდესმე მომისმენია.

– მაგრამ შენ ადამიანი ხარ ბელა და როგორც არ უნდა მინდოდეს ამის აღიარება, ისიც ადამიანია, შენს ცხორებაში არის ისეთი სიცარიელეები, რომელსაც მე ვერ ამოვავსებ, და ეს მესმის.
– ეს არ არის ასე და ამის გამო საშინლად ვგრძნობ თავს, არავითარი სიცარიელე არ არის ჩემს ცხოვრებაში.

– შენ ის გიყვარს,- ჩუმად წარმოთქვა მან.

თვითოეული უჯრედი მტკიოდა ამის უარყოფისას.
– მაგრამ შენ უფრო მეტად მიყვარხარ, - ამის გარდა არაფრის თქმა არ შემეძლო.

– ვიცი, ბელა, მაგრამ, როცა მე მიგატოვე, შენ განადგურებული იყავი, ჯეიკობმა სიცოცხლისკენ შემოგაბრუნა, ეს თქვენი კავშირია, რომელმაც ორივეზე დატოვა კვალი, ვერცერთს ვერ დაგადანაშაულებთ ამაში, იმიტომ რომ ეს მარტო ჩემი ბრალია, შეიძლება მაპატიო კიდეც, მაგრამ ამით შედეგი არ შეიცვლება.

– უნდა მცოდნოდა, რომ იპოვიდი საშუალებას და ყველაფერში საკუთარ თავს დაადანაშაულებდი, გთხოვ, გაჩერდი, ამას ვერ ავიტან..

– და რა გინდა, რომ ვთქვა?

– მინდა, რომ ყველა იმ ცუდი სიტყვით გამომლანძღო, რომელიც იცი, აბსოლუტურად ყველა ენაზე, რომელსაც ფლობ, მინდა მითხრა, რომ გძულვარ და

რომ მიდიხარ ჩემგან, და მე მუხლებზე ვიხოხებ შენს წინ და შეგევედრები, რომ დარჩე.

– მაპატიე,- ამოიოხრა მან, – ამას ვერ გავაკეთებ.

– ყოველშემთხვევაში ნუ მაწყნარებ მაინც, მომეცი საშუალება, რომ დავიტანჯო, ეს დავიმსახურე.

– არა.

– მართალი ხარ, ესე გააგრძელე, იყავი ასეთი მომთმენი, ეს კიდევ უარესია.

ცოტახანს ის ჩუმად იყო და ახალი დაძაბულობა ვიგრძენი ჰაერში.

– მალე დაიწყება? – ვიკითხე მე.
– კი, რამოდენიმე წუთში, ზუსტად მეყოფა დრო, რომ რაღაც გითხრა.
მე ველოდებოდი, მათ ჩურჩულით დაიწო ლაპარაკი.

– ბელა, მე არ გაიძულებ ჩვენ ორს შორის არჩევანის გაკეთებას, უბრალოდ ბედნიერი იყავი და მე მთლიანად შენი ვიქნები, ან არ ვიქნები თუ ესე იქნება უკეთესი, როცა გადაწყვეტილებას მიიღებ, არ იფიქრო ვალდებულებებზე.

წამოვიწიე და მუხლებზე დავდექი.

– ჯანდაბა! გეყოფა! – ვუყვირე მე.

გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა.
– არა, ბელა, შენ ვერ ვხვდები, მე სულაც არ ვცდილობ, რომ ხასიათი გამოგიკეთო, მართლა ასე ვფიქრობ.

– ვიცი,- ავწუწუნდი მე,- და სამაგიეროს გადახდის სურვილი სად წავიდა? ნუ იქნები ასეთი კეთილშობილი, იბრძოლე!

– როგორ? – მკითხა მან და სევდისგან თვალები, თითქოს დაუბერდა.

მუხლებზე ავაცოცდი და ხელები შემოვხვიე.

– სულ არ მაინტერესებს, რომ აქ ცივა, არ აქვს მნიშვნელობა, რომ ძაღლის სუნი მაქვს, მაიძულე, რომ ჩემი საშინელი საქციელი დავივიწყო, ჯეიკობი დავივიწყო, ჩემი საკუთარი სახელიც დამავიწყე!
არ დაველოდე სანამ გადაწყვეტდა, ან პირიქით მომიშორებდა, მთელი ძალით მივეკარი და ვაკოცე.
– ფრთხილად საყვარელო..
– არა, - ვიღრიალე მე.
მან ნაზად, რამოდენიმე სანტიმეტრით გასწია ჩემი სახე.
– არ არის საჭირო არაფრის დამტკიცება.

– არაფრის დამტკიცებას არ ვცდილობ, შენ მითხარი, რომ მთლიანად ჩემი იქნები და მე მინდიხარ, - ისევ ვცადე მის ტუჩებს მივწვდომოდი, მან თავი დახარა, რომ ჩემთვის ეკოცნა, მაგრამ მისი ქმედება სულ უფრო შეკავებული გახდა, მაშინ როცა

ჩემი მოუთმენლობა იზრდებოდა, ჩემი სხეული გამოხატავდა იმას, რის გაკეთებასაც ვაპირებდი და რა თქმა უნდა გარდაუვალი მოხდა და მან ისევ გამწია.

– მემგონი ეხლა ამისთვის არ არის საუკეთესო მომენტი,- შენიშნა მან ძალიან მშვიდად.
– რატომ არა? – ავჭიჭყინდი მე.
– პირველ რიგში იმიტომ, რომ ცივა,- მან საძილე ტომარა აიღო და შიგნით შემახვია.

– სისულელეა, პირველ რიგში ის არის, რომ შენ ძალიან მაღალი მორალი გაქვს ვამპირისთვის.
მას გაეცინა.
– კარგი, გეთანხმები, სიცივე მეორე რიგშია და მესამე ის არის, რომ მაპატიე და მართლა ძალიან მიყვარხარ.
მან ცხვირი აიბზუა და მე ამოვიოხრე

– ჩვენ ამას ვცდით ბელა, კარგად მახსოვს რასაც დაგპირდი, მაგრამ არ მინდა, რომ ეს ჯეიკობ ბლექის საქციელის საპასუხოდ მოხდეს..
– კიდევ? ..
– კიდევ ის, რომ ალბათ ჯერ ბრძოლის შედეგები უნდა გავიგოთ.

ეს თქვა თუ არა სეთმა ყმუილი დაიწყო.
ამ ხმისგან ერთიანად დავიძაბე და მუშტები შევკარი, ედვარდმა ფრთხილად გამიხსნა ხელები.
– ყველაფერი კარგად იქნება ბელა, ჩვენს მხარეს გამოცდილება და მომზადებაა, ყველაფერი მალე დამთავრდება, ამის რომ არ მჯეროდეს, ეხლა მეც იქ ვიქნებოდი და შენ აქ დაგაბავდი ხეზე.

– ელისი ხომ ასეთი პატარაა,- ავწუწუნდი მე.
– ხო, ეს პრობლემაა, თუ რა თქმა უნდა ვინმე მოახერხებს მის დაჭერას.
სეთი აწკმუტუნდა.
– რა მოხდა,- ვიკითხე მე.

– ის ბრაზობს, რომ აქ გაიჭედა ჩვენთან ერთად, მან იცის, რომ ხროვას მისი დაცვა უნდა, თვითონ კი საშინლად უნდა ბრძოლა.
გაბრაზებულმა გავიხედე იქით, სადაც სეთი უნდა ყოფილიყო.

– ახალშობილები კვალს დაადგნენ,- გააგრძელა ედვარდმა,-ჯასპერი გენიოსია, მათ სხვების სუნი იგრძნეს და ორ ჯგუფად იყოფიან, როგორც ელისმა თქვა, - თქვა მან და მოსმენა გააგრძელა.
– სემს სხვა მხრიდან მივყავართ, რომ მეორე ჯგუფს დაესხას თავს, - უცებ მან მე შემომხედა.
– ბელა, სუნთქვა არ დაგავიწყდეს.

ვცდილობდი ის გამეკეთებინა რაც მითხრა, სეთის მძიმე სუნთქვა მესმოდა კარვის იქით და მასთან ერთად ვსუნთქავდი.

– პირველი ჯგუფი უკვე ველზეა, ჩვენ გვესმის ბრძოლა.

კბილები დავაჭირე ერთმანეთს.

ედვარდს გაეცინა.
– ემეთის ხმა ისმის, ის ერთობა, მეორე ჯგუფი ემზადება, ჯერ არ გვაქცევენ ყურადღებას.

ედვარდმა ღმუილი დაიწყო.

– რა? – ამოვთქვი მე.

– ისინი შენზე ლაპარაკობენ, უნდათ დარწმუნდნენ, რომ არ გაიქცევი... ჰმ, კარგი სხვლაა ლეა! ის საკმაოდ სწრაფია, ერთ-ერთმა ახალშობილმა ჩვენი სუნი იგრძნო და ლეამ იქამდე მოკლა, სანამ შემობრუნება მოასწრო, სემი ეხმარება, პოლმა და ჯეიკობმა კიდევ ერთი მოკლეს, დანარჩენები ჯერ არ ჩქარობენ, არ იციან რას უნდა ელოდონ ჩვენგან, ... არა მიეცი საშუალება სემს ბრძოლა წაიყვანოს, გვერზე დარჩი,- ბურტყუნებდა ედვარდი,- დაყავით ისინი და არ მისცეთ საშუალება, რომ ერთმანეთი დაიცვან...

სეთმა ისევ დაიწყო წკმუტუნი.

– ასე ჯობია, გააგრძელა ედვარდმა,- გაიყვანეთ ისინი ველზე,- მისის სხეული დაუფიქრებლად მოძრაობდა, სანამ ის გონებრივად ადევნებდა თვალს ბრძოლას, იმ მოძრაობებს აკეთებდა, რომელსაც ალბათ იქ გააკეთებდა, ჯერ კიდევ მაგრად ეჭირა ჩემი ხელები, მეც მთელი ძალით ვეჭიდებოდი, მიხაროდა, რომ იქ არ იყო.

ერთადერთი გაფრთხილება აბსოლუტური სიჩუმე იყო.
სეთის ღრმა სუნთქვა შეჩერდა და მეც ვეღარ ვსუნთქავდი, ედვარდი ყინულს დაემსგავსა.

“ ოჰ, არა, არა “ გამიელვა თავში.
ვინ მოკვდა? საკუთარი თუ უცხო? ვინ დავკარგე?

ვერც კი შევძელი დანახვა ისე სწრაფად მე უკვე ფეხზე ვიყავი და კარავი შუაზე იყო გადახსნილი, ნუთუ ის ედვადმა გახია, რომ გარეთ გასულიყო? რატომ?

შუქი თვალებს მჭრიდა და ნერვიულად ვახამხამებდი თვალებს, მარტო სეთს ვხედავდი, ის ჩვენს გვერდით იდგა, მისი თავი თხუთმეტ სანტიმეტრში იყო ედვარდისგან, ერთი წამის განმავლობაში, რომელიც საუკუნედ მომეჩვენა, ისინი ერთმანეთს უყურებდნენ თვალებში, შემდეგ ედვარდმა ჩაიჩურჩულა: – გაიქეცი სეთ!

უზარმაზარი მგელი ადგილზე დატრიალდა და ტყეში გაუჩინარდა.

მთელი ორი წამის განმავლობაში, რომელიც ისევ საათებად მეჩვენა, ადგილზე ვიდექი გაყინული, ვიცოდი, რომ რაღაც ცუდი მოხდა, პირი გავაღე, რომ მეთქვა ედვარდისთვის ეხლავე წავეყვანე ველზე, სიკვდილი, რომ ყოფილიყო საჭირო მათი გადარჩენისთვის, მოვკვდებოდი კიდეც, მე ისე მოვიქცეოდი, როგორც მესამე ცოლი მოიქცა, ვერცხლის ხმალი არ მქონდა, მაგრამ ვიპოვიდი გამოსავალს..

სანამ ამის თქმას მოვასწრებდი, ვიგრძენი, რომ ჰაერში ვიყავი, ედვარდის ხელები არ მიშვებდა, მან უბრალოდ ისე სწრაფად გადამიყავა სხვა ადგილზე, რომ მეგონა მივფრინავდი.
ჩემი ზურგი კლდეზე იყო მიბჯენილი და ედვარდი ჩემს წინ იდგა, ამ პოზას უკვე ვცნობდი.
მივხვდი რაც მოხდა და დავმშვიდდი, არაფერი ცუდი არ მომხდარა ველზე, ყველაზე ცუდი ეხლა ჩვენ გველოდებოდა, აქ.

ედვარდი წინ იყო დახრილი და ხელები ჰქონდა გაშლილი, ზუსტად ვიცოდი ეს რასაც ნიშნავდა, რაღაცამ მოაღწია ჩვენამდე.

– ვინ?- ჩავიჩურჩულე მე.

მან იმაზე ხმამაღლა წარმოთქვა სიტყვები, ვიდრე ველოდი, ეს იმას ნიშნავდა, რომ დამალვას აზრი არ ჰონდა, ჩვენ ხაფანგში ვიყავით და არ ჰქონდა მნიშვნელობა ვინ გაიგებდა ამას.
– ვიქტორია,- თქვა მან და ეს სახელი ლანძღვასავით ჟღერდა,- და ის მარტო არ არის, მან ჩემი სუნი იგრძნო, როცა ახალშობილებს მიჰყვებოდა, მას არც უფიქრია მათთან ერთად ბრძოლა, ჩემი მოძებნა გადაწყვიტა, იმიტომ, რომ იცის სადაც მე ვიქნები, იქ იქნები შენც, მართალი იყავი ამ დროის განმავლობაში, ეს მართლაც ვიქტორია ყოფილა.
ის იმდენად ახლოს იყო, რომ ედვარდს შეეძლო მისი აზრების მოსმენა.
ესეც მამშვიდებდა, ესენი, რომ ვოლტურები ყოფილიყვნენ, მაშინ ორივეს მოგვკლავდნენ, მაგრამ ვიქტორიას შემთხვევვაში ჩემი სიკვდილიც საკმარისი იყო და ედვარდი გადარჩებოდა, ის ისეთივე კარგი მებრძოლი იყო, როგორც ჯასპერი და თუ ვიქტორიამ ძალიან ბევრი დამხმარე არ მოიყვანა, ედვარდი თავისებთან დაბრუნებას შეძლებდა, ის ყველაზე სწრაფი იყო და ამას გააკეთებდა.
ბედნიერი ვიყავი, რომ სეთი გაუშვა, სეთი ვერავის მოყვანას ვერ შეძლებდა საშველად, ვიქტორიამ უბრალოდ იდეალურად შეარჩია დრო მოქმედებისთვის.
ედვარდის ტანი ოდნავ შეტრიალდა და მივხვდი საიდან უნდა დავლოდებოდი საფრთხეს, ტყეში ვიყურებოდი, ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ჩემს კოშმარებში.

ორი ვამპირი ნელ-ნელა მოუახლოვდა იმ ადგილს სადაც კარავი იყო და იქაურობის დათვალიერება დაიწყეს დაძაბული და დაკვირვებული თვალებით.

ვცდილობდი პატარა ქერა ბიჭი შემეთვალიერებინა, ის მართლაც პატარა იყო, ალბათ ჩემი ასაკის როცა შეცვალეს, მისი თვალები მუქი წითელი იყო, აქამდე ასეთი თვალები არ მინახავს, იმის მიუხედვად, რომ ის უფრო ახლოს იყო ედვარდთან მას ვერ ვუყურებდი, იმიტომ, რომ რამოდენიმე მეტრის მოშორებით ვიქტორია იდგა.
მისი წითურ თმები იმაზე მეტად ანათებდა, ვიდრე მახსოვდა, თვალები შავი ჰქონდა წყურვილისგან და ტუჩები ჰქონდა დამოკუმული.
ის კატას ჰგავდა, რომელიც კარგ მომენტს ეძებდა გადმოსახტომად, მისი აფორიაქებული მზერა აქეთ-იქით დარბოდა ჩემსა და ედვარდს შორის, ბოლოს ჩემზე გაჩერდა და მეც არ ვწყვიტავდი თვალს.
თითქმის მესმოდა მისი აზრები, უკვე ვხვდებოდი რასაც ფიქრობდა, ის უკვე ახლოს იყო საწადელთან, იმასთან რასაც წელიწადზე მეტხანს ელოდა.

მას ჩემი სიკვდილი უნდოდა.
ვიქტორიას გეგმა გასაგები იყო, დაკუნთული ქერა ბიჭი ედვარდს უნდა დასხმოდა თავს და როცა ის მე ვერ დამიცავდა, ვიქტორია მომკლავდა.
ეს სწრაფად მოხდებოდა, იმიტომ რომ ვიქტორიას თამაშის დრო არ ჰქონდა, აუცილებლად ამომგლეჯდა გულს, ან სხვა რამეს მოიფიქრებდა და ამის მერე ვამპირის შხამიც ვერ გადამარჩენდა.
გული საშინლად და მტკივნეულად მიცემდა.

სადღაც, ჩვენგან შორს მგლის ყმუილი ექოსავით გაისმა ჰაერში, მაგრამ მას ვერავინ თარგმნიდა, იმიტომ რომ სეთიც აღარ იყო აქ.

ქერა ბიჭმა თვალის წვერით შეხედა ვიქტორიას და ბრძანებას ელოდებოდა.
ეტყობოდა, რომ სულ ახალი შეცვლილი იყო და არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, ძლიერი იყო, მაგრამ ედვარდს ვერ დაამარცხებდა.

ვიქტორიამ თვალებით მიანიშნა ედვარდზე.

– რაილი,- რბილად მიმართა ედვარდმა.
ქერა ვამპირი გაშეშდა და თვალები გაუფართოვდა.

– ის შენ გატყუებს,- გააგრძელა ედვარდმა,- მომისმინე, ის შენ ისევე გატყუებდა, როგორც იმათ, ვინც ეხლა ქვევით კვდება და შენ ეს იცოდი, თქვენ ხომ არ აპირებდით მათ დახმარებას, ნუთუ ასეთი ძნელია დაიჯერო, რომ შენც გატყუებს? რაილი დაბნეულად გამოიყურებოდა.

ედვარდმა რამოდენიმე სანტიმეტრით გადაინაცვლა წინ.

– რაილი, მას არ უყვარხარ,- არწმუნებდა ედვარდი თავისი ჰავერდოვანი ხმით,- და არასდროს ჰყვარებიხარ, მას ჯეიმსი უყვარდა, შენ მისთვის მხოლოდ იარაღი ხარ.

როგორც კი ჯეიმსის სახელი ახსენა ვიქტორიამ კბილები გამოაჩინა და ისევ დამაშტერდა, რაილიმ გაკვირვებულმა შეხედა.

– რაილი? – ისევ მოახედა ედვარდმა,- მან იცის, რომ მოგკლავ და მას ზუსტად ეს უნდა, მაშინ აღარ მოუწევს თავის მოკატუნება, ამას შენ ხედავ, ხომ ამოიკითხე გულგრილობა მის თვალებში? მართალი ხარ, მას არასდროს სდომებიხარ, ყოველი კოცნა და შეხება ტყუილი იყო.

ედვარდი კიდევ ცოტათი გაიწია და ვიქტორიას მზერა ჩვენს შორის დარჩენილ სივრცეზე იყო მიჯაჭვული, ჩემს მოკვლას წამი დასჭირდებოდა, მაგრამ ამისთვის ჩემამდე უნდა მოეღწია.

– არ არის აუცილებელი, რომ მოკვდე,- აგრძელებდა ედვარდი რაილის დარწმუნებას,- ცხოვრების სხვა გზებიც არსებობს, იმის გარდა რაც მან დაგანახა, შეგიძლია უბრალოდ წახვიდე, რაილი, მისი ტყვილების გამო არ უნდა მოკვდე.

ედვარდი წინ მიდიოდა და ჩვენს შორის მანძილი უკვე მეტრს აღწევდა, რაილი ისევ ფიქრობდა, ვიქტორიას კი მუშტები ჰქონდა შეკრული.

– ბოლო შანსი, რაილი,- ჩურჩულით თქვა ედვარდმა.

რაილი სასოწარკვეთილი იყო და ვიქტორიას პასუხს ელოდებოდა.

– რაილი, ის მატყუარაა,- თქვა ვიქტორიამ, მისი ხმის გაგონებისას თითქოს დენმა დამიარა, - მე ხომ მიგიყევი მათ შესაძლებლობებზე აზრების მოსმენასთან დაკავშირებით, შენ იცი, რომ მიყვარხარ.
მისი ხმა არ იყო ძლიერი და ველური, მაგრამ მართლა ჰგავდა კატის კნავილს, ეს რბილი მაღალი სოპრანო იყო და ეს ხმა სულ არ უხდებოდა მის ქმედებებს.

რაილის კუნთები დაეჭიმა და თვალები დაუცარიელდა, არაფერში აღარ ეპარებოდა ეჭვი, ის მოემზადა, რომ თავს დაგვსხმოდა.
ვიქტორია ვეღარ ისვენებდა მოუთმენლობისგან, ერთი სული ჰქონდა როდის გაიწეოდა ედვარდი კიდევ ერთი მეტრით მაინც.

უეცრად საშინელი ყმუილი გაისმა, გიგანტური ყავისფერი ფიგურა ცენტრში გაჩნდა და რაილი მიწაზე დააგდო.
– არა,- იყვირა ვიქტორიამ, მის ბავშვურ ხმაში საშინელი იმედგაცრუება ისმოდა. ზუსტად ორი მეტრის მოშორებით უზარმაზარი მგელი ქერა ვამპირს გლეჯდა და ანაწევრებდა, ვიქტორიას არც კი შეუხედია ბიჭისთვის, რომელსაც რამოდენიმე წუთის წინ სიყვარულს ეფიცებოდა, ის ისევ მე მიყურებდა, უბრალოდ გაცოფებული იყო.

– არა,- თქვა მან ისე კბილებს შორის, როცა ედვარდი მისკენ გაემართა.

რაილი ისევ ფეხზე იდგა, ის ნახევრად დასახიჩრებული იყო, მაგრამ მაინც მოახერხა სეთისთვის დაერტყა, გავიგონე როგორ დაიტკაცუნა ძვალმა, სეთი გვერდზე გადგა და კოჭლობა დაიწყო, რაილიმ ხელები წინ გამოწია, რომ ებრძოლა, თუმცა ერთი ხელი უკვე აღარ ჰქონდა.

მათგან რამოდენიმე მეტრში ედვარდი და ვიქტორია დაფრინავდნენ ჰაერში, ეს ცეკვას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრძოლას. ისინი ტრიალებდნენ, იმიტომ, რომ ედვარდი არ აძლევდა საშუალებას ჩემამდე მოსულიყო, ის წინ და უკან მოძრაობდა და ჩემამდე მოსაღწევ გზას ეძებდა, ედვარდი კი რა თქმა უნდა წინასწარ კითხულობდა მის აზრებს და წამით ადრე ასწრებდა მოძრაობას.
სეთი გვერდიდან ეცა რაილის და რაღაც მძიმე თეთრი ნაჭერი გაფრინდა ტყეში, რაილი გაჰკოდა სიმწრისგან, სეთმა ერთი ნაბიჯით დაიხია და ამ დროს რაილიმ იმ ხელით დაარტყა, რომლიდანაც ჯერ კიდევ დარჩენილი იყო რაღაც.

ვიქტორია უშედეგოდ დარბოდა ხეებს შორის, ნაწამებს ჰგავდა, მაგრამ მისი თვალები ისევ ჩემთან იყო მიჯაჭვული, როგორც მაგნიტთან. ეს ედვარდმაც შეამჩნია.

– არ წახვიდე ვიქტორია, - თქვა მან ჰავერდოვანი, მაჰიპნოზებელი ტონით,- ასეთი შანსი აღარ გექნება.

ვიქტორიამ კბილები გამოაჩინა და დაიჩხავლა, მაგრამ ვერ დაიძრა ადგილიდან.

– ყოველთვის შეგიძლია მოგვიანებით გაიქცე, - ღიღინებდა ედვარდი,- შენ ბევრი დრო გექნება, ეს ხომ ის არის რაც გეხერხება? იმიტომ ჰყავდი ჯეიმს ახლოს, გიყენებდა, როცა თამაშის ხასიათზე იყო.

ვიქტორია საშინელ ხმებს გამოსცემდა.

– აი, რა იყავი მისთვის,- აგრძელებდა ედვარდი, - სისულელეა სამაგიეროს გადახდა იმისთვის, ვისაც მარტო ნადირობის დროს სჭირდებოდი, შენ მისთვის ამაზე მეტი არასდროს ყოფილხარ, ეს მეცოდინებოდა.
ედვარდმა გაიღიმა და შუბლზე მიიკაკუნა.

გამჭოლი კივილით ვიქტორია ისევ გამოძვრა ხეებიდან, ედვარდი იქვე დახვდა და ცეკვა ისევ დაიწყო.

ზუსტად ამ მომენტში რაილის მუშტი გვერდიდან მოხვდა სეთს, რისგანაც მან დაგუდულად ამოიხვნეშა.

“გემუდარები,- მინდოდა მეთქვა რაილისთვის, მაგრამ პირი ვერ გავაღე,- გემუდარები, ის ხომ ჯერ ბავშვია”

მაგრამ სეთი რატომ არ გაიქცა? ან ეხლა რატომ არ გარბოდა?

რაილი მას უახლოვდებოდა და სეთი უკან იხევდა, იქ სადაც მე ვიდექი, ვიქტორიასთვის უცებ საინტერესო გახდა თავისი პარტნიორის ბედი, ის ჩემსა და რაილის შორის მანძილს ზომავდა, სეთმა ხმამაღლა დაიყმუვლა და რაილიმ უკან დაიწყო დახევა, ვიქტორია ასისინდა.

სეთი აღარ კოჭლობდა, მისმა ტრიალმა ედვარდთან მიიყვანა და მან კუდი დაატყაპუნა მის ზურგზე, ვიქტორიას ყბა ჩამოუვარდა გაკვირვებისგან.

– შეხედე კარგად, ვიქტორია,- უთხრა ედვარდმა და მის გონებაში დასმულ შეკითხვას გასცა პასუხი, - შენ გვაიძულე ჩვენს მტრებთან გავერთიანებულიყავით. ვიქტორია შეეცადა მარტო ედვარდზე გადაეტანა ყურადღება.

– შეხედე,- აგრძელებდა ედვარდი,- ის ხომ მართლა ჰგავს იმ ურჩხულს, რომელსაც ჯეიმსი ეძებდა ციმბირში?

თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა და სეთს გახედა.
– ის ისეთივეა! – იწიკვინა მან,- შეუძლებელია!

– შეუძლებელი არაფერია,- დაამატა ედვარდმა თავისი ჰავერდოვანი ხმით და მიუახლოვდა, - ერთის გარდა, ბელას ვერასდროს მიეკარები.

ვიქტორიამ თავი გაიქნია, რომ ყურადღება მოეკრიბა და ისევ ცდილობდა გვერდი აევლო ედვარდისთვის, მაგრამ რა თქმა უნდა ის ისევ წინ ხვდებოდა, ის შეშლილს ჰგავდა.

ვიქტორიას გამოცდილება ჰქონდა, ის არ იქცეოდა ისე, როგორც ახალშობილები და საკმაოდ საშიში იყო, სეთი მას რომ შებრძოლებოდა, ნამდვილად ვიცოდი, რომ დიდხანს ვერ გაუძლებდა.

ედვარდი და ვიქტორია კი ლომებს ჰგავდნენ, ცეკვა კიდევ უფრო სწრაფი გახდა, საშინელი ტკაცუნი ისმოდა, მაშინ თუ რომელიმეს რამე შეეშლებოდა, იმდენად სწრაფად მოძრაობდნენ, რომ ვერაფერს ვარჩევდი.

რაილი გაოგნებული უყურებდა მათ ბზრიალს და ეტყობოდა, რომ განიცდიდა თავისი პარტნიორის ამბავს, სეთმა კიდევ დაარტყა და ისევ რაღაც მოწყვიტა, რაილიმ დაიღრილა და ძლიერი დარტყმით გადაისროლა ვაერვულფი.

მისი უხარმაზარი სხეული სამ მეტრზე აფრინდა და ჩემს გვერდით შეეჯახა კლდეს, ისეთი ძალით, რომ მეგონა კლდე აზანზარდა, ის ჩამოვარდა და ჩემგან ერთ მეტრში დაეცა.
სეთმა ჩუმად დაიწყო წკმუტუნი.

პატარა ქვები ცვიოდა და კანს მიკაწრავდა, წვეტიანი ქვის ნატეხი მხარზე დამეცა და დავიჭირე, ძლიერად მოვიქციე ხელში, ვიცოდი, რომ აქედან ვერ გავიქცეოდი და შეიძლება ამას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ საბრძოლველად მოვემზადე.

ვგრძნობდი ადრენალინით როგორ მევსებოდა ვენები, მოტეხილი ხელი აღარ მაწუხებდა, საერთოდ ვერაფერს ვეღარ ვგრძნობდი.

რაილის უკან მარტო ვიქტორიას თმებს ვხედავდი, ისევ მესმოდა მტვრევის და ტკაცუნის ხმა, საშინელი ღმუილი ისმოდა, ცხადი იყო, რომ რომელიღაცისთვის ეს ცეკვა სიკვდილით მთავრდებოდა.
რაილი ჩემსკენ წამოვიდა, მისი წითელი თვალები ბოღმით ანათებდა, ის გამწარებული უყურებდა ჩემს წინ კოჭლობით მოძრავ მგელს, უკვე ყელის გაგლეჯვას უპირებდა, პირი გააღო და კბილებმა გაანათა.

შემდეგი ადრენალინის ტალღა დენის დარტყმასავით იყო, უცებ ყველაფერი გასაგები გახდა.

სეთს თითქმის წაგებული ჰქონდა თავისი ბრძოლა და მე არ ვიცოდი ედვარდი რა მდგომარეობაში იყო, მათ ორივეს სჭირდებოდათ დახმარება, მათ მტრებს რამეზე უნდა გადაეტანათ ყურადღება და ამ დროს შეძლებდნენ მათ მოკვლას.
ვიყავი მე საშიში? მამაცი თუ ვიყავი? მეყოფოდა თუ არა ძალა, რომ ამ ქვის ნატეხით დამეჭრა თავი? მისცემდა თუ არა ეს სეთს იმის დროს, რომ ფეხზე დამდგარიყო?

მოვიფიქრე, როგორ გამომეყენებინა ნატეხი, სქელი სვიტრი ავიწიე ხელზე და ნატეხი მაჯასთან მივიტანე, სადაც ნაიარევი მქონდა, მოვემზადე და დიდი სუნთქვა ავიღე.

ჩემმა სუნთქვამ დააბნია ვიქტორია, სულ რაღაც ერთი წამით ის გაშეშდა და შემომხედა, სიმწარე და ცნობისმოყვარეობა ერთნაირად იკითხებოდა მის თვალებში.
არ მეგონა, რომ მთელს ამ ხმაურში შევძლებდი რამის გაგონებას, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად გავიგონე ვიქტორიას მძიმე და გაბრაზებული სუნთქვა.
ზუსტად ამ მომენტში ცეკვა შეწყდა, ეს იმდენად სწრაფად მოხდა, რომ ვერც კი შევამჩნიე, გონებაში ვცდილობდი აღმედგინა მომხდარი.

ვიქტორია კივილით გაფრინდა და მაღალ ნაძვს მიეჯახა, შემდეგ მიწაზე დავარდა და წამოხტა, ამ მომეტში ედვარდმა რაილიც დაიჭირა და ისიც იქ მოისროლა, შორიდან მეჩვენებოდა, რომ ედვარდი რაილის ზურგზე იდგა და მთელი ძალით აწვებოდა, იმიტომ, რომ გარშემო სივრცე რაილის გაუსაძლისმა კივილმა მოიცვა.
ამ დროს სეთიც წამოდგა ფეხზე, მე ისევ ვხედავდი ვიქტორიას, რომელიც დეფორმირებულს ჰგავდა და ვერ იშლებოდა, ის მოემზადა და გადმოხტა, რაღაცამ გაანათა ჰაერში და შეეჯახა მას, დარტყმას აფეთქებს ხმა ჰქონდა, ვიქტორია ისევ ხეს დაეჯახა და თითქმის შუაზე გადატყდა, სცადა განძრეულიყო, მაგრამ ედვარდი იქვე დახვდა, ჩემი გული სიხარულისგან აძგერდა, როცა დავინახე, რომ კარგად იყო, ის მშვენივრად გამოიყურებოდა.

ვიქტორიამ ფეხი მიარტყა რაღაცას, რაც ეტყობა ხელს უშლიდა, ეს რაღაც ჩემს გვერდით დაეცა და დავინახე რაც იყო.
თვალებში დამიბნელდა, ეს რაილის ხელი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ბალახს ებღაუჭებოდა.

სეთი რაილის გარშემო ტრიალებდა და ის უკან იხევდა, მან გადარჩენილი ხელის ნაწილი ასწია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნებდებოდა, სეთმა კბილები ჩაავლო და რაილიმ მეორე ხელიც დაკარგა, სეთმა ის ტყეში გადააგდო და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს იღიმებოდა.
რაილიმ ბოლო ძალები მოიკრიბა და დაიძახა:
– ვიქტორია!

ვიქტორიას საერთოდ არ მიუქცევია ყურადღება.

სეთმა კბილები ჩაავლო რაილის და შორს მოისროლა, რაილის კივილი ცოტახანში ჩაჩუმდა, ბოლოს მხოლოდ ქვის მტვრევის ხმა გავიგონე.
ვიქტორია მიხვდა, რომ მარტო დარჩა და უკან დახევა დაიწყო, მან კიდევ ერთხელ შემომხედა და გასაქცევად მოემზადა.

– არა,- ისევ ღიღინით თქვა ედვარდმა, - კიდევ ცოტახნით დარჩი.
ვიქტორია ადგილიდან დაიძრა და გაფრინდა, მაგრამ ედვარდი უფრო სწრაფი იყო, ის ტყვიას ჰგავდა, წამში დაეწია და ზურგით დაიჭირა.
ედვარდი ძალიან ნაზად შეეხო პირით მის კისერს, ეს კოცნას უფრო ჰგავდა, რის შემდეგაც ვიქტორიას ალისფერი თმები აღარ იყო დაკავშირებული სხეულთან, წითელი ტალღები კანკალით დაგორდა ქვევით, ხეებთან.

თავი 25

სარკე

ძლივსძლიობით ავაცილე გაოგნებული მზერა ადგილს, სადაც წითელ თმიანი მრგვალი საგანი ეგდო.
ედვარდი დაკავებული იყო, ის მშვიდად და ჩაფიქრებულად ანაწევრებდა უთავო გვამს.
არ შემეძლო მასთან მისვლა, ფეხები არ მემორჩილებოდა, მეგონა, რომ ფესვები გავიდგი მიწაში, მაგრამ შორიდან ვაკვირდებოდი მის ყოველ მოძრაობას და ვათვალიერებდი თვითონაც ხომ არ დაზარალდა, ჩემი გულისცემა თანაბარი გახდა, როცა ვერაფერი ვერ აღმოვაჩინე, ის ისევ მოქნილი და გრაციოზული იყო, როგორც ყოველთვის, ტანსაცმელიც მთელი ჰქონდა.
ედვარდი არ მიყურებდა და მე ისევ გაშეშებული ვიდექი კლდესთან, მან მშრალი ტოტები დააყარა დაგლეჯილ ნაწილებს და სეთისკენ გაემართა.
ისინი მალე დაბრუნდნენ უკან, აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, ედვარდს რაილის ნაწილები მოჰქონდა, სეთს კი ყველაზე დიდი ნაწილი კბილებში ჰქონდა და ისე მოათრევდა, ყველაფერი იქ დაყარეს სადაც ცეცხლის დანთებას აპირებდნენ, ედვარდმა ვერცხლისფერი მართკუთხედი ამოიღო ჯიბიდან, სანთებელა აანთო და მშრალ ტოტებს მოუკიდა, ცეცხლი უცებ აინთო, წითელი ალის ენები თითქმის ათ მეტრს აღწევდა.

– ყველა ნაწილი შეაგროვე, - ჩუმად უთხრა ედვარდმა სეთს.

ერთად, ვამპირმა და ვაერვულფმა ყველაფერი შემოირბინეს გარშემო და თან რაღაც პატარა ნაგლეჯებს ისროდნენ კოცონში და როცა დაამთავრეს, ცეცხლის სვეტი თითქმის ცამდე აღწევდა, შავი ბოლი ნელა ადიოდა ზევით.

სეთმა ღრმა მკერდის ხმა ამოუშვა, რაც სიცილს ჰგავდა.
ედვარდის დაძაბულ სახეზეც ღიმილი გაჩნდა.
მან მუშტი გაწია წინ, სეთმა ჩაიფხუკუნა და წხვირი მიარტყა ედვარდსი მუშტს.
– კარგად ვიმუშავეთ ერთად,- თქვა ედვარდმა.
სეთმა რბილად დაუყეფა.

შემდეგ ედვარდმა ღრმად ჩაისუნთქა და ჩემსკენ მობრუნდა.
ვერ მივხვი მის გამომეტყველებას, მის თვალებში იმდენი სიფრთხილე იყო, თითქოს მეც ერთ-ერთი მტერი ვიყავი, მას ეშინოდა, გონება გამეთიშა და ვეღარ ვაზროვნებდი, უბრალოდ გაოგნებული ვუყურებდი.

– ბელა, საყვარელო,- როგორც შეეძლო რბილად ამბობდა ის და მიახლოვდებოდა, მას ხელები ჰქონდა აწეული და ცარიელ ხელის მანახებდა, - ბელა, გემუდარება, დააგდე ქვა, ფრთხლად, არაფერი დაიშავო.

სულ დამავიწყდა ჩემი იარაღის შესახებ და მხოლოდ ეხლა გავიაზრე, რამდენად ძლიერად ვუჭერდი ხელს, ჩემი თითის დამტვრეული ძვალი კივილამდე ფეთქავდა, ნუთუ კიდევ მოვიტეხე? ამჯერად კარლაილი ნამდვილად დამადებდა გიპსს.
ედვარდი ჩემგან ერთ მეტრში იდგა და ხელები ისევ აწეული ჰქონდა, ასეთი შეშინებული არასდროს მინახავს.

რამოდენიმე წამი დამჭირდა იმისთვის, რომ თითების მოძრაობა გამეხსენებინა, ქვა დავაგდე და ის ხმაურით დაეცა მიწაზე, ხელი იმავე მდგომარეობაში გამიშეშდა.

როგორც კი ქვა მოვიშორე ედვარდი ოდნავ დამშვიდდა, მაგრამ ახლოს მოსვლას ვერ ბედავდდა.

– ბელა, ნუ გეშინია, საფრთხე არ გემუქრება, მე არაფერს დაგიშავებ.
ამ უაზრო სიტყვებმა ეხლა მე შემაშინა, იდიოტივით ვაშტერდებოდი, რომ გამეგო რას გულისხმობდა.

– ბელა, ყველაფერი კარგად იქნება,- აგრძელებდა ის,- ვიცი, ეხლა შეშინებული ხარ, მაგრამ ყველაფერი დამთავრდა, თითს არ დაგაკარებ..

სწრაფად დავახამხამე და აღმოვაჩინე, რომ ლაპარაკი შემეძლო.
– ამას რატომ მეუბნები?

ერთი ნაბიჯი გადავდგი მისკენ, ის კი გაიწია.
– ედვარდ, რა მოხდა,- ვჩურჩულებდი მე, - რაზე მელაპარაკები?

– შენ.. – ჩემი მიუხვედრელობა მის ოქროსფერ თვალებში აისახა,- შენ ჩემი არ გეშინია?

– მეშინია, რატომ?

ერთი ნაბიჯი კიდევ გადავდგი და რაღაცას წამოვკარი ფეხი, ედვარდმა დამიჭირა, ძლიერად მივეკარი მის მკერდს და ტირილი დავიწყე.

– ბელა, ბელა, მაპატიე, ყველაფერი დამთავრდა, მორჩა..

– მე კარგად ვარ, - ამოვთქვი მე, - უბრალოდ შოკში ვარ, ერთი წუთი მომეცი.

მისი ხელები ძლიერად შემომეხვია.
– მე ისე ვწუხვარ,- ჩურჩულებდა ის ისევ და ისევ.

იქამდე ვებღაუჭებოდი სანამ სუნთქვა არ აღმიდგა, შემდეგ კი მისი კოცნა დავიწყე, მის მკერდს, მხრებს, კისერს, ყველაფერს ვკოცნიდი, რასაც ვწვდებოდი, ნელ-ნელა ჩემმა გონებამაც დაიწყო მუშაობა.

– კარგად ხარ? – ვკითხე მე კოცნებს შორის, - ხომ არაფერი დაგიშავა?

– გადასარევად ვარ, - მითხრა მან და ჩემს თმებში ჩარგო ცხვირი.

– სეთი?

ედვარდს გაეცინა.
– ის ყველაზე კარგად არის, უფრო სწორედ თავისი თავით არის აღფრთოვანებული.

– სხვები? ელისი, ესმე? მგლები?

– ყველაფერი კარგად არის, იქ ყველაფერი მორჩა, ყველაზე უარესი აქ ხდებოდა.

– მაპატიე, მითხრა მან ისევ,- არ მინდოდა, რომ ეს ყველაფერი გენახა და მე გენახე ასეთ მდგომარეობაში, ალბათ შეგაშინე..
– სერიოზულად? შენ რა იფიქრე, რომ შემაშინე? – ჩავიფრუტუნე მე.
მან ნიკაპზე მომკიდა და ჩემი თავი ისე ასწია, რომ თვალებში ჩაეხედა ჩემთვის.
– ბელა, მე ამ წუთას თავი მოვაწყვიტე და დავანაწევრე ცოცხალი არსება შენგან ოცი მეტრის მოშორებით და ეს არ განერვიულებს?
ის გაკვირვებული მიყურებდა, მე კი მხრები ავიჩეჩე.

– არც ისე, მე მარტო შენზე და სეთზე ვნერვიულობდი, დახმარება მინდოდა, მაგრამ ერთადერთი რისი გაკეთებაც შევძელი...
– ხო,- თქვა მან გაბრაზებული ხმით,- შენი პატარა სპექტაკლით, კინაღამ ინფაქტი მივიღე და ასეთ მდგომარეობამდე ჩემი მიყვანა საკმაოდ რთულია.

გამიძნელდა მისი გაბრაზებული მზერის ქვეშ პასუხის გაცემა.
– მე.. უბრალოდ მოხმარება მინდოდა.. სეთი დაჭრილი იყო..

– ბელა, სეთი თავს იკატუნებდა, ეს უბრალოდ ... – ვეღარ დაამთავრა მან.

– სემი თავს იკატუნებდა?
– ეჰ..

ჩვენ ორივემ სეთს შევხედეთ, რომელიც კმაყოფილი გამომეტყველებით აკვირდებოდა კოცონს.

– ნუ.. მე ეს არ ვიცოდი,- ვთქვი მე დამნაშავედ,- ძალიან რთულია, როცა ერთადერთი უმაქნისი ადამიანი ხარ მთელს თქვენ კომპანიაში, შემდეგ ჯერზე მაყურებელივით ნამდვილად აღარ ვიჯდები.

ათასმა ემოციამ გაიელვა მის სახეზე, სანამ რამეს მეტყოდა.
– შემდეგი? შენ რა კიდევ ელოდები რამე ბრძოლას?

– მე ისეთი ბედი მაქვს, ვინ იცის..

მან თვალები გადაატრიალა და მთელმა გაბრაზებამ გადაუარა.

ყველაფერი დამთავრდა, თუ არ დამთავრდა?

– მოიცადე, შენ რაღაცას ამბობდი იქამდე? რაღაც გართულებებზე? და ელისს განრიგი უნდა დაეზუსტებინა სემისთვის, შენ თქვი, რომ ეს ახლოს იქნებოდა, რა იქნებოდა ახლოს?

ედვარდის თვალებმა სეთისკენ გაანათა და მათ მძიმე მზერა გაცვალეს.

– ედვარდ?

– ნუ.. არაფერი განსაკუთრებული,- სწრაფად თქვა მან,- მაგრამ უნდა წავიდეთ..

ის ჩემს ზურგზე შესმას აპირებდა, მაგრამ მე გავჯიუტდი და არც გავინძერი.

– ედვარდ, ეს ახსნა არ არის.
მან ჩემი სახე მოიქცია ხელებში.
– ჩვენ მხოლოდ ერთი წუთი გვაქვს, ამიტომ პანიკაში ნუ ჩავარდები, კარგი? მე ხომ გითხარი, რომ სანერვიულო მიზეზი არ არის, შეგიძლია უბრალოდ მენდო?
– კარგი, გავიგე..

ის ერთი წამის განმავლობაში მიყურებდა და ფიქრობდა როგორ ეთქვა, შემდეგ კი უეცრად სეთს გახედა, თითქოს მან დაუძახა.

– რას აკეთებს?- ჰკითხა მას ედვარდმა.

სეთმა ყმუილი დაიწყო, ეს მოუსვენარი და აფორიაქებული ხმა იყო, საშინლად დავიძაბე.

რაღაც დროის განმავლობაში ყველაფერი გაიყინა.

შემდეგ ედვარდმა ამოიყვირა.

– არა! არა ... – მან ხელი გასწია წინ ისე, თითქოს რაღაცის დაჭერას ცდილობდა.

სეთის ტანმა კანკალი დაიწყო და მან საშინელი ტკივილით სავსე ღმუილი ამოუშვა.
ამ მომენტში ედვარდი მუხლებზე დავარდა და ხელები აიფარა სახეზე, რომელიც გაშეშებული ჰქონდა სიმწრისგან.

მოკლედ და შეშინებულად დავიწრიპინე და მეც მის გვერდით
დავვარდი მუხლებზე, ვცდილობდი ხელები მომეშორებინა მისი სახიდან.
– ედვარდ! ედვარდ!
მან ხელები გასწია და თვალებში შემომხედა.
– ყველაფერი კარგად არის, ყველაფერი კარგად უნდა იყოს, ეს... – ვერ დაამთავრა მან.
– რა ხდება,- ვყვიროდი მე სანამ სეთი წკმუტუნებდა.

– ჩვენ კარგად ვართ, ყველაფერი კარგად იქნება,- ძლივძლიობით ლაპარაკობდა ედვარდი, - სემ, დაეხმარე მას..
როცა მან სემის სახელი ახსენა მივხვდი, რომ ის თავის თავზე და სეთზე არ ლაპარაკობდა, ამჯერად პრობლემები ჩვენ არ გვქონდა.

მთელი ჩემი ადრენალინის მარაგი დავწვი, უკვე ვერაფერს ვგრძნობდი, ვხვდებოდი, რომ უბრალოდ გული მიმდიოდა, სანამ დავვარდებოდი, ედვარდი ფეხზე წამოხტა და მე მის ხელებში აღმოვჩნდი.

– სეთ! – იყვირა ედვარდმა.

სეთი ისევ იტანჯებოდა და განადგურებული გამომეტყველებით იყურებოდა ტყის მხარეს, თითქოს ერთი სული ჰქონდა იქ როდის გავარდებოდა.

– არა! – უბრძანა ედვარდმა,- შენ სახლში წახვალ, ეხლავე!

სეთმა დიდი თავი გაიქნია და ისევ აწკმუტუნდა.

– სეთ, დამიჯერე!

ორი წამის განმავლობაში დიდი მგელი ჩაფიქრებული იყურებოდა ედვარდის ნატანჯ თვალებში, შემდეგ გასწორდა და ხეების მხარეს გაიქცა, როგორც მოჩვენება.

ედვარდმა ძლიერად მიმიკრა გულთან და სეთის საწინაამღდეგო მხარეს გავარდა ბნელ ტყეში.

– ედვარდ,- ძლივსძლიობით ვამბობდი მე, - რა მოხდა?
სემს რა მოუვიდა? სად მივრვბივართ?

– ველზე უნდა დავბრუნდეთ,- ჩუმად მითხრა მან, - ჩვენ ვიცოდით, რომ ამის ალბათობა დიდი იყო, ჯერ კიდევ დილით ელისმა დაინახა ეს და სემს გადასცა, ვოლტურებმა ჩათვალეს, რომ ჩარევის დრო იყო.

ეს უკვე მეტის მეტი იყო, ჩემი გონება უარს ამბობდა ამ სიტყვების გაგებაზე, უბრალოდ შეშლილს ვგავდი.

– ნუ პანიკობ, ისინი ჩვენთვის არ მოსულან, ეს მათი დაცვაა, სწორედ ისინი ასრულებენ მსგავს სამუშაოს და მათ საკმაოდ ჭკვიანურად შეარჩიეს მოსვლის დრო, იმიტომ, რომ არავინ არ იდარდებდა იტალიაში, თუ კალენების რიცხვი შემცირდებოდა, -ედვარდი სიტყვებს მძიმედ და უემოციოდ წარმოთქვამდა, - როცა ველამდე მიაღწევენ მეცოდინება მათი აზრები.

– ამიტომ ვბრუნდებით? – ვიკითხე მე, ჩემს გათიშულ გონებაში მათი შავი მოსასხამები დაფრინავდა.

– უკეთესი იქნება თუ ერთიანად წავრსდგებით მათ წინაშე, მათ არ აქვთ მიზეზები ჩვენს შესაწუხებლად, მაგრამ მათთან ჯეინია, ის თუ მიხვდება, რომ მე და შენ შორს ვართ, შეიძლება ვერ გაუძლოს ცდუნებას და ჩვენს მოსაძებნად წამოვიდეს, ან დემეტრი გამოაგზავნოს.

ფიქრიც არ მინდოდა ამ სახელზე, არ მიმნოდა ამ ბავშვური, დახვეწილი სახის გახსენება, ყელი გამიშრა შიშისგან.

– მშვიდად ბელა, ელისი ხედავს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ელისს დანახვა შეეძლო? მაშინ მგლები სად იყვნენ?

– ხროვა?

– მათ სწრაფად მოუწიათ წასვლა, ვოლტურები ვერ მიხვდებიან ჩვენ კარგ დამოკიდებულებას ერთმანეთთან.

ისევ ამიჩქარდა გული.

– გეფიცები, მათ არაფერი მოუვათ,- დამამშვიდა ედვარდმა,- ვოლტურები ვერ სცნობენ მათ სუნს, იმიტომ, რომ მგლებთან არასდროს ჰქონიათ შეხება, ხროვას არაფერი ემუქრება.

მისმა დაპირებამ არ დამამშვიდა, ის მანამდეც ამას ამბობდა, შემდეგ კი სეთმა საშინლად და მტანჯველად დაიწყო ყმუილი, ედვარდმა კი ვოლტურებზე გადაიტანა ჩემი ყურადღება.

– რა მოხდა? იქამდე, სანამ სეთი ყმუილს დაიწყებდა? ასე ცუდად რატომ იყავი? ედვარდი ჩუმად იყო.

– ედვარდ! მითხარი!

– ყველაფერი დამთავრებული იყო, მგლებმა არ იცოდნენ მათი რაოდენობის შესახებ, მათ იფიქრეს, რომ დაამთავრეს..

– რა მოხდა?

– ერთი ახალშობილი იმალებოდა, ლეამ ის იპოვა, ამ თავის თავში დარწმუნებულმა სულელმა მგელმა გადაწყვიტა მარტო მიეხედა მისთვის.

– ლეა,- მრცხვენოდა ამის აღიარების, მაგრამ ამ სახელმა დამამშვიდა,- ხომ კარგად იქნება?

– ლეა არ არის დაჭრილი,- ჩაიბურტყუნა ედვარდმა, - ჩვენ თითქმის ადგილზე ვართ,– თქვა მან და ცაში აიხედა.
მე წინ გავიხედე და მუქი იასამნისფერი ღრუბელი დავინახე, მაგრამ ეხლა ხომ დღე იყო? არა, ეს არ იყო ღრუბელი, ეხლა ვიცანი ისეთივე კვამლის სვეტი, როგორიც ჩვენს ბანაკში იყო.

– ედვარდ, ვინმე დაშავდა?

– კი, - ჩურჩულით მიპასუხა მან.

– ვინ? - ვიკითხე მე, მაგრამ უკვე წინასწარ ვიცოდი პასუხი.
ედვარდმა ნელ-ნელა შეუნელა სვლას, მაგრამ არ მპასუხობდა.

– ჯეიკობი, - ამოღერღა მან ბოლოს და ბოლოს.

მეგონა, რომ უფსკრულში გადავვარდი, სამყარო ჩემს გარშემო შავად შეიღება.
პირველად ცივი ხელები ვიგრძენი, ორ ხელზე მეტს ვეჭირე, ერთი შუბლზე მისმევდა ხელს, მეორე ლოყაზე და კიდევ ვიღაცის თითები ნაზად იყო ჩემს მაჯაზე მიჭერილი.
შემდეგ ხმები ვიცანი, თავიდან ეს გაუგებარი ბურტყუნი იყო, ცოტახანში კი ხმები უფრო გასაგები გახდა.

– კარლაილ, უკვე ხუთი წუთია,- წარმოთქვა ედვარდმა ანერვიულებული ხმით.

– ის მალე მოვა აზრზე, ბევრი ინერვიულა დღეს, - კარლაილის ხმა როგორც ყოველთვის მშვიდი და გაწონასწორებული იყო,- ის ასე იცავს თავის გონებას.

მთლიანად მოწყვეტილი ვიყავი სხეულს, თითქოს ჩემი თავის ყველაზე ბნელ კუნჭულში ჩამკეტეს, ტანჯვა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერ გამოვდიოდი იქიდან.

ჯეიკობ, ჯეიკობ
არა, არა, არა, არა...

– ელის, რამდენი დრო გვაქვს? – ჰკითხა ედვარდმა ელისს, მისი ხმა ისევ აფორიაქებული იყო, კარლაილის სიტყვებმა ვერ დაამშვიდა.
შორიდან გაისმა ელისის მხიარული ხმა.
– კიდევ ხუთი წუთი და ბელა თვალებს ოცდაჩვიდმეტ წამში გაახელს, მემგონი უკვე ესმის ჩვენი.

– ბელა, ძვირფასო,- ეს ესმეს რბილი და მშვიდი ხმა იყო,- გესმის ჩემი? ეხლა საფრთხე აღარ გემუქრება.

ეს ასე იყო, მაგრამ ამას ჰქონდა მნიშვნელობა?

ედვარდის ცივი ტუჩები ჩემს ყურთან იყო და მან ის ჩამიჩურჩულა, რამაც ბნელი კუთხიდან გამომიყვანა.
– ბელა, ის იცოცხლებს, სანამ ამას გეუბნები ის უკვე ირჩენს თავის იარებს, გეფიცები, კარგად იქნება.

როგორც კი ტკივილმა გაიარა ჩემი სხეულიც ვიგრძენი.

– ოჰ, ბელა, - შვებით ამოთქვა ედვარდმა და ჩემს ტუჩებს შეეხო.
–ედვარდ...
– ხო, აქ ვარ.

თვალები გავახილე და მის ოქროსავით თბილ თვალებში ჩავიხედე.

– ჯეიკობი კარგად არის?
– კი.

დიდხანს ვუყურებდი და ბოლოს მივხვდი, რომ ამას ჩემს დასამშვიდებლად არ ამბობდა, ეს სიმართლე იყო.

– მე თვითონ დავათვალიერე, - თქვა კარლაილმა, მისკენ მივბრუნდი, ის ერთ მეტრში იყო ჩვენგან, მისი სახე სერიოზული და მშვიდი იყო, არ შეიძლებოდა მის სიტყვებში ეჭვის შეტანა.

– მისი ჭრილობები ძალიან სწრაფად შუშდება, მაგრამ ძალიან დაშავდა და ამიტომ რამოდენიმე დღე მოგვიწევს ლოდინი, სანამ ფორმაში მოვა, როგორც კი აქ დავამთავრებთ ყველაფერს, ვნახავ რითი შემიძლია მისი დახმარება, სემი ეხმარება, რომ ადამიანის ფორმაში დაბრუნდეს, ასე უფრო ადვილად დავაკვირდები, ისე არასდროს არ მივლია ვეტერინარების კურსებზე,- გაეცინა კარლაილს.
– რა დაემართა? რამდენად სერიოზულია მისი ჭრილობები?- ვჩურჩულებდი მე.

– მეორე მგელი საფრთხეში იყო..

– ლეა.
– ხო, ის მის დახმარებას ცდილობდა, მაგრამ თავი ვეღარ დაიცვა, ახალშობილმა ხელებით დაიჭირა მარჯვენა გვერდიდან, თითქმის ყველა ძვალი ჰქონდა დამტვრეული.

გამაჟრიალა.

– სემი და პოლი დროზე მივიდნენ, როცა ლაპუშზე მიიყვანეს, უკვე უკეთ იყო.
– ის გამოჯანმრთელდება?
– კი, ბელა, პატარა ნიშანიც კი არ დარჩება მისი ჭრილობებიდან.
ღრმად ჩავისუნთქე.

– სამი წუთი,- თქვა ელისმა.
ვცდილობდი ვერტიკალური მდგომარეობა მიმეღო, ედვარდი მიხვდა და ადგომაში მომეხმარა.

ჩემს წინ სანახაობას მივაშტერდი.
კალენები წრეზე იდგნენ კოცონის გარშემო, ჯასპერი სხვებზე ახლოს იდგა, იქ ჩრდილში რაღაც იყო და ჯასპერს თავი ჰქონდა დახრილი წინ.
იმდენად დაჩლუნგებული მქონდა გრძნობები, რომ გაკვირვებაც ვერ გამოვხატე როცა მივხვდი ეს რა იყო.

ცეცხლთან გოგონა იჯდა, მას ხელები ჰქონდა მუხლებზე შემოხვეული და კანკალებდა, ძალიან ახალგაზრდა იყო, მუქთმიანი და თხელი, ალბათ სულ თხუთმეტი წლის იქნებოდა, ის მე მიყურებდა დიდი და წითელი თვალებით.

– ის დაგვნებდა, - ჩუმად მითხრა ედვარდმა,- ასეთი რამ ჯერ არ მინახავს, კარლაილს უნდა რომ მოელაპარაკოს, ჯასპერი კი არ იწონებს მის გადაწყვეილებას.

პატარა გოგონამ ცხოველივით გაიქნია თავი და წიკვინი დაიწყო.

ჯასპერმა განრისხებულმა შეხედა, ის მაშინვე გაჩუმდა და თითქოს დაპატარავდა, ედვარდი ჩემს წინ დადგა, ისე რომ გოგონას არ დავენახე, ჯასპერი მასთან ახლოს მივიდა და დაიხარა, კარლაილი მომენტალურად მის გვერდით გაჩნდა და ხელი ჩასჭიდა თავის შვილს.

– ხომ არ გადაიფიქრე, ახალგაზრდა არსებავ?- ჰკითხა მან, როგორც ყოველთვის მშვიდი ტონით, - შენი განადგურება არ გვინდა, მაგრამ თუ თავის გაკონტროლებას ვერ შეძლებ სხვა გზა არ გვექნება.

– ამას როგორ იტანთ? – გააპროტესტა გოგონამ მაღალი, წვრილი ხმით, - მე მინდა ის.
მან ედვარდისკენ გამოიხედა, მის უკან მეც ვჩანდი და გოგონას ფრჩხილები სიმწრისგან ესობოდა მიწაში.

– უნდა მოითმინო,- მძიმედ თქვა კარლაილმა, - უნდა ავარჯიშო თვითკონტროლი, ეს ერთადერთია რაც გადაგარჩენს.
გოგონა ხელით ჩაებღაუჭა თავის თმებს და ღნავილი გააგრძელა.

– იქნებ გავეცალოთ, - ჩურჩულით ვუთხარი ედვარდს, როგორც კი ჩემი ხმა გაიგო გოგონამ კბილები გამოაჩინა, სახე ისეთი ჰქონდა, თითქოს აუტანელ ტკივილს ებრძოდა.

– აქ უნდა ვიყოთ,- ჩაიბურტყუნა ედვარდმა,- ისინი ველის ჩრდილოეთი მხრიდან მოვლენ.

გარშემო ვერაფერს ვხედავდი კვამლის გარდა, ამიტომ ისევ გოგონას შევხედე, რომლის მზერაც ისევ ჩემზე იყო მოპყრობილი, მას რომ ვუყურებდი დავფიქრდი, იქნებ ეს ჩემი მომავალი იყო და მე სარკეში ვიყურებოდი?

შემდეგ კარლაილი და ჯასპერი სხვებს შეუერთდნენ და ყველა ერთ ადგილზე მოგროვდა ჩემსა და ედვარდის გარშემო, გოგონას თვალი მოვწყვიტე და ურჩხულების გამოჩენას ველოდებოდი.

ჯერ კიდევ არავინ ჩანდა, სწრაფად შევხედე ედვარდს, ის წინ იყურებოდა, შევეცადე მისი მზერისთვის გამეყოლებინა თვალი, გარშემო ყველაფერი ჯერ კიდევ კვამლით იყო დაფარული.

– ჰმ,- წამოთქვა საშინელმა ხმამ ნისლიდან,- მაშინვე ვიცანი ეს აპათიური და გულგრილი ხმა..

– კეთილი იყოს შენი მობრძანება ჯეინ,- ცივად მიესალმა ედვარდი.

მუქი ფიგურები ნისლს გამოეყვნენ და წინ წამოვიდნენ, ვიცოდი ჯეინი პირველი იქნებოდა, ის სულ ერთი მეტრის სიმაღლის იყო და ყველაზე მუქი მოსასხამი ჰქონდა შემოხვეული.
თითქმის ვცნობდი უფრო დიდ ფიგურებს, რომლებიც მუქ ნაცრისფერ მოსასხამებში იყვნენ გამოწყობილები, დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაზე დიდი მათ შორის ფელიქსი იყო, მან შემომხედა და თვალი ჩამიკრა, ედვარდი გაიყინა ჩემს გვერდით.

ჯეინის მზერამ ყველა კალენს გადაუარა და ბოლოს პატარა გოგონაზე შეჩერდა კოცონთან, რომელმაც ისევ დამალა სახე ხელებით.

– ვერ ვხვდები,- თქვა ჯეინმა უფერული ტონით.

– ის დაგვნებდა,- უპასუხა ედვარდმა.

ჯეინმა მკაცრი მზერა ესროლა.
– დაგნებდათ?

ფელიქსმა და მეორე დიდმა ვამპირმა სწრაფად გადახედეს ერთმანეთს.
ედვარდმა მხრები აიჩეჩა.
– კარლაილმა შესთავაზა არჩევანი.

– არ არსებობს არჩევანი იმათთვის, ვინც კანონს არღვევს, - თქვა ჯეინმა.

– ეს თქვენს ხელშია,- რბილად დაილაპარაკა კარლაილმა,- ის თავდასხმისგან თავს იკავებდა და ვერ დავინახე მისი განადგურების აუცილებლობა, ის უბრალოდ უსწავლელია.
– ეს საქმეს არ ეხება.- განაცხადა ჯეინმა.

– როგორც ინებებ.

ჯეინი შეშლილი თვალებით უყურებდა კარლაილს, შემდეგ თავი გაიქნია და ისევ გულგრილობის ნიღაბი გაიკეთა.

– კარლაილ, აროს იმედი ჰქონდა, რომ შორს წავიდოდით დასავლეთში და იქ შეგხვდებოდით, მან მოკითხვა შემოგითვალა.
– მადლობელი ვიქნები, თუ ჩემგანაც გადასცემ მოკითხვას.

– რა თქმა უნდა,- გაიღიმა ჯეინმა, როცა კარგ ხასიათზე იყო ანგელოზს ჰგავდა,- მემგონი დღეს ჩვენს მაგივრად გააკეთეთ მთელი სამუშაო, უბრალოდ პროფესიონალური ცნობისმოყვარეობის გამო მაინტერესებს რამდენი იყვნენ? მათ ხომ შესამჩნევი კვალი დატოვეს სიეტლზე.

– ამის ჩათვილით თვრამეტი,- უპასუხა კარლაილმა.

ჯეინს თვალები გაუფართოვდა და მან ისევ კოცონს შეხედა, დიდი ფიგურები ისევ ერთმანეთს უყურებდნენ.

– თვრამეტი? - მის ხმაში ეჭვი ისმოდა.
– ყველა ახალშობილი იყო და არცერთს არ ჰქონდა გამოცდილება.
– ყველა? – მისი ხმა უხეში გახდა,- მაშინ ვინ შექმნა ისინი?

– მას ვიქტორია ერქვა,- უემოციოდ უპასუხა ედვარდმა.

– ერქვა? – დაინტერესდა ჯეინი.

ედვარდმა თავი გაიქნია სამხრეთისკენ, ჯეინმა იქით გაიხედა საიდანაც კვამლის მეორე სვეტი ამოდიოდა.

– ხო, ეს ვიქტორიაა, მარტო ის ემატება მათ ვინც აქ იყო?

– კი, მას მხოლოდ ერთი დამხმარე ჰყავდა, ის წელზე მეტის იყო.

– ოცი,- ამოიყვირა ჯეინმა,- შემქმნელი ვინ გაანადგურა?

– მე,- უთხრა ედვარდმა.

ჯეინს თვალები დაუწვრილდა და ისევ გოგონას მიუბრუნდა.

– შენი სახელი, - თქვა მან დაბალი ხმით.

ახალშობილმა გოგონამ კივილით უპასუხა, მისი სხეული ტკივილისგან და ტანჯვისგან იხლართებოდა, მზერა ავარიდე, ყურებზე ხელების მიფარების სურვილს ვებრძოდი, კივილი ძლიერდებოდა, შევეცადე ედვარდის სახეზე

გამეკეთებინა კონცენტრაცია, მისი სახე ისეთივე ცარიელი იყო, როგორც დანარჩენი კალენების.
როგორც იქნა გოგონა გაჩუმდა.
– შენი სახელი,- გაიმეორა ჯეინმა.

– ბრი,- ჩუმად ამოთქვა ახალშობილმა.

ჯეინმა გაუღიმა, მას კი გააჟრიალა.

– ის ყველაფერს გეტყვის, რისი ცოდნაც გინდა,- თქვა ედვარდმა კბილებს შორის,- არ არის საჭირო ამის გაკეთება.
ჯეინმა მხიარული გამომეტყველებით შეხედა.

– ოჰ, ვიცი, - უთხრა მან ედვარდს და ვამპირ ბრის მიუბრუნდა.

– ბრი, ეს ყველაფერი მართალია? მართლა ოცნი იყავით?

გოგონა მიწაზე ეგდო და თითქოს იხრჩობოდა.

– ოცი ან ცხრამეტი, შეიძლება მეტიც, არვიცი! – თქვა მან და დაიკრუნჩხა, რადგან იცოდა მსგავსი პასუხი კიდევ მეტ ტანჯვას მოუატნდა.

– ვიქტორიამ შეგქმნათ?

– არ ვიცი, რაილის არასდროს უთქვამს მისი სახელი, იმ ღამეს ვერაფერს ვხედავდი, ბნელოდა, რაილის არ უნდოდა, რომ მასზე გვეფიქრა, ამბობდა, რომ ჩვენი აზრები ასე დაცული იქნებოდა.

ჯეინმა სწრაფი მზერა ესროლა ედვარდს და ისევ გაიხედა.

– რაილიზე მომიყევი, აქ რატომ მოგიყვანათ?

– რაილიმ გვითხრა, რომ აქ უცნაური ყვითელთვალება ვამპირები უნდა გაგვენადგურებინა, – თქვა მან და წამოჯდა,- არვიცი რა მოხდა, გავიყავით მაგრამ დანარჩენები არ მოვიდნენ, რაილიმ დაგვტოვა და არ დაბრუნდა, მერე ყველაფერი ისე უცნაურად იყო, ყველა ნაწილ-ნაწილ იყო დაგლეჯლი, შემეშინდა და გაქცევა მინდოდა, მაგრამ ამან, - შეხედა მან კარლაილს, - მითხრა, რომ არ მომკლავდა, თუ ბრძოლას არ გავაგრძელებდი.

– ოჰ, პატარა არსებავ, მათ არ აქვთ მსგავსი საჩუქრების დარიგების უფლება,- თქვა ჯეინმა უცნაური ნაზი ხმით,- კანონების დარღვევა უნდა ისჯებოდეს.

ბრი გაოგნებული უყურებდა.
ჯეინმა კარლაილს შეხედა.

– დარწმუნებული ხარ, რომ აქ ყველაა? - მიანიშნა მან კოცონზე,- ის ნახევარიც, რომელიც მათ გამოეყო?

კარლაილმა თავი დაუქნია.
– ჩვენც ორად გავიყავით.

უკან მდგომმა ვამპირებმა ჩურჩული დაიწყეს.
– ვერ დავმალავ, რომ შთაბეჭდილების ქვეშ ვარ,- თქვა ჯეინმა,- არასდროს მინახავს, რომ კლანს ასეთი მასიური თავდასხმა გადაეტანოს, ნეტავ რაშია საქმე?
მემგონი აქ რაღაც განსაკუთრებული მოხდა, თუ გავითვალისწინებთ იმას რამდენად მორიდებულად ცხოვრობთ და გოგო რატომ აღმნოჩნდა ამაში გარეული?
– მისმა თვალებმა ჩემზე გადმოინაცვლა.

კანკალი დავიწყე.

– ვიქტორია დაბოღმილი იყო ბელაზე, - უთხრა მას ედვარდმა.

ჯეინმა გაიცინა.
– ის უცნაურ რეაქციას იწვევს ჩვენს ჯიშში,- თქვა მან და გამიღიმა.
ედვარდი ისევ დაიძაბა, მივხვდი რაშიც იყო საქმე.

– გთხოვ, ამას ნუ აკეთებ,- უთხრა მან ჯეინს.

– უბრალოდ კიდევ ვცადე, ამით ზიანს ვერ ვაყენებ,- ისევ გაეცინა ჯეინს.

ბედნიერი ვიყავი იმით, რომ შეფერხება ჩემს სისტემაში მეორეჯერ მიცავდა ამ საშინელი ვამპირისგან, ედვარდმა ძლიერად შემომხვია ხელი.

– ჩვენ აქ აღარაფერი გვესაქმება, თანაც,- შენიშნა ჯეინმა,- არ ვართ მიჩვეულები, რომ ასე უსაქმოდ ვრჩებით, გული მწყდება, რომ ბრძოლა გამოვტოვეთ, ამის ყურება ალბათ საინტერესო იქნებოდა.

– კი,- უპასუხა ედვარდმა სწრაფად და უხეშად, - და თქვენ სულ ახლოს იყავით, სირცხვილია, რომ ზუსტად ნახევარი საათით დააგვიანეთ, მაშინ ალბათ შეასრულებდით თქვენს მიზანს.
ჯეინი მშვიდად შეხვდა ედვარდის მზერას.
– მართლა საწყენია..

ჯეინმა ისევ ბრის შეხედა, რომლის სახეც საშინელ მოწყენილობას გამოხატავდა.
– ფელიქს? – დაიძახა მან დიდ ვამპირს.

– მოიცადე,- ჩაერია ედვარდი,- ჩვენ შეგვიძლია მას წესები ავუხსნათ, მემგონი ის შეძლებს სწავლას, თანაც მან ხომ არ იცოდა რას აკეთებდა.
– მართალია,- დაამატა კარლაილმა,- ჩვენ მზად ვართ მასზე პასუხისმგებლობა ავიღოთ.

ჯეინი ჩაფიქრდა.
– ჩვენ არ ვაკეთებთ გამონაკლისს,- თქვა მან,- და არ ვიძლევით მეორე შანსს, ეს ჩვენს რეპუტაციას შელახავს, ეს მახსენებს.. – უეცრად მისმა მზერამ ჩემზე გადმოინაცვლა, მისი სახე მომღიმარ ნიღაბს ჰგავდა, - კაიუსს დამდვილად დაინტერესებს ის, რომ ისევ ადამიანი ხარ, ბელა, ალბათ ისე თქვენს მონახულებასაც გადაწყვიტავს.

– თარიღი დანიშნულია,- პირველად დაილაპარაკა ელისმა,- ალბათ ჩვენ თვითონ გესტუმრებით რამოდენიმე თვეში.

ჯეინის ღიმილი გაქრა და მან მხრები აიჩეჩა.
– სასიამოვნო იყო შენი ნახვა, კარლაილ, შეხვედრამდე.

კარლაილმა თავი დაუქნია.

– ამას მიხედე ფელიქს,- თქვა მან და მოწყენილი სახით შეხედა ბრის,- სახლში მინდა.

– არ შეხედო- მითხრა ედვარდმა ყურში.

ერთი დღისთვის იმაზე მეტი ვნახე ვიდრე შემეძლო, ამიტომ მას დავუჯერე და თავი ჩავრგე მის მკედში, მაგრამ ხმა მაინც მესმოდა.
ჯერ იყო ღრმა და გამჭოლი ხმაური, რასაც ნაცნობი კივილი მოჰყვა, ეს ხმა წამში შეწყდა და შემდეგ გულისამრევი მტვრევის ხმა ისმოდა.
ედვარდის ხელი ნერვიულად მეფერებდა ზურგზე.

– წავედით, - თქვა ჯეინმა და მე გავიხედე, რომ ნაცრისფერ მოსახვევში გახვეული არსებების ზურგები დამენახა, რომლებიც წამში გაქრნენ საშინელ კვამლში.

თავი 26

ეთიკა

ელისის საპირფარეშოს მაგიდა სავსე იყო კოსმეტიკური საშუალებებით, რომელთაც ჩემი კანი უკეთესი უნდა გაეხადათ, იმის გათვალისწინებით, რომ ამ სახლის მცხოვრებებს ეს არ სჭირდებოდა, დავუშვი, რომ ეს ყველაფერი სწორედ ჩემთვის იყო ნაყიდი, ჩუმად ვათვალიერებდი ეტიკეტებს, გაოცებული ვიყავი ამხელა დანახარჯებით.

ელისი ნელა და რითმულად მივარცხნიდა თმას.

– გეყოფა, ელის,- ჩავიბურტყუნე მე,- ლაპუშზე მინდა დაბრუნება.

რამდენი საათი ველოდებოდი, რომ ჩარლი დატოვებდა ბილის სახლს და ჯეიკობის ნახვას შევძლებდი, ყოველი წუთი, როცა არ ვიცოდი სუნთქავდა თუ არა ჯეიკობი, საუკუნეებად მეჩვენებოდა, ხოლო მერე როცა ვნახე დრო ისევ სწრაფად წავიდა.

– ჯეიკობი ჯერ კიდევ უგონოდ არის,- მიპასუხა ელისმა,- ედვარდი და კარლაილი დარეკავენ როცა თვალს გაახელს, მაგრამ ჩარლის სანახავად უნდა წახვიდე, ის იქ

იყო, როცა კარლაილი და ედვარდი თავის “ლაშქრობიდან” დაბრუნდნენ, აუცილებლად იეჭვებდა რამეს.

მე უკვე დაზეპირებული მქონდა ისტორია, რომელიც ჩარლისთვის უნდა მომეყოლა.

– ჩემთვის სულერთია, მინდა, რომ მის გვერდით ვიყო, როცა გაიღვიძებს.

– ეხლა ჩარლიზე უნდა იფიქრო, შენ გრძელი დღე გქონდა, ვიცი ეს არაფერს არ ცვლის, მაგრამ იმასაც არ ნიშნავს, რომ შენი ვალდებულებები უნდა დაგავიწყდეს, ეხლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩარლიმ არაფერი იეჭვოს, ჯერ შენი როლი ითამაშე, ბელა და მერე ისე მოიქცევი, როგორც მოგესურვება, როცა კალენების ოჯახის წევრი ხარ, პირველ რიგში პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გახსოვდეს.

რა თქმა უნდა ის მართალი იყო, მაგრამ კარლაილი მაინც ვერასდროს მაიძულებდა ჯეიკობის დატოვებას, არ ჰქონდა მნიშვნელობა გონებაზე იყო ის თუ არა.

– წადი სახლში,- მიბრძანა ელისმა, - ჩარლის დაელაპარაკე და დაუმტკიცე შენი ალიბი, ის უნდა გენდობოდეს.

ავდექი და აღმოვაჩინე, რომ ძალიან დიდხანს ვიჯექი, ფეხები დამიბუჟდა, ისეთი შეგრძება მქონდა, რომ ათას ნემსს მირჭობდნენ.

– ეს კაბა გადასარევად ზის შეზე,- თქვა ელისმა აღფრთოვანებულმა.

– ა? რა? ო... ხო, მადლობა ტანსაცმლისთვის,-ჩავიბურტყუნე მე უფრო ზრდილობის გამო.

– შენ დამამტკიცებელი საბუთები გჭირდება, - მითხრა ელისმა უსუსური თვალებით - ეს რანაირი საყიდლებზე წასვლა იქნებოდა ახალი ტანსაცმლის გარეშე? თანაც ჩემი აზრით ეს ყველაფერი ძალიან გიხდება.

თვალები დავახამხამე და ვერ ვიხსენებდი რაში გამომაწყო, ჩემი აზრები ერთ წამსაც არ ჩერდებოდა ერთ ადგილზე.

– ჯეიკობი კარგად არის ბელა,- მითხრა ელისმა, როცა მიხვდა რაზე ვფიქრობდი, - არაფერია საჩქარო, რომ იცოდე რამხელა დოზა მორფი გაუკეთა კარლაილმა, მიხვდებოდი, რომ გათიშული კიდევ დიდხანს იქნება.

კარგია, რომ ტკივილს მაინც არ გრძნობდა.

– იქნებ, კიდევ გინდა რამეზე ლაპარაკი, სანამ წახვალ? - მშვიდად მკითხა ელისმა, - დღეს ბევრი რამე გადაიტანე.

ზუსტად ვიცოდი რაც აინტერესებდა, მაგრამ მე სხვა კითხვები მქონდა.

– მეც ისეთი ვიქნები? - ვკითხე მე დამწუხრებულმა, - როგორც ის ბრი ველზე?

იმდენი რამე მქონდა საფიქრალი, მაგრამ ის გოგონა არ ამომდიოდა გონებიდან, ახალშობილი, ვისი სიცოცხლეც წამში შეწყდა, მისი წყურვილით შეშლილი სახე ისევ თვალწინ მედგა.

ელისმა ხელი გადამისვა თავზე.
– ჩვენ ყველანი სხვადასხვანაირები ვართ, მაგრამ რაღაც მსგავსი მაინც იქნება.

გავისუსე და შევეცადე წარმომედგინა.

– ეს გაივლის, - შემპირდა ელისი.

– რამდენი ხნის მერე?

მან მხრები აიჩეჩა.
– რამოდენიმე წელი ან ნაკლები, შენთვის შეიძლება სხვანაირად იყოს ყველაფერი, მე ჯერ აქამდე არ მინახავს ის, ვინც თვითონ ირჩევს ამ გზას, საინტერესო იქნება როგორ იქნება ეს შენს შემთხვევაში.

– საინტერესოა,- გავიმეორე მე.

– ჩვენ შეგაკავებთ შეცდომების დაშვებისგან.

– ეს ვიცი და მჯერა შენი, - ჩემი ხმა მონოტონურად და მოწყენილად ჟღერდა.

ელისი გაიბუსხა.

– თუ კარლაილზე და ედვარდზე ნერვიულობ, დარწმუნებილი ვარ, რომ სემი უკვე ენდობა მათ, კარლაილს განსაკუთრებით, ეს უკვე კარგია, რა საოცარია არა, კარლაილს თავიდან რომ დასჭირდა ჯეიკობისთვის ძვლების დამტვრევა.

– ელის, გთხოვ!

– მაპატიე.

ღრმად ჩავისუნთქე და შევეცადე დავწყნარებულიყავი.

ჯეიკობის ორგანიზმი მალე იშუშებდა ჭრილობებს, მაგრამ რამოდენიმე მისი ძვალი არასწორედ შეხორცდა, ის არ იყო გონებაზე, როცა ეს ხდებოდა, მაგრამ ამაზე ფიქრი მაინც მიჭირდა.

– ელის, შემიძლია მომავალზე გკითხო?

– შენ ხომ იცი, რომ ყველაფერს ვერ ვხედავ.

– ზოგჯერ ხომ ხედავ ჩემს მომავალს, როგორ გგონია, რატომ? სხვების ნიჭი, ხომ არ მოქმედებს ჩემზე, არც ჯეინის, არც ედვარდის, არც აროსი... - ჩემი წინადადება შეწყდა, როცა ამ კითხვის მიმართ ინტერესი გაქრა, ეხლა ამის თავი არ მქონდა.
ელისმა კი ძალიან საინტერესოდ ჩათვალა ჩემი კითხვა.

– ბელა, ჯასპერიც ხომ ზემოქმედებს შენზე, აი რაშია განსხვავება, გესმის? ჯასპერის ნიჭი სხეულზე მოქმედებს, ის შენს ნერვიულ სისტემას ამშვიდებს ან პირიქით, და ის რასაც მე ვხედავ, ეს მოქმედების შედეგია, ჯეინი, ედვარდი და არო კი გონების შიგნით მოქმედებენ, ჯეინი ტკივილის ილუზიას ქმნის და შენ გგონია, რომ მართლა გრძნობ მას, გაიგე? მაგრამ შენ, შენს გონებაში უსაფრთხოდ ხარ, ვერავინ ვერ აღწევს შიგნით, სულაც არ მიკვირს, რომ აროს ძალიან აინტერესებს რა ნიჭი გექნება მომავალში.

ის ჩემს გამომეტყველებას აკვირდებოდა და აინტერესებდა გავიგე თუ არა მისი ლოგიკური მსჯელობა, სიმართლე ის იყო, რომ მას არც ვუსმენდი, სიტყვებმა უბრალოდ ჩამიქროლა, მაგრამ მაინც დავუქნიე თავი და ისეთი სახე მივიღე, თითქოს ყველაფერი გავიგე.
ელისის მოტყუება რთული იყო, მან ლოყაზე დამადო ხელი და ჩუმად მითხრა: - ის კარგად იქნება ბელა და წინასწარმეტყველება არ მჭირდება ამისთვის, მზად ხარ წასასვლელად?

– კიდევ ერთი რაღაც, შეიძლება კიდევ გკითხო მომავალზე? დაწვრილებით არ მინდა, უბრალოდ მოკლედ მითხარი.

– ვეცდები.

– შენ ჯერ კიდევ ხედავ, რომ ვამპირი გავხდები?

– ხო, ეს მარტივია, რა თქმა უნდა ვხედავ.
ნელა დავუქნიე თავი.

ელისი ყურადღებით მაკვირდებოდა.
– ბელა, შენ ხომ იცი რაც გინდა?

– ვიცი, უბრალოდ მინდა, რომ დარწმუნებული ვიყო.

– მე იქამდე დავინახავ ამას, სანამ შენ იქნები დარწმუნებული, თუ შეცვლი გადაწყვეტილებას, ეს ხილვა უბრალოდ გაქრება.

– ეს არ მოხდება.

ელისი შემომეხვია.

– ძალიან ვწუხვარ, რომ ამის გაზიარება არ შემიძლია, პირველი ხილვა, რომელიც მახსოვს, ის იყო, რომ ჯასპერი დავინახე, ყოველთვის ვიცოდი, რომ ცხოვრება მასთან მიმიყვანდა, ერთადერთი რაც შემიძლია თანაგრძნობაა, მართლა ვწუხვარ რომ მათ შორის გიწევს არჩევანის გაკეთება.

– ნუ გეცოდები.

იყვნენ სხვა ადამიანები, რომლებიც მართლა იმსახურებდნენ სიმპატიას და მე არ ვეკუთვნოდი მათ რიცხვს, მე არჩევანი არ მქონდა, მთელი ჩემი ყურადღება ეხლა იმაზე იყო გადართული, რომ შეყვარებული ადამიანის გული უნდა გამეტეხა.

– წავალ ჩარლის მივხედავ,- ვთქვი მე.

სახლში ჩემი პიკაპით მივედი, ჩარლი უკვე მელოდებოდა.

– სალამი, ბელა, როგორ ჩაიარა შოპინგმა? – მომესალმა ის როცა სამზარეულოში შევედი.

– ეს საკმაოდ დამღლელი იყო,- სულელურად ვუპასუხე მე,- ეხლა დავბრუნდით.

ჩარლი ჩემს ხასიათს აფასებდა.
– ალბათ უკვე გაიგე ჯეიკზე?

– კი, დანარჩენი კალენები ჩვენამდე დაბრუნდნენ, ესმემ მითხრა სადაც იყვნენ ედვარდი და კარლაილი.

– კარგად ხარ?

– ჯეიკობზე ვნერვიულობ, როგორც კი სადილს გავაკეთებ მის მოსანახულებლად წავალ.

– მე ხომ გაფრთხილებდი, რომ მოტოციკლეტები საშიში იყო, იმედი მაქვს ეხლა მაინც მიხვდი ამას.

თავი დავუქნიე და მაცივრიდან საჭმელი გამოვიღე, ჩარლი მაგიდასთან დაჯდა, ჩვეულებრივთან შედარებით, დღეს მეტს ლაპარაკობდა.

– მემგონი ძალიან არ უნდა ნერვიულობდე მასზე, ის ვინც ასე ენერგიულად ილანძღება, სწრაფად იშუშებს იარებს.

– ჯეიკობი გონებაზე იყო, როცა ნახე?

– კი, ნეტავ მოგესმინა, თუმცა არა, ჯობია კიდეც რომ ვერ მოისმინე, არა მგონია რომ ლაპუშზე ვინმე სხვასაც ჰქონდეს ასეთი სიტყვების მარაგი, იმედი მაქვს ის შენი თანდასწრებით მას არ იყენებს ხოლმე.

– დღეს ეპატიება, როგორ გამოიყურებოდა?

– ისე რა, მისმა მეგობრებმა მოიყვანეს, კიდევ კარგი, რომ ძლიერი ბიჭები არიან, ჯეიკი საკმაოდ მძიმეა, კარლაილმა თქვა, რომ მარჯვენა ხელი და ფეხი აქვს მოტეხილი, მთელი მარჯვენა მხარე პარალიზებული აქვს,- ჩარლიმ უარყოფითად გაიქნია თავი,- კიდევ ერთხელ რომ გავიგო, რომ შენ ისევ ატარებ მოტოციკლეტს, ბელა...

– გასაგებია, არავითარი პრობლება, ანუ შენ გგონია, რომ ჯეიკობი კარგად არის?

– დარწმუნებული ვარ, მაიმუნობის ძალაც კი ჰქონდა.
– მაიმუნობის?

– ხო, როცა გინება დაამთავრა, მან მითხრა: “დავნიძლავდეთ, რომ დღეს გიხარია, რომ კალენი უყვარს და მე არა, ხო?”

მაცივრისკენ შევბრუნდი, რომ მამაჩემს ჩემი სახე არ დაენახა.

– და მას არც შევეკამათე,- თქვა ჩარლიმ - როცა საქმე შენს უსაფრთხოებას ეხება, ედვარდი მეტ პასუხისმგებლობას იჩენს, ამას ვერ დავუკარგავ.

– ჯეიკობიც არ არის უპასუხისმგებლო,- დავიცავი მე,- დარწმუნებული ვარ ეს არ იყო მისი ბრალი.

ჩარლი ერთი წუთი ფიქრობდა.

– იცი, დღეს უცნაური დღე იყო, ცრურწმენების არ მჯერა მაგრამ, ბილი თითქოს გრძნობდა, რომ ჯეიკობს რაღაც დაემართებოდა, ის ისე ნერვიულობდა მთელი დღის განმავლობაში, როგორც ინდაური მადლიერების დღეს, მემგონი არც კი მისმენდა, როცა ველაპარაკებოდი და კიდევ ყველაზე უცნაური, გახსოვს თებერვალში და მარტში მგლებთან რომ გვქონდა პრობლემები?

– კი, - ჩავიბურტყუნე მე და ტაფის გამოსაღებად დავიხარე, რომ დავმალულიყავი.

– იმედი მაქვს ასეთი პრობლემები აღარ გვექნება, დღეს დილით მე და ბილი ნავში ვისხედით, ის არც მე მაქცევდა ყურადღებას და არც თევზს, როცა ტყიდან საშინელი მგლის ყმუილი გაისმა, ალბათ რამოდენიმე იქნებოდა და ხმა ისეთი იყო, თითქოს ისინი ახლოს იყვნენ დასახლებასთან, ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ ბილიმ ნავი მოატრიალა და ზუსტად იქითკენ წავიდა, ისე თითქოს მათ დაუძახეს, არც კი მისმენდა როცა ვეკითხებოდი ეს რა იყო, როცა ნაპირთან მივედით ხმაური შეწყდა, ბილიმ აიჩემა, რომ თამაში იწყებოდა, არა და რამოდენიმე საათი კიდევ გვქონდა, შემდეგ რაღაც თამაში იპოვა და ისე ჩაუჯდა თითქოს აინტერესებდა, ამ დროს კი არც უყურებდა, სულ ტელეფონზე ეკიდა, ჯერ სიუს ურეკავდა, მერე ემილის, ვერც კი მივხვდი რას ეკითხებოდა, ცოტა ხნის შემდეგ ყმუილი პირდაპირ სახლთან გაისმა, მსგავსი არაფერი გამიგია ცხოვრებაში, ყვირილი დავიწყე, რომ ბილისთვის რამე გამეგებინებინა, ვიფიქრე, რომ პირდაპირ ეზოში დადგა ხაფანგი, იმიტომ რომ მგელი ისე ყმუოდა თითქოს იტანჯებოდა.

გამაურიალა, მაგრამ ჩარლი ისეთი გატაცებული იყო მოყოლით, რომ ვერც შეამჩნია.

– შემდეგ ეს ყველაფერი დამავიწყდა, რადგან ჯეიკობი მოიყვანეს, ჯერ მგელი ყმუოდა, მეორე წუთას კი ჯეიკობის ლანძღვა-გინებამ გადაფაარა ყველაფერი.
– მაგრამ ამ უცნაურობებს რაღაც მაინც მოჰყვა კარგი, არ მეგონა რომ ლაპუშზე როდესმე აზრს შეიცვლიდნენ კალენებზე, მაგრამ ვიღაცამ კარლაილს დაურეკა და ბილი ძალიან მადლიერი იყო, როცა ის მოვიდა, მეგონა საავადმყოფოში მოგვიწევდა ჯეიკობის წაყვანა, მაგრამ ბილიმ მისი სახლში დატოვება გადაწყვიტა და კარლაილიც დაეთანხმა, მართლა ძალიან კეთილშობილურია მისი მხრიდან, რომ ავადმყოფის მოვლას დათანხმდა.
– და.. ედვარდიც ძალიან კეთილი იყო, ის ისე ნერვიულობდა ჯეიკობზე, თითქოს იქ მისი ძმა იწვა, მისი თვალები, - ჩარლიმ თავი გაიქნია,- ის ღირსეული ყმაწვილია ბელა, შევეცდები ეს დავიმახსოვრო, ვერ შეგპირდები მაგრამ ვეცდები.

– მე არ გაძალებ,- ჩავიბურტყუნე მე.

ჩარლიმ ფეხები გაშალა და თავი გადაწია უკან.
– რა კარგია ისევ სახლში ყოფნა, ბილის პატარა სახლში საგიჟეთი იყო, ჯეიკობის შვიდი მეგობარი ძლივძლიობით ეტეოდა პატარა ოთახში, ვეღარ ვსუნთქავდი, შეგიმჩნევია რამხელები არიან ზომით მისი მეგობრები?

– კი, მამა.

ჩარლიმ ისევ მე შემომხედა.
– ბელა, კარლაილმა თქვა, რომ ჯეიკობი მალე შეძლებს ადგომას.

უბრალოდ თავი დავუქნიე.

ჩარლის სადილი დავუდე წინ და კარისკენ გავემართე.

– ეი, ბელა, შეგიძლია ერთ წამს მოიცადო?

– რამე დამავიწყდა,- ვიკითხე მე და თეფშს შევხედე.

– არა, არა, უბრალოდ მინდა რაღაც გთხოვო, დაჯექი ბევრ დროს არ წაგართმევ.

ოდნავ გაკვირვებული სახით დავუჯექი წინ.

– რა არის მამა?

– საქმე იცი რაშია, - გაწითლდა ჩარლი,- შეიძლება მე ზედმეტად ცრუმორწმუნე გავხდი დღევანდელი ამბების შემდეგ, მაგრამ მაინც ვგრძნობ, რომ მალე დაგკარგავ.

– მამა, ნუ სულელობ, - ვთქვი მე დამნაშავედ, - რა გინდა, რომ ისევ სკოლაში დავბრუნდე?

– უბრალოდ დამპირდი ერთ რამეს.

– კარგი...

– შენ ხომ გამაფრთხილებ, სანამ მასთან ერთად გაქცევას ან რაიმე მსგავს გადაწყვიტავ?

– მამა, - ავწუწუნდი მე.

– სერიოზულად გეუბნები, ერთ ამბავს არ ავტეხავ, უბრალოდ გამაფრთხილე და მომეცი საშუალება დაშვიდობების წინ მოგეხვიო მაინც.

– ეს სისულელეა, მაგრამ თუ ასე გინდა, გპირდები.

– მადლობთ, ბელა,- მითხრა მან, - მიყვარხარ პატარავ.

– მეც მიყვარხარ მამა, - ვთქვი მე, მხარზე ხელი დავადე და მაგიდიდან ავდექი,- თუ რამე დაგჭირდება ბილისთან ვარ.

უკან არც მომიხედია, როცა სახლიდან გამოვედი, ეს ზუსტად ის იყო რაც ეხლა მჭირდებოდა, ჩემს თავზე ვბრაზდებოდი, სანამ ლაპუშამდე მივდიოდი.

კარლაილის შავი მერსედესი არ იდგა ბილის სახლთან, ეს კარგიც იყო და ცუდიც, ნათელი იყო, რომ ჯეიკობთან პირისპირ უნდა მელაპარაკა, მაგრამ მინდოდა ედვარდიც მყოლოდა გვერდით, როგორც მაშინ, როცა ჯეიკობი ჯერ კიდევ უგონოდ იყო, ეს წარმოუდგენელი იყო, მაგრამ მე უკვე მაკლდა ედვარდი, იმიტომ რომ თითქმის მთელი დღე ელისთან გავატარე, ვიცოდი, უკვე ვიცოდი რომ მის გარეშე ვერ ვიცოცხლებდი, მაგრამ, ეს ფაქტი არ მიყუჩებდა ტკივილს იმის გამო, რაც ეხლა უნდა გამეკეთებინა.

ჩუმად დავაკაკუნე კარზე.

– შემოდი, ბელა,- მითხრა ბილიმ, რა თქმა უნდა პიკაპის ხმას იცნობდა.

– სალამი ბილი, გაიღვიძა?

– დაახლოებით ნახევარი საათის წინ გაიღვიძა, სანამ ექიმი წავიდოდა, მიდი მასთან, მგონი სწორედ შენ გელოდება.

– მადლობთ,- ვთქვი მე და ღრმად ჩავისუნთქე.

ცოტახანს გავჩერდი ჯეიკობის კართან, არ ვიცოდი დამეკაკუნებინა თუ არა, გადავწყვიტე, რომ არ დამეკაკუნებინა, იმედი მქონდა, რომ ისევ ეძინებოდა, კარი ოდნავ შევაღე და ოთახში შევიხედე.

ჯეიკობი მელოდებოდა, სახე მშვიდი ჰქონდა და არავითარ ემოციას არ გამოხატავდა, ის დაღლილი და გატანჯული იყო, თვალები ისე აღარ უბრწყინავდა. კარგი იყო, რომ ვიღაცამ პლედი გადააფარა, უფრო მარტივი იყო, როცა არ ვხედავდი რამდენად იყო დაშავებული.

შევედი და ჩუმად მოვიხურე კარი.

– სალამი ჯეიკობ.

თავიდან მან არ მიპასუხა, უბრალოდ მიყურებდა, შემდეგ თითქოს აიძულა თავის და ჩაიფხუკუნა.

– ხო, რაღაც მსგავსს ველოდებოდი, დღეს ყველაფერი უარესისკენ შეიცვალა, ჯერ ის ადგილი არ ავირჩიე, საუკეთესო ბრძოლა გამოვტოვე და მთელი დიდება სეთს შეხვდა, შემდეგ სულელმა ლეამ გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ ჩვენზე არანაკლებ მაგარია და მე ის იდიოტი აღმოვჩნდი, რომელმაც გადაარჩინა და ეხლა ეს,- მან მარცხენა ხელი ჩაიქნია იმ მხარეს სადაც მე ვიდექი.

– თავს როგორ გრძნობ? - ამოვთქვი მე, რა იდიოტური კითხვა იყო.

– ოდნავ შებოჭილი ვარ, ეშვებიანი ექიმი არ არის დარწმუნებული რამდენი ტკივილგამაყუჩებელი მჭირდება და მემგონი ზედმეტი მომცა.

– ე.ი ეხლა არაფერი გტკივა?

– არა, ჭრილობების გამო ტკივილს არ ვგრძნობ..

ტუჩზე ვიკბინე, ნეტავ რატომ არ მომკლეს, როცა სიკვდილი მინდოდა.

ბოროტმა იომორმა გაიარა და ჯეიკობის მზერაც დათბა.

– შენ როგორ ხარ? ყველაფერი რიგზეა?

– მე?

–ნუ.. მე კი ვიცი, რომ არაფერს გიზავდა, მაგრამ ალბათ საშინლად იყო განრისხებული, რაც გავიღვიძე ჭკუაზე აღარ ვარ შენზე ნერვიულობით, არ ვიცოდი მოგცემდა თუ არა უფლებას გენახე, ლოდინი მტანჯველი იყო, როგორ ჩაიარა ყველაფერმა? გაბრაზებული იყო შენზე? მაპატიე არ მინდოდა, რომ ეს მარტოს გადაგეტანა, მეგონა, რომ იქ ვიქნებოდი..

წუთი დამჭირდა, რომ მივმხვდარიყავი რაზე ლაპარაკობდა.

– არა, არა, ჯეიკობ, ყველაფერი რიგზეა, რა თქმა უნდა ის არ გაბრაზდა.

მისი თვალები გაოცებისგან გაფართოვდა.

– რა?

– მან არაფერი არ მითხრა, შენზეც კი არ იყო გაბრაზებული, ის ისეთი კეთილშობილია და მე ამის გამო უარესად ვგრძნობ თავს, კარგი იქნებოდა, რომ გამოველანძღე, ამაზე უარესსაც კი ვიმსახურებდი, მაგრამ ეს არ ანერვიულებს, უბრალოდ უნდა, რომ ბედნიერი ვიყო.

– ის არ გაბრაზდა? – კიდევ ერთხელ იკითხა ჯეიკობმა.

– არა, ის ზედმეტად კეთილი იყო.

– გასაგებია, ჯანდაბა! - ჯეიკობის გამომეტყველება მომენტალურად შეიცვალა.

– რა მოხდა, ჯეიკობ, რამე გტკივა?

– არა, - იყვირა მან,- არც კი მჯერა, მან ულტიმატუმი ან რამე მსგავსიც არ შემოგთავაზა?

– არაფერი მსგავსი, რა გჭირს?

– იმედი მქონდა, რომ სხვანაირი რეაქცია ექნებოდა, იმაზე ეშმაკი ყოფილა, ვიდრე მე მეგონა.

– ის არავითარ თამაშს არ თამაშობს,- ვთქვი მე ჩუმად.

– დავნიძლავდეთ, რომ სწორედ ასე იქცევა და ჩემზე მეტადაც ინდომებს, მან ზუსტად იცის რასაც აკეთებს ჩემგან განსხვავებთ, სამწუხაროდ მე არ მაქვს

იმდენი ცხოვრებისეული გამოცდილება როგორც მას, ის კარგად მანიპულირებს შენით.

– არ მანიპულირებს!

– როგორ არა! ბოლოს და ბოლოს როდის გაიღვიძებ და მიხვდები, რომ არც თუ ისეთი იდეალურია, როგორიც შენ გგონია?

– ყოველშემთვევაში ის იმით არ მაშინებს, რომ წავა და თავს მოიკლავს, იმისთვის რომ ვაკოცო,- ვთქვი მე და გავჩედი,- გეფიცები ამის თქმას არ ვაპირებდი.

მან ღრმად ჩაისუნთქა.
– რატომ არა.

– იმიტომ, რომ აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ რამეში დაგადანაშაულო.

– თუმცა ეს სიმართლეა, მე ზუსტად ასე მოვიქეცი.

– არაუშავს ჯეიკობ, არ ვბრაზდები.

– ვიცი, რომ მაპატიებ,- გამიღიმა მან,- და მიხარია, რომ ეს გავაკეთე, ერთს მაინც მივაღწიე, გაიძულე დაგენახა, რომ გიყვარვარ.

– მართლა? უკეთესი არ იქნებოდა, რომ ეს არ მცოდნოდა?

– შენ იმსახურებ იმას, რომ იცოდე რას გრძნობ, რომ ეს მაშინ არ დაგატყდეს თავს, როცა გათხოვილი ვამპირი იქნები.

– არა, მე ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ, ეს შენთვის იქნებოდა უკეთესი, ეს ხომ მაინც არაფერს ცვლის.

ჯეიკობმა ყველა სიტყვა დაალაგა სანამ დაილაპარაკებდა.

– კარგია, რომ ეს იცი, რომ არ გაგეგო, სულ ეჭვებში ვიქნებოდი შეცვლიდი თუ არა გადაწყვეტილებას, ეხლა ვიცი, რომ ყველაფერი გავაკეთე,- ჯეიკობის სუნთქვა აირია და მან თვალები დახუჭა.

არ შემეძლო არ დამემშვიდებინა, პატარა ოთახი გადავკვეთე და მის თავთან დავდექი მუხლებზე, მეშინოდა საწოლზე დაჯდომის, რომ რამე არ მეტკინა მისთვის, წინ წავიწიე და შუბლი მივადე ლოყაზე.

ჯეიკობმა ამოისუნთქა და ხელი დამადო თავზე.

– ძალიან ვწუხვარ, ჯეიკობ.

– ყოველთვის ვიცოდი, რომ ძალიან ბევრი მინდოდა, ეს შენი ბრალი არ არის ბელა.

– შენიც არ არის, კარგი რა!

ის გაიწია და შემომხედა.

– რა?

– ეს ჩემი ბრალია და ვერ მოვიტყუები, რომ არაფერს შუაში ვარ.

– გინდა რომ გამოგლანძღო?- გაეცინა მას.

– საერთოდ, მემგონი კი.

.

მისი ღიმილი გაბრაზებული ნიღბით შეიცვალა.

– ჩემს კოცნაზე პასუხი არ იყო სწორი, თუ იცოდი, რომ ჩვენს შორის მაინც არაფერი იქნებოდა, არ უნდა ყოფილიყავი ასეთი დამაჯერებელი.

– მაპატიე.

– ეს არაფერს გამოასწორებს, რაზე ფიქრობდი, ბელა?

– არ ვფიქრობდი.

– ჯობდა, რომ სასიკვდილოდ გაგეგზავნე, ხომ ეს გინდოდა?

– არა, ჯეიკობ,- ვიყვირე მე და ცრემლებს ვებრძოდი,- არასდროს!

– შენ ხომ არ ტირი? – მითხა მან ისევ მშვიდად.

– კი,- ჩავიბურტყუნე მე და ტირილი დავიწყე.

ის შემოტრიალდა და ჯანმრთელი ფეხი იატაკზე გადმოწია, თითქოს ადგომას აპირებდა.

– რას აკეთებ სულელო? იწექი, უარესად გახდები,- წამოვხტი და მხარზე მივაწექი.

ის დამნებდა და ისევ საწოლზე გადაგორდა, წელზე მომკიდა ხელი და თავის გვერდით დამაწვინა, ვერაფრით ვაჩერებდი ცრემლებს.

– არ მჯერა, რომ ტირი, ხომ იცი, რომ ეს ყველაფერი იმიტომ გითხარი, რომ ამის მოსმენა გინდოდა, ეს სიმართლე არ არის.

– ვიცი,- ღრმად და ნელა ვსუნთქავდი, რომ დავწყნარებულიყავი, როგორ მოხდა ისე, რომ მე ვტიროდი და ის მაწყნარებდა? – ეს ყველაფერი მართალია, მადლობთ, რომ ხმამაღლა თქვი.

– ბელა, ძვირფასო, ნუ ნერვიულობ, ყველაფერი მოგვარდება.

– როგორ?

მან თავზე გადამისვა ხელი.
– მე ვნებდები და ამის მერე კარგად მოვიქცევი.

– კიდევ ერთი თამაში? – ვკითხე მე და თავი ავწიე, რომ მისი სახე დამენახა.

– ალბათ,- გაეცინა მას, - მაგრამ ვეცდები.

მოვიღუშე.

– ბელა, ნუ ხარ პესიმისტი.

– რას ნიშნავს კარგად მოვიქცევი?

– შენი მეგობარი ვიქნები, ბელა და არაფერს აღარ მოგთხოვ.

– მემგონი მეგობრობისთვის უკვე გვიანია, როგორ უნდა ვიმეგობროთ, როცა ასე გვიყვარს ერთმანეთი?

– ალბათ... ეს დიდი მანძილზე მეგობრობა იქნება.

კბილები დავაჭირე ერთმანეთს, კარგი იყო, რომ ჩემს სახეს ვერ ხედავდა, ძლიერი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ არ ვიცოდი საიდან მეპოვა ეს ძალა.

– იცი ის თქმულება ბიბლიიდან? – უეცრად მკითხა მან,- ის, მეფეზე და ორ ქალზე, რომლებიც ბავშვს იყოფდნენ.

– რა თქმა უნდა, მეფე სოლომონი.

– ზუსტად, მეფე სოლომონი! მან ბრძანება გასცა, რომ ბავშვი შუაზე გაეჭრათ, მაგრამ ეს მხოლოდ გამოცდა იყო, იმისთვის, რომ დაენახა, რომელი იტყოდა ამაზე უარს ბავშვის დასაცავად.

– ხო, მახსოვს.

მან მე შემომხედა.

– ბელა, აღარ ვაპირებ შენს შუაზე გაჭრას.

მივხვდი რისი თქმაც უნდოდა, ის მიმტკიცებდა, რომ ყველაზე მეტად ვუყვარდი, მინდოდა ედვარდი დამეცვა და მეთქვა, რომ ისიც ზუსტად ასე მოიქცეოდა, მაგრამ ეხლა კამათს აზრი არ ჰქონდა, ამითი კიდევ უფრო ვატკენდი გულს.

ხელი ავიფარე სახეზე, მინდოდა ამ ტკივილის გაკონტროლება მცოდნოდა, რამოდენიმე ხანი ჩუმად ვიყავით, ის მელოდებოდა, სანამ რამეს ვიტყოდი, მე კი არ ვიცოდი რა მეთქვა.

– გინდა მოგიყვე რა არის ჩემთვის ყველაზე უარესი? – მკითხა მან, როცა მიხვდა, რომ ხმას არ ამოვიღებდი,- წინაამღდეგი ხომ არ ხარ?

– და ეს რამეს უშველის? – ჩავიჩურჩულე მე.

– ალბათ, ყოველშემთხვევაში არ ავნებს.

– მაშინ რა არის ყველაზე უარესი?

– საშინელებაა იმის ცოდნა, ყველაფერი როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო, მე იდეალურად შეგეფერები ბელა, ჩვენთვის ყველაფერი ისეთი ადვილი იქნებოდა, როგორც სუნთქვა, ჩვენ ჩვეულებრივი ცხოვრება გვექნებოდა, ეს ცხოვრება, რომ ნორმალური ყოფილიყო და გარშემო ამდენ ურჩხულს და ზღაპარს არ ეარსება.

ის მართალი იყო, ეს სამყარო რომ ჩვეულებრივი ყოფილიყო, მე და ის ერთად ვიქნებოდით, ის ჩემი მეორე ნახევარი იქნებოდა, მომავლის ორი შესაძლო ვარიანტი, ორი მონათესავე გული... და ყველაზე უარესი ის იყო, რომ ამის გამო მარტო მე არ უნდა მეგო პასუხი, ჯეიკობის ტკივილი ძალიან დიდი საფასური იყო, ნეტავ იგივეს თუ ვიგრძნობი ერთხელ უკვე რომ არ დამეკარგა ედვარდი და არ მცოდნოდა რას ნიშნავდა უიმისოდ ცხორება, ეს მოგონება ჩემი ნაწილი იყო და ჯერ არ ვიცოდი, როგორ ვიგრძნობდი თავს ჯეიკობის გარეშე.

– ის ნარკოტიკივით არის შენთვის, ბელა,- აგრძელებდა ჯეიკობი რბილი ხმით,- ეხლა ვხვდები, რომ მის გარეშე ვერ იცოცხლებ, უკვე ძალიან გვიანია, მაგრამ მე უფრო ჯანსაღი ვიქნებოდი შენთვის, ნარკოტიკი კი არა, ჰაერი და მზე.

ამაზე გამეღიმა.
– იცი, სწორედ ასე ვფიქრობდი შენზე, შენ ჩემი პირადი მზე ხარ, რომელმაც ყველა ღრუბელი განდევდა ჩეს თავზე.

– ღრუბლებს ვერევი, მაგრამ დაბნელებასთან ბრძოლა არ შემიძლია.

ხელი დავადე ლოყაზე და მან თვალები დახუჭა.

– შენთვის რა არის ყველაზე უარესი? – მკითხა მან.

– არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

– გთხოვ.

– ეს ტკივილს მოგაყენებს.

– გთხოვ.

– ყველაზე უარესი ის არის, რომ მე უკვე ვხედავ ჩვენს ცხოვრებას ერთად და მე ის მინდა, ჯეიკობ, მინდა, რომ ყველაფერი ზუსტად ასე იყოს, მინდა, რომ დავრჩე და აღარ წავიდე, მინდა, რომ მიყვარდე და ბედნიერი გაგხადო, მაგრამ ეს არ შემიძლია და ეს მკლავს, როგორც სემის და ემილის შემთხვევაში, მეც არ მაქვს არჩევანი, ყოველთვის ვიცოდი, რომ არაფერი შეიცვლებოდა.

დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ სუნთქვა აღედგინა.

– ეს ყველაფერი არ უნდა მეთქვა.

მან თავი გაიქნია.
– არა, მიხარია, რომ მითხარი, მადლობთ, გპირდები კარგად ვიქნები,- მითხრა მან და თავზე მაკოცა.

მე მას შევხედე, ის კი იღიმებოდა.

– ე.ი გათხოვებას აპირებ?

– ამაზე ლაპარაკი არ არის საჭირო.

– მინდა, რომ რაღაც დეტალები ვიცოდე, არვიცი კიდევ როდის შევძლებ შენს ნახვას.

წუთი დამჭირდა, რომ ძალა მომეკრიბა და ლაპარაკი დამეწყო.

– ეს ჩემი იდეა არ არის, მაგრამ მისთვის ეს ბევრს ნიშნავს, ვიფიქრე რატომაც არა?

– ეს მართალია, მაგრამ არც თუ ისეთი დიდი მოვლენაა იმასთან შედარებით..

– ხო, იმასთან შედარებით, არა- დავეთანხმე მე.

– რამდენი დრო დაგრჩა?

– ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენი დრო დასჭირდება ელისს, რომ ქორწილის ორგანიზაცია გააკეთოს,- უკვე წარმოდგენილი მქონდა რას მოიმოქმედებდა ელისი.

– მანამდე თუ მერე? – მკითხა მან ჩუმად.

– მერე.

ამან დაამშვიდა და თავი დამიქნია.

– გეშინია? – ჩურჩულით მკითხა მან.

– კი.

– რისი გეშინია?

– ბევრი რამის,- შევეცადე, რომ ჩვეულებრივად მელაპარაკა, - მაზოხისტი არ ვარ და ამიტომ ტკივილისაც მეშინია, კიდევ მინდა, რომ შორს ვიყო და ამ დროს ის ჩემთან ერთად არ იტანჯებოდეს, მაგრამ ალბათ ესე არ გამოვა, კიდევ რენეზე და ჩარლიზე ვნერვიულობ, იმედი მაქვს, რომ მალე ვისწავლი თავის გაკონტროლებას და ხროვას ჩემი მოკვლა არ მოუწევს.

– ჩემს ნებისმიერ ძმას დავასახიჩრებ, თუ შენთან ახლოს მოსვლას ეცდებიან.

– მადლობთ.

– მაგრამ ეს საშიში არ არის? თქმულებებში ამბობენ, რომ ეს საკმაოდ ძნელია და ხალხი იხოცება ხოლმე.

– არა, ამის არ მეშინია სულელო, ამ ზღაპრების კიდევ გჯერა?

თავი წინ გავწიე და ლოყა დავადე მის ცხელ კანს.
– ხომ იცი, რომ მიყვარხარ.

– ვიცი,- ამოიოხრა მან, - შენ იცი, როგორ მინდა, რომ ეს საკმარისი იყოს.

– კი.

– მე ყოველთვის დაგელოდები ბელა, - მითხრა მან და ხელი გამიშვა, მე სულელური სახით გავეცალე, ვგრძნობდი, რომ ჩემს ნახევარს აქ ვტოვებდი მის საწოლზე,- შენ ყოველთვის გექნება მეორე ვარიანტი, მთავარია მოინდომო.

– სანამ ჩემი გული ძგერს.

მას გაეცინა.
– მემგონი ამის მერეც მიგიღებ თუ რა თქმა უნდა საშინელი სუნი არ გექნება.

– დავბრუნდე შენს სანახავად, თუ ჯობია, რომ ეს არ გავაკეთო?

– მოვიფიქრებ და გიპასუხებ, ალბათ კომპანია დამჭირდება, რო არ გავგიჟდე, ვამპირი სუპერ ქირურგი მეუბნება, რომ საწოლში უნდა ვეგდო, სანამ ადგომის უფლებას არ მომცემს.

– ჭკვიანად მოიქეცი და დაუჯერე კარლაილს.

– კარგი, კარგი.

– საინტერესოა ეს როდის მოხდება? როდის მოგხვდება თვალებში საჭირო გოგონა.

– ამის იმედი დიდად ნუ გექნება, ბელა.

– ნეტავ ვიეჭვიანებ?

– ამის ყურება საინტერესო იქნება.

– მითხარი, თუ ჩემი მოსვლა გენდომება და მოვალ,- შევპირდი მე.

მან ამოისუნქა და ლოყა მომიშვირა.

დავიხარე და ნაზად ვაკოცე.
– მიყვარხარ ჯეიკობ.

– მე უფრო მიყვარხარ, - თქვა მან და გაეცინა.

გაუგებარი გამომეტყველება ჰქონდა, როცა ოთახიდან გავედი.

თავი 27

ვალდებულებები

არ მქონდა მანქანის ტარების თავი და ამიტომ შორს ვერ წავედი.
როცა უკვე ვეღარ ვიყურებოდი თვალებიდან, მანქანა გავაჩერე, ღრმად ჩავიძირე სავარძელში და მივეცი უფლება სისუსტეს, რომელსაც ჯეიკობთან ვმალავდი თავს დამტყდომოდა, ყველაფერი იმაზე რთული და მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე მე ვვარაუდობდი, მომხდარის გააზრებამ ძალიან მტკივნეულად დამარტყა, მართალი ვიყავი, როცა ამ მდგომარეობას ვუმალავდი ჯეიკობს, ეს არავის არ უნდა ენახა.
მაგრამ მარტო ცოტახანს ვიყავი, ზუსტად იმდენი ხანი, რამდენიც ელისს დასჭირდა ჩემს დასანახად და კიდევ რამოდენიმე წუთი სანამ ის მოვიდოდა, კარმა დაიჭრიალა და ედვარდმა ხელში აყვანილი გამომიყვანა მანქანიდამ.

თავიდან ამისგან უარესად ვიგრძენი თავი, იმიტომ, რომ ჩემი პატარა ნაწილი, მიყვიროდა და სულ სხვა ხელების შეხებას ითხოვდა, შემდეგ დანაშაულის გრძნობა გაჩნდა და ეს ტკივილი ამოაშრო.

ედვარდმა არაფერი არ მითხრა და საშუალება მომცა ცრემლები დამეღვარა, სანამ ისტერიკისგან ჩარლის სახელის ბურტყუნი არ დავიწყე.

– მართლა მზად ხარ სახლში წასასვლელად? – მკითხა მან დაეჭვებულმა.

რამოდენიმე მცდელობის შემდეგ, როგორღაც გავაგებინე, რომ უახლოეს მომავალში უკეთ არ გავხდებოდი, იქამდე უნდა მივბრუნებულიყავი სახლში სანამ ჩარლი ბილის დაურეკავდა.

მან სახლში წამიყვანა, ჩემი პიკაპი საკმაოდ ნელა მიჰყავდა და ცალი ხელით მეხვეოდა, თავიდან მომეჩვენა, რომ აზრი არ ჰქონდა მცდელობებს, მაგრამ არ ვნებდებოდი “ კიდევ რამოდენიმე წამი” - ვარწმუნებდი მე ჩემს თავს – “უბრალოდ მომიწევს რამოდენიმეჯერ პატიება ვთხოვო ან მოვატყუო და მერე ისევ შემიძლია გავტყდე, ეს უნდა გავაკეთო”
ჩემი ქვითინი თითქოს შეწყდა, მაგრამ ცრემლებს მაინც ვერ ვაჩერებდი, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, რომ ეს ნაკადი შემერებინა.

– ზევით დამელოდე,- ამოვთქვი მე როცა სახლთან მივედით.

ის მომეხვია და გაქრა.

როგორც კი სახლში შევედი მაშინვე კიბისკენ გავემართე.

– ბელა? – დამიძახა ჩარლიმ თავისი ჩვეულებრივი ადგილიდან, ტახტიდან.
მისკენ შევბრუნდი, თვალები გაუფართოვდა შიშისგან და ფეხზე წამოხტა.

– რა მოხდა? ჯეიკობი?

გაღიზიანებულმა გავიქნიე თავი და შევეცადე რამე მეთქვა.

– ის კარგად არის,- ფიზიკურად ნამდვილად ასე იყო და ჩარლის სწორედ ეს აინტერესებდა.

– მაგრამ რა მოხდა? – მკითხა მან და მხრებში მომკიდა ხელი, - შენ რა დაგემართა?

ალბათ იმაზე უარესად გამოვიყურებოდი, ვიდრე მეგონა.
– არაფერი, მამა, უბრალოდ ჯეიკობს უნდა დავლაპარაკებოდი რაღაცაზე, ეს საკმაოდ რთული იყო, მე კარგად ვარ.

– და ეს მაინცდამაინც ეხლა უნდა გაგეკეთებინა? - თქვა მან უკვე გაბრაზებულმა.

– ალბათ, არა, მამა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, არჩევანის გაკეთების დრო მოვიდა.

მან ნელა გაიქნია თავი.

– რა რეაქცია ჰქონდა ამაზე?

არ ვუპასუხე.

ის კიდევ ცოტახანს მიყურებდა და შემდეგ თავი დამიქნია, ეს საკმარისი პასუხი იყო.
– იმედი მაქვს ეს მის გამოჯანმრთელებაზე არ იმოქმედებს.

ჩემი თვითკონტროლი უკვე ნოლის ტოლფასი იყო.

– ჩემს ოთახში ვიქნები.

– კარგი,- მითხრა ჩარლიმ, ალბათ მან შეამჩნია, რომ ცოტაც და ავქვითინდებოდი, ამაზე მეტად არაფერი აშინებდა.

ბორძიკით და ტირილით შევედი ჩემს ოთახში.
როგორც კი შიგნით აღმოვჩნდი ჩემი სამაჯურის გასახსნელთან დავიწყე ჭიდაობა, მინდოდა, რომ მომეხსნა.

– არა, ბელა, ჩურჩულით მითხრა ედვარდმა და ხელები დამიჭირა, - ეს შენი ნაწილია.

ის ძლიერად მომეხვია და ისევ ავქვითინდი.

ჩემი ყველაზე გრძელი დღე უკვე უსასრულობამდე იწელებოდა, ნეტავ როდის დამთავრდებოდა ის.

მიუხედავად იმისა რომ ღამე ნელა იწელებოდა, ის მაინც არ იყო ყველაზე უარესი ჩემს ცხოვრებაში, სიმშვიდე ვიპოვე მის უსასრულობაში და მე მარტო არ ვიყავი, სწორედ ეს იყო მთავარი.

ჩარლის ეშინოდა ამ მდგომარეობაში ვენახე და ამიტომ ჩემს შესამოწმებლად არ შემოსულა.

ჩემი მზერა წარსულში დღეს უფრო აუტანლად ნათელი იყო, ყოველ ჩემს მიერ დაშვებულ შეცდომას ვხედავდი, ვხედავდი ტკივილს, რომელსაც ჯეიკობს და ედვარდს ვაყენებდი, ყველაფერი თითქოს ერთმანეთზე ეწყო და მათ გვერდს ვერ ავუვლიდი.
მივხვდი, რომ ვცდებოდი, როცა ორივეს მაგნიტად წარმოვიდგენდი, მე სულაც არ მინდოდა ჯეიკობის და ედვარდის შეერთება, ეს ჩემი ორი ნახევარი იყო, ედვარდის ბელა და ჯეიკობის ბელა, მაგრამ ისინი ერთად ვერ იარსებებდნენ.

ამ ღამეს ის პირობა გამახსენდა, რომელიც ჩემს თავს დილით მივეცი, ედვარდი ვეღარასდროს ნახავდა ცრემლებს, რომელსაც ჯეიკობის გამო ვღვრიდი, ამ აზრისგან ისტერიკა დამემართა, რამაც ცრემლებზე მეტად შეაშინა ის, მაგრამ ამანაც მალე გაიარა.

ედვარდი თითქმის არაფერს ამბობდა, ის უბრალოდ გვერდზე მეწვა და უფლება მომცა მისი პერანგი ცრემლებით გამეფუჭებინა.

ეს იმაზე დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე მეგონა, ჩემს ერთ ნაწილს დიდი დრო დასჭირდა, რომ ყველაფერი გამოეტირა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი დამთავრდა და დაცარიელებულმა დავიძინე.
დილამ თითქმის არაფერი შეცვალა, ყველაფერი უფრო გარკვეული გახდა, უბრალოდ ეხლა უფრო შემეძლო ატანა, ეს ტკივილი უკვე ჩემი ნაწილი იყო, ამბობდნენ, რომ დრო არჩენდა ტკივილს, მაგრამ ჩემთვის სულერთი იყო, მთავარი ის იყო, რომ ჯეიკობი ისევ ბედნიერი დამენახა.

თვალები გავახილე და ედვარდის შეშფოთებულ მზერას შევხვდი.

– სალამი,- წარმოვსთქვი მე დაგუდულად.

მან არ იპასუხა, მიყურებდა და ტირილის გარძელებას ელოდებოდა.

– არა, კარგად ვარ,- დავაწყნარე მე,- ასეთი რამ აღარ მოხდება.
ჩემმა სიტყვებმა კიდევ უფრო დააეჭვა.

– ძალიან ვწუხვარ, რომ ამ ყველაფრის ნახვა მოგიწია,- ვუთხარი მე, - ეს უსამართლობა იყო.

მან ხელებში მოიქცია ჩემი სახე.

– ბელა, დარწმუნებული ხარ, რომ სწორედ აირჩიე? არასდროს მინახავს, რომ ასე გატანჯულიყავი,- ბოლო სიტყვაზე ხმა ჩაუწყდა.

მაგრამ მე ამაზე უარესი ტანჯვაც მახსოვდა.

თითები დავადე მის ტუჩებს.
– კი.

– არვიცი, თუ ასე განიცდი, როგორ შეიძლება ეს სწორი იყოს?

– ედვარდ, ზუსტად ვიცი ვის გარეშე ვერ შევძლებ ცხოვრებას.

– მაგრამ..

უარყოფითად გავიქნიე თავი.

– შენ ვერ ხვდები, ედვარდ, შენ შეგიძლია შენს თავში ძალა და სიმამაცე იპოვო და იცხოვრო უჩემოდ თუ ასე იქნება საჭირო, მაგრამ მე ვერასდროს წავალ ამ მსხვერპლზე, მე შენთან უნდა ვიყო, მხოლოდ ასე შევძლებ ცხოვრებას.

მას კიდევ ეჭვი ეპარებოდა, სულ ტყვილად ვაიძულე ღამით ჩემთან დარჩენა, მაგრამ ის ისე მჭირდებოდა...

– შეგიძლია ის წიგნი მომაწოდო? – ვუთხარი მე და წიგნზე მივანიშნე.

მან გაკვირვებულმა შემომხედა და სწრაფად მომაწოდა წიგნი.

– ისევ ეს?

– უბრალოდ მინდა ერთი ნაწყვეტი ვიპოვო და წაგიკითხო,- სწრაფად გადავფურცლე წიგნი და მაშინვე მივაგენი საჭირო გვერდს, რადგან მასზე საკმაოდ დიდხანს ვჩერდებოდი ხოლმე.
– კეტი ნამდვილი ურჩხულია, მაგრამ ზოგჯერ სიმართლეს ამბობს,- ჩავიბურტყუნე მე და კითხვა დავიწყე.

“ თუ ყველაფერი სხვა წაიშლება და ის დარჩება, მე ჯერ კიდევ არ გავქრები ამ ცხოვრებიდან, მაგრამ თუ ყველაფერი დარჩება და ის აღარ იქნება, მსოფლიო ჩემთვის რაღაც უკიდეგანოდ და უცხოდ გადაიქცევა და მე მისი ნაწილი აღარ ვიქნები”
(ე. ბრონტე “ჭექაქუხილის უღელტეხილი”)

– მე ვხვდები რაზე ლაპარაკობს ის და ვიცი ვის გარეშე ვერ ვიცოცხლებ.

ედვარდმა წიგნი გამომართვა და მოისროლა, ის რბილად დავარდა ჩემს საწერ მაგიდაზე, მან ხელები შემომხვია წელზე.
მსუბუქმა ღიმილმა გაანათა მისი მშვენიერი სახე.

– ხითკლიფმაც თქვა რაღაც, - შენიშნა ედვარდმა და მას სულაც არ სჭირდებოდა წიგნი, რომ ამის ციტირება გაეკეთებინა, მან ძლიერად ჩამიხუტა და ყურში ჩამჩურჩულა: - “არ შემიძლია ჩემი სიცოცხლის აზრის გარეშე ცხოვრება, არ შემიძლია ჩემი სულის გარეშე სიცოცხლე “

– ხო,- ვთქვი მე ჩუმად,- სწორედ ამაზე ვლაპარაკობ.

– ბელა არ შემიძლია მშვიდად ვუყურო შენს ტანჯვას, იქნებ...

– ედვარდ, არა, მე ისედაც საკმარისად გავართულე ყველაფერი და ამ ტკივილთან ერთად მომიწევს ცხოვრება, მაგრამ ვიცი რა მინდა და რა მჭირდება და ეხლა ამის გაკეთებას ვაპირებ.

– რის გაკეთებას ვაპირებთ?

მის შენიშვნაზე გამეცინა.

– ელისის სანახავად წავალთ.

ელისი უკვე კარებთან გველოდება, ისეთი ბედნიერი იყო, ცოტაც და ცეკვას დაიწყებდა, მან ხომ უკვე იცოდა რის თქმასაც ვაპირებდი.

– მადლობთ, ბელა,- წაიმღერა მან, როგორც კი პიკაპიდან გადმოვედით.

– მოცადე, ელის,- ვთქვი მე და ხელი ავწიე, რომ ერთი წამით გაჩუმებულიყო,- რამოდენიმე შეზღუდვა იქნება.
– ვიცი, ვიცი, ვიცი, ყველაფერი გასაკეთებელია, ცამეტ აგვისტომდე გვაქვს ვადა, შენ მხოლოდ სტუმრების სიის შედგენის უფლება გაქვს, თუ გადავაჭარბებ, შეგიძლია ხმა აღარ გამცე.

– კარგი, კარგი.

– ნუ ნერვიულობ ბელა, ყველაფერი იდეალურად იქნება, გინდა შენი კაბა ნახო?

რამოდენიმეჯერ კარგად ჩავისუნთქე.

– ჰმ, ელის,- ვთქვი მე და შევეცადე ჩვეულებრივად მეკითხა, - როდის მოასწარი ჩემთვის კაბის შოვნა?
ალბათ ეს არ უნდა მეთქვა, ედვარდმა ხელი მომიჭირა.

ელისი უკვე სახლში იყო და კიბეებზე არბოდა.

– როდის?- ვიკითხე მე კიდევ ერთხელ.

– ბელა, პერაინ ბიუერასთან მთელი რიგია და კაბები ერთ ღამეში არ იკერება, - დაიწყო მან თავის მართლება,- მე რომ მანამდე არ მეზრუნა, ძონძების ჩაცმა მოგიწევდა ქორწილში.

– პერ, ვინ?

– ის არ არის ძალიან ცნობილი დიზაინერი, ასე რომ ისტერიკაში ნუ ჩავარდები, ის ზუსტად იმას ქმნის რაც მე მჭირდება ხოლმე.

– არ ვაწყობ ისტერიკას.

– შენ გარეთ გადი, - მიმართა ელისმა ედვარდს, როცა ოთახში შევედით.

– რატომ?- გავაპროტესტე მე.

– ბელა,- აწუწუნდა ის, - ხომ იცი წესები, მან არ უნდა ნახოს კაბა ქორწილამდე.

– ეს არ მადარდებს, შენ ხომ იცი, რომ მან უკვე ნახა ეს კაბა შენს აზრებში, მაგრამ თუ ასე გინდა...

თქმა ვერ მოვასწარი, რომ ელისი უკვე გარეთ აგდებდა ედვარდს, ის მას არ უყურებდა, ედვარდი მე მიყურებდა, საშინლად ეშინოდა ჩემი მარტო დატოვების.

მე თავი დავუქნიე, იმედი მქონდა, რომ მშვიდად გამოვიყურებოდი და ეს დააწყნარებდა.

ელისმა ხვირწინ მიუხურა კარი.
– გადასარევია! – თქვა მან, - წავედით.

ხელი მომკიდა და თავის კარადასთან მიმიყვანა, რომელიც ჩემს საძინებელზე დიდი იყო, იქ, შორეულ კუთხეში, დიდი თეთრი ცელოფანი ეკიდა.
მან ის გამოიღო, ფრთხილად გახსნა და ერთი ნაბიჯით გაიწია, რომ კაბისთვის შემეხედა.

– აბა რას იტყვი? – მკითხა მან და სუნთქვა გაუჩერდა.

საკმაოდ დიდხანს ვუყურებდი.
– აჰ,- ვთქვი მე, გამეღიმა და ელისმაც ამოისუნთქა,- ვხედავ.

– რას ფიქრობ?

– რა თქმა უნდა ულამაზესია, ზუსტად ის, რაც უნდა იყოს, გენიოსი ხარ.

– ვიცი,- გაეცინა ელისს.

– ეს ათას ცხრაას თვრამეტი წლის მოდელია?

– მიახლოებით, რაღაცეები ჩემი დიზაინით არის გაკეთებული, მაგალითად შლეიფი, - თქვა მან და თეთრ ატლასს შეეხო, - მაქმანები ძველებურია, მოგწონს?

– ლამაზია, ზუსტად ისეთია, როგორიც მას უნდოდა.

– და შენ ასეთი არ გინდოდა?

– ვფიქრობ, კი, ასეთი მინდოდა, ელის, დარწმუნებული ვარ, რომ ფანტასტიურ ქორწილს მოაწყობ.

ელისმა გაანათა.

– შეიძლება შენი კაბა ვნახო?- ვკითხე მე.

მან თვალები დაახამხამა და გაკვირვებულმა შემოხედა.

– შენ რა არ შეგიკვეთია კაბა მეჯვარისთვის? არ მინდა, რომ ჩემს ქორწილში ძონძები გეცვას,- გამეცინა ჩემს იდეაზე.

ელისი ისე ძლიერად მომეხვია, რომ კინაღამ დამახრჩო.
– მადლობთ, ბელა.

– ეს როგორ ვერ დაინახე? – გავეხუმრე მე და მოკლე თმაზე ვაკოცე,- აი ესეთი წინასწარმეტყველი ხარ.

ელისი ცეკცა-ცეკვით გამეცალა, მისი სახე უკვე ახალი ენთუზიაზმით ანათებდა.
– იმდენი რამე უნდა გავაკეთო! წადი ედვარდს ეთამაშე, მე კიდევ ბევრი საქმე მაქვს.
ის წამში გავარდა ოთახიდან, გავიგონე ესმეს სახელს, რომ ყვიროდა.

მას მივყევი, ედვარდი კორიდორში მელოდებოდა, კედელზე იყო მიყრდნობილი.

– ეს ძალიან ლამაზი საქციელი იყო შენი მხრიდან,- მითხრა მან.

– მემგონი, ის კმაყოფილია,- დავეთანხმე მე.

ის სახეზე შემეხო და თავისი ოქროსფერი თვალებით სწავლობდა ჩემს გამომეტყველებას.

– წავიდეთ აქედან,- უცებ შემომთავაზა მან,- ჩვენს ადგილზე წავიდეთ, ველზე.

ეს საოცრად ჟღერდა.
– მემგონი, დამალვა აღარ მჭირდება, ხომ?

– არა, ყველაფერი დამთავრდა.

სანამ მირბოდა ჩუმად იყო, ქარი მიბერავდა სახეში, მზე კი ისევ ღრუბლებში იმალებოდა, ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის.
ჩვენი პატარა მინდორი დღეს ძალიან მშვიდი და ლამაზი იყო, ზოგიერთ ადგილზე ყვავილები იყო ამოსული და მწვანე ბალახს აფერადებდა, პირდაპირ ბალახზე დავწექი და ზევით ავიხედე, ცა ნახატს ჰგავდა, მშვიდს და ნაცრისფერს.

ედვარდი ჩემს გვერდით დაწვა და ხელი ჩამკიდა.

– ცამეტი აგვისტო? – მკითხა მან რამოდენიმე წუთის შემდეგ.

– ერთი თვე მექნება მარაგში, ჩემს დაბადების დღემდე, არ მინდა, რომ ძალიან მივუახლოვდეთ ამ დღეს.

– ისე ესმე კარლაილზე სამი წლით უფროსია, იცოდი?

თავი გავიქნიე.

– ედვარდ, ჩემს ასაკს არ აქვს მნიშვნელობა, მე მზად ვარ, უკვე ავირჩიე ჩემი ცხოვრება და მინდა, რომ დავიწყო ის.

– ე.ი სტუმრების სიის შედგენის უფლება გაქვს?

– ხო და მართალი გითხრა ჩემთვის სულერთია,- ვთქვი და გავჩერდი, ჯობდა, რომ არ ამეხსნა.

უცებ ედვარდმა წელზე მომკიდა ხელი და მის ზემოდან აღმოვჩნდი.

– მითხარი ამას რატომ აკეთებ, ბელა? რატომ გადაწყვიტე, რომ ელისი თავის ნებაზე მიუშვა?

მე მას ჩარლისთან გუშინდელი საუბარი მოვუყევი, იქამდე სანამ ჯეიკობთან წავიდოდი.

– არ არის სამართლიანი ჩარლის მოტყუება, კიდევ რენესი და ფილის, ან როგორ წავართვა ელისს ამხელა მხიარულება? ასე უფრო სწორი და ყველასთვის უკეთესი იქნება, მინდა ჩარლის იმის შანსი ჰქონდეს, რომ საკურთხეველთან მიმიყვანოს, ბოლოს და ბოლოს ჩემს მშობლებს და მეგობრებს ეცოდინებათ ჩემი არჩევანის შესახებ, ეცოდინებათ, რომ ერთად ვართ და ბედნიერები ვართ, ეს ყველაზე უკეთესია, რისი გაკეთებაც შემიძლია.

ის ისევ მაკვირდებოდა.

– შეთანხმება აღარ არის ძალაში, - თქვა მან უცებ.

– რა? - კინაღამ დავიხრჩე მე, - უარს ამბობ? არა!

– მე უარს არ ვამბობ, ბელა, ყველაფერს გავაკეთებ რასაც შეგპირდი, მაგრამ შენ განთავისუფლებ ყველანაირი მოვალეობებისგან, ყველაფერს მიიღებ რაც გინდა.

– რატომ?

– ბელა, ვხედავ რასაც აკეთებ, გინდა, რომ ყველა გააბედნიერო და მე სულ არ მაინტერესებს სხვისი გრძნობები, ჩემთვის მთავარია, რომ შენ იყო ბედნიერი, ნუ ინერვიულებ, როგორ უთხრა ეს ელისს, ამას მე მივხედავ, გპირდები, რომ ხმასაც არ ამოიღებს.

– მაგრამ, მე...

– არა, ყველაფერს ისე გავაკეთებთ როგორც შენ გინდა, იმიტომ, რომ როგორც მე მინდა არ გამოდის, მე ჯიუტი გიწოდე და შეხედე მე თვითონ რა გავაკეთე, ისე ვეჭიდები ჩემს იდეებს, რომ ისევ შენ გტკენ გულს, ჩემს თავს აღარ ვენდობი, შენ ისე იქნები ბედნიერი, როგორც გინდა, ამ ღამესვე გავაკეთებთ ამას, რაც მალე მით უკეთესი, კარლაილს ვეტყვი, რომ მეტი მორფი გაგიკეთოს და აღარ იგრძნობ ისეთ ტკივილს.

– ედვარდ, არ...

მათ თითი დამადო ტუჩებზე.
– ნუ ნერვიულობ, საყვარელო, მე არ დამვიწყებია შენი სხვა მოთხოვნები.

ვერაფრის თქმა ვერ შევძელი, ის უკვე მეხვეოდა და მკოცნიდა, მივხვდი რის გაკეთებასაც აპირებდა.
ფიქრის დრო არ იყო, ამას დიდხანს ველოდი და რატომ უნდა შემეჩერებინა, უკვე ველარ ვსუნთქავდი თანაბრად, რაც ძალა და ღონე მქონდა ვეხუტებოდი მის სხეულს, ძალიან მინდოდა აზრზე მოვსულიყავი და რამე მეთქვა, მაგრამ ჩემი გონება მისი ტკბილი სუნთქვით აივსო და გაითიშა.
ის რბილად გადაკოტრიალდა და მის ქვევით აღმოვჩნდი გრილ ბალახზე.

“არა, არა, არა” ვეჭიდავებოდი მე ჩემს თავს, მისმა ტუჩებმა ჩემს კისერზე გადაინაცვლა და საშუალება მომცა ხმა ამომეღო.

– შეჩერდი, ედვარდ, მოიცადე, - ჩემი ხმა ისეთივე სუსტი იყო, როგორც ჩემი ნებისყოფა.

– რატომ,- მკითხა მან და ისევ ზევით ამოიწია ტუჩებით ჩემს ყურთან.

– არ მინდა ამის გაკეთება ეხლა.

– მართლა? – მისი ხმა თბილი იყო, ის ისევ მკოცნიდა, ვეღარ ვლაპარაკობდი, მისი ყოველი შეხებისგან ვიწვოდი.

ვაიძულე ჩემს თავს გონება მომეკრიბა, როგორც კი ოდნავ შევძელი ეს, ხელით მივაწექი მკერდზე, რომ გამეწია, ამას მარტო ვერ შევძლებდი, ის მიხვდა და თვითონ გაიწია.
რამოდენიმე სანტიმეტრით გაიწია და შემომხედა, მისი მზერა კიდევ უფრო მაბნევდა, თვალები ისე უნათებდა, თითქოს მათში ცეცხლი ენთო.

– რატომ? –კიდევ ერთხელ მკითხა მან, - მე მიყვარხარ და მინდიხარ, ზუსტად ეხლა.

ისეთი შეგრძება მქონდა, რომ ჩემს მიცელში პეპლები დაფრინავდნენ, მან ისარგებლა ჩემი სიჩუმით და ისევ მოიწია.

– მოიცადე, მოიცადე,- ძლივსძლიობით ამოვთქვი მე, სანამ ისევ მაკოცებდა.

– არ შემიძლია...

– გთხოვ,- ბოლო ძალებით ვთქვი მე.

ედვარდმა ამოიოხრა, შემეშვა და ზურგზე გადაგორდა.

ერთი წუთის განმავლობაში ჩუმად ვიწექით და სუნთქვის აღდგენას ვცდილობდით.

– ბელა, ამიხსენი, რატომ არა? – მოითხოვა მან, - არ აქვს მნიშვნელობა რა მიზეზი იქნება, მითხარი!

– ედვარდ, ეს მნიშვნელოვანია ჩემთვის და მინდა ყველაფერი სწორედ გავაკეთო.

ის მუცელზე გადმოტრიალდა და შემომხედა.

– და როგორ აპირებ ამის სწორედ გაკეთებას?

ღრმად ჩავისუნთქე.
– ისე, როგორც საჭიროა, ჩარლის და რენეს ასე არ მოვექცევი, ელისსაც არ ჩავუშხამებ ზეიმს, მაინც გამოგყვები ცოლად და ყველანაირი ადამიანური წესებით დაგიკავშირდები, იქამდე სანამ ჩემს ვამპირად გადაქცევას გთხოვ, ყველაფერს

წესის მიხედვით გავაკეთებ ედვარდ, შენი სული ჩემთვის ძალიან ძვირფასია და მასთან თამაშს არ ვაპირებ, ამას ვერ მაიძულებ.

– დავნიძლავდეთ, რომ გაიძულებ, - თქვა მან და ისევ აენთო თვალები.

– მაგრამ ამას არ გააკეთებ, მე თუ გთხოვ.

– შენ წესებით არ იბრძვი.

გამეცინა.
– ამას არც შეგპირებივარ.

ზუსტად ამ მომენტში წვიმა დაიწყო, გაბრაზებულმა შევხედე ცას.

– სახლში მიგიყვან, - მითხრა მან და წვიმის წვეთები მომწმინდა ლოყებიდან.

– წვიმა არ არის პრობლება, ეს იმის ნიშანია, რომ რაღაც საშიში და არასასიამოვნო უნდა გავაკეთო.

თვალები გაუფართოვდა შიშისგან.

– კარგია, რომ ტყვიაგაუმტარი ხარ,- ვუთხარი მე ღიმილით,- ბეჭედი მჭირდება, დროა ჩარლის მოვუყვე.

მას ჩემს გამომეტყველებაზე გაეცინა.
– ძალიან საშიშია,- დამეთანხმა ის და ჯინსების ჯიბეში ჩაძვრა, - კარგია, რომ სახლში არ უნდა დავბრუნდე ამისთვის.
ედვარდმა ისევ გამიკეთა ბეჭედი მარცხენა ხელზე, სადაც ის კიდევ საუკუნეები დარჩებოდა.

ეპილოგი

არჩევანი

ჯეიკობ ბლექი

– ჯეიკობ, ეს ყველაფერი კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება,- წუწუნებდა ლეა.

ძლიერად დავაჭირე კბილები ერთმანეთს.

ლეამ ისევე იცოდა ყველაფერი, როგორც დანარჩენებმა ხროვაში, იცოდა რატომ მოვედი აქ, ოკეანესთან, უბრალოდ მარტო ყოფნა მინდოდა.
მაგრამ მაინც არ შემეშვა.
რაღაც მომენტში ეს მესიამოვნა კიდეც, მაგრამ მან მაინც თავი მომაბეზრა, წითელი ნისლი აღარ მიბნელებდა თვალებს და ხერხემლის ტკივილსაც ვეღარ ვგრძნობდი, ჩემი ხმა მშვიდი იყო, როცა ვუპასუხე:

– ლეა, გადახტი კლდიდან,- ვუთხარი მე ქვევით მივანიშნე.

– არა, მართლა პატარავ,- მან ჩემს სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და ჩემს გვერდით გაიშალა ბალახზე,- შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ მიჭირს.

– შენ? ლეა, შენ ყველაზე დიდი ეგოისტი ხარ დედამიწის ზურგზე, არ მინდა შენი ოცნებები დავანგრიო, სადაც მზე დაგტრიალებს თავზე, მაგრამ პირდაპირ გეტყვი, რომ სულ ფეხებზე მკიდია შენი პრობლემები, მომშორდი და რაც შეიძლება შორს.

– უბრალოდ ჩემი თვალით შეხედე ყველაფერს,- მითხრა მან, თითქოს არც ესმოდა რას ვეუბნეოდი.

თუ ის ჩემი ნერვების მოსაშლელად მოვიდა, ეს ნამდვილად გამოუვიდა, სიცილი ამიტყდა და საშინელი ტკივილი ვიგრძენი შიგნიდან.

– მორჩი ფხუკუნს და შემომხედე, - გაბრაზდა ლეა.

– თავს თუ მოვიკატუნებ, რომ გისმენ, დამანებებ თავს?- ვკითხე მე და მის მუდმივად გაბრაზებულ სახეს შევხედე, აღარც კი მახოვდა, რომ როდესღაც სხვანაირიც იყო.

ადრე ის ძალიან კარგი იყო, ლამაზიც კი, მაგრამ ეხლა უკვე არავინ ფიქრობდა ასე, სემის გარდა, ის თავის თავს აბრალებდა, რომ ლეა ასეთ გულქვა არსებად იქცა.

ის კიდევ უფრო გაბრაზდა, როცა მიხვდა რაზე ვფიქრობდი.

– ჯეიკობ, გული მერევა ამაზე, შეგიძლია წარმოიდგინო როგორ ვგრნობ თავს? მე არც კი მომწონს ბელა სვონი და შენ მაიძულებ ამ სისხლისმსმელების მოყვარულზე ვიდარდო, ისე თითქოს მეც მიყვარს.

– და მე რაში მადარდებს შენი განცდები?

– აღარ მინდა შენი აზრები მესმოდეს! დაივიწყე ის გოგო! ის იმ არსებას მიჰყვება ცოლად და მალე მისნაირი გახდება, დროა წინ წახვიდე ბიჭო!

– ხმა ჩაიწყვიტე! - დავუყვირე მე.

– მაგრამ ალბათ ის მას მოკლავს,- აგრძელებდა ლეა, - ბევრი ისტორია ამბობს, რომ მათ მოკვლა უფრო გამოსდით ვიდრე შეცვლა, ასე რომ ეს დასაფლავება უფრო იქნება, ვიდრე ქორწილი.

ამჯერად ვაიძულე ჩემს თავს სიმშვიდე შემენარჩუნებინა, მაგრამ სხეული სიმწრისგან მიკანკალებდა, როცა ოდნავ დავმშვიდდი განრისხებული სახით შევხედე, მას კი გაეღიმა.

მან იფიქრა რომ კარგად იხუმრა.

– ლეა, თუ ეს ასე გაწუხებს, გეტყვი, რომ არც ჩვენ მოგვწონს, როცა სემს შენი თვალებით ვუყურებთ, ძალიან ცუდია, რომ ემილის შენს იდიოტურ იდეებთან უწევს შეგუება, ჩვენც ძალიან გვიჭირს შენი ფანტაზიების მოსმენა.

იმის მიუხედავად, რომ გაბრაზებული ვიყავი, მაინც ცუდად ვიგრძენი თავი, როცა მისი ტკივილით სავსე სახე დავინახე.

ის ფეხზე წამოხტა და მარტო იმიტომ გაჩერდა, რომ ჩემს მხარეს გადმოეფურთხა, შემდეგ კი ხეების მხარეს გაიქცა.

სემი გამიბრაზდებოდა, სამაგიეროდ ის აღარ მომაბეზრებდა თავს, საშუალება, რომ მქონოდა ამას კიდევ ვეტყოდი, იმიტომ, რომ მისი სიტყვები მწარედ მომხვდა გონებაში, ისეთ ტკივილს ვგრძნობდი, რომ სუნთქვა მიჭირდა.

ტკივილი იმის გამო, რომ ბელამ სხვა აირჩია კიდევ ასატანი იყო, ეს არ იყო იმდენად მნშვნელოვანი.
მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მან ყველაფერი მიატოვა და მალე მისი გული გაჩერდებოდა, კანი ყინულად იქცეოდა, გონება კი კრისტალს დაემსგავსებოდა, ის უკვე უცხო იქნებოდა.

ამაზე უფრო მტკივნეული არაფერი იყო.

ყველანაირი ძალისხმევის მიუხედავად ხელები მაინც მიკანკალებდა, არვიცი ეს გაბრაზების თუ ტანჯვის გამო იყო, არ ვიცოდი რას ვებრძოდი.

უნდა დამეჯერებინა, რომ ბელა გადარჩებოდა, ამისთვის ნდობა იყო საჭირო, მაგრამ მაინც ვერ ვენდობოდი იმ სისხლისმსმელს ისე, როგორც მინდოდა, შეძლებდა კი ის ბელას ცოცხლად დატოვებას?

საინტერესო იყო, როგორ იმოქმედებდა ჩემზე მისი შეცვლა, ჩავთვლიდი თუ არა მას მკვდრად, როცა ჩემს წინ დავინახავდი მარმარილოსავით თეთრს? როცა მისი სუნი ცხვირს დამწვავდა, მომინდებოდა მისი მოკვლა?

სახლში მისვლა არ მინდოდა, მაგრამ მშიოდა და სხვა უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

ნეტავ მშიერი დავრჩენილიყავი, ვიფიქრე მე, როცა სახლში შევედი და მამაჩემის სახე დავინახე, მას რაღაცა ჰქონდა ჩაფიქრებული, ეს ეტყობოდა, თუმცა ცდილობდა, რომ დაემალა.
ამ დროს უფრო მეტს ლაპარაკობდა ხოლმე.

– დღეს სიუ იყო მოსული,- თქვა მან ხმამაღლა,- საოცარი ქალია, დათვზე მაგარია, არც კი ვიცი თავის ქალიშვილს როგორ იტანს, სიუ ალბათ კარგი მგელი იქნებოდა და არა ისეთი, როგორიც ლეაა.

ის მელოდებოდა, რომ რამეს ვიტყოდი, მაგრამ არ მინდოდა ლეაზე ლაპარაკი, ვცდილობდი მასზე არ მეფიქრა.

– სეთთან ყველაფერი მარტივად არის, ისევე როგორც შენთან იყო,- გააგრძელა ბილიმ, - კარგი, კარგი, შენ მათზე მეტი პრობლემები გაქვს...

ღრმად ჩავისუნთქე და ფანჯარას მივაშტერდი.

– დღეს წერილი მივიღეთ, - თქვა ბილიმ დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ.

მივხვდი, რომ სწორედ ამ თემას გაურბოდა.
– წერილი?

– მიპატიჟება ... ქორწილზე.

თითოეული კუნთი დამეჭიმა და სიცხემ დამიარა ზურგზე, მაგიდას ჩავებღაუჭე, რომ ხელები გამეჩერებინა.

– შიგნით წერილია შენს სახელზე, მე არ წამიკითხავს.

მან თავისი ინვალიდის სავარძლის ჯიბიდან თხელი, სპილოსძვლისფერი კონვერტი ამოიღო და მაგიდაზე დააგდო.

– ალბათ ჯობია, რომ არ წაიკითხო, არ აქვს მნიშვნელობა იქ რა წერია.

კონვერტი ავიღე მაგიდიდან.

ეს მძიმე, მკვრივი და საკმაოდ ძვირფასი ქაღალდი იყო, მოსაწვევი ბარათი, რომელიც შიგნით იდო, ფორმალურად გამოიყურებოდა, ეს ბელას გაკეთებულს არ ჰგავდა, გამჭირვალე ფურცლებზე დაბეჭდილი ოქროსფერი ტექსტი ნამდვილად არ შეესაბამებოდა მის გემოვნებას, სიტყვები არ წამიკითხავს, თარიღისთვისაც კი არ მიმიქცევია ყურადღება, ჩემთვის სულერთი იყო.

ცალკე კიდევ ერთი ფურცელი იყო და ის გავშალე.

“ ჯეიკობ,
წესებს ვარღვევ და ამას გიგზავნი, მას არ უნდოდა გული გტკენოდა და მითუმეტეს ის, რომ თავი ვალდებულად გეგრძნო, მაგრამ ვიცი, რომ მერე ინანებს და ამას ამიტომ ვაკეთებ.
ჯეიკობ, გპირდები, რომ ვიზრუნებ მასზე, მადლობას გიხდი ყველაფრისთვის.
ედვარდი”

– ჯეიკობ, მაგიდა მხოლოდ ერთი გვაქვს,- შენიშნა ბილიმ.

მართლაც ისეთი ძალით ჩავაფრინდი ხეს, რომ ცოტაც და გადავტეხავდი, ნელა ჩამოვუშვი ჯერ ერთი ხელი და შემდეგ მეორე.

– კარგი სულერთია,- ჩაიბურტყუნა მან.

მაგიდიდან ავდექი და მაისური გავიხადე.

– გვიანობამდე ნუ იბოდიალაბ,- მომაძახა ბილიმ, როცა წიხლით გავაღე კარები.

ხეებს შორის მივრბოდი, ჩემი ტანსაცმელი კი უკან დავტოვე, როგორც კვალი, თითქოს უკან დაბრუნება მინდოდა, ეხლა უკვე ისეთი ადვილი იყო ფორმის

შეცვლა, ამისთვის ფიქრი აღარ იყო საჭირო, ჩემმა სხეულმა უკვე იცოდა საით მივდიოდი და ის მომცა რაც მჭირდებოდა.
ოთხი ფეხი მქონდა და თითქოს მივფრინავდი.
ჩემი კუნთები სწორ რითმში მუშაობდა, ასე ალბათ დღეების განმავლობაში შევძლებდი სირბილს და არც დავიღლებოდი, მე არც ვაპირებდი გაჩერებას.

მაგრამ მარტო არ ვიყავი.

“ ვწუხვარ”- წავიკითხე მე ემბრის აზრები, მას თვალებით ვერ ვხედავდი, ის შორს იყო, ჩრდილოეთში, მაგრამ შემობრუნდა და ჩემსკენ გამოიქცა.

“ჩვენც დაგველოდე”- აწუწუნდა ქუილი, ის უფრო ახლოს იყო, თითქოს მიხვდა, რასაც ვაპირებდი.

“მარტო დამტოვეთ”-ვიყვირე მე ჩემს გონებაში.

მათ ნერვიულობას ვგრძნობდი და ამის ჩახშობას ქარის და ტყის ხმაურით ვცდილობდი, ამას ვერვიტანდი ყველაზე მეტად, ჩემს თავს ვხედავდი მათი თვალებით, მათ ვეცოდებოდი და ეს ჭკუიდან მშლიდა, ამას გრძნობდნენ, მაგრამ მაინც მომდევდნენ.

ახალი ხმა გაისმა ჩემს თავში.

“დაანებეთ თავი” – რბილად გაიფიქრა სემმა, მაგრამ ეს მაინც ბრძანება იყო და ორივე გაჩერდა.

ნეტავ შემძლებოდა არ გამეგო მათი აზრები, მაგრამ ამისთვის ისევ ადამიანის ფორმა უნდა მიმეღო, ამ დროს კი ტკივილი უბრალოდ აუტანელი ხდებოდა.

“შეიცვალეთ”- უბრძანა მათ სემმა.

ჯერ ერთი და შემდეგ მეორე გონება გაითიშა ჩემი თავიდან და სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ სემი დარჩა.

“მადლობთ”- გავიფიქრე მე.

“როცა შეძლებ, მაშინ დაბრუნდი”- სემის სიტყვები სუსტი იყო, ისინი შავ სიცარიელეში გაიფანტა და ის წავიდა. მარტო დავრჩი.

ეხლა მხოლოდ მშრალი ფოთლების ხმა მესმოდა ჩემს ქვევით და ეს საოცარი გრძნობა იყო, მხოლოდ სისწრაფეს, დაჭიმულ კუნთებს და ძვლებს ვგრძნობდი, კილომეტრებს ვიტოვებდი უკან.
თუ სიჩუმე ჩემს თავში გაგრძელდებოდა, არასდროს აღარ მივიღებდი ადამიანის ფორმას და მე პირველი არ ვიქნებოდი, ვინც ასეთი ცხოვრება არჩია, იქნებ, მართლაც ძალიან შორს რომ გავქცეულიყავი, აღარც გავიგებდი მათ ხმებს...

კიდევ უფრო სწრაფად გავიქეცი და საშუალება მივეცი ჯეიკობ ბლექს ჩემს უკან გამქრალიყო.

დასასრული.